ვ. ჩუბინიძე

V. TCHUBINIDZÉ

მოგონება

MÉMOIRES

წიგნი მეოთხე

პარიზი

1953

წინასიტყვაობის მაგივრ.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობა საერთოდ ზემოიმერეთში და კერძოდ მის სამრეწველო ცენტრში—ჭიათურაში—სახელოვანი ფურცელია რუსეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში. ერთი მხრით, თუ გლეხთა მოძრაობა ფართოდ გაიშალა, მეორე მხრით, მუშათა მოძრაობა დაკავშირებულია შავიქვის (მარგანეცის) სამეფო—ჭიათურასთან.

შორაპნის მაზრას დასავლეთ საქართველოს საერთო მოძრაობაში მოწინავე ადგილი ეკავა 1905 წელში და რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქციის სუსხიც მას ძლიერად მოხვდა, და ძალიან დაზიანდა.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტიის დადგენილების მიხედვით, რევოლუციურ შეიარაღებულ ორგანიზაციებს—წითელ რაზმებს—თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა უნდა შეეწყვიტათ და იარაღზე ხელი აეღოთ. მაგრამ ეს დადგენილება, რამდენადაც ვიცი, ყველგან არ გატარდა და კერძოდ შორაპნის მაზრაში აფრასიონ მერკვილაძის და კოლია ლორთქიფანიძის ხელძღვანელობით ბრძოლა გაგრძელდა, და მათი რაზმი რუსეთის მთავრობის დამსჯელ რაზმებსა და მათ აგენტებს იარაღით ხელში წინააღმდეგობას უწევდენ.

იმავე ხანაში, თუმცა გლეხთა მოძრაობა უფრო სწრაფად ჩადგა კალაპოტში; ხოლო ჭიათურის მუშათა მოძრაობის ტალღები კვლავ განაგრძობდა მოძრაობას, და მხოლოდ ნელნელა ცხრებოდა, და შედიოდა წმინდა ეკონომიური ბრძოლის ასპარეზზე.

ვისაც უნახავს ეს შეუდრეკელი ბრძოლა ჭიათურაში და სოფლებშიაც, მას იმედი არასოდეს არ ეკარგებოდა, რომ საბოლოო გამარჯვება ხალხს დარჩებოდა და ამ იმედით აღსავსე წამოწყებულ ბრძოლას არ ეშვებოდა.

ვწუხვარ, არ შემწევს სათანადო ძალა ფართოდ გავაშუქო მაშინდელი მოძრაობის სახელოვანი დრო და შემდგომი

რეაქციის შავბნელი ხანა. ჟიათურაში მომხდარ მუშათა მოძრაობის ამბებს უკვე შევეხე ჩემი მოგონების პირველ წიგნში (ვ. ჩუბინიძე: «მოგონება», 1905 წლიდან 1921 წლის 15 მარტამდინ, პარიზი, 1938); დღეს აქ აღვნიშნავ მხოლოდ იმ ზოგ მოვლენას, რომელიც 1905 წლის მოძრაობასთან არის დაკავშირებული, და იმედი მაქვს, აქ აღნუსხული ფაქტები გამოუსადეგარი არ იქნება რევოლიუციის ისტორიკოსისათვის. ჩემს ასეთ ნაბიჯს, ვიმედოვნებ, კადნიერებად არავინ ჩამითვლის.

სურათის სისრულისათვის აქვე ვათავსებ იმ საბუთებს, რომელიც ხელთა მქონდა.

ეჭვი არაა, მებრძოლ პირთა დასახელების დროს გამომრჩენ ამხანაგები, რომელთაც მოძრაობაში თავისი წვლილი შეიტანეს, მაგრამ დაიმედებული ვარ, მათ სახელებს, თუ დღეს მე ვეღარ მოვიგონე, სხვები მაინც გაიხსენებენ.

ვალიკო ჩუბინიძე.

პარიზი, ნოემბერი, 1939.

სოციალდემოკრატიული პარტიის მუშაობა ჭიათურაში.

1905 წლის დასაწყისში სოციალდემოკრატიული პარტიული მუშაობა ჭიათურასა და მის რაიონებში უკვე გაჩაღებული იყო. ორგანიზაციულად ეს იმას ნიშნავს, რომ ჭიათურაში და სოფლებში მოწყობილი იყო პარტიული წრეები, რომელთაც პროპაგანდისტები ხელმძღვანელობდენ. მთელი ამ მუშაობის სულის ჩამდგმელი იყო იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, რომელიც ჭიათურას უკვე გაწრთვნილ პროპაგანდისტებს უგზავნიდა.

1905 წლის დასაწყისში ჭიათურას უკვე ჰყავდა საკუთარი კოლეგია პროპაგანდისტებისა. თითოული პროპაგანდისტი მიმაგრებული იყო რომელიმე რაიონზე და მისი მოვალეობა იყო სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის მოწყობა და ხალხში ქადაგება. ქადაგება მიმართული იყო თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ და სოციალდემოკრატიული აზრების გასავრცელებლად. ამ ნიადაგზე ეწყობოდა ათისთავებისა და ასისთავების ორგანიზაციები და მათი მეშვეობით მთელი რაიონი უკავშირდებოდა თავის ცენტრს—ჭიათურას. პროპაგანდისტები თითქმის ყოველ კვირა თავისი მუშაობის ანგარიშს აბარებდენ ჭიათურის კომიტეტს, რომელიც თავის მხრივ გაბმული იყო იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტთან.

თვით პროპაგანდისტები, რომელთაც ხალხი მოქადაგეებს ეძახდა, განიყოფოდა ორ ჯგუფად: ერთი მათგანი იყვნენ უბრალოდ მუშები, რომელნიც ჭიათურაში ორშაბათიდან შაბათამდე მაღაროებში მუშაობდენ, ხოლო შაბათ-კვირას თავის სოფლებს ეწვეოდენ ხოლმე და პარტიულ-რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდენ; ეს «მოქადაგენი» იყვნენ უანგარო მოღვაწენი და ნივთიერი ზრუნვა მათზე ორგანიზაციას არ სჭირდებოდა; ხოლო მეორე ჯგუფს ეკუთვნოდენ პროფესიონალი პროპაგანდისტები, უმთავრესად ჩამოსული პირები, რომელთა ნივთიერი მდგომარეობა სახარბიელო არ იყო. ამ პირთ რაიმე განსაზღვრული ჯამაგირი არა ჰქონდათ; პარტიის ორგანიზაციის ხაზინადარს, მაშინ ნესტორ ჩხიკვაძეს,

თევდორე კეშელავას სამიკიტნოში ჰქონდა კრედიტი და იგი იქ მიიყვანდა ხოლმე პროპაგანდისტებს, რომელთაც ორგანიზაციის ხარჯზე ეძლეოდათ სადილი უღვინოდ; რასაკვირველია, მიღებული იყო აგრეთვე ზომები, რომ პროპაგანდისტებისათვის ეშოვნათ ტანსაცმელი და პაპიროსის ფული. ცხადია, პარტიული გზით ასეთ პირობებში იყო თავდადებული მუშაობა. და ამ თავდადებული მუშაობის შედეგად ჭიათურის მუშათა მასსები და სოფლები სოციალდემოკრატიულ პარტიის გავლენაში მოექცენ იმდენად, რომ საჭირო შეიქმნა პარტიულ ხელმძღვანელთა კადრების გაფართოება. ამისათვის ღონეს არ ზოგავდა არც თვით ჭიათურის ორგანიზაცია და მისი კომიტეტი და არც ქუთაისის კომიტეტი, რომელთანაც მას უშუალო კავშირი ჰქონდა.

სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვადით ჭიათურაში მუშაობდენ შემდეგი ამხანაგები:

1. ნოე ხომერიკი, 2. ზაქარია გურული, 3. ზაქარია ჩიჩუა, გრიგოლ ლორთქიფანიძე, 5. ემელიან სირბილაძე («პარიზელი» ანდრონიკაშვილის გვარზე), 6. ტერენტი წერეთელი, 7. სეიმონ წერეთელი («ნახუცარა», პირველი დუმის დეპუტატი), 8. ნესტორ ჩხიკვაძე, 9. შალვა აბდუშელიშვილი, 10. გიორგი წერეთელი («ცაცას»-ი—დედა-მისის ოჯახი იყო რევოლუციონერთა თავშესაფარი), 11. გრიგოლ ფხალაძე, 12. კოლია ჩხეიძე, 13. იასონ ღვანიძე, 14. რაფიელ ჩიხლაძე, 15. ვანო კიკვაძე, 16. არსენ თოდრია, 17. დათიკო ხარტიშვილი («მოხევე»), 18. ვასილ ბურჯანაძე, 19. ხარიტონ შავიშვილი 20. ალექსანდრე დგებუაძე, 21. აკიმე სარალიძე, 22. ალექსანდრე ნაცვალოვი, 23. ივლიანე ჭანტურაიშვილი, 24. ანდრო რამიშვილი, 25. გედევან გაფრინდაშვილი, 26. ვანო კამთელაძე, 27. სამსონ ფაღავა, 28. ბიქტორ მელიქოვი, 29. ალექსანდრე ხაბულიანი, 30. პლატონ მოდებაძე, 31. პავლე საყვალიძე («დიდი პავლე» მაშინ ბოლშევიკი), 32. ბაქრაძე («ქელეზნა», მას თავი მოკვეთეს სპარსეთში რევოლუციის დროს), 33. ბიქტორ კაპანაძე და სხვა.

ბოლშევიკებიდან: 1. მიშა დავიდოვი, 2. კოტე ცინცაძე, 3. სტეპკო ინწკირველი, 4. დათიკო სულიაშვილი, 5. გუცა პარკაძე, 6. პავლე საყვარელიძე («პატარა პავლე», 7. მელიტონ ფილია («ავგუსტულა»), 8. თენგიზ ყლენტი, 9. გალაქტიონ ვაშაძე («ჩემოდანი»), 10. ვლადიმერ თოდრია, 11. ვანო ლომთათიძე, 12. ქრისტეფორე მელუა, 13. ი. შარაშიძე, 14. იონა ბელიაშვილი, 15. კარპე მოდებაძე, 16. სოსო ჯუღაშვილი («სტა-

ტუნელი. მარცხნიდან მეოთხე ზაქ. ჯერული კითხულობს პროკლამაციას.

ლინი»), 17. საშა წულუკიძე, 18. ნიკოდიმოზ ბრეგვაძე («კონდუქტორი», 19. ბუდუ მდივანი, 20. ფაცია გალდავა, 21. მიშა წივწივაძე და სხვა.

სოციალდემოკრატიულ პარტიის (მენშევიკებიდან) სოფლად მუდმივად მუშაობდენ:

კაცხის თემში: 1. ამბერკი ბაძღაძე, 2. მალაქია კუპატაძე, 3. გერასიმე აბესაძე, 4. ვანო ბრეგვაძე, 5. ფილიფე ცერცვაძე, 6. იოველ ცერცვაძე.

რგანის თემში: 1. პორფილე სამყურაშვილი, 2. სინო ხვედელიძე, 3. სევასტი ხვედელიძე, 4. კოწია ხვედელიძე, 5. ვასილ სამხარაძე («თათარა»), 6. ნარიმან ხვედელიძე («ნადირაშვილი»), 7. ვანო კამთელაძე, 8. იასონ სამხარაძე.

ქვაციხის თემში: 1. მოსე ჩუბინიძე, 2. პლატონ ყღენტი, 3. ნარიმან არსენიძე, 4. ერემია ჩუბინიძე, 5. არჩილ ჩუბინიძე, 6. სვიმონ ყღენტი, 7. არჩილ ჩუბინიძე, 8. გიორგი ჩუბინიძე, 9. სინო ჩუბინიძე, 10. ვანო ფოლჩხიძე, 11. ტარასი ჩუბინიძე, 12. სევასტი მუმლაძე, 13. ვანო მიხელიძე, 14. მეთოდი ნიქაცაძე, 15. დომენტი ჩუბინიძე, 16. გრიგოლ ჩუბინიძე.

ჭიათურის სოც.-დემ. ორგანიზაციის მომუშავეთა ორი სია გავაკეთე და ეს განზრახ. იმ დროს ჩვენს პარტიაში განხეთქილება უკვე იყო მომხდარი; პარტია ბოლშევიკურ და მენშევიკურ ფრაქციად დაიყო და ეს დანაწილება ჭიათურაშიც ბუნებრივად მოხდა, თუმცა ამ ფრაქციათა შორის გამწვავებული ან მტრული დამოკიდებულება მაშინ არ არსებულა, ჯოლო დავა და ქადაგება მასსების მისამხრობად კი სწარმოებდა. ხშირად იმართებოდა კრებები და ხდებოდა კამათი მენშევიზმ-ბოლშევიზმის შესახებ. თუ რომელი ფრაქცია გაიმარჯვებდა, ეს იმაზე უფრო იყო დამოკიდებული, რომელი რაიონის ხელმძღვანელი მიეკედლებოდა ამა თუ იმ ფრაქციას. ამის შედეგად პროპაგანდისტთა დიდი ნაწილი თავიდან მიემხრო ბოლშევიკებს ჭიათურის რაიონში, მაგრამ საჩხერის რაიონი, სადაც მთელ პარტიულ მუშაობას ზაქარია გურული ხელმძღვანელობდა, მენშევიკების ხელში დარჩა. საბრძოლო მიზანი სწორედ ჭიათურის რაიონის ორგანიზაციები შეიქმნა და ამიტომ თბილისიდან და ქუთაისიდან ხშირად ჩამოდიოდენ როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების მეთაურები. თუ გვეწვეოდენ ხოლმე დიდი პირები, ჩვენც სამაგიეროდ ვეძახდით ჩვენს დიდ პირებს. გვესტუმრენ ბოლშევიკები კობა ჯუღაშვილი (სტალინი) და საშა წულუკიძე; მათ საწინააღმდეგოდ ჩვენ დავიბარეთ გრიგოლ ლორთქიფანიძე. რაფიელ

ჩიხლაძე, ალექსანდრე დგებუაძე, ზაქარია ჩიჩუა (მეხაშე) და სხ. და იმართებოდა კამათი მათ შორის. თანდათანობით ბოლშევიკები მარცხდებოდენ და მალე თითქმის ყველა ორგანიზაციები ჩვენს ხელში გადმოვიდა. ბოლშევიკებს შერჩათ ჭიათურის რაიონში მხოლოდ ორი თემი: კაცხი და სვერი, რომელიც ბოლომდე მათი ერთგული დარჩა.

აღნიშნულ შინაპარტიულ ბრძოლას იმ ხანად მაინცდამაინც დიდი გავლენა არ მოუხდენია ჩვენს რევოლუციურ მუშაობაზე და ბრძოლაზე, და როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკები 1905 წ. ხანაში ერთად ვმუშაობდით სოფლებში და დაბებშიაც.

რევოლუციური მოძრაობა სოფლებში.

სოფლებში რევოლუციური მოძრაობა ტრიალებდა უმთავრესად აგრარული საკითხის გარშემო და მიწის იჯარის ძველ პირობებზე იქმნა მიტანილი პირველი იერიში. ვისაც მიწა ბლომად ჰქონდა ან თვითონ არ ამუშავებდა, იგი მიწას აქირავებდა გლეხებზე და ქირას უმთავრესად ნატურით ღებულობდა. იმხანად ასეთ ქირად ითვლებოდა ზოგან მოსავალის ნახევარი, ზოგგან კი მესამედი. ახალ თაობის დროს კი წამოაყენეს ახალი პირობები და მეოთხედობა მოითხოვეს.

საქართველოში თითოულ კუთხეს და ალბად თითოულ სოფელსაც აქვს საკუთარი თავგადასავალი. მათ შორის ჩვენი სოფელი ქვაციხე ამ მხრივ ჩამორჩენილი არ არის. კარგად მახსოვს ბაბუა ეგნატეს ნაამბობი ჩვენი სოფლის გაჩენის შესახებ. ჩვენი წინაპარი ფახურია ჩუბინიძე ყოფილა რაჭველი. იგი გამოექცა თავის ბატონს, რომელთანაც მას კალოს ლეწვის დროს ჩხუბი მოსვლია და ამ ჩხუბის დროს თავისი ბატონი ერისთავი შემოკვდომია. ფახურია ჩუბინიძე მივარდნილა სახლში. წამოუყვანია თავისი ცოლი, ორი ძროხა და გაპარულა რაჭიდან. თავის დამალვის მიზნით იგი შეხიზნებულა ზემო იმერეთში და დაუდგამს კარავი დიდ ხერგულზე, ეხლანდელ სოფელ ქვაციხის მთაში. ძროხები მიჩვევიან კარგ საბალახოს ბარისაკენ და ფახურიას ცოლი იძულებული ყოფილა საღამო ჟამს ძროხები ბარიდან მთაში ამოერეკა. ერთ ასეთ საღამოს მას შეხვედრია იმერეთის მეფის მოურავი, გვარად ავალიანი, რომელსაც ქალისათვის გამოუკითხავს ვინაობა. მაშინ ჩუბინიძის მეუღლეს უთხოვნია მოურავისათვის:

— გვიშუამდგომლე ბატონ მეფესთან რომ დაგვასახლოს და სახნავ-სათესი მიწა გვიბოძოსო.

მოურავ ავალიანს უპასუხნია:

— მეფე ყოველ ზაფხულს მობრძანდება აქ სანადიროთ და ვთხოვ თქვენს მაგივრად, რათა გადაგარჩინონ ნადირების შეჭმისაგანო.

მეფის მოლოდინში ფახურიას ცოლმა მოქსოვა «დარაია» დედოფლისათვის... 23 გიორგობისთვეს მეფე უკვე ამოვიდა; მოურავის მოხსენებისამებრ მეფემ მიიღო ფახურია და მისი მეუღლე დარალე და ამ უკანასკნელმა დედოფალს მიართვა მონაქსოვიც. მეფემ გამოკითხა ფახურიას თავგადასავალი, მოისმინა მისი თხოვნაც დასახლების შესახებ და გასცა ბრძანება:

— 26 აპრილს ჩამოდი აქ, აი შეჯექი ამ ცხენზე; გაყევი შენ ავალიანო; დაიწყეთ წითელ გზიდან, გაყევით მდინარე ცხრაპირას, ადით ზედა საკურწეზე; იქიდან გადადით წმიდა გიორგის კლდეზე; გადადით პატარა ღელე—დათვის საცურაო; ადით ზედა ჭიხარაულზე; გადადით ზედა წიფელაზე; ჩამოდით შერთულში, მდინარე ბუჯაზე და გაუარეთ ძირს, ამ სასახლის ქვეშ, ჭადრების ბოლოს. ეს უნდა შეასრულოთ წირვის გამოსვლამდე და ყველგან სამნები ჩაყაროთო.

იმერეთის მეფის ბრძანება სიხარულით შეასრულა ფახურია ჩუბინიძემ და მეფის მოურავმა ავალიანმა. მოვიდენ ნაწირვებს მეფესთან და მეფემ ფახურიას მისცა სამკვიდრო ქალალდი: მთელი ადგილი ზემოსაზღვრებში შენს გვარს ეკუთვნისო, აშენდით და იმრავლეთო.

სხვათა შორის, ერთხელ ბ-ნ კოკი დადიანმა მკითხა:

— აბა თუ იცი, რას ნიშნავს შენი გვარიო?

მე ვუპასუხე:

— ამბობენ, ბატონო, ჩუბინი კარგ მსროლელს ნიშნავსო.

— მართალია! საბა-სულხანი თავის ლექსიკონში აგრე ხსნის მაგ სიტყვის მნიშვნელობასო!

ჩუბინიძის გვარმა დასახელებულ ადგილზე მართლა იმრავლა და მოშენდა. 1927 წელს, როდესაც მე გამოვიხიზნე უცხოეთში, ჩუბინიძის გვარს ატარებდა 165 კომლი (ოჯახი).

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, როდესაც აჯანყებები და არეულობები იყო, მეფის მოურავს ავალიანს უსარგებლებია არევდარევით, გაბატონებულა იგი ამ სოფელზე და მიუცია ჩუბინიძეების სოფელი მზითვად ყღენტისათვის, რო-

მელიც აქ ჩამოსახლებულა ლოსიანთხევიდან (შორაპნის მაზრა). ფახურია ჩუბინიძეზე მიცემული იმერეთის მეფის ქაღალდი, გვარში უფროსს ჰქონებია შენახული, და იმ დროს უხუცესი ყოფილა მამუკა ჩუბინიძე, მაგრამ მას მეფის ქაღალდი არ გამოუჩენია. ერთ დღეს აზნაური ასლან ყღენტი ნესტორ წერეთელს დაუპატიჟებია საჩხერეში. მას თან წაუყვანია მამუკა ჩუბინიძე და დიმიტრი შეყილაძე.—მამუკა კარგი მესაზანდრე და მოშაირე ყოფილა. როგორც ძველად იცოდენ ნადიმის დროს გამართულა შაირობა საზანდარზე. ასლან ყღენტს უთქვამს მამუკასათვის:

— აბა, არ შემარცხვინო, კარგი შაირი სთქვიო.

— ვერა, ბატონო, ვერ ვიტყვი, აქ ჩვენ თავად ნესტორ წერეთლისას ვართ, ქვაციხელი აზნაურები არ გეგონოსო. შევრცხვები და გამლახავენო!

არავითარმა თხოვნამ არ გასჭრა თურმე. მერმე ქალები ახირდენ და გასაჯავრებლად მამუკას უთხრეს:

— მამუკას ტრიკი აქვსო!

მამუკა გაჯავრებულა, აუღია ხელში საზანდარი და დაუმღერებია:

— სოფელ ბევრი დავიარე,
საჩხერე და მოდი-ნახე:
თუ ჩემი ჭუჭუ არ გინახავს,
ჩემი ტრიკი როგორ ნახე.

შეიქმნა სიცილ-ხარხარი და გაიმარჯვა მამუკამ.

დაბრუნებისას შეზარხოშებულ აზნაურ ყღენტს გაახსენდა გზაში, რომ მამუკამ დასცინა ქვაციხელ აზნაურებს, ჩხუბი აუტეხა მას და უპირებდა ცემას. მაშინ დიმიტრი შეყილაძემ უთხრა ყღენტს:

— შენ არ იცი ვის ლახავ, მაგ მამუკა ჩუბინიძეს აბარია მთელი ქვაციხის საბუთებიო.

გაკვირდა ასლან ყღენტი, დაუწყო მოფერება მამუკას: შემდეგ მიუზომა ექვსი ქცევა მიწა და ამგვარათ გამოსტყუა მეფის სიგელი. ამნაირათ ჩუბინიძეებმა დაკარგეს იმერეთის მეფის ქაღალდი და დავრჩით შემდეგ ყღენტის საბატონო გლეხებათ.

ჩვენს სოფელს ქვაციხეს მხოლოდ რამოდენიმე სხვა გვარის გლეხი შემოემატა: 2—არსენიძე, 6—ფორჩხიძე, 2—მეტრეველი, 6—ნიქაცაძე, 4—ცხოვრებაძე.

პირველი რევოლუციის დროს 1905 წელში მამუკა ჩუბინიძის წინამძღოლობით (იგი გარდაიცვალა 102 წლის) მთელი

სოფელი მიადგა ასლან ჟღენტის ოჯახს. ასლანი უკვე დიდი ხნის გარდაცვალებული იყო. გამოუძახეს მის შვილს ანტონს და დაიწყო შემდეგი სჯა:

— დაგვიბრუნე ყველა ის ქაღალდი, რომელიც მამა-შენმა ჩამოართვა მამუკა ჩუბინიძესო.

— მამა-ჩემმა ყველა ქაღალდი და მამუკას ქაღალდიც სიკვდილის წინ დასწვაო. არის დარჩენილი მხოლოდ ერთი ქაღალდი, ფიცის ფურცელი. ამ ფიცში სწერია: თუ იფიცოს ჩუბინიძემ, მიეცეს წინაკარდის მთის ნაწილი, ბოგირს გაღმა ნასაჩიხარამდინო.

ხალხმა ერთხმად იყვირა:

— ფიცის ფურცელი რათ გვინდა, ყველაფერი ჩვენია. მეფე ნიკოლოზი აღარ არის ტახტზე და ჟღენტები რას გვიზამთო!

1905 წელში სოფელი დაეპატრონა სადავო ადგილებს და მთასაც. მაგრამ რეაქციის გამარჯვების შემდეგ მთიდანაც და ბარიდანაც გამოგვრეკეს.

მაგრამ ერთი წლის წინ ჩვენი ოჯახი უკვე დანაწილდა. ზემო იმერეთში, გლეხკაცთა შორის სამი პირი იყო თითით საჩვენებელი, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვანი და მდიდარი: 1. მემანიშვილი სოფელ სკანდეში, 2. შელიყაშვილი სოფელ არგვეთაში და 3. ჩუბინიძე—ქვაციხეში.

ჩვენი ოჯახი შედგებოდა სამოცდაცხრა (69) სულიდან. ერთ დღეს, 1904 წელს, ბაბუამ წირვის შემდეგ თავი მოუყარა ყველას და განუცხადა:

— შვილებო, ხედავთ რომ ბევრი ხართ, ველარ ვეტევით და ისეთი დროც მოვიდა, რომ ხალხი რუსის მეფეს აღარ ემორჩილება და აგერ ჩვენი პატარა ვალიკოც (მე ყველაზე უმცროსი ვიყავი) მე არაფერს მკითხავს აწი ოჯახშიო. ამიტომ დღეს, ჩემს სიცოცხლეში, უნდა განაწილდეთო.

უფროსმა შვილმა მალაქიამ, რომელსაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ბათუმის აღებაში მუხა ესტატესთან 1876 წელს და განთქმული იყო ვაჟკაცობით, ტირილით უთხრა მამას:

— რათ გვაცილებ, მამა, ერთი მეორეს?

ბაბუამ გაიმეორა თავისი მოსაზრება და დასძინა:

— მოიტანე ყველა ქაღალდი, და რაც არის ჩვენი საკუთრების ახლად შეძენილიო.

შვილმა მამას სიტყვა ვერ შეუბრუნა. არ გასულა დიდი დრო და მოვიდენ ცხენებით ჩემი მამიდის ქმარი გიორგი კუ-

პატაძე და აზნაური ხაკიდო ყლენტი. თურმე ისინი ბაბუას დაუბარებია.

დავსხედით. ჩამოვარდა სიჩუმე. ხაკიდო ყლენტმა დაარღვია სიჩუმე და უთხრა ბაბუაჩემს:

— ნუ გაყოფ ასეთ სანაქებო ოჯახს, ნუ დაანაწილებ შენს სიცოცხლეშიო.

ბაბუამ გაიცინა და უპასუხა:

— მე მინდა მოვესწრო თვითეულის ოჯახის ზრდას და ვნახო როგორ გაუძღვებიან ოჯახსო.

ბაბუამ დაიწყო განაწილება: ეს სახლი ამას და ამას ასეთი ადგილით. ეს ამას და ეს იმას და სხ. ატირდა 69 სული და მალაქია ცრემლებს ღვრიდა, ისე სწერდა ქაღალდს.

დანაწილდა ეს უზარმაზარი ოჯახი და 1905 წლის რევოლუციაც მოგვადგა კარზე და ჩვენმა სოფელმა, როგორც ზემოდ აღვნიშნე, მოითხოვა იმერეთის მეფის მიერ ბოძებული სიველის განაღდება—მიწების დაბრუნება.

ჩვენ სოფელ, ქვაციხეში, ბევრი არ იყო მიწით მდიდარი, მაგრამ დავით ყლენტს, კონსტანტინე ყლენტს და მელქისედეგ აბაშიძეს იმდენი მიწა კი ჰქონდათ, რომ თვითონ ვერ ამუშავებდენ, და დასამუშავებლად გლეხებს აძლევდენ. «მეოთხედობა» მელქისედეგ აბაშიძემ არ მოიწონა და განაცხადა, რომ თვითონ თავის შვილებთან ერთად დავამუშავებ ჩემს მიწებსო. სოფელმა კი თავის მხრივ დაადგინა: არავინ არ მოეხმაროს მელქისედეგსო. მართლაც, მან დასთესა ყანები, მაგრამ როცა სიმინდი უკვე მოეწია, მელქისედეგის ოჯახმა მარტოდ ველარ შესძლო მუშაობის გაგრძელება და რადგან ქვაციხელები, იცოდა მან, არ მოეხმარებოდენ, ამიტომ სოფელ ჯორხვეთიდან მოიყვანა 18 კაცი მუშად: გაიმართა მუშაობა, გაისმა ყანური სიმღერები და ეს მოძალებული ყანა თითქმის ერთ დღეში გაათავეს. როგორც წესია ჩვენში, მოსულებს ვახშამი გაუმართეს და მრავალ-ჟამიერიც შემოსძახეს.

ჩვენი სოფლის ახალთაობის გლეხებმა სასწრაფოდ მოილაპარაკეს: თუ რა ზომები მიეღოთ სოფლის დადგენილების დამრღვევ ჯორხვეთელების წინააღმდეგ; ზოგი ამტკიცებდა: გზაში თავს დავესხათ და ვცემოთო: ზოგი მოითხოვდა: მიუვარდეთ და ვცემოთო; მაგრამ ბოლოს ერთხმად გადასწყვიტეს: ჯორხვეთელებს მოვპაროთ თოხებიო. ამ დადგენილების შესასრულებლად მელქისედეგის ეზოსაკენ წავიდა სამი კაცი: არჩილი, მოსე და იასონ ჩუბინიძენი, მაგრამ ეზოში ჩუმად შესვლა შეუძლებელი იყო, რადგან ძაღლები უკვე აშ-

ვებული იყვნენ: ამიტომ მათ ერთგვარ ხერხს მიმართეს: გამოიხმეს ჭადის მცხობელი კუპატაძის ქალი და მოსთხოვეს მას რამოდენიმე წუთით ძაღლები დაემწყვდია; თან ტასაკვირველია, დააშინეს: არაფერი თქვა, თორემ მოგკლავთო.

მელქისედეგის სახლიდან მოისმოდა სიმღერა და ყრიამული. შეთქმულნი გადაიპარენ ეზოში, მოკრიბეს ბეოლის ძირში აყუდებული თოხები—18 ცალი—წაიღეს და დაფლეს მიწაში.

დასრულდა ნადიმი მელქისედეგის ოჯახში. ნასიამოვნები მეზობელი სოფლის გლეხები გამოემშვიდობენ მასპინძელს და მიაშურეს თოხებისაკენ,—მაგრამ გაოცდენ: არც ერთი თოხი აღარსად იყო! შეიქმნა ყიყინა: სად არის თოხები, ვინ წაიღო თოხები, ვაი ჩემო ახალო თოხო! მელქისედეგიც, რომელსაც დიდი და მაგარი ხმა ჰქონდა, ღრიალებდა: ვინ წაიღო თოხები, დავიღუპეთ! ვინ არის ჩემი მტერი!

ბევრი ეძებეს, ბევრი იყვირეს, მაგრამ თოხები ვერსად იპოვნეს და გულდამწვარნი დაიშალნენ.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ახლო-მახლო სოფლებს და არცერთი გლეხი მემამულეს აღარ ეკარებოდა დასახმარებლად:

— ვერა ძმაო, ვერ მოგეხმარები! თოხში ორი მანეთი მიმიცია და სად მაქვს დასაკარგიო!

ეს ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ ყველგან ასეთი მშვიდობიანი ხასიათისა არ ყოფილა და რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად ურთიერთი დამოკიდებულება მემამულეთა და გლეხთა შორის მწვავდებოდა, ბოიკოტს ხშირად მიმართავდენ ხოლმე, თუმცა ისიც უნდა აღენიშნოთ, რომ საერთოდ ზემო იმერეთში ამ ნიადაგზე, აგრარული მოძრაობის ასპარეზზე, ჯაიმე მძიმე, სისხლის სამართლის დანაშაულს, ადგილი არა ჰქონია.

აგრარული მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად რუსის მთავრობაც საგანგებო ზომებს ღებულობდა მის წინააღმდეგ და ეგზეკუციებს ახდენდა. ამ მოვლენის დასახასიათებლად ჩვენ აქ მოვიყვანთ მაშინდელ არალეგალურ გაზეთიდან ამონაწერს:

«14 ივლისი 1905 წელი, ჭიათურა. საშინელ სურათს წარმოადგენს ჩხარის საბოქაულოს სამი საზოგადოება: საზანო, მუხურა და ხრეითი. ბოქაულ ესაიაშვილის წინამძღოლობით 35 კაზაკი შეესია გლეხობას და ერთიანად ააწიოკა: დაცარიელებული სოფლები, ტყეში გახიზნული გლეხკაცობა, გაუპა-

ტიურებული მანდილოსნები, აოხრებული სახლკარი, კაზაკების ცხენებისაგან გათელილი ყანები და თავაშვებულად მოფრიალე გარყვნილი კაზაკები,—აი რას წარმოადგენს დღეს ხსენებული სოფლები. სოფლელები ჩივიან, რომ აღარ შეგვარჩინეს-რა კაზაკებმა, სულერთიანად დაგვტაცეს ნოხები და სხვა ნივთებიო. სოფლელები ერთი მხრივ ამბობენ: გავიწყვიტოთ ან ღირსეული პასუხი გავსცეთ ჩვენს მჩაგვრელებსო. ჩვენ მივიღეთ «პრისტავ» ესაიაშვილის წერილი, სადაც ის ცოდვების პატიებას ითხოვს «კომიტეტისაგან». ჩვენ უღრმეს ხიზღს ვუცხადებთ გაფუჭებულ «პრისტავს» და ყოველივე ღონეს ვიხმართ სიცოცხლე გავუმწაროთ ამ გათახსირებულ ლაქიას გათახსირებულ მეფისა» (ჟურნალი «პროლეტარიატის ბრძოლა», მეცხრე ნომერი, 1905 წელი. «კორესპოდენცია შორაპნის მაზრიდან»).

ამ ეგზეკუციის საპასუხოდ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები მიმართავდენ არა მარტო პროტესტებსა და დემონსტრაციებს, არამედ ტეროორსაც. ტეროორისტული აქტის მსხვერპლნი ხდებოდენ მეფის პოლიციის ერთგული მოხელენი, აგენტები და განსაკუთრებით ჯაშუშები. მაგალითად, სოფლად მოკლეს ზედა-საზანოში მელიტონ აბაშიძე; ჭიათურაში—ნოშრევან ჩხეიძე, ნიკოლოზ ხვედელიძე და ერთი რუსი ებრაელი; ღენტორ აბაშიძე—სოფელ ჭალიდან.

არც სამხედრო პირები იზოგებოდენ, თუმცა ამ მხრივ ტეროორი საშიში იყო. ჭიათურაში ჯერ კიდევ ოქტომბრის მანიფესტამდეც ეწყობოდა თავისუფალი კრებები. პოლიციას ჩვენი კომიტეტი წინდაწინვე ატყობინებდა, რომ დღეს აქა და აქ კრებაა და დაიცავით იგი კაზაკებიდანო. ბოქაული მესხი ლოიალური იყო. 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ ხომ ადვილი წარმოსადგენი არ იყო, რომ მოზღვავებული ხალხის დემონსტრაციას ვინმე ხელს შეუშლიდა! მაგრამ ტარასოვი ასეული ჯარისკაცით ჭიათურის რკინისგზაზე დემონსტრაციას გადაეღობა და გაჰფანტა. ამის საპასუხოდ ერთ დღეს ტეროორისტმა ჩიგოგიძემ იგი მოჰკლა. ტეროორისტი დააპატიმრეს და იგი შემდეგ კატორღაში დაიღუპა.

მეორე ამბავი ეხება ჭიათურის რკინისგზის სადგურის ქანდარმს დერევიანინს; მას არავისი არ ეშინოდა და წითელი დროშა მას სასაცილოდაც არა ჰყოფნიდა; იგი სდევნიდა მუშებს და მუშათა მოძრაობის შესახებ თავის უფროსს ცნობებს უგზავნიდა. ამხანაგმა სოლომონ ლომთათიძემ იკისრა მისი მოკვლა.

ჭიათურაში იცვლებოდა ორი მატარებელი: ღამით ერთი საჩხერიდან მოდიოდა, მეორე შორაპნიდან. ამ დროს ყანდარმი ყოველთვის სადგურზე გამოდიოდა. სოლომონი დაუდარაჯდა ყანდარმს და როცა ბუფეტის კარები გააღო და ბაქანზე გამოვიდა, იგი ისე ახლო შეეხეჩა ყანდარმს, რომ რევოლვერის გასროლაც ვერ მოახერხა და მას ყანდარმი, რომელსაც იარაღის ხმარების დრო აღარ დაურჩა, ხელით სწვდა. შეიქმნა ჭიდაობა და ის-იყო, ყანდარმმა ძირს დასცა სოლომონი და დააწვა, რომ ამდროს გავარდა რევოლვერი: ისროლა ზაქარია გურულმა, რომელიც სოლომონს შორიახლოდან თვალყურს ადევნებდა. გამოცვივდენ გარედ რკინისგზის მოსამსახურენი, რომელთაც ნახეს ერთი მეორეზე დამკვდარი ორი ადამიანი. ტყვიამ გაუარა ყანდარმს და მოხვდა სოლომონსაც. ორივე იმწამსვე მოკვდა.

ტეროორი გახდა თავდაცვითი ბრძოლის იარაღად 1905 წლის მოძრაობაში, მაგრამ იყო შემთხვევაც, როდესაც მის მსხვერპლად უდანაშაულოც გახდებოდა ხოლმე. ასეთი მაგალითი მოხდა სოფელ რცხილათში, სადაც მოჰკლეს პარმენ ჩაფიძე; მას აბრალებდენ ჯაშუშობას, მაგრამ ეს მართალი არ გამოდგა.

სოფელ რცხილათში აღდგომა დღეს მიტინგი იყო გამართული; სხვათა შორის ამ კრებაზე ილაპარაკა ყოფილმა დიაკონმა იუსტინე გამეზარდაშვილმა, ილაპარაკა ნიკოლოზის რეჟიმისა და სამღვდელოების წინააღმდეგ. ასეთ მიტინგზე ხშირი იყო ხოლმე შეკამათება თუ შეკითხვები. და გლეხი პარმენ ჩაფიძე შეეკითხა მოქადაგე ნადიაკვნარს:

— რატომ აქამდე არა თქვი, თუ ასე გაფუჭებული იყო სამღვდელოება? შენც ხომ დიაკვანი იყავი?

და აი ამ სიტყვისათვის მიტინგის შემდეგ ესროლეს პარმენ ჩაფიძეს საფანტიანი თოფი და დასჭრეს, რასაკვირველია, მსუბუქად. პ. ჩაფიძე თავის საშველად გაიქცა ჩხარის ბოქაულთან. ასისთავმა პლატონ ყელენტმა აფრინა თავისი კაცები მდევრებად, პ. ჩაფიძე დაიჭირეს მუჯირეთის კანცელარიასთან და მოგვარეს ასისთავ პლატონ ყელენტს სოფელ ქვაციხეში. პ. ყელენტმა დაიბარა იმ რაიონის ათისთავები და მათმა კრებამ გადაწყვიტა:—წავიყვანოთ ღამით პ.ჩაფიძე ხრეითში და იქ ტბაში გადავაგდოთო. პ.ჩაფიძეს უგრძვნია თავის უბედურება და გზაზე, სოფელ მელუშეითისაკენ მდგომ პატარა სახარაზო დუქნის წინ სვეტს შემოხვევია და ყვირილი აუტეხია იმ იმედით, რომ ხარაზი იქნებ გამოვიდესო. მაშინ ასის-

თავ პლატონ ყლენტს გაუცია ბრძანება და პ. ჩაფიძე ნაჯახით იქვე მოუკლავთ.

გავიდა ხანი. პ. ჩაფიძე აღარსად სჩანს. თანდათანობით გავრცელდა ხმა, ჩაფიძე მოჰკლესო. ამ ხმამ მიაღწია ჩხარის ბოქაულ ესიაშვილამდისაც და იგიც 30 კაზაკით სოფელ ქვაციხეთს მოევლინა; იგი კითხულობდა მკვლელობის ამბავს და ხუთი კვირა დაჰყო თავისი რაზმით სოფლის ხარჯზე. გაქცეული ასისთავი პ. ყლენტი დევნილებისათვის ითხოვდა საჭმელს და ღამით სოფელი მათაც აძლევდა საზრდოს. მიუხედავად სოფლის ასეთი შევიწროებისა, მკვლელობა არავინ გასცა, სანამ ბოქაულმა არ დაიჭირა სოგრატ გამეზარდაშვილი; მას საშინლად სცემეს და იგი დაბოლოს გამოტყდა, დაასახელა მკვლელები; იმდღესვე დაიჭირეს ვანო ფოჩხიძე და ორი არჩილ ჩუბინიძე. ბოქაულმა სოგრატ გამეზარდაშვილს მოსთხოვა ეჩვენებინა ის ადგილი, სადაც დამარხეს პ. ჩამიძის გვამი. გაემგზავრენ ხრეითის მთაში, მივიდენ სამარხ ადგილას, ამოთხარეს გვამი, მაგრამ მას თავი აღარ აღმოაჩნდა. აყვირდა ბოქაული:

— რა ჰქენით, თავი შეჭამეთ, თქვე ოხრებო?

— არა, ბატონო, არავის შეუჭამია, დაგვეკარგა,—უპასუხებს სოგრატი, რომელიც დროს იხელთებს და გარბის ტყეში. მას აედევნენ, მაგრამ ვეღარ მიაგნეს.

მეორე დღეს გამოირკვა შემდეგი ამბავი: ფირანა შეყილაძის ბავშებს შემთხვევით ტყეში დაენახათ, რომ ღორები აგორავებდენ ადამიანის თავს. ბავშებს შეშინებოდათ, მაგრამ ღორები გაერეკათ და ადამიანის თავი მიწაში ჩაეფლათ. ეს ამბავი მიუტანეს ბოქაულს და თავიც მონახეს.

ბოქაული ესაიაშვილი შეუდგა მკვლელობაში დამნაშავეთა დევნას. ამ დევნის ასპარეზი იყო სოფელი საზანო, ქვაციხე, მუჯირეთი, ხრეითი. დიდი ზარალი და შევიწროება მიადგა ამ სოფლებს. პირადათ ჩვენს ოჯახს ერთ დღეს 30 კაზაკი შემოერტყა: ეძებდენ პ. ყლენტს. ასეთმა უეცრად თავდასხმამ ოჯახს დიდი თავზარი დასცა; შიშის ნიადაგზე უეცრად გარდაიცვალა დედაჩემი და ორი კვირის შემდეგ ჩემი ახალგაზრდა ბიცოლა ქრისტინე რაღაც ავადმყოფობას თან გადაჰყვა; კაზაკებმა გააუპატიურეს რამდენიმე ახალგაზდა ქალიშვილები; ცხენები გაუშვეს მოსამკალ პურში და ვენახებში; კაზაკები დარჩენ ჩვენს სოფელში თითქმის ერთ თვეს. ასე დაზარალდა ზემო იმერეთის ერთი ნაწილი.

როგორც ვთქვით, ეგზეკუციები ხალხის და პარტიის

წინააღმდეგ ხშირი იყო, ხალხიც და პარტიაც ამას უპასუხებდა და ბრძოლა თანდათან ფართო ხასიათს ღებულობდა. მალე იგი შეიარაღებულ ბრძოლად გადაიქცა. ამისათვის მოსამზადებელი ხანა იყო იარაღის შეგროვება. რევოლუციონერები იარაღს ართმევდენ ვისაც იგი ჰქონდა: შეძლებულ პირებს; მემაულეებს, ვაჭრებს, მთავრობის მოხელეებს. ჭიათურის ორგანიზაციამ ამ მიმართულებით მუშაობა ფართოდ გაშალა და დაიწყო წითელი რაზმების შედგენა. ჭიათურაში და სოფლებში პროპაგანდისტები მოუწოდებდენ ხალხს წითელ რაზმში ჩაწერილიყვნენ. ჩვენი სოფლიდან რაზმში ჩაეწერა 25 კაცი. ყველა სოფლიდან რაზმელებმა მიაშურეს ჭიათურას, რომელიც იმ დღეებში ნამდვილ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. სოფლებიდან მოდიოდენ რაზმები თავისი ათისთავებისა და ასისთავების ხელმძღვანელობით, მორთული წითელი დროშებით და მარსელიეზის სიმღერით. ჩვენი სოფლის რაზმის მეთაური იყო ასისთავი პლატონ ყღენტი.

ჭიათურამ დიდი ზეიმით გააცილა წითელი რაზმელები ხაქარია გურულის მეთაურობით. ამ რაზმს შეტაკება მოუხდა კაზაკებთან წიფის უღელტეხილზე... ეს ის დროა, როცა 1905 წლის რევოლუცია ცენტრში უკვე დამარცხებული იყო და წიფის უღელტეხილზეც დამარცხებული მებრძოლი ხალხის ერთი ნაწილი—80 რაზმელი—აფრასიონ მერკვილაძისა და კოლია ლორთქიფანიძის მეთაურობით ჩვენს სოფელში მოვიდა.

აფრასიონ მერკვილაძის რაზმი.

სოციალდემოკრატიული პარტიის დადგენილებით: შეიარაღებული ბრძოლა დასრულებული იყო და რაზმელები უნდა დაშლილიყვნენ. როგორც ეს სხვაგანაც მოხდა, რაზმელებმა იარაღი აქ არ დაჰყარეს და მერკვილაძე-ლორთქიფანიძის რაზმმა შეინარჩუნა იარაღი. მთელი ეს რაზმი მიადგა ჩვენს სოფელში დავით ყღენტის სახლს; ეს დავითი კოლია ლორთქიფანიძის სიძე იყო. როდესაც ეს დაუპატიჟებელი და საშიში სტუმრები ნახა დავით ყღენტმა, მან გაიყვანა მთელი ოჯახი და წავიდა სოფელ ღილიკაურში; შინ კი დასტოვა ჩვენი სოფლის მასწავლებელი ვლადიმერ გოცაძე. კოლია ლორთქიფანიძესა და აფრასიონ მერკვილაძეს ძალიან ეწყინათ თავით ყღენტის ეს საქციელი; მართალია, მათ ღამე დავით ყღენტის სახლში გაათიეს, მაგრამ მეორე დღესვე აიყარნენ

და დაბანაკდენ ჩვენი სოფლის მთების მაგარ და მიუვალ ადგილებში სამ წყებად; ხოლო დავით ყღენტის ეზოში, დიდი ცაცხვის ხის ქვეშ მდებარე, დიდ საჯდომ ლოდზე დანის წვერით ამოსჭრეს: ამა და ამ დღეს აქ ვიყავით ამდენი წითელი რაზმელებიო.

აფ. მერკვილაძის რაზმი გამაგრდა მთებში სამ ადგილას: 1) ნაბოგირევი, 2) წვერი, 3) ნაქუბარის თავი. ჩვენმა სოფელმა რაზმს სადილი აუტანა. ეს ის დროა, როცა ზემო-იმერეთს რუსის დამსჯელი ჯარები მოედვენ. ზესტაფონი იწვის. იწვის ჩხარიც. კაზაკები მოედვენ ჭიათურის რაიონსაც; ავარდა ცეცხლის ალი ჭიათურაში და სოფლებში ცეცხლს მისცეს რევოლუციურ მოძრაობაში ხელმძღვანელ პირთა სახლები. ამ დროს დაიშალა ჩვენი სოფლის რაზმიც.

ყველიერში გარდაიცვალა ჩვენი სოფლის ყოფილი რაზმელი აბესალომ ნიქაცაძე. მის დამარხვაზე სიტყვა უნდა წარმოეთქვა ჩვენი სოფლის ყოფილ რაზმის უფროსს პლატონ ყღენტს; როგორც კი მივასვენეთ გარდაცვალებული ეკლესიის ეზოში, გამოჩნდა 50 კაზაკი ბოქაულ ლავრენტი მახარაძის მეთაურობით. ამის დანახვაზე პლატონ ყღენტი გაიქცა და მიიმალა. მიცვალებული დავმარხეთ და ხალხი სასწრაფოდ დაიშალა.

კაზაკები დაბინავდენ დავით ყღენტის სახლში; იქ ნახეს ქვაზე წარწერა, რაზედაც საყვედური უთხრეს დავით ყღენტს. შემდეგ მოედვენ სოფლელების ოჯახებს და იტაცებდენ, რაც ვინმეს ხეირიანი რამ გააჩნდა; გაჰქონდათ უმთავრესად ნოხები, ოქროულობა, ვერცხლოულობა და არ იწუნებდენ არც სპილენძის ნივთებს და ჭურჭლებს. გადასწვეს პლატონ ყღენტის და სვიმონ ყღენტის სახლები. სოფელს კი პირობა დაადებინეს, რომ გაქცეულ პლატონ ყღენტს ჩააბარებდენ ხელისუფლებას; თვითეულ გლეხს დაადვეს გადასახადათ 10 მანეთი, რომელიც ორი დღის განმავლობაში ყველას უნდა შეეტანა გაძარცულ ზესტაფონის ხაზინის თანხების აღსადგენად; მოაგროვეს ყველა იარაღი დაწყებული ვინტოვკით საფანტის თოფამდე.

ერთ დღეს ეკლესიაზე თავი მოიყარა ორმა სოფელმა: ქვაციხემ და საკურწემ; ეს ყრილობა მოუწვევია თვით ყოფილ რაზმის უფროს და ასისთავს პლატონ ყღენტს, რომელიც გამოეცხადა ყრილობას და შემდეგი აუწყა:

— მოვტყუვდი ხელმწიფესთან ბრძოლაში; ამიტომ მე უნდა გამოვეცხადო «უეზდნი ნაჩალნიკს»-ო. უნდა წამომყვეს

ორი კაცი; მე ვირჩევ მალაქია ჩუბინიძეს და ფირანა ჩუბინიძეს. წითელი რაზმელების იარაღი შენახულია სოფელ ხრეითში, ზეციხის ეკლესიის ეზოში; იქაა დამარხული 20 ბერდენა და 20 ვინტოვკა. უყარაულეთ ეკლესიის ეზოს, რომ იარაღი არავინ მოიპაროს. მე ხვალვე დავბრუნდები კაზაკებთან ერთად და თვითონ ჩავაბარებ დამალულ იარაღსო.

ხალხმა დასტური მისცა და წავიდა ზეციხის ეკლესიაში, ხოლო პლატონ ჟღენტი გაემგზავრა ზესტაფონში. ეკლესიის ეზოში ხალხი შეუდგა იარაღის ძებნას, მაგრამ ვერსად მიაგნეს. უცებ გამოჩნდა ერთი ყოფილი მონადირე, სალდათობიდან ახლად დაბრუნებული, სანდრო შეყილაძე და უთხრა ხალხს:

— რას ეძებთ აქ იარაღს; ეკლესიის ეზოში იარაღი არ იქნება; აქვე დიდი კლდეა, რომელშიც დიდი ხვრელია ძლიერ მშრალი და ალბად იქ იქნება.

მართლაც, იმ ხვრელში აღმოაჩინეს მთელი იარაღი. შემდეგში ეს სანდრო შეყილაძე დააჯილდოეს მით, რომ სტრაჟნიკის სამსახურში იქმნა მიღებული.

მეორე დღესვე ზესტაფონიდან დაბრუნდა პლატონ ჟღენტი ბოქაულ ყიფიანთან ერთად, 25 ჯარისკაცის თანხლებით. ჭიათურის ადმინისტრაციამაც გაიგო იარაღის აღმოჩენა. სწორედ ისიც ამ იარაღს ეძებდა.

პლატონ ჟღენტმა და ბოქაულმა ყიფიანმა აღწერეს იარაღი და გაამზადეს წასაღებად. ამ დროს მათ თავს წამოადგენ ჭიათურიდან მოსული კაზაკები და დაიწყო დავა იმის შესახებ, თუ რომელ საბოქაულოს ეკუთვნოდა იარაღი: ჭიათურისას თუ ჩხარისას. დავის შედეგად იარაღი ჭიათურის საბოქაულოს დარჩა.

პლატონ ჟღენტი დაჯილდოებულ იქმნა ურიადნიკობის სამსახურით. მან ახლა დევნა დაუწყო თავის ყოფილ ამხანაგებს, გასცა ყველა; გადასწვა ვანო ფოტრჩხიძის და იუსტინე გამეზარდაშვილის სახლები; მან გასცა ყველა ის ოჯახი, სადაც კი თვითონ იმალებოდა და საერთოდ კაზაკებთან ერთად ხალხის აწიოკებაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. მაგრამ დიდხანს არ დასცალდა,—მთავრობამ მას გაუხსენა ძველი ცოდვები და პასუხისგებაში იქმნა მიცემული.

ზემოდ აღვნიშნეთ პ. ჩაფიძის მკვლელობის ამბავი, რომელშიც ეს პლატონ ჟღენტი, მაშინ ასისთავი, მთავარი მომქმედი იყო. ამ საქმის გამო დაპერილები იყვნენ ყოფილი რაზმელები: სოგრატ, იუსტინე, სევერიანე გამეზარდაშვილი;

გიორგი, ერემია, არჩილ, სერაფიონ და (მეორე) არჩილ ჩუბინიძე; ვანო და ლავრენტი ფოჩხიძე; ძმები შეყილაძე. ახლა გადააყენეს ურიადნიკობიდან და დაიჭირეს პლატონ ყღენტიც.

ქუთაისის სასამართლოში ყველამ ხელი დაადო გამცემსა და მოღალატე პლატონ ყღენტს; ყველა მას აბრალებდა მკვლელობას. სასამართლომ გაანთავისუფლა ყველა ხოლო პლ. ყღენტს მიუსაჯა კატორღა. კატორღაში იგი როგორც გამცემი და მოღალატე პოლიტიკურმა ტუსაღებმა მოჰკლეს.

სულ სხვაგვარად დატრიალდა აფრასიონ მერკვილაძისა და კოლია ლორთქიფანიძის ბედი. აფრასიონის რაზმში საერთოდ შედიოდენ არა მარტო პარტიულები, არამედ რევოლუციონერი გლეხები და მუშები. სხვათა შორის მასთან იყვნენ ბათუმის მუშებიც: ისმაილ ჭუმბურიძე (ჩამოახრჩვეს სამხედრო სასამართლოს დადგენილებით), გიორგი ჭუმბურიძე, ვანო ენუქიძე, ამბაკო სამანაშვილი, პარმენ ენუქიძე. ტარასი ენუქიძე, გაჩეჩილაძე, დუგლაძე.

რეაქციის დროს რაზმი, რასაკვირველია, შემცირდა და გაიფანტა. მაგრამ აფრასიონთან მაინც დარჩენ მისი განუყრელი თანამებრძოლნი. მერკვილაძის რაზმს ბევრჯერ ჰქონია შეტაკება სოფელ საზანოში როგორც ბოქაულ მახარაძესთან, ისე ჩხარში მდგომ კაზაკების ნაწილებთანაც. დიდი შეტაკება ჰქონდა მას საზანოში, ძველ ეკლესიასთან, რომელსაც ბაგიბუგის ეკლესიას ეძახიან, ალბად იმ ჩხუბისა და დაკვრის გამო, რომელიც დღესასწაულებზე ეკლესიის ეზოში ხდებოდა ხოლმე. ამ ეკლესიაში დაბინადრებული იყო აფრასიონი შემცირებული რაზმით. გარიყრაეზე ეკლესიას კაზაკებმა ალყა შემოარტყეს; რაზმელებს ზოგს ეძინათ, ზოგი პირს იბანდა; გიორგი ჭუმბურიძეს საპნით ჰქონდა თვალები დაფარული. კაზაკებმა აუტეხეს სროლა. პირველივე ტყვიით მოკლულ იქმნა გიორგი ჭუმბურიძე. მაგრამ აფრასიონი არ დაიბნა, შეაჯგუფა რაზმი თავისთან, წინ გაისროლა ყუმბარა, მოჰკლა ორი კაზაკი. ერთი ურიადნიკი, გაარღვია ამგვარად შემოქალტული წრე და რაზმთან ერთად ბრძოლით სამშვიდობოს გავიდა.

მერკვილაძეს გაუძნელდა რაზმის შენახვა და ამიტომ ის დაშალა. თვითონ იმალებოდა ჭიათურაში გრიგოლ ფხალაძის ბინაზე, და მერმე თავის ორ რაზმელ, გაჩეჩილაძე და დუგლაძესთან ერთად გადავიდა სოფელ სვერში, ჭიათურიდან ხუთ კილომეტრზე; ხოლო ერთი ნაწილი რაზმისა დაბინავდა სოფელ სკინდორში.

მაგრამ მალე ბოქაული ლავრენტი მახარაძე, რომელიც გამწარებული ეძებდა მერკვილაძეს, უცაბედათ წააწყდა მერკვილაძის მეგზურ იაკობ ცუცქირიძეს; ეს უკანასკნელი მყისვე დაიჭირეს და ვინაიდან მტკიცე უარზე იდგა, მას სცემეს და გამოსტეხეს, თუ სად იმყოფებოდა მერკვილაძე. 35 სტრაჟნიკით ბოქაული ლავრენტი მახარაძე წამსვე მიადგა სოფელ სვერში მერკვილაძის ბინას და ალყა შემოარტყა. მერკვილაძე, გაჩეჩილაძე და დუგლაძე დაუყონებლივ იწყებენ სროლას და ცდილობენ ალყის გარღვევას. ის-ის იყო თითქოს ასწრებენ რკალიდან გაძრომას, რომ ამ დროს დასჭრიან გაჩეჩილაძეს. აფრასიონი მას თავს არ ანებებს. მან წამოიკიდა ზურგზე დაჭრილი თანამებრძოლი და დუგლაძესთან ერთად სროლით გაარღვია ალყა და გაიქცა. მაგრამ გაქცეულ, როცა ისინი კაზაკებს იგერიებდენ, უკნიდან წამოეპარა იმავე სოფლის მცხოვრები, სტრაჟნიკი ვანო ბიწაძე ორ კაზაკთან ერთად და მათ ზურგიდან დააყარეს ტყვიები. სამივე დახოცილ იქმნა. ვანო ბიწაძემ მიიღო ურიადნიკობა და მეოთხე ხარისხის წმიდა გიორგის ჯვარი.

დახოცილები იქვე თოვლზე იყვნენ მიტოვებული. მათ პოლიციის შიშის გამო ვერავინ ეკარებოდა და ცხედრებიც უპატრონოდ ეყარენ.

ჭიათურის ვაგონის მუშებმა ნება ვთხოვეთ ბოქაულს დახოცილების დამარხვის შესახებ. ასეთი ნებართვა მივიღეთ, ვიყიდეთ კუბოები, გავატანეთ ბაქარ და ნარიმან სოფრომაძეებს; გავაგზავნეთ ფოტოგრაფი, რომელმაც მათი სურათები გადაიღო. აფრასიონ მერკვილაძე და ორი მისი ამხანაგი ადამიანურად დამარხეს... ხოლო ერთი კვირის შემდეგ, აფრასიონის რამოდენიმე ყოფილი რაზმელი, სტრაჟნიკებად გადაცმული, ეწვიენ ურიადნიკ ბიწაძის ძმას და მღვდელ წერეთელს. რაზმელებმა გამოკითხეს მათ მოკლულების ამბავი და შეეკითხენ:

— სად დაასაფლავეთ ის «ძაღლები»? გვიჩვენეთ მათი სამარხი.

მღვდელი და ბიწაძე წამოუძღვენ ამ ყალბ სტრაჟნიკებს და უჩვენეს მათ საფლავი. მაშინ ერთმა რაზმელმა უთხრა მათ:

— თქვენ აქ არ დაგაკლავთ, სამარხს არ წაგაბილწვინებთ.

მღვდელი წერეთელი და ბიწაძე წამოეყვანათ მათ და ხრამში ჩაეკლათ.

პოლიციამ მერკვილაძის მეგზური და მერმე გამცემი ციხეში ჩასვა და შემდეგ გადაასახლა. იგი დაბრუნდა უკან 1912

აკრასიოკნ მერკვილაძე.

წელს და ყველას მიერ თითით საჩვენებელი იყო როგორც მოღალატე. შემდეგ იგი ქურდობაზე იყო დაჭერილი და საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ გაბოლშევიკდა.

ხოლო თუ რა ბედი ეწვია აფრასიონ მერკვილაძის ამხანაგს კოლია ლორთქიფანიძეს და მის რაზმს, ამის შესახებ მოგვითხრობს ზოტიკე ჩიქვილაძე, რომლის მოთხრობას აქვე უცვლელად ვათავსებ.

«მერკვილაძის რაზმის გასამართლება სამხედრო სასამართლოს სესსიის მიერ მოხდა ქუთაისში 1911 წლის ნოემბრის პირველს. ამ საქმეზე დაპატიმრებული იყო სხვადასხვა დროს 48 კაცი, რომელთხგან ციხეში დაიხოცა 20, ხოლო სასამართლოს წინაშე წარსდგა 28 კაცი. ამ საქმის გამოძიება მინდობილი ჰქონდა საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ცნობილ სენკევიჩს. სენკევიჩს დაევალა ამ საქმისათვის პოლიტიკური საბუ ჩამოეშორებინა; მას უნდა დაემტკიცებინა, რომ აფრასიონ მერკვილაძე და მისი რაზმი იყო ყაჩაღების ბრბო, რომელმაც ისარგებლა დროთი და იკლებდა, თავზარს სცემდა შორაპნის მაზრის მშრომელ გლეხობას ყაჩაღობით; მათ მიერ ჩადენილ ტერორისტულ აქტებს სარჩულად ედვა არა პოლიტიკური მიზნები, არამედ პირადი სარგებლობა და გამდიდრება. ამ საქმის გარშემო სენკევიჩი მუშაობდა თითქმის სამი წელიწადი. მან მოიარა ის მხარე, სადაც აფრასიონ მერკვილაძე და მისი რაზმი მოღვაწეობდა; ფეხზე დაადგა და აამოძრავა მაზრის ადმინისტრაცია, მთავრობის აგენტები და რეაქციონური ელემენტები. მაგრამ მიზანს ვერ მისწვდა. გარდა პოლიტიკური დანაშაულისა მერკვილაძის რაზმს რაიმე, რევოლუციისათვის ჩირქის მომცხები დანაშაული არ აღმოაჩნდა, რასაც მოწმობს სენკევიჩის მიერ შედგენილი საბრალმდებლო ოქმი. სამხედრო სასამართლო ორი კვირა ისმენდა საქმეს. გამოწვეული იყო მოწმედ 200 კაცზე მეტი. მთავრობის აგენტები და უკიდურესი რეაქციონერები, მოწმედ გამოწვეულნი სასამართლოს მიერ, ზიზღით იგონებდენ მერკვილაძეს და სასამართლოს წინაშე მდგომ მის რაზმელებს. მათ ბრალს სდებდენ გლეხების აჯანყებაში, მთავრობის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლაში, ტერორისტული აქტების შესრულებაში. მაგრამ ვისმეს გაძარცვაში რაზმელებს ხელი ვერავინ დაადო.

მოწმეების დაკითხვის შემდეგ სასამართლომ 1 ნოემბერს 1911 წელს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა 6 კაცს, სახელდობ: 1. კოლია ლორთქიფანიძე, 2. ტრიფონ არაბიძე,

პორფირე პაიჭაძე, 4. ალექსანდრე სვანიძე, 5. ისმაილ ჭუმბურიძე და 6. სერაფიონ ჭუმბურიძე; ხოლო დანარჩენთ სხვადასხვა ვადით კატორღა. სასამართლოდან დაბრუნებისათანავე სიკვდილით დასასჯელნი განაცალკევეს. ჩააცვეს მათ ფარაჯები. ფეხზე დაადვეს ხუნდები და ცალცალკე მოათავსეს სიკვდილით სასჯელთა საკანში. იმ ამხანაგებს, რომელთაც ამ ხანებში მოუხდათ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ჯდომა, კარგად ახსოვთ მერკვილაძის რაზმის საქმიანობა ციხეში. ეს რაზმი ციხეშიაც ერთ მთლიან ერთეულს შეადგენდა. ისეთ შედუღებულ ძალას წარმოადგენდა იგი, რომელსაც ვერაფერი ვერ ხრიდა და არაფრის წინ თავს არ იდრეკდა. მოწყენა, შიში, სინანული მათთვის არ არსებობდა. ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა პოლიტიკურების წრიდან მათი გათიშვის. პოლიტიკურების მიერ გადმოსროლილი ლოზუნგების მათ მიერ გვერდის ახვევის, ეს რაზმი წარმოადგენდა ციხეში იმ ძალას, რომელიც შველოდა პოლიტიკურებს ქურდბაცაცების ასალაგმავად შიგნით ციხეში და ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ გამოსვლებში. რა გასაკვირია, თუ 1 ნოემბრიდან ციხის ტუსაღთა მთელი გულისყური იმ საკნებისაკენ იყო მიპყრობილი, სადაც სიკვდილით დასასჯელნი იყვნენ მოთავსებული. მათი საკნები გაწმენდილ, დაცლილ იქმნა, არც მაგიდა, არც ტახტი, არც რაიმე დასაყრდნობი და არც ქვეშაგები მათ არ მისცეს. საკნის მთელ მორთულობას ერთი პატარა «პარაშკა» შეადგენდა. კოლია ლორთქიფანიძე და მისი ამხანაგები სასეირნოდ ერთად გაყავდათ; ამ დროს ციხე ჩაკეტილი იყო და ადმინისტრაციის მთელი ყურადღება მათკენ იყო მიპყრობილი. ისინი სრულიად დამშვიდებულნი, მომღიმარნი ამოუდგებოდენ აქეთ იქით კოლიას და აუღელვებლად კამათობდენ. სასეირნო ეზოზე გადამყურე საკნებიდან დაღონებული ტუსაღები თვალს არ აშორებდენ მათ. სეირნობის დროს ისინი იხილავდენ სხვადასხვა გეგმას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გასულიყვენ სახრჩობელაზე. სიკვდილს იგინი, როგორც რევოლუციონერები, კარგა ხანია შერიგებული იყვნენ. მაგრამ მათ სურდათ სახრჩობელაზე ასვლით კიდევ რაიმე ზიანი მიეცათ მტრებისათვის და ამის შესახებ დარიგებას კოლიას სთხოვდენ.

რას ურჩევდა ამხანაგებს, რას ეპირებოდა, რას ფიქრობდა ბრძოლაში გამოწვრთნილი კოლია, ჩვენთვის საიდუმლო იყო. გადიოდა დღეები და სასჯელის შეცვლის არა ისმოდა-რა. ჩვენ, ზოგიერთი პოლიტიკურები, მოთავსებული ვიყავით

ზემო სართულში, იმ საკნების ზემოდ, სადაც კოლია და მისი ამხანაგები ისხდენ და საშუალება გვქონდა კოლიასა და მის ამხანაგებთან ფანჯრიდან ძაფით წერილების და სხვა რამე საჭირო საგნების ჩაგზავნისა და აგრეთვე საუბრისა, ასე რომ უკანასკნელ წუთამდე ჩვენ შორის მიწერ-მოწერა და საუბარი არ შეწყვეტილა. ორი კვირა გასტანა ასეთმა მდგომარეობამ.

გათენდა 15 ნოემბერი. უკანასკნელი ვადა, როდესაც მეფის მთავრობას დასასჯელთათვის სასჯელის შეცვლის შესახებ ან «ჰო» და ან «არა» უნდა გამოეცხადებია. დილიდანვე ვრცელდება ციხეში ხმა სასჯელის დამტკიცების შესახებ. ყველამ ვიცით, რომ ამაღამ მოხდება საშინელება—ექვსი ბაწარი ჩამოებმის და ექვს რევოლუციონერს ვაჟკაცს სიცოცხლეს გამოასალმებენ. ყველა ღელავს, ყველა აღშფოთებულია, ყველას სურს გასცეს პასუხი ასეთ საზიზღარ ბოროტმოქმედებას.

უკანასკნელად გაიყვანეს სასეირნოდ კოლია და მისი ამხანაგები. კოლია უცხადებს ამხანაგებს თავის გეგმას; ცოტა კამათის შემდეგ შეთანხმდენ, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და უკანასკნელად გადაკოცნეს ერთმანეთი. ვინც ამ სცენას ყურს უგდებდა, ეგონა, რომ მათ გადასწყვიტეს უბრძოლველად არ დანებდებოდენ მტერს. ამიტომ ციხეც შეუდგა სამზადისს, სურს მხარი დაუჭიროს ამხანაგებს, და უბრძოლველად არ დაანებონ იგინი. ელიან მხოლოდ «ამირანი» ს. ციხის ხელმძღვანელი ორგანიზაციის განკარგულებას, მის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმას. «ამირანი» კი არ ჩქარობს: კოლიასა და მისი ამხანაგების გადაწყვეტილებას ელოდება! «ამირანი»-ს დავალებით ჩვენი საკანი შეეკითხა კოლიას და სთხოვა შემოეთვალა მათი გადაწყვეტილება, ჩვენ ვწერდით: ბრძოლისათვის საჭირო იარაღს მოგაწოდებთ და მთელი ციხე მზად არის მხარი დაგიჭიროსო.

კოლიას პასუხი იყო მოკლე და მარტივი: გადაეცით ამხანაგებს მადლობა თანაგრძნობისათვის, იარაღს არ ვსაჭიროებთ, «ამირანს» ვთხოვთ განკარგულებას, რათა წინააღმდეგობა არავინ გასწიოს, ერთი წვეთი სისხლი არ იქნეს დაღვრილი ჩვენი გულისათვის. ჩვენ ავალთ სახრჩობელაზე ისე, როგორც შეშვენის რევოლუციონერს. მშვიდობით.

«ამირანმა»-ც არ დააყოვნა და შესაფერი განკარგულება მოახდინა.

«ამხანაგებო,—გაისმა მოულოდნელად აგერ კოლიას მკუხარე ხმა ფანჯრიდან, ჩვენც ყველამ ფანჯრებს მივაშურეთ.



კოლია ლოდრთქიფანიძე.

«ამხანაგებო! მე და ჩემი ამხანაგები გიძღვნით უკანასკნელ სალამს, გემშვიდობებით უკანასკნელად. ამხანაგებო! შეიძლება ვისმეს გაწყენინეთ რაიმე და გვაპატიეთ, დაივიწყეთ ეს წყენა და ცუდათ ნუ მოგვიხსენიებთ. ჩვენი საქმე იყო ბრძოლა თავისუფლებისათვის იარაღით. ჩვენ ერთჯერაც არ გვიღალატნია ამ წმინდა მოვალეობისათვის. ჩვენ სიცოცხლის მეტი არა გვაბადია-რა, შეგვიწირავს იგი ხალხის ბედნიერებისათვის; წარბ შეუხრელად ვანაცვალებთ ჩვენს სიცოცხლეს რევოლუციას და ავდივართ სახჩობელაზე სრულიად კმაყოფილი. დამშვიდებული; ჩვენ გვამხნევებს ის რწმენა, რომ ადრე თუ გვიან, მშრომელი ხალხი დაამსხვრევს მონობის ბორკილებს, თქვენ, ამხანაგებო, გაგიყვანენ აქედან და თქვენ იცით მაშინ, თუ ჩვენც არ დაგვივიწყებთ. გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს»...

დაახლოვებით ასე დაათავა თავისი სიტყვა კოლიამ. ჯარისკაცი იქვე კედელს მიყრდნობოდა და დაფიქრებული უცქერდა ამ სანახაობას. ჩვენ ყველანი ფანჯარაზე ვიყავით მიმდგარი. სრულიად არ ვაქცევდით ყურადღებას მას, რომ ამის ნება არ გვქონდა და ჯარისკაცს შეეძლო ჩვენ ტყვიით გაგვმასპინძლებოდა; ემჩნეოდა, ჩვენმა ასეთმა გაბედულობამ და კოლიას რიხიანმა ხმამ შეარყია ჯარისკაცი—მანქანა და მასში გამოიღვიძა ჯარისკაცმა-მუშამ და გლეხმა. ადმინისტრაცია არსად სჩანდა. იგი თავის ბნელი საქმისათვის ემზადებოდა. კოლიას გასცეს პასუხი ამხანაგებმა ზემოდან. განწირულთაგან ილაპარაკეს ტრიფონ არაბიძემ, პორფილე პაიჭაძემ—ამხანაგებსა და რევოლუციას ბრწყინვალე გამარჯვება უსურვეს მათ.

გამომშვიდობება გათავდა.

არავითარი ნაღველი, ჯულისწყველა არ გამოსჭვიოდა კოლიასა და მისი ამხანაგების სიტყვებში. ეს იყო უკან დახეულ მებრძოლთა ყიჟინა ახალ იერიშების მისატანათ.

— ამაღამ ფრთხილათ იყავით, არ დაიძინოთ, ამხანაგებო, რომ მტერი უეცრად არ დაგვესხას თავს,—უკანასკნელად მისცა განკარგულება კოლიამ ამხანაგებს და პასუხად მოისმა მარსელიოზის გუგუნი.

შავბნელი ღამეა. ჩვენ გავშალეთ ლოგინი და თან გაუხდელად დავწევით, ძილი არ გვეკიდება, მაგრამ ისე დამძიმებულია ჩვენი გონება, რომ ხმის ამოღებას ვერ ვახერხებთ; სხვა საკნებშიაც არ სძინავთ, მაგრამ იქიდანაც ჩამიჩუმი არ მოისმის. იმ წუთში მთელი ციხის გონება ვაქკაცზე ფიქრობ-

და. თითეულ ტუსაღს სურდა სამარადისოდ აღებეჭდა მათი უმანკო სახე გონებაში. ნაშუაღამევის სამი საათი იქნებოდა, რომ მოგვესმა ბორკილების ჩხრიალი, ფანჯრიდან კოლიას გადმოძახილი:

— ეი, ტრიფონა, ამხანაგებო! აბა, მტერი მოდის ჩვენ გასაყვანად, ფრთხილად, არ დაიბნეთ, არ შეშინდეთ,—

გააფრთხილა რა მან ამხანაგები, იმწამს ბორკილების ჩხრიალით გადახტა ფანჯრიდან და კარების სარკმელთან მი-ირბინა

— ბ. უფროსო! რათ გარჯილხართ! ჩვენ გასაყვანად მო-ბრძანდით? მერე თოკი რად დაგჭირდათ? ჩვენ შესაკრავად? ჩვენ მხეცები არა ვართ. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ გევალებათ ჩვენი დახრჩობა. ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია და მზად ვართ მივიღოთ წამება. გაძლევთ ვალს ისე, როგორც ის ჩვენ გვე-ვალება. პირველად მე გამიღეთ კარი და გამიყვანეთ,—უთხრა კოლიამ უფროსს.

— ამხანაგებო, წინააღმდეგობა არ გაბედოთ,—მიაძახა ამხანაგებს კოლიამ.

ექვსი საკნის კარი ერთად გაიღო და მოისმა მწყობრი სიმღერა: «უარვყოთ ძველი წესები»... ამ დროს ციხეს ოთხი კუთხით შემოარტყეს გაძლიერებულ ჯარისკაცთა გუნდი ზა-რბაზნითა და ტყვიისმფრქვეველებით. დერეფნები გაივსო ჯარისკაცებით. საკნების კარებში გაკეთებულ სარკმელში რამოდენიმე თოფის ლულა იყო შეჩრილი და გასასროლად მომარჯვებული. კოლია და მისი ამხანაგები უკვე ეზოში გა-იყვანეს და მათი მარსელიოზას ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმო-და. აგერ ეზოშიც მივიდენ განწირულნი და მარსელიოზის ხმაც მიწყნარდა. ერთი წამით მყუდროება ჩამოვარდა. რომე-ლიღაც საკნიდან გვესმა წყნარი ჰანგები, იგი თანდათან ძლი-ერდება, ღია სარკმელებიდან საკნებს ესტუმრება და მას ბანს აძლევს მთელი ციხე: «მსხვერპლად დაეგე», იმეორებს ათასი კაცი; სიმღერა ძლიერდება, ვითარდება, სტიქიად იქცევა. იმდენად ძლიერი იყო ათასი კაცის გულის სიღრმიდან აღმო-ნახეთქი და ამ ჰანგში ჩაქსოვილი გულისწყრომა, რომ ჯარის-კაცები შეშინდენ, დაიბნენ, მიხვდენ, რომ ხალხის გულიდან ამონახეთქ ტალღას ხიშტები ვერ შეაჩერებდა და თოფები ძირს დაუშვეს, სტიქიას დაეშორჩილენ. ჰიმნის გუგუნმა თი-თქმის დილამდე გასტანა, ადმინისტრაცია კი არ სჩანდა. იგი ამ დროს ციხის შავ ეზოში დღესასწაულობდა. აქ შეგრო-ვილიყვნენ მეფის ჯალათები, თან მოეყვანათ გაძლიერებულ

მეორე მხრივ გაფიცვამ გამოიწვია ახალი მუშების მოსვლა, რომელთაც ეგონათ, რომ ახლა, გაფიცვის დროს, ბევრი სამუშაო იქნება ჭიათურაშიო. მათი რიცხვი დიდი არ იყო და ამ ახალმოსულებს ხვდებოდენ გაფიცვის ბიუროს წევრები და უხსნიდენ მათ, რომ არის გაფიცვა, არ არის სამუშაო და არც შეიძლება მუშაობის აღება. რადგან ეს ღალატი იქნებოდა გაფიცულთა წინაშეო; მათ ვაძლევდით სასმელ-საჭმელს, მერმე გზის ფულს და ვაბრუნებდით უკან. რასაკვირველია, ყოველთვის ასე იოლად არ ხდებოდა ხოლმე საქმის მოკვარება, რადგან არც მრეწველებს ეძინათ და ცდილობდენ მტრეიკბრეხერების საშუალებით მუშების ახალი კადრი შეექმნათ და გაფიცვა გაეტეხათ. მაგალითისათვის დავასახელებ ერთ ამბავს.

სოფელ ქვემო-რგანში პერსენაკი აშენებდა შავი ქვის ახალ სარეცხ ქარხანას. და მისმა თანამშრომელმა დაიქირავა უცხო მუშები: ოსები, ბერძნები, თათრები; იშოვა ზოგიერთი ქართველიც: მანვე შეიძინა კამბეჩები, ხარები და ასე: 25 ულელი ხარ-კამბეჩით დაიწყო ასაშენებელი მასალის ზიდვა და კანაგრძო ქარხნის შენება.

ამ საკითხისათვის 2 აგვისტოს 1913 წ. შეიკრიბა გაფიცვის ბიურო ბიქტორ კაპანაძის თავმჯდომარეობით და დადგენილ იქმნა: ეხლავე დაიბეჭდოს მოწოდება, რათა პერსენაკის ქარხანაში შეწყდეს მუშაობა; გამოიცეს საჩქაროდვე პროკლამაცია. რომლითაც ეცნობება ხალხს, რომ პერსენაკს და მის მუშა-მოსამსახურეებს ეცხადებათ ბოიკოტი, რომ მათ ეკრძალებათ იყიდონ ჭიათურაში სურსათ-სანოვაგე როგორც თავისთვის, ისე საზრდო საქონლისათვის. პროკლამაციაში გაფრთხილება იყო აღნიშნული: ვინც ბოიკოტს დაარღვევს და პერსენაკს ან მის მუშა-მოსამსახურეებს მიჰყიდის სანოვაგეს, იგი დაისჯებაო. პროკლამაციაზე დაბეჭდილი იყო კომბოს სურათი!

ორივე ეს ფურცელი დაიბეჭდა 4 აგვისტოს ღამით დ: ოუთმა ამხანაგმა გავანაწილეთ ის მთელს ჭიათურაში. სადგურის რაიონში ფურცლები უნდა გაევრცელებინა დომენტი კუტალაძეს; პერსენაკის ასაშენებელ ქარხანაში—მოსე ჩუბინიძეს; იმ ადგილებში, საიდგანაც ასაშენებელ მასალებს ეზიდებოდენ—ვანო ბერძენიშვილს და ვანო თალაკვაძეს, ხოლო მე კი თავლევში, სადაც პერსენაკის მეურმეები იმყოფებოდენ.

დომენტი კუტალაძემ პირველმა დაჰყარა ფურცლები სადგურზე იმ დროს, როცა საჩხერისა და შორაპნის მატარ-

ბლები შეიცვალენ; მორიგე ყანდარმმა შეამჩნია ფურცლების დამყრელი და გამოუდგა მას დასაჭერად, მაგრამ სადგურზე არეულ ხალხში, მან მიმალვა მოასწრო და ყანდარმს თვალიდან დაეკარგა; ხოლო მერმე, როცა ყანდარმი ბოძზე გაკრულ პროკლამაციას აგლეჯდა, კუტალაძე მას მიეპარა და პროკლამაცია ზურგზე ააკრა. რასაკვირველია, თითონ იმ წუთშივე მოუსვა და გაჰქრა.

პოლიცია დაფაცურდა, დაიწყო ჩხრეკა, გაკრეს ჭიათურის ხიდები, სადაც ჯარისკაცები დააყენეს. აქ ხიდის თაკში მოულოდნელად დაიჭირეს მოსე ჩუბინიძე. ის შეეხეჩა ჯარისკაცს, უკან ვეღარ გაიქცა და პროკლამაციების მდინარეში გადაყრა კი მოასწრო, მაგრამ ფურცლები ნაპირს მოედო. ჯარისკაცმა ხელი სტაცა მოსეს და ჩაიყვანა მდინარე ყვირილას ნაპირზე; იქ ფურცლები შეკრიბეს და დაჭერილი მოსე მან სადგურის ყანდარმერიისაკენ წაიყვანა. სადგურის რაიონი მაშინ დაკავებული იყო პლატფორმებით. სადაც გორებად იყო დაგროვილი შავი ქვა, ამ პლატფორმებს შორის ჩაყვანილი იყო რკინისგზის შტოები, სადაც ვაგონებს აყენებდენ შავიქვის დასატვირთავად. შავიქვის ზვინებში რომ შეკიდენ. მოსემ სთხოვა ჯარისკაცს გაეშვა იგი და საჩუქრად საათი შეაძლია; როცა ამ საჩუქარმა არ გასჭრა, ქრთამად 25 მანეთი მიაწოდა, მაგრამ ჯარისკაცი მაინც უარზე იდგა. ვინაიდან მოსემ, როგორც ვაგონის მუშამ, პლატფორმების მდებარეობა და შავიქვის გორათა განაწილება კარგად იცოდა, იხელთა დრო, ისკუპა, გადახტა პლატფორმაზე, მოეფარა შავიქვის ზვინს და გაიქცა; ჯარისკაცმა, რასაკვირველია, ხელა აუტეხა მას, მაგრამ მისი ტყვიები შავიქვის გორებზე მხოლოდ მტვერს ადენდა. მაგრამ მეორე დღეს დაიჭირეს ვანო თალაკვაძე, მოსე ჩუბინიძეც, დომენტი კუტალაძეც. დაიჭირეს უდანაშაულო გიორგი თოდუა. ყველანი ესენი მოათავსეს, ადმინისტრატიული წესით, სხვადასხვა ვადით ზესტაფონის ციხეში. არ დაგვავიწყდეს აგრეთვე სერაფიონ ეძგვერაძე, რომელიც გუბერნატორს ელაპარაკა მუშების სახელით! იგი ციმბირს გადაასახლეს, ხოლო ბიქტორ კაპანაძე იოლად კადარჩა: იგი იჯდა ციხეში მხოლოდ 15 დღე. დაიჭირეს კიდევ გ. ვაშაძე და ი. ჭანტურაიშვილი.

გაფიცვა გრძელდება. პერსენაკის მუშებსა და მოსამსახურეებს არ აძლევენ პურს, არ აპმევენ სადილს ჭიათურაში; მუშებისათვის პური მოაქვთ შორაპნიდან, უფროსი მოსამსა-

ჯარისკაცთა გუნდი, ჯალათებს სურდათ დაენახვებინათ ჯარისკაცთათვის, თუ როგორ სჯის მთავრობა ურჩს და ვითომ ხალხის მტერთ. მათ სურდათ რევოლუციონერების უმანკო სისხლის დაღვრით გამარჯვება ედღესასწაულა, მაგრამ მოსტყუვდენ—გამარჯვების მაგივრად სასტიკად დამარცხდენ. ეს ჩვენ გავიგეთ მეორე დღეს. ციხის ექიმმა (ხუნდაძემ) მეორე დღეს გადმოგვცა შემდეგი:

«მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა. თვით მე ჯერაც ვერ მოვდივარ გონს და ჩემი თავისთვის ანგარიში ვერ მიმიცია. კოლია ლორთქიფანიძემ მოსპო ადმინისტრაცია, გაქარწყლა სიკვდილის საშინელება. სახრჩობელამ ამიერიდან იქ დამსწრეთათვის დაკარგა ფასი. მოხდა უდიდესი ბოროტება—აი რაში დავრწმუნდით იქ დამსწრენი.

კოლია და მისი ამხანაგები შემოვიდენ შავ ეზოში სრულიად დამშვიდებული, ღიმილით—თითქო სადღესასწაულოდ მიდიოდენ სადმე. ბრალმდებელმა წაიკითხა განაჩენი, რომელმაც არავითარი გავლენა არ მოახდინა ბრალდებულთა სულიერ განწყობილებაზე. კოლიას გარდა, ყველამ უარი განაცხადა უკანასკნელ სიტყვაზე. შეხტენ სკამებზე და სახრჩობელას წინ თავიანთი ადგილი დაიჭირეს. ამხანაგების სახელით კოლია ლორთქიფანიძემ მიმართა ჯარს სიტყვით:

«ჩვენ ავაზაკები და ხალხის მტრები არ გეგონოთ. ჩვენ ვართ მუშების და მშრომელი გლეხების ბედნიერებისათვის მებრძოლნი. ჩვენი დახრჩობით მთავრობას სურს ჩვენი მომხრეების დაფრთხობა, მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამით ჩვენს ლაშქარს უფრო აძლიერებენ, შორს არ არის ის დრო, როცა მშრომელი ხალხი გამოიღვიძებს და მონობის უღელს დაამსხვრევს, მაშ გაუმარჯოს მშრომელ ხალხს და მათ ინტერესებისათვის დამცველთ».

შემდეგ მღვდელს მიუბრუნდა: «რად გარჯილხართ. ჩვენ თვის თქვენი ზიარება საჭირო არ არის».

კოლიას ტკბილმა, გრძნობით სავსე სიტყვებმა ჯარში ჩოჩქოლი გამოიწვია. ადმინისტრაცია დაფრთხა, შეშინდა, არ იცოდა რა ექნა, ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ სიჩუმე ისევ კოლიამ დაარღვია:

«ბ. უფროსო! მე შეგპირდი დაგემორჩილოთ და შევასრულო სასამართლოს განაჩენი. მე ჩემ სიტყვას არ გადავალ. ია უმელ ჟიტ, უმეიუ უმერეტ»—შესძახა მან მკუხარე ხმით იქვე მდგომ მთავრობის მოხელეთ და სწრაფად შეხტა მისთვის გამზადებულ სახრჩობელასთან მდგარ სკამზე, თავისი

ხელით. კისერში ბაწარი მოიჭირა მან და მისმა ამხანაგებმა ერთსა და იმავე დროს, ჰკრეს ფეხები სკამებს, რომლებზედაც იდგენ და ექვსი ვაჟკაცი ერთდაიმავე წუთში ბაწარზე ჩამოეკორწიალენ. საშინელი სანახაობა იყო»...

ამ საზიზღარი ბოროტების საპროტესტოდ მეორე დღეს ციხეში ერთი დღით შიმშილობა გამოცხადდა. ყველა საკნებში გაიმართა კრებები ტრაღიკულად დაღუპულ ამხანაგების გმირობის დასასურათებლად. გამოვიდა ჟურნალი «შოლტი»-ს განსაკუთრებული ნომერი მათ პატივსაცემლად. გაიმართა ხელის მოწერა ამხანაგ კოლია ლორთქიფანიძის უმწეოდ დარჩენილ ცოლშვილის სასარგებლოდ წვლილის შესაგროვებლად. იმავე დღეს შეგროვდა, როგორც მახსოვს, 75 მანეთი და გადაეგზავნა კოლიას ოჯახობას.

ასე მოიხადა თავისი რევოლუციონური ვალი კოლია ლორთქიფანიძემ და მისმა ამხანაგებმა! ჩვენ ვგრძნობდით, რომ გმირული სიკვდილით ამ ვაჟკაცებმა მეტი სარგებლობა მოუტანეს თავისუფლების საქმეს, ვიდრე ჩვენ ცოცხლად დარჩენილებმა. ჩვენ ყველანი კიდევაც ვეხარბებოდით მათ. ამ დროიდან ჩვენს გულში მოისპო სიკვდილის შიში. სახრჩობელამ დაკარგა ფასი და მნიშვნელობა.

სიკვდილით დასჯილთა, კოლია ლორთქიფანიძის და მის ექვსი ამხანაგის, წლის თავზე აღსანიშნავად, 15 ნოემბერს, 1912 წელს ქუთაისის ციხეში გამოვიდა პირველი ნომერი ჟურნალისა «ციხის გამოძახილი». ჟურნალი ხელში ჩაუვარდა ციხის ადმინისტრაციას და დაიღუპა. მოგვყავს ამ ჟურნალის შინაარსი: 1. მოწინავე. 2. ფელეტონი: «იდეიისათვის თავდადებულნი». 3. სიკვდილით სასჯელი. 4. რევოლუციის მსხვერპლნი. 5. სიკვდილის წინ. 6. ლექსები. 7. ლექსი კოლია ლორთქიფანიძისა და მისივე გამოსათხოვარი წერილი ტუსაღებისადმი. 8. განწირული (ესკიზი). 9. ეტიუდი (ვერაგების მსხვერპლი). 10. ახალი ამბები. მოწოდება, თუ როგორ უნდა სცენ პატივი ტუსაღებმა წლისთავზე სიკვდილით დასჯილ კოლია ლორთქიფანიძეს და მის ამხანაგებს.

აი ვინ იყო აფ. მერკვილაძის რაზმი! უნებლიედ იბადება კითხვა: ვინ შთაბერა მათ ასეთი ძლიერი სული? ვინ შეაყვარა მათ ასე თავდავიწყებამდე თავისუფლება და ხალხის ინტერესები? ვინ ასწავლა მათ ასე უშიშრად სიკვდილი თავისუფლებისადმი? პასუხი ერთია: მათმა მასწავლებელმა და ხელმძღვანელმა, თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულმა აფრასიონ მერკვილაძემ».

1913 წლის გაფიცვა ჭიათურაში.

რევოლუციურ მოძრაობაში, როგორც აღნიშნული მქონდა, ჭიათურის რაიონი ითვლებოდა მოწინავე ხაზზე; მასთან დაკავშირებით ჭიათურა გახდა აგრეთვე კულტურის ერთგვარ ცენტრად ზემო-იმერეთში. სოციალდემოკრატიული პარტიის ჭიათურის ორგანიზაციის მეთაურობით და უშუალო მოღვაწეობით დაარსებულ იქმნა მუშათა კოოპერატივი «ჩვენი ოჯახი»; დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, რომლის შექმნაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, შტეიგერთა სკოლის გამგე, ინჟინერმა აპალონ კობახიძემ (ესური იყო); გაიხსნა მუშათა სამკითხველო; მოეწყო მუშა მომღერალთა გუნდი ცნობილ სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით; შეიქმნა საღამოს კურსები და კვირეული კურსები მუშებისათვის; მოეწყო სახალხო უნივერსიტეტი, სადაც ლექციებს კითხულობდენ სამოქალაქო სასწავლებელის მასწავლებლები, ცნობილი პედაგოგები: ივანე გომელაური, გიორგი ანთელიძე, ალექსანდრე მითაიშვილი, ვანო წერეთელი, წუწუნავა, ნესტორ კიკალეიშვილი, ექიმი სვიმონ ჯაფარიძე და სხვ.

ჭიათურის მრეწველთა საბჭომ გახსნა სასწავლებლები (სამოქალაქო, ტეხნიკური), საავადმყოფო; მასვე გაჰყავდა გზები მაღაროებისაკენ; მოეწყო ჭიათურაში ელექტრონით განათება; გახსნეს აბანო; თითქმის ყოველთვის მთელი წლით მუშაობდა ქართული თეატრი; გაიხსნა სასადილოები მუშებისათვის და სხ.

ამგვარად ბაქოს შემდეგ ჭიათურა იყო კავკასიაში დიდ სამრეწველო ცენტრად და ქართული ცხოვრებისათვის მთელ ზემო-იმერეთში ეკონომიურ და კულტურულ ცენტრად. ამ ცენტრში მთავარ როლს თამაშობდა, რასაკვირველია, სოც.-დემოკრატიული არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც იყო სულის ჩამდგმელი როგორც კულტურული მუშაობისა, ისე ეკონომიური ბრძოლისა. მისივე თაოსნობით იქმნა დაარსებული მუშათა არტელები.

ჯერ კიდევ 1906 წელში შეიქმნა მუშათა არტელი, რომელშიც შედიოდა 500 მუშა; შემდეგ სხვადასხვა დროს დაარსებულ იქმნა კიდევ ხუთი ახალი არტელი: 1. ბერძენ იაკო პანტატულოვის არტელი; 2. ვასილ ჩუბინიძის მეთაურობით პანასეს ვაგონების მტვირთავი არტელი; 3. ბარნაბა პაპავას ვა-

ონების მტვირთავი კ. ჯაფარიძის მეთაურობით; 4. გილერ-
თის ვაგონების მტვირთავი არტელი ევსევი თოდუას ხელმ-
ძღვანელობით; 5. ფოროუდის ვაგონების მტვირთავი არტელი
თედორე ჯაჯანიძის მეთაურობით.

არტელები წარმოადგენდენ არა მარტო ეკონომიურ ნი-
ადაგზე აგებულ ორგანიზაციას, არამედ მორალური და ორ-
განიზაციული აღზრდის საშუალებასაც. თითოეულ არტელს
ჰქონდა თავისი წესდება. მახსოვს წესდების ზოგი მუხლი:
1. თვითეული მუშა ვაგონისა ვალდებული იყო განუწყვეტ-
ლივ ემუშავა სამი თვე. ამ მუხლის არსებობა იმით აიხსნება
რომ ჭიათურის მუშები უმთავრესად სოფლებიდან მოდიო-
დენ დროებით სამუშაოდ და ეს მოვლენა იწვევდა მუშათა
ხელის მერყეობას და მიმოსვლას. სოფლიდან ჩამოსული
გლეხები წაიმუშავებდენ, საპირო თანხას შეაგროვებდენ და
მერმე სტოვებდენ სამუშაოს. ვაგონების დამტვირთავ მუშა-
თა არტელისათვის ასეთი მერყეობა მუშა ხელისა საზიანო
იყო, რადგან ვაგონები ყოველ დღე უნდა დატვირთულიყო
და ამისათვის განსაზღვრული რაოდენობა მუშებისა უნდა
მუდმივ არსებულიყო, და ამიტომ იქმნა დადგენილი, რომ
არტელის თითოეულ წევრს სამი თვე მაინც აუცილებლად
ემუშავნა. 2. არტელის კრების თავმჯდომარეს ვირჩევდით
ყოველ ორშაბათს; 3. მუშაობის გამწესრიგებელს ვირჩევდით
ყოველ ორ კვირაში ერთხელ; 4. «ტაბელჩიკი» უნდა ყოფი-
ლიყო მუდმივი და ღებულობდა მუშის ქირას; 5. არტელის
გამგე ღებულობდა მარგანეცით დატვირთულ თითოეულ ვა-
გონზე ორ კაპიკს; 6. კარტისა და ნარდის თამაში სავსებით
აკრძალული იყო; ვინც პირველად დაარღვევდა ამ წესს, მას
აღეკვეთებოდა ხოლმე სამი დღით მუშაობა და ჭიათურასაც
ვერ დასტოვებდა ესე იგი სოფელში ვერ დაბრუნდებოდა ამ
სამი დღით, აღნიშნული წესის მეორე დარღვევისათვის სას-
ჯელად იყო დაწესებული ხუთი დღით მუშაობის აკრძალვა
და თუ ვინმე მესამედ დაარღვევდა მოხსენებულ მუხლს, მას
არტელის წევრობიდან აძევებდენ ხოლმე. ასეთი შემთხვევე-
ბიც ყოფილა; 7. სიმთვრალეც აკრძალული იყო. და ეს მოვ-
ლენა სამაგალითო იყო ყველასათვის. ბოქაული პ. მესხი ხში-
რად ეტყოდა ხოლმე ქუჩაში დაპერილ მთვრალს ან მოჩხუ-
ბარს:

— თქვე ოჯახდასაქცევლებო, რას ჩადიხართ, რას თვრე-
ბით, რას ჩხუბობთ! ხომ ხედავთ არტელის მუშები როგორ
იქცევიან და ჩვენც არ გვაწუხებენო!

რეაქციის შენელებას, როგორც ყველას ახსოვს, მთელს რუსეთში თან მოჰყვა მუშათა მოძრაობის გაძლიერება და დიდი ომის წინ გაფიცვებიც მეტად გახშირდა. 1912—1913 წ. კაფიცვათა მოძრაობა ფართოდ მოედო სამრეწველო,რაიონებს და მათ რიგში ჭიათურასაც სწვდა.

აღსანიშნავია, რომ არც რეაქციის დროს და არც შემდეგ, ჭიათურაში სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციას მუშაობა არ შეუწყვეტია და არალეგალური მუშაობა დაკავშირებული იყო ლეგალურ ორგანიზაციებთან, როგორიც იყო კოოპერატივი, სამკითხველო, თეატრი, არტელი, მუშათა გუნდი, სახალხო უნივერსიტეტი და სხ. ამ დაწესებულებათა კარშემო იყრიდენ თავს სოციალდემოკრატები და ამით ქმნიდენ ერთ მტკიცე ძალას.

მოახლოვდა 1913 წლის პირველი მაისი. ადმინისტრაციამ წინდაწინვე მიიღო ზომები, რომ მუშებს დემონსტრაცია არ გაემართათ; მაგრამ ჩვენ ვარჩიეთ სულ სხვა გზა.

წინა დღით ჩვენ დავნიშნეთ მწერალ ეგნატე ნინოშვილის სამოქალაქო პანაშვიდი და სამახსოვრო ლიტერატურული საღამო. აუარებელი ხალხი დაესწრო და საღამოს შემდეგ გაიმართა ლხინი. ერთ გრძელ სუფრაზე ისხდენ ჭიათურელი მრეწველები დიდ მრეწველ პერსენაკთან ერთად და მათ თამადათ ყავდათ ჭიათურის სამოქალაქო სასამართლოს თავჯდომარე... მუშებს ცალ-ცალკე გვქონდა სუფრები და ჩვენი თამადა იყო ვასილ შარაშიძე. შეიქნა დიდი ნადიმი. მღეროდა მუშათა გუნდი სანდრო კაესაძის ლოტბარობით. დაიწყო სადღეგრძელოები და მრეწველთა სუფრის თამადამ ასწია ჭიქა კაპიტალისტებისა და მუშების სადღეგრძელო და თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა:

— კაპიტალისტები არ ვარგან უმუშებოდ და ამიტომ ერთად უნდა იყოთო. ტაშისცემით შეხვდა ხალხი მის ასეთ განცხადებას, ხოლო ჩვენი სუფრის თამადამ სამადლობელით უპასუხა და სხვათა შორის სთქვა:

— მუშები ვარგიან უკაპიტალისტებოდ, კაპიტალისტები კი ვერ ივარგებენ უმუშებოთო!

დილამდე გაგრძელდა ქეიფი,—არავინ ძუნწობდა. რადგან მთელი წმინდა შემოსავალი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის იყო დანიშნული.

ნაქეიფარი ხალხი იმ დროს დაიშალა დილით, როცა მთელი ჭიათურა უკვე მოფენილი იყო სოციალდემოკრატიული

პარტიის საპირველმაისო პროკლამაციებით. ეს ფურცლები ჩვენ ჩამოგვიტანა ქუთაისიდან ვანო ნოზაძის ასულმა მარომ და ჩვენ მივიღეთ ზომები, რომ ფურცლები ჭიათურაში ყველგან დაგვეყარა. საპირველმაისო გაფიცვა აღარ გამოცხადებულა, რადგან კვირა იყო პირველი მაისი და ეს დანაკლისი ფურცლების გავრცელებით შევავსეთ. დატრიალდა ადმინისტრაცია, მაგრამ ფურცლების დამყრელი ვერავინ დაიჭირეს.

1913 წლის საგაფიცვო მზადება უკვე მარტში დაიწყო. პირველ საორგანიზაციო კრებებს ორჯერ დაესწრო ნოე ხომერიკი და სხვათა შორის ვადაწყდა თბილისიდან ზაქარია გურულის ჩამოყვანა. ამასთანავე მოეწყო საგაფიცვო ორგანიზაცია, რომელშიც შემდეგი პირები შედიოდენ: 1. ბიქტორ კაპანაძე, 2. თერაფონ ენუქიძე, 3. დომენტი კუტალაძე, 4. მოსე ჩუბინიძე, 5. ირაკლი გამეზარდაშვილი, 6. პლატონ გოქსაძე, 7. თეოფილე ბიწაძე, 8. დომენტი ჩუბინიძე, 9. ვანო ბედინაშვილი, 10. ვანო ბერძენიშვილი, 11. ვანო თალაკვაძე, 12. პორფილე ჯიშკარიანი, 13. ლადო სამხარაძე, 14. ამბაკო სირაძე, 15. დიმიტრი ჯანგიძე, 16. ვასილ მოდებაძე, 17. გიორგი შეყილაშვილი, 18. ბესარიონ ბიწაძე, 19. კოწია მოდებაძე, 20. გრიგოლ ჩუბინიძე, 21. ნიკო ცირეკიძე, 22. ირაკლი მელქაძე, 23. პორფილე ეფრემიძე, 24. მიხა ბურჯანაძე, 25. ონისიმე პერანიძე, 26. კოლია ჯიქიძე, 27. ნოე ნუცუბიძე, 28. ივანე ბურჯაიძე, 29. ვალიკო ჩუბინიძე.

ამ საორგანიზაციო კრებაზე გადაწყდა მოთხოვნილებათა გამომუშავება და პრინციპიალურად გაფიცვის გამოცხადება. გაფიცვის წესიერი და სრული მოწყობისათვის მთელი ჭიათურის რაიონი განაწილებული იყო დამსწრეთა შორის: კრების მოსაწვევად, ფურცლების გასავრცელებლად. საერთოდ გაფიცვის სახელმძღვანელოდ და მასთან დაკავშირებით შტრეიკბრეხერებთან საბრძოლველად. გაფიცვის გამოცხადებისათანავე პირველი ამოცანა იყო: მაღაროებიდან მარგანეცის ჩამომზიდი ურმები და ცხენები აღარ დაძრულიყვნენ; მეორე გადაუდები ამოცანა იყო: მარგანეცის სასწორები დაკეტილიყო.

გაფიცვისათვის მზადება დაიწყო და გაგრძელდა 1913 წ. ივნისამდე.

ზემოაღნიშნულ გაფიცვის ბიუროში შედიოდენ ვაგონების მტვირთავ მუშების ძველი არტელების წარმომადგენლები. მეორე არტელი თანაგრძნობას გვიცხადებდა, მაგრამ აქტიურად თავიდანვე საქმეში არ ებმოდა; შემდეგ მათაც გა-

მოგზავნეს თავისი წარმომადგენელი «ტაბელჩიკი» მიშა წიგ-
წივაძე, რომელიც მალე დაიჭირა პოლიციამ და გაგზავნა ზე-
სტაფონის ციხეში.

2 ივნისი 1913 წ. ღამე. საბოლოოდ გაფიცვის ხელმძღვა-
ნელი კომიტეტი უნდა დაწესდეს და კრებაა მოწვეული. წინ-
დაწინვე სადარაჯოები მოვაწყვეთ, თუ ვინიცობაა პოლიცია
გამოჩნდებოდა, დროზე შეეტყობინებიათ, რათა დაქსაქსვა
მოგვესწრო. ამ სადარაჯოთა ჯგუფებს ხელმძღვანელობდა
ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელის უფროსი კლასის მო-
წაფე ამბროსი ლეჟავა. დაიწყეს კრებაზე მოსვლა. ჩვენი პა-
ტარა ოთახი გაივსო ხალხით. აქ იყვნენ: 1. ნოე ხომერიკი, 2.
ზაქარია გურული, 3. კოლია ჭუმბურიძე («კაჟი»), 4 გიორგი
წერეთელი, 5. გრიგოლ ფხალაძე, 6. ბიქტორ კაპანაძე, 7. არ-
სენ თოდრია, 8. არსენ ლომთათიძე, 9. ქრისტეფორე ჯულა-
ყიძე, 10. მოსე ჩუბინიძე, 11. ირაკლი გამეზარდაშვილი, 12.
პლატონ გოქსაძე, 13. ისიდორე ხარატიშვილი, 14. სერაფიონ
სიხარულიძე, 15. ელეფთერ ენუქიძე, 16. დომენტი კუტალაძე,
17. ვასილ ბურჯანაძე, 18. ივლიანე ჭანტურიშვილი, 19. კო-
ლია ჩხეიძე (პირველი არტელის გამგე), 20. ივანე ბურჯაიძე
და 21. ვალიკო ჩუბინიძე.

კრება გახსნა ბიქტორ კაპანაძემ და მანვე მოახსენა დამ-
სწრეთ, რომ გაფიცვისათვის ყველაფერი მზადაა; ამას გარდა
ფოთის და ბათუმის მუშები მხარს დაუჭერენ ჭიათურის გა-
ფიცვას; ამჟამად ფოთში სდგას მარგანეცის წასაღებად მო-
სული შვიდი გემი და ხელსაყრელი იქნება ასეთ პირობებში
დაუყონებლივ გამოცხადდეს გაფიცვაო. ჩვენ დავამზადეთ
მარაგი ჩვენს მუშათა კოოპერატივში «ჩვენი ოჯახი»; შევად-
გინეთ მოთხოვნილებათა სია და ხვალ უნდა წარვუდგინოთ
მრეწველებსო.

მოხსენების შემდეგ გაიმართა მსჯელობა გაფიცვის შე-
სახებ, გასინჯულ იქმნა მოთხოვნილებათა მუხლები, რომელ-
ნიც საერთოდ ასეთი იყვნენ:

ხელფასის მომატება მუშაობის კატეგორიებისა და ად-
გილის პირობების მიხედვით, 8 საათის სამუშაო დღე, მუშა-
თა დაზღვევა უფასო წამლებით. ავადმყოფობის დროს ჯამა-
გირის შენახვა, ყოველ თხუთმეტზე ჯამაგირის დარიგება, წე-
ლიწადში ერთი თვით დასვენება ჯამაგირის შენახვით, მუშე-
ბის მიღება-დათხოვნა არტელის დაკითხვით, მუშების ბინე-
ბის გაუმჯობესება, სველ ადგილებში მუშაობისათვის ჩექმე-
ბი და პლაშჩები; მშრალ ადგილებისათვის ხალათი, შარვა-

ლი, წინსაფარი და სხვ. (ამის შესახებ იხილეთ ჩემი «მოგონება», პარიზი, 1938 წ.).

მცირე კამათის შემდეგ ერთხმად გადაწყდა: ხვალ დილით. 3 ივნისს 1913 წელს გამოცხადდეს ჭიათურის მრეწველობაში საერთო გაფიცვა.

3 ივნისი დილა. ცოტა ნაწვიმარია. ვაგონის მუშათა პირველი არტელი იკრიბება თავის ბინაზე. სიჩუმეა. ჩვეულებრივ ტაბელს კითხულობს ვასილ კაპანაძე. გათავდა წაკითხვა. ვირჩევთ კრების თავმჯდომარედ მოსე ჩუბინიძეს. იგი სიტყვას აძლევს ბიქტორ კაპანაძეს. მან უბიდან ამოიღო დაბეჭდილი ფურცელი და დამსწრეთ წაუკითხა; იგი ეხებოდა გაფიცვის კამოცხადებას. შემდეგ მან მიმართა მუშებს მოკლე სიტყვით: ყოფილიყვნენ წყნარად, არ გაჩერებულიყვნენ დუქნებში, არ დაეწყოთ ქეიფი და სხვ.

ელვასავით მოედო გაფიცვის დაწყების ამბავი მთელ ჭიათურას. როგორც გათვალისწინებული გვქონდა: ყველგან შეჩერდა მუშაობა; ჩამოვუარეთ მაღაროებს, ბაქნებს, სასწორებს და შეწყდა ყოველი მოძრაობა. ჩვენი ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი დაწერილი გადავეცით ჭიათურის ბოქაულს პროკოფი მესხს, სამთამადნო მთავარ ინჟინერ ავდეევს და მრეწველთა საბჭოს.

უკვე გაფიცვაა და ჭიათურაში სრული წესრიგი და სიწყნარეა.

4 ივნისს ქუთაისიდან ამოვიდა გუბერნატორი და თან ამოჰყვა ჯარის ნაწილი. მოვიდნენ აგრეთვე ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი და საბჭოს წევრი კიტა აბაშიძე.

პოლიციამ გამოგვიცხადა, რომ ყველა მუშა უნდა გამოცხადდეს დიდ კრებაზე გუბერნატორთან. ჭიათურის რკინისკზის სადგურის უკან, თეატრის დიდი ეზო ხალხითაა გაშავებული. გუბერნატორი თავისი მხლებლებით ავიდა აივანზე და იქიდან გადმოგვძახა რუსულად:

— დაეწყვეთ სამ რიგად, ცალცალკე: 1. ვაგონის მუშები. 2. მაღაროს მუშები და 3. მეურმე-ჩალვადრები.

ჩვენ წესისამებრ დავლაგდით. მერმე გუბერნატორმა აიღო ხელში და ააფრიალა სოციალდემოკრატიული პარტიის მიერ გამოცემული პროკლამაცია და მოგვმართა:

— ვინ დასწერა ეს? ვინ გაგაბრიყვათ თქვენ?

სიჩუმეა. ცხელა საშინლად. გუბერნატორი წამდაუწუმ

ხელსახოცით ოფლს იწმენდს. არავინ პასუხს არ იძლევა და იგიც განაგრძობს:

— რა გინდათ? ვის ეფიცებით?

კვლავ სიჩუმეა.

მერმე გუბერნატორმა ბოქაულ პროკოფ მესხს რაღაც გადაუჩურჩულა და მესხმა დაიძახა:

— თავო კაცებო, წამოდექით, სთქვით რა გინდათ.

გაფიცვის ბიუროსაგან თუშ მუშას, ივანე ბურჯაიძეს დავალებული ჰქონდა გაფიცულთა სახელით ელაპარაკნა; ამ თუშმა ჭიათურაში ისწავლა წერა-კითხვა, იყო ჭკვიანი კაცი და ძალიან კარგი მოლაპარაკე.

მაგრამ უცბად წინ წარსდგა სერაფიონ ეძგვერაძე, ისიც კარგი მოლაპარაკე, რუსულიც კარგად იცოდა. მან ითხოვა სიტყვა და მთელი ჭიათურის მუშების სახელით განმარტა გაფიცვის მიზეზები და დაასაბუთა ჩვენი ეკონომიური მოთხოვნები; თან ისიც დაურთო, რომ გაფიცვას არა აქვს პოლიტიკური ხასიათი და არც მიეცემთო.

როცა სერაფიონ ეძგვერაძემ სიტყვა დაასრულა, გუბერნატორმა მუშტი ჰაერში გააქნია:—ბომბი არ გადააგდოთო! —და იქვე გასცა შემდეგი ბრძანება:

— ვისაც ჭიათურაში საკუთარი ბინა არა აქვს და ახლო სოფლებიდან არიან, მან 48 საათის განმავლობაში უნდა დასტოვოს ჭიათურა, თორემ ოფლს სისხლად გამოგადენთო!

ბოქაულმა მესხმა გვარი ჰკითხა ეძგვერაძეს და ეს ვეებერთელა ყრილობა დაიშალა წყნარად.

ვაგონის მუშებმა თავი მოვიყარეთ ჩვენ-ჩვენს საკრებულოში. ცოტახნის შემდეგ მოგვადგა აღელვებული ბოქაული პრ. მესხი, გამოუძახა ჩვენი არტელის მეთაურს კოლია ჩხეიძეს და თხოვა:

— დააჩქარეთ გაფიცვის გათავება, თორემ ცუდათ იქნება საქმე, წააგებთო.

— ეს მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული, მრეწველებმა ჯერ პასუხი უნდა მოგვცესო.

ვაგონის მუშებმა გამოჰყვეს ცალკე კომისია ბიქტორ კაპანაძის მეთაურობით, რომელსაც გარედან დავურთეთ წევრებად: 1. გრიგოლ ფხალაძე, 2. ალექსანდრე ხაბულიანი, 3. სამსონ ფალავა, 4. ჯიბო აბაშიძე, 5. ნიკო ოთხმეზური, 6. ვარლამ ბურჯანაძე და 7. ალექსანდრე გამრეკელი. ეს უკანასკნელი არჩეულ იქმნა ამ კომისიის თავმჯდომარედ. კომისიას დაევალა პირდაპირ მოლაპარაკება ჭიათურის უცხოელ კაპი-

ტალისტებთან და ცალკე ქართველ პატარა მრეწველებთან.

ამავე დროს გაფიცვის ბიურომ დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგში, სახელმწიფო დუმის წევრს ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძეს, რათა მას შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გაეცნო საქმის ვითარება და ძალა არ ეხმარათ გაფიცულთა წინააღმდეგ. მართლაც, სასწრაფოდ მოვიდა პასუხი: მუშებს ნება აქვთ დაუცადონ მრეწველებთან მოლაპარაკებასო.

მრეწველების მხრივ ჩვენს კომისიასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ხუთ მრეწველთაგან შემდგარი კომისია: სპირიდონ ივანეს ძე პერსენაკი (გელზენკირხენის საზოგადოების წარმომადგენელი), ბარნაბა პაპავა (კარუტოს ფირმის წარმომადგენელი), ჯორჯ ტარსი (ფორვუდის წარმომადგენელი), სერგო ესაევი (ჩილინგარიანის ფირმიდან) და ონტრალი (პანასეს ფირმიდან).

მუშებისა და მრეწველების კომისიათა გაერთიანებულ სხდომებს თავმჯდომარეობდა ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი (ცნობილი გ. მაიაშვილი); მას ეხმარებოდა კიტა აბაშიძე (ცნობილი კრიტიკოსი). კვირაში ორჯერ მაინც ხდებოდა საერთო სხდომა და მსჯელობა.

გაფიცვა გრძელდებოდა, მან გასტანა ორი თვე და ათი დღე. ჭიათურა-საჩხერის რაიონთა სოფლებიდან მუშებად ჭიათურაში მყოფნი დაუბრუნდენ თავიანთ სოფლებს და სოფლის მუშაობას, ხოლო თითოული სოფლიდან დარჩა თითო კაცი, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ გაფიცვის მიმდინარეობის ამბავი სოფლად წასულთათვის ეცნობებინათ. შორიდან მოსულთა უმრავლესობაც დაბრუნდა შინ; ესენი იყვნენ უმთავრესად: გურულები, მეგრელები, რაჭველები, ქვემოიმერლები და ქართლელები. ჩვენ მათ პირობა მივეცით, რომ მუშაობის განახლების შესახებ გაზეთში გამოვაცხადებდით და კერძოდაც შევატყობინებდით.

მაგრამ ქართველებს გარდა ჭიათურაში სამუშაოდ იყვნენ მოსული უცხოელებიც: თათრები, სპარსელები, ბერძნები და ოსები. მათი რიცხვი დიდი არ იყო. ეს უცხოელები ასე ადვილად ვერ დაბრუნდებოდენ შინ და მათი დახმარება ჩვენს თავზე ავიღეთ. მუშათა კოოპერატივი «ჩვენი ოჯახი»-დან მათ ეძლეოდათ: პური, შაქარი და ჩაი.

ჭიათურა თითქმის დაცარიელდა. 15 ათასზე მეტი მუშის მაგივრად, ამ მცირე რიცხვ უცხოელების გარდა, რომელიც ნელნელა გაიფანტა, ჭიათურაში დარჩენ მხოლოდ მოწინავე, ხელმძღვანელი მუშები, გაფიცვისა და კომისიების წევრები.

ხურეები სასადილოდ ან სავახშმოდ მიემგზავრებიან შორაპანზესტაფონში.

ოთხფეხი საქონელისათვის ჭიათურაში პერსენაკს არავინ აძლევს თივას, ჩალას, სიმინდს,—ესეც შორიდან მოაქვთ. იყო ისეთი შემთხვევაც. მჭედელმა თედორე ხუჩაძემ უარი უთხრა პერსენაკს ცხენის დაჭედვაზე; ხოლო კოწია კობახიძემ, როცა ხარს ჭედვა დაუწყო და გაიგო, რომ იგი ეკუთვნოდა პერსენაკის საქონელს, ჭედვას თავი მიანება და ხარი ორ ფეხზე დაუჭედელი დარჩა. ასეთ ბრძოლას პერსენაკი, რასაკვირველია, ვერ გაუძლებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფორვუდის მაღაროებში 1913 წ. გაფიცვამდეც რვა საათის სამუშაო დღე გვქონდა. მე პირადათ იქაც ვმუშაობდი ერთ დროს და შავიქვით დატვირთული ვაგონეტები ჯორების და ცხენების საშუალებით გამოგვქონდა მაღაროდან. ცხენი და ჯორიც ისე იყვნენ შეჩვეული ამ რვა საათის მუშაობას, რომ რვა საათის მუშაობის შემდეგ, ცხენს თუ ძალით მაინც შეაბრუნებდით მაღაროში. ჯორს კი ვერავითარ შემთხვევაში პირს ვერ აქნევინებდით მაღაროსაკენ. ფორვუდის ჯორები ამ მხრივ განთქმული იყვნენ ჭიათურაში და ჯორების ეს ამბავი ჩვენ საგაფიცვო კამათში დიდ საბუთად მოგვქონდა:

— ფორვუდის ჯორიც კი არ მუშაობს რვა საათზე მეტს; შენ ადამიანი ხარ და ჯორი როგორ გჯობია? ჯორმაც იცის, რომ საკმარისია რვა საათის სამუშაო დღე!

გაფიცვა დასრულდა 1913 წლის 12 აგვისტოს. დასრულდა მუშების გამარჯვებით (ამის შესახებ იხილეთ ჩემს პირველ წიგნში: «მოგონება», პარიზი, 1938). განახლდა ჭიათურაში მუშაობა, ადუღდა სამრეწველო ცენტრის ცხოვრება. ყველა დაჭერილი ამხანაგი დაბრუნდა, გარდა გ. ვაშაძისა და ი. ჭანტურაიშვილისა, დაბრუნდა გადასახლებიდან სერაფიონ ეძგერაძეც.

მაგრამ არ ისვენებდენ ისინი, ვინც ფიქრობდენ იაფ-ფასიანი ახალი მუშები ეშოვნათ და გაფიცვით მოგებული ნიხრი დაერღვიათ. იყო მაგალითი, როცა იაკო პანტულოვმა (ბერძენი იყო) შეაგროვა მუშები, გაურიგდა დაბალი ხელფასით და დააპირა კირიანზიკის და კორნილოვის (ბერძნები იყვნენ) ფირმასთან მუშაობა. მას რასაკვირველია, დილით ადრე



კილავართამი (ქვედა ჭიქაურამი)
ფოროუდის ტუნელიდან ცხენით მარჯანმცი გამოვაქვთ (ვაგზნატკათი).

მუშები უნდა მიეყვანა სამუშაო ადგილზე, რათა ჩვენთვის მიესწროთ და მუშაობა დაეწყოთ. მართლაც ორშაბათ დილით სამუშაოზე მისვლისას ჩვენ იქ დაგვხვდენ ახალი და უცხო მუშები, რომელნიც უკვე შესდგომოდენ ვაგონების დატვირთვას. ამ ადგილზე ჩვენ ვმუშაობდით და ამ საბუთით მოკსთხოვეთ მათ მუშაობა შეეწყვიტათ, მაგრამ მათ მტკიცე უარი დაგვარტყეს და ეს კამათი დასრულდა ჩხუბით. მოვარდა პოლიცია. გაგვაზავეს. ჩვენ ჩავდექით სამუშაოზე და შეკუდექით ტაბელის წაკითხვას,—აღმოჩნდა, რომ ორი ამხანაგი გვაკლია, ისიც გავიგეთ, რომ ეს ორი კაცი ჩვენდა შეუმჩნეველად, ამ ჩხუბის დროს, პოლიციას დაჭერილები წაუყვანია. იმწამსვე დავსტოვეთ სამუშაო და წავედით სადგურზე, სადაც იმ დროს მთავარი ინჟინერი ავდეევი უნდა მისულიყო. კინახულეთ ავდეევი, რომელსაც ჩვენი არტელის ხელმძღვანელმა კოლია ჩხეიძემ გააცნო შექმნილი მდგომარეობა.. ინჟინერი ავდეევი მეტად გაჯავრდა მომხდარი ამბავის გამო და ტელეფონით დაელაპარაკა ბოქაულ პ. მესხს, რომელსაც მოსთხოვა დაუყონებლივ გაენთავისუფლებია ორი დაჭერილი მუშა ტარასი ხიჯაკიძე და ელისე ცერცვაძე. ბოქაული უარზე დადგა. მაშინ ავდეევი დაემუქრა მას:

— მუშები სადგურზე იმყოფებიან, ვაგონები მარგანეცით არ იტვირთება, 450 ვაგონი სცდება და ამაზე პასუხს თქვენ აგებთ.

ბოქაულმა იმ წამსვე გამოუშვა დაჭერილები და ჩვენ მაშინვე დავიწყეთ ვაგონების დატვირთვა.

შემდეგში რაიმე მნიშვნელოვანი ინციდენტი აღარ მომხდარა და მთელს ჭიათურაში გახურებული და გაცხარებული მუშაობა სწმრმოებდა. როდესაც იფეთქა საერთაშორისო ომმა, ჭიათურაში ასი მუშა თუ დარჩა. მეც წავედი ფრონტზე.

რევოლუციის წინ ჭიათურაში.

1916 წლის სექტემბრის დამდეგს, კავკასიის ფრონტზე მძიმედ დაჭრის შემდეგ, სამი თვის შვებულება მივიღე და ჭიათურას მივაშურე. რასაკვირველია, მოვიკითხე პარტიული ამხანაგები და გავეცანი ადგილობრივ პარტიულ მუშაობას. იმ დროს ჭიათურის პარტიულ მოღვაწეობას ხელმძღვანელობდა კომიტეტი, რომელშიაც წევრებად იყვნენ: გრიგოლ ფხალაძე, პეტრე პეტრიაშვილი, მოსე ჩუბინიძე, გალო კაპანაძე და ისიდორე ხარატიშვილი.

ვინაიდან თავს მოღონიერებულად ვგრძნობდი და ფულიც მესაჭიროებოდა, სანამ შვებულება მექნებოდა დავიწყე ვაგონის ტვირთვაზე მუშაობა.

ჭიათურის შავიქვის მრეწველობა ითვლებოდა თავდაცვის დარგად და ამ მხრივ, იქ მუშაობა ხალხს ათავისუფლებდა სამხედრო ბეგარისაგან,—და რადგან ჩვენს პარტიულ ამხანაგთა შორის დამარცხებითი მიმართულება ანუ დეფეტისტობა ფესვგამდგარი იყო, ამიტომ ბევრი ამხანაგი მოწყობილიყო მარგანეცის წარმოებაში.

1916 წლის სექტემბერში, მრეწველებს წარვუდგინეთ ახალი, მაგრამ მცირე მოთხოვნილება, რაც მაშინვე იქმნა დაკმაყოფილებული და ამნაირად გაფიცვაც აცილებული.

დავის მიზეზი იყო მეურმეთა შავიქვის ჩამომზიდავთა მოთხოვნა. საქმე ის არის, რომ როცა შავიქვა დასველებული იყო, მესასწორე მრეწველისა ყოველ ათ ფუთ ქვაზე ერთ ფუთს უკლებდა მეურმეს. მეურმენი კი ამტკიცებდენ:

— რა ჩვენი ბრალია, ქვა არის გარეცხილი და მოგვაქვს ის პირდაპირ ქარხნიდან, და სიმძიმე ჩვენი ხარებისათვის ამ სისოვლით ხომ არ კლებულობსო.

იყო ისეთი შემთხვევაც, როცა მრეწველთა და მეურმეთა შორის მოლაპარაკებას დაესწრო ბოქაული შენგელია.

ერთ დღეს ეს ბოქაული შენგელია შემხვდა სადგურზე და მოსალმების შემდეგ მითხრა:

— კაცო, რა საცოდავი ხალხი ყოფილან ეს მეურმეები! მე მჭირდება მათ მაგიერ ლაპარაკი! ნუ თუ ხეირიანი არავინა ჰყავთ, რომ დაიცვან, რასაც თხოულობენ?

— არ ვიცი, ბატონო, ახალი მოსული ვარ ომიდან და არცა მაქვს უფლება ამ საქმეში გავერიო-თქო,—ვუპასუხე.

მას გაეცინა, ხელი მაგრად ჩამომართვა და გამშორდა.

მე კი ვიფიქრე: ხომ არავის გავუცივარ? გამაციმბირებენ, თუ გამცა ვინმემ! მართლაც, ორჯერ ვიყავი მეურმეების კრებაზე ზაქარია გურულთან ერთად. ზაქარია იმ დროს ჭიათურაში იმყოფებოდა, ირკუტსკის გუბერნიიდან იყო გამოპარული.

ბოქაულთან შეხვედრის შემდეგ, მეორე საღამოს კვლავ ვეწვიეთ მეურმეებს, სოფელ ჯარბელაში. მეურმეები ცხოვრობენ ხარშილაძის თავლაში. როგორც ყველგან, აქაც მუშები იმყოფებოდნენ პირუტყვებთან ერთად; იქვე ეძინათ, იქვე სადილობდნენ და ეახშმობდნენ (ჭამდნენ ჭადსა და ყველს!). გაიმართა კრება და შეიქმნა სჯაბაასი მეურმეთა მოთხოვნილების შესახებ. ერთი მეურმე, გლეხი მაჭარაშვილი, გაჭირვეულდა და არ სურდა გაფიოვაზე რაიმეს გაგონება. სხვათა შორის მან სთქვა:

— ეხლა რომ ჩვენ გავიფიცოთ, მეფეს ეწყინება, რადგან ხელი შეეშლება «ვაინობა»-შიო.

ზაქარია გურულმა უთხრა:

— კაცო! მეფესთან რა საქმე გაქვს; შენ საქმე გაქვს პორფილე თოფურიასთან და სესია ლეკავასთან ო (მრეწველებთან).

— დაგვიჭერენ ბატონო და ციხეში ჩაგვყრიან.

— არავინ არ დაგიჭერთ ამ მოთხოვნისათვის და კიდეც რომ დაგიჭირონ, ამ თქვენ თავლას ციხე სჯობია!

ამ საუბარის დროს ერთი მეურმე, რომელიც დაკვირვებით მისჩერებოდა ზაქარია გურულს, მოკრძალებით ეკითხება მას:

— თქვენ, ბატონო, დათას შვილი არ ბრძანდებით? გურული ზაქარია?

ამ შეკითხვით გაოცებული, ყველა მეურმე პატივისცემით ფეხზე წამოდგა. ზაქარია გურულის სახელი მთელს იმერეთში კარგად ცნობილი იყო, განთქმული იყო როგორც ახალ თაობის კაცი და მეფის წინააღმდეგ მებრძოლი. ზაქარიამ აღარ დაფიცა თავისი ვინაობა და უპასუხა:

— დიახ, ბატონო, ზაქარია გურული გახლავარ.

ზაქარიას იქ ყოფნამ გადასწყვიტა საკითხი. გადაწყდა მოთხოვნილებათა წარდგენა პატრონებთან და უარის შემთხვევაში: გაფიცვის გამოცხადება. კრების დასასრულს მე გავაფრთხილე დამსწრენი:

— არსად სთქვათ, რომ ნახეთ ზაქარია გურული.

მეურმეებს გაფიცვა არ დასჭირდათ, მათი მოთხოვნა მიიღეს: ამიერიდან ათ ფუთ სოველ ქვას ათ ფუთად უთვლიდენ წონაში.

ორი დღის შემდეგ ზაქარია გურული გაემგზავრა ქუთაისს, საიდანაც 20 სექტემბერს უნდა დაბრუნებულიყო. მატარებელი მოადგა ბაქანს, ვუცადეთ ზაქარიას, მაგრამ იგი არსად სჩანდა. ვიფიქრეთ, რომ წამოსვლა ვერ მოასწრო და ალბად ხვალ დაგვიბრუნდება-თქო.

მეორე დილით გავდივარ სამუშაოზე და ვხედავ: ზაქარია გურული შუაში ჩაუყენებიათ ჯარისკაცებს და მიჰყავთ პოლიციის მიმართულებით. ჩემი სამუშაო იარაღი გადავეცი ბიქტორ ჩუბინიძეს, რომელთან ერთად მე ვიყავი, და გავსწიე საბოქაულოსაკენ. გზაში ვიყიდე თორნის პური, ყველი და ზელტერის წყალი. ზაქარია უკვე საბოქაულოს ეზოში დამხვდა. იჯდა ხის ძირში და შორიახლო ედგა მცველი—სტრაჟნიკი. მცველმა, რასაკვირველია, მასთან ახლო არ მიმიშვა და გავეშურე ბოქაულისაკენ.

ბოქაულმა შენგელიამ მაშინვე შემიხმო, დამიდგა სკამი და მითხრა:

— კაცო, როგორ მოგივიდათ, რაფერ ჩავარდა! არა გრცხვენიათ?

მე გავწითლდი. ველარაფერი ვუთხარი. ხოლო ვთხოვე:

— ნება მიბოძეთ გადავცე ყველი და პური.

— მიდი კაცო! თუ გინდა მთელი დღე მასთან დარჩი! ჯერ ჟანდარმის კონვერტი არ გამიხსნია.

მივედი ზაქარიასთან და მისალმების შემდეგ მითხრა:

— ეს ცხელი პური და ყველი კარგი მოგონილია! როგორ დამიჭირეს? სრულიად შემთხვევით. არავის არ გავუცივარ. ბილეთების გასინჯვის დროს კონდუქტორმა შიგ სახეში მომანათა ფარანი; იქვე გამყოლმა ჟანდარმა მიცნო, მოიყვანა ორი ჯარისკაცი და დამიჭირა. წუხელივე დამკითხეს და მე მათ განვუცხადე: რუსეთიდან მე ჩემს საქმეზე არ წამოვსულ-

ვარ; მე ჩამოვედი ელისაბედ წერეთლის საქმეების გამო. მ[illegible] მას მაღაროების გეგმებს ვუკეთებ და ეს მეტად საჩქარო საშუშაოა-თქო. ეხლავე შეატყობინე ეს გრიგოლ ფხალაძეს, რათა მან ინახულოს ელისაბედ წერეთელი და აუხსნას ჩემი თავგადასავალი. ელისაბედმა უნდა დამიდასტუროს ჩემი ნათქვამი. ამ შემთხვევაში მე უფლება მექნება ჩემი ნებით დავბრუნდე ირკუტსკის გუბერნიაში და ამნაირად ავცდები სა შინელ ეტაპებს-ო.

საჩქაროდ გავსწიე გრიგოლ ფხალაძესთან, მოვუყევი ზაქარიას ამბავი. გრიგოლი იმდღესვე წავიდა საჩხერეში ელისაბედ წერეთელთან. ელისაბედმა გაიკვირვა ზაქარიას დაბრუნების ამბავი და თქვა თურმე:

— დაუდგრომელი კაცია ჩვენი ზაქარია!

იმ დღესვე ელისაბედ წერეთელმა დეპეშით სთხოვა ყან დარმთა პოლკოვნიკს: ნება მიეცა ზაქარია გურულისათვის საჩხერეში ორი დღით დარჩენილიყო. საჩხერეში ზაქარიამ მშვენივრად გაატარა ორი დღე, მესამე დღეს ქუთაისიდან მოვიდა ყანდარმთა როტმისტრი, რომელმაც ზაქარია თან წაიყვანა.

ზაქარია გურული თბილისში გადაიყვანეს და თბილისიდან ერთ დღეს ვასო წულაძის დეპეშა:

— 500 მანეთი გამოგზავნეთ ზაქარიას გზის ფულად. თუ თავისით წავა, ასცდება ეტაპებსო.

ჩვენ ორ დღეში შევაგროვეთ საჭირო თანხა და გავატანეთ თბილისში ბიკტორ მელიქოვს. ამ უკანასკნელმა ვეღარ ჩაუსწრო ზაქარიას,—იგი უკვე გაემგზავრებინათ. ვასო წულაძეს მიეტანა მისთვის ფული და ზაქარიაც ერთი ჯარისკაცის თანხლებით, სამგზავრო მატარებელით გაუდგა გზას ციმბირისაკენ.

მელიქოვმა, რასაკვირველია, ეიათურიდან ჩატანილი ფული გადასცა ვასო წულაძეს.

გავიდა ცოტა დრო.

მოვიდა 1917 წლის რევოლუცია და მას თან მოჰყვა ზაქარია გურულიც, ბევრ სხვა ამხანაგებთან ერთად, რომელნიც ციმბირში, რუსეთის ციხეებში თუ კატორღაში იტანჯებოდენ.

ირაკლი (კაკი) წერეთელის დაბრუნება.

რევოლუცია და ომი ჯერ კიდევ ერთად მიმდინარეობდა. მაგრამ თავიდანვე ბოლშევიკებმა განსაკუთრებული გზა აირჩიეს ომის მიმართ და «ძირს ომი»-ს ლოზუნგით გამოვიდენ. ასეთ ქადაგებას ფართო ასპარეზი გაუჩნდა და ომით დაღლილ. შეწუხებულ და დაშლილ ჯარზე იგი დიდ გავლენას ახდენდა. ამ მხრივ ბოლშევიკების გავლენა დღითიდღე ფართოვდებოდა, როგორც დასავლეთის, ისე კავკასიის ფრონტზედაც.

ჩვენებური ბოლშევიკური გაზეთი «ბრძოლა» და «კავკასკი რაბოჩი», რასაკვირველია, ომის საწინააღმდეგო ხაზზე იდგა. და გვიქადაგებდა: რომ დღეს თუ არა ხვალ, ლენინი აიღებს ხელისუფლებასო. ამავე დროს იწყება გენერლების (კორნილოვის და ალექსეევის) მოძრაობა და ისმება საკითხი ცენტრალ მთავრობის გარდაქმნისა და დემოკრატიული ბლოკის შექმნის შესახებ. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში იმ ხანად ამ საკითხს დიდი ყურადღება ექცეოდა და მის შესახებ ხშირი მსჯელობა იმართებოდა. ჩვენმა რაიონულმა კომიტეტმა თბილისში, ავლაბარის კლუბში მოიწვია პარტიული საზოგადო კრება, სადაც მომხსენებელად გამოვიდა რაჟდენ (მიშა) არსენიძე. მომხსენებელმა სასტიკად დაჰგმო ბოლშევიკების პროვოკაციული გამოსვლები, «სამოსუდები» და სხვათა შორის ის ამბავიც მოგვითხრო, რომელიც პეტროგრადის პუტილოვის ქარხანაში მოხდა: მუშებმა როცა დაინახეს, რომ ომი გრძელდება და ეს ომი არის დემოკრატიის გასამარჯვებლად, განაცხადეს: ნიკოლოზის დროს ჩვენ არ ვიცოდით რისთვის ვომობდით; ეხლა ჩვენ ვიცით ეს და რვა საათის მაგივრად 10 საათს ვიმუშავებთ. ამას მომხსენებელმა ისიც დაურთო, რომ კერენსკის მთავრობამ გამოაცხადა: ომი ბოლომდე! და კაკი წერეთელმა მთავრობაში სიკვდილით დასჯას ხმა მისცაო.

იმავე ავლაბრის კლუბში მოხსენება წაიკითხა ბოლშევიკების წარმომადგენელმა მიხა ცხაკაიამ; მის წინააღმდეგ გამოვიდა ალექსანდრე დგებუაძე. კრება იყო მეტად აღელვებული და კამათი მტად ცხარე.

ბრძოლა ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის თანდათან მკაცრ ხასიათს ღებულობდა და რადგან თბილისის თვითმართველობის არჩევნებისთვის მზადებაც სწარმოებდა, ამიტომ ჩვენი შეხლა-შემოხლა უარესდებოდა.

საპროპაგანდოთ ჩვენ მოწყობილი გვქონდა კამიონებზე ქურა და გრდემლი. ზედ იყო ამართული წითელი დროშები და პლაკატები: ხმა მიეცით სოციალდემოკრატიულ პარტიას! ხმა მიეცით ნომერ პირველს! კამიონებით პროპაგანდისტები უვლიდენ თბილისის რაიონებს, იმართებოდა ხშირი კრებები. აგიტაცია სწარმოებდა რუსულ და ქართულ ენაზე. ყველაზე ხშირად რუსულ ენაზე ლაპარაკობდა ვალიკო ჯუღელი, ხოლო ქართულად ზაქარია გურული. თბილისის ყველა რაიონში სწარმოებდა გაცხარებული მუშაობა და ამის შედეგად თბილისის ქალაქის არჩევნებში ჩვენ ბრწყინვალედ გავიმარჯვეთ. თბილისის ძველი ქალაქის თავი სომეხი ალექსანდრ ივანიჩ ხატისოვი სოციალდემოკრატმა ქართველმა შესცვალა.

ბოლშევიკურმა გაზეთმა «ბრძოლა»-მ სასტიკი იერიშები დაიწყო ვალიკო ჯუღელის წინააღმდეგ, რომელსაც იმქამად ჯერ კიდევ ბოლშევიკის სუნი ჰქონდა.

— ეს ვითომ ჩვენი ამხანაგი ჯუღელი,—სწერდა გაზეთი,— სად არის, რას ფიქრობს? ჩვენთან კაკანებს და კვერცხს მენშევიკებთან დებსო!

ცხადია, ბოლშევიკებს ჯუღელისათვის ლანძღვა-გინება არ დაუკლიათ.

ჩვენმა რაიონულმა კომიტეტმა ავლაბარში ერთ დღეს მოიწვია პარტიული საჯარო კრება და აქ პირველად ვნახე ვალიკო ჯუღელი, რომელმაც მოხსენება წაიკითხა «მიმდინარე მომენტზე». მან როგორც ჩემზე, ისე საერთოდ კრებაზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ერთ დღეს ჩვენმა გაზეთმა «ერთობა»-მ გვამცნო, რომ თბილისში მოდის კაკი წერეთელიო. ყველას გაგვეხარდა ეს ამბავი და მოუთმენლად ველოდით მის ჩამოსვლას, რადგან ამ დიდი და განთქმული მოღვაწის პირადათ ხილვა ყველას გვენატრებოდა.

5 ოქტომბერი 1917 წელი, საღამოს ხუთი საათია. თბილისის მუშები და საერთოდ მთელი ხალხი დავირაზმეთ და წითელი დროშებით ხელში, გავედით ოლდის ქუჩით; ხალხის დიდი ნაწილი ადრევე უკვე წასული იყო საქართველოს სამხედრო გზისაკენ; ამ გზით უნდა ჩამოსულიყო კაკი. თბილისიდან სამი ვერსის მანძილზე თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა, რომელსაც შეუერთდენ იქ მდგომი ქართული პოლკის ჯარისკაცებიც. გამვლელ ავტომობილებს აჩერებდენ და ეძებდენ კაკის,—ეშინოდათ შემთხვევით არ გაგვეპაროსო. ბო-

ლოს გამოჩნდა ერთი დახურული ავტომობილი, და ნაცნობებმა დაინახეს თუ არა კაკი, აღტაცებით შესძახეს: კაკი მოვიდაო! ატყდა ტაშის გრიალი და ძახილი: გაუმარჯოს კაკი წერეთელს!

კაკი გადმოვიდა ავტომობილიდან, მუშებმა სტაცეს მას ხელი, აიტაცეს ჰაერში და იქ, იმ შესახვედრ ადგილზე მომზადებულ ტრიბუნაზე შესვეს. ჩამოვარდა სრული სიჩუმე. ყველა განაბული მისჩერებია კაკი წერეთელს და უცდის მის სიტყვას. მაგრამ ჯერ მისალმება იყო საჭირო და სიტყვა უთხრეს ამხ. ბახტაძემ და ვლასა მგელაძემ. ამ უკანასკნელმა თავისებური მგზნებარე სიტყვით მიმართა მას. მის სიტყვას აქვე ვათავსებ:

«ამხანაგებო და მოქალაქენო!

«ვის ელოდა ასე მოუთმენლად კავკასიის პროლეტარიატი, კავკასიის დემოკრატია? რამ შეაერთა თბილისის სხვადასხვა ერები ვარსკვლავებით მოკაშკაშებულ ცის ქვეშ? ამ მოხლვავებულ ხალხის თავზე ვის დასახვედრათ ფრიალებენ წითელი ფერადი დროშები? ძველათ ასე მეფეებს ხვდებოდენ. აქ კი, ჩვენს წინ დგას ჩვენი წრიდან ამოზრდილი ჩვენი საყვარელი კაკი წერეთელი. ვინ არის კაკი?

«ბავშმაც კი იცის მისი სახელი»!

«ძვირფასო კაკი!

«აი ეს ბავში, რომელიც შენ შეგეგება თაიგულით ხელში ამ ტრიბუნაზე, რომელიც მორწყულია ხალხის სისხლით და რომელიც თავისუფლების გმირთა ძვლებ-ტვინ-ნერვებზე არის დამაგრებული, რომლის გარშემო ამაყათ ფრიალებენ თავისუფლების დროშები, არის შვილი კავკასიის მუშათა საყვარელი სილიბისტრო ჯიბლაძის და გილოცავთ ბედნიერათ მოსვლას!

«კაკი! აჰა თბილისი, სად აღიმართა პირველად დროშა უკვდავი, დიადი; გააცისკროვნა კავკასია და შორს გაჰფანტა წყვდიადი!

«ამ ათი წლის წინათ სხვებთან ერთად შენც აგირჩიეთ კავკასიიდან მეორე სახელმწიფო სათათბიროში და როცა თბილისის სადგურზე გაცილებდით, ჯალათ მეფის დამცველებმა მათრახებით გვიფრინეს და სიტყვის თქმა არ დაგვანებეს. მაგრამ მალე შენი მქუხარე, ცეცხლმფრქვევი სიტყვები მძლავრათ გაისმა დუმის ტრიბუნიდან და მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო... მიიპყრო, მაგრამ სხვებთან ერთად ჯალათებმა შენი საყვარელი თავი მოგვტაცეს: შენს უეშმარი-

ტების დასაცავათ ამეტყველებულ ენაზე კლიტე დაადვეს. ფეხებში ბორკილები გაგიყარეს და შენ ჭკვიან, შორსმჭვრეტელ თვალებს რკინის მესრები მიუჩინეს სამზერათ! რუსეთის რევოლუციის წინმსვლელობა რეაქციონერებმა სისხლში ჩაახრჩვეს, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ჩვენდა ანთებული, დროებით ჩააქრეს!

«მიუხედავათ ამისა, აქ ამართული დროშა ხელიდან ხელში გადადიოდა. მის დასაცავათ ამხანაგები მას მსხვერპლათ ეწირებოდენ. ამ დროს. ამ ბრძოლაში შენი ხმა, ვით გალიაში დამწყვდეული ლომის—გვესმოდა; შენი არწივისებური თვალები ჩამესრილ სარკმელიდან ჩვენსკენ იყო მოპყრობილი! რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე თავისუფლების დასაცავად მებრძოლნი ისე კვდებოდენ და ჰქრებოდენ, ვით ჩვენ საყვარელ სამშობლოს ცაზე მოწყვეტილი ვარსკვლავი, მაგრამ მებრძოლთა რაზმს ისე ემატებოდა, როგორც ცის სივრცეში ვარსკვლავთა მნათობთ და ისე იკვირტ-იფურჩქნებოდენ ვითარცა მაისის ბუჩქნარ-ყვავილები! და როცა ტახტი მზაკვრობის და მონობისა დაემხო, ჩვენი საყვარელი კაკი ციმბირიდან აქ, ჩვენ მშვენიერ საქართველოს წალკოტ მხარეში კი არ მოსულა დასასვენებლათ და განსაცხრომათ. არამედ იქ პეტროგრადში, რუსეთის ცენტრში მიიჭრა, სადაც სხვადასხვა ჯგუფები და კლასები ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ იბრძოდენ და ამ ბრძოლაში კაკის ხმა მძღავრათ გაისმა, შისმა გამოსვლამ მთელი ევროპის ყურადღება მიიპყრო და მშრომელ ხალხს იმედით გული აუვსო! მასში მთავრობის ჯალათებმა არამც თუ ჩაჰკლეს და ჩააქრეს ის ღვთიური ცეცხლი. რომელიც ნაპერწკალსავით დუმის ტრიბუნიდან გამოკრთა. არამედ ციხე-ბორკილებში გამობრძმედა, ვითარცა ფოლადი გამოაწრთო, ჭკუა-გონებით გაივსო და ვით მოელვარე მზე დიდებით გამობრწყინდა! თავრიდის სასახლეში მისი გამოსვლები მეგობარ პატროკლის დამკარგავ შურით სავსე ახილესს ემსგავსებოდა, მისი თავისუფლებისაღმი აღსავსე გული—სიყვარულობით თავდავიწყებულ ტარიელ-ავთანდილს. მისი ენაწყლიანობა, მისი პოლიტიკური გაბედული ნაბიჯები—ლასალისას ედარებოდა!

«კავკასიის მხარეს მისი მოსვლის ხმა ელვის სისწრაფით მოედო; ამომავალ მზის სხივებით გაღვიძებულ არსებასავით ხალხს გული აუტოკდა მოუთმენლათ, სიამოვნებით ნამტირალ თვალებით კავკასიის მთაგრეხილისაკენ ვიცქირებოდით. ნანატრი წამი მოგვიახლოვდა! მყინვარ-იალბუზის მწვერვალს



ვლასა მგელაძე.

ამომავალმა მზის სხივებმა სპეტაკი თავი გადაუკოცნა, მის უმანკოებას ეამბორა და მშვენიერ საქართველოს ახატულ-აქარგულ კალთებში სხივები ოქროს ფერად დააფრქვია! ჩვენი მთების შიკრიკი, ბროლივით გამსჭვირვალე მჩქეფარე არაგვი, საჩქაროთ-სამახარობლოთ სამშობლო მხარისაკენ შხრიალებდა და სასიამოვნო ამბავით არემარეს ახმატკბილებდა! მთის სიო-ნიავი სისწრაფით კავკასიის კალთებს, ველ-მინდორს თავს ევლებოდა, საამაყო შვილის მოსვლას აცნობდა; კავკასიის მრავალ-რიცხოვანი ერები, პარტიები, ჯგუფები კაკის ერთმანეთს ეცილებოდა! შავი ზღვა—წითელ ზღვას, არარატი—იალბუზ-მყინვარს; კავკასიის გარშემორტყმული მთები გრგვინვით ერთმანეთს გასძახოდა: ეს ჩვენი საერთო შვილია! კავკასიის ქედზე მიჯაჭულ ამირანს ბორკილები დაუმსხვრევია და ხალხის მზეთა მზის ჭაბუკ ამირანის ზეიმი საერთო დღესასწაულია, მის ბუნებაში ჩვენი ძალა გამოსჭვივისო! დედამიწის ყველა კუთხიდან ისმოდა ხმა: მშვენიერ საქართველოს და კავკასიის შვილის შვილის ტახტი მსოფლიოს ინტერნაციონალური სახელიაო! როცა მდიდართა კლასებმა ძმობა-ერთობა-სიყვარულის ტახტი დაანგრიეს და დროებით ქვეყანაზე ჯოჯოხეთი გაამეფეს, როცა მთელი ქვეყნის კულტურა გაანადგურეს, როდესაც კაცობრიობას ისეთ ადამიანებს ვერაგულათ უკლავენ, როგორც ყორესია, მაშინ მუშათა კლასი თავის წრიდან კაკი წერეთელს იძლევა. წამების გვირგვინით შემოსილი საკაცობრიო კვარცხლბეკზე აყავს, მოწამებრივი შარავანდედის სხივით მოსავს და ეუბნება: თქვენ მიერ ნათეს ნარეკალში მუშათა კლასმა ასეთი ყვავილი კაცობრიობის სახელით ამოგზარდათო! სად არის სიკვდილო ძალა შენი? სად არის წყვდიადო სიბნელე შენი? სად არის ბოროტებავ მზაკვრობა შენი? მშვენიერება დიდებით იმოსება და შენ, კავკასიის არწივო, ათი წლის ტანჯვა-წამების შემდეგ, ამ წითელი დროშების ქვეშ გაიხარე გულით და ცამდის სულით!»

აღფრთოვანებულმა ვლასამ გაათავა თუ არა სიტყვა, ხელი სტაცა სილიბისტრო ჯიბლაძის ვაჟს—პატარა ვალიას—აიყვანა და მიიყვანა კაკისთან, რომელსაც მან გადასცა თაიგული.

დაიწყო ლაპარაკი კაკიმ. მან წარმოსთქვა სიტყვა რუსულად და ქართულად. ქართულ სიტყვაში, სხვათა შორის, მან სთქვა, რომ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების მატარებელი არის პროლეტარიატი, რადგან იგი თავიდანვე

ჩაუდგა ერის კულტურულ აღორძინებას. მე ყოველთვის პროლეტარიატთან ვიყავი დაკავშირებული და ამნაირად ჩემს ერთანაც. ვიბრძოდი პეტროგრადში, თუ აქ, მე მრწამდა, რომ ვიბრძოდი ჩემი ერის ინტერესებისათვისაც, რადგან ვარ დარწმუნებული, რომ პროლეტარიატის თავისუფლებისა და ბედნიერების გარეშე არ არის არც ჩემი სამშობლოს თავისუფლება და ბედნიერებაო.

ხალხი დიდი ოვაციით შეხვდა კაკი წერეთელის სიტყვას და «ურა»-ს ძახილით ხელში აიყვანეს და ავტომობილში ჩასვეს. ავტომობილი ნელა მიდიოდა, მას თან მიჰყვებოდა ხალხი და მუშები მღეროდენ მარსელიოზას. გზა და გზა კიდევ ხალხი გვხვდებოდა და გვემატებოდა; ბოზარჯიანცის ქარხანასთან თავი მოეყარათ კიდევ მუშებს და კაკის შეხვდენ ქართულად «ინტერნაციონალ»-ის სიმღერით. აქ კაკიმ მარტო ქართულად წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მოიგონა მეორე სახელმწიფო დუმის დეპუტატები: არჩილ ჯაფარიძე, სეევერიანე ჯუღელი, ჭოლა ლომთათიძე. ისინი უდროოდ დაიხოცენ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაშიო,—სთქვა მან, ხოლო არ მომკვდარა მათი იდეები, რომელთა გამარჯვებას ეხლა ვზეიმობთო.

აქედან კაკის ავტომობილმა გასწია სასახლისაკენ. ყველა სასახლისაკენ მიისწრაფის, ზოგი ეტლით, ზოგი ტრამვაით. დიდი უმრავლესობა ფეხით; ტრამვაის საფეხურებზეც ხალხი სდგას: ბევრი მიძვრება ტრამვაის სახურავზეც. ფრიალებს აუარებელი წითელი დროშა. გაისმის მარსელიოზის ხმა. მივედით სასახლეში. სასახლის აივანიდანაც წარმოსთქვა სიტყვა კაკიმ. სასახლის თეთრ დარბაზში კრება იყო. აქ კაკის მიესალმენ მუშათა ცენტრის წარმომადგენლები და საპასუხოდ კაკიმ დამსწრეთ გადაუშალა თვალწინ და დაუხასიათა თავისი შეხედულებები მიმდინარე მომენტზე:

— კავკასიის პროლეტარიატმა ბევრი დეპუტატი მოგვცა და ჩვენი გამამხნევებელი და ჩვენს გულში რევოლუციის ცეცხლის აღმგზნებელი იყო ჩვენი მასწავლებელი და ხელმძღვანელი ამბანაგი ნოე ჟორდანია.

ამ სიტყვას დამსწრენი დიდი ტაშით მიეგებენ.

— თუ ჩვენ,—განაგრძობდა კაკი,—რეაქციის შავბნელ დროსაც იმედებს არ ვკარგავდით და ძალას ვპოულობდით, ეს იმიტომ, რომ სულიერად დაკავშირებული ვიყავით კავკასიის ხალხთან და აქ კი მუდამ რწმენის ცეცხლი გიზგიზებდა. ბრძოლის დროშა მუდამ ფრიალებდა აქ და ამ რევოლუციის

ხანაშიც ხომ ჩვენ ყურადღებით ვუსმენდით კავკასიის პროლეტარიატს, ვუწევდით ანგარიშს მის აზრებს. ამ მიმდინარე მომენტში ჩვენს შორის ერთგვარი უთანხმოება მოხდა, მაგრამ ამის მიზეზი არის ის სხვადასხვა პირობა, რომელიც ჩვენ ვვაქვს აქ ერთი მხრივ და პეტროგრადში მეორე მხრივ. აქ, კავკასიაში, პროლეტარიატი წელთა გასწვრივ საკუთარ პოლიტიკას ეწეოდა; აქ იყო მისი ჰეგემონია და მისი დროშის ქვეშ დარაზმული იყო მთლიანი დემოკრატია. რუსეთში კი სულ სხვაგვარი მდგომარეობა იყო; იქ თვით დემოკრატია იყო განხეთქილი და დაქსაქსული; მხოლოდ ეხლა იწყებს იგი ორგანიზაციების შექმნას,—იგი ერთი მხრივ ხელს უწვდის პროლეტარიატს, ხოლო მეორე მხრივ ბურჟუაზიას. ამიტომ ვიყავით ჩვენ თქვენ მიერ მოთხოვნილი ერთფეროვანი (სოციალისტური) მთავრობის შედგენის წინააღმდეგი და ვიცავდით კოალიციური მთავრობის შექმნას; ჩვენ არ გვინდოდა დემოკრატიის იზოლიაცია, რადგან ეს დაღუპავდა რევოლუციას, ვინაიდან დემოკრატია გაერთიანებული არ არისო. როდესაც იგი პროლეტარიატის დროშის ქვეშ მოიყრის თავს, ისე როგორც აქ, კავკასიაში, მაშინ პროლეტარიატსაც შეეძლება ხელისუფლების დაპყრობაო. თქვენ გსურთ გაავრცელოთ ის ვითარება, რომელიც აქ, კავკასიაში არსებობს მთელ რუსეთზე და ეს შეუძლებელია, რადგან იქ დემოკრატია დანაწილებულია და ეს რევოლუციას საფრთხეში ჩააგდებსო. ეს არის ჩვენს შორის განსხვავება, როგორც ხედავთ წარმავალი და თუ რევოლუციას მივიყვანთ დამფუძნებელ კრებამდე, ჩვენ მას მკვიდრ საფუძველს შევუქმნითო. ჩვენ უნდა შევებრძოლოთ როგორც კონტრევოლუციას, ისე ანარქო-სინდიკალისტურ მოძრაობასო. დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო მისი სიტყვა, რომელსაც ხალხი აღტაცებით და ტაშით შეხვდა. (გაზ. «ერთობა» № 166).

ორი დღის შემდეგ ჩვენი პარტიის ცეკამ პლეხანოვის კლუბში მოიწვია მოწინავე პარტიული ამხანაგების კრება. თბილისის პარტიული კომიტეტის თავმჯდომარე კოწია გვარჯალაძე იყო, მაგრამ აღნიშნული კრება იყო მოწინავე პირების და თავმჯდომარეობდა სილიბისტრო ჯიბლაძე. რომელმაც კრება გახსნა მცირე სიტყვის შემდეგ:

— თქვენ იცით ამხანაგებო, რომ რუსეთში იყო დემოკრატიული თათბირი; იქ ჩვენი დელეგატები იცავდენ ერთფეროვანი სამინისტროს შექმნის საჭიროებას. ამხანაგი წერეთელი და კერენსკი იცავდენ ფართო კოალიციური მთავრო-

ბის შექმნას. ჩვენი დელეგატები დემოკრატიულთათბირზე უმცირესობაში დარჩენ, გაიმარჯვა ფართო კოალიციის აზრმა. ეხლა, თქვენ, მოწინავე ამხანაგებს იმიტომ დაგიძახეთ, რომ აქ არიან თვით ამხანაგი ნოე ჟორდანია და კაკი წერეთელი და მოვუსმინოთ მათთ.

ამის შემდეგ ნოე ჟორდანიამ კრებას გააცნო თავისი შეხედულება, თუ რატომ არის იგი წინააღმდეგი კოალიციისა და რატომ მოითხოვს სოციალისტური მთავრობის შედგენას რუსეთში. ნ. ჟორდანიამ სთქვა, რომ ხელისუფლების დაპატრონების თუ არდაპატრონებისათვის დემოკრატიის მომზადება არის ფაქტის საკითხი და ფაქტებზე არავინ დავობსო. ჩვენთვის საინტერესოა არა ის, მომზადებულია თუ არა დემოკრატია ძალაუფლების ასაღებად, არამედ ჩვენი ტაქტიკა დემოკრატიის მიმართთ. პარტია ისეთ გზას უნდა დაადგეს, რომ დემოკრატიის წინ წაწევის დროს არ დაჰკარგოს თავისი სოციალისტური დროშა და არ გადაიქცეს წვრილბურჟუაზიულ პარტიად. ჩვენ აქ, კავკასიაში, ასეთ ტაქტიკას კაწარმოებთ და ამის შედეგი არის ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის შეკავშირება-გადაბმა. ეს კავკასიური ტაქტიკა უნდა ვიხმაროთ რუსეთშიაც. ჩვენი კავკასიელი წარმომადგენლები პეტროგრადში ჩავარდენ ლიკვიდატორობის გავლენაში, რომლის წინააღმდეგ კავკასია ყოველთვის იბრძოდა. რევოლუციაში მონაწილე ძალები ერთი და იგივე არიან, მარცხენა ფრთა დაკავებული აქვს პროლეტარიატს. მარჯვენა—ცენზოვან-ბურჟუაზიას, და მათ შორის იმყოფებიან წვრილი ბურჟუბზიის ფენებე. რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მოაწყონ ძალაუფლება. პროლეტარიატსა და ცენზოვან ბურჟუაზიის შორის გაიმარჯვებს ის ფრთა, რომელსაც მიემხრობა წვრილბურჟუაზიული დემოკრატია. ამიტომ პროლეტარიატის ამოცანაა თავის მხარეზე გადმოიყვანოს ეს მერყეევი ფენები და ამნაირად იზოლიაცია მოუხდინოს ცენზოვან ბურჟუაზიას. როცა წვრილბურჟუაზიული დემოკრატია დაემორჩილება პროლეტარიატის ჰეგემონიას, მაშინ შეიქმნება პირობები სოციალური რევოლუციისა. პეტროგრადელი ამხანაგების ძირითადი შეცდომა ისაა, რომ იმის მაგივრად, გააერთიანონ დემოკრატია პროლეტარიატთან, იგი მიჰყავთ ცენზოვან ბურვუაზიასთან და ჰქმნიან კოალიციურ მთავრობას. თუ წვრილი ბურჟუაზია თავისით გადავა ცენზოვანი ბურჟუაზიის ბანაკში, ჩვენ მაშინ ანგარიშს გავუწევთ ამ ფაქტს და დავდგებით ოპოზიციაში

ამ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ მაშინ ჩვენ ამაში ბრალი არ გვექნებოდა. პეტროგრადელი მენშევიკების ტაქტიკა ხელს უწყობს ჩვენს დაშორებას პროლეტარიატისაგან, ხელს უწყობს მის რიგებში სტიქიური ბოლშევიზმის ზრდას. ბოლშევიზმის ზრდა დაღუპავს რევოლუციას; და მის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება ან სწორი ტაქტიკით ან ტყვიით. ბურჟუაზიას მივყევართ ამ უკანასკნელ გზაზე; ჩვენ კი მოვითხოვთ ტაქტიკის გადასინჯვასო და ეს ნიშნავდა ერთფეროვანი, სოციალისტური მთავრობის შექმნას.

ნოე ჟორდანიას შემდეგ ილაპარაკეს: ვლადიმერ ჯიბლაძემ, ალექსანდრე დგებუაძემ, ანდრო ჭიაბრიშვილმა, ვილიკო ჯუღელმა, გიორგი აფხაზავამ და სხ. სხვა შორის ალექსანდრე დგებუაძემ სიტყვა ასე დაიწყო:

— ნათქვამია კამბეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო, მაგრამ ჩემს აზრს მაინც ვიტყვიო.

ხოლო გიორგი აფხაზავამ თავის სიტყვა ასე დაასრულა:

— რათ ჩამოართვი ხელი, ამხანაგო წერეთელო, კადეტების დეპუტატს? სოციალისტმა ვერ უთხარით: შორს შენი ბინძური ხელიო?

ყველა მოლაპარაკე წინააღმდეგი იყო ირაკლი წერეთელის ტაქტიკის, მხოლოდ აკაკი ჩხენკელმა დაიცვა იგი, და როგორც დემოკრატიულ თათბირზე, აქაც დაუჭირა მას მხარი. ბოლოს სიტყვა ითხოვა თვით კაკიმ. იგი არც ერთ ჩვენს ორატორს პირდაპირ არ შეეხო; მან დაასახელა მრავალი ისტორიული საბუთი, როგორც საფრანგეთის, ისე რუსეთის რევოლუციიდან, თავის აზრებს ამტკიცებდა და ამაგრებდა მარქსის ნაწერებით; მერმე შეეხო რუსეთში შექმნილ დროებითი მთავრობის კრიზისს და ფართოდ დაასაბუთა კოალიციის პოლიტიკის აუცილებლობა.

ერთ-ერთ შეკითხვაზე: თუ ვინიცობაა ბოლშევიკებმა ხელისუფლება ჩაიგდეს, რა მოხდებაო,—კაკიმ უპასუხა:

— ჯერ, ამხანაგებო, ჩვენ ვერ ვუძღვებით სახელმწიფოს. ისეთ პირობებში ვართ, რომ პური გველევა და ბოლშევიკებმა კიდეც რომ ხელთ იგდონ ძალაუფლება, ორ კვირასაც ვერ შეინარჩუნებენ და რეაქცია გაიმარჯვებსო,—ამიტომაც არის აუცილებელი ფართო კოალიციაო.

კრება დაიშალა ისე, რომ კენჭისყრა არ ყოფილა.

შემდეგ დღეებში ნ. ჟორდანიამ წაიყვანა კაკი წერეთელი ჩვენი გაზეთის «ერთობა»-ს რედაქციაში და გააცნო მას გაზეთის თანამშრომლები. კაკიმ დაათვალიერა რედაქცია და სთქვა:

— «კვალი»-ს რედაქციას მომაგონებს!-ო.

შემდეგ ესტუმრენ «ბორბა»-ს, «ფაიქარ»-ს მას აქაც გააცვნეს გაზეთის თანაშრომლები. და საოლქო კომიტეტის სადგომში თავმოყრილ ამხანაგებს კარგა ხანს ემუსაიფა.

მეორედ მოეწყო კრება თბილისის ყველა რაიონის ორგანიზაციებისა სახალხო სახლში. აქაც იგივე კამათი იყო, როგორც წინა კრებაზე.

მესამე დიდი საჯარო კრება იყო შესასვლელი ბილეთებით. მანეთიან ბილეთს ათმანეთად ყიდდენ სპეკულიანტები და მეიდველები კი იმდენი იყო, რომ ბევრი ხალხი თეატრის გარეთ დარჩა. ეს იყო სახაზინო თეატრში. ასეთ დამახასიათებელ საუბარსაც მოვკარი ყური. მოვიდა ერთი ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი ცოლით. ცოლი შეეკითხა ქმარს:

— სად არის კაკი წერეთელი?

— აი ის არის, ნოე ჟორდანიას გვერდით. აბა, წავიდეთ. ჩვენ ვეღარაფერს გავიგებთ მაგათ პოლიტიკისაკ.

— მოიცადე პატარა, ძლივს მოვეხწარი ნოე ჟორდანიას და წერეთლის ნახვას, ცოტახანს დავრჩეთ კიდევ!

— ნახვით ხომ ნახე და მათ სიტყვებს ხვალ გაზეთში წავიკითხავთ. მაინც დარჩენ.

კაკი წერეთელს ყველა იცნობდა მისი რევოლუციური წარსულით, მისი უდიდესი როლით თებერვლის რევოლუციის დროს და ყველა იყო დაინტერესებული მისი ნახვით,— ამიტომ საქართველოს ყოველი კუთხიდან ეპატიჟებოდენ და იწვევდენ მას. პირველად მგონი, ქუთაისისაკენ გაემგზავრა.

ერთი კვირის შემდეგ გავიგეთ, რომ კარლო ჩხეიძე საიდუმლოდ მოდისო. წავედით სადგურზე შესახვედრად. იქვე მოვიდა შალვა შარაშიძე (თაგუნა). კარლო მალე მოვძებნეთ მატარებელში და რო დაგვინახა, გაკვირვებული დარჩა:

— ვინ გითხრათ რომ მოვდიოდი? ვინ გაგაგებინათ?

— შემთხვევით გავიგეთ,—ვუპასუხეთ ჩვენ და როცა გვითხრა, რომ იგი პირდაპირ თავის სოფლისაკენ მიდის, დავუწყეთ ხვეწნა: რამდენიმე დღით თბილისში დარჩენილიყო.

კარლომ სიტყვა ბანზე აგვიგდო და თავისებური ხუმრობით გვითხრა: ბოშო, ახლა გვიან არის, კაკიმ მომასწრო!

გულდაწყვეტილნი გამოვემშვიდობეთ კარლოს, რომელიც თავის სოფელ ფუთში გაემგზავრა.

საქართველოში უკვე თავს იყრიდენ რევოლუციური მოძრაობის სახელოვანი და განთქმული ჩვენი მოღვაწენი.

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ.

უცხოეთში, სამშობლოს მოწყვეტილი 20 წლის მახძილზე, როცა ხელთ არა გვაქვს ჩვენი ყოველდღიური ბრძოლის დიდი თარიღებიც კი, როცა, შეიძლება ზოგი რამ დაგვავიწყდა კიდეც, ძნელია მოგონებათა დაწერა. მაგრამ როდესაც თავს გვესხმიან და არასამართლიანად აფასებენ წარსულს, მაშინ იძულებული ხარ, თუ მართლა დამნაშავედ არ გრძნობ თავს, ხმა ამოიღო და ჩვენი წარსული საქმიანობა საზოგადოების წინაშე გამოიტანო. კრიტიკა, რასაკვირველია, ყოველთვის საჭიროა, მაგრამ კრიტიკა ზეპირი, არსებულ პირობათა შეუსწავლელობის გარეშე, და განზრახ შეთხზული სარგებლობის მომტანი არ არის და წარსულს სწორად ვერ დაგვაფასებინებს. ზოგიერთმა დაიწყო აქ, უცხოეთში, მოგონებათა წერა, როგორც მაგალითად, ჟურნალ «მხედარი»-ში ბ.ბ. გ. ჩხეიძემ, გ. კვინიტაძემ, ბ ნმა რეზო გაბაშვილმაც წაიკითხა მოხსენება «ჩვენი დამარცხების მიზეზები 1921 წელს» და ყველგან მე დავინახე მიკერძოება, არა-სამართლიანი დაფასება.

მე გახლდით სახალხო გვარდიის შტაბის წევრი, ვიყავი მუდამ მთავარი შტაბის განკარგულებაში. გვარდიის დაარსებაში 1917 წელს მივიღე მონაწილეობა და დავრჩი გვარდიაში სულ უკანასკნელ ხანამდე. ჩემი მოგონების პირველ წიგნში მე მოკლედ ავწერე ის ბრძოლები, რომელიც აწარმოა სახალხო გვარდიამ და გზადაგზა ვახასიათებდი იმ პირობებსაც, რომელშიც სახალხო გვარდიას მუშაობა და ბრძოლა უხდებოდა.

ბაბუა ჩემი ეგნატე ხშირად გვეტყოდა ხოლმე:

— შვილებო, თუ მტერი არა გყავთ, ისე გაზარმაცდებით, რომ ბუჯრიდან ჭადის მოტანა დაგეზარებათ და შიმშილით დაწყდებით! თუ კარგი ფხიზელი მტერი გყავთ, თვალი მუდამ თქვენი ბუჯრისაკენ გაქვთ და რასაც მოაკლებთ, ზედმეტსაც დაუმატებთო.

გამახსენდა ეს ნათქვამი, როცა ჩემი პირველი წიგნის, «მოგონება»-ს შესახებ ბ-ნ რევაზ გაბაშვილის დაფასება წაიკითხე. ბ-ნი გაბაშვილი ცუდი მტერია, რადგან უსამართლოდ მეპყრობა,—ჯერ ერთი მიკიჟინებს, რომ ქართული წერა არ ცოდნიაო. მე არ შემიძლია დავიკვეხო, რომ ქართული ენის დიდი მცოდნე ვარ, მაგრამ არც სხვაა ბევრი ემიგრაციაში,

ვინც ქართული მართლა კარგად იცის. გიმნაზია-უნივერსიტეტი მე არ დამისრულებია; ბავშობიდან მაღაროებში ვმუშაობდი, ბევრი ვარამი, ბევრი ქარცეცხლი გამომვლია. ბევრჯერ დამიწყეულია გაჩენის დღეც,—ვიბრძოდი ჩემს ბედში მყოფ ხალხთან ერთად და ამ ბრძოლის მოკლე ამბავი ავწერე ისე, როგორც შემეძლო.

ბ-ნი გაბაშვილი მიწუნებს წიგნში გამოქვეყნებულ სურათებსა, თითქო, გამოდის, განგებ დავბეჭდე ცუდი სურათები. სხვა ტანისამოსი მაშინ ხალხს არ ეცვა, ეს იყო ჩვენი სიღარიბის ამბავი,—კლიშეები კიდევ კარგი არ არის, რადგან გადაბეჭდილია და არა'ფოტოგრაფიით გაკეთებული. რა საჭირო იყო ამის გამო იმ ხალხის თრევა, ვინც სურათზეა გამოყვანილი. არ მესმის!

ბ-ნი გაბაშვილი ეხლა სხვებს დაეტაკა. მე სიტყვა არა მაქვს ხათქვამი კაუხჩიშვილზე, ჩემი კრიტიკოსი კი სწვდა მას და სხვებსაც და საერთოდ არაფერ შუაში მყოფ პიროვნებებს.

სახალხო გვარდიის ხსენება ხომ მას შიშის ზარსა ჰგვრის და სიყალბის მტკიცებასაც არ ერიდება. იგი ამტკიცებს, თითქო გემ «კარლ კარლი»-ს განიარაღების დროს ოფიცერი ცაგარელი «შინაურებმა» მოჰკლეს, ზურგიდან ესროლესო. ეს არის აღსშაფოთებელი ტყუილი. ფაქტი ის არის, რომ ჩვენი კარგი მებედარი და სამშობლოსათვის დაღუპული, ცაგარელი მოჰკლეს რუსის ბოლშევიკ მატროსებმა გემის «კარლ კარლი»-ს აღების დროს, 24 თებერვალს 1918 წ. და გემს სწორედ მისი სახელი «ცაგარელი» დავარქვით.

ცაგარელი მოიყვანა გიზო ანჯაფარიძემ ღამის ორ საათზე. ის ჩვენთვის უცნობი პირი იყო და ვის უნდა ჰქონოდა მახედ ჯავერი რომ ქურდულათ ზურგს უკნიდან ვისმეს ესროლა?

ბ ნი რევაზი ამტკიცებს, რომ გემი მეორე დღესვე გაიპარაო. არც ეს არის მართალი. გემი გაიქცა 3 აპრილს 1918 წ.

არ შეიძლება კამათი და სიმართლის გარკვევა იმ პირებთან, ვისაც ჩვენი ახლო წარსული ეზიზღება და სძულს. ჩვენ ასეთი პირები არც გვაინტერესებს და თუ კვლავ ვაქვეყნებთ მოგონებას და ამასთან ერთად მასალებს სახალხო გვარდიის შესახებ, ამას ჩავდიგართ იმ მოვალეობის შეგნებით, რომელიც გვიკარნახებს, რომ წარსულ წელთა ისტორიულ საბუთებს თავი მოვუყაროთ და პირუთვნელ ისტორიკოსისათვის შევინახოთ. ეს მიზანი მასულდგმულებდა, როცა 1934 წ. პარიზში მე მოვიწვიე პირველი ყრილობა ძველ გვარდიელთა,

სადაც გადაწყდა ყველას დაეწერა თავისი მოგონებები და გამოგვეცა ერთი კრებული. სამწუხაროდ ეს ვეღარ მოხერხდა. მე ჩემი მხრივ მუშაობა არ შემიწყვეტია და ვაგროვებდი მასალებს სახალხო გვარდიის შესახებ. ძნელი იყო ეს საქმე, მაგრამ დღემდე რა მასალაც მოვნახე, მე მას აქვე ვათავსებ.

ევგენი გეგეჭკორის სიტყვა

წარმოთქმული რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად გამართულ მიტინგზე 27 თებ. 1918 წ.

ევგენი გეგეჭკორმა შემდეგი სიტყვით მიმართა წითელ გვარდიას:

«სიმშვენიერევ და სიამაყევ კავკასიის რევოლუციონურ დემოკრატიისა! სალამი თქვენ, ჩვენო იმედო და ჩვენო ნუგეშო, წითელო გვარდია! მანამდე სანამ წითელ გვარდიას, რომელმაც გამოიარა მძიმე განსაცდელი ქუჩაში და საშინელ ბრძოლაში მაღლა უჭირავს ის წითელი დროშა, რომელიც არის ჩვენი ნუგეში, მანამდე ჩვენ დამშვიდებული ვართ. ამხანაგებო, აღარ ღირს ლაპარაკი იმ დიდებულ სამსახურზე, რომელიც თქვენ გაუწიეთ ჩვენს რევოლუციას; სიტყვით არ ძალგვიძს არავის ჩვენგანს გამოსთქვას ის, რაზედაც მოგვითხრობს წითელი გვარდია, მოგვითხრობს ჩვენი მხარის სხვადასხვა კუთხეში, რაიონებში და ქალაქებში ჩადენილი თქვენი რევოლუციონური საქმეები. ყველგან მიდის სახელი თქვენ საგმირო საქმეების შესახებ და თქვენსა და თქვენი გმირობის წინაშე ხმას იკმენდენ მტრები, ისინი თავქვე ეცემიან.

კავკასიის რევოლუციონურო დემოკრატია! თქვენი სახელის ავანგარდი არის ჩვენი წითელი გვარდია, რომელიც ცოცხალი თავდებია იმის, რომ ჩვენ შევძლებთ ჩვენი წმინდა საქმე მივიყვანოთ ბოლომდე. ორ-თავიან არწივის თვითმპყრობელობის დამხობის დღევანდელ დიდებულ წლის თავზე, ჩვენ აქ, ხალხის წინაშე, მთელი ქვეყნის წინაშე ვდებთ ფიცს, რომ არ გავაგდებთ ხელიდან ამ წმინდა წითელ დროშას და მივიტანთ მას გამარჯვებამდე. დეე თქვენი რევოლუციონური აღტაცება იყოს ჩვენთვის იმის იმედი, რომ დაეცემიან რევოლუციის მტრები, და მზე, რომელიც ეხლა ღრუბლებით იფარება, ამობრწყინდება მთელ ქვეყანაზე და თავისი სხივებით გააშუქებს თავისუფლებისათვის მებრძოლთ, გააშუქებს ჩვენს მხარესაც და მთელ ქვეყანას.

ამხანაგებო, როგორც მეთაური იმ მთავრობისა, რომელიც აირჩიეთ თქვენ, და დღესაც მოქმედობს ყველა რევოლუციონურ ორგანიზაციების სახელით, ვაცხადებ, რომ მანამდის, სანამ მთელი მუშათა კლასი, მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატია სდგას დარაჯათ, რევოლუციაც საიმედო ხელშია. გაუმარჯოს ამხანაგებო, ჩვენს წითელ გვარდიას! გაუმარჯოს ჩვენს დემოკრატიას, გაუმარჯოს სახალხო სოლიდარობას! დაიღუპოს ჩვენი მტრები. მე ვდგევარ ხალხის წინაშე და ყველა მათი სახელით, ვინც ხალხთან მიდის ხელიხელ ჩაკიდებული, თამამად ვამბობ, რომ ჩვენ შევსძლებთ სარგებლობა მოვუტანოთ დემოკრატიას და არ ვუღალატებთ მისი განთავისუფლების საქმეს.

გაუმარჯოს, ამხანაგებო, ჩვენს ერთობას და ჩვენს რევოლუციონურ ბრძოლაძ». (მქუხარე ტაში).

«ერთობა», № 50. 3 მარტი 1918 წ.

წითელი გვარდია სენაკის მაზრაში.

«ხუთშაბათს, 29 მარტს (1918 წ.) ცნობა მივიღეთ ფოთის შტაბში: ბანძაში არეულობა დაიწყოო. აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდენ უმთავრესად გამოქცეული ჯარისკაცები და მოუწოდებდენ დანარჩენებსაც არ წასულიყვნენ ფრონტზე. მეამბოხეთ მეთაურობდენ ძველი პოლიციელები, «ნასტრაენიკალი» კარტოზია, «ნაპრისტავალი» პროვოკატორი ოჩიგავა და ასკურავა, რომლებიც თავის თავს აცნობდენ ხალხს ბოლშევიკებათ, ნამდვილათ კი ძველი რეჟიმის მოტრფიალენი. ამ აჯანყებით მათ სურთ ჯარი ფრონტს მოსწყვიტონ და ამით გაუადვილონ თათრებს ჩვენი ქვეყნის დაპყრობა, რის შემდეგ ხალხს მოევლინებიან ძველი პოლიციელები და მემამულენი, და ისე გააძრობენ ხალხს ტყავს, როგორც მათ მოესურვებათ.

უცბათ შევიკრიბეთ როგორც რკინისგზის გვარდიელები, ისე ქალაქისაც და ღამის 10 საათზე გავემგზავრეთ მატარებლით აბაშისაკენ პორუჩიკ ამხ. ელიავძის მეთაურობით. დილით ვიყავით აბაშაში. საღამოს 4 საათზე, განკარგულების თანახმათ, ჯავშნოსან მატარებელთან ერთად დავბრუნდით ახალსენაკში და იქ დავბინავდით. 31 მარტს ჩვენ შემოგვიერთდა შორაპან-ჭიათურის და სამტრედიის ჯარისკაცები და გვარდიელები, რომლებსაც თან ჰქონდათ ზარბაზნები და

ტყვიისმფრქვეველები, შტაბსკაპიტან ამხ. ერქომაიშვილ ის მეთაურობით.

1 აპრილს ჩვენი რაზმი სეიმის წევრის ამხ. ვლადიმერ ჯიბლაძის და შტაბსკაპიტან ერქომაიშვილის მეთაურობით, ზარბაზნებითა და ტყვიისმფრქვეველებით გავემგზავრეთ აჯანყებულების წინააღმდეგ ნოქალაქევში, სადაც გამაგრებული იყვნენ ძველ ნაციხვარში. დღის 2 საათზე ჩვენი რაზმი მივიდა კოტიანეთში, ნოქალაქევის საზღვარზე და იქ დავბინავდით მინდვრად.

იმ დღესვე გავუგზავნეთ დელეგაცია მეამბოხეებს, ვთხოვეთ რომ დაშლილიყვნენ, მაგრამ პასუხად უარი მივიღეთ. ამის შემდეგ ვაცნობეთ მცხოვრებლებს, გახიზნულიყვნენ. და, დილით 2 აპრილს, იარაღით ხელში უნდა შევდგომოდით ბრბოს გაფანტვას.

გათენდა დილა, 2 აპრილი, და ცნობა მივიღეთ, რომ ბათუმი ოსმალებმა აიღესო, რის შემდეგ იძულებული ვიყავით უკან დავბრუნებულიყავით. ნაშუადღევის 1 საათზე ჩამოვედით ახალსენაკში და იქ დავბინავდით; ჩვენი მოწინააღმდეგენი უკან გამოგვდგომოდენ და ძველი სენაკი დაეკავებინათ. აქაც გაუგზავნეთ დელეგაცია და ვთხოვეთ დაშლილიყვნენ, რაზედაც პასუხად მუქარის უარი მივიღეთ—ჩვენ მზათა ვართ და მობრძანდითო, რის შემდეგ ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეწყო შეტევა.

ოთხშაბათს, 4 აპრილს, სამხედრო რევოლუციონურ შტაბისაგან იქმნა გამოშვებული ფურცლები. რომელშიაც მშვიდობიან მცხოვრებლებს მოუწოდებდენ გახიზნულიყვნენ იმ ადგილებიდან, სადაც მეამბოხეები ბუდობდენ, რადგან იმ სოფლებს განადგურება მოელოდა.

ხუთშაბათს, 5 აპრილს, დილით ჩვენი რაზმი, ორი ზარბაზნით და ტყვიისმფრქვეველებით, დაიძრა ძველი-სენაკისაკენ. სადაც მეამბოხეები იყვნენ დაბინავებული.

ნაწილი ჩვენი რაზმისა «ცეპით» წავიდა. ჩვენი მზვერავები წააწყდენ მათ «პოსტს» და აგვიტეხეს სროლა: ჩვენებმა სროლითვე უპასუხეს, როგორც თოფებიდან, ისე ტყვიისმფრქვეველებიდან და ზარბაზნებიდან. ოთხ საათში ძველი სენაკი ჩვენს ხელში იყო.

შემდეგ ისევ «ცეპით» წავედით ნაქალაქევის ნაციხვარზე, სროლით გავიარეთ სულ 18 ვერსი. მივუახლოვდით 3 ვერსის მანძილზე ნაციხვარს თუ არა, აგვიტეხეს საშინელი სროლა, ტყვიები ზედიზედ გადადიოდა ჩვენს თავზე, სიკვდილის აჩრ-

დილი თვალწინ გვიდგა, თავი გავიწყდებოდა კაცს, როდესაც ჩვენი ტყვიისმფრქვეველები ტკაცანს დაიწყებდა და ზარბაზნები ბანს აძლევდენ.

საღამოს 9 საათი იქნებოდა. მოშივებული ვიყავით და თან წვიმისაგან დასველებული, რომ მივადექით ერთ წისქვილს და რამდენიმე ამხანაგი შევედით წისქვილში. მეწისქვილემ კარგი ცეცხლი დაგვინთო და გაგვიმასპინძლდა. ღამის 11 საათი იქნებოდა, როცა თავი მოვიყარეთ ნოქალაქევის ბაზარში და იქ დავბინავდით, ნაწილი ჩვენი რაზმისა გავიდა ხიდზე ტეხურის წყლის გაღმა.

6 აპრილს დილით ნოქალაქევის ნაციხარი ჩვენს ხელში იყო. ჩვენი მხრით არც ერთი არ დაჭრილა და არც მოკლულა. მოწინააღმდეგეების მხრით არიან მოკლული და დაჭრილი 12 კაცი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 30 კაცი. დანარჩენები გაიფანტენ.

7 აპრილს წავედით სოფლებში და მოვთხოვეთ ხალხს იარაღი ჩაებარებიათ და მეამბოხეები დაესახელებიათ. რაზედაც თანხმობა გამოგვიცხადეს. მცხოვრებლები საზოგადოთ ყველგან თანაგრძნობას გვიცხადებდენ. მშვიდობიან მცხოვრებთაგან არავინ დაზარალებულა. საქმე დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს.

8 აპრილს დავბრუნდით უკან.

ნაწილი ჩვენი რაზმისა დარჩა სოფლათ, იარაღის ასაკრეფათ».

რკ. გზ. გვარდიელი ვ. კ. ჯვარეიშვილი.

გაზ. «ეროთობა» № 87.

15 აპრილი, 1918 წელი.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში.

მდგომარეობა სამეგრელოში და ფრონტზე.

თავმჯდომარეობს ამხ. ნოე ეორდანია.

დასავლეთ საქართველოდან ახლათ-ჩამოსული თბილისის წითელი გვარდიის უფროსი ამხ. ვალიკო ჯუღელი აკეთებს მოხსენებას იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობაა ამ ჟამად სამეგრელოში და ბათუმის ფრონტზე (საბჭო მას ტაშისცემით და ოვაციებით ეგებება).

«ჩვენ უნდა ვაღიაროთ,—ამბობს იგი,—რომ ბათუმის ფრონტზე მეტათ მძიმე მდგომარეობაა; კიდევ მეტი,—მდგომარეობა ტრაღიკულია. თუმცა უკანასკნელ ხანებში საქმე ცოტათი გაუმჯობესდა, მაგრამ სამწუხაროთ, არა იმდენათ, რომ ჩვენ გამარჯვების სრული იმედი ვიქონიოთ. ყველასათვის ცხადია, რომ ბათუმის დაცემას ხელი შეუწყო შინაურ ფრონტზე ბრძოლამ: ცხინვალმა და სამეგრელოს შინაურმა ფრონტმა მოაცდინა ჩვენი საუკეთესო მებრძოლნი, რომელთაც დიდი სამსახურის გაწევა შეეძლოთ ბათუმის დაცვაში. როდესაც თბილისის წითელი გვარდია მიეშურებოდა ბათუმისაკენ, რათა კარზე მომდგარ მტრისათვის წინააღმდეგობა გაეწია, როდესაც სადგურ სამტრედიაში ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ბათუმი დაეცა და ეხლა უფრო საჭირო იყო გაათკეცებული ენერგია მტრის საწინააღმდეგოთ,—ამ დროს სამეგრელოდან გვატყობინებენ, რომ იქ ფართოდ აწარმოებდენ თავიანთ შავ საქმეებს ხულიგანთა ბრბოები და შიგნიდან უწყობდენ ხელს მტრის გამარჯვებას. ჩვენ იძულებული შევიქენით ბათუმის მაგივრათ სამეგრელოში წავსულიყავით».

შემდეგ იგი ვრცლათ ეხება იმ ბრძოლას, რომლის წარმოებაც წითელ გვარდიას მოუხდა მეგრელ ხულიგან «ბოლშევიკთა» წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა დაინახეს რა ძალა წითელ გვარდიელებში, გაუგზავნეს გვარდიას თავიანთი დელეგაცია. დელეგაცია მოითხოვდადატყვევებულ «ბოლშევიკების» განთავისუფლებას და წითელი გვარდიის ნაცვლათ განსაკუთრებულ დემოკრატიულ სამხედრო ნაწილთა შედგენას. პირველ წინადადებაზე წითელმა გვარდიამ უპასუხა, რომ ბოლშევიკები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან განთავისუფლებული, თუ ისინი გაიმსჭვალებიან კარზე მომდგარი მტრიდან თავდაცვის საჭიროების იდეით. რაც შეეხება სამ-

ხედრო ნაწილების დემოკრატიზაციას, ეს საკითხი დემოკრა-ტიისათვის უკვე გადაწყვეტილია, ვინაიდან წითელი გვარდია საუკეთესო დემოკრატიული ჯარია.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ ბოლშევიკური ხულიგნური მოძრაობა განსაკუთრებით იქ იკიდებს ფეხს, სადაც არავითარი ორგანიზაცია არ არის, სადაც რევოლუციას ვერ მოუკიდია ფეხი. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ მთელ მოძრაობის მეთაურათ, თითქმის დიქტატორათ გამოდის საკმაოდ მოუმზადებელი და ზნედაცემული ახალგაზრდა შ. ასკურავა. გაუნათლებელი მასსა ადვილათ ეგება ავანტიურისტ-ხულიგნების ანკეტზე.

ბოლოს წითელმა გვარდიამ შესძლო ავანტიურისტ-ხულიგნების ბრბოთა დამორჩილება. მათი «სოციალისტური არმიის შტაბი» გარეკილ იქმნა. ხალხმა, რომელსაც უმეტეს ნაწილათ არწმუნებდენ უპასუხისმგებლო ბნელი ძალები, რომ წითელი გვარდია თავადების მიერ მოსყიდული ჯარიაო, დაიწყო დამნაშავეთა დაჭერა და გვარდიელების ხელში მიცემა.

შემდეგ ის ეხება ბათუმის დაცემას და საზოგადოთ ამ ფრონტზე მდგომარეობას და აღიარებს, რომ ჩვენი დამარცხების მთავარი მიზეზი ჯარის ორგანიზაციის უქონლობაში უნდა ვეძებოთო. ბათუმის და ოზურგეთის დათმობა ეს სამარცხვინო ეპიზოდია ჩვენს სამხედრო მოქმედებაში, მაგრამ სამხედრო მოქმედების ანალიზიდან, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ბნელ და ნათელ მხარეებს, მომხსენებელს მხოლოდ ერთი დასკვნა მიაჩნია უტყუარათ: ჩვენ არ შეგვიძლია ძლევამოსილი შეტევის წარმოება; მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ ძლევამოსილი თავდაცვა. გაძლიერებული შეიარაღებული თავდაცვა და დიპლომატიური მოლაპარაკება საზავო პირობებზე,—აი, მომხსენებლის აზრით,—ის გზა, რომელზედაც უნდა შედგეს ამიერ-კავკასიის დემოკრატია. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ უნდა გაათკეცოს თავისი მოქმედება პროვინციაში, რათა მასსას ნათლათ ჰქონდეს წარმოდგენილი თავდაცვის საჭიროება და ამასთანავე მიწათმფლობელები და ბურჟუაზია იძულებული შეიქმნენ გაიღონ თავიანთი წვლილი გარეშე მტრისაგან თავდაცვისათვის.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა.

მოხსენების წინ ამხ ნ. ჟორდანია იძლევა რამდენიმე ფაქტიური ხასიათის ცნობებს, რომელიც დამოუკიდებლობის ისტორიას შეეხება. ამის შემდეგ დამოუკიდებლობის შესახებ მოხსენებას აკეთებს კარლო ჩხეიძე.

კარლო ჩეიძის სიტყვა.

ამხანაგებო! საკმაოთ ბევრი ითქვა იმ საკითხის შესახებ, რომელზედაც მე მსურს ეხლა გელაპარაკოთ. ამიტომ ბოდიშს ვიხდი მსმენელების წინაშე, თუ უნებურათ განმეორება მოიხდება.

ჩვენ ვლაპარაკობთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. აქ არაფერი არ არის საშიში; მაგრამ სიტყვა «დამოუკიდებლობა» ბევრს რაღაც ერუანტელს გვრის ხოლმე. მე პირადათ ამ სიტყვაში არავითარ ბოროტებას არ ვხედავ. ჩემში ასეთი რწმენის განმტკიცება სეიმში მოხდა. და რადგანაც, მოგეხსენებათ, ჩვენს მეტი სხვებიც სხედან, მუსავატელები, დაშნაკელები და სხვ.,—ეჭვი მებადება: ხომ არ ვცდები ჩემს რწმენაში, მაგრამ არა თუ სეიმმა ვერ შეარყია ჩემი რწმენა—სხვა ალაგებზე კიდევ უფრო განამტკიცა იგი. მაგალითად, მუშტაიდში, სადაც მქონდა ბედნიერება დამოუკიდებლობაზე მელაპარაკნა,—აქაც ამხანაგებს არავითარი საშიშროება არ დაუნახავთ ამ სიტყვაში. გუშინ ასევე მოხდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრში, ამ რევოლუციის ტვინში. აქ. მაგალითად, ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი: დამოუკიდებლობის ერთმა მოწინააღმდეგემ, მას შემდეგ როცა ამხ. წერეთელმა ილაპარაკა, ამხანაგს უთხრა: «წერეთელმა ვერ დამარწმუნა»-ო. შემდეგ, როდესაც წერეთელმა მეორეჯერ ილაპარაკა, ამ მოწინააღმდეგემ დამოუკიდებლობას მისცა ხმა (სიცილი) და ჩვენ უნდა ველოდეთ, რომ ხვალ, ზეგ, მეტნი დარწმუნდებია იმაში, რომ დამოუკიდებლობა აუცილებელი ნაბიჯია დემოკრატიისათვის. მე ვფიქრობ, რომ აქაც, თქვენ მხარს დაუჭერთ დამოუკიდებლობას.

ზოგიერთები ასე მსჯელობენ: დამოუკიდებლობა მიიღო სეიმმა; დამოუკიდებლობა არ არის სასურველი ნაბიჯი და ამიტომ უნდა გადავაბრუნოთ სეიმიო. მაგრამ მაშინ უნდა გადააბრუნონ აგრეთვე ცენტრი, უნდა გადაგაბრუნონ თქვენც (სიცილი). ცხადია, ამ საკითხს მეტად დინჯათ აწონდაწონვა უნდა. მაგრამ ბოდიშს ვიხდი, მე კიდევ გამომრჩა ერთი ფაქ-

ტი: მუშათა კრებაზე, სადაც ორიათასამდე მუშა შეიკრიბა, თითქმის ერთხმათ იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც დამოუკიდებლობას მოითხოვს. მაშასადამე, ცხადია: მე მარტო არ მქონია ასეთი რწმენა. ჩემთან არის ფრიად დიდი და მნიშვნელოვანი კამპანია (სიცილი)... მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც ვრცლათ უნდა შეეხოთ ამ საკითხს. სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

სიტყვა დამოუკიდებლობა დღიურ წესრიგში დაისვა რევოლუციის პირველ დღეებშივე, მაშინ ყველა გაიძახოდა თვითგამორკვევაზე, სიტყვის, ბეჭდვის და სხვა თავისუფლებაზე. მეც იმათ რიცხვს ვეკუთვნოდი, რომლებიც დიდის აღფრთოვანებით ეგებებოდენ ამ სიტყვას. მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაშინ ჩვენს წინაშე მაინც სდგებოდა ერთი «მაგრამ», საქმე იმაშია, რომ ეს სიტყვები ეხლა უნდა განხორციელებულიყო, თეორეტიულ მსჯელობიდან პრაქტიკულ ხორცშესხმაზე უნდა გადასულიყო, და აი აქ იბადება წინააღმდეგობა; ჩვენ ასეთ პოზიციას ვადექით: ჯერ უნდა განმტკიცებულ იქნას ის თავისუფლება. რომელიც რევოლუციამ მოგვიპოვა და შემდეგ განხორციელდეს ეს დიდებული მიზანი. უკრაინელებს ჩვენ ვეუბნებოდით: დაიცადეთ ჯერ, სანამ თავისუფლება და რევოლუცია განმტკიცდება, სანამ მომზადდება ნიადაგი დამოუკიდებლობის განსახორციელებლათ. ასევე ვეუბნებოდით ფინელ ამხანაგებს. მაგრამ არა მარტო ამაშია უბედურება; როდესაც ჩვენ ასე ველაპარაკებოდით ამხანაგებს, ისინი გვიკიჟინებდენ: თქვენ მხოლოდ სიტყვით ცნობთ ყველაფერს, საქმეზე კი არ ასრულებთ დაპირებებსო. ეს «ამხანაგები» იყვნენ ბოლშევიკები. და ყველა ამისთვის ჩვენ კონტრრევოლუციონერებს, ბურჟუებს გვეძახდენ. ჩემზე, სხვათა შორის, იმასაც კი ამბობდენ, რომ მე თითქოს პეტროგრადთან ორი დიდი ქარხანა მქონდეს (სიცილი)... მე დღესაც იმავე პოზიციაზე ვდგევარ, რომელზედაც რევოლუციის პირველ დღეებში ვიდექი. და დღეს, როდესაც ოსმალეთი, თუ ჩვენ გვსურს მასთან საზავო მოლაპარაკება ვაწარმოოთ, გვიყენებს ულტიმატურ წინადადებას—ვისი სახელით გველაპარაკებით, რა გქვიათ,—მე გამახსენდა რევოლუციის პირველი დღეების დიდი ლოზუნგები და შევეკითხე ჩემს თავს: შეიძლება უკვე დადგა დრო, როდესაც ეს ლოზუნგები უნდა განხორციელდეს; შეიძლება უკვე დროა «სიტყვიდან» საქმეზე გადასვლა? და ჩვენ გვგონია, რომ ეს დრო უკვე დადგა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება—ეს დღეს ერთადერთი გზაა. რო-

მელზედაც მტერ-შემოსეული ამიერ-კავკასიის დემოკრატია უნდა დაადგეს. მაგრამ აქ გვეკითხებიან დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი: რა გარანტიას იძლევით იმისას, რომ დამოუკიდებლობა იხსნის ამიერ-კავკასიის დემოკრატიასო? თავისთავად ცხადია. გარანტიაზე ლაპარაკი აქ არ შეიძლება. რა გარანტი შეუძლია, მაგალითად ინგლისს თავისი თავის: ლოიდ ჯორჯი ვერ იტყვის დღეს გადაჭრით, ვინ გაიმარჯვებს საერთაშორისო ომში—ინგლისი თუ გერმანია. აქ გარანტიაზე ლაპარაკი შეუძლებელია. თუ ჩვენ არ ვიძლევით სრულ გარანტიას, მოწინააღმდეგენი სულ არავითარ გარანტიას არ იძლევიან თავიანთი პოზიციის სასარგებლოთ. კითხულობენ: ვინ ისარგებლებს დამოუკიდებლობის გამოცხადებითო? რასაკვირველია, თითეული შეეცდება იგი თავის მიზნისთვის გამოიყენოს. მუსავატელები გამოიყენებენ მუსავატისტურად, დაშნაკელები—დაშნაკურათ, ეშმაკი—ეშმაკურათ და სხ. მაგრამ ჩვენ ეს ჩვენებურათ, სოც.-დემოკრატიულათ უნდა გამოვიყენოთ. და ჩვენი მოვალეობა სწორეთ იმაშია, რომ ჩვენ ვსძლიოთ სხვები. შემდეგ, დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი სხვა გზით გვაშინებდენ. დამოუკიდებლობა ერთგვარ განცალკევებას ნიშნავს, ეს კი ბევრს ჟრუანტელს გვრის ტანში. საკითხავია: ვის ვეყოფით? და აი აქ იჩენს თავს მეტათ მწვავე საკითხი. ჩვენ რუსეთს ვეყოფით. რუსეთთან კი, ჩვენ ვიცით, დიდი ხნის სიყვარული არსებობს. სიყვარული ეს სათუთი, ჩუმი გრძნობაა. მოსპეთ რუსეთთან ეს კავშირი. სიყვარული, და მასთანვე თქვენც მოსპობთ სიცოცხლეს ამიერ-კავკასიისას (მხურვალე ტაში). მაგრამ რომელ რუსეთს ვეყოფით? ჩვენთვის ნათელია, რომ მთლიანი, ერთი რუსეთი არასდროს არ არსებობდა. წინათ ჩვენ ვლაპარაკობდით: არის ორი რუსეთი: მეფის ანუ დამონავებული რუსეთი და დემოკრატიული რუსეთი. დღესაც ორი რუსეთი არსებობს. ერთია «ბოლშევიზმის» რუსეთი და მეორე კი დემოკრატიული. პირველმა რუსეთმა ჩვენ გაგვრიყა, დამოუკიდებლობაში ჩაგვაგდო, მან მოგვლიჯა დემოკრატიულ რუსეთს. აქ, რასაკვირველია, იდეურ ბოლშევიკებზე არ არის ლაპარაკი; ასეთები თუ კი არსებობენ, მათ არავითარი გავლენა არა აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. დღეს ბატონობს სხვა «ბოლშევიზმი», ეს «ბოლშევიზმი»—კონტრ-რევოლუციაა!

დღევანდელი «ბოლშევიზმი» საფრთხეს უმზადებს არა მარტო რუსეთის ერებს. იგი საფრთხეს უმზადებს მთელ ქვეყანას (ტაში). თანამედროვე «ბოლშევიზმი» თავისკენ იზიდავს

ყველაფერს, რაც შავბნელი იყო ცარიზმის დროს (ტაში). და ჩვენ ვლაპარაკობთ: შორს, შორს ამ «ბოლშევიზმიდან; მაგრამ რუსეთი «ბოლშევიზმი» არ არის; დემოკრატიულ რუსეთთან ჩვენ ყოველთვის ვიყავით და დავრჩებით (ტაში).

დამოუკიდებლობის გამოცხადებით ჩვენ მხოლოდ ვადასტურებთ იმ მდგომარეობას. რაც ფაქტიურათ შეიქმნა. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ არა დამოუკიდებლობა გვაშორებს ჩვენ, არამედ წყეული ომი; არა დამოუკიდებლობამ მოგვწყვიტა ჩვენ გერმანიას. ინგლისს და სხვებს, არამედ წყეულმა ომმა. და «ბოლშევიზმიც» ომს აწარმობს... ჩვენ რომ დავუშვათ, რომ «ბოლშევიზმი» გაიმარჯვებს. რომ იგი ფეხს მოიკიდებს სხვა ქვეყნებშიაც, მაშინ ჩვენ ჯვარი უნდა დაგვესვა მთელი კულტურისათვის. «ბოლშევიზმი» ჩამორჩენილობის. განუვითარებლობის პირმშო შვილია.

ჩვენ დღეს ორი მხრივ გვიხდება ბრძოლა, რუსულ და ოსმალურ «ბოლშევიზმთან». რუსული «ბოლშევიზმი» არაფერით არ განირჩევა ოსმალურისაგან. ესენი ორი მხარეა ერთი და იგივე მედალისა. ერთი მხრივ დახატულია მახმუდ მეორმე; მეორე მხრივ კი ჯერჯერობით ადგილია დატოვებული. ცხადია, ვიღაც ნიკოლოზისებურისათვის. და ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დამოუკიდებლობა პანაცეური საშუალებაა. ჩვენ წინადადებას გვაძლევს ოსმალეთი. საზოგადოთ, არასდროს და არსად ადამიანები არ სტყუოდენ იმდენს, რამდენსაც ამ ომის დროს სტყუიან. არასდროს არ იკვებებოდენ ილიუზიებით იმ ზომად, როგორც ეს დღეს ხდება. და შეიძლება დამოუკიდებლობა არავითარ დახმარებას არ გაუწევს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომმეორე საცდელი გზა არ არსებობს... აქ ჩვენ გვიკიჟინებენ: ეს ხომ ექსპერიმენტებიაო! დიაღ, ექსპერიმენტია; მაგრამ დღეს, როდესაც არსად ხსნის გზა არ სჩანს, ვერვინ უარჰყოფს ასეთ ექსპერიმენტს. ჩვენ ყოველთვის ნაკლებად ვაწარმოებდით ექსპერიმენტებს. დიახ, ჩვენ ვაცხადებთ დამოუკიდებლობას და, დეე იცოდეს მთელი ქვეყნის პროლეტარიატმა, მთელი ქვეყნის დემოკრატია, რომ ჩვენ ასე მოვქცეულიყავით, რომ ჩვენ ვაცხადებთ დამოუკიდებლობას ეშმაკების. ჯოჯოხეთის ძალთაგან!» (მქუხარე ტაშისცემა).

მოკამათე არავინ აღმოჩნდა. ერთხმად იქმნა მიღებული რეზოლუცია... თავი შეიკავა ცამეტმა კაცმა.

ე მ—ჩ ე ნ.

გაზ. «ერთობა». № 88. 17 აპრილი, 1918 წ.

შორაპნის წითელი ეკარტელია.

შორაპნის გარდია მოეწყო 1917 წლის 15 ნოემბერში; წევრებად ჩაეწერენ მხოლოდ რკინისგზის მუშა-მოსამსახურეები, პარტიის ძველი წევრები და ყვირილა-შორაპნის სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაციის დამაარსებელნი 1904 წელში. უმთავრესად შორაპნის რკინისგზის გვარდიაში თავი მოიყარა ძველმა ჯარისკაცებმა (იგივე რკინისგზის მოსამსახურეებმა). გვარდიას ხელმძღვანელათ ჰყავს ძველი რევოლუციონერი ერ. კალაძე, რომელიც ამავე დროს ძველი უნტერ-ოფიცერიც აღმოჩნდა, რომელმაც გვარდიის სამხედრო გაწრთვნას საძირკველი ჩაუყარა. ამ მხრივ შორიაპნის გვარდიამ თავის მხრივ მუშაობა პირველმა აღადგინა წესიერი მიმოსვლა რკინისგზაზე, რასაც ამტკიცებს რკინისგზის ცენტრალური კომიტეტი. აუარებელი იარაღიც ჩამოართვა გამოქცეულ ჯარისკაცებს და ამ მხრივ შორაპნის მაზრის მომავალ გვარდიის შეიარაღებასაც ხელი შეუწყო. შორაპნის გვარდიის მუშაობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ შორაპნის მაზრაში არავითარ «პოგრომებს» და რეაქციონულ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია. თუმცა ჩამოსული «მობოლშევიკო» ჯარისკაცები შეეცადენ შეიარაღებულ გამოსვლას, მაგრამ გვარდიამ მათ დროზე ამოსდო ლაგამი. რაც დრო გადიოდა, გვარდია უფრო ფართოვდებოდა და ჩვენი მუშაობაც და გვარდიაც სხვა დაბა-ქალაქებსაც უწევდა დახმარებას. პირველი მისი დახმარება თბილისს ერგო წილით, როცა მას მესამასე ვერსიდან მომავალი ეშელონები ემუქრებოდენ. შემდეგ ამისა ის მიხაილოვოს ეწვია, როცა მას განსაცდელი ელოდა ჯარისკაცებიდან და იქ მიხაილოვოს გვარდიასთან ერთად წესიერების დამყარებას ხელი შეუწყო. მიხაილოვში გამოგვაკლდა ერთი შორაპნელი გვარდიელი, ხულიგნების ტყვიამ მას გული გაუგმირა და ამან უფრო გაათკეცა ჩვენი ენერგია და რევოლუციონური სულისკვეთება.

შემდეგ ამისა შორაპნის გვარდია ქუთაისისაკენ გაემგზავრა, სადაც მთელი ერთი კვირა დაჰყო და ამგვარად სხვა კუთხის გვარდიელებთან ერთად იქაც ბოლო მოუღო რევოლუციის მტრების გამოსვლებს. ქუთაისიდან ტყიბულში გავსწიეთ, სადაც საბჭოს იარაღი, რომელიც ადგილობრივ ჯარისკაცებს მოეტაცათ, უკანვე დავაბრუნეთ.

ერთი კვირის დასვენების შემდეგ ლეო რუხაძისაგან დეპეშა მოგვივიდა: «ვიღუპებით, დაგვეხმარეთ, ახალციხე თათ-

რებისგან ალყა შემორტყმულია»-ო. დაძახებისთანავე შორაპნის გვარდია გაემგზავრა ქ. ახალციხისაკენ. ბორჯომში მივედით 7 მარტს (1918 წ.). ჩვენ ვიყავით გენერალ არჯევანიძის განკარგულებაში, რომლის ბრძანებითაც ჩვენ გავსწიეთ ახალციხისაკენ 8 მარტს. ორი კვირის დაკეტილი გზა პირველათ გახსნა შორაპნის გვარდიამ არჯევანიძის თანხლებით. და მშვიდობიანათაც შევედით ახალციხეში. მიხაილოვის და გორის წითელი გვარდია ჩვენ დავტოვეთ ს. დვირეში (ბორჯომიდან 16 ვერსია). მეორე დღეს კი მიხაილოვის გვარდიაც ახალციხეში შემოვიდა. ჩვენმა ახალციხეში შემოსვლამ ხალხი ძლიერ აღაფრთოვანა, განსაკუთრებით ქართველი საზოგადოება. ქალაქის მცხოვრებნი დამშვიდდენ და ჩვეულებრივ მუშაობას მიჰყვეს ხელი და თათარ-სომეხთა ურთიერთობასაც გენ. არჯევანიძის წყალობით ბოლო ეღებოდა, თუმცა სომხების პროვოკაცია ხელს გვიშლიდა შემარიგებელი პოლიტიკა გვეწარმოებინა, რაც ორი კვირის შემდეგ დამტკიცდა მით, რომ გენერლის უკითხავად, რომელსაც ეკუთვნოდა მთელი ძალაუფლება, სომხების ნაციონალურმა შტაბმა გადასწყვიტა ზარბაზნებით სროლა დაეწყო თათრების მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის. ჩვენ დავყავით იქ სამი კვირა. მიხაილოვის გვარდია უკვე წასული იყო. ჩვენ სულ 100 კაცი ვიყავით და ეს ასი კაცი შევადგენდით გენერლის საიმედო ჯარს მთელ არტაანსა და ახალციხის რაიონში. რაც დრო გადიოდა, მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და ჩვენ მცირე რაზმსაც მნიშვნელობა ეკარგებოდა, როგორც რეალურ ძალას. და ბოლოს ისე გამწვავდა საქმე, რომ თათრებმა ხელახლა შეკრეს გზები და ჩვენ მომწყვდეულნი დავრჩით ახალციხეში. ამან გამოიწვია სეიმის დელეგაცია, რომელმაც მოახერხა აბასთუმანში შესვლა და პოლიტიკური ამხანაგების განთავისუფლება, რომელთაც შეურაცყოფას აყენებდენ თათრების ბრბოები. გული გვიკვდებოდა, რომ აბასთუმნის სიმდიდრე ხელიდან გვეცლებოდა. საჭირო იყო 500 კაცი. 200 კაცი აწყურში უნდა ჩამდგარიყო, 200—ახალციხეში და 100—აბასთუმანში ყოფილიყო. თუმცა ადგილობრივ იყო შეიარაღებული ძალა სომხების და ჯავახეთის ქართველების, მაგრამ ისინი თავიანთ სოფლებს არ სცილდებოდენ და მშვიდობიან მცხოვრებლების აწიოკებაში უფრო მამაცობას იჩენდენ.

ჩვენ მოვუწოდებდით ქართველ დემოკრატიას დახმარება აღმოეჩინა ჩვენთვის შეიარაღებული ძალით, მაგრამ ჩვენი მოწოდება ამაო იყო, რადგანაც ამ დროს ცხინვალის ამბო-

ხებამ ირინა თავი და მთელი ძალა იქ იყო წასული, ამავე დროს ბათუმიც საჭიროებდა ძალას და ჩვენც დავრწმუნდით იმაში, რომ ჩვენ დამხმარე ძალა არ მოგვდიოდა და ჩვენ კი მცირე ვიყავით. ამიტომ გენერლის სურვილისამებრ მესამე კვირას ფეხით გამოვედით ახალციხიდან, რადგანაც ავტომობილებით ავადმყოფები გადმოყავდათ აბასთუმნიდან. ჩვენი წამოსვლის მიზანი იყო, ორ დღეში მოგვეკრიბა დარჩენილი ამხანაგები და 500 კაცით უკან ახალციხისაკენ გავმგზავრებულიყავით. გზებში ჩვენ თეთრი ბაირაღებით მოვდიოდით, სადაც ჩვენ რამდენიმე ასეული თათრები, შეიარაღებული გვხვდებოდენ გზაში ჩასაფრებული.

ჩვენი მგზავრობა სახიფათო იყო, მაგრამ როგორც იქნა მშვიდობიანათ მოვედით აწყურამდის, და რამდენიმი დღით შორაპანშიც დავბრუნდით. აქ მოვახდინეთ კრება. ავუხსენით ხალხს ახალციხის უმწეო მდგომარეობა და მოვუწოდეთ მის დასაცავად. შევაგროვეთ რა ძალები, ცნობა მოგვივიდა, ბათუმისაკენ დავძრულიყავით და ჩვენც 100 კაცი 1 აპრილს ბათუმისაკენ გავემგზავრეთ. ბათუმის დახმარება უკვე დაგვიანებული იყო და ჩვენ სად. ნატანებში გავმაგრდით. ბათუმიდან გამოქცეული ჯარი გზაში არ ჩერდებოდა და ჩვენ, 100 კაცს, გვიხდებოდა ოსმალეთის ჯარის შეჩერება. პირველ ორ დღეს ჩვენ საზვერავათ დავიარებოდით, სადაც გვიხდებოდა შეტაკებები ჩეტნიკებთან ჩოლოქს გაღმა 5 ვერსის მანძილზე.

6 აპრილს გენერალ მაზნიაშვილის ბრძანებით ჩვენ მდ. ჩოლოქთან გავთხარეთ თხრილები ოთხ წყებათ. ჩვენ მთელი ღამე ვმუშაობდით და ამგვარათ ასმა გვარდიელმა საძირკველი ჩაუყარა შემდეგ ჩოლოქის ხიდზე გამარჯვებას. დილას ჩვენ მოგვადგა 40 საკენზე ნამდვილი რეგულიარული ჯარი ასკერებისა ტყვიისმფრქვეველებით და გაიმართა ჯოჯოხეთური ბრძოლა. ამასობაში შორაპნის გვარდიას მოემატა გორის და მიხაილოვის რაზმები. ორი დღის ბრძოლის შემდეგ. როდესაც გოგუაძის ჯავშნოსანი იღუპებოდა, ჩვენ გადავედით შეტევაზე და თათრების ჯარიც გავრეკეთ ხუთი ვერსის მანძილზე. ამრიგად ჩვენმა გვარდიამ გორის რაზმთან ერთად სასტიკათ დაამარცხა მტერი ჩოლოქთან. რამოდენიმე დღის შემდეგ დროებითი ზავი გამოცხადდა და შორაპნის გვარდიაც სამხედრო მინისტრის ბრძანებით თბილისისაკენ გაიწვიეს, სადაც ის ამ ჟამათ იმყოფება.

გალოს სკლიარი.

გაზ. «ერთობა» № 90. 3 მაისი 1918 წელი.

ბრძოლის ველზე.

პირველ აპრილს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო რაზმი ფრონტისაკენ გაემზავრა. გზაში მას ხვდებოდა ბათუმიდან დაბრუნებული ჯარისკაცთა ეშალონები, რომლებმაც სამარცხვინოთ დასტოვეს ბათუმი და სახლში გამორბოდენ. მეტათ დასაღონებელი იყო ეს სურათი რაზმისათვის, მაგრამ ის მიუხედავათ ამისა, სიმღერით განაგრძობდა გზას. ნატანების სადგურთან გაჩერდა და 50 კაცი გაგზავნა «პოსტებზე», რომლებიც ექვსი ვერსით არის დაშორებული ნატანებიდან. რაზმის ჩამოსვლამდე აქ არავითარი ჯარი არ იყო. ყველა პოლკები ბათუმის დაცემის შემდეგ დაიშალა და თავიანთ სახლებში წამოსულიყვნენ. ზოგიერთ ადგილას «პოსტებზე» უორგანიზაციოთ იდგა ადგილობრივი სოფლელები. პირველათ. რაზმმა დაიკავა მოწინავე პოზიციები და შეუდგა მის გამაგრებას. 5 აპრილამდე ახლო-მახლო ოსმალეთის ჯარი არ სჩანდა. ხანდახან ჩვენი მზვერავები ქობულეთამდის ჩადიოდენ. 5 აპრილს ცნობა მოვიდა: მტერი მოდისო. რაზმმა გაგზავნა 70 კაცი. მდინარე ოჩხამურის ხიდთან ჯავშნიანი მატარებელის ორთქლმავალი იყო ჩავარდნილი და მუშები 1-2 საათში ამოიღებდენ. რომ ოსმალების ჯარი მდინარეს მოსდგომოდა.

დღის პირველი საათი იქნებოდა. როცა პირველათ გავარდა თოფი. მტერი აქ ძლიერი აღმოჩნდა. მას ძლიერი ჯარი ჰყავდა. ისროდენ ზარბაზნებიდან. ტყვიისმფრქვეველებიდან და თოფებიდან. ჩვენები ამ ადგილას გამაგრებული არ ყოფილან,—მუშაობის უზრუნველსაყოფათ იყვნენ ისინი წასული; ძლიერი ცეცხლი გაჩაღდა ჩვენ ზარბაზნის და მოწინააღმდეგეს შორის. რაზმი შეერთებული არ იყო რეზერვთან, რომ დროზე დახმარება გაეწია დანარჩენ ნაწილს რაზმისას. სხვა და სხვა ნაწილები რიცხვით 100—150 კაცამდე ახლომახლო კიდევ მოიპოვებოდენ. და აი, სწორეთ ამისაკენ გაეშურა რაზმის ხელმძღვანელი და «კომანდრობა» გადასცა პორუჩიკ დოლიძეს. დოლიძემ დიდი გმირობა გამოიჩინა აქ. ის უშიშრათ დაჰქროდა ამ წარმოუდგენელ ცეცხლში «ცეპის» ერთი თავიდან მეორემდის და დიდებულ ხელმძღვანელობას უწევდა ამხანაგებს. მაგრამ მას არ დასცალდა ბევრი. ის განგმირა მტრის ტყვიამ. მეორე ოფიცერი, რომელიც მარჯვენა ფრთას ხელმძღვანელობდა, დაიჭრა მძიმედ. სროლის ცეც-

ხლი ერთ წუთსაც არ შეჩერებულა რაზმელები გმირულათ იდგენ თავიანთ ადგილზე და გაშმაგებით იბრძოდენ. ბრძოლამ გასტანა 6 საათი. უკვე დაღამდა. სროლა შეწყდა. აქ გმირულათ დაეცა ბრძოლაში 9 საუკეთესო ამხანაგი; 15 დაგვიჭრეს. ვინაიდან მუშებს არ შეეძლოთ ასეთ პირობებში მუშაობა, ისინი სროლის წინ ნატანებში დაბრუნდენ, რის შემდეგ მდ. ოჩხამურის ნაპირზე რაზმის გაჩერება უაზრობა იყო და რაზმიც დაბრუნდა ჩოლოქს, რომელიც ვერს-ნახევრით არის დაშორებული ოჩხამურიდან. ოსმალების განზრახვა, რომ დაეკავებინათ ნატანები ჩაიფუშა. მტერი 5 აპრილს აქ შეჩერდა, ვინაიდან ჩვენის მხრით მცირერიცხოვანს, მაგრამ ძიერ შესაფერ ძალას შეხვდა. იმავე ღამეს რაზმს მიემატა მიხაილოვის და გორის გვარდია. რომლებმაც საუცხოო ბრძოლის უნარი და თავგანწირულება გამოიჩინა საგანგებო რაზმთან ერთად.

5 აპრილიდან სამ დღეს განუწყვეტელი ბრძოლა იყო. ჩვენი გვარდიელელები და რაზმი იდგა მედგრათ თავიანთ პოზიციებზე და საგრძნობ ზიანს აყენებდა მტერს. 7 აპრილს განუწყვეტლივ მუშაობდა ჩვენი არტილერია. 8 აპრილს, ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით მტერი სასტიკათ დამარცხდა. ბრძოლის ველზე დასტოვა აუარებელი დახოცილები და სამხედრო მასალა.

ჩოლოქთან გამარჯვება ბევრ იმედებს იძლევა. ის გვეუბნება, რომ დემოკრატია უძლეველია, თუ ის ბრძოლის ველზე ოდნავათ ორგანიზაციულათ შეკავშირებული გამოდის.

8 აპრილს, საღამოს რზმი ოზურგეთისკენ გაეშურა რა გაიგო, რომ ის უკვე ოსმალეთის ხელშია. 9 და 10 აპრილს შუადღემდე სასტიკი ბძოლა იყო ოზურგეთის ფრონტზე ჩვენს და ოსმალეთის ჯარებს შორის. ორი დღე იყო საჭირო, რომ მტერი სრულიათ დაგვემარცხებია ამ ფრონტზე, მაგრამ ბრძოლა შეაჩერა დროებითმა შერიგებამ და განზრახვა სისრულეში არ მოსულა. ჩვენი ჯარისკაცები სულით და გულით იყვნენ ბრძოლის ცეცხლით აღგზნებულნი, ამიტომ დროებითმა შერიგებამ ერთგვარი უკმაყოფილებაც კი დაბადა მათში.

დღეს საგანგებო რაზმი ძალებს იკრებს, მეჩიდრო ორგანიზაციას ჰქმნის და ძლიერდება».

პრომეთეოსი.

«ერთობა» № 91.

9 მაისი 1918 წელი.

სოხუმის ამბები.

19 მაისს (1918 წ.) სოხუმიდან ვ. ჯუღელმა, პოლკ. კონიაშვილმა და ა. დგებუაძემ შემდეგი ცნობა გადმოსცა თბილისში: «კოდორთან მისვლისათანავე ჩვენს რაზმს შემოეგება გუდაუთის და გუმისტინის ნაწილების დელეგაცია. ჩვენს რაზმს შეადგენდენ: თბილისის წითელი გვარდია, აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რაზმი, ფოთის წითელი გვარდია, თან ჰქონდა არტილერია. დელეგაციას ავუხსენით ჩვენი მიზანი. ჩვენ შესახებ იქ ბევრი პროვოკაციული ხმები იყო გავრცელებული. დელეგაციას ასეთი მოთხოვნა წავუყენეთ: დაუბრკოლებლივ გაეტარებინა ჩვენი რაზმი სოხუმისაკენ, წინასწარ ჩაებარებია ჩვენთვის ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები. ვადა მივეცით 24 საათი. ჩვენი მოთხოვნის ვადა არც კი გათავებულიყო, რომ მოწინააღმდეგემ გაუფრთხილებლათ დაიწყო სროლა, როგორც თოფებიდან ისე ზარბაზნებით და ტყვიის მფრქვეველებით. ჩვენ დავდგით არტილერია და ხიდს მივუჩინეთ დარაჯები. საღამოს ბრძოლა მიწყნარდა. მეორე დღეს ბრძოლა განახლდა. მოწინააღმდეგე ხუთი ზარბაზნიდან გვიშენდა. ჩვენი არტილერიის უფროსმა ვ. შარაშიძემ ერთი «ზვოდის» საშვალებით, რომელსაც მეთაურობდა სევასტი ვასაძე, ჯერ ჩააჩუმა მოწინააღმდეგის სამი ზარბაზანი და შემდეგ სამი «ზვოდის» დახმარებით ორი ზარბაზანი ჩაჩუმებულ იქმნა. მოწინააღმდეგე უთავბოლოდ, თუმცა ხშირ სროლას აწარმოებდა ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენი წითელი გვარდია მეტათ გულგრილათ ეგებებოდა მოწინააღმდეგის ყუმბარებს. მოწინააღმდეგემ მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირად, ხიდის ორივე მხარეს, გააკეთა თავისი სანგრები. დამბაც თავდასაცავათ გამოიყენა და დადგეს ჩვენს წინააღმდეგ დიდძალი ტყვიისმფრქვეველები. ჩვენი არტილერიის მიზანში ამოღებული სროლა მოწინააღმდეგეს იძულებულს ჰყოფდა ხშირათ სანგრები დაეტოვებინა. მესამე დღეს მოწინააღმდეგემ სოხუმიდან ზარბაზნები მოიტანა და პოზიციებიდან ბატარეები ახალზე გადადგა, მაგრამ ამ დღესაც საარტილერიო შეჯიბრება ჩვენს სასარგებლოთ დამთავრდა. 15 მაისს საღამოთი, სოხუმის მიმართულებით ჩვენ გავგზავნეთ გამანადგურებელი ნავი («ისტრებიტელი») ნაპირების დასაზვერავათ და სასროლათ. 18 მაისს დილით ჩვენმა ფლოტილიამ კვლავ დაზვერა და ნაპირებს ყუმბარები ესროლა მდ. მაჯაკვის შესართავიდან მდ. კოდორის შესართავამდე. ამით მოწინააღმდეგის რაზმში

არევდარევა შეიტანა. ამის შემდეგ. მოვიახლოვეთ რა ყვირილა-სამტრედიის რაზმი, გადავწყვიტეთ იერიშით მისვლა. ჩვენს განკარგულებაში იყო აგრეთვე კორნეტ ხეიძის უფროსობით ერთი ასეული ცხენოსანი ჯარი. 17 მაისს შეტევა დავიწყეთ შემდეგი გეგმით: ცხენოსანთა ასეული, აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რაზმთან ერთად მდინარეში გავიდა, რომ მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთისათვის უკანიდან შემოვევლოთ. ჩვენმა არტილერიამ სწორეთ დილის 4 საათზე დააყარა ყუმბარები მოწინააღმდეგის გამაგრებულ პოზიციებს. ისარგებლეს რა საარტილერიო და ტყვიისმფრქვეველების სროლით. თბილისის და ფოთის წითელი გვარდია მიუახლოვდა ხიდს და იერიშით მივიდა. რაზმს აქ ხელმძღვანელობდა გ. ლომთათიძე და ლ. ნოვიკოვი. იერიშის დროს მოწინააღმდეგემ დაგვიშინა ყუმბარები, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ მოწინააღმდეგეს უკან დაახევინა. ამ შეტაკების დროს ჩვენ დაგვიპრეს ათი კაცი. ხიდთან ჩვენ ხელთ ვიგდეთ სამი ზარბაზანი, შვიდი ტყვიისმფრქვეველი და ბევრი ტყვე. მოწინააღმდეგე უწესრიგოთ გაიქცა, დასტოვა სურსათი და ყუმბარები. ჩვენი ჯარი ფეხდაფეხ გაჰყვა მოწინააღმდეგეს და კიდევ ახალი ტყვეები ჩაგვივარდა ხელში. 17 მაისს პირველ საათის ნახევარზე ჩვენი ცხენოსანი და არტილერიის მზვერავი რაზმი ვ. ჯუღელის და ვ. შარაშიძის მეთაურობით, შევიდა მოწინააღმდეგის მიერ განთავისუფლებულ სოხუმში. მცხოვრებლები დიდის აღფრთოვანებით შეხვდა. ჩვენს რაზმს გაუმართეს დიდი ოვაციები. 4 საათიდან დაიწყო შემოსვლა მთელმა ჩვენმა რაზმებმა. მოწინააღმდეგე იყო ძლიერ კარგათ მოწყობილი სურსათის. შეიარაღების და ჯარის სიმრავლის მხრივ. მას იმედი ჰქონდა თავის ძლიერების და შეეცადა გადასულიყო შეტევაზე. ჩვენ დაგვრჩა: თერთმეტი ზარბაზანი. მათ შორის ორი საალყო, «კანნეს» სისტემის 21 ტყვიისფრქვეველი, დიდძალი «ვინტოვკები». ჩვენი «ისტრებიტელი» № 525 გუდაუთში დაეწია მოწინააღმდეგის დიდ ტრანსპორტს, აუარებელი სურსათით დატვირთულს. სამხედრო ოპერაციების გათავების შემდეგ. რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლკ. კონიაშვილი. ჩვენ შევუდექით მთავრობის ორგანიზაციას და რევოლუციონური წესრიგის აღდგენას, ვინაიდან ქალაქში და მთელ ოლქში არის ანარქია, დეზორგანიზაცია და არავითარი მთავრობა არ იყო. მეტისმეტათ რთული და საპასუხისმგებლო სამუშაო არის აქ, რის მოგვარებას შევეცდებით.

ვაზ. «ერთობა» № 101. 21 მაისი 1918 წ.

ნოე ჟორდანიას სიტყვა,

წარმოთქმული საქართველოს ეროვნულ საბჭოში 21 ივნისს 1918 წელს.

მოქალაქენო! საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრნო! სამხედრო კომისიის დავალებით მოგახსენებთ შემდეგს:

სამხედრო კომისიამ სახალხო გვარდიის დაარსების კანონპროექტი მიიღო საბჭოს პრეზიდიუმისაგან. ხოლო საბჭოს პრეზიდიუმს გადაეცა იგი სოციალდემოკრატიულ ფრაქციის მიერ. სამხედრო კომისიამ ეს პროექტი მიიღო მთლათ ცოტაოდენი ცვლილებებით. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ აქ ჩამოვარდა ეგრეთ წოდებული ბოლშევიკური საფრთხე. თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავს იდვა შეედგინა წითელი გვარდია. ამ მიზნით მან მიმართა მუშებს. მუშები მოწოდებას დიდის თანაგრძნობით შეხვდენ და სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში 1.000 კაცამდე ჩაეწერა. დაისვა კითხვა: როგორ შევაიარაღოთ მუშები. მივმართეთ სამხედრო უწყებას. ამ განზრახვას ბევრი წინააღუდგა, მათ შორის იყვნენ სოციალისტ-რევოლუციონერები. ისინი, ამბობდენ, რევოლუციის დაცვა ჯარის საქმეაო. რევოლუციის დაცვა ეკუთვნის რევოლუციურ ჯარს. ამნაირათ მუშებსა და ჯარისკაცთა შორის ჩამოვარდა შურისძიება. მთავარმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისი დადგენილება მაინც სისრულეში მოიყვანა: ხუთასი თოფი მიიღო არსენალიდან, შემდეგ აიღო კიდევ ორდერი ხუთასი თოფის გამოსატანი არსენალიდან. მაგრამ როდესაც მივიდენ თოფების წამოსაღებათ ჩვენგან გაგზავნილი ჯარისკაცები ხელცარიელ დაბრუნდენ, იაოალის მიცემაზე უარი უთხრეს. მაშინ ახლა დაარსებული გვარდია იძულებული იყო ერთ საღამოს არსენალი დაეკავებია. არსენალის დაკავების შემდეგ გარნიზონს და მუშებს შორის კონფლიქტი მოხდა. ამიერიდან არსენალი გვარდიის ხელში გადავიდა. რამაც თანდათან გააღრმავა უთანხმოება და შური მობოლშევიკო ჯარისკაცებსა და მუშებს შორის.

გვარდია, როგორც ზევით აღვნიშნე, შესდგა პირველათ თბილისში. ასეთივე წესით მოეწყო პროვინციებში. აქაც დაარსდა შტაბები, მაგალითად: თელავში, გორში, სიღნაღში, სამტრედიაში, ხაშურში, ერთი სიტყვით, საქართველოს უმთავრეს დაბა-ქალაქებში შესაძლებელი შეიქნა გვარდიის მოწყობა; ძნელი შეიქმნა მხოლოდ გვარდიის მოწყობა თათრებით დასახლებულ ადგილებში: ერევნის, განჯის გუბერნიებ-

ში. და ეს გვარდია მედგრათ იცავდა რევოლუციას და მის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას, ებრძოდა ბოლშევიკურ საფრთხეს და ყოველგვარ ანარქისტულ გამოსვლებს აკრობდა.

თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ ნავთლუღში დაბანაკებულ ყარსის პოლკს განზრახვა ჰქონდა თბილისი აეღო და ამიერკავკასიის კომისარიატს ულტიმატუმი წარუდგინა: 24 საათში გადამდგარიყო. მაგრამ ამ ულტიმატუმზე ჩვენმა მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა უპასუხა, რომ იგი მუშათა ინტერესების დასაცავად მზათ არის იარაღით ხელში გაუმკლავდეს ყარსის პოლკს, რომელიც ილაშქრებს რევოლუციონურ მთავრობის წინააღმდეგ. ყარსის პოლკს ასეთი პასუხი გაუკვირდა. ჩვენ გვითხრეს: ვითომც მთავრობა მუშების ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდეს, კონტრ-რევოლუციას ემსახურებოდეს და თუ მუშები მთავრობას ნდობას უცხადებენ, ჩვენ არა გვეთქმის რაო. ამნაირათ, ჩვენმა მორალურმა გავლენამ ყარსის პოლკის მეთაურებზე და უმთავრესათ კი პოლკის შემადგენლობაზე იმოქმედა, გასტეხა. ყარსის პოლკი ნავთლუღიდან წავიდა და ამნაირათ გვარდიამ საფრთხეს გადაგვარჩინა.

თქვენ გახსოვთ, რომ თბილისს ეშალონი ეშალონზე აწვებოდა, მაგრამ გვარდიის დახმარებით საფრთხეს თავიდან ვიშორებდით და ეშალონებს რუსეთში ვისტუმრებდით. ამნაირათ, გვარდიამ მოსალოდნელ საფრთხეს გადაარჩინა თბილისი და შედარებით წესიერება დაამყარა.

ბოლშევიკურმა გამოსვლებმა თავი იჩინეს სოფლებში და დაბა-ქალაქებშიაც, მაგალითად: თელავში, გორში, ქუთაისში, ცხინვალში და სხვ. ყველა ამ ადგილებში წითელი გვარდია ებრძოდა აჯანყებულ ბრბოებს და მშვიდობიანობას ამყარებდა.

წითელმა გვარდიამ ფრონტზედაც ისახელა თავი. ერთი სიტყვით, როგორც შიგნით, ისე გარეთ დიდი სამსახური გაგეწია და თუ დღეს ჩვენში რევოლუციის მონაპოვარით ვსარგებლობთ და თავისუფლება შედარებით უზრუნველყოფილია, ეს სავსებით უნდა მიეწეროს წითელი გვარდიის მოქმედებას; რევოლუციის დაცვა რომ თავს არ ედვა თბილისის მუშათა ორგანიზაციებს, დიდი ანარქია იქნებოდა გამეფებული, როგორც სამოქალაქო ომის სახით, ისე ნაციონალურ ნიადაგზე.

შემდეგ, როცა ოსმალეთთან ხელშეკრულების თანახმათ, ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება ყოველგვარ ბრბოების გაფან-

ტვისა, რათა ამით თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი საფრთხე მშვიდობიანობის დასამყარებლათ, დადგა კითხვა: რას ნიშნავს ეს «ბანდები», რომლის შესახებაც ოსმალეთის მთავრობა იუწყება. ეს წითელი გვარდია, რომელიც აქამდის ასე დიდ სამსახურს გვიწევდა და რომელიც დაკანონებული არ არის, ხომ არ შედის ამ ცნობაში. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ჩვენ ერთგვარი იურიდიული მხარე უნდა მივცეთ საკითხს და გვარდია დავაკანონოთ, როგორც მთავრობის მიერ აღიარებული ძალა, როგორც შინაურ, ისე გარეშე, მოსალოდნელ საფრთხესთან საბრძოლველათ. სწორეთ ამ მოსაზრებით სოც.-დემ. ფრაქციამ შეიმუშავა ეს კანონპროექტი წითელი გვარდიის შესახებ, ეს კანონპროექტი წარუდგინა პრეზიდიუმს, რომელმაც თავის მხრივ გადასცა სამხედრო სექციას განსახილველათ. და დღეს თქვენ მოისმენთ ხსენებული სექციის მიერ განხილულ კანონპროექტს. ამ კანონპროექტით გვარდიაში ეწერებიან ის პირნი, რომელნიც არ არიან ვალდებული სამხედრო უწყებაში იმსახურონ; გარდა ამისა, გვარდიაში მონაწილენი არ უნდა იყვნენ ჩირქ-მოცხებულნი, სისხლის სამართლით დასჯილნი, არამედ უნდა იყვნენ იდეით აღჭურვილნი პირნი, რევოლუციის ერთგულნი დამცველნი. ამ პროექტით, გვარდიის არსებობა არამც თუ ავნებს მუდმივ ჯარს, არამედ დაეხმარება მას და ყოველთვის ხელიხელ ჩაკიდებულნი იმოქმედებენ მასთან ერთად, როგორც ფრონტზე გარეშე მტერთან საბრძოლველათ, ისე შიგნით, ანარქიისა და ექსცესების ჩასაქრობათ. ამნაირათ გვარდია იქნება ერთგვარი რეზერვი ჩვენი მუდმივი ჯარისა. გვარდია ემორჩილება ცენტრში მთავარ შტაბს, ხოლო რაიონებში—რაიონულ შტაბებს. საჭირო ხარჯს გვარდიის შესანახათ კისრულობს მთავრობა.

ჩვენი მიზანია გვარდია თანდათან გავაფართოოთ და ამნაირათ ნიადაგი მოვუმზადოთ მომავალ სახალხო მილიციას, რომელსაც ადგილი ექნება, როდესაც მშვიდობიანობა დამყარდება. გარდა ამისა კანონპროექტში ერთი მთავარი მუხლი გვაქვს, რომლის ძალითაც გვარდია ექვემდებარება მინისტრთა თავმჯდომარეს, რომელსაც უფლება ეძლევა საჭიროების დროს გამოიწვიოს გვარდია. ასეთივე უფლება ენიჭება ეროვნული საბჭოს თავმჯდომარესაც. ამით უზენაესი პოლიტიკური უფლება გვარდიის შესახებ ენიჭება მთავრობისა და საბჭოს თავმჯდომარეებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში რაიონულ შტაბებს უფლება ენიჭება თავისი შეხედულებისამებრ, როცა სასწრაფო ზომებია მისაღები საფრთხის თავიდან

ასაცილებლათ, თვითონ მოახდინოს სათანადო განკარგულება.

აი მთავარი მუხლები იმ კანონპროექტისა, რომელიც თქვენ მოგახსენეთ. ჯერ უნდა ვიმსჯელოთ საერთოდ კანონპროექტის შესახებ, შემდეგ როცა ეს საკითხი გადაწყდება, საბჭო შეუდგება მის მუხლობრივ განხილვას (ტაში).

გაზ. «ერთობა», № 132. .

28 ივნისი 1918 წელი.

დენიკინის ჯაშუშები ჩვენში.

იმის დასასურათებლათ, თუ როგორ მოქმედებენ ჩვენში დენიკინის ჯაშუშები და რაგვარ ცნობებს აწვდიან დანიშნულებისამებრ, საჭიროდ მიგვაჩნია ქვემოდ მოყვანილი ორიოდე დოკუმენტის მოთავსება. ორივე დოკუმენტი ეკუთვნის გურია-სამეგრელოს ეპარქიალური სკოლების ყოფილ ზედამხედველს, ცნობილ სინსკის. პირველი ცნობა, რომელიც ფოთიდანაა გაგზავნილი სინსკის მიერ, შემდეგს შეიცავს:

«ამ დღეებში ფოთში ჩამოვიდა თბილისიდან ინგლისელების მიერ გამოდევნილი გერმანელების მისია ფონ-კრესის მეთაურობით. მისიას დიდი აღფრთოვანებით, «ურა»-ს ძახილით და მუსიკით შეხვდენ სადგურზე. შემდეგ რამოდენიმე საღამო-ბანკეტი იქმნა გამართული რესტორან «მაკედონია»-ში.

თბილისიდან განკარგულება იყო მიღებული: «ფულს ნუ დაზოგავთ და მიმავალ სტუმრებს ღირსეულათ გაუმასპინძლდით»-ო... იყო ღვინის სმა, წარმოითქვა სიტყვები. ერთმანეთს ეფიცებოდენ საქართველო-გერმანეთის ერთგულებაზე. ზეიმში მონაწილეობას იღებდა სოჩიდან ამ საქმისათვის საგანგებოთ ჩამოსული გენ. კონიევი. ყველაფერი ეს ხდებოდა ინგლისელების თვალწინ, მათ დასანახათ, რომ ეჩვენებიათ უცხოელებისათვის, თუ როგორ შეუძლიათ ქართველებს იმ უცხოელების დაფასება, რომელნიც მათ დამოუკიდებლობას მხარს დაუჭერენ, რაიც ინგლისს ჯერ არ უცვნია.

საზღვარაარეთ კი იმავე დამოუკიდებლობისთვის თავს იმცირებენ საგანგებოთ გაგზავნილი დელეგატები. ბევრი თავხედობაა, დიდი პირმოთნეობაა, არ არის მხოლოდ ელემენტარული რიგიანობა.

რუსებსაც შეეძლოთ კარგათ მიღება თავიანთი მეგობრების (ინგლისელების), მაგრამ სამწუხაროთ, მოსალოდნელ

უსიამოვნების თავიდან ასაცილებლათ იძულებული არიან თავი შეიკავონ თავის სიმპატიების საჯაროთ გამოფენისაგან.

ქალაქი ფოთი 1828 წელს რუსებმა დაიპყრეს ოსმალეთისაგან და არამდაარამც არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს კუთვნილებათ».

ბ-ნი სინსკის მეორე მოხსენება დენიკინისადმი ასეთია:

«თქვენო აღმატებულებავ! პირველათ ყოვლისა ბოდიშს ვიხდი, რომ არსებული პირობებისა გამო, თქვენ უბრალო წერილს გწერთ და არ ვიცავ ფორმალობას, რომელიც შეეფერება თქვენს მდგომარეობას. გარდა ამისა გთხოვთ მაპატიოთ სიჩქარით გამოწვეული ჩემი წერილის უსუფთაობა. გთხოვთ თქვენ ფოთის რუს მცხოვრებთა სახელით მალე მისცეთ მსვლელობა ჩვენს საიდუმლო განცხადებას, რომელიც ჩვენ გაუგზავნეთ ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს. ბ. ნიკოლაიდის ხელით (რუსთა სანავოსნო საზოგადოების ყოფილი აგენტია). განცხადების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გვინდა გავიგოთ, როგორ და რომელი საჭიროებისთვის იქმნა დახარჯული ბარინოვის მიერ ცენტრალურ საბჭოსაგან ჩრდილო-კავკასიიდან გამოგზავნილი ფქვილი. რაც შეეხება ბარინოვს, ის ფოთელი ბოლშევიკების ერთერთი ლიდერთაგანია (ბოლშევიკების ლიდერები ფოთში სამია: ბარინოვი, ლეევა და კაჭარავი) და მას შესაფერი ყურადღება უნდა მიექცეს.

დასასრულ ძლიერ გთხოვთ აღმომიჩინოთ დახმარება რომელიმე რუსული თანამდებობის მიღებაში (უკეთესი იქნება პედაგოგიური). ვინაიდან მოანგარიშის ადგილი, რომელიც მე მაქვს ფოთის ნავთსადგურის სამართველოში, სრულებით არ მაკმაყოფილებს.

ყოფილი გურია სამეგრელოს საეპარქიო სკოლების ზედამხედველი, უმაღლესი განათლება მიღებული

სინსკი».

ბ. სინსკის საჯაშუშო ცნობას თან მიჰყვება დენიკინთან მოწვევის ბარათი. როგორც გაზ. «ბორბა» გადმოგვცემს, ამ დღეებში ფოთში დაპატიმრებულ თავ. თომა დადიანს აღმოსჩენია დენიკინისადმი მიწერილი შემდეგი მოწვევის ბარათი:

«თქვენო აღმატებულებავ!

მამა-ჩემი, ბრწყინვალე თავადი სამეგრელოისა, ნიკოლოს დავითის ძე დადიანი, მთელი თავის არსებით მტკიცეთ იცავდა დიდ რუსეთს. ეს იყო მაშინ, როდესაც რუსეთი, გა-

ნურჩევლათ ეროვნებისა, თავისი სახელოვანი შვილებით მოიწევდა წინ კავკასიისაკენ და მოჰქონდა თან მცირე ერებისათვის თავისუფლება, კულტურა და ანთავისუფლებდა მათ მუსულმანთა კლანჭებისაგან. მაგრამ დადგა ჟამი საშინელი —ხანა ცილისწამებისა და მოღალატეობისა,—იუდა-გამცემლები გზას იკაფავდენ და მიისწრაფოდენ რუსეთის გულისაკენ. დახარა თავი დაავადმყოფებულმა რუსეთმა. მაგრამ არ გააგდო თავის სუსტ ხელებიდან. დიდი ბელადები რუსეთის აღდგენას ეტრფოდენ და მის კეთილდღეობას სდარაჯობდენ; ერთი ერთმანეთზე სწყდებოდენ ის სისხლით ნაშენი ჯაჭვები, რომლებიც აერთებდენ კავკასიის ხალხს დიდ სამშობლო დედასთან, რუსეთთან. ხალხი მოიწამლა, იაფ-ფასიან იდეებს აჰყვა იგი აგიტატორების წყალობით.

მე არასოდეს არ დამიკარგავს იმედი, რომ დადგება დრო, როდესაც რუსეთი ძლიერი და აღორძინებული, აღმართავს მაღლა თავის ლახვარს და დაიცავს სამართლიანობას; ამგვარი ჟამი მოახლოვებულია.

თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ერთი დიდი მეთაურთაგანი ხართ რუსეთის, თქვენი სახელი ისტორიის ფურცლებზე საპატიო ადგილს დაიკავებს, რადგანაც თქვენ გადალახეთ ყოველივე დაბრკოლებანი; ყოველგვარი ჭირ-ვარამი აიტანეთ, რათა უკვდავების წყალი გეკურნებინათ რუსეთის ტანჯული სხეულისათვის.

მოგესალმებით თქვენ წმინდის გულით, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! მთელის ჩემის მოზღვავებულის გრძნობით მსურს აბობოქრებულ კავკასიის სახელით შევკვირო: «კეთილი იყოს თქვენი მოსვლა რუსეთის დიდებულო ბელადო»!

უკუნითი უკუნისამდე იქნება კურთხეულ თქვენი სახელი».

გაზ. «ერთობა» № 162.

23 ივლისი 1919 წელი.

საქართველოს რეპუბლიკის

სასალხო გვარდიის წარმომადგენელთა პირველი ყრილობა.

1919 წ. 14 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ზურაბიშვილის სახალხო სახლში გაიხსნა გვარდიის წარმომადგენელთა ყრილობა. 9 ნახევარ საათზე სახალხო სახლში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. გვარდიის დელეგატების გარდა მრავალი იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები: დამფუძნებელი კრების, მთავრობის, მუშათა საბჭოს, თვითმართველობათა წარმომადგენლები, მუშები და სხვ. სახალხო სახლი შემკული იყო წითელი და ეროვნული დროშებით. ასევე იყო შემკული დარბაზში წითელი დროშებით მარქსის, ლასალის, ენგელსის და ნოე ჟორდანიას სურათები; უკანასკნელის სურათს ამშვენებდა აგრეთვე საქართველოს თავისუფლების ემბლემა—ეროვნული დროშა. რამპის წინ მუშების ორკესტრი იყო მოთავსებული.

ყრილობა გახსნა მთავარი შტაბის წევრმა ვ. ჯუღელმა. გახსნა რა ყრილობა, მიმართა დელეგატებს შემდეგი სიტყვით:

ვალიკო ჯუღელის სიტყვა.

ამხანაგებო! დღეს იხსნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა. ეს იყო ჩვენი დიდი ხნის სურვილი და ოცნება. ამ ერთი წლის წინეთ გვინდოდა ასეთი ყრილობის მოწვევა, მაგრამ მრავალი შინაური და გარეშე მტერი ხელს გვიშლიდა ეს ოცნება გაგვეხორციელებინა. მიუხადავათ იმისა, რომ დღეს გვაქვს ფრონტი დენიკინის წინააღმდეგ და მრავალი მუშათაგანი სდგას იქ, პირისპირ მტრის წინააღმდეგ, ჩვენ მაინც მოვახერხეთ ყრილობის მოწვევა. ეს ყრილობა არის სავსებით გამომხატველი გვარდიისა, აქ წარმოდგენილი არიან გვარდიის ყველა ერთეულების წარმომადგენელნი და მთავარი შტაბის სახელით წინადადებას გაძლევთ აირჩიოთ პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმის არჩევნები.

ყრილობა პრეზიდიუმში ერთხმათ ირჩევს: თავმჯდომარეთ ამხ. გრ. ლორთქიფანიძეს; მის ამხანაგებათ ნიკო (კოლია) ჭუმბურიძეს და მ. ძამანაშვილს; მდივნებათ მიხ. ბაქუნაიშვილს და არტემ ფანცულაიას. თავმჯდომარის ადგილს იკავებს გრ. ლორთქიფანიძე, რომელსაც დარბაზი მხურვალე ტაშისცემით ეგებება.

ერ. ლიბრთქიცანიძის სიტყვა.

ორატორი სიტყვის დასაწყისში აღნიშნავს, რომ ის მისალმება. რომლითაც მას შეეგებენ, ეკუთვნის არა მას, არამედ იმ იდეას, რომელსაც ჩვენ ყველანი ვემსახურებით. მეტად საპასუხისმგებლო საქმე გვაქვს ჩვენ დღეს და იმედია, რომ ღირსეულათ დავაბოლავებთ მას. დღევანდელმა კრებამ უნდა გადაათვალიეროს თავისი წარსული ნაბიჯები. გაუკეთოს მას ანალიზი და ძველ შინაარსს ახალი ფორმა მისცეს. სახალხო გვარდია—ეს კაბინეტში მოგონილი არ არის, ის მუშათა წიაღში დაიბადა. ოდესღაც ის იყო პატარა ჯგუფი, ეხლა ის გაიზარდა და ჩვენც მას გარეგანი ფორმა უნდა გამოვუნახოთ —მხოლოდ ფორმა, რადგანაც ძველი შინაარსი დასაწუნი არ არის,—ძველი შინაარსის მოთავსება ახალ ფორმაში,—აი ჩვენი მისწრაფება. გვარდია—ეს ერთი ნაწილი მუშათა კლასის, —ეს უმთავრესი გეზი არ არის დაკარგული და გვარდია მუშათა კლასთან მუდმივ შემთხვევაში ჰპოვებს თავის ძალას. თქვენი ხმალი მუშის ჩაქუჩის და გლეხის გუთნის ფარია და ვაი იმ ხმალს, რომელიც მოინდომებს გუთანზე გაბატონებას. თქვენ არ გაამართლეთ მტრის იმედი. მათ ეგონათ: თქვენ გადაიქცევოდით მუდმივ ჯარად, გასწყვეტდით კავშირს მუშათა კლასთან და მოინდომებდით გაბატონებას გუთანზე. მტრის ოცნება უნიადაგო გამოდგა

ამხანაგებო! სანამ გადავიდოდეთ დღის წესრიგზე. სასოებით მოვიხსენიოთ ის პირნი, ვინც თქვენთან ერთად გვარდიაში შედიოდენ და დაანთხიეს წმინდა სისხლი თავისუფლების საკეთილდღეოთ, პატივი ვცეთ ფეხზე ადგომით დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას (მთელი დარბაზი ფეხზე დგება. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს).

აქ, ამხანაგებო, დარბაზში იმყოფებიან ის ამხანაგები, რომლებიც პირისპირ შეხვდენ მტერს, მაგრამ სიკვდილს გადაურჩენ. აქ არიან დაჭრილთა და ინვალიდთა წარმომადგენლები, რომლებიც მოელიან მორჩენას იმ იმედით, რომ ხელახლა შეხვდენ სიკვდილს პირისპირ რევოლუციის დასაცავათ (ძლიერი ტაში. ინვალიდებს ყრილობა ოვაციებით ხვდება) პირველი ჩვენი გულწრფელი სალამი მათ, ვინც დღეს ფრონტზე სდგას და იცავენ ჩვენს თავისუფლებას, სალამი რევოლუციონურ ფრონტს ტაში. (ორკესტრიუკრავს მარსელიოზას).

ამხანაგებო. როდესაც რუსეთში გახლდით, მოშორებით ვიყავი თქვენგან—ხშირათ შიში მიპყრობდა: ვაი თუ ბოროტ-

მა ძალამ შესძლოს ძმათა შორის მტრული დამოკიდებულების დამყარება, გვარდიისა და ჯარის გადაკიდება. უნდა აღვნიშნო, რომ მიუხედავათ რეაქციონერთა სისინისა. ძმური კავშირი გვარდიასა და ჯარს შორის მუდამ იყო და იქნება, მხოლოდ ჩვენ ვეჯიბრებით ერთმანეთს იმაში, თუ ვის ერგოს უპირატესობა—პირველი ეკვეთოს რევოლუციის მტერს. აქ იმყოფება ჯარების უფროსი—ვთხოვთ მას ძმური სალამი გადასცეს ჩვენ სახელოვან ჯარს (ძლიერი ტაშით ეგებება ყრილობა ამ წინადადებას. ოვაციებს უმართავენ იქ მყოფ სამხედრო მინისტრის ამხანაგს გენ. გედევანიშვილს და ქართველ მხედრებს. მუსიკა მარსელიოზას უკრავს).

ამხანაგებო, თქვენი სისხლით და ენერგიით ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე დარჩა ერთი კუნძული—საქართველო—რომელიც პატარა ოაზისია დემოკრატიისა. აქ შერჩენილია დემოკრატიული სახე. სალამი დემოკრატიის ნებისყოფის უზენაეს გამომხატველს დამფუძნებელ კრებას (ძლიერი ტაში. მუსიკა უკრავს ქართულ ჰიმნს). მას და ქართველ დემოკრატიას უდგას სათავეში თქვენი წიაღიდან გამოსული მთავრობა.

საშინელი რეაქციის დროს, როდესაც რეაქციის ტალღებში ილეკება რუსეთი, გადარჩა უვნებლათ ნოეს კიდობანი, არა-ბიბლიური ნოესი, არამედ საქართველოს ბელადის. სალამი საქართველოს მთავრობას და მის მესვეურ ნოეს (ძლიერი ტაში. ჰიმნი). მივესალმოთ ამხანაგებო იმ კლასის წარმომადგენლებს, რომლის წიაღშიც თქვენ წარმოიშვით, მივესალმოთ მუშათა დეპუტატების საბჭოს და ჩვენი მისალმება დავაგვირგვინოთ ინტერნაციონალის მისალმებით. ომის დროს მუშათა სოლიდარობა დარღვეული იყო. დღეს სდგება ხელახლა ინტერნაციონალი: შევუთვალოთ მას, რომ ეს პატარა რაზმი მის განკარგულებაში არის; გავუგზავნოთ სალამი მას იმ ჩვენი დელეგატების სახით, რომლებიც მუშათა ინტერნაციონალში იმყოფებიან (ძლიერი ტაში. მუსიკა ინტერნაციონალს უკრავს).

მისასალმებელი დეპეშის ტექსტის გამომუშავება დაევალა პრეზიდიუმს.

პირველად ყრილობას ესალმება დამფუძნებელი კრების წარმომადგენელი, სოციალდემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე რ. არსენიძე. რომლის გამოსვლასაც ყრილობა ერთსულოვანი ტაშით ეგებება.

რაჟდენ არსენიძის ხიტყვა.

წითელი გვარდიის პირველ ყრილობას გულწრფელი სალამი. ჩვენი გვარდიის წარმოშობა მოხდა რევოლუციის ნიადაგზე, როგორც დამფუძნებელი კრებისა. სათავე ამ ორი ძალისა ერთი და იგივეა. მუშათა საბჭოებმა, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, თბილისის მუშათა საბჭომ წარმოშვა განსაკუთრებული ორგანო—პირველი ჯგუფი სახალხო გვარდიისა, მაშინ ეგრედ წოდებული წითელი გვარდიისა და მისი პირველი შტაბი. მანვე წარმოშვა ჩვენი მმართველობის აპარატიც. ამგვარად ერთმა და იმავე მოთხოვნილებამ შეჰქმნა ეს ორი ძალა: სახელმწიფო აპარატი და მისი დამცველი შეიარაღებული დემოკრატია: ეს ორი ელემენტი, რომელთაც ვალად აწევთ მოწყობა და დაცვა, ამ ურთიერთობის განუყრელი და განუშორებელია. მხოლოდ მათ შეერთებულ ძალას შეეძლო წარმოეშვა დღევანდელი ვითარება: ისე მთავრობა ვერ დაიკვეხდა მოეწესრიგებია სახელმწიფოს საქმეები, რომ მას არ ჰყოლოდა მუდმივი და ერთგული დარაჯი, როგორიც არის შეიარაღებული დემოკრატია, შეიარაღებული ხალხის შვილები. მთავრობა ეყრდნობოდა ამ გვარდიაზე როგორც სალკლდეზე და სძლევდა ყოველ დაბრკოლებას და მე ვამბობ იმას, რომ საქმის მოწყობას აადვილებდა ის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა სახალხო გვარდია. მეორე მხრით, დამფუძნებელი კრების მიერ სახელმწიფო აპარატის აგება უადვილებდა გვარდიას მოღვაწეობას. დამფუძნებელი კრება შეხარის იმას, რომ ჩვენ მოვახერხეთ ამ ორი წლის სასტიკი ბრძოლის შემდეგ შეგვეკრიბა საერთო ყრილობა სახალხო გვარდიისა. ეს ორი წელი ქაოტიურ გამუდმებული ბრძოლის ხანა იყო, როგორც თქვენთვის ისე ჩვენთვისაც და როცა მე აქ მოვდიოდი და ვხედავდი ამ დარბაზზე შემორტყმულ წითელ ალამს და აქ გაშლილ წითელ დროშებს, ვფიქრობდი, რომ ეს არის სისხლი იმ ამხანაგების, რომელთაც თავი შესწირეს ჩვენს დემოკრატიას, ჩვენს რესპუბლიკას. ეს არის უმანკო სისხლით შეღებილი დროშები და მე მრწამს, ეს სახელოვანი დროშები აღარ დაეშვება ძირს, რადგან მას იცავს ჩვენი სიმტკიცე გვარდია, მისი სიმაგრე,—მისი გამარჯვების თავდები. მე აგრეთვე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ როგორც დღემდე ისე მომავალშიაც სახელოვანი გვარდია შესძლებს უფრო მტკიცედ, უფრო მძლავრათ და მედგრათ დაიცვას რევოლუციის მონაპოვარი და ის წყობილება, რომელმაც აქამდე მოი-

ყვანა ჩვენი ხალხი. დამფუძნებელი კრება და მისი უმთავრესი ფრაქცია, სოც.-დემ. ფრაქცია გისურვებდა თქვენ მხნე მუშაობას და გონივრულათ გადაწყვეტას იმ საკითხების, რომელიც არის დღეს დასმული თქვენს წინაშე. დამფუძნებელი კრება გულდასმით მოისმენს თქვენს სიტყვას და თქვენს დადგენილებას იგი ყურადღებით მოეპყრობა, არა იმიტომ, რომ ეს არის სიტყვა შეიარაღებული ძალის, არამედ როგორც რევოლუციის მონაპოვართა მთავარი დამცველი ძალის, როგორც დემოკრატიის საუკეთესო ნაწილის ერთგვარი პარლამენტის ხმას, რომელმაც სისხლით დაამტკიცა სიყვარული რესპუბლიკისა, რევოლუციის მონაპოვარის დემოკრატიისადმი. ჩვენ გვწამ, თუ ამდენხანს თქვენი ხმალი იყო მჭრელი და შეუდრეკელი, სიტყვა თქვენი იგივე მჭრელი და მნიშვნელოვანი იქნება.

გაუმარჯოს სახალხო გვარდიას, რესპუბლიკის საუკეთესო შვილებს (ხანგრძლივი ტაში).

ნოე რამიშვილის სიტყვა.

ნოე რამიშვილი—სამხედრო, შინაგანი და განათლების მინისტრი:

ამხანაგებო! ამ დიად მომენტში განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა მთავრობა იმ ნაბიჯებს, რომელსაც სდგამს ჩვენი სახალხო გვარდია და გულწრფელ სალამს უძღვნის ხალხის საუკეთესო შვილთ. არაჩვეულებრივ პირობებში მოუხდა მთავრობას სახელმწიფოს მოწესრიგება: დაშლილი ფრონტი, არეულდარეული შინაური ცხოვრება, ანარქიული ელემენტების გამოლაშქრება;—აი ის საერთო სურათი, რომელიც მეტისმეტად მძიმე პირობებში აყენებდა ქვეყანას, მისი ნდობით აღჭურვილ მთავრობას და ყოველ არაჩვეულებრივ, ვიტყვი, კატასტროფიულ მომენტში, ჩვენ გვქონდა ერთი იმედი, ერთი ნუგეში—ეს იყო რევოლუციონური ხალხის გულიდან, მისი წიაღიდან გამოსული რაზმი—სახალხო გვარდია. დავასახელებ, მოქალაქენო, სამ მომენტს: არსენალის აღება, როდესაც სახალხო გვარდიამ ფრთები შეაკვეცა იმ ანარქიულ ელემენტებს ფრონტიდან დაძრულ დალეშილ ლაშქარს, რომელსაც სურდა დარბევა-დასამარება ჩვენი დემოკრატიის, დემოკრატიული წესწყობილებისა. არსენალის აღების საქმემ ლახვარი ჩასცა ანარქიულ ელემენტებს. მეორე ასეთივე მომენტი, რომელსაც გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის,—ეს არის გორის და დუშეთის მაზრებში ასე ინტენსიურათ წარმოებული აჯანყება, მოწყობილი დემოკრატიის და

ხალხის მტრების, ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტების მიერ. თქვენ კარგათ იცით ეს დიადი საქმე, როდესაც სახალხო გვარდია შეებრძოლა ამ გამოსვლებს და ბოლო მოუღო მეამბოხეთა ცდას, დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის სურვილით გამოწვეულს. იყო მესამე აქტი, მესამე მომენტი, რომელსაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინემ წინა ორ აქტს. ეს იყო შინაური ბრძოლის, ანარქიის ჩაქრობასთან ერთად ანტიდემოკრატიული, ანტირევოლუციონური სურვილებით განწყობილი მტრის წინააღმდეგ წარმოებული ომი, ომი უცხო სახელმწიფოებთან, ეს იყო ომი ძალაუნებურათ თავზე მოხვეული, სომხებთან. თქვენ კარგათ იცით ეკატერინოფელდთან დიდი გამარჯვება, რომლისათვისაც ჩვენ რამდენიმე წარჩინებული პირი დავკარგეთ. აქ სახალხო გვარდიამ იხსნა რესპუბლიკა თავის სახელოვან მოიმესთან, ჯართან ერთად, რომელსაც ის შეუსისხლხორცდა და რომელთანაც ხელიხელ ჩაკიდებული მიდიოდა ყოველთვის... სრულიად ზედმეტათ მიმაჩნია ჩამოთვლა იმ დიდი საქმეებისა, რომელიც გააკეთა სახალხო გვარდიამ ამ წელიწადახევრის განმავლობაში. სახალხო გვარდიისათვის საპირო არ არის დიდება და შემკობა. არა ქებისათვის და დიდებისათვის იბრძოდა სახალხო გვარდია. ის იბრძოდა თავის მოვალეობისათვის, დემოკრატიის დაცვისა და მის სამსახურისათვის და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ როლს სახალხო გვარდია ისე პირნათლათ შეასრულებს შემდეგში, როგორც პირნათლათ, სახელოვანათ და დიადათ ასრულებდა მას აქამდე რევოლუციონური დემოკრატიის წინაშე. მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაწერ ერთ გარემოებას,—აქ ნება მიბოძეთ ვთქვა ორიოდე სიტყვა, როგორც სამხედრო მინისტრმა,—თქვენ კარგათ იცით, რომ სახელმწიფოს დაცვაა უპირველესი საქმე თავისუფალ და დამოუკიდებელ ხალხისათვის. სახელმწიფოს განვითარება აუცილებლათ მოითხოვს შინაურ წესრიგსაც. ამ შემთხვევაში მუდამ, ისე შემდეგშიაც თქვენი სახელოვანი ხმალი ისევე ბასრი იქნება, როგორიც იყო დღემდის. და თქვენ ისევ ბრწყინვალეთ შეასრულებთ თქვენს მოვალეობას, როგორც აქამდე ასრულებდით.

მხოლოდ მთავრობის სახელით, მე ამას ვიტყვი,—როცა საქმე ეხებოდა სახალხო გვარდიის განმტკიცებას, მის გაძლიერების საკითხს,—ის ყოველ წუთში მზად იყო უკანასკნელი საშუალება არ დაეშურა საქმისათვის და არასოდეს ეს ვალი მას არ დავიწყებია და შემდეგშიც ყოველთვის დავეხმარებით

თქვენ და რესპუბლიკის დაცვისას, რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნების და ხალხის განვითარების საქმეში. ჩვენი სურვილია, სახალხო გვარდია იდგეს ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც დღემდე იდგა და არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობება მას წინ, ვინაიდან ჩვენი მდგომარეობა, რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა თანდათან მტკიცდება, და თანდათან ძლიერდება დემოკრატიის გავლენა, დემოკრატიის ძალა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სახალხო გვარდია, რესპუბლიკის სახელოვან ლაშქართან ერთად. დაეხმარება მას მთელი თავისი ძალღონით.

სალამი რესპუბლიკის მთავრობის სახელით რევოლუციონურ სახალხო გვარდიას (ტაში).

გ. მაჩარაძის სიტყვა.

თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა გ. მაჩარაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ გვარდია წარმოიშვა მუშათა დეპუტატების წიაღიდან.

ჩვენ ვიცოდით, რომ რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებას და განმტკიცებას სჭირდება არა მარტო ორგანიზაციული მუშაობა არამედ იარაღითაც დაცვა. საბჭოს არ შეუძლია არ იამაყოს იმით, რომ სახალხო გვარდია ასე თავდადებით იცავს თავისუფლების წითელ დროშას და იმედი გვაქვს, რომ ის ამ დროშას ხელიდან არასოდეს არ გაუშვებს. არა ერთხელ შევკრებილვართ ჩვენ აქ, ამ დარბაზში, იმ დროს, როდესაც ანარქიის ტალღები წალეკას გვიქადდენ, თქვენ დარწმუნდით, რომ არც ისე ადვილია მუშათა კლასის დამარცხება. თქვენ უნდა იცოდეთ, ამხანაზეგო, რომ თავისუფლების ბრძოლაში თანაგრძნობა თქვენს მხარეზეა, მთელი მუშათა კლასი თქვენთან არის (ტაში).

ბენერალ ბეიმგანიშვილის სიტყვა.

მხურვალე სიტყვით მიესალმება ყრილობას სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. გედევანიშვილი, ორატორი, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ დისციპლინაში აღზრდილი ჯარი ძნელათ ეგუებოდა თავისუფლებას. ჩვენი ყურადღება თქვენსკენ არის მომართული. ჩვენ გვსურს რესპუბლიკის ჯარს დისციპლინასთან ერთად შთავუნერგოთ თავისუფლების სული. ამ მხრივ თქვენგან ველით ჩვენ დახმარებას და იმედიც გვაქვს, რომ ხელიხელ ჩაკიდებულნი ვიველით უკეთეს მომავლისაკენ. ჯარის სახელით ხმამაღლა ვიძახით: გაუმარჯოს სახელოვან სახალხო გვარდიას (ძლიერი ტაში).

ბენია ჩხიკვიშვილის სიტყვა.

მგრძნობიარე სიტყვით მიესალმება ყრილობას. თბილისის ქალაქის თავი ბენია ჩხიკვიშვილი. ის აღნიშნავს, რომ გვარდია დღეს ისეთ გზას ადგას, რომ მისი დამარცხება შეუძლებელი ხდება. შესაძლებელია რომელიმე დიდმა ძალამ მოსპოს გვარდია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მას უკან ვერავინ დაახევინებს. იგი უსურვებს გამარჯვებას გვარდიას და იმედს გამოსთქვამს, რომ გვარდია რეგულიარულ ჯართან ერთად არ დაუშვებს დაბლა წითელს და ეროვნულს დროშას და შესძლებს გზა გაუკაფოს დემოკრატიას უკეთეს მომავლისაკენ (ძლიერი ტაში).

დავით ონიაშვილის სიტყვა.

ერობათა წარმომადგენელი—დ. ონიაშვილი:

საქართველოს რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობის სახელით მივესალმები სახელოვან სახალხო გვარდიას. გვარდია და ერობა, ორივე ემსახურება ერთსა და იმავე დიად მიზანს—ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცების და აღორძინების საქმეს. პირველი—იარაღით ხელში იცავს რესპუბლიკის საზღვრებს და ებრძვის თავისუფლების მტრებს, მეორე—ამ საზღვრების შიგნით აწარმოებს ყოველდღიურ კულტურულ მუშაობას. დიადია ერობის მნიშვნელობა ხალხისათვის, მაგრამ კულტურული მუშაობა მოითხოვს პირველყოვლისა წესიერებას და მშვიდობიანობას. დაუღალავი ბრძოლით, სამაგალითო თავგანწირვით სახალხო გვარდიამ შექმნა პირობები კულტურულ მუშაობისა ჩვენში, და აი, ამაშია სახალხო გვარდიის ისტორიული ღვაწლი ჩვენი ერის წინაშე. ამიტომ შეუყვარდა ხალხს სახალხო გვარდია, როგორც თავისი ღვიძლი შვილი. სახალხო გვარდიის და მარცხება—ხალხის დამარცხებაა; მისი გამარჯვება—ხალხის გამარჯვებაა. ხალხს სჯერა, რომ გვარდია უძლეველია, როგორც თვით ხალხი და უკვდავი როგორც იდეა თავისუფლებისა. ხალხმა იცის, რომ არ დაჩლუნგებულა ის ხმალი, რომელიც ჰკვეთდა ბნელეთის და რეაქციის მოციქულებს სამხრეთის და ჩრდილოეთის ფრონტზე; ამასთანავე ხალხს სწამს, რომ არასოდეს არ დაეცემა დაბლა სახალხო გვარდიის წითელი სახელოვანი დროშა (ტაში).

ნიკო გლიავას სიტყვა.

ქალაქთა კავშირის სახელით მიესალმება ყრილობას ნ. ელიავა. ის აღნიშნავს, რომ ქალაქთა კავშირმა გადასდო 50.000 მანეთი დაღუპულ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოთ და დაარსა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს სახელობაზე ათი სტიპენდია ქალაქის სკოლებში გვარდიელთა შვილების აღსაზრდელათ. გარდა ამისა ქალაქთა კავშირმა დაადგინა: საქართველოს დემოკრატიის ბელადის ნოე ჟორდანიას სახელობაზე დაარსდეს ხუთი სტიპენდია (ტაში).

გრ. ურატაძის სიტყვა.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ სოც.-დემოკრატიისა, მისი ცენტრალური კომიტეტისა და მისი ცენტრალური ორგანოს «ერთობა»-ს სახელით მხურვალე ამხანაგური სალამი ვუძღვნა ჩვენი სახალხო გვარდიის პირველ ყრილობას. დიდია მოღვაწეობა სახალხო გვარდიისა, მისი მოღვაწეობა არც კი აიწერება ასეთ მოკლე მოსალოც სიტყვაში. მიუდგომელი ისტორიკოსი ორი-სამი თვის ნაშრომ წიგნშიაც ძნელათ შესძლებს მის მოთავსებას. ამ მოღვაწეობის აღწერას ის შესძლებს, არ მოეშვება, რომ ის ვერ იშოვნის შესაფერ სიტყვებს გვარდიელთა თავგანწირულების მშვენიერების გამოსახატავად. თქვენ, ამხანაგებო, კარგათ მოგეხსენებათ, რომ სახალხო გვარდიის შექმნაში, მის წარმოშობასა და განვითარებაში სოც.-დემოკრატიული პარტია უახლოეს მონაწილეობას იღებდა და ამიტომ მის მოღვაწეობაზე ლაპარაკი არც მეხერხება. რადგან ეს იქნებოდა იმავე დროს ჩვენს პარტიაზე ლაპარაკი და ეს საპატიო როლი კი სხვას უნდა დავუთმოთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ისტორიამ ინება ჩვენი პატარა ქვეყანა პოლიტიკურ საცდელ მინდვრათ გადააქცია, თუ შეიძლება ასე ითქვას. ამ ცდაში მან დიდი ჭირვარამი გადაიტანა და არ აერთხელ ყოფილა დაღუპვის პირათ, მაგრამ ის დღემდე მაინც გადარჩა და ყველა დაბრკოლებიდან გამარჯვებული გამოვიდა. და ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენი გვარდია მჭიდროთ შეკავშირებული იყო ჩვენს პარტიასთან. პარტია და მისი ხელმძღვანელი ორგანო მსჯელობდა, არკვევდა და სწყვეტდა კითხვებს. ეს გადაწყვეტილება ჩვენს გაზეთს თქვენამდე მოჰქონდა, თქვენ კი ატარებდით ცხოვრებაში. და ასე კეთდებოდა ის დიდი საქმე, რომელმაც ჩვენი ხალხი ასე უშიშარ ნავთსაყუდელში მიიყვანა. არც ერთი პარტია არ გრძნობს თქვენს მოღვაწეობას

ისე, როგორც ჩვენი პარტია, რადგანაც, როგორც იცით, ჩვენი პარტია არის მართველი პარტია, მას ისტორიამ მძიმე ულელი დაადგა და თუ მას დღემდე ასე მსუბუქათ ზიდავს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენსა და თქვენს შორის მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირი იყო. ჩვენი პარტია ამაყობს ამით და დარწმუნებულია, რომ ჩვენი გვარდია შემდეგშიაც არ წაართმევს მას ამ სიამაყის უფლებას და საშვალებას. ეხლა კი მიიღეთ ჩემგან პარტიის სახელით არა ოფიციალური სალამი, არამედ დიდი თაიგული სიყვარულისა და ამხანაგობისა.

გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას (ტაში).

სინგალასნა მისალმება.

ვლ. ვოიტინსკი მიესალმება ყრილობას გაზეთ «ბორბა»-ს სახელით. საქართველოს მუშათა პროფესიონალურ საბჭოს სახელით ამხ. შ. აბდუშელიშვილი. დიდი ოვაციებით შეხვდა ყრილობა მთიელთა რესპუბლიკის მეჯლისის წარმომადგენლებს. საპასუხო სიტყვა კრების თავმჯდომარე გრ. ლორთქიფანიძის მხურვალე ტაშს იწვევს. რკინისგზის ცენტრალური კავშირის სახელით მიესალმება ყრილობას ამხანაგი კუპრაშვილი.

წაკითხულ იქმნა ქართულ სამხედრო სასწავლებლის უფროსის გენ. კვინიტაძის მისალმება სახალხო გვარდიის ყრილობისადმი და საქარ. სოც.-დემ პარტიის არსებული სომხური სექციისაგან. ორკესტრმა დაუკრა მარსელიოზა. ამის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით არჩეულ იქმნა სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით: კ. იმნაძე, სვიმ გოცაძე. მ. ახმეტელაშვილი და ვ. ქარცივაძე. და კრება დაიხურა.

«ერთობა» № 209. 16 სექტემბერი 1919 წ.

სასალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოხსენება სასალხო გვარდიის პირველ ყრილობაზე.

თავმჯდომარეობს გრ. ლორთქიფანიძე. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოხსენება

მომხსენებელია ვ. ჯ უ ღ ე ლ ი:

ამხანაგებო, სანამ მოხსენებას შევუდგებოდე, მე მინდა შევჩერდე იმ მისალმებაზე, რომელიც ყრილობამ მოისმინა. მისალმებები მოწმობენ, რომ ჩვენ მუშაობა გვიწარმოებია და კიდევაც უნდა ვაწარმოვოთ. მაგრამ ჩვენ მრავალი ნაკლიც გვქონდა და ქებამ არ უნდა გაგვიტაცოს. თუ შეიარაღებულ მა ძალამ თავისი თავი წარმოიდგინა ერთად-ერთ ძალათ, რო-

მელსაც ეყრდნობა სახელმწიფო, ის დაემხობა და დაემხობა თვით სახელმწიფოც. ჩვენ ღვიძლი შვილი ვართ დემოკრატიისა და ეს უნდა მუდამ გვახსოვდეს. სახალხო გვარდიაში არ უნდა მოხდეს ის მილიტარიზაცია, რომელიც ბოლოსდაბოლოს ანადგურებს სახელმწიფოს. ჩვენ მოვსულვართ აქ უიარაღონი, როგორც უბრალო დემოკრატები. ჩვენ შეიარაღებული ვართ და ამავე დროს მშვიდობიანობის მატარებელნიც. სახალხო გვარდიის მიზანია მშვიდობიანობის დამყარება. მუდმივი შეიარაღებული ძალა კი ომებით საზრდოობს. ჩვენთვის იარაღის ხმარება არ არის მიზანი, მაგრამ თუ მშვიდობიანობით ვერ მივაღწიეთ მიზანს. მაშინ იარაღს ვკიდებთ ხელს. ჩვენ ბევრი ნაკლი გვაქვს. მთავარ შტაბთან არის სახელმწიფო კონტროლის განყოფილება: მისი გამგე აღნიშნავს მხოლოდ წვრილმანებს და მთავარს ვერ ამჩნევს. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ დეფექტებზე, ნაკლზე. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ეს ნაკლი შედარებით თანდათან მცირდება და მალე მინიმუმამდე მივა.

თბილისის პროლეტარიატის უმაღლესმა ორგანომ—მუშათა დეპუტატების საბჭომ—დაიწყო მუშების შეიარაღება; მას ახლათ ჰქონდა შეექმნა ისეთი ძალა, რომელიც შეებრძოლებოდა ყველას, ვინც რევოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ჩვენ იარაღი ავიღეთ და რომ ეს გზა არ აგვერჩია, ეხლა ჩვენ სისხლში ვიქნებოდით გახვეული. კონტრ-რევოლუცია გაიმარჯვებდა. რუსეთი იმიტომ დაიღუპა, რომ იქ ნამდვილი დემოკრატია უიარაღო დარჩა.

განა ჩვენში კონტრ-რევოლუცია არ არის? განა ჩვენში ყოფილი გაბატონებული კლასები უარს იტყვიან თავის პრივილეგიებზე? საფრანგეთში ეს არ მომხდარა. თავად-აზნაურობას ბრძოლა შეუძლია, მაგრამ ის დარწმუნებულია. რომ მას წითელი ხმალი დაამარცხებს.

პირველათ შეიარაღებაზე იფიქრა საქართველოს მოწინავე დემოკრატიამ, თბილისის დემოკრატიამ. პირველათ ეს საკითხი დასვა თბილისის მუშათა საბჭომ და გადასწყვიტა საბჭოს წევრების შეიარაღება, მაგრამ თანდათან რთულდება ჩვენი მდგომარეობა.

პირველი იარაღი, რომელიც იშოვნა მუშათა კლასმა, ეს იყო ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოდან გამოტანილი იარაღი, მარტის დასაწყისს. 5 სექტემბერს ნაძალადევის მუშებს ჩვენ მივეცით 40 თოფი. ეს იყო პირველი ნაბიჯი. ჩვენ ვიცოდით, რომ ამ საკითხის გადაჭრა უბრალოთ არ შე-

იძლებოდა. ამიტომ დაარსდა საზოგადოებრივი თავდაცვის კომისია. ამან შეაიარაღა მუშათა ნაწილი, რომელსაც დაერქვა: «მუშათა შეიარაღებული მილიცია». მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ მხოლოდ ნაწილის შეიარაღება არც შეიძლებოდა და ცოტაც იყო. ჩვენ უნდა შეძლებისამებრ ყველა რევოლუციონერებისათვის მიგვეცა იარიღი და ასე ერთგვარი ორგანიზაცია შეგვექმნა. ამ ორგანიზაციას ჩვენ დავარქვით: «წითელი გვარდია». შემდეგ ეს ორგანიზაცია სახელმწიფოს დავუმორჩილეთ კანონმდებლობითი გზით და დავარქვით: «სახალხო გვარდია».

გვარდიელთა პატარ-პატარა რაზმები, ცენტრის მერმე, პროვინციებშიც გაჩნდენ: ქუთაისში, ყვირილაში, კახეთში, გორში, სამტრედიაში. მაგრამ ეს ცალკე რაზმები იყო, მათ ერთი შემაკავშირებელი სათავე არ ქონდათ. ჩვენ თავიდანვე ვგრძნობდით, რომ ასეთი მდგომარეობა ასუსტებდა ჩვენს ძალებს და აუცილებელი იყო ძლიერი ცენტრის შექმნა.

თბილისში ყველაზე მეტია რიცხვით მუშები. მათი გამოწვევა და შეკრება საჭიროების დროს ადვილი საქმე რომ არ ყოფილიყო, თბილისის პროლეტარიატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ იარსებებდა, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო არ ყოფილიყო, საქართველოში რეაქცია იქნებოდა და მთელი სახალხო გვარდიის ღვაწლი ისაა, რომ მან თავისი სისხლით ააშენა ეს რესპუბლიკა. მაგრამ როგორია სახალხო გვარდიის ისტორია ამ ორიოდ წელიწადში?

ჩვენ ეხლა უფრო მეტი ზარბაზნები გვაქვს ვიდრე მაშინ თოფები გვქონდა. ჟანდარმების შემდეგ რკინისგზის კომიტეტმა სამასი თოფი მოგვცა. მერე ლეგალურათ გამოვიტანეთ არსენალიდან ხუთასი თოფი, რომლებიც ჩვენთვის უვარგისი იყო. პირველი უდიდესი ფაქტი გვარდიის ისტორიაში იყო— არსენალის აღება. სამასმა მუშამ აიღო არსენალი; ეს იმ დროს, როდესაც თბილისში იყო 15—20 ათასი მობოლშევიკო ჯარისკაცი. მაგრამ მათ 300 მუშის წინააღმდეგ ვერ გამოილაშქრეს, რადგანაც ეს იქნებოდა მთელი მუშათა კლასის წინააღმდეგ გამოლაშქრება.

არსენალის აღება იყო ჩვენი უდიდესი მორალური და პოლიტიკური გამარჯვება ანარქიაზე. პირდაპირ სასწაული მოხდა, რომ თბილისი და ჩვენი რკინისგზები ფრონტიდან დაძრულმა ბოლშევიკურმა ჯარმა არ გაანადგურა, თუმცა ბევრი ამხედრებდა მათ ჩვენს წინააღმდეგ. ეუბნებოდენ, რომ

თბილისი მდიდარია, და იქ კონტ-რევოლუციონური მთავრობაა. როდესაც ყარსის პოლკი გვემუქრებოდა, ჩვენ მათ წინააღმდეგ ჩავაყენეთ 46 წითელი გვარდიელი. პოლკმა ვერ გაბედა გამოლაშქრება. გვარდიამ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა განადგურებას. და ეს მოხდა იმიტომ, რომ ის არის საუკეთესო ნაწილი ჩვენი დემოკრატიის და მთელი დემოკრატიის წიაღიდან ის იკრებს თავის ძალღონეს.

მრავალი შავბნელი დღე უნახავს ჩვენს ქვეყანას. ამ კრიტიკულ მომენტში გვარდია იყო ჩვენი ქვეყნის გუშაგი. სანამ იარაღს მიმართავდა, ის იდეურ გავლენას ახდენდა მოწინააღმდეგეებზე და თუ ეს საშუალება არა სჭრიდა, იმ შემთხვევაში კიდებდა გვარდია იარაღს ხელს.

თბილისში მეტათ გამწვავებული იყო თათრის მოედანზე სომეხ-თათართა ურთიერთობა. გვარდიამ ააშორა სისხლისღვრა ქალაქს. თბილისი რომ განადგურებულიყო, მთელი სახელმწიფო განადგურდებოდა. ჩვენ ვერ ჩამოვთვლით ყველაფერს, რაც გვარდიამ გააკეთა. უკეთესი დრო დადგება და ამის შესახებ წიგნს გამოვცემთ. მე მხოლოდ სახელებს დაგისახელებთ.

არსენალის შემდეგ გვარდიამ იარაღი აყარა გორში გახულიგანებულ ჯარისკაცებს, რომლებიც გლეხთა და მუშათა საბჭოს ემუქრებოდენ. შემდეგ ქუთაისში ორ პოლკს ავყარეთ იარაღი, მერე თელავისაკენ გავეშურეთ, სადაც მერვე პოლკი უწესოებას ახდენდა. შემდეგ დუშეთში ავყარეთ იარაღი ცხენოსან პოლკს. აქედან გავეშურეთ სადახლოში. იქ 600 კაცი ვიყავით და დიდი ბრძოლა განვიცადეთ. სადახლოდან ცხინვალისაკენ გავეშურეთ. ეს ექსპედიცია ორ კვირას გაგრძელდა და მსხვერპლიც იყო ჩვენგან, რის შემდეგ დავამყარეთ წესიერება. შემდეგ საჩქაროთ გავეშურეთ ბათუმის დასაცავათ, მაგრამ სამტრედიაში მისვლამდე მოგვივიდა ცნობა; ბათუმი პირველ აპრილს აიღესო. ჩვენ მივედით მდ. ოჩხამურზე. იქ მოგროვდა გვარდიის პროვინციელი ნაწილები; სადაც ბრძოლა მოვიგეთ და ვიხსენით ბათუმის ეპოპეია სირცხვილისაგან. როდესაც განადგურებას გვიქადდა ოსმალეთი, მთელი საქართველო ფეხზე დადგა. სამეგრელოშიაც ტარდებოდა მობილიზაცია, მაგრამ იქ გაჩდენ ბოლშევიკები და უთხრეს ხალხს: მენშევიკები გატყუებენ, თათრები არ გვებრძვიანო. ჩვენი რაზმები ბოლშევიკების წინააღმდეგ გაეშურა სამეგრელოსაკენ. ეს ვაჟბატონები ეხლა გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ და ხალხს ეუბნებიან, რომ თათრის გამარჯვება

სოციალდემოკრატიის ბრალი იყოო! თათრები ჩვენს წინააღმდეგ მოდიოდენ. ჩვენ მათ ვებრძოდით და ვაგროვებდით ჩვენს ძალებს გადამწყვეტ ბრძოლისათვის. ამ დროს მოვიდა ცნობა: ბოლშევიკებმა სოხუმი აიღეს და კოდორზე მოვიდნენო. ეჭვი არაა, ესენი იყვნენ შეგნებული ან შეგნებული აგენტები ოსმალეთისა. ჩვენ მივატოვეთ ბათუმის ფრონტი და გადავედით სოხუმის ფრონტზე. ბოლშევიკები ჯერ არ დაგვმარცხებია საბოლოოდ, რომ ცნობა მოვიდა: ოსმალები თბილისს უახლოვდებიანო. ჩვენ აქეთ გამოვეშურეთ. ტაბახმელასა და შავნაბადასთან გვქონდა მაშინ ფრონტი! ეხლა ფრონტი შორსა გვაქვს, მაშინ კი ასეთი საშინელი მდგომარეობა იყო! ჩვენ შეტევაზე გადავედით. აქ პირველად მოქმედებდა ერთად ჯარი და გვარდია. დავამარცხეთ მტერი. არ იყო გათავებული აქ ომი, რომ ცნობა მივიღეთ: დუშეთის მაზრაში აჯანყებაა და აჯანყებულები მცხეთას უახლოვდებიანო. ჩვენ მორიგება გვინდოდა, მაგრამ ბოლშევიკებმა მორიგება დაარღვიეს და ჩვენ იარაღით დავამყარეთ წესრიგი. ამ დროს მეორე ნაწალი ჩვენი გვარდიის ებრძოდა ოსმალეთის დესანტს აფხაზეთში, სადაც 400 ასკერი გადაესხა მოღალატე ალექსანდრე შერვაშიძეს. ჩვენ 60 (სამოც) კაცს სასიკვდილო ბრძოლა მოუხდა მოქვის მონასტერთან. აქ საუკეთესო ამხანაგები მოგვიკლეს, მაგრამ დავამარცხეთ მტერი. დუშეთის მერმე ტუაფსეს აკენ გავემგზავრეთ. ჩვენთვის შინაური ფრონტი ყველაზე უფრო საძნელო იყო. მალე გაგვიჩდა გარეშე ფრონტი. ეს იყო ალექსეევის შავი ძალები.

ალექსეევი მოვიდა, როგორც ბოლშევიკების მემკვიდრე. გამართლდა ირაკლი წერეთელის სიტყვები: ბოლშევიკებმა ჭიშკარი გაუღეს რეაქციას. ეს ფრონტი ჩრდილოეთის რეაქციის წინააღმდეგ დღესაც გვაქვს.

დეკემბერში მდგვიხდა სომხებთან ომი. ჩვენ ომი არ დაგვიწყია. არ გვინდოდა.ის, მაგრამ ძალათ თავზე მოხვეულ ომში ჩავებით და მტერიც დავამარცხეთ. უდიდესი გამარჯვება ეკატერინოფელდში მოვიპოვეთ. ამ ბრძოლაში დაიღუპა მთავარი შტაბის წევრი სანდრო მაისურაძე (ყრილობა ფეხზე დგება). ამის შემდეგ ჩვენ სხვა ფრონტებიც გვქონდა, როგორიც არის ახალციხის, საჩხერის, ლეჩხუმის! ეხლა გვაქვს ფრონტი დენიკინის წინააღმდეგ.

ჩვენი დევიზია: ან სიკვდილი, ან გამარჯვება! და ამ დევიზით ვმოქმედობთ ეხლაც. ჩვენ პრაქტიკულათ დავრწმუნდით, რომ დენიკინს ბრბოები ჰყავს. ჩვენ ბრძოლა გვქონდა

მათ საუკეთესო ნაწილებთან, რომლებიც ოფიცრებისაგან შესდგებიან: კავკასიის პოლკთან და პარტიზანულ პოლკთან, და დავრწმუნდით, რა «ჯარები»-ც ყოფილან ისინი.

მე აღვნიშნე მთავარი ფრონტები, მაგრამ არის კიდევ წვრილმანი ფრონტები, სადაც ჩვენ ვიბრძოდით. ჩვენ მუდამ ბრძოლაში ვიყავით. ჩვენი გვარდიის ორგანიზაციაც ამ ბრძოლებში ეწყობოდა. ამ მხრივ ჩვენი გვარდია ჩვენს რესპუბლიკას წააგავს. ჩვენ ამ ხნის განმავლობაში გვინდოდა ყრილობა მოგვეწვია, მაგრამ ვერ ვახერხებდით და აი ეხლა ძლივს ვახერხებთ. ჩვენ ცუდ პირობებში ვართ. ის კი არაა საკვირველი, რომ ჩვენ ნაკლი გვქონდეს, არამედ ის, რომ ამ ჯოჯოხეთურ პირობებში ამდენი კარგი თვისებები გვაქვს! განსაკუთრებულ პირობებში შევქმენით ის, რაც გვაქვს. ძვირად დაგვიჯდა ჩვენი გამარჯვებები. სახალხო გვარდიას ბრძოლის ველზე დაეხოცა 197 კაცი; დაჭრილი და დაავათმყოფებულია 2,729; ფეხზე მოსიარულე ავადმყოფები 25.483 კაცი. ასეთი მსხვერპლი გაიღო გვარდიამ.

როგორ იზრდებოდა ჩვენი ძალები? არსენალის აღების დროს სამასი კაცი ძლივს იყო, სომხებთან ომში სახალხო გვარდიამ 5,000 კაცი გაგზავნა. ახალციხის ფრონტზე 4,000. ეს ციფრები მინიმალურია. რეზერვში ჩვენ მუდამ გვრჩება ნაწილები, რამოდენიმე ათასები. ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია გავამრავლოთ ძალები. ჩვენ საზღვარი არა გვაქვს და ამ მხრივ ჩვენი ძალები ამოუწურავია. რასაკვირველია, ამ ძალას ფული სჭირდება შესანახათ, მაგრამ მუდმივ მილიტარულ სისტემასთან შედარებაც არ შეიძლება.

სახალხო გვარდიაზე სულ დახარჯულია 66 მილიონი მანეთი. ამ დროს განმავლობაში მუდმივ ჯარზე 400 მილიონი მანეთი. ეკონომიას დიდს ვსწევდით. როცა გვარდიელი ბრუნდება ფრონტიდან, ის ისევ გუთანს კიდებს ხელს, ანდა ქარხანაში მიდის და ქმნის ნაწარმოებს. ტანსაცმელი სულ დაიხარჯა 46 ათასი კომპლექტი. რაც შეიძლება მეტი ეკონომია —ესაა ჩვენი სამოქმედო ლოზუნგი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, ვინ გვშობა ჩვენ და ის არასოდეს დავივიწყოთ და ოდნავათაც არ მოვსწყდეთ ჩვენს დემოკრატიულ ოჯახს. ჩვენ მართალია, შეიარაღებულნი ვართ, მაგრამ უნდა ვიმუშაოთ სახელოსნოებში, ფრონტზედაც კი, როცა მოცლილნი ვართ. ჩვენ დავაარსეთ ამ მიზნით სახელოსნოები, სადაც დავამზადეთ უკვე 25 ათასი ფეხსაცმელი, 12 ათასი ტანსაცმელი და 4 ათასი ქუდი. ტყავების დასამზადებლათ ქარხანაც გვაქვს. ეს, რასაკვი-

რველია, წვეთია ზღვაში. ამ მხრივ მიმართულია ყურადღება მთავარი შტაბის. ჩვენ ეხლა ინგლისელებისაგან ჯორები შევიძინეთ და მუშაობას გავაჩაღებთ.

ასეთია მოკლეთ ჩვენი ისტორია. დაწვრილებით ჩვენი ორგანიზაციის შესახებ შტაბი პროექტს წარმოგიდგენთ და იმას გავარჩევთ მუხლობრივ. სახალხო გვარდია ყველაფრით ძლიერია მანამ, სანამ კავშირი აქვს დემოკრატიასთან, უძლური გახდება, თუ ეს კავშირი გაწყდა. მაშინ განადგურდება შეიარაღებული ძალა, ჩვენი სახალხო გვარდია (მქუხარე ტაში).

«ერთობა» № 213. 20 სექტემბერი 1919 წ.

სასალხო გვარდიის პირველი ყრილობის მისალმებანი:

რესპუბლიკის მთავრობას.

დემოკრატიამ საერთოდ და კერძოთ მისმა შეიარაღებულმა ნაწილმა, სახალხო გვარდიამ, კარგათ იცის, რომ დღევანდელ პირობებში მთავრობა, ეს გამუდმებული მსხვერპლია სამშობლოს და დემოკრატიის საკეთილდღეოთ შეწირული. გისურვებთ კვლავინდებურ ენერგიით იმოღვაწეოთ და შეუდრეკლათ ებრძოლოთ ხალხის როგორც შინაგან ისევე გარეშე მტერს; კვლავინდებურათ განაგრძეთ მშვიდობიანობის მშვიდობიანის საშვალებით განმტკიცება, ხოლო დემოკრატიის გაუსწორებელ მტერთა და ორგულთა წინააღმდეგ ბრძოლაში გახსოვდეთ, რომ საქართველოს დემოკრატიას აქვს მკვეთრი და მტკიცე საბუთი სამართლიანი საქმის დამცველი სახალხო გვარდიის ფარი და ხმალი.

სამხედრო მინისტრს.

საქართველოს სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა გთხოვთ გადასცეთ ქართველ ლაშქარს ჩვენი ძმური სალამი. ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ვერავითარი შავი ძალები ვერ შესძლებენ ჩვენს შორის გულძვირობის ჩამოგდებას. სახალხო გვარდია და რესპუბლიკანური ლაშქარი ღვიძლი ძმებია საქართველოს დემოკრატიის მიერ შობილი და მათ შორის მხოლოდ ერთი რამის შესახებ შეიძლება ჯიბრი, რაც შეიძლება მეტი თავდადება და მსხვერპლი თავის მშობელის საქართველოს დემოკრატიის ტრაპეზზე.

ირაგლი წერილს
პარიზში.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა გთხოვთ გადასცეთ ჩვენი გულწრფელი სალამი მუშათა ინტერნაციონალს. ყრილობამ სახალხო გვარდიის დრო'მათ ინტერნაციონალის წითელი დროშა დაამტკიცა და ამ შრომის ალამით ხელში ის შეიარაღებული სდგას საქართველოში, აზიის და ევროპის შემაერთებელ ულელტეხილზე. სანამ საჭირო იქნება ის ამუშავებს თავის ხმალს მუშათა კლასის დასაცავათ და ამავე დროს მისი მიზანი და მისწრაფებაა, რაც შეიძლება მოაახლოვოს ის დრო, როდესაც თოფ-ზარბაზანი ურო-ჩაქუჩათ და გუთან-ნამგლათ გადაიტედება.

საქართველოს რესპუბლიკის
დამფუძნებელ კრებას.

იმ დროს, როდესაც ყოფილი რუსეთის ტერიტორია, პირველ რევოლუციონურ აღტყინების შემდეგ რეაქციის და ანარქიის ტალღებმა წარღვნა და წალეკა, მხოლოდ ჩვენს პატარა სამშობლოში დარჩა გაუნადგურებელი დემოკრატია, რომლის შემოქმედების განსახიერება და უზენაესი ნებისგამომხატველია რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება. ააშენეთ ქვეყანა და აფუძნეთ მისი კეთილდღეობის საძირკველი. ჩვენი ბასრი ხმალი კი საჭიროების დროს თქვენს განკარგულებაშია. ჩვენი მხურვალე და თავმდაბალი სალამი საქართველოს დემოკრატიის გვირგვინს—რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას.

ფრონტს.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა თავის პირველ სალამს გიძღვნის თქვენ, ფრონტზე მდგომ ამხანაგებს, რომლებმაც საკუთარი მკერდით ცოცხალი კედელი შემოარტყით ჩვენს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას და საკუთარ სიცოცხლეს სწირავთ რესპუბლიკის სიცოცხლეს და ხალხის ბედნიერებას. იცოდეთ, რომ მადლიერი ხალხი არ ივიწყებს და არც დაივიწყებს თქვენს ამაგს. ყრილობა სულით და გულით თქვენთანაა.

მუშათა დეპუტატების საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა მხურვალე სალამით ესალმება თავის მშრომელ მუშათა დეპუტატების საბჭოს; იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭო მომავალშიაც არ მოაკლებს თავის მშობლიურ ალერსს და ბრძნულ ხელმძღვანელობას. გვარდია კი კვლავინდებურათ მუშათა კლასის ხმალი იქნება, რომლითაც ის სხვა საშვალებებთან ერთად გზას გაიკაფავს შრომის სამეფოსაკენ.

ყრილობის თავმჯდომარე გრ. ლიორთქიფანიძე.

მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვ. ჯუღელი.

23 სექტემბერი 1919 წ.

ევვენი გეგეჭკორის მოხსენება

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ სახალხო გვარდიის პირველ ყრილობაზე.

ამხანაგებო! საგანი ჩემი მოხსენებისა გახლავთ საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენი რესპუბლიკისა. უნდა მოგახსენოთ, რომ თუ რომელიმე ჩვენს ორგანიზაციას აქვს უფლება მოთხოვოს მთავრობას ანგარიში ჩვენი საერთო პოლიტიკის შესახებ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველათ ასეთი უფლება აქვს სწორეთ იმ წრეს დემოკრატიისა, რომლის მეოხებით ჩვენი რესპუბლიკა ფეხზე დგას. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მთელი ტვირთი მუშაობისა ამ ჯოჯოხეთურ პირობებში აწვა სახალხო გვარდიას, იგი იცავდა და იცავს იმ თავისუფლებას, რომლითაც ვსარგებლობთ. ამიტომ ცხადია, რომ სახალხო გვარდიის ყრილობას აქვს უფლება, როგორც მორალური, ისე პოლიტიკური. მოსთხოვოს მთავრობას თუ რამდენათ შეასრულა მან დაპირებები, როგორია მისი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან და რამდენათ შესძლო მან დასახული მიზნის ცხოვრებაში გატარება. უნდა აღვნიშნო, რომ მე შორსა ვარ იმ აზრიდან, რომ ყველა ნაბიჯები ჩვენ მიერ გადადგმული, დავიცვა და ვაღიარო, რომ ის, რაც ჩვენ ჩავიდინეთ, იყოს სწორეთ ის, რაც დემოკრატიულ მთავრობას უნდა გაეკეთებია. ამის მტკიცება ზედმეტი იქნება, თუ ჩვენ სახეში მივიღებთ, რომ საქართველო მცირედი ნაწილია საერთაშორისო დემოკრატიის. ეს უმნიშვნელო ძალაა ვეებერთელა ზღვის საერთო ტალღებში. საკითხი ასე უნდა დაისვას: ჰქონდა თუ არა მთავრობას

საერთო დემოკრატიული სოციალისტური ხაზი? თუ ასე დავსვამთ საკითხს, მე გეტყვით, რომ მთავრობას ჩვენი ხალხის და ერთა სოლიდარობის წინაშე არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია.

რა უნდა დაეცვა მთავრობას? ჩვენი დევიზი მუდამ იყო და არის: ძირს ომი, გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას. ამიტომ მთავრობა მუდამ ცდილობდა აეცილებია შეტაკებები მეზობელ ხალხთა შორის და მოესპო საშუალება სხვების ჩვენთან შეტაკებისა. მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვწყდით ევროპას და რუსეთს და დავრჩით ამიერ-კავკასიის ფარგლებში, ჩვენი ურთიერთობა სხვა ერებთან უნდა განსაზღვრულიყო აზერბაიჯანის და სომხეთის დამოკიდებულებით. უკანასკნელთან დამოკიდებულებაში არის ერთი საშინელი მომენტი—ომი. ორი ათასი წელიწადი ამ ხალხებს მშვიდობიანათ უცხოვრია და სწორეთ მაშინ, როცა ჩვენ დემოკრატიული მთავრობა გვყავს, მოხდა ომი. ეს გულშემზარავი ფაქტია. თუ თქვენ პირობებს ანგარიშს არ გაუწევთ, ზერელეთ შეხედავთ საკითხს, —იტყვით: მთავრობა ნდობის ღირსი არაა, მაგრამ ეს არ იქნება ობიექტიური ანალიზი. თქვენ სახეში უნდა მიიღოთ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ამ ფაქტთან. ჩვენი ენერგია და მთელი ძალღონე იქით იყო მიმართული, რომ ძმობა და ერთობა გვქონოდა, მაგრამ დეკემბერში 1918 წელს ჩვენ შეტაკება მოგვიხდა. რამ გამოიწვია ეს ომი? შეეცადა თუ არა თქვენი მთავრობა ეს ომი თავიდან აეცილებინა? საქართველოს მთავრობამ ყველა საშუალება იხმარა, რომ ომი არ მომხდარიყო.

ამ ერთი წლის წინათ, როცა საერთაშორისო მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა და გაიმარჯვა ანტანტამ, ამ დროს საქართველოს მთავრობამ გადასდგა ისეთი ნაბიჯები, რომ თუკი მას მეზობლები დადებითად შეხვდებოდენ, აგვცილდებოდა კონფლიქტი. მთავრობამ მიმართა მეზობლებს სადავო საკითხებში მოვრიგებულიყავით და თუ ვერ მოვრიგდებოდით, კითხვები არბიტრაჟით გადაწყვეტილიყო, მაგრამ ეს ჩვენი ხმა, საუბედუროთ, სომხეთის მთავრობამ დასტოვა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. კონფერენცია არ იქნა მოწვეული. ამ დროს შემოვიდენ ჩვენში ინგლისელები და უთანხმოებამ ჩვენსა და სომხეთს შორის მწვავე ხასიათი მიიღო. აქ «შეთანხმების სახელმწიფოების» წარმომადგენლები მოგვეევლინენ ჩვენ, როგორც უცოდინარნი ჩვენი ვითარებისა; მათ ჩვენზე ისეთი ინფორმაცია ჰქონდათ, თითქოს საქარ-

თველოს მთავრობა ყოფილიყოს მოღალატე. თითქოს ის მიკედლებოდეს გერმანიასა და სათათრეთს და აწარმოებდეს ანტანტის საწინააღმდეგო პოლიტიკას. თუ გაითვალისწინებთ ამ მომენტს, ადვილათ გაიგებთ, თუ რათ გამწვავდა ასე მდგომარეობა ჩვენს შორის მოკავშირეთა შემოსვლის დროს. ჩვენი პოლიტიკა დამყარებულია მარტივ დებულებაზე: ჩვენ გვინდა მთელი ხალხის, მთელი დემოკრატიის შეკავშირება და დარაზმვა ერთი დროშის ქვეშ და მისი დაახლოება მეზობლებთან. მეორე პოლიტიკა—პოლიტიკა დაშნაკელებისა—ამის დიამეტრალურათ საწინააღმდეგოა, პირიქით, ის არ ეყრდნობა თავის ხალხის ორგანიზაციას, მის მოწყობას, ის იმედებს ამყარებს გარეშე ძალების კომბინაციებზე—ეს პოლიტიკა საკუთარ დემოკრატიას არ აკავშირებს. ამ გზით მიდიოდა და მიდის სომხეთის მთავრობა. და როდესაც ეს ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკა ერთმანეთს დაეჯახა, მათი მორიგება შეუძლებელი დარჩა. და მან გამოიწვია ის, რაც მოხდა—სომხეთ-საქართველოს ომი. მაგრამ საქართველოს დემოკრატია იმდენათ ცხოველმყოფელი გამოდგა, რომ მან გამოცდა დაიტანა და ააცდინა ქვეყანას განადგურება. როცა ყველასათვის აშკარა შეიქმნა, რომ ჩვენი გატეხა არ შეიძლებოდა, ჩამოვარდა ზავიც. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობა მიდიოდა იმ გზით, რომ აღედგინა სოლიდარობა. ჩვენ კიდევ მივმართეთ სომხეთის მთავრობას კონფერენციაზე მოსულიყო. დაშნაკელთა პარტია იძულებული გახდა ანგარიში გაეწია შექმნილი მდგომარეობისათვის და მაისში მოვიწვიეთ კონფერენცია. ამ კონფერენციის ოქმები გამოქვეყნებული იყო პრესაში, საიდუმლო პოლიტიკას ჩვენ არ ვაწარმოებდით. ჩვენ გვინდოდა კონფერენციაზე ჩამოგვეგდო ის სოლიდარობა, რომელიც აუცილებლივ საჭიროა ამიერ კავკასის პოლიტიკურ-ეკონომიური განვითარებისათვის. მაგრამ ჩვენ გვიხდება საშინელ მდგომარეობაში მუშაობა. დაშნაკელეს ძველი პოლიტიკა არ შეეცვალათ; ისინი აშკარათ ამბობდენ კონფერენციაზე: ჩვენ აქ არაფერს გადავწყვეტთ, ეს საკითხი პარიზში უნდა გადაწყდესო; ტერიტორიალური გამიჯვნა საგანია პარიზის კონფერენციის და აქ რა უფლება გვაქვს მისი გადაწყვეტისაო. ნურავინ იტყვის, რომ მათ აინტერესებდეს პარიზის კონფერენციის ავტორიტეტის დაცვა; მათ უნდოდათ თავის მიზნების მიღწევა; მათ ეგონათ: პარიზი მათ დაუჭერდა მხარს და ისე გაიმარჯვებდენ. მაგრამ მოხდა ის, რაზედაც ჩვენ არა-ერთხელ მიგვითითებია დაშნაკელები-

სათვის; მოხდა ის, რომ პარიზის კონფერენცია, რომელსაც ზავი უნდა დაემყარებია სამყაროში, ნაკლებათ ზრუნავდა ამიერ-კავკასიისათვის. ისინი თავისთვის ზრუნავენ, ალტრუიზმი, სიყვარულის გრძნობები მათ არ ამოქმედებენ. დაშნაკელების ამნაირმა ყალბმა შეხედულებამ მოიტანა ის ზიანი, რომლის შედეგებსაც ჩვენ და გალატაკებული სომხის ხალხი განვიცდით. ამ პოლიტიკის გამო ამიერ-კავკასიის კონფერენციამ ვერავითარი საკითხი ვერ გადაჭრა. სომხეთის დელეგატმა ტიგრანიანცმა სულ მცირე და წვრილ საკითხების შესახებ გადაწყვეტილებასაც არ მოაწერა ხელი, ფაქტიურათ კონფერენცია მოისპო.

თქვენ გახსოვთ ამას რა მოჰყვა, თქვენ იცით, რომ დენიკინმა, მოღალატე ხალილოვის შემწეობით, მთის რესპუბლიკა დაიპყრო და დაღესტანიც დაიჭირა. მოსალოდნელ საფრთხის წინააღმდეგ ჩვენ მოკავშირე გვჭიროდა. აშკარაა, რაგინდ კარგი ორგანიზაცია და შეკავშირება არ გვქონდეს, ჩვენ პატარა ერი ვართ და გამკლავება ჩვენთვის ძნელი იყო. ცუდი მთავრობა იქნებოდა ისიც, ვინც მოკავშირეს არ იპოვიდა დენიკინის რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც ფიზიკურ განადგურებით გვემუქრებოდა. ჩვენ და აზერბაიჯანმა კავშირი შევკარით. ვინც გაეცნობა ამ ხელშეკრულებას, ის ნათლათ დაინახავს, რომ მას არ აქვს აგრესიული ხასიათი, ის არის მიმართული მის წინააღმდეგ, ვინც მოისურვებს ჩვენი თავისუფლების და რესპუბლიკის მოსპობას.

დღესაც ჩვენ ვცდილობთ დავამყაროთ ძმური ურთიერთობა და ეხლაც ხდება სხდომები სომხეთ-საქართველოს კონფერენციისა. ჩვენ შეთანხმება გვსურს და არავითარი საკითხი არ იწვევს უთანხმოებას გარდა ტერიტორიალური გადამიჯვნისა. საკმარის კეთილსინდისიერათ თუ მოინდომებს ორივე მხარე სადავო საკითხებს ამოვსწურავთ. ჩვენ მივისწრაფით ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისაკენ, რომელიც ვიმეორებ, არის ერთადერთი პირობა მათი კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარებისათვის. თქვენ იცით, რომ ჩვენ ფრონტი გვაქვს დენიკინის წინააღმდეგ. მე არ შევუდგები ამის ისტორიას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენ გვეკავა სოჩის ოლქი, გვინდა იქ დავრჩეთ, სანამ ჩვენ არ ვიქნებოდით იმ მხრიდან საბოლოოთ უზრუნველყოფილნი. ეს იცოდა ინგლისმაც. ჩვენ გვქონდა განცხადება ინგლისისაგან ოფიციალური ხასიათის, რომ დენიკინს ებრძანა საქართველოს წინააღმდეგ არ გადაედგა ნაბიჯი. თქვენ იცით ამას რა მოჰყვა: ჩვენ მოტ-

ყუებული დავრჩით. დენიკინმა შემოგვიტია და ჩვენ იძულებული ვიყავით ბზიბზე გადმოვსულიყავით. ჩვენი ჯარები ოთხი თვე იდგენ იქ, სადაც არცერთ ჯარს არცერთი ქვეყნისას გაჩერება არ შეეძლო. მაგრამ რესპუბლიკის სიყვარულმა და თავისუფლებისათვის ბრძოლით გატაცებამ ეს გააკეთა. ბოლოს ჩვენ დავიკავეთ მეხადირი და ეხლა იქ ვართ გამაგრებული. აქაა უთანხმოება ჩვენ და მოხალისეთა ჯარს შორის. თქვენ წუხანდელ სხდომაზე ამბ. ნოე ჟორდანიამ გაგირკვიათ ის, თუ საით მივდივართ ჩვენ და რა არის ჩვენი გვარდიის დანიშნულება.-თუ ჩვენ სადავოთ არ მიგვაჩნია ის, რომ ყოველი ძალღონით უნდა დავიცვათ საქართველოს დამოუკიდებლობა, უნდა განვამტკიცოთ დემოკრატიზმი და ამ გზით შევიდეთ სოციალიზმში.

თქვენ ადვილათ მიხვდებით თუ რა უსაფუძვლოა ის ლაპარაკები, რომლებსაც ჩვენზე ავრცელებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. ასეთი ინსინუაციები ჩვენში მხოლოდ ღიმილს უნდა იწვევდეს. ჩვენ და დენიკინი—ეს ორი სულ სხვადასხვა ცნებებია. ჩვენ სულ სხვადასხვა ღმერთებს ვემსახურებით, მაგრამ მეორე მხრით ჩვენ გრძნობით არ უნდა ვიმოქმედოთ. დიდ ბოროტებას ჩავიდენდით ჩვენი ხალხის წინაშე, რომ დავისახოთ განუხორციელებელი მიზნები და იმის გაკეთება დავიწყოთ, რის გაკეთებასაც ვერ შეეძლებთ. ჩვენი ძალები არ უნდა დავფანტოთ—ობიექტიურათ ჩვენ მაშინ კონტრ-რევოლუციის საქმეს გავაკეთებთ. ყოველ შემთხვევაში და ყოველ პირობებში ბრძოლა შეუძლებელია. ჩვენ თავდაცვითი ბრძოლას ვაწარმოებთ და ამ მხრივ მაღლა გვიჭირავს ჩვენი დროშა. ჩვენ ვცდილობთ უნაყოფოთ სისხლი არ დაღვაროს. თუ ჩვენ შეუტაკებლათ მივაღწიეთ იმ მიზანს, რაც დაგვისახავს, ეს უნდა გამოვიყენოთ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ აქ არის მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი და თქვენ რაიმე გაუგებრობა არ დაგებადოთ. მე მასთან, მთავრობის დავალებით, რამოდენიმეჯერ მქონდა შეხვედრა. მე ამის გამო კონტრ-რევოლუციონერს მეძახიან, მაგრამ მაგონდება ბრესტლიტოვსკი, მაგონდება ტროცკი. თუ ეს რეაქციონერობაა, როცა ჩვენ ველაპარაკებით გენ. დენიკინს, მაშინ იმ მოლაპარაკებას რაღა უნდა ვუწოდოთ? თქვენ უნდა განიხილოთ და დაიფასოთ რა ნიადაგზე ვდგევართ მოლაპარაკების დროს, რას ვიცავთ, რა წინადადებას ვაძლევთ მოწინააღმდეგეთ. ჩვენ მათ შემდეგი მოთხოვნილება წარვუდგინეთ: საქართველოს ჯარები უნდა დარჩეს მეხადირზე. თუ ეს ასე და-

რჩა, ჩვენ არ შეეუტევთ დენიკინს. და თუ აქ რაიმე არის კონტრ-რევოლუციონური, თქვენ ეს უნდა სთქვათ და ჩვენ ხელს ავიღებთ მოლაპარაკებაზე. როცა ჩვენ საზღვარზე ვრჩებით—ეს არაა ღალატი არც დემოკრატიზმის და არც სოციალიზმის. ბარათოვისაგან ჩვენ ჯერ გადაჭრილი პასუხი არ გვაქვს და თუ უარი მივიღეთ, მაშინ ყოველი ჩვენგანი თავის ალაგზე რჩება და ბრძოლის მოლოდინშია.

ეხლა გადავალ ჩემი მოხსენების მეორე ნაწილზე. ეს მოხსენება ნამდვილი გაგრძელებაა წუხანდელი მოხსენებისა. რას ვიცავთ ჩვენ—ეს აშკარაა: ჩვენ ვიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას. იარაღით ხელში აქ, ჩვენს საზღვრებზე და გარეთ—დიპლომატიის წესით, მოლაპარაკების საშუალებით ევროპაში. ჩვენ ევროპაში გაგზავნილი გვყავს დელეგაცია ჩხეიძის მეთაურობით. ჩვენი მოთხოვნილება ეთანხმება დიდ პრინციპს ერთა თვითგამორკვევისას—ჩვენი მოთხოვნილებაა იცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც გამოაცხადა ჩვენმა ხალხმა და დაადასტურა მისმა უზენაესმა ორგანომ—დამფუძნებელმა კრებამ.

თქვენ იცით, რომ ოთხი წლის ომის შემდეგ დამარცხდა გერმანია, მაგრამ ამ ომის დროს დამარცხდა რუსეთიც, რომელიც გამარჯვებულთა კოალიციაში ირიცხებოდა. რუსეთის საკითხი ჯერ არაა გადაწყვეტილი და სხვადასხვა სახელმწიფოებსაც არა აქვს მის შესახებ ერთი აზრი. საფრანგეთი დაინტერესებულია რუსეთის აღდგენით, რადგან იქ მისი მილიარდები არის დაბანდებული. მაგრამ ინგლისი ასეთ მიზანს არ ისახავს. მცირე აზიაში ორი დიდი სახელმწიფო იბრძოდა: ინგლისი და რუსეთი. ინგლისისთვის რუსეთი დიდი საფრთხე იყო და უნდოდა მისი დასუსტება. ინგლისი მეტათ დაინტერესებულია იმაში, თუ როგორ მოეწყობა ამიერ-კავკასია. რაც შეეხება ამერიკას, მისი ზრახვანი თითქოს გამორკვეული არაა. საბუთები ჩვენი არ-ცნობისა ევროპის არა აქვს, ეს საკითხი ჩვენ წინააღმდეგ არ გადაწყდება. ამისთვის საჭიროა დრო, ცდა და მუშაობა. ინგლისელები, რომლებიც ამას წინეთ გვესტუმრენ, ამბობდენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტი გახდება, თუ განაგრძობთ თქვენ მიერ დაწყებულ მუშაობას. ჩვენი საერთო პოლიტიკა ევროპას მიმართ ასეთია: ჩვენ ევროპის დემოკრატიისაკენ გვიჭირავს გეზი. ევროპის დემოკრატიაც მეთოდიურათ გამარჯვებისკენ მიდის და მისი სვლა გამარჯვებით დამთავრდება. სანამ ეს მოხდება, ჩვენ აქ უნდა დავირაზმოთ, აქ ვაწარმოოთ მუშაობა. გავატა-

როთ სოციალური რეფორმები და დავუხვდეთ დამზადებული იმ მომენტს, როცა დარეკავს უკანასკნელი ყამი, ყამი არსებულ სოციალურ ურთიერთობისა.

მე მრწამს, რომ თუ საქართველოს სახალხო გვარდია როგორც აქამდე იცავდა ისე შემდეგშიაც დაიცავს ჩვენს ქვეყანას. ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება (მქუხარე ტაში).

«ერთობა» № 218. 26 სექტემბერი 1919 წ.

სახალხო გვარდიის პირველი ყრილობის

რ ე ზ ო ლ უ ც ი ე ბ ი

16 სექტემბერს (1919 წ.) ვ. ჯუღელის მოხსენების შესახებ კამათის შემდეგ, ყრილობა ერთხმად იღებს შემდეგ რეზოლუციას:

«ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ვ. ჯუღელისა მთავარი შტაბის მუშაობის შესახებ, აღიარებს, რომ მთავრობა მიუხედავათ აუტანელი პირობებისა, როლშიდაც უხდებოდა მას მუშაობა თავისი ენერგიული და თავდადებული მუშაობით შესძლო დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება».

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს კ. იმნაძე, რომლიდანაც ირკვევა შემდეგი:

ყრილობაზე გამოცხადებულია 101 დელეგატი. მანდატი აქვს 99-ს. ფრონტიდან არის 28 დელეგატი. თბილისიდან—11, გორის ოლქიდან—12, დუშეთის ოლქიდან—4, გარე-კახეთიდან—4, თელავის ოლქიდან—3, სიღნაღის ოლქიდან—3, სოხუმიდან—2, ბორჩალოდან—2, გურიიდან—3, ფოთის შტაბიდან—1, სამეგრელოდან—5, მანგლისიდან—1, ქუთაისის ოლქიდან—5, შორაპნიდან—4, ახალციხე და კახეთიდან—5, სამტრედიის ოლქიდან—8. სამანდატო კომისიას 8 მანდატი მიაჩნია სადაოდ, რომელიც განხილვის შემდეგ, ყრილობამ ყველა მანდატი დაამტკიცა.

სახალხო გვარდიის ძირითადი წესდების შესახებ მომხსენებელია ვ. ჯუღელი. კანონის ორი მუხლი იწვევს კამათს. პირველია, რომ გვარდიის ყრილობა ირჩევს მთავარი შტაბის წევრებად 21 კაცს, რომელთაც ამტკიცებს მთავრობა. ზოგიერთი წევრები მოითხოვენ, არჩეულ იქმნენ კანდიდატებიც, რომლებიც შეავსებენ მთავარი შტაბის მნიშვნელობას, თუ ვინიცობაა წევრი გამოაკლდება. ეს წინადადება უარყვეს და

მუხლი უცვლელათ მიიღეს. ხანგრძლივ კამათს იწვევს მე-14 მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ მუდმივ გვარდიელთა ნაწილებში მოხალისეთა გარდა მსახურობენ მობილიზაციით გაყვანილი პირნიც. ამ წინადადებას იცავენ: რუბენ აუშტროვი, გიორგი ხიმშიაშვილი, მიხ. ბაკუნაიშვილი. წინააღმდეგი არიან დატოვების ანდრო ჭიაბრიშვილი და წულაია. რუბენ აუშტროვის აზრით, თუ მობილიზაციით გაწვეული არ შეუერთდა მუდმივ ნაწილებში, ისე საკმაოთ გაწრთვნილ ძალას ვერ შევქმნით, რადგან 400 მანეთით თვეში ბევრი ამხანაგი ვერ შესძლებს მუდმივათ იმსახუროს ნაწილებში. გაწვეული ახალგაზდები კი მოვალენი არიან მოიხადონ ბეგარა. ნაწილი იდეური ამხანაგებისა გაუწევენ ახალგაზდობას ხელმძღვანელობას და შესაძლებელი იქნება შეიქმნას ერთი მთლიანი, ერთი იდეით გამსჭვალული სამხედრო ძალა. ანდრო ჭიაბრიშვილი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია კანონში შეტანა ორი ისეთი მუხლისა, რომელიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მე-10 მუხლში ნათქვამია, რომ გვარდიაში არიან მხოლოდ ის პირნი, ვისაც სამხედრო ბეგარის მოხდა არ უწევს. ამ მუხლში კი ნათქვამია: გვარდიის მუდმივ ნაწილებში მობილიზაციით გაწვეული ახალგაზდებიც მსახურებენო. ორატორის აზრით, თუ ჯარს მორჩება ზედმეტი, მაშინ შეიძლება გვარდიაში მათი გადაყვანა.

კამათში იღებენ მონაწილეობას სხვა ამხანაგებიც. ვ. ლ. ჯულელი თავის უკანასკნელ სიტყვაში იცავს მე-14 მუხლს. მისი აზრით, ამ მუხლის ცხოვრებაში გატარება აუცილებელი არის, ამ ნიადაგზე არავითარი განხეთქილება არ იქნება. სამხედრო ავტოორიტეტები ჩვენს აზრს იზიარებენ. თუ ჩვენ გვინდა მუდმივი რიგიანი სამხედრო ძალა. თუ ჩვენ გვინდა კარგი არტილერისტები გვყავდეს, კარგი გაწრთვნილი კავალერია, იქ უნდა შევიყვანოთ ისეთი ელემენტებიც, რომლებიც გაძლიერებენ მუდმივ ნაწილებს. თუ არ იქნა კარგი მუდმივი ნაწილი, ჩვენ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებთ. მობილიზაციით გაწვეული ახალგაზრდები იმავე წესით იმსახურებენ გვარდიაში, როგორც რეგულიარულ ჯარში მსახურობენ; ამით ჩვენ დიდ ეკონომიასაც გავწევთ და მით შევძლებთ გავუმჯობესოთ ჩვენი ამხანაგების მდგომარეობაო. მე-14 მუხლი დიდი ხმის უმრავლესობით იქნა მიღებული. დანარჩენი მუხლები უკამათოდ მიიღეს.

ამის შემდეგ ყრილობის სხდომები დახურულ კარებში სწარმოებდა.

19 სექტემბერს გვარდიელთა ნიშნების შესახებ მოხსენებას აკეთებს გოგიტა ფაღავა, რომელიც ამბობს, რომ ჩვენი მიზანია გვარდიელების ნიშანი იყოს სადა და მარტივი. ყოველივე კაკარდები და პაგონები უნდა მოისპოს. წარდგენილი პროექტიდან არცერთი მთლიანათ არ არის მიღებული კომისიის მიერ; მოწონებული იქმნა ერთი პროექტი, რომელიც შესწორებული იქნება, და ეს მოწონებული პროექტი შემდეგნაირია: აღმართულია ბოძი, რომელზედაც მოჭედილია იარარაღი, ორივე მხრით ჩირაღდნები არის, ერთ მხარეზე ეროვნული და მეორე მხარეზე ინტერნაციონალური დროშები; შუაში არის აგრეთვე რომაელ სპარტაკელების ქუდი. კომისიის აზრით, ეს ქუდი უნდა მოიხსნას და მის მაგივრათ ჩაემატოს ნამგალი და ჩაქუჩი. ვ. ჯუღელს შეაქვს წინადადება, რომ კომისიის აზრი დადასტურებული იქნას, მხოლოდ მიენდოს ახალ შტაბს ზოგიერთი დეტალები შესცვალოს, თუ წარდგენილი პროექტის გაკეთება ტექნიკურათ შეუძლებელი იქნება. მაგალითად: შეიძლება ნამგალი და ჩაქუჩი ლამაზი არ გამოჩნდეს, მაშინ ნება მიეცეს შტაბს შრომის სხვა ნიშნები გააკეთებინოს. წინადადება ჯუღელის მიღებულ იქნა.

ი. ქარცივაძე სარეკომენდაციო კომისიის სახელით კითხულობს კანდიდატსა სიას. არჩეულ იქნა 20 კაცი.

დღის წესრიგი ამოწურულია, ვ. ჯუღელი მიმართავს რა სიტყვით დელეგატებს, აღნიშნავს, რომ გვარდიელთა დაუხმარებლივ მთავარი შტაბი უძლურია გააკეთოს საქმე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი გარეშე ფრონტი არ გაგვიჩდება, მაგრამ მრავალი მაგალითი გვაქვს შინ წესრიგის დარღვევისა და გვარდიელთა ყურადღებაც აქითკენ უნდა იყოს მიმართული. შინაგან საქმეთა სამინისტრო, ერობა და გვარდია—აი სამი ძალა, რომელმაც თავს უნდა იდვას ყოველი ანარქიული გამოსვლების მოსპობა (ტაში).

მგრძნობიარე სიტყვით მიმართავს ყრილობას თავმჯდომარე გრ. ლორთქიფანიძე. იგი სხვათა შორის ამბობს: ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ გვარდია არის სისხლი სისხლთაგანი მუშათა კლასის. ორატორი უსურვებს გვარდიას შეგნებულათ ეტარებინოს ის წითელი დროშა, რომელიც აქნობამდის წმინდათ და უმწიკვლოთ მოიტანა.

ყრილობა ხანგრძლივ ოვაციას უკეთებს, როგორც თავმჯდომარეს, აგრეთვე მთელ პრეზიდიუმის და იხურება.

«ერთობა» № 215. 23 სექტემბერი 1919 წ.

ნიკე ყორღანიას აზრი სახალხო გვარდიაზე *).

არის ორი გზა, ჩვენი და რუსეთის: ორი პოლიტიკური და კულტურული გზა—ერთი გზა არის—გზა ანტიდემოკრატიული და მეორე გზა არის გზა დემოკრატიული.

ამით, რასაკვირველია, მე არ ვამბობ, რომ რუსეთის ხალხი მუდამ ჩარჩება ასეთ მდგომარეობაში.

წარსულში ბევრი ხალხი ყოფილა ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ ის განსაცდელიდან გამოსულა.

აი, როცა რუსეთის ხალხი ამ მდგომარეობიდან გამოვა და ისიც ისეთივე დემოკრატიული წყობილებით და სურვილით იქნება გამსჭვალული, როგორც ჩვენ, ცხადია, ჩვენს და მათ შორის გაიბმება ახლო ძაფები და ჩვენ შორის არავითარი რთული კითხვები აღარ იქნება და ხელიხელ ჩაკიდებული გავუდგებით საერთო გზას.

როდის მოხდება ეს? ამის თქმა ძნელია.

და ვინაიდან იქ დემოკრატიული სულისკვეთება და პოლიტიკური დემოკრატიის დამყარება არ მოხდება ახლო მომავალში,—ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენთვის დამოუკიდებელი.

აი, ამისთვის არის მოწოდებული სახალხო გვარდია, რომელიც ამ საქმეს უდგია გუშაგათ. აქედან თქვენ დაინახეთ, რომ აქტი 26 მაისისა,—ეს არის დიდი ისტორიული აქტი, აღმოცენებული არა შემთხვევით, არამედ—დიდ ისტორიულ აუცილებლობაზე და ფაქტზე.

თუ გვინდა, რომ ჩვენში იყოს დემოკრატიის ბატონობა —დემოკრატიზმი და არა დიქტატურა, მაშინ ჩვენ იძულებული ვართ ჩვენი საკუთარი საშვალებით შეექმნათ და ვაშენოთ დემოკრატიის ბატონობა.

აქედან თქვენ ხედავთ, რომ გვარდიის მოწოდება, მისი საბუთები—იდეური და პოლიტიკური, საბუთები თავის მოქმედების გასამართლებლად მეტად დიდი და მძლავრია..

უნდა იყოს გვარდია დარწმუნებული, რომ თუ იგი იცავს საქართველოს, იგი იცავს იმავე დროს თავის თავს, საქართველოს მუშების და გლეხობის ბატონობას.

მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან: ღირს განა ამდენი დავიდარაბა ამისთვის; რა გააკეთეთ, თქვენი საქმეები რა საქმეებია?

---

*) ამოღებულია ავტორის ნებადაურთველად მისი მოხსენები დან გვარდიის პირველ ყრილობაზე. რ ე დ.

რა გავაკეთეთ?—ნამდვილი დიქტატურა მუშების და გლეხების არის აქ—ჩვენში.

მაგრამ ეს დიქტატურა არის მოპოებული არა დიქტატორული გზით, არამედ გზით დემოკრატიულით.

არავინ არ იფიქროს, რომ რუსეთში იყოს ნამდვილი დიქტატურა მუშების და გლეხების. რომ ეს ასე იყოს, მაშინ უმრავლესობა მუშების და გლეხების მიემხრობოდა ბოლშევიკების წესწყობილებას.

იქ არის დიქტატურა ჯგუფის, შეიარაღებული ჯგუფისა, ის მოვლინებულია შეიარაღებული ძალით მაღლიდან და ისინი ბატონობენ როგორც მუშებზე, ისე გლეხებზე და არ ანებებენ გამოსთქვან თავისი აზრი, ვინაიდან იციან, რომ ეს აზრი არ იქნება მათი სასარგებლო. აქ, ჩვენში, სრულიად თავისუფალი—დემოკრატიული გზით მუშებმა და გლეხებმა შეადგინეს თავისი მთავრობა.

ასეთი მთავრობა ჩვენ რომ არ შეგვედგინა და მოვქცეულიყავით ისე, როგორც რუსეთში, ე. ი. დავყრდნობოდით შეიარაღებულ ძალას, მაშინ აქაც გაღვივდებოდა სამოქალაქო ომი.

აი, ეხლა, როცა აქ შესდგა ნამდვილი მართველობა და მთავრობა ამ მუშებისა და გლეხებისა დემოკრატიული გზით და სრულიად ერთსულოვნად, მის წინაშე შავი რეაქცია იძულებულია ქედი მოიხაროს და დაემორჩილოს მას. აქ არ არის სამოქალაქო ომი. და არც შეიძლება იყვეს იქ, სადაც არის დემოკრატია. სამოქალაქო ომი არის იქ, სადაც ბატონობს დიქტატურა და დესპოტია.

უნდა ვსთქვათ, რომ რასაც საქართველოში დღეს ვაკეთებთ, ამის მსგავსს ვერ ეხედავთ სხვაგან, რომ იქიდან გადმოვიღოთ მაგალითი, ან იმათ წავბაძოთ. ეს იმიტომ, რომ არცერთ უცხო სახელმწიფოში არ არის დღეს მუშათა პარტიის ბატონობა. თვით გერმანიის მუშათა პარტიას არა ყავს დღეს უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში და ის იძულებულია შევიდეს ბლოკში სხვა პარტიებთან და ამნაირად კომპრომისული პოლიტიკა აწარმოვოს. ამიტომ ჩვენ ვართ იძულებული საკუთარი გზით ვიაროთ და ვაშენოთ სახელმწიფო, სადაც სოციალური რეფორმები უნდა იყოს მიმართული საწარმოო ძალთა განვითარებისაკენ.

ჩვენ შეგვიძლია დღეს შევიდეთ დამფუძნებელ კრებაში და გამოვაცხადოთ აქ სოციალიზმი. ეს ჩვენ პოლიტიკურად ყოველთვის შეგვიძლია, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ეს ეკონო-

მიურად და ვინაიდან ეკონომია არის საფუძველი დანარჩენი მხარეებისა, ამიტომ ჩვენ ვდგევართ ეკონომიური რეფორმების გზაზე. მაგრამ არ შეგვიძლია იმიტომ, რომ როცა ირგვლივ და მთელს ევროპაში ბატონობს კაპიტალისტური წყობილება, როცა იქ ბაზარი კაპიტალისტების ხელშია, როცა იქ მეფობს საერთო კონკურენცია, არც ერთ ხალხს არ შეუძლია ამ კონკურენციას თავი დააღწიოს და შიგნით სოციალური წყობილება დაამყაროს.

რუსეთში არ არის სოციალიზმი, ეს თავის მოტყუებაა არავის სოციალური წყობილების დამყარება არ შეუძლია, თუ იგი არ არის ევროპაში. როცა რევოლუცია იფეთქებს მთელს ევროპაში და ბაზარი იქნება მათ ხელში, მაშინ შეიძლება ხალხების აყვავება. ამიტომ მარქსი, ენგელსი ამბობდენ, რომ სოციალური რევოლუცია არის საერთაშორისო, ის არ შეიძლება იყოს ნაციონალური, ის უნდა მოხდეს მოწინავე ქვეყნებში, რომ ჩამორჩენილმა ქვეყნებმა ისარგებლონ.

თუ ჩვენ წაგვერთმევა თავისუფლება, თუ აქ შემოიჭრება დესპოტი და დიქტატორი, თუ ჩვენ მოგვესპო თვითმოქმედების საშუალება. ცხადია, რომ სოციალური რევოლუცია, სოციალური შიზანი იქნება დიდხანს დამარხული. ჩვენ ვიქნებით გამოთიშული იმ მსოფლიო რევოლუციიდან, რომელიც უნდა მოხდეს ევროპაში.

ამიტომ თვითეული გვარდიელი, მათი მთავარი შტაბი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ის აკეთებს საერთო საქმეს და ამაში მას ეჭვი არ უნდა ჰქონდეს.

ის როცა სისხლს ღვრის ჭა-იქ ფრონტებზე, უნდა იცოდეს, რომ ეს სისხლი წმინდა სისხლია. საჭიროა სისხლის დაღვრა არა მარტო იქ, არამედ აქ შიგნითაც.

ვინც მოინდომებს ამ ჩვენი ისტორიული გზის, ამ დემოკრატიის მიერ შექმნილ წყობილების დამხობას, მის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული გვარდიის ხმალი. ვინ მოინდომებს ამას? ამას მოინდომებენ რეაქციონერები მარჯვნივ, ანარქისტები მარცხნივ.

ეს იქნება ჯგუფი, ეს იქნება უმცირესობა და ვინც უმრავლესობის წინააღმდეგ ამოიღებს ხმალს, იმას ხმალს უკანვე ჩავაგებინებთ.

არაა ადვილი დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება, პოლიტიკური დემოკრატიის შექმნა. არ ყოფილა ჯერ მაგალითი ისტორიაში, რომ რევოლუციის პირიდან გამოსულიყოს დემოკრატია.

საფრანგეთში იყო რევოლუცია—ბატონობა იაკობინელთა, ეს ბატონობა იყო ისეთი, როგორიცაა ბოლშევიკების ბატონობა; ეს იყო მათი დიქტატურა და ჩვენ ვამბობთ, რომ ამ რევოლუციის შემდეგ ჩვენ მივიღეთ რეაქცია—იმპერატორი ნაპოლეონი, შემდეგ მეფე ლუდოვიგი, მერე კარლოსი, მერე რევოლუცია, მერე მეფე ლუი ფილიპე, რევოლუცია, რესპუბლიკა იმპერიით, კიდევ რევოლუცია და მხოლოდ 1873 წლიდან განმტკიცდა დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამიტომ ჩვენ ვახდენთ ერთგვარ ექსპერიმენტებს, რომ რევოლუციის შემდეგ შეიქმნეს მუდმივი, მკვიდრი დემოკრატიული წყობილება და ამ წყობილებაში—დემოკრატიის ბატონობა.

ასეთი ისტორიული ამბის მოწმენი ვართ, ამას ვქმნით და ეპეი არ უნდა ჰქონდეს არც ერთ გვარდიელს, რომ ის ქმნის დიდს ისტორიულს საქმეს.

ამ სწორი ხაზის დასაცავათ მოგიწოდებთ თქვენ აქ და თქვენთან ერთად მთელს გვარდიას.

გაზ. «ეშმაკის მათრახი» № 3.

12 დეკემბერი, 1919 წელი.

დ ი დ ე ბ ა

დიდება აწ და მარადის წითელ გვარდიას,
ერის ბურჯს, ერის სიმტკიცეს და მის ვარდ-იას,
დიდება აწ და მარადის წითელ გვარდიას!

დიდება შრომის სამეფოს—ამ ერის კერას,
სადაც ისმენდა გმირთ-გმირი შრომის სიმღერას,
დიდება შრომის სამეფოს—ამ ერის კერას.

დიდება. ვინაც უმღერა ნანა მზიური,
შთაბერა ძალა უკვდავი, ცეცხლი ციური.
დიდება, ვინაც უმღერა ნანა მზიური!

დიდება აწ და მარადის წითელ გვარდიას,
ერის ბურჯს, ერის სიმტკიცეს და მის ვარდ-იას.
დიდება აწ და მარადის წითელ გვარდიას.

ვ. რუხაძე.

ვაშა გვარდიას!

ვაშა. ვაშა სახელოვან
მამაც გვარდიელებს!
თავისუფალ საქართველოს
რესპუბლიკის მცველებს!

ვაშა. ვაშა მათ გმირობას.
ვაშა ქვეყნის მხსნელებს.
ჩვენს იმედს და სასოებას.
მტერთა შიშის მგვრელებს!

გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას!
ვაშა ქვეყნის მხსნელებს,
ჩვენს იმედს და სასოებას,
მტერთა შიშის მგვრელებს!

ტ. ქუჩიშვილი.

«ეშმაკის მათრახი» № 3.
12 დეკემბერი 1919.

ჩემი დამატება

სოხუმის ომის გათავების შემდეგ, 1919 წლის 4 თებერვალს მივიღეთ ცნობა, რომ დენიკინის ჯარმა გაგრა აიღო და ტყვედ ჩავარდენ გენერალი კონიაშვილი და მუხრან ხოჭოლავა.

სასწრაფოდ მოხდა მობილიზაცია გვარდიის შემდეგი ნაწილების: მესამე იმერეთის ათასეული (შორაპნის გვარდია), პირველი იმერეთის ათასეული (ქუთაისის გვარდია), მეორე ათასეული (სამტრედიის).

ამავე დროს ახალციხის მიმართულებით აჯანყებულებმა და თათრებმა დაიწყეს შემოტევა.

ამ ორ ფრონტზე განაწილდა გვარდია და ჯარი. ახალციხეში წავიდა როგორც მთავარსარდალი გენერალი მაზნიაშვილი; სოხუმისაკენ—გენ. სოსო გედევანიშვილი; გვარდიის მთავარი შტაბის წევრებიდან ახალციხისაკენ წავიდა ვლადიმერ ჯიბლაძე და სოხუმისაკენ—ვალიკო ჯუღელი, ალექსანდრე დგებუაძე და ზაქარია გურული.

10 თებერვალს 1919 წელს მივედით მდინარე ენგურზე, გავაბით ხიდი და გადავედით მდინარეზე, შემდეგ გავმაგრდით მდინარე ბზიბზე, გავაკეთეთ აქ საფრები. გაღმით თეთრი რუსები პირისპირ დგანან. მუდამ მშრომელი, დაუღალავი და დიდი ენერგიის კაცი ალ. დგებუაძე თავს დაგვტრიალებს და ყოველთვის ჩვენს რიგებშია.

ისიდორე რამიშვილმა გვაცნობა, რომ მაზნიაშვილის მაგივრად ახალციხის ფრონტზე გენ. გ. კვინიტაძე დანიშნესო; ჩვენ ეს გაგვეხარდა. ზაქარია გურული და კ. ორაგველიძეც ახალციხეში წავიდენ. მოგვდის სასიამოვნო ცნობაც, რომ გენ. კვინიტაძე მტერს ამარცხებსო. უსიამოვნო ცნობაც მივიღეთ: ვალიკო ჯუღელმა თბილისიდან ცნობა მიიღო, რომ ნოე ჟორდანიას გარდაეცვალა ვაჟი ანდრეიკაო.

ჩვენი შეიარაღებული ძალა ემზადება რუსების წინააღმდეგ იერიშისათვის; ხვალ დილით, 17 აპრილს, უნდა გადავლახოთ მდინარე ბზიბი და შევებათ დენიკინელებს. განაწილდენ ძალები: ფრონტის უფროსია გენ. სოსო გვდევანიშვილი; მარჯვენა მხარეზე სდგას პოლკოვნიკი არტილერისტი კარგარეთელი; მარცხენა მხარეზე ზღვისაკენ—გიორგი ხიმშიაშვილი; ზევიდან მარჯვენა მხარეზე შემოვლით—საგანგებო ათასეული სვიმონ ხუხუნაიშვილის უფროსობით; შორაპნის და ქუთაისის ათასეული გიორგი ლომთათიძის ხელმძღვანელო-

ბით; მიქაძე, ბოლქვაძე და ჩაჩიბაიას ძალები იმყოფებიან ცენტრში. ჩვენი ხიშტი იყო ათასეული ანუ შვიდი ათასი კაცი და ცხენოსანთა დივიზია; ზღვიდან მხარს გვიჭერდა ჩვენი პატარა გემი «კახი» და «ჭოროხი»; გვქონდა ოთხი ბატარეია და ტყვიისმფრქვეველთა რაზმი შარაძის მეთაურობით.

დილის ოთხ საათზე, 17 აპრილს 1919 წელს, შეტევა დაიწყო გიორგი ხიმშიაშვილმა გზატკეცილზე; მან მოხსნა დენიკინის პიკეტები, რომელთაც მოასწრეს უკვე ბოგის აყრა, მაგრამ მამაცმა სვ. ხუბუნაიშვილმა ზევიდან მოვლით გაჰფანტა რუსის ჯარი და დაეშვა ძირს. წინ მივიწევთ... განმეორდა სომხეთის და ახალციხის ამბავი: ინგლისელები გადაგვეღობენ და მოითხოვეს ჩვენი ჯარების წინსვლის შეჩერება. დიდი აღშფოთება გამოიწვია ამ ჩარევამ ჩვენს შორის და ვალიკო ჯუღელი ბრაზით იხრჩობოდა...

ოც წელზე მეტი გავიდა და დღესაც განვიცდი მაშინდელ უკმაყოფილებას და არ მავიწყდება ინგლისელთა ის გვარები, მაშინ რომ ხშირად მესმოდა: პოლკოვნიკ უაიტ, პოლკოვნიკ ჰაინს. ჩვენი თარჯიმანი იყო ცხენოსანთა დივიზიონის ოფიცერი დოდიკ ჭავჭავაძე. მაინც ჩვენმა ცხენოსანთა დივიზიონმა გვერდი აუარა ინგლისელების პიკეტებს და დაედევნა დენიკინის ჯარს. მართალი უნდა ვთქვა, ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა დიდ ომში, ჩვენ ომებში ხომ ყოველთვის ვიყავი, მაგრამ აქ რომ სურათი ვნახე, არსად მინახავს. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ისე მწყობრად და ისე კოხტად შეუტია დენიკინის რჩეულ ოფიცერთა ძალებს, ისე თავზარი დასცა და გაფანტა ისინი, რომ ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა ეს შეტევევა.

17 აპრილს 1919 წელს, დღის 4 საათზე, ჩვენ შევედით გაგრაში. ცხენოსანი ჯარი აქ არგაჩერებულა, განაგრძო მტრის დევნა და საღამოს ვალიკო ჯუღელი უკვე გვატყობინებს, რომ ვიმყოფებით «ხალოდნაია რეჩკა»-ზეო., ამავე დროს ჩვენი გემები «პატარა კახი» და «ჭოროხი» დაედევნენ დენიკინის უზარმაზარ გემს, რომელიც დატვირთული იყო პურითა და დიდძალი სანოვაგით; დაიჭირეს იგი და სანიტარული გემიც და გაიჩერეს ძველ გაგრაში.

ჩვენი ჯარი დაბინავდა ახალ გაგრაში. აქ გაგვითენდა აღდგომა. ყოველ მხრივ მოისმოდა: ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად, აღსდგა საქართველო!

საქართველოს მთავრობისაგან ვ. ჯუღელმა დეპეშა მიიღო: აღარ წახვიდეთ მდინარე მახადირს იქითო. ჩვენ მართ-

ლაც ვიცავით სოფელ პილენკოში. აქ ზღვიდან გადაგველობა ინგლისელების ორი დიდი სამხედრო გემი. გავჩერდით მდ. მახადირზე. დავიწყეთ სანგრების კეთება და ჩვენი პოზიციების გამაგრება. არ დაგვისვენია სანამ არ ამოვთხარეთ სანგრები. გავაბით მავთულები და გავიყვანეთ გზები მთებში.

აქ მე დავრჩი 1919 წ. მაისის ბოლომდე: გამიწვიეს თბილისში და გამოვეცხადე მთავარ შტაბს. ვალიკო ჯუღელმა მითხრა: ცეკამ მთხოვა რამოდენიმე ამხანაგი გავუგზავნო დროებით სოფლად სამუშაოდ და ამ რიცხვში შენცა ხარ და ჩვენ უნდა ვიცოდეთ შენი მუდმივი მისამართიო.

4 ივანობისთვეს დილით მივედი ცეკაში: აქ ბევრი ამხანაგი ვნახე დაბოლოს მოვიდა სილიბისტრო (სილვა) ჯიბლაძე, რომელმაც გამიყვანა ცალკე ოთახში და თავისი წყნარი და საქმიანი კილოთი დამიწყო:

— ვალიკო! მარტო თოფის სროლა არ გვეყოფა. საჭირო არის სოფლადაც მუშაობა. ამიტომ შენ ხარ დანიშნული ანანია სალუქვაძის ჯგუფში: უნდა წახვიდე ახალციხეში: იქ ვინც დავნიშნეთ ეროობაში თუ კომისრად. არც ერთი არ გამოგვადგა. ხომ ხედავ. რა დიდ ზარალს ვნახულობთ იქ: სამი თვე სულ აჯანყებაა ახალციხის მაზრაში.

მე უარი ვუთხარი:—ვერ წავალ, არ ვიცნობ კარგად მაზრას და იქ რას გავაკეთებ?

— აბა, თიანეთის მაზრაში მაინც წადი: იქ არის ეროობის თავმჯდომარედ ლადიკო პაპავა.

ამაზედაც უარი მოვახსენე:—მე ჯერ მირჩევნია ისევ გვარდიაში დავრჩე და თუ მაინცდამაინც გინდათ გვარდიიდან მომხსნათ, მაშინ მე წავალ შორაპნის მაზრაში სამუშაოდ.

ს. ჯიბლაძე გაწყრა, აიღო ხელში თავისი ბლის ჯოხი, ადგა და მეც გარედ მივდივარ, მაგრამ მან დამიძახა და მივბრუნდი და მან განაგრძო:

— ვალიკო! კაცო, რას ფიქრობ? ეს ქვეყანა თუ პარტია მარტო თავისით კი არ მოსულა! ჩვენი პარტია იმითი არის ძლიერი, რომ ძირიდან ვამაგრებდით, ესე იგი ხალხში ვტრიალებდით. იქ ვმუშაობდით და ამან ნაყოფიც მოიტანა. ხომ ხედავ, დამფუძნებელ კრებაში 130 დეპუტატიდან 109 ჩვენ გავიყვანეთ! ეს მიეწერება ჩვენს ხალხთან ყოფნას; შე კაცო, როგორც გვარდიაში გხედავენ, ისე უნდა სოფლადაც გახვიდე, დაგინახონ და იტყვის ხალხი, რომ ამ კაცს მარტო თოფის ტარება კი არ ცოდნია, არამედ ადმინისტრაციაც სცოდნიაო. ჩვენი პარტია სავსე არის, როგორც ბორჯომის ბოთლი

წყლით. გვყავს პარტიის და ერის ლიდერი და თეორეტიკოსი ნოე ჟორდანია, ორგანიზატორი—ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ყველასთან გამოსაჩენი კაცი ჩვენი საგარეო მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, ყველგან კარგად მყოფი ჩვენი აკაკი ჩხენკელი; მუშებში—ვლ. ჯიბლაძე, ალ. დგებუაძე, ზაქ. გურული, ანდ. ჭიაბრიშვილი, გიორგი ერაძე, ანანია სალუქვაძე, სტეპკო ფარქოსაძე, შენი ბიქტორა კაპანაძე და სხ. აი, ეხლა ჩვენი მთავრობა ევროპაში აგზავნის ერთ წყება სტუდენტებს, რომელშიც ბევრია ჩვენი ამხანაგები. აი, მაგალითად, დიდი მომავალი აქვთ: ბიძინა რამიშვილს, სოფრომ მიხეილიძეს, ბიქტორ ნოზაძეს, რომელიც დღეს მთავრობის გაზეთის რედაქტორია, კიტა ჩხენკელი, აკაკის ძმა სხვები კიდევ. აქაც ვტოვებთ სამუშაოდ ახალგაზრდებს, როგორიცაა კოლია ჭუმბურიძე (კაქი), შალიკო დუგლაძე, გაბო ციხკარიშვილი, გოგიტა ფაღავა, ტუტკუ გვარამია, თედორე ასათიანი და სხ.

სილვას ლაპარაკს გულდასმით ვუსმენდი და ბოლოს ვთხოვე ნება მოეცა ერთი კვირით სოფლად დამესვენებინა, მერმე კი ცეკას განკარგულებაში ვიქნები-თქო.

ამაზე სილვამ დასტური მომცა და ჩავედი ჩემ სოფელ ქვაციხეში.

აქ ცნობა მივიღე, რომ ჭიათურის სოციალდემოკრატიული პარტიის კომიტეტი გიბარებსო; ჩავედი ჭიათურაში და მითხრეს, რომ შორაპნის სამაზრო ერობამ დაგნიშნა ჭიათურა-საჩხერის მფრინავი რაზმის ხელმძღვანელადო. მე შევადგინე ათი კაცისაგან მილიცია და პირველი ჩემი გასვლა იყო საწალიკის მთაზე. ცნობა მივიღეთ, რომ ბოლშევიკებმა დიდძალი ფული და დაბეჭდილი ფურცლები გადმოიტანეს მამისონის უღელტეხილიდანო. მე დავიჭირე გიორგი ბადოკია, რომელსაც ბევრი ფურცელი აღმოაჩნდა. იგი გადაასახლეს რუსეთში. ამავე დროს მორჩაძე ახდენდა გამოსვლებს ტყიბულის მხარეში, მაგრამ მე მასთან საქმე არა მქონია, ხოლო როცა გავიგე, რომ ხრეითის თემში გადიოვიდაო, გავეშურე მისკენ, მაგრამ გამასწრო.

ამ ფრინავ რაზმთან დავრჩი 1919 წლის 12 აგვისტომდე. მე ვტრიალებდი უმთავრესად ხრეითის თემში, ვინაიდან ეს თემი ყველაზე უფრო საშიში იყო; აქ ორჯერ მოგვიწყვეს აჯანყება. ეს იყო ბოლშევიკების კავშირის ბუდე: ლეჩხუმიდან აქ ჰქონდა კავშირი ალექსი კბილაძეს პლატონ მიხელიძესთან; პლატონ მიხელიძეს ალექსანდრე ვაშაძესთან ჭიათურაში; და იქ ამ უკანასკნელს მფარველობდა ჩვენი ადმინისტრა-

ციის თუ მთავრობის პასუხისმგებელი პირები. ეს გამოირკვა 1921 წელში. რახმში ყოფნის დროს მე გავწმინდე როგორც ხრეითის. ისე საჩხერის რაიონი. აქ დავიჭირე პლატონ მიხელიძე. ალექსანდრე ვაშაძე (საჩინოსი). ბაგრატ დევიძე, გიორგი ბოლოკია და სხ.

12 აგვისტოს 1919 წელს მივიღე დეპეშა ვალიკო ჯუღელისაგან. მიწვევდა თბილისს. ჩავედი ჭიათურაში: ვინახულე ხაქარია გურული და მან მითხრა:

— იქ აღარ წახვალ: მე დამავალეს შენთან მოლაპარაკება; ხომ გახსოვს. აგერ შვიდი თვეა, რაც გაგრაში არის მესამე იმერეთის ათასეული: მას უნდა დასვენება: ამიტომ აქ უნდა შევადგინოთ სარაიონო შტაბი, და გავგზავნოთ ახალი გვარდიელები, რათა შესცვალოს მესამე ათასეულიო.

მეორე დღეს მართლაც მოვიდა ზესტაფონიდან სამაზრო შტაბი: გაბრიელ შენგელია, სვიმონიკა გოცაძე და ვანიჩკა ურუშაძე. აქ მოვიწვიეთ საერთო კრება: ჯერ ავირჩიეთ შტაბი შემდეგი შემადგენლობით: სერაფიონ სიხარულიძე. ლევან გამყრელიძე და ვალიკო ჩუბინიძე; შემდეგ მოვახდინეთ შუშების მობილიზაცია და 15 აგვისტოს 1919 წელს მესამედ გავემგზავრე გაგრისაკენ 250 კაცით 4 ოფიცრით. ჭიათურიდან დიდი ზეიმით გაგვაცილეს; სიტყვები გვითხრეს ხაქარია გურულმა და ჭიათურის ქალაქის თავმა პლატონ მოდებაძემ; ყველა გამარჯვებას გვისურებდა.

წასვლამდე იქვე ავირჩიეთ ჩვენი დელეგატები სახალხო გვარდიის ყრილობისათვის: ლევან გამყრელიძე და მელენტი დობორჯგინიძე. ჩვენი გუნდის უფროსად იყო აქვსენტი ჭურციკიძე. დანარჩენი ოფიცრები იყვნენ: შურა ჭეიშვილი, ისაია ალიხანაშვილი და კაპანაძე (სახელი აღარ მახსოვს).

ფოთში ჩავსხედით გემ «ჭოროხ»-ზე და 17 აგვისტოს გავედით სოხუმს; 19 აგვისტოს უკვე ახალ გაგრაში ვიყავით. აქ ცოტა დავისვენეთ და ჩავედით მერმე სოფელ პილენკოში; აქედან ავედით აჩმარდის მთაზე და გამოვცვალეთ შორაპნის გვარდია, რომლიდანაც ჩვენთან დარჩა კიდევ ათასეულის უფროსი ტრიფონ ლაბაძე; ორი კვირის შემდეგ იგი შესცვალა სიკო თუთბერიძემ. როგორც ყოველთვის შედგენილ იქნა საველე სასამართლო. თავმჯდომარედ იყო თედორე ასათიანი: წევრებად: იოველ ცერცვაძე, ვლადიმერ ხვედელიძე და ვალიკო ჩუბინიძე.

ერთ დღეს გვეწვიენ ფრონტის უფროსი გენ. ჯიჯიხია და ალ. დგებუაძე პილენკოში. საუბრის დროს მათ მითხრეს:

— კაცო, შენ რას აკეთებ აქ? შენი გვარდიელები ქურდობენ.

— არ ვიცი არაფერი!

— საქმეც ის არის, რომ არაფერი იცი.

გენერალმა გამოიძახა მთელი გვარდია: შორაპნის, ხონის, სამტრედიის, სამეგრელოსი და გარეკახეთის. დაეწყო ყველა. მოიყვანეს ორი ბერძენი და ერთი მალდავანი, იქაური მცხოვრებნი; მათ დამნაშავე ორის მეტი ვერავინ ნახეს. ერთი იყო ხონელი, მეორე კახელი. კახელს გაუყიდია კრუხი და ხონელს ხელით საკერი მანქანა; ორივეს ერთად უქურდია და საქმეში თანაზიარი ყოფილან. კახელმა სასამართლოში განაცხადა:

— მე რა დამნაშავე ვარ?! დამნაშავეა მედუქნე. ვინც იყიდა ქათამი; განა არ იცოდა, რომ ქათამი მე კახეთიდან არ წამომიყვანია?

ხონელმაც იგივე საბუთი სთქვა. სასამართლომ ორივეს ექვს-ექვსი თვე პატიმრობა მიუსაჯა.

კახელებს საერთოდ არ მოსწონდათ იქ ყოფნა და ხშირად გაიგონებდით გინებას:—იმას რა ვუთხრა, ვინც ეგ წყალი დააგუბა, თორემ აქამდე წავიდოდით კახეთში და პურებს შევინახავდითო!

დაგუბებულ წყალს ეძახდენ ზღვას.

თბილისიდან ჩამოსულმა სიკო თითბერიძემ, სხვა ამბავთა შორის, ისიც გვითხრა, რომ ვლადიმერ ჯიბლაძემ ქალი შეირთოო; ქალი ითხოვა აგრეთვე კოლია ორაგველიძემ, თეოფილე შენგელიამ და თვითონ მეც, ჩემო ალექსანდრეო,— უთხრა დგებუაძეს. მეც დანიშნული ვიყავი იმ დროს და ვერ ვუმხელდი ალექსანდრეს, ახლა დრო ვიხელთე და ვუთხარი: —მეც დანიშნული ვარ-თქო.

ალექსანდრე დგებუაძე აყვირდა:

— რა დროს ქალის თხოვაა თქვე ოჯახქოჯებო! დენიკინი აგერ პირზე გვადგია და თქვენ ქორწილობას მართავთ? არა, ძმაო, ასე ვერ ავაშენებთ სახელმწიფოს! ხო, ამხანაგებო, დაქორწილდით! რაღა გიპირთ, დადექით და დაუკარით ტაში; ჩამოუარეთ და იცეკვეთ!

რამოდენიმე წლის შემდეგ, 1921 წელს, უკვე მეტეხის ციხეში, სადაც ყველა ზემოდასახელებული პირები დაპატიმრებული ვიყავით, ალექსანდრე დგებუაძეს ალბად გაახსენდა ეს ამბავი და გვითხრა:

— ამხანაგებო, ითხოვეთ ქალები და იყავით ეხლა აქა!

ბრძანება

რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლისა.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა, რომელიც გამოცხადებულია სამხედრო უწყების მიმართ ამა წლის 8 სექტემბრის ბრძანებაში, მე გამომეცხადა მადლობა ჩემი მოქმედებისათვის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლათ ყოფნის დროს და მასთან ერთად დაბრუნებული ვიქენი ძველ თანამდებობაზე—სამხედრო სკოლის უფროსათ.

საქართველოს მეომარნო! უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში მე ვიდექი თქვენს სათავეში და მე გიწევდით შეძლებისდაგვარათ ხელმძღვანელობას მთელი ჩემი ძალით; წინეთაც, როგორც მშვიდობიანობისას ისე სამხედრო მოქმედებათა დროსაც მე არაერთჯერ შემხვედრია წილათ თქვენს სათავეში ყოფნა. ჩემთვის ძვირფას მშობლიურ მხედრობაში. ჩემ ძვირფას სამშობლოს მეომართა შორის გატაცებულ დროს მე ვსთლვი ჩემი ცხოვრებისა და სამსახურის უბედნიერეს ხანად. ჩემი უფროსობის ყოფნისას თქვენ არაერთჯერ დაამტკიცეთ თქვენი ერთგულება და სიყვარული სამშობლოსადმი.

საქართველოს გმირებო! თქვენ კვთილსინდისიერათ მოიხადეთ ვალი სამშობლოს წინაშე, თქვენ ღვრით საკუთარ სისხლს, ხშირათ განიცდით სიმშილს, სიცივეს. მაგრამ მტკიცეთ გახსოვთ თქვენი მოვალეობა და მიუხედავათ გაჭირვებასიძნელისა, თქვენ—ჯარმა და გვარდიამ—თქვენი გმირული გულ-მკერდით შეინარჩუნეთ სამშობლოს დამოუკიდებლობა და ყველაფერი ის, რაც მისცა ჩვენს ქვეყანას რევოლუციამ; თქვენ იცლებოდით სისხლისაგან საომარ ველზე თქვენზე უფრო მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლის დროს; თქვენ გადალახეთ უმაღლესი და უძნელესთა გასავალი მთები, გადაიარეთ მინდვრები; თქვენ როგორც არწივნი თავს დატრიალებდით ჩვენს სამშობლოს სადარაჯოებს: მიფრინავდით ერთი საზღვრიდან მეორე საზღვარზე და მეხივით ეკვეთებოდით მტერს!

ჯარისა და გვარდიის მეომარნო! თქვენ მხარდამხარ ერთმანეთთან ღვრიდით სისხლს ჩვენი სამშობლოს დასაცავათ და ამით კიდევ უფრო მტკიცეთ დაუკავშირდით ერთმანეთს. წითელ ხიდთან ბრძოლის დროს სახალხო გვარდია გმირულათ იბრძოდა უფრო მრავალრიცხოვან მტერთან, რომელიც

მანამდე ძლევამოსილი მოდიოდა ათას ვერსს. მაგრამ საქართველოს შვილებმა პირველ შეტაკებისთანავე დაამარცხეს ის. გვარდია ღირსეულათ და სრული თავგანწირვით იბრძოდა მტერთან, იმის სურვილით გატაცებული. რომ მუდმივი ჯარისათვის საშუალება მიეცა მტრის შესახვედრათ მომზადებულიყო! გვარდიამ ჩვენი სახელოვანი წინაპრებივით შეასრულა თავისი მოვალეობა, გმირულათ და სახელოვნათ. მე უნდა დავადასტურო, რომ თქვენ, საქართველოს მეომარნო, იბრძოდით თქვენი მოვალეობის სრული შეგნებით. თქვენთვის საჭირო არ იყო მოცემული დავალების შესასრულებლათ ძალდატანება, თქვენთვის მხოლოდ მიზნის დასახელება იყო საკმარისი და თქვენ ყოველთვის სრული შეგნებით და მზურვალე გულით ეკვეთებოდით მტერს.

უფროსობა და ხელმძღვანელობა ასეთი მხედრობისა, რომელსაც უსაზღვროთ უყვარს თავის სამშობლო და მტკიცედ ესმის თავისი მოვალეობა მის წინაშე, ყოველი სამხედრო პირისათვის არის უაღრესი ბედნიერება. ჩვენ ძვირფას და სასიქადულო სამშობლოს ხსოვნაში ყოველთვის იქნება თქვენი გმირობა და მამაცობა. ის ყოველთვის მადლობით მოიგონებს თავის სახელოვან შვილებს.

ვტოვებ რა მთავარსარდლის მოვალეობას, მე მსურს სრული პატივისცემით და მხურვალეთ აღვნიშნო თქვენი გმირული სამსახური სამშობლოსადმი. თქვენ დაამტკიცეთ, რომ ღირსეულნი შვილნი ხართ ჩვენი ღირსეული წინაპრებისა.

აღსდგენენ საქართველოს გმირები!

დიდება სამშობლოს, დიდება თქვენ!

გაუმარჯოს საქართველოს და მის სახელოვან მხედრობას.

ვენ. ვინიტაძე.

«ერთობა» № 209.

14 სექტემბერი 1920 წ.

ბრძანება

სასალხო გვარდიის მთავარი შტაბისა

№ 38

4 ოქტომბერი 1920 წ. თბილისი.

მუხლი 1.

წინადადება ეძლევა ყველა საოლქო შტაბებს, თბილისის, ბორჩალოს და მანგლისის რაიონულ შტაბებს და მუდმივი ნაწილების უფროსებს დაუყოვნებლივ გაუგზავნონ სათანადო სამხედრო აღრიცხვის უფროსებს სია სარეზერვო და მუდმივი გვარდიელებისა 21-დან 25 წლამდის ჩათვლით. სიაში უნდა იყვეს ნაჩვენები გვარი, სახელი, მამის სახელი, რომელ წელშია დაბადებული, სამსახურის დასაწყისი, სარწმუნოება, მაზრა, თემი და აგრეთვე ითვლება ის გვარდიელ რეზერვში თუ კადრში. ყოველივე გვარდიაში ახლათ მიღებულზე და აგრეთვე გვარდიიდან გასულზე უნდა დაუყოვნებლივ ეცნობოს სათანადო სამხედრო აღრიცხვის უფროსს, ზემო ნაჩვენებ ცნობების აღნუსხვით. ასეთი ცნობების მოწოდება აუცილებელი საჭიროა იმ მოსახრებით, რომ არ აღმოჩნდენ ისეთი მოქალაქენი, რომლებიც არც გვარდიაში ითვლებიან და არც სამხედრო აღრიცხვის უფროსს ყავს აღრიცხვაზე.

ამისთვის მთავარი შტაბი კატეგორიულათ მოითხოვს ამ ბრძანების შესრულებას.

მუხლი 2.

ცხადდება სახელმძღვანელოთ, რომ თანახმად მთავარი შტაბის დადგენილებისა, სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა გადატანილია ამაწლის 24 ოქტომბრისათვის.

საფუძველი: მთავარი შტაბის ოქმი № 382. მუხლი 1.

მუხლი 3.

ცხადდება საოლქო და რაიონულ შტაბების სახელმძღვანელოთ და ასასრულებლათ, რომ იმ შემთხვევაში თუ მთავარი შტაბი მისცემს მათ ცნობას რომელიმე დეზერტირის შესახებ, ისინი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მოძებნონ ის დეზერტირი და გადმოგზავნონ მთავარი შტაბის განკარგულებაში.

საფუძველი: მთავარი შტაბის ოქმი № 380. მუხლი 4—ა.

მუხლი 4.

შენიშნულია, რომ საოლქო შტაბები ხშირად, როდესაც საქმე არ მოითხოვს, უშვებენ შვებულებაში საექიმო პერსონალს, რის გამო საოლქო შტაბები რჩება უსაექიმო პერსონალად და სთხოვენ საექიმო-სანიტარულ განყოფილებას მათ მაგიერ პერსონალის გამოგზავნას. ცხადდება რა ეს, ეძლევა წინადადება ყველა საოლქო შტაბებს, რათა საექიმო პერსონალთა შვებულებაში დათხოვნა ხდებოდეს მთავარი შტაბის მიერ საექიმო-სანიტარულ განყოფილების საშუალებით.

საფუძველი: მთავარი შტაბის ოქმი № 373. მუხლი 23.

ცნობა: საექიმო-სანიტარულ განყოფილების მომართვა № 5,092.

მუხლი 5.

მომწყობ განყოფილების გამგე პეტრე გრიგოლის ძე ფელიცინი, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, განთავისუფლებულია თავის თანამდებობიდან ამა წლის 20 სექტემბრიდან.

საფუძველი: მთავარი შტაბის ოქმი № 367. მუხლი 17.

მუხლი 6.

სოხუმის ბათალიონში დანიშნულია უმცროს ოფიცრის თანამდებობაზე იაკოფ სიმონის ძე ქაჯაია ამა წლის 29 სექტემბრიდან.

საფუძველი: მთავ. შტაბის ოქმი № 381. მუხლი 26.

მუხლი 7.

ჯავშნოსან სატანკო დივიზიონში გადაყვანილია უფროს ოფიცრის თანამდებობაზე მესამე თბილისის ბათალიონის გუნდის უფროსი გაბრიელ შაბუროვი ამა წლის 25 სექტემბრიდან.

საფუძველი: მთავ. შტაბის ოქმი № 373. მუხლი 28.

მუხლი 8.

სატანკო დივიზიონის უფროსს ორჯონიკიძეს, დეზერტირ ცქიტიშვილის სამსახურში მიღებისათვის. ეცხადება შენიშვნა; ცქიტიშვილი კი გაგზავნილ იქნას შორაპნის მაზრის აღრიცხვის უფროსის განკარგულებაში.

საფუძველი: მთავ. შტაბის ოქმი № 377. მუხლი 28.

მუხლი 9.

ნაცვლად სამეედრო სასწავლებელში წასულ სატყვია-მფრქვევლო კურსების მწერლის გაბრიონ ლოსაბერიძისა, ზემო აღნიშნულ კურსების მწერლად ინიშნება მიტროფანე ცინცაძე ამა წლის 25 სექტემბრიდან.

მუხლი 10.

ოფიცერი კაპიტონ ერაგია ჩარიცხულია გვარდიის ოფიცრად ამა წლის 1 მარტიდან.

საფუძველი: მთავ. შტაბის ოქმი № 375. მუხლი 20.

მუხლი 11.

მეოთხე თბილისის ბათალიონში დანიშნულია უფროს ოფიცრის თანამდებობაზე იმავე ბათალიონის უმცროსი ოფიცერი პავლე ქსენაღობოვი.

საფუძველი: მთავ. შტაბის ოქმი № 378. მუხლი 29.

მუხლი 12.

მესამე იმერეთის ბათალიონის გუნდის უფროსი აკაკი ქოჩიაშვილი, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულია თავის თანამდებობიდან ამა წლის 25 სექტემბრიდან.

საფუძველი: მთავ. შტაბის ოქმი № 378. მუხლი 30.

მუხლი 13.

საგანგებო ბათალიონის მესამე გუნდის ოფიცერი იოველ აბქანდაძე, მოკლული მტერთან შეტაკების დროს ცხინვალის მიმართულებით, ამორიცხულ იქნას ოფიცრების სიიდან ამა წლის 14 სექტემბრიდან.

ცნობა: ბრძანება საგანგებო ბათალიონისა № 260. მუხ. 3.

მუხლი 14.

ცხადდება საყურადღებოთ, რომ მეჯვრისხევის რაიონის (რეზერვის) გვარდიელი პავლე ანდრიას ძე კუსტარაშვილი, სადარაჯოზე დაძინებისათვის და სახაზინო საქონლის თავის უვარგის საქონელზე გადაცვლისათვის დაპატიმრებულია ხუთი დღით და სრულიად დათხოვნილი გვარდიიდან.

ცნობა: გორის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბის მომართვა № 2,130.

დედანს ხელს აწერენ:

მთავარი შტაბის თავჯდომარის ამხანაგი ა. ქიბრიძე.

მდივანი რ. აუმტროვი.

მომწყობ განყოფილების გამგე გენერალი ჯიჯანია.

საქართველოს სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა

24 ოქტომბერი 1920 წელი.

24 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა საქართველოს სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა.

ყრილობაზე გამოცხადდენ ამხანაგი დელეგატები რესპუბლიკის ყველა კუთხეებიდან.

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა ამ დღეს ზურაბიშვილის სახალხო სახლი. გამველელ-გამომველელთა ყურადღებას იპყრობდა წითელი დროშები, რომელიც სახეიმო ელფერს აძლევდა სახალხო სახლს.

დელეგატებმა დილიდანვე იწყეს თავის მოყრა. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, აუარებელი გარეშე საზოგადოება მოაწყდა სახალხო სახლს. ყრილობის გახსნამდე სხვადასხვა კუთხის დელეგატები ხვდებიან ერთმანეთს და ხალისიანათ მოუთხრობენ თავიანთ რაიონებში მუშაობის შესახებ.

საუცხოოდ მორთულია სახალხო გვარდიის წარმომადგენლების დარბაზი. სცენას საზეიმოთ ამკობს ნოხები და წითელი დროშები. წინ მარჯვნით მოთავსებულია საერთაშორისო სოციალიზმის ბელადის—კარლ კაუცკის—დიდი სურათი, მარცხნით ასეთივე სურათი ნოე ჟორდანიასი. სცენის სიღრმიდან წითელ ფონზე გამოსჩანს სოციალიზმის მამათმთავართა —კ. მარქსის და ფ. ენგელსის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბელადების—ფერდინანდ ლასალის, ავგუსტ ბებელის, ირაკლი წერეთელის, გ. პლეხანოვის და სხვათა სურათები.

თერთმეტ საათზე ყველანი იკავებენ თავიანთ ალაგებს: დელეგატები პარტერში, გარეშე საზოგადოება ქანდარაზე. ქანდარის ამფიტეატრზე მოთავსებულია სახალხო გვარდიის სამხედრო მუსიკა. სცენაზე თავთავიანთ ალაგებს იკავებენ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრები, მთავრობის და დამფუძნებელი კრების წარმომადგენლები, პროფესიონალურ და სხვა კავშირების ხელმძღვანელები; აქვე მოთავსებული არიან სტენოგრაფისტები და პრესის წარმომადგენლები.

თერთმეტ საათზე და 50 წუთზე ყრილობას ხსნის მთავარი შტაბის სახელით, შტაბის თავმჯდომარე ამხ. ვ. ჯუღელი. ყრილობის გახსნას მთელი დარბაზი ტაშისცემით ხვდება; მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს.

ყრილობა თავმჯდომარეთ ერთხმათ ირჩევს ამხ. ნიკო ელიავას, რომელიც ყრილობას შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

ამხანაგებო! მადლობას მოგახსენებთ იმ ნდობისათვის, რომლითაც თქვენ აღმჭურვეთ. დღევანდელი ყრილობის დანიშნულებაა დაადასოს განვლილი მუშაობა, აღნიშნოს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და გამონახოს მომავალი მუშაობისათვის ის გზა, რომელიც ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნება მიზნების განსახორციელებლათ. ჩვენი სახალხო გვარდიის მოღვაწეობა ყოველთვის იყო ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელთაგანი ჩვენს ისტორიაში- ასეთივე იყო გასულ წელსაც და ასეთივე იქნება მომავალშიდაც. ხმლით ხელში იდექით თქვენ ფრონტზე და გმირულათ იცავდით ჩვენს სამშობლო საზღვრებს, მტკიცე და შეუდრეკელი დამცველი იყავით რევოლუციის მონაპოვარისა. მაგრამ ამასთანავე თქვენ თამაშობდით თვალსაჩინო როლს ჩვენი სახელმწიფოს საშინაო ცხოვრებაშიდაც, მონაწილეობას იღებდით ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების მოწესრიგება-აყვავებაში. მე ვიმედოვნებ, რომ გვარდია ასეთივე იქნება მომავალშიაც და არასოდეს ზურგს არ უჩვენებს კარზე მომდგარ მტერს. სახალხო გვარდია შესდგება ჩვენი მუშებისა და გლეხების მოწინავე ელემენტებისაგან და როგორც ასეთი, იგი არ ივიწყებს პროლეტარულ და გლეხურ მუშაობას. ამ მხრივ აღსანიშნავია გვარდიის მუშაობა სასოფლო მეურნეობაში და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, რომელსაც გვარდია დაუღალავათ ეწევა ამ მუშურ-გლეხურ მასსაში. მსგავსი მუშაობით გვარდია ამტკიცებს, რომ იგი ნამდვილი შვილია ჩვენი მუშათა კლასის, მშრომელი მასსის და მუდმივი კავშირი აქვს ამ უკანასკნელთან...

ამ დროს დარბაზში შემოდის ამხ. კარლ კაუცკი, რომელსაც თან ახლავს თავისი მეუღლე და მდივანი. კ. კაუცკის მკერდს უმშვენებს სახალხო გვარდიის სამხედრო ნიშანი. მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით ოვაციებს უმართავს საერთაშორისო პროლეტარიატის მხცოვან ბელადს. ქანდარაზე მუსიკა «ინტერნაციონალ»-ს უკრავს. კაუცკი სცენაზე ადის და ყრილობას ქართულათ მადლობას უხდის შემდეგი სიტყვებით:

«ამხანაგებო! მადლობა. გამარჯობა!»

დაუსრულებელი ტაშისცემა ჰფარავს მის სიტყვებს. ამის შემდეგ თავმჯდომარე განაგრძობს სიტყვას; იგი მოუ-

წოდებს ყრილობას ფეხზე ადგომით პატივი სცენ ფრონტზე დაღუპულ სახალხო გვარდიელთა წმინდა ხსოვნას. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს. შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით ყრილობა კაუცკის თავის საპატიო თავმჯდომარეთ ირჩევს.

საპასუხოთ კაუცკი ვრცელ სიტყვას ამბობს გერმანულ ენაზე დემოკრატიულ სამხედრო ორგანიზაციის მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც ქართულათ თარგმნის ამხ. დ. შარაშიძე (კაუცკის სიტყვის სტენოგრაფიულ ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ).

კაუცკის სიტყვის შემდეგ საპატიო თავმჯდომარეთ ერთხმათ ირჩევენ ამხ. ნოე ყორდანიას.

არჩეულ იქმნენ პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგებათ: ამხ. კ. ჟუმბურიძე და ფარქოსაძე; მდივნებათ—ბაქუნაიშვილი, რუხაძე და ჩხაიძე. ამის შემდეგ ყრილობამ მოისმინა მისასალმებელი სიტყვები.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა დამფ. კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ს. მდივანმა. იგი დაახლოვებით შემდეგს ამბობს:

მოგესალმებით დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელით და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას. მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სახალხო გვარდიას ფასდაუდებელი სამსახური მიუძღვის სამშობლოს წინაშე. პრეზიდიუმის სახელით თამამათ შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოს თავისუფლებას არავითარი საფრთხე არ მოელის სანამ მას დარაჯათ ეყოლება ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარი. ამ რწმენით ჩვენ მზათა ვართ შეეებრძოლოთ ყოველგვარ გარეშე მტერს. თუ იგი სამშობლოს საზღვრების გადმოლახვას მოისურვებს. მაგრამ არის მეორე მხარე სახალხო გვარდიის მუშაობაში: ესაა მუშაობა ჩვენი მეურნეობის ასაყვავებლათ. და ჩვენ გვრწამს, რომ სახალხო გვარდიის ძლიერება ისეთივე მტკიცე იქნება ამ სფეროშიაც, როგორც სამხედრო მოქმედებაში: ვინც თავის სისხლს არ შურავს სამშობლოს დასაცავათ,—იგი არ დაიშურებს არავითარ ენერგიასაც თავის მშობელი ხალხის საკეთილდღეოთ. იმედს გამოვსთქვამ, რომ მომავალ წელში კიდევ უფრო მტკიცე იქნება თქვენი მუშაობა ამ სფეროში (ტაში).

მთავრობის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ნოე რამიშვილი. იგი ამბობს:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრო-

ბის სახელით მოგესალმებით რევოლუციისა და სოციალიზმის ერთგულ ლაშქარს! ჩვენ, რომლებიც ჩვენი მუშაობის დროს ყოველთვის დემოკრატიას ვეყრდნობოდით, განსაკუთრებით გვესაჭიროებოდა სახალხო გვარდია. გვარდია უძლეველია მაშინ, როდესაც მას შინაურ მტრებთან უხდება ბრძოლა, მაგრამ მისი ძლიერება ასეთივე არ იქნება მაშინ, როდესაც მას გარეშე მტრის წინააღმდეგ ექნება საქმეო. მაგრამ მთავრობას ამ მხრივ ეჭვი არასოდეს არ ეპარებოდა. და სახალხო გვარდიამაც ყველგან გაამართლა ჩვენი იმედები. ასეთივე იქნება მომავალშიაც...

შემდეგ ორატორი ახასიათებს სახალხო გვარდიას, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს და თავის მისალმებას შემდეგი სიტყვით ათავებს:

ჩვენ გვწამს, რომ სახალხო გვარდიას მუდამ ექნება ერთ ხელში ხმალი, მეორე ხელში ჩაქუჩი, მედგრათ დაიცავს სამშობლოს მოსეული მტრისაგან და მტკიცეთ იბრძოლებს სოციალიზმისათვის (ტაში).

დამფუძნებელი კრების სოც.-დემ. ფრაქციის, დამფ. კრების სამხედრო კომისიის, საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის საკანტროლო კომისიის, პროფ. კავშირთა საბჭოს, ქალაქთა კავშირის, ერობათა და კოოპერატივთა კავშირების, ქალაქის თვითმართველობის, ს. ს.-დ.მ.პ. თბილისის კომიტეტის, ს. ს. დ. მ. პ. სოხუმის სექციის, ფოსტა-ტელეგრაფის და თბ. მუშა-მოსამსახურეთა სახელით ყრილობას მიესალმება ამხ. აკ. ჩხენკელი. იგი აღნიშნავს იმ პირობებს, რამაც პირველათ გამოიწვია სახალხო გვარდიის დაარსება, ეხება მის მოღვაწეობას და მიუთითებს მის სოლიდარულ მუშაობაზე, რომელსაც ხელიხელ ჩაკიდებულათ აწარმოებდენ სამშობლოს საკეთილდღეოთ ჩვენი გვარდია და ჯარი. დასასრულ ორატორი აღნიშნავს შეიარაღებული ძალების საჭიროებას, სანამ სამშობლოს ემუქრება წითელი თუ მწვანე იმპერიალიზმი და იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენი გვარდია და ჯარი პირნათლათ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას მშობელი ერის წინაშე (ტაში).

მისალმებების შემდეგ კრება ათი წუთით წყდება. კრების განახლების შემდეგ გამომუშავებულ და დამტკიცებულ იქნა კრების რეგლამენტი და აირჩიეს სამანდატო კომისია, რომელშიაც შევიდენ შემდეგი ამხანაგები: ს. ნინუა, უ. ელიავა და ს. გოცაძე. დამტკიცებულ იქნა აგრეთვე დღიური წესრიგი.

დღიური წესრიგი შემდეგი იყო:

1. მოხსენება საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

2. მთავარი შტაბის მოხსენება წარსული მუშაობის შესახებ.

3. მთავარი შტაბის განყოფილებების მოხსენება მათი მუშაობის შესახებ.

4. სახალხო გვარდია როგორც სამხედრო და სამეურნეო ორგანიზაცია.

5. დისციპლინა და პასუხისმგებლობა სახ. გვარდიაში.

6. სახალხო გვარდიის ძირითადი კანონი.

7. ცვლილებების შეტანა სახალხო გვარდიის წესდებაში.

8. დამოკიდებულება შტაბებსა და ნაწილების უფროსებს შორის.

9. სახალხო გვარდიის შტაბების გადასინჯვა.

10. სახალხო გვარდიის ფორმა, ნიშნები და აგრეთვე სამხედრო ნიშნები ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის.

11. მიმდინარე საკითხები.

12. მთავარი შტაბის არჩევნები.

ამის შემდეგ მოსმენილ იქნა ვრცელი მოხსენება მთავარი შტაბის მუშაობის შესახებ ამხ. ვ. ჯუღელისა.

მან, მოკლეთ, შემდეგი სთქვა: სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მუშაობა საერთოდ დადებითი იყო, მაგრამ შიგადაშიგ ამ მუშაობას თან ახლავს შეცდომებიც, რაც იმით აიხსნება, რომ გასულ წელს გვარდიას უხდებოდა მთავარი ყურადღების ფრონტისათვის მიქცევა. ყრილობამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ გარემოებას, აღნიშნოს ყველა შეცდომები და გამონახოს გზები, რომლითაც მომავალში აცილებელი იქნება მსგავსი შეცდომები. შეიარაღებული ძალა, ჯარი ყოველთვის მძიმე ლოდათ აწვებოდა ხალხს. ჩვენ ორი სამხედრო ორგანიზაცია გვყავს—სახალხო გვარდია და ჯარი. ამიტომ ხშირათ გვეუბნებოდენ: რა საჭიროა გვარდიაო? მაგრამ თვით ჩვენი ცხოვრება მოითხოვს სახალხო გვარდიის არსებობას; სახალხო გვარდიის განიარაღება—ეს მუშათა კლასის, რევოლუციის განიარაღება იქნებოდა. ამიტომ მთავარი შტაბი ცდილობდა შეემსუბუქებია ის ხარჯები, რომელსაც სახ. გვარდიის არსებობა იწვევდა. ამ მხრივ მან ყურადღება მიაქცია მეურნეობას; საკუთარის, გვარდიის ძალებით ამუშავებდა მინდვრებს, მაგრამ შტაბმა ამ მხრივ სრულათ ვერ შესძლო

თავის გეგმის განხორციელება, რადგანაც აქ მას ხელს უშლიდენ დასახელებული სამხედრო დროის პირობები. აღნიშნული პირობები იყო საერთო მიზეზი, რაც საფუძვლათ დაედვა ყველა შეცდომებს. ამან იჩინა თავი გვარდიის მუდმივ ნაწილების და რეზერვების ორგანიზაციის საქმეში. გასულ წელს დიდი საჭიროება იყო, რათა გადიდებულიყო როგორც მუდმივი, ისე სარეზერვო ნაწილები. ამან აიძულა მთავარი შტაბი ნაწილებში ჩაერიცხა ახალი პირები და ამ ახალი გვარდიელების მიღების დროს შტაბი ვერ აქცევდა სათანადო ყურადღებას გვარდიელების პირადობას; ამის გამო გვარდიაში მოხვდენ ზოგიერთი უღირსი პირები, რამაც გამოიწვია გვარდიის სისუსტე ზნეობრივის მხრით. ყრილობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და გამონახოს ზომები გვარდიის ზნეობრივათ ასამაღლებლათ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მთავარი შტაბის სხვა და სხვა განყოფილების მუშაობას. განსაკუთრებულ ყურადღებას იგი აქცევს შტაბის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების მოქმედებას. ამ განყოფილებამ მეტათ დიდი საქმე გააკეთა გასულ წელს; იგი სცდილობდა გვარდიისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე დაემუშავებია და ამით შეემსუბუქებია გვარდიის შენახვის საქმე. განყოფილებამ შესძლო პურით უზრუნველეყო გვარდია გასულ წელს. აღსანიშნავია გვარდიის მუშაობა ყარაიაზში; აქ მის მუშაობას არა მარტო ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა; მას ჰქონდა პოლიტიკური მხარეც. გვარდიამ გასწმინდა აღნიშნული რაიონი სხვადასხვა ბანდებიდან და ამით უზრუნველჰყო ამ მხრივ რესპუბლიკის საზღვრები.

სამხედრო ორგანიზაციის ეკონომიურ ხასიათს,—ამბობს მომხსენებელი,—განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აქ კარლ კაუცკიმაც თავის სიტყვაში. რასაკვირველია ასეთი მუშაობით ჩვენ სოციალიზმს არ ვამყარებთ. მაგრამ ამ გზით ჩვენ ვეწევით მუშაობას შრომის ფრონტზე და ჩვენი სახელმწიფოს წინაშე წამოჭრილ ეკონომიურ საკითხების გადაწყვეტას ხელს ვუწყობთ.

შემდეგ მომხსენებელი აკეთებს სამხედრო ოპერაციების ვრცელ მიმოხილვას, შინაურ და გარეშე ფრონტზე და აღნიშნავს ზოგიერთ ფაქტებს. ეხება ნაწილების უფროსებს, სარაიონო და საოლქო შტაბების უფლებებს და მოუწოდებს ყრილობას ამ მხრივ მიაქციოს განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება.

ერთსულოვანი და შეთანხმებული მუშაობით დაძლეულ იქნება ყოველგვარი დაბრკოლებები, გვარდია მიიღებს ნამდვილ დემოკრატიულ, პროლეტარულ ხასიათს და მხნეთ ჩადგება მებრძოლ პროლეტარიატის რევოლუციონურ რაზმებში (ტაში).

კამათი მოხსენების გარშემო შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

25 ოქტომბერი. დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ელიავა.

იხსნება კამათი მოხსენების გარშემო.

მომარაგების, სამეურნეო და მომწყობი განყოფილების მოღვაწეობის შესახებ ლაპარაკობს მთელი რიგი ორატორებისა, რომლებიც უმთავრესათ ეხებიან ცალცალკე დეფექტებს და მომავლის გეგმას. მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ გადაწყდა, რომ მოღვაწეობის შესახებ რეზოლუცია გამოტანილი იქნება სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოქმედებაზე რეზოლუციასთან ერთად. რეზოლუციის შესამუშავებლათ აირჩიეს კომისია ხუთი კაცისაგან შემდგარი.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ს. გოცაძე. სულ სამანდატო კომისიაში წარმოდგენილი ყოფილა 152 მანდატი, რომელთა მიხედვით ყრილობაზე იმყოფება 159 დელეგატი. აქედან ყველა მანდატი კომისიამ დაამტკიცა, გარდა რამოდენიმე მანდატისა, რომლების დაწერის დროსაც არ ყოფილა დაცული ფორმალური სისწორე. ყრილობამ მცირე კამათის შემდეგ ყველა მანდატები დაამტკიცა.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს კ. ჭუმბურიძე. შემდეგ გაბუნია. შტაბის სექციის სახელით მოხსენებას აკეთებს დ. საღირაშვილი. მომხსენებელი ვრცლათ აცნობს კრებას მთავ. შტაბის და სექციის აზრს გვარდიის საოლქო და სარაიონო შტაბების რწმუნებულების შესახებ და შეაქვსზოგიერთი შესწორებები უკვე არსებულ შტაბებში. საოლქო შტაბის რიცხვი გადიდებულია 12—15-მდე. დაარსებულია აგრეთვე ზოგიერთი ახალი სარაიონო შტაბები. უკანასკნელების დამტკიცების დროს, სხვათა შორის, დიდი ანგარიში ეწეოდა ადგილობრივ პირობებს; საქმე იმაშია, რომ მომავალ წლიდან გვარდია განსაკუთრებულ

ყურადღებას მიაქცევს თავის სამეურნეო მუშაობას; ამიტომ ზოგიერთი შტაბი საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო შტატით, რათა მას შეძლება ჰქონდეს დაამუშაოს მის რაიონში სახნავ-სათესი ადგილები და აწარმოოს კულტურული მეურნეობა. შტაბების დამტკიცების დროს დიდი ანგარიში ეწევა აგრეთვე სახელმწიფო ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სექციაში საკითხმა სარევიზიო კომისიების დაარსების შესახებ. არსებობდა ორი შიმდინარეობა; ერთი მოითხოვდა, რათა არ ყოფილიყო დაარსებული სარევიზიო კომისიები და თავის აზრს იმით ასაბუთებდა, რომ გვარდია როგორც სახელმწიფოებრივი სამხედრო ორგანიზაცია უნდა ემორჩილებოდეს საერთო სახელმწიფო კონტროლსო. მეორე, უფრო დიდი მიმდინარეობა კი, მოითხოვდა ასეთი კომისიების დაარსებას იმ მოსაზრებით, რომ გვარდიის ისე როგორც პროფ. და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება თუ იგი გაშუქებული და დამტკიცებული იქნება სარევიზიო კომისიების კრიტიკული დასკვნით. ამ შემთხვევაში ალაგი არ ექნება იმ შესაძლებლობას, რომ მთავარი შტაბისა და სხვა მოხსენებები აშენებულ იქნეს ცალმხრივათ გაშუქებულ მასალებზე. ამიტომ სექციამ და მთავარმა შტაბმაც გადაწყვიტა, რომ მთავარ სარაიონო და საოლქო შტაბებთან არსებობდენ განსაკუთრებული სარევიზიო კომისიები.

მცირე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, უმნიშვნელო შესწორებით, ყრილობა ამტკიცებს მომხსენებელის მიერ წარდგენილ მოსაზრებას.

26 ოქტომბერი. დილის სხდომა.

თავჯდომარეობს ნ. ელიავა.

ამ სხდომაზე პირველათ ყრილობამ მოისმინა ალ. დგებუაძის მოხსენება, . რომელმაც წარადგინა მთავარი შტაბის მიერ შემუშავებული და ყრილობის სექციის მიერ დამტკიცებული წესდება საოლქო შტაბებისა, მთავარი შტაბის, ადგილობრივ შტაბების და გვარდიის ნაწილების, კომანდირებს შორის ურთიერთობის და განსაზღვრული უფლებების და მოღვაწეობის შესახებ.

საზოგადო მსჯელობის შემდეგ მუხლობრივათ გარჩევის დროს შეტანილი იყო ორი შესწორება, რომელიც ეხებოდა შვებულებაში წამსვლელთა რიცხვს და შვებულების ვადას.

სასოფლო-სამეურნეო სექციის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ვლ. ჯიბლაძე. ის ამბობს:

ჩვენი მუშაობის ირგვლივ დიდი დავა იყო ატეხილი: საჭიროა თუ არა სახალხო გვარდია ჩაებას სამეურნეო მუშაობაში. დღეს ჩვენ შორის არავითარ პრინციპიალურ დავას არ იწვევს ეს საკითხი. ამიტომ მე შევუდგები დებულებების განხილვას. ეკონომიური კრიზისის დროს საჭიროა სამეურნეო მუშაობა. მან უნდა დააკმაყოფილოს გვარდიის მოთხოვნილება თანამედროვე მწვავე ეკონომიურ მდგომარეობის დროს: 1. ბრძოლა მხედრულ კასტიურ სულისკვეთებასთან, 2. კოლექტიური შრომის შემოღება, 3. ეკონომიური უზრუნველყოფა გვარდიელებისა. წარმოება უნდა ხდებოდეს გვარდიელების საშვალებებით. გვარდიელი უნდა ფიქრობდეს, რომ ის უნდა დაექვემდებაროს არა იარაღს, არამედ შრომას; იარაღი მან შრომას უნდა დაუქვემდებაროს. შრომის საწარმოებლათ საჭიროა ყველა გვარდიელებმა თავის მოვალეობად დაისახონ კოლექტიურ შრომაში მონაწილეობა; ამისათვის საჭიროა იმუშაონ გვარდიელებმა განურჩევლათ მათი მდგომარეობისა ათი დღე შტაბის განკარგულებაში ამ სამეურნეო საქმეზე. ტანისამოსის მიცემა არ არის სავალდებულო. ჯამაგირი მიეცემა იმ წესით, როგორც მობილიზაციით გამოწვეულნი; გვარდიელებმა უნდა იმუშაონ თავიანთ რაიონში გარდა უკიდურეს შემთხვევისა. გვარდიელების გაწესრიგება ხდება სპეციალობის მიხედვით. გვარდიელების მუშაობამ სამეურნეო დარგში არ უნდა დაასუსტოს სამხედრო ძლიერება გვარდიისა.

გაიმართა კამათი. ილაპარაკეს ვ. ჯულელმა, ფარქოსაძემ, ბრეგვაძემ, გ. ფოფხაძემ, დიომ. დგებუაძემ, საღირაშვილმა, ვასაძემ და ლაბაძემ. კამათი იყო ორი კითხვის გარშემო: 1. რამდენათ არის საჭირო სახალხო გვარდიის სამეურნეო დარგში მუშაობა; 2. როგორ შეიძლება მისი პრაქტიკულათ განხორციელება და რამდენათ მისაღებია იძულებითი თვითდაბეგვრა, რომელიც წამოყენებული იყო მომხსენებელის მიერ დასახელებულ ღონისძიებათა შორის.

ზოგის აზრით, შეუძლებელია ამ უკანასკნელის მიღება, რადგან ამაზე არავინ არ წავა სიხალისით, და მეორეს მხრით, ეს შეასუსტებს გვარდიის სამხედრო ძალასო.

ვლ. ჯიბლაძე: (უკანასკნელი სიტყვა)—არ არის ისეთი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც მთელი სიმძიმე მუშაობისა გადმოეტანა მეურნეობაზე.

ერობებმა, რომლებსაც ეს უნდა გაეკეთებინათ, ვერ შესძლეს: ერობათა ცენტრალურმა კავშირმა ხელი მიჰყო თივის დამზადებას, აუარებელი თივა გაფუჭდა და მოგებაც ვერ ნახა. და ეს, სხვათა შორის, იმიტომ მოხდა, რომ ჩვენში დიდი ნაკლებულობაა მუშა-ხელისა. უცხო მუშები წავიდენ აქედან, ხალხიც შეცოტავდა და მუშების ნაკლებობა მწვავეთ გამოჩნდა. ჩვენ პოლიტიკურათ გამაგრებული ვართ, მაგრამ ეკონომიურათ ჩვენ, როგორც მთელი მსოფლიო, აუტანელ მდგომარეობაში ვართ. ამას ზედ ერთვის ისიც, რომ ჩვენ გარშემორტყმული ვართ მტერით, რომელიც ერთ გირვანქა პურსაც არ უშვებს ჩვენთან. ჩვენ ახალ ნორჩ სახელმწიფოს ვაშენებთ და ესეც უნდა მივიღოთ მხედველობაში. საჭიროა სიტყვა საქმეთ ვაქციოთ. ყველაფერი კი არ უნდა აღვუთქვათ ხალხს, არამედ, ის, რაც შესაძლებელია შესრულდეს; არ უნდა ვკვებოთ ილიუზიებით, როგორც ამას ბევრი შვრება. ფასები ზღაპრულათ იზრდება, ეხლავე უნდა დავიწყოთ თადარიგი და მეურნეობითი მუშაობა, რომ გაუადვილოს სახელმწიფოს ეს ეკონომიური კრიზისი. მაგრამ ამის წინააღმდეგ მოჰყავთ ანალოგიები ჯარსა და გვარდიას შორის და ამბობენ, რომ ის სამხედრო ორგანიზაციაა და მისი სამეურნეო დარგში გამოყენება არ შეიძლებაო. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ჯარი და გვარდია სხვადასხვა პრინციპებზე არის აგებული, სხვადასხვა მიზეზი მათი დაარსების.

რა არის მიზეზი გვარდიის დაარსებისა? ეს მიზეზი შეიძლება მარქსის ცნობილი ოთხი სიტყვით გამოვხატოთ—გაპირვების ეამს დემოკრატიის განსაცდელის მომენტში მუშათა კლასმა კრიტიკის იარაღი—იარაღათ კრიტიკა შესცვალა. როცა საფრთხეა, მაშინ იღებს გვარდია იარაღს ხელში და აი, მან დაიწყო ნაციონალურ სახელმწიფოს შენება ობიექტიურ პირობათა გამო. მაგრამ ის არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იარაღით, არამედ მუშაობა უნდა გადაიტანოს მეურნეობის დარგში და აი აქ მიაღწიოს საგრძნობ ნაყოფიერებას, შეუმსუბუქოს სახელმწიფოს გასაჭირი. ამ ჟამათ არ არის სხვა ორგანიზაცია, რომელიც ამას შესძლებდეს, და ამ მუშაობას საფუძვლათ უნდა დაედვას არა პრინციპი დიდი მოგებისა, არამედ ხალხისთვის მეტი სარგებლობისა. საქმე რაოდენობაზე კი არ უნდა იყვეს, არამედ ღირსებაში. რასაკვირველია, მოგებაც არ უნდა დაგვავიწყდეს, მაგრამ მთავარი სასარგებლო და საჭირო ნივთების და საგნების შექმნაა. მოგებაც უსათუოდ გვექნება. მე ძალიან შევამოკლე ჩვენი შემოსავალის

რაოდენობა, მაგრამ საქმე თვით საბოლოო მიზანშია—შეუმსუბუქოს ხალხს მძიმე მდგომარეობა, და პირნათლათ უნდა ვიაროთ ამ საბოლოო მიზნისაკენ. და ამ მეურნეობაში უნდა იყოს იძულებითი თვითდაბეგვრა. თუ დაქირავების პრინციპზე წავა საქმე, მაშინ მუშაობაზე უარის თქმა მოგვიხდება. ჩვენი მიზანია—კოლექტიური მუშაობის გაღვივება, ხალხის ამ მუშაობასთან შეჩვევა. ჩვენი მუშაობის მიზანია კოლექტიურ წარმოებასთან შევაჩვიოთ გლეხობაც—მაშ საქმე თვით მუშაობის არსებაშია. სრულიათ უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თითქოს წელიწადში 60 დღის მუშაობა დაასუსტებს გვარდიის სამხედრო ძლიერებას. კამათს იწვევს ის, თუ როგორ მოხდეს ეს თვითდაბეგვრა და რამდენათ შესაძლებელია ის. გლეხს მუდამ რჩება თავისუფალი 10 დღე და მან ამ ათ დღეში უნდა იმუშაოს. კადრიც უსათუოდ უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან ჩვენი პატარა ქვეყნისათვის 4,000 მუშახელის დაკარგვა დიდი დანაკლისია,—და აგრეთვე იმიტომაც, რომ ჩვენთან არ შეიკრიბენ ისინი, ვინც შრომას გაურბიან. მუშები აგრეთვე არ მოსცდებიან მუშაობას და არც სძულთ ეს მუშაობა, უმრავლესობა სოფლიდან არიან წამოსულნი, უკვე ეხლა აარსებენ ისინი კომუნებს, არტელებს მიწის დასამუშავებლათ. როცა მუშაობა დაიწყო, მაშინ ყარაიაზში გავგზავნეთ ნაძალადევის მუშები, რომლებმაც იმუშავეს 23 დღე და ბევრი დაავადმყოფდა, მაგრამ იმათ დაავალეს თავის წარმომადგენელებს აქ იმ აზრის დაცვა, რომ მუშაობა იქ აუცილებლათ საჭიროა (ტაში).

მუხლობრივი განხილვის შემდეგ სექციის წარმოდგენილი პროექტი მიღებული იქნა მცირეოდენი შესწორებით, რომელიც ეხება უმთავრესათ ჯილდოს.

27 ოქტომბერი. დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ელიავა.

ზაქარია გურული აკეთებს მოხსენებას გვარდიის წესდების და კანონების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ. მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია. მთელი სხდომა მუხლობრივ გარჩევას, შეთანხმების მიღებას მოუნდა. დიდი იყო კამათი გვარდიაში სამხედრო ჯილდოების შემოღების შესახებ. სექციის წინადადება იყო, რომ ეს საკითხი პრინციპიალურათ მიღებული ყოფილიყო; მოწინააღმდეგენი ამტკიცებდენ ამ საშუალების გვარდიაში მოსპობის აუცილებლობას. ყრილობამ 77 ხმის წინააღმდეგ მიიღო დადგენილება, რომლის ძა-

ლითაც ეს მუხლი მთლათ ამოიშლება წესდებიდან და ამასთანავე აღინიშნება, რომ წინააღმდეგია ყოველივე ჯილდოსი.

სხდომის დასასრულს არჩეულ იქმნა 7 კაცისაგან სარეკომენდაციო კომისია, რომელნიც დაასახელებენ კანდიდატებს მთავარი შტაბის წევრებათ.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ელიავა, შემდეგ ი. გაბუნია და კ. ჭუმბურიძე.

მთავარი შტაბის წევრი რ. აუშტროვი აკეთებს მოხსენებას სახალხო გვარდიის სამხედრო ფორმის და ნიშნების შესახებ. მცირე შესწორების ფორმისა და ნიშნების ტარებაში უმნიშვნელო ცვლილების შეტანით ყრილობა ამტკიცებს უკვე არსებულ ფორმას და სამხედრო ნიშნებს.

ამხ. ჯუღელი აკეთებს მოხსენებას დისციპლინისა და პასუხისმგებლობის შესახებ გვარდიაში. მომხსენებელი აღნიშნავს ახალ წესდების საჭიროებას, რომ ამ საქმისათვის მოწოდებული განსაკუთრებული კომისია შეეცდება მალე მოაგვაროს ეს საკითხი, თუმცა ეს საქმე არც ისე ადვილი გასაკეთებელია. საერთო დებულების სახით მომხსენებელი მოითხოვს, რათა მთავარ და საოლქო შტაბების განკარგულებას მტკიცეთ ასრულებდენ ქვემდებარე ორგანიზაციები. შემოღებული იქნეს სისასტიკით პასუხისმგებლობა სამსახურის საქმეების ასრულების დროს და დაუდევრობა სასტიკათ იქნეს დასჯილი. კერძოთ დადგენილება ცხენების დროზე მოვლის დროს და სხვა; მოითხოვს აგრეთვე მთავარ შტაბს და სხვებს უფლება ქონდეთ იძულებით შრომაში ჩააბან დანაშაულობისათვის დაპატიმრებული გვარდიელები.

ამხ. ს. გოცაძე მოითხოვს, რათა უკანასკნელებს სასჯელის მოხდის დროს არ მიეცეს ჯამაგირი.

ამხ. ალ. დგებუაძეს მოჰყავს კონკრეტული მაგალითები იმის საილუსტრაციოთ, თუ როგორი ზიანის მოტანა შეუძლია დაუდევრობას განკარგულების შესრულების დროს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობა იღებს მომხსენებელის მიერ წამოყენებულ დებულებას და ავალებს მთავარ შტაბს მის დეტალურ დამუშავებას. ჯუღელის მოხსენებით ყრილობა იღებს საერთო მოსაზრებას ომის დროს ფრონტზე საველე შტაბის საჭიროების შესახებ. მოწონებულ იქნა აგრეთვე წინადადება, რათა ომის დროს თავდაცვის საბჭოში გვარდია გაძლიერებულათ იქნეს წარმოდგენილი. და-

მატებით მოხსენებას სამანდატო კომისიის სახელით აკეთებს ამხ. ს. გულაძე. ყველა სადავო მანდატები დამტკიცებულ იქნა. კულტურული სექციის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვასაძე. სექციის მოსაზრებები კუტურული მუშაობის გაძლიერების შესახებ გადაეცემა მასალათ ახალ მთავარ შტაბს. მედიკურ-სანიტარულ სექციის სახელით მომხსენებელია ექიმი ცინცაძე. ყრილობა იღებს წინადადებას, რათა გადიდებულ იქნეს საწოლების რიცხვი გვარდიის საავათმყოფოში შესაძლებლობის ფარგლებში. დასახიჩრებულ გვარდიელთა ოჯახებს გვარდია გაუწევს დახმარებას საექიმო რჩევებით. ცხარე აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა განცხადებამ. აღნიშნული მუშა-მოსამსახურენი მოითხოვენ, რათა მთავარ შტაბსა და მათ შორის არსებობდეს ნორმალური დამოკიდებულება. ამხ. დ. საღირაშვილი განმარტავს, რომ დღემდე ამ დამოკიდებულებათა ნიადაგზე არავითარ გაუგებრობას არ ჰქონია ადგილი. მუშა-მოსამსახურეთა განმარტებით ისინი მოითხოვენ, რათა იურიდიულათ იცვნან მათი პროფესიონალური კავშირი. ცხარე სიტყვაში ამხ. ალექ. დგებუაძე გადაჭრით უარყოფს პროფესიონალური კავშირის არსებობას სამხედრო ორგანიზაციაში, ვინაიდან ეს ხელს შეუშლის აღნიშნულ ორგანიზაციის მუშაობას ომის დროს. დასასრულ ყრილობა, რათა მუშა-მოსამსახურეთა და მთავარ შტაბს შორის დარჩეს ის კეთილ-დამოკიდებულებითი განწყობილება, რომელიც დღემდე არსებობდა, ამ საქმის მოწესრიგება მიანდვეს კომისიას. შემდეგ კრება არჩევს ზოგიერთ წვრილმან საკითხებს.

დასასრულ ვ. გოგუაძე გამოდის განსაკუთრებული განცხადებით; იგი აღნიშნავს ბევრ ბოროტმოქმედებას, რასაც ჩადიან სხვადასხვა პირები (ზოგიერთი გვარდიელებიც) და აღნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ეს ბოროტმოქმედებები დაუსჯელი რჩება. იგი მოითხოვს, რათა გვარდიას ქონდეს უფლება ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის.

ვ. ჯუღელის წინადადებით ყრილობა იღებს შემდეგ საერთო დებულებას: ყრილობას საჭიროთ მიაჩნია, რათა მთავრობამ მიიღოს სასტიკი ზომები ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ და გვარდია მას ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ამ საქმეში. გოგუაძის მიერ წარმოდგენილი ფაქტიური მასალები პრეზიდიუმს ევალება გადასცეს, გოგუაძესთან ერთად, მთავრობას.

28 ოქტომბრის სხდომა.

საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგე ექ. ცინცაძე თავის მოხსენებაში აღნიშნავს, თუ რა მდგომარეობაში იყო ეს დარგი წინათ, 1917 წლის დამლევს და როგორ გააფართოვა ამ განყოფილებამ თავისი მოქმედება. თუ წინათ საექიმო დახმარება ქონდა შემთხვევითი ხასიათი, 1918 წლის პირველი ივლისიდან მას მიეცა სისტემატიური ხასიათი და ამ ქამათ სახალხო გვარდიას თავისი საკუთარი საავადმყოფო აქვს, რომელიც 200 კაცისათვის არის მოწყობილი; განყოფილებას აქვს საკუთარი აფთიაქი, სადაც დღეში ას წამალზე მეტი მზადდება; განყოფილებას მომარაგებული აქვს წამლები. იგი ზრუნავს აგრეთვე, რომ დაავათმყოფებულ გვარდიელთ საშვალება მიეცეთ ჩვენი ქვეყნის კურორტებით ისარგებლონ. წელს დაავათმყოფებული გვარდიელები გავგზავნეთ ბორჯომში, აბასთუმანში, ახტალაზე და წყალტუბოში.

იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ვ. ჯუღელი აკეთებს მოხსენებას საკავშირო განყოფილების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ მთავარი შტაბის მიერ მიღებულია ყოველივე ზომები, რომ ამ საკავშირო განყოფილების მოქმედება გაფართოვდეს. ამ განყოფილებას აქვს თავისი სახელოსნო, მოაწყო სატელეფონო კურსები, სადაც 17 ოფიცრებმა 50 გვარდიელმა შეისწავლა ტელეფონის საქმე და ამით ჩვენ შეძლება გვეძლევა პროვინციას გამოცდილი ტელეფონისტები მივცეთო.

შემდეგ ამისა ვ. ჯუღელივე აკეთებს მოხსენებას კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების მუშაობის შესახებ. კულტურულმა სექციამ დიდი საქმე გააკეთა და თუ მან ვერ შესძლო სავსებით თავის გეგმების განხორციელება, ამის მიზეზი იყო ის, რომ ხსენებული სექცია სულ 9 თვეა რაც მუშაობს. და ამ ხნის განმავლობაში აუარებელი ფრონტები გვიშლიდა ხელს, რომ დადებითი მუშაობა გვეწარმოებინა. კულტურულ-განმანათლებელი სექცია აწყობდა ლექციებს სხვადასხვა ადგილებში; მოაწყო ცენტრში საუცხოო წიგნთსაცავი.

14 პირველ-დაწყებითი სასწავლებელი გახსნა პროვინციაში, 7 სახალხო სახლი დაარსა; ისეთ ადგილებში იხსნებოდა სახალხო სახლები, სადაც ხალხი კულტურულათ ჩამორჩენილია. ამ სახალხო სახლებით არა მარტო გვარდიელები სარგე-

ბლობდენ. არამედ მთელი ადგილობრივი დემოკრატია.

შემდეგ ამისა მომხსენებელი ეხება კულტურული განყოფილების ფინანსიურ მხარეს და აღნიშნავს, რომ მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობა გვეხმარება ამ საქმეში, საჭიროა ანგარიში გაუწიოთ ხაზინის გაჭირვებულ მდგომარეობას და საკუთარი დაბეგვრითი წესით გავიღოთ წვლილი იმ დიად მიზნის საჭიროებისათვის, რომელსაც ისახავს კულტურული სექცია.

შემდეგ ამისა მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რა როლი უნდა შეასრულოს ყაზარმამ გვარდიელის ცხოვრებაში. თუ წინეთ ახალგაზრდას ყაზარმის ისე ეშინოდა, როგორც ციხისა და ხშირათ სალდათობას რომ ასცდენოდა, თავს იმახინჯებდა. ეს ჩვენ დღეს უნდა მოვსპოთ. ყაზარმა ჩვენ უნდა შევაყვაროთ ახალგაზრდობას. ყაზარმაში ახალგაზრდა არ უნდა გრძნობდეს თავს, თითქოს იგი მონობაში იმყოფებოდეს. იქ უნდა აღვზარდოთ ახალგაზრდობა სოციალისტურათ, იქიდან შეგნებული და დაწინაურებული ამხანაგები უნდა გამოდიოდენ.

ამ მოხსენების დროს დარბაზში გამოჩნდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია, რომელსაც მთელი დარბაზი ხანგრძლივ ოვაციას უმართავს. ნ. ჟორდანია პრეზიდიუმთან იჯერს ადგილს. გრძელდება მოხსენება, რომლის დასასრულსაც მრავალი შეკითხვები მისცეს, რაზედაც ვ. ჯუღელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი მისცა.

ამის შემდეგ თანამედროვე მომენტის შესახებ აკეთებს მოხსენებას ნოე ჟორდანია, რომლის სტენოგრაფიულ ანგარიშებს ამ დღეებში დავბეჭდავთ.

მოხსენების შემდეგ ერთხმათ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლუცია:

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა სავსებით იზიარებს ამხანაგ მომხსენებლის დებულებებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამიტომ მას საჭიროთ მიაჩნია მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს მთავრობას საშინაო სესხის აღებაში, ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლაში და სახელმწიფოსათვის ხორბლეულობის შეგროვებაში. ამისთვის საჭიროა ყრილობის დელეგატებმა და გვარდიის შტატებმა ფართო აგიტაცია გასწიონ ადგილობრივათ ხალხში და შეაგნებინონ მას, რომ სახელმწიფოს ეკონომიური და ფინანსიური ინტერესები და მისი საკუთარი ინტერესები ერთი და იგივეა.

შემდეგ ამისა ს. ფარნიევი აკეთებს მოხსენებას საავტომობილო განყოფილების მოღვაწეობის შესახებ. მომხსენებელს მრავალ შეკითხვებს აძლევენ ყრილობის წევრები, რომელზედაც იგი ვრცელ და დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევა.

29 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარე ნ. ელიავა. დახურულ სხდომაზე მოხდა მთავარი შტაბის წევრების არჩევნები. არჩეულ იქნენ: 1. ვალიკო ჯუღელი, 2. ალექსანდრე დგებუაძე, 3. ანდრო ჭიაბრიშვილი, 4. ანანია სალუქვაძე, 5. დათიკო საღირაშვილი, 6. რუბენ აუშტროვი, 7. ლეო რუხაძე, 8. სანდრო ფარნიევი, 9. ემილ სირბილაძე, 10. ილიკო ქარცივაძე, 11. სტეპკო ფარქოსაძე, 12. მიკიჩა ვარდოიანი, 13 მიშა ძამანაშვილი, 14. თეოფილე შენგელია, 15. ნაპოლეონ კახიანი, 16. ვ. გოგიშვილი, 17. იაკობ ხარაში, 18. ბენედიქტე დგებუაძე, 19. გოგიტა ფაღავა, 20. სარქის გლახოიანი, 21. ვლადიმერ ჯიბლაძე.

შედეგებს ყრილობა ტაშისცემით შეხვდა.

შემდეგ ამისა წაკითხულ იქნა ტექსტი მისალმებების დეპეშებისა: დამფუძნებელ კრებას, მთავრობის თავმჯდომარეს, კ. კაუცკის, პროფესიონალური კავშირის საბჭოს.

ახლათ არჩეული მთავარი შტაბის სახელით სიტყვას ამბობს ვ. ჯუღელი:

ამხანაგებო! ახალი მთავარი შტაბის სახელით მადლობას გიძღვნით არჩევისათვის და იმ ნდობისათვის, რომელიც ჩვენ გამოგვიცხადეთ; აღგითქვამთ, რომ მთელი ჩვენი ძალღონით ვეცდებით, რომ გავამართლოთ თქვენი ნდობა და პირნათლათ გავუძღვეთ თქვენ მიერ ჩაბარებულ დროშას, მაგრამ ამას შევძლებთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაგვიჭერთ მხარს. თუ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი დარჩა ჰაერში გამოკიდებული, იგი ვერაფერს გააკეთებს. ეს ორნაირათ შეიძლება მოხდეს, ან ჩვენ დაგშორდებით თქვენ, ან თქვენ არ დაგვიჭერთ ჩვენ მხარს. ამაშია განსაცდელი. ჩვენ ვეცდებით თქვენთან მჭიდროთ შეკავშირებას და თქვენც უნდა დაგვეხმაროთ. მხოლოთ თუ ერთად ვიქნებით, მაშინ ბევრ რამის გაკეთებას შევძლებთ და შემდეგ ერთმანეთს უფრო მომზადებულათ შევხვდებით, მეტი ნაკლისაგან გავთავისუფლდებით. იმუშავეთ ადგილობრივ. აამუშავეთ ყველა ძალები, მაშინ განვახორციელებთ ცხოვრებაში ლოზუნგებს და ერთმანეთს გამარჯვებას მივულოცავთ (ტაში).

ყრილობის დახურვის წინ ნ. ელიავა ამბობს:

თქვენ დაასრულეთ თქვენი მუშაობა. ამ მუშაობას ორი რამ ახასიათებდა; პირველი—ყრილობას ქონდა საქმიანი ხასიათი; ბევრი კითხვები გაწუხებდათ, ბევრ რამეს უნდოდა გამორკვევა; თქვენ ეს დინჯათ, საქმიანათ მოიმოქმედეთ. მეორე—თქვენში ცოცხალია რევოლუციონური სული, რომელმაც აგაღებინათ თოფ-იარაღი ხელში, თქვენში ძველებურათ ჰფეთქს რევოლუციონური ენტუზიაზმი. ეს იმის ნიშანია, რომ გამარჯვება აუცილებლათ ჩვენს მხარეზე იქნება. ვისურვებ თქვენ გამარჯვებას. გაუმარჯოს სახალხო გვარდიას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს (ტაში).

თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ ყრილობა იხურება.

რეზოლუცია მთავარი შტაბის შესახებ.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენებები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა მთავარ შტაბის მუშაობის შესახებ, აღიარებს:

მთავარ შტაბს უხდება მუშაობა მეტათ რთულ და არანორმალურ პირობებში, რის გამო აუცილებელი იყო დეფექტები; მიუხედავათ ამისა მან შესძლო პირნათლათ და ღირსეულათ შეესრულებია, როგორც გვარდიის მთავარ ხელმძღვანელს, ის დიდი მოვალეობა, რომელიც გვარდიას ისტორიამ დააკისრა, რისთვისაც ყრილობა მას მადლობას უცხადებს. ამავე დროს, რათა გვარდიის მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნეს მომავალში, ყრილობას საჭიროთ მიაჩნია: 1. გვარდიაში განმტკიცებულ იქნეს მაგარი დისციპლინა და შემოღებული სასტიკი პასუხისმგებლობა, როგორც შტაბისა, ისე უფროსებისა და გვარდიელებისა; 2. აფიცრების და საერთოთ სამხედრო პირების აღზრდის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს; 3 საველე შტაბის შემოღება და მათი უფლებრივი ჩამოყალიბება; 4. სასოფლო-სამეურნეო შტაბების გაფართოება რაიონებში; 5. კულტურული მუშაობის გაძლიერება და სხვა; 6. კანტროლის გაძლიერება, როგორც მთავარ შტაბის მუშაობაში, ისე საოლქო სარაიონო შტატებში და აგრეთვე მუდმივ ნაწილებში, რისთვისაც მთავარ შტაბს ეძლევა წინადადება დაარსოს თავისი წევრის ხელმძღვანელობით საკანტროლო განყოფილება და აგრეთვე სთხოვოს სახელმწიფო კონტროლიორს გააძლიეროს სახელმწიფო კონტროლი გვარდიაში.

მისალმებანი.

დეპეშები, რომლებიც სახალხო გვარდიის ყრილობის პრეზიდიუმმა გაუგზავნა სხვადასხვა პირებს და ორგანიზაციებს.

სამხედრო მინისტრს.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა გთხოვთ გადასცეთ რესპუბლიკის ჯარს ჩვენი მხურვალე სალამი. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ სამშობლოს და თავისუფლების დაცვის საქმეში მუდამ ერთად ვიქნებით და მტერს ყოველთვის შესაფერ პასუხს გავცემთ.

დამცველ-მნებელ კრებას.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა სალამს გიძღვნით თქვენ, ერის უზენაესი ნების გამომხატველს და ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გვარდია თქვენთან ერთად მტკიცედ დაიცავს დემოკრატიულ სამშობლოს და რევოლუციის მონაპოვარს.

მთავრობის თავჯდომარეს ამხ. ნ. ჟორდანიას.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა მოგესალმებათ თქვენ და თქვენი სახით რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც პირნათლად ასრულებს საქართველოს რევოლუციონური დემოკრატიის მიერ დაკისრებულ მოვალეობას: და აღგითქვამს, რომ გვარდია ყოველთვის თქვენთან იქნება დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

კარლ კაუწკის.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა სალამს გიძღვნით თქვენ, ინტერნაციონალის უხუცეს ბელადს და გთხოვს გადასცეთ ინტერნაციონალს, რომ საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც დღეს იარაღით ხელში იცავს თავის დემოკრატიულ სამშობლოს, ასეთივე თავგანწირვით გვერდში ამოუდგება მსოფლიო პროლეტარიატს დემოკრატიული გზით სოციალიზმის განხორციელების საქმეში.

მუშათა პროფესიონალურ კავშირების ცენტრს.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს მუშათა კლასს, რომელმაც წარმოშვა თავის წრიდან სახალხო გვარდია და იმედოვნებს, რომ იგი ყოველთვის შეავსებს ბრძოლაში დაკარგულ წევრების ალაგს ახალი რაზმებით და ამგვარად გააძლიერებს ბრძოლას მუშათა კლასის საუკეთესო მომავლის მოსაახლოებლად.

კარლ კაუცკის სიტყვა

წარმოთქმული საბალხე გვარდიის მე-2 ყრილობაზე 24 ოქტომბერს, 1920 წელს.

საყვარელო ამხანაგებო! დიდათ გმადლობთ იმ პატივცემისათვის, რომელიც წილათ მარგუნეთ იმით, რომ ამირჩიეთ საპატიო თავმჯდომარეთ.

თქვენ ხედავთ ჩემს გულზე ნიშანს: მე გავხდი გვარდიის წევრი. ამით მე ვამაყობ, მაგრამ წლოვანებით მე უნდა ვიყო ძველი გამოცდილი გვარდიელი, მე კი ეხლა ვარ ყველაზე უმცროსი რეკრუტი (ტაში).

ამხანაგებო! მე სასიქადულოთ მიმაჩნია ვიყო წევრი თქვენი ორგანიზაციისა; ეს იმიტომ, რომ მე ვიცი თქვენი ორგანიზაცია, სახალხო გვარდია არის ერთი იმ ქვაკუთხედთაგანი, რომელსაც ეყრდნობა მთელი საქართველოს დემოკრატია. მე ვიცი, რომ თქვენ დაგიმტკიცებიათ თქვენი თავდადება იდეალებისადმი და დემოკრატიისადმი თქვენი სიცოცხლისა და სისხლის ფასით. მაგრამ მიუხედავათ თქვენი დამსახურებისა და მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენთ, თქვენ არ ინებეთ გამორჩევა სხვა მოქალაქეთაგან, არ მიიახლოვეთ და არ მიითვისეთ პრივილეგიები. თქვენ ხართ თანასწორნი სხვა მოქალაქეებთან. ეს განსაკუთრებული თვისება დამახასიათებელია თქვენი ორგანიზაციისათვის (ტაში).

ამხანაგებო! დღევანდელი თქვენი ყრილობა განსაკუთრებულ პირობებში იკრიბება. თქვენ იცით თუ რა მძიმე და რთულია დღეს საზოგადოთ საერთაშორისო მდგომარეობა. განსაკუთრებით მძიმეა და საშიშროებით სავსეა ის თქვენთვის, საქართველოსთვის. მე ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. მე ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს დემოკრატიის პატარა ნავმა შესძლოს დიდი საშიშროების ტალღებში თავი გაიტანოს,—ამისთვის სჭიროა მესაპე მაგარი ხელით და მტკიცე გულით მართავდეს ნავს. ასეთი ხელმძღვანელი, ასეთი მესაპე თქვენ გყავთ თქვენი მთავრობის სახით, რომელსაც თქვენ ყველანი ენდობით. მაგრამ მარტო მთავრობა ვერასფერს გახდება, თუ იგი დარწმუნებული არ იქნება, რომ თქვენც მასთან ხართ, რომ მთავრობის მუშაობამ მიზანს მიაღწიოს, ამისათვის საჭიროა იცოდეს მთავრობამაც და მტერმაც, რომ საქართველოს ყავს ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელიც დამარცხებულს და შერცხვენილს უკუაგდებს თა-

ვის საზღვრებიდან მტერს, თუ ის გაბედავს და რესპუბლიკას შემოესევა (ტაში).

ამხანაგებო! თქვენ არა მხოლოდ ამისათვის იკრიბებით დღეს, რომ საერთაშორისო მდგომარეობა განიხილოთ, არამედ აგრეთვე იმისთვისაც, რომ გასინჯოთ, გამოარკვიოთ, თუ როგორ შეიძლება სამხედრო ორგანიზაციის გამოყენება სამშვიდობო და შემოქმედებითი მიზნებისათვის.

მე ვიცი, რომ თქვენ სამხედრო საქმის გარეშე ცდილობთ გააკეთოთ მშვიდობიანი საქმე, მოიხმაროთ თქვენი ორგანიზაციული ძალა წარმოებისათვის; სასოფლო-მეურნეობაში ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმე დაგიწყიათ და ის დიდ ინტერესს გამოიწვევს მთელი ქვეყნის სოციალისტთა შორის.

შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ ეს პარადოქსია: როგორ შეიძლება წარმოიდგინოთ ერთი შეხედვით, რომ სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც სიცოცხლის და სიმდიდრის განადგურებას ეწევა, რომელიც გამსჭვალულია განადგურების მისწრაფებით,—როგორ შეიძლება, რომ ეს სამხედრო ორგანიზაცია ემსახუროს შრომის და წარმოების მიზნებს. მაგრამ ეს პარადოქსია მხოლოდ პირველი შეხედვით, ნამდვილათ კი თქვენი ორგანიზაცია—სახალხო გვარდია—არ წარმოადგენს ჯარს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. თქვენ მართლაც გაქვთ სამხედრო მიზნები, როგორც ყოველთვის ჯარს; მაგრამ თქვენი სამხედრო მიზნები ეთანაბრება და ანალოგიურია იმ მიზნებისა, რომელსაც ემსახურება სოციალიზმი.

თქვენ მიზნათ დაგისახავთ არა სხვაზე თავდასხმა, სხვისი ცხოვრების განადგურება, არამედ თავდაცვა; თქვენი მიზანია თქვენ თანამემამულეთა სიცოცხლის დაცვა.

ამასთანავე თქვენ მიზნათ ისახავთ წარმოების დაცვას, რასაც ემსახურება აგრეთვე სოციალიზმიც. კიდევ სხვაგვარათაც შეიძლება კავშირი გავაბათ სოციალიზმს და არმიას შორის. მარქსი ერთ-ერთ თავის წიგნში, «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალ»-ში ამბობს, რომ ჯარი იყო პირველი ფორმა მსხვილ წარმოებისა.

ისე როგორც მსხვილ საწარმოო დაწესებულებას სჭირია დიდი ორგანიზაცია იმისათვის, რომ მისმა მოქმედებამ ნაყოფიერი შედეგები გამოიღოს, ასევეა ჯარი; თავის სამხედრო მიზნების მისაღწევათ, თავისი დანიშნულების შესასრულებლათ საჭიროებს რთულსა და კარგათ მოწყობილ ორგანიზაციას. თქვენ იცით, რომ ყველა დიდი სარდლები, როგო-

რიც იყვნენ მაგალითად ცეზარი, კრომველი და ნაპოლეონი, იყვნენ ამასთანავე ნიჭიერი და გამოცდილი ორგანიზატორები, იცოდენ არა მარტო თავისი ჯარის კარგათ მოწყობა არამედ სახელმწიფოს მოწყობაც.

კაპიტალიზმისათვისაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რთული და კარგი ორგანიზაცია; კაპიტალს ესაჭიროებიან ნიჭიერი და გამოცდილი ორგანიზატორები, რომლებსაც იგი ითხოვს წარმოებისათვის; და სწორეთ ისე, როგორც მსხვილი კაპიტალისტური წარმოება,—აგრეთვე სოციალიზმიც საჭიროებს რთულს და კარგ მოწყობილ ორგანიზაციას. მას განახორციელებენ არა თეორეტიკოსები, არამედ პრაქტიკის ხალხი.

თეორეტიკოსს შეუძლია გზა გიჩვენოს სოციალიზმისაკენ; მას შეუძლია დაგისურათოს ის პირობები, რომელშიაც სწარმოებს თქვენი ბრძოლა, რომელთაც მიპყევხართ თქვენ გამარჯვებისაკენ. სოციალიზმის განხორციელება ცხოვრებაში კი შეუძლიათ არა თეორეტიკოსებს, არამედ ორგანიზაციულათ გაწრთვნილ პრაქტიკულ მოღვაწეებს. სოციალიზმის დამყარება რომ შესაძლებელი გახდეს, ამისათვის საჭიროა, რომ პროლეტარიატს ქონდეს დიდი ორგანიზაციული გამოცდილება და უნარი. ამ გამოცდილებას პროლეტარიატი იძენს მასიურ ორგანიზაციაში, როგორიც არის სოციალისტური პარტია, პროფესიონალური კავშირები და აგრეთვე კოოპერატივები; ეს არის ფორმები პროლეტარულ მასსიური ორგანიზაციისა, რომლებიც ვითარდება პროლეტარიატის ორგანიზატორული ნიჭით და შემოქმედებით.

თქვენ კი ეხლა ქმნით კიდევ ერთ ახალ ფორმას ორგანიზაციისა, პროლეტარულ-სამხედრო ორგანიზაციას, რომელშიაც აგრეთვე იწვრთნება პროლეტარიატის ორგანიზაციული ნიჭი და იპყრობა მტკიცე პროლეტარული შემოქმედება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ახალი იდეა იქნება აგრეთვე ნაყოფიერი და დიდ ინტერესს აღძრავს სოციალისტურ წრეებში (ტაში). მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს სოციალიზმსა და არმიას შორის კავშირი,—მათ შორის ამასთანავე არსებობს საგრძნობი წინააღმდეგობაც, რაც აფერხებს ჯარის გამოყენების საქმეს სოციალიზმისათვის. უწინარეს ყოვლისა ეს წინააღმდეგობა თავს იჩენს დისციპლინის საკითხში. არც ერთ დიდ ორგანიზაციას არ შეუძლია იარსებოს უდისციპლინოთ; მაგრამ ტრადიციული სამხედრო დისციპლინა დიდათ განირჩევა სოციალისტური დისციპლინისაგან.

ძველი არმიების დისციპლინა ემყარებოდა იძულება-დაშინებაზე. ფრიდრიხ მეორე პრუსიელი ამბობდა, რომ ჯარისკაცს უფრო უნდა ეშინოდეს თავის ოფიცრის, ვიდრე მტრისაო. ასეთ დისციპლინაზე არც ერთი სოციალისტური საზოგადოება არ შეიძლება იქნეს აშენებული. სოციალისტური საზოგადოება მიისწრაფის დაეყრდნოს შრომის უმაღლეს ფორმას; ეს კი გულისხმობს ნებაყოფლობის და ხალისიან შრომას. იძულებითი შრომა ყოველთვის ცუდ შედეგს იძლევა. იძულებითი მომუშავე აკეთებს საქმეს უხალისოთ, ცდილობს იმუშაოს რაც შეიძლება ნაკლები, აფუჭებს საწარმოო მასალას. იძულებითი შრომით, შრომით ჯოხს ქვეშ, შეიძლება გაკეთებული იქნეს მხოლოდ პრიმიტიული სამუშაო. ის ცნობილი სოციალისტები, რომლებიც ცდილობდენ პრაქტიკულათ განეხორციელებიათ სოციალიზმი,—მუდამ ფიქრობდენ იმაზე, თუ როგორ მიეცათ შრომისათვის მიმზიდველი ხასიათი; განსაკუთრებით რობერტ ოუვენმა და ფურიემ ბევრი სწერეს ამ საკითხზე. მაგრამ ამის მიღწევა არც ასე ადვილი საქმეა; დიდი ხანი უნდა სანამ შრომა თავისთავად მიმზიდველი გახდება. სოციალიზმის განხორციელება ამას ვერ მოუცდის. ამიტომ ჩვენ ჯერ უნდა დავკმაყოფილდეთ სხვა პირობებით, რაც პროლეტარიატს შრომას შეაყვარებს. ეს პირობები არის: თავის მოვალეობის შეგნება, შემდეგ ღრმათ განვითარებული პატიოსნების გრძნობა და საერთო გონებრივი განვითარება. ეს პირობები არის აუცილებელი და თუ ეს პირობები აქვს შეძენილი პროლეტარიატს, მაშინ შესწევს მას ძალა ნებაყოფლობითი და ნაყოფიერი შრომისათვის, რომ ეს მოვალეობის შეგნებაა და, მე მწამს, პატიოსნების გრძნობა საკმაოთ არის განვითარებული თქვენი ორგანიზაციის წევრთა შორის. ეს მოგცემთ თქვენ საშუალებას ემსახუროთ არა მარტო სამხედრო მიზნებს, არამედ მეორე მიზანს, რომელიც თქვენ დაგისახავთ—ნაყოფიერ წარმოებით შრომას. რა გზით, როგორ უნდა განხორციელდეს ეს შრომა, —აქ მე ვერაფერს გეტყვით. ვინაიდან აქ იწყება ის ასპარეზი, სადაც თეორეთიკოსი უკან იხევს და წინ გამოდის პრაქტიკული მოღვაწეობა. აქ მე თქვენ ვერ გასწავლით.—აქ მე უნდა ვისწავლო თქვენგან. თქვენ ცდას, თქვენ მუშაობას განსაკუთრებული საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ორის მხრივ.

ორი წელიწადია მას შემდეგ რაც საერთაშორისო ომი დასრულდა, მაგრამ მშვიდობიანობა მაინც ვერ მიენიჭა ქვეყანას; შეგვიძლია ვთქვათ, რომ საომარი მდგომარეობა ისევ

არსებობს; მთელი მსოფლიო იმყოფება ფარულ საომარ მდგომარეობაში. თქვენ იცით, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც დიდგავლენიან ქვეყნებში მართვა-გამგეობა სოციალისტების ხელში იქნება, ან ყოველ შემთხვევაში, სოციალისტურ პარტიებს, პროლეტარიატს ექნება საკმაო გავლენა თავიანთ მთავრობების პოლიტიკაზე, რომ აიძულონ ისინი ანგარიში გაუწიონ პროლეტარიატის მოთხოვნილებებს; ამასთანავე შესაძლებელი იქნება ნამდვილი მშვიდობიანობის დამყარება მაშინ, როდესაც ხალხთა ლიგა გახდება რეალურ ძალათ და მიღწეული იქნება ინტერნაციონალის იდეალები. ხოლო სანამ ეს არ არის მიღწეული—სოციალისტური სახელმწიფოებიც საჭიროებენ შეიარაღებულ ძალას, ჯარს თავის დასაცავათ. მაგრამ სოციალისტური სახელმწიფოც მით განსხვავდება სხვა სახელმწიფოსაგან, რომ ის სცდილობს რაც შეიძლება ნაკლებათ დაამძიმოს ჯარით ხალხი, რაც შეიძლება მეტი ეკონომია და ნაკლები სამხედრო ხარჯები გასწიოს. თქვენ შექმენით შეიარაღებული ძალა—სახალხო გვარდია—ხოლო გვარდიაში შრომის პრინციპის შემოღებით და გვარდიის გამოყენებით საწარმოო მიზნებისათვის, თქვენ ცდილობთ ეს ეკონომია გაატაროთ პრაქტიკაში. თქვენის მაგალითის გამართლებით თქვენ დაამტკიცეთ, რომ სოციალისტურ ქვეყანას გაცილებით ნაკლებათ უჯდება ჯარის შენახვა, ვიდრე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, ვინაიდან სოციალისტურ ქვეყანას შეუძლია ჯარის არა მარტო მილიტარული მიზნებისათვის, არამედ აგრეთვე მშვიდობიან საწარმოო მიზნებისათვის გამოყენება. თუ თქვენ შესძელით მიღწევა,—ეს დიდი მაგალითი იქნება სოციალისტური ქვეყნებისათვის, რომელნიც იძულებული იქნებიან ჯარი იყოლიონ, ვიდრე სოციალიზმი საყოველთაოდ არ დამყარდება (ტაში).

მაგრამ თქვენს მუშაობას ინტერნაციონალისთვის ერთი დიდი მნიშვნელობა აქვს, და ეს სპეციალურათ აგრარული საკითხის სფეროში. თქვენ იცით, რომ ომის შემდეგ დაიწყო ხანა სოციალიზაციის. საერთაშორისო კატასტროფის შემდეგ, არსად, არც ერთ ქვეყანაში პროლეტარიატი ძველ პირობებში აღარ დარჩება და მოითხოვს, რომ ყოველი სახელმწიფო შესდგეს საწარმოო ძალთა განსაზოგადოების გზაზე. თქვენ იცით, რომ წარმოების დარგის სოციალიზაცია ევროპის სახელმწიფოებში პრაქტიკულ საკითხადაა გამხდარი, მაგრამ სოციალიზაცია ერთი შაბლონით ვერ გატარდება

ყველა ქვეყანაში და წარმოების ყველა დარგებში. არ არსებობს ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული პროგრამა ამ მიზნის განსახორციელებლათ. პირიქით, ყველა ქვეყნის წარმოების სხვადასხვა დარგში უნდა იქნას შესწავლილი პირობები და ამის მიხედვით გატარდეს სოციალიზაცია. განსაკუთრებით ძნელია სოციალისტური შემოქმედება, სოციალიზმის გატარება სასოფლო მეურნეობაში. გლეხის სოციალურათ განთავისუფლება დღევანდელ ბარბაროსულ პირობებიდან არ შეიძლება მოხდეს წვრილ მეურნეობის საშვალებით, რომელიც ტიპიური მოვლენაა გლეხობაში. მსხვილი წარმოება კი სასოფლო მეურნეობაში დიდ დაბრკოლებებს ხვდება თავის განვითარების გზაზე. ამიტომ საჭიროა შემოვიღოთ მსხვილი სასოფლო წარმოების ისეთი ფორმები, რომლებიც მიმზიდველი იქნება გლეხისათვის. ეს მეტათ რთული საკითხია.

დასავლეთ ევროპის სოციალისტები ძალიან ბევრ შრომას და დროს ანდომებენ ამას. აქამდე წარმოებულმა ცდამ თითქმის უნაყოფოთ ჩაიარა. არსებობს ორგვარი ფორმა საზოგადოებრივი წარმოებისა სოფლათ: კომუნალური და კოოპერატიული. და აი თქვენ გინდათ მოიპოვოთ ახალი ფორმა საზოგადოებრივ მსხვილ წარმოებისა სასოფლო მეურნეობაში. თუ სახალხო გვარდიის ცდამ მიზანს მიაღწია, ეს იქნება უდიდესი მაგალითი სოციალისტურ ინტერნაციონალისათვის. თუ საზოგადოებრივი მსხვილი წარმოება სასოფლო მეურნეობაში, რომლის მოწყობასაც აქ ფიქრობს ნახევრათ სამხედრო პროლეტარული ორგანიზაცია, შრომის უმაღლეს ნაყოფიერების მატარებელი აღმოჩნდა, მაშინ გლეხობა დაინახავს განსაზოგადოებრივებულ მსხვილ წარმოების უპირატესობას სასოფლო მეურნეობაში და ისარგებლებს თქვენი მაგალითით.

ამნაირათ, თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ თქვენ მუშაობას მნიშვნელობა აქვს არა მარტო თქვენი ქვეყნის ფარგლებში, არამედ მთელი ინტერნაციონალისათვის. ამ აზრით უნდა განიმსჭვალოთ თქვენ და მე მგონია, რომ ნება მაქვს არა მარტო ჩემი სახელით, არამედ მთელი ინტერნაციონალის სახელით მოგესალმოთ და გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა და სრული გამარჯვება თქვენი მიზნების მიღწევაში (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები. მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს).

«ერთობა» № 246. 29 ოქტომბერი 1920 წ.

ნოე ჟორდანიას მოხსენება

სასალხო გვარეულის მეორე ყრილობაზე.

26 ოქტომბერი 1920 წელი. «ერთობა» № 277.
(სტენოგრაფიული ანგარიში)

ამხანაგებო! პირველათ ყოველისა ბოდიშს ვიხდი, რომ თქვენ პირველ სხდომაზე ვერ მოვედი შეუძლებლობის გამო და ვერ მოგილოცეთ. ეხლა მაინც მიიღეთ ჩემი სალამი და სურვილი, რომ ეს ყრილობა ისეთივე ნაყოფიერი იყოს, როგორიც იყო თქვენი შარშანდელი ყრილობა. ეხლა მომეცით ნება მოგახსენოთ აქ რამოდენიმე სიტყვა შესახებ ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობისა, როგორც შიგნით, ისე გარეთ.

ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა შიგნით ამ ჟამად ასეთი არის. პოლიტიკურათ ვართ ეხლა მეტად გამაგრებული ხალხში და საერთოდ ჩვენ სახელმწიფო საზღვრებში. ეხლა აღარ არის ის რყევა, ის პოლიტიკური ქანაობა, რომელიც ჩვენში იყო და რომელსაც განვიცდიდით ამ ერთი-ორი წლის წინეთ. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ დღეს ქართველმა ხალხმა ჰპოვა თავისი ბუნებრივი პოლიტიკური კალაპოტი და დღეს ამ კალაპოტში თავსდება იგი, შიგნით მუშაობს და ვითარდება. შეიძლება ითქვას, რომ ერთად-ერთი ქართველი ხალხია დღეს, რომელიც განთავისუფლდა ერთი სენისაგან— ეს არის ბოლშევიზმი. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბოლშევიზმი ჩვენში დამარცხდა როგორც იდეურად, ისე მორალურად და საქართველოს დემოკრატია სრულიად განთავისუფლდა მის იდეებისაგან და გავლენისაგან. წინათ ამ მოძღვრებას ჩვენში უფრო მეტი მიმდევარი ყავდა, უფრო ძლიერიც იყო, ვიდრე დღეს. ეს აიხსნება მით, რომ წინეთ ჩვენი ხალხი ამ მოძღვრებას იცნობდა შორიდან, ასე ვთქვათ, პროპაგანდით, წერით, ლაპარაკით, მაგრამ პრაქტიკულად ის არ იცნობდა. თავისთავად ცხადია, რომ ისეთი დიდი აზრი, როგორიც არის სოციალიზმის შემოღება, კომუნისტური იდეების დამყარება—ეს დადებითი და წარმტაცი აზრია და ალბად ვინც ამას გაიგონებს, ამ იდეას გაყვება. მაგრამ როდესაც ეს პრაქტიკულად დაინახეს, დარწმუნდენ, რომ ეს ასე არ იყო პრაქტიკაში, ცხოვრებაში და მაშინ სულ სხვა წარმოდგენა მიიღეს ბოლშევიკების შესახებ. უნდა ვთქვათ, რომ ბოლშევიკების მოახლოებამ ჩვენ საზღვრებთან დაგვანახა ახლოს ბოლშევიკების მოძღვრება პრაქტიკაში. და როცა ჩვე-

ნმა ხალხმა ბოლშევიზმი დაინახა პრაქტიკაში, დაინახა მისი სიდუხჭიროე. იგი განიკურნა ამ სენისაგან. ასე რომ ჩვენი დემოკრატიის ერთობა არ ყოფილა არასდროს ისეთი ძლიერი, როგორც ამ ჟამად.

ეს ერთობა ჩვენ მოვიპოვეთ არა იმით, რომ უარვყავით ჩვენი რევოლუციონური ლოზუნგები, ან ჩვენი საკუთარი მოძღვრება, არამედ სწორეთ იმით, რომ ამ ჩვენი მოძღვრების და რევოლუციონური ლოზუნგების ნიადაგზე შეეტაკა ჩვენი ხალხი და ამაზე ააგო ჩვენი დღევანდელი რევოლუციონური ერთობა. მართალია, ჩვენ გვისაყვედურებენ ერთის მხრით ბოლშევიკები და მეორეს მხრით ფედერალისტები, რომლებიც დღეს ბოლშევიკებს ეარშიყებიან, რომ ჩვენი ერის, დემოკრატიის ერთობა იქნა აღდგენილი არა რევოლუციონური, არამედ ოპორტუნისტულ საფუძველზე. მაგრამ მე მგონია, ეს მოკლებულია ყოველივე სიმართლეს. ჩვენი იდეიური საფუძველი არის ის, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ და ვიცავთ ყველა მონაპოვარს, რომელიც მოგვცა დიდმა რევოლუციამ—ეს არის პოლიტიკური, ეკონომიური, თუ სხვა. აი ამ ნიადაგზე ვდგევართ მტკიცედ ბოლომდე და ვერც ერთმა ტალღამ—ვერც მარცხნივ და ვერც მარჯვნივ ვერ გადაგვისროლა იმ ოპორტუნიზმისაკენ, რომლებსაც ხანდახან გვიკიჟინებდენ. გარდა ამისა, ჩვენ ვატარებთ მტკიცე სოციალ-ეკონომიურ პოლიტიკას. მართალია, არიან ჩვენს წრეშიაც, ხშირად წაგვიკითხავს «სხივ»-ში, რომ ეს სისტემა არ ვარგა, მაგრამ ჩვენ დღემდე სამაგიერო სისტემა არ დაგვინახავს; აი ამ ნიადაგზე ვდგევართ ჩვენ და ვიდექით თავიდანვე, მაგრამ დღეს ჩვენთან ერთად სდგას მთელი საქართველოს დემოკრატია.

მაშასადამე, ბოლშევიზმის დამარცხება მოხდა მით, რომ ჩვენში გაბატონებულია სოციალისტური დემოკრატია. მხოლოდ სოციალდემოკრატიას შეუძლია დაამარცხოს ბოლშევიზმი. მხოლოდ მას შეუძლია, რომ მთელი ხალხი წაიყვანოს თავის გზით. ამ გვარად, იმ სენისაგან, რომელიც ჩვენი ხალხის აზროვნებას ღრღნიდა და რომელიც შეჭრილია მოწინავე ხალხის აზროვნებაშიაც, ჩვენ განვიკურნეთ და სრულიად ჯანსაღადაც გამოვედით. მაგრამ არის სხვა სენიც, რომელიც შეიძლება არა ნაკლებ უარესი იყოს, ვიდრე დღემდე გვქონდა. ჩვენი მიზანია ამ სენისაგან განვთავისუფლდეთ. ჩვენ ვქმნით სახელმწიფოს. თქვენ გამოსული ხართ იარაღით ხელში, რომ დაიცვათ სახელმწიფო; თქვენ მიდიხართ საზღვრებზე, რომ ვარეშე მტერი არ შემოვიდეს, ჩვენი საზღვრები არ გადმო-

ლახოს, ჩვენი სახელმწიფო არ დაანგრიოს. მაგრამ არის კიდევ მტერი შინაგანი, რომელიც ანგრევს ამ სახელმწიფოს და ძირს უთხრის მას; ჩვენი მიზანი და მოვალეობა არის, რომ ამ სახელმწიფოს ძირის გამომთხრელებს შევებრძოლოთ. პირველ ყოვლისა ეს ძირის მოთხრა სჩანს იმაში, რომ ჩვენს სახელმწიფოში მეტისმეტად გაძლიერდა სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი ბოროტმოქმედება. ის პასუხისმგებლობა, რომელიც ახასიათებს მაგარ სახელმწიფოს გუშაგთა და მოხელეთ, სამწუხაროდ, არ არის ჩვენს სახელმწიფოს მუშაკთა და მოხელეთა შორის, და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციების მოხელეთა შორისაც. პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვამ დაბადა ის, რომ მათ სახელმწიფოებრივი ინტერესები არ მიაჩნიათ ისეთ ინტერესად, რომელსაც უნდა ემსახურონ. თუ იშოვეს დრო და გარემოება, ამ სახელმწიფოს ინტერესებს იყენებენ პირადი ინტერესებისათვის და ის სახელმწიფო ქონება, რომელსაც ვაგროვებთ, ამის წყალობით დღითი-დღე იფლანგება. მაშასადამე, ეს ბრძოლა ამ ბოროტმოქმედებასთან არის ჩვენი დღევანდელი სასწრაფო საკითხი და სანამ ჩვენ მას არ ამოვაგდებთ ძირფესვიანად და სახელმწიფოს მუშაობას არ ჩავაყენებთ სათახადო კალაპოტში, მანამ ჩვენს სახელმწიფოს ძალა არ ექნება გამაგრებული და ფინანსები მოწყობილი. ამ სენს ჩვენ აქნამდის ვებრძოდით ძველი კანონებით, რომელნიც შემუშავებულნი იყვნენ წინად რუსეთში. თქვენ მოგეხსენებათ ჩვენ ეს კანონები არ გამოგვიცვლია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს კანონები შემუშავებულია ნორმალური დროისათვის, ისეთი მდგომარეობისათვის, როცა სახელმწიფო აგებულია, აქვს ასე თუ ისე მტკიცე ტრადიცია და მის დასაცავად საკმაო არის ეს კანონები, მაგრამ ჩვენში დღეს ასეთი ნორმალური მდგომარეობა არ არსებობს. ჩვენ ახლად ვქმნით სახელმწიფოს, ამიტომ ამ ბოროტებასთან ბრძოლა უნდა სწარმოებდეს არაჩვეულებრივი კანონებით. ამიტომ ჩვენ განზრახული გვაქვს გადათვალიერება ამ ძველი კანონმდებლობისა და შემუშავება ახლისა, რომელიც გაუწევს სასტიკ ბრძოლას ყველა იმას, ვინც მოქმედებს და მუშაობს სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ (ტაში). ის კაცი, რომელმაც მოიპარა სამი მილიონი მანეთი და ციხეში ჩავაგდეთ, გამოდის მარტო რაღაც ოცი ათასი მანეთის თავდებით. ჩვენ ხშირად ამაში ვამტყუნებთ გამომძიებლებს, მოსამართლეებს, მაგრამ ისინი ამბობენ: ასე სწერია კანონებ-

შიო, ამიტომ ვცდილობთ, რომ ეს ანომალია არ ხდებოდეს. თუ ვინმემ რამე დააშავა, ის უნდა იყოს ციხეში იქნამდე, სანამ მისი საქმე სავსებით არ იქნება გამორკვეული. დღეს არა თუ მარტო ქურდები, არამედ აშკარა ყალბი ფულის მომჭრელებიც თავისუფლად დადიან და სეირნობენ ქუჩაში. ეს მოუთმენელია ჩვენი მდგომარეობისათვის და მე მგონია, ახლო მომავალში იქნება. გამოცემული სრულიად ახალი კანონები და ჩვენ გვგონია, რომ ამ კანონებით და თქვენი დახმარებით ასეთი ხალხი საბოლოოდ ალაგმული იქნება.

არის მეორე სენი, რომელიც ჩვენ ხელს გვიშლის, რომ სახელმწიფო დავაყენოთ მუშაობის ნიადაგზე. ერთი რომ ჩვენ უკვე შევიგნეთ და ვიცით, რომ სახელმწიფოს საგარეო ინტერესები არის ამავე დროს ჩვენი ინტერესები. ამიტომ არის, რომ გვარდია თავის სურვილით გამოდის და სისხლს ღვრის ფრონტზე. მან იცის, რომ თუ სახელმწიფო მტერმა დაანგრია, ეს იქნება მათი დანგრევაც და აქ, რასაკვირველია, ინტერესები სახელმწიფოისა და მთელი ხალხისა ერთი და იგივე არის. მაგრამ არის მეორე ინტერესი—შედეგი სახელმწიფოს ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობისა. აქ ჩვენ არ გვაქვს შეგნებული, რომ თვითეული ჩვენი მოქალაქის, თვითეული გლეხის და მუშის ინტერესს შეადგენს ის, რომ სახელმწიფო იყოს ძლიერი ფინანსიურად და ეკონომიურად. თუ სახელმწიფო ძლიერია, მაშინ ძლიერია თვითეული მოქალაქის ფინანსებიც და აი სწორედ იმის შეგნება, რომ სახელმწიფოს ნივთიერი ინტერესი არის იმავე დროს კერძო პირის ინტერესი. აკლია ჩვენს ხალხს და ამით აიხსნება ის, რომ ჩვენ დღეს მეტად შერყეულ ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობაში ვართ.

ნათქვამი არის: «სულ ერთია, მგელს შეუჭამივარ თუ მგლის-ფერ ძაღლსა»-ო. სულ ერთია ბოლშევიკები დაგვანგრევენ თუ შიგნით დავინგრევით ეკონომიურად. მე მგონია იქ, ფრონტზე უფრო ადვილია სახელმწიფოს დაცვა, ვიდრე დაცვა ჩვენი სახელმწიფოსა ეკონომიურად და ფინანსიურად. მშველელი გარედან ჩვენ არავინ გვყავს. ჩვენ ვართ ერთადერთი ჩვენი თავის მშველელი. ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა მოწინავე დემოკრატიამ უნდა შეიგნოს ერთხელ და სამუდამოდ, რომ თუ სახელმწიფო წაბორძიკებული არის ფინანსების მხრივ, ეს ეხება მის ჯიბესაც, მის ნივთიერ მდგომარეობასაც. დღეს ასე თუ ისე, მგონია, რომ ეს აზრი იკაფავს გზას. ეს შესამჩნევია მას შემდეგ მაინც, როცა ჩვენი ბონების კურსი და-

ეცა და როცა ასეთი საარაკო სიძვირე გამეფდა. დღეს, მაშასადამე, უფრო აშკარად არის ის, რომ როცა სახელმწიფოს ფინანსები ეცემა დაბლა, მაშინ სიძვირე იწევს მაღლა; ეს კი ეხება მთელს ხალხს. მაშასადამე, ხალხის ინტერესს შეადგენს ის, რომ სახელმწიფოს ფინანსები, სახელმწიფოს ფული, მისი კურსი იდგეს მაღლა და არ იყოს ისე დაბლა, როგორიც არის დღეს. აი, ასეთი შეგნება რომ იქნება ჩვენს ხალხში, და სწორედ ამ შეგნების ნიადაგზე იქნება განმტკიცებული ჩვენი დემოკრატიის ერთობა, მაშინ ჩვენ მივიღებთ ბევრ რაშეს, ჩვენ მივიღებთ იმას, რომ ჩვენი სახელმწიფო არ იქნება ასეთ ფინანსიურ კრიზისში, როგორშიც არის დღეს. მივიღებთ იმას, რომ ჩვენი ხალხი გადაიხდის სახელმწიფო გადასახადს, იტყვის, რომ ეს სახელმწიფო საქმე იგივე ჩემი საქმე არის და ამიტომ თუ მე მას არ მივეცი საჭირო გადასახადი, თავისთავად ცხადია, ის ვერ იარსებებს. მისი ფინანსები დაინგრევა და ამით, რასაკვირველია, დაინგრევა ჩემი ფინანსებიც, ჩემი ოჯახური მდგომარეობაც.

ერთხელ, მახსოვს შვეიცარიის მთავრობამ დაადგინა, რომ შეერთებულ შტატებში იყოლიოს თავისი პოლიტიკური წარმომადგენელი. ამიტომ მან გამოითხოვა პარლამენტიდან 30.000 ფრანკი წლიურად. პარლამენტმა მისცა ეს, მაგრამ ხალხმა ამოიღო ხმა და საკითხი დასვეს რეფერენდუმზე. შვეიცარიის ხალხმა უარჰყო ეს დადგენილება იმიტომ, რომ 30.000 ფრანკი ძალიან ბევრი გამოდიოდა. მართალია, ეს არ იყო დიდი ფული, მაგრამ რადგან ამ ფულს შვეიცარიელები თვითონ იხდიან, ისინი არ აძლევენ ნებას დაიხარჯოს ეს ფული, რომელიც ზედმეტია. ჩვენში კი, როგორც იცით, 30.000 კი არა ოცდაათიათასი მილიარდი რომ გავიღოთ, არავინ ხმას არ ამოიღებს, რადგან ჩვენ ხალხს გონია, რომ ხალხი სხვაა და მთავრობა სხვა არისო.

ჩვენ რომ ეხლა ახალ ბონებს ვბეჭდავთ, ეს ბონები სცემს ძველი ბონების ფასს, იმ ბონებისას, რომელიც ხალხს უდევს ჯიბეში. ამიტომ საჭირო არის, რომ ახალი ბონები არ გამოიცეს. მაშასადამე, ისეთი მდგომარეობა უნდა იქნეს სახელმწიფოში, რომ ის ფული, რომელიც არყევს მთელ ჩვენ სახელმწიფო ფინანსებს, იმ ფულის ბეჭდვა უნდა იყოს მოსპობილი და თვითონ ხალხმა შეინახოს თავისი თავი, თავისი მართველობა. რასაკვირველია, დემოკრატიული სახელმწიფოს აგება უფრო ძნელია, ვიდრე არისტოკრატიულის, ან მონარქიის. დემოკრატიული სახელმწიფო ნიშნავს დემოკრა-

ტიის თვითმართველობას ესე იგი მან უნდა მიიღოს სახელმწიფოს ყველა ხარჯებიც. ეს ძნელი გასაგებია პოლიტიკურად განუვითარებელი ხალხისათვის და ვინაიდან ძნელი გასაგებია, ამიტომ ჩვენი ხალხი ფიქრობს ისე, როგორც წინათ ფიქრობდა:—ჩვენ სხვა ვართ და მთავრობა სხვა არისო და მისი საქმე ჩვენ არ გვეხებაო. ჩვენთვის საჭირო არის, რომ ჩვენი ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა იქნას გამაგრებული. საჭირო არის, რომ ჩვენმა ხალხმა პირველ ყოვლისა გამოიღოს გადასახადი. ეს არ კმარა. ჩვენ დღეს ისეთ ფინანსიურ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ ან უნდა ვიშოვოთ სესხი, ან ისევ განვაგრძოთ ფულის ბეჭდვა. მაგრამ ფულის ბეჭდვის განგრძობა ნიშნავს ფულის კურსის დაცემას და ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის არევას. სესხს არ გვაძლევენ უცხოეთში, ისე რომ ჩვენ ეს სესხი უნდა ვიშოვოთ შიგნით და ეს გვაქვს სწორეთ გახზრახული.

ჩვენში არის გამოცემული ცხრა მილიარდი ბონი, რომელიც ტრიალებს ხალხში. მას არ აქვს ერთი მეასედი და მეათასედი იმის ფასი, რაც მას უნდა ჰქონდეს. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ბონები ამოვიღოთ ხალხის ჯიბიდან და ისევ დავაბრუნოთ ხაზინაში, აქედან ხელახლა გავუშვათ. სამაგიეროთ ვინც მოგვცემს სესხს, მივცემთ პროცენტებს. ჩვენთვის, თავისთავად ცხადია, ადვილია გადახდა პროცენტებისა. და შემდეგ, როცა ჩვენ ფინანსიურად მოეღონიერდებით, სახელმწიფო გამაგრდება, რასაკვირველია, ამ ფულს თანდათან დაუბრუნებთ პატრონს. ამნაირათ, ჩვენ გვინდა შინაური სესხი მოვაწყოთ საქართველოს ტერიტორიაზე. უამისოთ არ არის ჩვენი ფინანსების ხსნა.

მესამე კითხვა ის არის, რომ ჩვენში საკმაოდ მოიპოვება პური, სიმინდი. მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენ მუშებს, ჩვენ მოსამსახურეებს პურის და სიმინდის ფქვილი აკლია ვერ მიგვიწვდია ხელსაყრელ ფასებში. მიზეზი ის არის, რომ პურის მომყვანნი მას არ ყიდიან, ხოლო ვინაიდან უცხოეთიდან მისი მიღება შეუძლებელი არის და რომ იყოს შესაძლებელი. ამას უნდა აუარებელი ფულები, ვინაიდან ჩვენი ბონების კურსი დაცემული არის, აუცილებელია ჩვენთვის, რომ ხალხმა სახელმწიფოს მისცეს შესაფერი ფასებით საჭირო ხორბლეულობა. აი, ეხლა, მაგალითად მთელს იმერეთში უკვე არის დაწყებული სიმინდის ტეხა; ჩვენ ვფიქრობთ, რომ თემების, ერობების საშვალებით ამ ხალხს გამოვართვათ ათი პროცენტი მათი სიმინდის მოსავლის ჩვენგან დაწესებულ ფასებში,

მხოლოდ დანარჩენ 90 პროცენტს გაყიდის ისე, როგორც მას უნდა. მაშასადამე, სიმინდის კომპანია იქნება დაწყებული და თუ ეს კომპანია ვერ დავასრულეთ როგორც გვსურს, ჩვენ დავრჩებით უპუროთ და უფქვილოთ. რას ნიშნავს ეს, თქვენ იცით. მაშასადამე, ხალხი რომ იყოს იმდენათ შეგნებული რომ სთქვას, რომ მისი და სახელმწიფოს ინტერესები ერთნაირი არის, ამ კითხვაზე ლაპარაკი აქ საჭირო არ იქნება, და ეს თავისთავათ მოგვარდება, მაგრამ ეს დღეს, სამწუხაროთ, ასე არ არის. პირიქით, გლეხი ხელს უჭერს, ერთგვარი წინააღმდეგი არის ქალაქისა; ის ანგრევს ბოლშევიკურ წყობილებას რუსეთში იმით, რომ გლეხი არ სცნობს ქალაქს. აქ რამდენი ხანია ვცხოვრობთ შინაური პურით გლეხებზე ძალადაუტანებლათ, მაგრამ თუ განვითარდა ის აზრი, რომ სოფელი ქალაქის მოწინააღმდეგე უნდა იყოსო, ჩავარდებით ისეთ მდგომარეობაში, როგორიც არის დღეს რუსეთში, ესე იგი, იძულებული ვიქნებით ან შიმშილით მოვკვდეთ, ან ეგზეკუციას მივმართოთ. მაგრამ თუ იქნება სათანადო იდეური ზომები მიღებული, თუ ამხანაგები დატრიალდებიან ხალხში და გაცნობენ მას, რომ სახელმწიფოსი და მისი ინტერესები ერთნაირი არის, არავითარი განსაკუთრებული ზომები არ დაგვჭირდება, რომ ხალხმა საჭირო სანოვაგე მოგვცეს. გარდა ამისა გვჭირია ერთი რამ, ის, რომ ჩვენში შრომის ნაყოფიერება იყოს ასე თუ ისე გადიდებული. ჩვენ შემოვიღეთ რვა საათის სამუშაო დღე, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ რვა საათი აუცილებლათ იმუშაოს იმ კაცმა, რომელსაც ეს აქვს დავალებული. სამწუხაროთ, ეს ასე არ არის. მეტს შემთხვევაში არა 8 საათს, არამედ 5 საათს მუშაობს და ეს, უეჭველათ, დამოკიდებულია მუშებზე. მოწინავე მუშები ამ საქმეში უნდა ჩაებენ. უნდა იფიქრონ, რომ ის, რასაც ის აკეთებს, არის საქმე სახელმწიფოსი და იმავე დროს თავისი, და როდესაც ეს ერთი და იგივეობა ორივე ინტერესის, შეგნებული იქნება, თავისთავათ ცხადია, არ იქნება ის, რაც დღეს არის ხალხში. ერთმა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ იყო მთელი ჯგუფი მუშებისა, რომელთაც მთელი წლის განმავლობაში ყოველ დღე დღეში 2—3 საათი არ უმუშავიათ. ეს ანგრევს სახელმწიფოს ისე როგორც სხვა სენი, რომელზედაც მე მიგითითეთ. და ეს სენი ძირიანათ უნდა ამოგდებულ იყოს.

მაშასადამე, თუ ჩვენი შინაური პოლიტიკური მდგომარეობა არის მაგარი, თუ ჩვენ დემოკრატიას აქვს უკვე პოლიტიკური ერთობა, სამაგიეროთ ასეთივე ეკონომიური და ფი-

ნანსიური არა გვაქვს. ასეთი სიმაგრის შექმნა კი დამოკიდებული არის ჩვენს ხალხზე. და მე ვფიქრობ, რომ გვარდია ამ საქმეში შეასრულებს დიდ როლს. გვარდია, რომელსაც მთელ რესპუბლიკაში აქვს მოწყობილი დიდი ორგანიზაციები, მისი მოვალეობა უნდა იყოს არა მარტო თოფი და იარაღი, არამედ უნდა იყოს ის, რომ იდეური გავლენა მოახდინოს ხალხზე და ეს აზრი და იდეები შეაგნებინოს.

ეხლა მე გადავალ საგარეო მდგომარეობაზე.

ჩვენი საგარეო მდგომარეობა, რასაკვირველია, ჩვენს ხელში არ არის. თუ ჩვენი ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა დამოკიდებულია ჩვენზე, და მისი გამოსწორება შეგვიძლია ჩვენი შრომით და მოქმედებით,—სამაგიეროთ საგარეო მდგომარეობა დამოკიდებულია საერთაშორისო სახელმწიფოთა ურთიერთ განწყობილებაზე, და აქ შეგვიძლია მხოლოდ ერთი რამ: ეს განწყობილება ნათლათ წარმოვიდგინოთ, სწორეთ შევიგნოთ და საკუთარი პოზიცია მოვნახოთ. ასე თუ ისე ჩვენი საგარეო პოლიტიკის აზრი იმაშია, რომ ამ საერთო დახლართულ დროში ნათელი წარმოდგენა არ დავკარგოთ, და არ გადავიხაროთ იქ, სადაც ჩვენი ადგილი არ არის, არ დავკარგოთ ჩვენი შესაფერი პოზიცია. აი ამიტომ მე მინდა გაგაცნოთ ის დახლართული ურთიერთობა, რომელიც დღეს არსებობს, და ასეთ ურთიერთობაში ჩვენი სახელმწიფო პოზიცია.

თქვენ იცით, რომ დღეს ერთიმეორეს უპირდაპირდება ორი ქვეყანა: ერთია ევროპა და მეორე—ბოლშევიკური რუსეთი და რამოდენიმე ზოგი აზიური ხალხები და სახელმწიფოები. აქ ბოლშევიკური რუსეთი გამოდის როგორც მეთაური აზიის აჯანყებისა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპისა. რას ნიშნავს ეს?

უნდა ვთქვათ, რომ ბოლშევიზმი უპირველეს ყოვლისა არის წმინდა რუსული რევოლუციონური მოძრაობა, და მიმართულება შიგნით აფერადებული, სწორეთ რუსული «ობშჩინური» ერთნაირი მუჟიკური იდეებით. იმდენათ, რამდენათ ეს რევოლუციონური მოძრაობა არის, უეჭველათ პროგრესიულიცაა. ამით იგინი წაგავენ იმ რევოლუციონერთ, რომელნიც არსებობდენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, ესე იგი იაკობინელები. უეჭველია, სიდამპლე და სისაძაგლე იმდენი იყო რუსეთში დაგროვილი, იმდენათ ღრმა იყო ძველი რეჟიმის ძირი, რომ მის აღმოსაფხვრელათ საჭირო იყო ისეთი დიდი მოძრაობა, როგორიც არის ბოლშევი-

კური. ეს მოძრაობა არის ნამდვილი ღვიძლი შვილი რუსეთის მდგომარეობისა. რამდენად მან ძველი ნაშთი საკუსებით ამოაგდო და მისი დაბრუნება აღარ შეიძლება, იმდენად ბოლშევიკური მოძრაობა პროგრესიულია (ხმები: მართალია!). მაგრამ ამ ბოლშევიზმმა თავისივე როლი, ეს დიადი საქმე, შეასუსტა იმით, რომ მას მიეკერა ისეთი იდეები, რომელიც განუხორციელებელია რუსეთის ფარგლებში. ესაა ეგრეთ წოდებული კომუნისტური იდეები. ამიტომ ბოლშევიზმში არის ორი სული—ერთი დადებითი, პროგრესიული, მეორე—სრულიათ უარყოფითი, უტოპიური, რომლის განხორციელება შეუძლებელია. და განუხორციელებელი იდეა-უტოპია ასუსტებს იმას, რაც მასში არის დადებითი.

ეხლა, რა მოძრაობა არის აზიის მოძრაობა? უეჭველია, აზიის მოძრაობა არის რევოლუციონური, ესე იგი, მას უნდა თავისი თავის განთავისუფლება იმპერიალისტების ბატონობისაგან,—შექმნან თავისი საკუთარი სახელმწიფო და თავისი თავის ბატონ-პატრონი გახდენ. მაგრამ ამ მოძრაობაშიც არის ორი მხარე—იმდენად, რამდენათაც ეს მოძრაობა ღებულობს ნაციონალურ ფორმას—ეს არის მოძრაობა რევოლუციონური და პროგრესიული,—მაგრამ იმდენად, რამდენათაც ეს მოძრაობა ღებულობს რელიგიურ-პანისლამისტურ ფორმას,—იგია რეაქციონური, ვინაიდან არ არის ერის ბატონობა, არამედ ერთი რელიგია უპირდაპირდება მეორე რელიგიას. და უნდა ვსთქვა, რომ დღევანდელ აზიურ მოძრაობაში, რომელსაც ბოლშევიკები მეთაურობენ, სჭარბობს რელიგიურ-პანისლამისტური მოძრაობა და ამიტომაც ეს რეაქციონური მოძრაობა არის. მაჰმადიანებმა იციან რევოლუციონურ-ნაციონალური მოძრაობა. მაგალითად, არაბებმა დაარსეს თავისი სახელმწიფო; სპარსეთში იყო და დღესაც არის რევოლუციონური მოძრაობა, მაგრამ არც სპარსელებს და არც არაბებს არ ქონიათ პანისლამისტური შემეცნება, ესე იგი, მაჰმადიანობა ერთი სახელმწიფო უნდა იყოს და დაუპირდაპირდეს ქრისტიანობას. ასეთი აზრი არ არის სპარსეთში; ეს აზრი უმთავრესათ თურქების, ოსმალეთის აზრია, და რამდენათაც ეს აზრი ვითარდება და ასეთი სამოსელით და დროშით გამოდის, უეჭველია, ასეთი მოძრაობა უარყოფითი არის.

ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ ქემალ-ფაშას პარლამენტში ორი მიმდინარეობა იყო—ერთი ნაციონალური, მეორე პანისლამისტური. საბოლოოთ ნაციონალური დამარცხდა და ნაციო-

ნალისტი დეპუტატები გარეკეს და დარჩენ პანისლამისტები. და ამისთანა პანისლამისტებთან კავშირი და საქმე აქვთ ბოლშევიკებს. ყოველ შემთხვევაში, როცა დღეს ევროპას ეპირდაპირება ერთის მხრით ბოლშევიზმი რუსეთის სახით და მეორე მხრით—აზია, მას იგი ეპირდაპირება იდეიურათ, ესე იგი, ეპირდაპირება იმ მხრით, რომ უარსყოფენ ევროპის მატერიალურ, პოლიტიკურ კულტურას, ისინი უარყოფენ დემოკრატიზმს და სცდილობენ რომ შეიარაღებული ძალით თავისუფლების ერთნაირი მოპოვებით დაამყარონ თავისი იდეები თავის სახელმწიფოში. ეს უარისყოფა დემოკრატიზმისა და დავისუფლებისა არის ნიშანდობლივი თვისება ბოლშევიზმისა. ამაში ერთნაირათ ეთანხმებიან ერთმანეთს ბოლშევიკური რუსეთის და აღმოსავლეთის აზიურ სახელმწიფოების დესპოტიური ტრადიციები.

ბოლშევიზმი—ეს ძველი დესპოტიზმის ახალ ფორმებში აღდგენაა. და ამით იგი ნათლათ ხატავს აზიის სულისკვეთებას. აი, შერეული მოძრაობის, ასე ვთქვათ, ალაგმვას, ასეთი შეერთება უარყოფითი და დადებითი ფაქტებით აშინებს ევროპას და იგი იღებს ყოველ ზომას, რომ ამ მოძრაობას ისეთი ბარიერი გაუკეთოს, რომ აქედან იქით არ გადავიდეს. რატომ აშინებს?

დღეს არის ორი ევროპა: ერთი გამარჯვებული და მეორე—დამარცხებული. დამარცხებული ევროპა სცდილობს, რასაკვირველია, რომ ეს დამარცხება შეამსუბუქოს. დამარცხებული გერმანია და ავსტრია სცდილობენ გამოვიდენ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც არიან. პირიქით, გამარჯვებული ინგლისი და საფრანგეთი და სხვები ცდილობენ შეინარჩუნონ თავისი მდგომარეობა და ცხოვრებაში გაატარონ ვერსალის ხელშეკრულება. ამიტომ ეს დამარცხებული სახელმწიფოები რუსეთის და აზიის მოძრაობას უყურებენ როგორც ერთნაირ თავის სასარგებლო მოძრაობას; მაგ. თუ ინდოეთში ინგლისი დამარცხდება და ეგვიპტეში აღარ იქნება, ანდა საფრანგეთი აზიაში დამარცხდება, ამას უყურებენ, როგორც თავისთვის ხელსაყრელ მოვლენას და ამიტომ ამ მოძრაობას ისე მტრულათ არ უცქერიან, როგორც ინგლისი და საფრანგეთი. ერთმა დიდმა სარდალმა, რეაქციონერმა, ვილჰელმის მარჯვენა ხელმა—ლიუდენდორფმა სთქვა, რომ ჩვენი ხსნა ბოლშევიზმშიაო, ესე იგი, ბოლშევიკები დაარღვევენ ანტანტას და თუ ის დაირღვა, მაშინ დაირღვევა ვერსალის ზავიც. მეორე გარემოებაც არის, ის, რომ დღეს მთელ ევრო-

პაში გამწვავებულია კლასთა ბრძოლა. აი ამ კლასების ბრძოლაში ერთის მხრით სდგანან იმპერიალისტური მთავრობები და მეორეს მხრით—პროლეტარიატი. აი, მათ შორის იჭრება ბოლშევიზმი—ეს ერთნაირი რევოლუციონური მოძრაობა და ამიტომ ამ კლასთა ბრძოლას ამწვავებს. ახალი ფორმები შეაქვს. ეს გარემოება კიდევ უფრო აშინებს ამ იმპერიალისტურ მთავრობებს და სახელმწიფოებს; მაგრამ გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ ამ ბოლშევიზმის შეჭრა ევროპაში, მუშათა მოძრაობაში, არამც თუ აძლიერებს ამ მოძრაობას, არამედ ასუსტებს. იქ, სადაც ის შეიჭრა, მოძრაობა ყველგან დასუსტდა. იქ, სადაც ბოლშევიკები არ არიან ან მცირე არიან, მეტად დიდია მუშათა მოძრაობა და აქვს ფართო ხასიათი. მაგალითად, ინგლისში არასოდეს არ ყოფილა მუშათა პარტია ისე ძლიერი როგორც დღეს, რადგან იქ ბოლშევიზმი მეტათ სუსტია. პირიქით, საფრანგეთში ბოლშევიკური მიმართულება არის ძლიერი, მაგრამ ამასთანავე მუშათა პარტია ისეთი სუსტი როგორც არასოდეს. ეს იმიტომ არის, რომ მუშათა მოძრაობა არის იმდენათ ძლიერი, რამდენათაც მას მხარს უჭერს არა-პროლეტარული ელემენტებიც. საქმე იმაშია, რომ არ შეიძლება მოხდეს რევოლუცია ისე, თუ მომხრე არ არის ხალხის უმრავლესობა. იქ კი, საფრანგეთში და გერმანიაში, ის ხალხი, რომელიც მუშებს უჭერდა მხარს, ბოლშევიზმის შიშით მოემხრო ბურჟუაზიულ პარტიებს; ასე რომ ბოლშევიკურმა პროპაგანდამ ისეთი როლი ითამაშა, რომ აუარებელი ხალხი ჩამოაშორა სოციალიზმს და გადარეკა მოწინააღმდეგე ბანაკში. ეს კიდევ არაფერია. საქმე იმაშია, რომ თვით სოციალისტებშიაც ამ იდეამ შეიტანა დიდი განხეთქილება. შეუძლებელია ბოლშევიკური ინტერნაციონალი იმიტომ, რომ ინტერნაციონალი არის სხვადასხვა ერთა მუშების ერთ უღელში გაბმა. ბოლშევიზმი კი წმინდა ნაციონალური წმინდა რუსული მოვლენაა. ამიტომ შეუძლებელია, რომ მან შეაერთოს ფართო მასსა ევროპისა და სხვა სახელმწიფოებისა. ამიტომ ეს ბოლშევიკური მეთოდი შედის ევროპაში არა როგორც ფართო სოციალისტური მოძრაობა, არამედ სექტა და ეს ყოფს სოციალისტებს ჯგუფებად. აი მაგალითად, გერმანიაში სპარტაკელებთა შორის არის ჯგუფი და მათ შორის ბრძოლაა. ეხლა დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია სამათ გაიყო. გერმანიაში, სადაც მუშათა მოძრაობა მეტათ ძლიერი და მძლავრი იყო, ეხლა ის წვრილმანდება. აშკარაა, როცა სოციალისტური პარტიები ჯგუფებად

იყოფიან. სუსტდება ენერგია პროლეტარიატისა. აი ასეთია საერთდ მდგომარეობა პოლიტიკური და სოციალური შინაარსით—რუსეთში, აზიაში, ევროპაში.

ეხლა სად უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ასეთ მდგომარეობაში? ჩვენი პოზიცია ერთადერთია—ჩვენ ვიცავთ ნეიტრალობას. რატომ?

ხანდახან ნეიტრალობა ნიშნავს უხასიათობას, გაუბედაობას, ლაჩრობას. არის ეს? ეს არ არის აქ. აქ ნეიტრალობა გამოწვეული არის წმინდა პრინციპიალური მოსაზრებით. ჩვენ არც ერთ მოპირდაპირეს არ ვუჭერთ მხარს იმიტომ, რომ არც ერთი მათგანი არ არის ჩვენი იდეების მატარებელი. ერთათ-ერთ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია სთქვას, რომ ის არც იმპერიალისტურია და არც ბოლშევიკური, არის ჩვენი სახელმწიფო. ჩვენ არც იმპერიალისტები და არც ბოლშევიკები არა ვართ; ჩვენ სოციალისტები ვართ და თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით ვერც იმპერიალისტების და ვერც კომუნისტების ბანაკში.

აი ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვიცავთ საკუთარ პოლიტიკას, ნეიტრალურ მდგომარეობას. ეს ორი წელიწადი, თუ მეტი, ჩვენ ამ ნიადაგზე ვდგევართ მტკიცეთ. ჩვენ ყოველივე მხრიდან გვეპატიჟებოდენ, ხან ბოლშევიკები და ხან იმპერიალისტები, მაგრამ ჩვენი პოზიციიდან დღემდე არ გამოვედით და არც გამოვალთ. იმიტომ რომ არცერთი სახელმწიფოს მთავრობა არა გავს ჩვენი სახელმწიფოს მთავრობას. ჩვენ შორის პრინციპიალური განსხვავება არის და ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მათ ვერ მივეკედლებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სახელმწიფოებთან არ გვქონდეს ზოგიერთი საერთო ინტერესები, რომ ყველა ძაფები ჩვენ და მათ შორის გადაჭრილია. 'რა ინტერესებია ეს? პირველი არის ის, რომ ჩვენ ვდგევართ თავისუფლების და დემოკრატიზმის ნიადაგზე და მაშასადამე ჩვენ ამით ვუკავშირდებით დასავლეთ ევროპას. მეორე მხრით ჩვენ ვდგევართ იმ ნიადაგზე, რომ სოციალისტური რევოლუციის დაწყება არ შეიძლება არც საქართველოდან, არც რუსეთიდან. ეს მოწინავე სახელმწიფოებმა—ინგლისმა ან საფრანგეთმა—უნდა დაიწყონ. სანამ ეს არ მოხდარა, ჩვენში უნდა იყოს განვითარებული ევროპის ფორმის საწარმოო ძალები და ამიტომ ვუღებთ კარებს ევროპის კაპიტალს და ამ მხრითაც საერთო ინტერესებიც გვაქვს დასავლეთთან. თავისთავად ცხადია; რომ რუსეთში სოციალისტური მენშევიკური მთავრობა იყოს, ჩვენ მა-

შინ ნეიტრალურ პოზიციაზე არ ვიდგებოდით და ვიტყოდით, რომ მხარს ვუჭერთ მას. მაგრამ ეს ასე არ არის; იქ, რუსეთში არის ორი ძალა: ერთი ბოლშევიკებისა და მეორე—რეაქციონერებისა. მესამე ძალა არ არის და ჩვენ ამ ძალებს შორის ვართ. და ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთში რეაქციის, ვრანგელის გამარჯვება არის რეაქციის გამარჯვება არა მარტო ბოლშევიკებზე, არამედ ჩვენზედაც. ვრანგელი მოსკოვში ნიშნავს—ვრანგელი თბილისში. ეს უნდა იცოდეს ჩვენმა ამხანაგებმა, უნდა იცოდეს ყველამ და ამ პოზიციას არ უნდა გადავცდეთ. სამწუხაროთ, ჩვენში ასეთები ბევრი არიან. შეიძლება ისინი არ იყვენ ჩვენში, მაგრამ სხვა პარტიიდან არიან, რომელნიც ვრანგელს ეარშიყებიან და ფიქრობენ, რომ აქედან რაიმე კაპიტალი შეიძინონ.

გვარდიამ, განსაკუთრებით ფრონტზე, უნდა მიაქციოს ამას განსაკუთრებული ყურადღება და არავითარ, ასე ვთქვათ, ვრანგელურ მიმართულებას ადგილი არ უნდა ქონდეს (ჯუღელი: ამ მხრივ ჩვენ დასტრახული ვართ!). მაშასადამე, გამარჯვება ვრანგელისა არის იმავე დროს ჩვენი დამარცხება. მაგრამ შეუძლია მას გამარჯვება? შეიძლება ჩვენ უტოპისტები ვართ, შეიძლება ისეთ რამეს ვაკეთებთ, რომ ხვალ ის უნდა დაიქცეს. თუ კი შეიძლება ვრანგელის გამარჯვება რუსეთში, მაშინ თავისთავათ ცხადია, რომ ჩვენი საქმე დაღუპულ ია. მაგრამ მას ეს არ შეუძლია იმიტომ, რომ იმ ბრძოლაში, რომელიც დღეს სწარმოებს რუსეთში, იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კლასები, ეს კლასიური ბრძოლაა. მაშასადამე, მოსკოვის მთავრობას უნდა დაუპირდაპირდეს რომელიმე კლასი, ისეთი მაგარი, რომ ამ მთავრობის ჩამოგდება შესძლოს. ვინ არის ეხლა ასეთი კლასი? არ არსებობს. ძველი ფეოდალური კლასები ისე არიან დარღვეული, რომ არავითარ კლასს არ წარმოადგენენ. მას მამული და ძალა არა აქვს და მხოლოდ თითო-ოროლა პირი შეიძლება იყოს მათი იდეოლოგი. მაგრამ როგორც სოციალური ძალა ის არ არსებობს და მაშასადამე, ამ კლასს არ შეუძლია მისცეს ვრანგელს ის ძალა, რომელიც მისთვის არის საჭირო. ძველი ბურჟუაზიაც დღეს რუსეთში, სავსებით დანგრეულია. მას დაემართა ისეთივე სამქე, რაც დაემართა ფეოდალურ კლასს. ამათ, რასაკვირველია, არ შეუძლიათ ვრანგელის გარშემო მოიკრიბონ თავი იმიტომ, რომ ის, რასაც ჰქვია «რუსეთის ბურჟუაზია», ის ცხოვრობს სხვადასხვა უცხო ქვეყნებში, და არ წარმოადგენს ერთ მთლიან, ეკონომიურ ძალას. იმათგან არიან, ასე

ვსთქვათ, მოღვაწეები; ისინი, რასაკვირველია, არიან ვრანგელის გარშემო, მაგრამ ისინი ვერ გასწევენ თავის კლასის როლს. მაშასადამე, ვრანგელის გარშემო თავს იყრის ძველი, დამარცხებული კლასის მოღვაწენი, თითო-ოროლა ცნობილი პირები, მაგრამ მის გარშემო თავს არ იყრის არცერთი კლასი ისეთი ძლიერი, რომ მან შესძლოს ისეთი საქმის გაკეთება, როგორიც არის დამარცხება მოსკოვისა. აქ შეიძლება ერთადერთ კლასზე დაყრდნობა, რომელიც უეჭველათ წარმოადგენს ძალას. ეს არის გლეხობა. და თუ გლეხი მიემხრო ვრანგელს, მაშინ თავისთავათ ცხადია, რომ ადვილათ შეიძლება ვრანგელის გამარჯვება. მაგრამ, მე ვამბობ, რომ ეს არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ ვინაიდან ვრანგელის გარშემო მთელი მისი ამალა, მთელი მისი ძალა არის შემდგარი ძველი დამსახურებული კლასების ხალხისაგან, ძველი თავად-აზნაურობისაგან, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგებიან გლეხების ინტერესებს. თავისთავათ ცხადია, ვრანგელს არ შეუძლია მოათავსოს, შეათანხმოს ამ დამარცხებული კლასის და გამარჯვებული გლეხობის ინტერესები. ამიტომ ორში ერთი უნდა მოხდეს: ან უნდა იყოს გლეხის გენერალი-დამცველი, ან უნდა იყოს ის, რაც არის დღეს. მას არ შეუძლია გლეხების გენერალი იყვეს, იმიტომ რომ, გლეხები ადგანან უეჭველათ რევოლუციონურ გზას, მაშინ როდესაც ამაზე არ დგას და არც შეიძლება იდგეს არც ვრანგელი, არც მისი ამალა და მთავრობა. მართალია, ჩვენ ვიცით ისტორიაში მაგალითი, როდესაც გლეხებს ყავდათ თავისი გენერალი და ამ გენერალს ინპერატორის ტიტულიც მიანიჭეს. ეს იყო ნაპოლეონი, მაგრამ ნაპოლეონი იყო შვილი რევოლუციისა, ის არ იყო შვილი რეაქციისა. მას არავითარი კავშირი არ ჰქონია ძველ დამარცხებულ კლასთან. იმან შექმნა ახალი არისტოკრატიული წოდება, მაგრამ ისინი იყვნენ ახალი ხალხი, ისინი იყვნენ იგივე გლეხები და მეშჩანები, მხოლოდ მათ ჩინი მისცა მან, ზოგს დაარქვა მარშალი და ზოგს მარკიზი. თავისთავათ ცხადია, არავითარი მსგავსება არ შეიძლება ნაპოლეონისა ვრანგელთან. აი ეს, რასაკვირველია, არ ესმით ევროპის ზოგ სახელმწიფო მოღვაწეთ. შეიძლება ესმით ასეთი მდგომარეობა, მაგრამ მაინც ძველ ტრადიციულ, ანტიბოლშევიკურ პოლიტიკას ვერ ივიწყებენ. ეს რომ ასე ესმოდეს ინგლისს, ის მილიონ სტერლინგებს არ გადაყრიდა უნაყოფოთ.

ამ საკითხზე ჩვენი აზრი სრულიათ ნათელი არის. ჩვენ ვართ, მაშასადამე, წინააღმდეგი რუსეთის ბლოკადისა, ვართ

წინააღმდეგი ამ შინაგანი სამოქალაქო ომისა და ვართ მომხრე იმისა, რომ რუსეთი ჩადგეს განვითარების ნორმალურ კალაპოტში და მაშინ შეიქმნება ბოლშევიკების შინაგანი ევოლუცია და ბოლშევიზმი მაშინ მიიღებს თანდათან იმ სახეს რაც უნდა აუცილებლათ მიიღოს, თუ სურს იარსებოს. რუსეთმა ამ რევოლუციის საშვალებით უნდა აკეთოს ის, რასაც ვაკეთებთ ჩვენ. თუ არ უნდა არსებობა, მაშინ თავის თავათ ცხადია, მათ შერჩებათ ის მეთოდები, რაც არის ეხლა. როცა იქ არ იქნება ომი, როცა მიეცემა საშვალება რუსეთს თავისუფლათ ევაპროს ევროპაში, მაშინ ბოლშევიზმის უკანასკნელი ზარი დარეკავს და მაშინ შეიძლება სოციალისტურ-დემოკრატიულ პოლიტიკის განმტკიცება. მაშასადამე, ასეთი არის ჩვენი პოზიცია ამ საკითხში.

ამნაირათ, ჩვენი საგარეო მდგომარეობის წარმოდგენა და ამ ჭაობში ერთი-მეორის ინტერესების შეხლა-შემოხლის დროს პოზიციის ნახვა, ამავე დროს არის ჩვენი სწორი პოლიტიკის წარმოება და ამაში არის ჩვენი ხსნა. თუ ჩვენ ამდენხანს გავძელით, ეს არა მარტო იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდა მახვილი ხმალი, არამედ იმისთვისაც, რომ ჩვენ გვქონდა სწორი პოლიტიკა. როცა ჩვენ საგარეო მდგომარეობას ვერ გავიგებთ სწორათ და ჩვენ ამ შეხლა-შემოხლაში დავიჭერთ ისეთ ადგილს, რომელიც არ უნდა დავიჭიროთ, როგორც ეს ემართება ერთ ჩვენ მეზობელ სახელმწიფოს, მაშინ თავისთავათ ცხადია, ჩვენ ჩავარდებით უარეს მდგომარეობაში, ვინემ ის არის. ამიტომ ჩვენი განვითარების უზრუნველსაყოფათ საჭირო არის, რომ მთელი ჩვენი გვარდია, მთელი ჩვენი პარტია, სოციალდემოკრატიული და აგრეთვე ის ჯგუფები, ვინც ამ პარტიას მისდევენ, უეჭველათ იდგენ ერთ გარკვეულ საგარეო და საშინაო პოზიციაზე. ის საგარეო პოზიცია, რომელიც ჩვენ გვაქვს, ეს ჩვენ უნდა გვქონდეს არა მარტო თავში, არამედ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. ეს საშინაო ტკივილები, რომელიც ჩვენ გვაქვს დღეს, ეს ტკივილები უნდა განვკურნოთ ჩვენი საშვალებით და ჩვენივე იარაღებით. არავინ დღეს ჩვენ არ გვიშლის, ყველა სახელმწიფოს, აქვს თავისი სატკივარი, თავისი დავიდარაბა, არავის არ სცალია ჩვენთვის; მარტო ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენს საგარეო და შინაურ პოზიციაზე ფხიზლათ დამდგარი. ჩვენი ბედი არის ჩვენს ხელში და ამ საქმეში პირველი ადგილი უკავია ჩვენს სახელოვან სახალხო გვარდიას (მხურვალე ტაში და ოვაციები და ვაშას ძახილი).

ჩემი დამატება.

როგორც ანგარიშებიდან მკითხველი დაინახავდა, საქართველოს სახალხო გვარდიის მეორე ყრილობაზე ცხარე კამათი გამოიწვია სამხედრო ჯილდოს დაწესების საკითხმა. ამ საკითხის შესახებ მომხსენებელი იყო ზაქარია გურული; თვით მომხსენებელი იმ აზრისა იყო, რომ სამხედრო ჯილდოს მიცემა უნდა არსებობდესო. ვ. ჯუღელი ამის წინააღმდეგი იყო. მიღებულ წესისამებრ, სამმა მომხრემ ილაპარაკა და სამმა მოწინააღმდეგემ. მომხრე ორატორები იყვნენ: ალ. დგებუაძე, ვალოდია გოგუაძე და სანდრო მენაღარაშვილი. მოწინააღმდეგეთ გამოვიდენ: ვალიკო ჯუღელი, გიორგი ფოფხაძე და ტრიფონ ლაბაძე (იმერეთის მესამე ათასეულის უფროსი). ამ კამათის დასასრულს მოხდა კენჭის ყრა. ჯილდოს მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს მხოლოდ თერთმეტი ხმის უმეტესობით.

მეორე დღეს ჩვენ სამი კაცი: ალექსანდრე დგებუაძე, ბიქტორ კაპანაძე და მე ვეახელით ნოე ყორდანიას, რომელსაც ვებაასეთ ყრილობის მიმდინარეობის შესახებ. სხვათა შორის ალექსანდრე დგებუაძემ უთხრა ნოე ყორდანიას:

— დავმარცხდით გუშინ, ბატონო ნოე!

— რაზედო,—იკითხა ნოე ყორდანიამ.

— აი, ჯილდოს საკითხში, ვალიკო ჯუღელმა თერთმეტი ხმით გვაჯობა!

ნოე ყორდანიამ ბევრი იცინა, მერმე ხელი დაადო მხარზე ალ. დგებუაძეს და უთხრა:

— ჩემო ალექსანდრე! ინგლისი რომ პაგონიან გენერალს გამომიგზავნის, მეც პაგონიანი გენერალი უნდა დავასვედრო. აქ მოვიდეს ვ. ჯუღელი და ნახავს სამხედრო კომისიაშიო.

ჩვენ კმაყოფილი წამოვედით და ალექსანდრე დგებუაძე გზაში სულ ამას იძახდა:

— აბა, რა ეგონათ ვალიკო ჯუღელს და გიორგი ფოფხაძესო!

ორი წლის წინეთ.

ვალიკო ჯუღელის წიგნიდან.

«მძიმე ჯვარი»

30 დეკემბერი 4918 წელი. ეკატერინოდელი.

ნაშუადამევის 2 საათი.

გუშინ მთელი დღე გაძლიერებულ დაზვერვაში გავატარეთ. ეხლა მივდივარ ბოლნისხაჩისაკენ. იქ უთუოდ თავს იყრის მოწინააღმდეგეთა საგრძნობი ძალები და ისინი ჩვენ უნდა გავანადგუროთ. ჩვენ გვაქვს რვა ზარბაზანი, სამოცდასამი ტყვიისმფრქვეველი, გვყავს ათასამდე მეომარი. მთელი ჩვენი ენერგიით და ძლიერებით გადავალთ შეტევაზე! დრო არ ითმენს!

გუშინ ბედნიერი დღე იყო: ჩვენმა რეგულიარულმა ჯარის და სახალხო გვარდიის ნაწილებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგე შულავერთან. აიღეს შულავერი, ჩაიგდეს ხელთ 4 ზარბაზანი, 15 ტყვიისმფრქვეველი და სხვა მრავალი დავლა. ამ ცნობამ გაგვამხნევა და ფრთები შეგვასხა ყველას. მე მუდამ მღელვარებას განვიცდიდი შულავერის რაიონის გამო. ეხლა ჩვენი ხელები გახსნილია და გამარჯვებაც უზრუნველყოფილია.

30 დეკემბერი 1918 წ. ბოლნისი-საჩინის მწვერვალებზე.

შუადღე.

გათენებამდე ჩვენ ვუახლოვდებოდით მოწინააღმდეგეს. დილის 7 საათზე გაჩაღდა ცეცხლი. მოწინააღმდეგეს კარგი მაღლობები უჭირავს და ის ზარბაზნებიდან და ტყვიისმფრქვეველებიდან გვიშენს. ჩვენ ვაწარმოებთ შეტევას ფართო ფრონტით, მოწინააღმდეგის ფრუების შემოვლის განზრახვით. მარჯვენა ფრთაზე შეტევას აწარმოებენ სამტრედიელები, კახელები და ფედერალისტები,—ცენტრში კადრის და თბილისის სარეზერვო ბათალიონი, მარცხნივ უვლის ცხენოსანთა დივიზიონი გურულებით. ეხლა სწარმოებს საარტილერიო დუელი. მოწინააღმდეგის არტილერია მოხერხებულათ გვიშენს და ერთი ჩვენი ბატარეია ყუჩდება. მან უნდა შეიცვალოს პოზიცია.

დღე დიდებულია. სამეთვალყურეო ადგილებიდან თვალწინ იშლება ჩინებული სანახაობა. ბინოკლში შეიძლება დაი-

ნახო ბოლნისის დამცველები. ისინი დაფუსფუსებენ. სჩანს ნერვიულობენ.

მე საშინლად მომშივდა და დავიღალე. უნდა იყო ფრონტის ყველა უბნებში და ფეხები ძლივს მემორჩილებიან.

ზარბაზნები გრიალებს. ყუმბარები ყოველ მხრივ სკდება. მე საშინლათ ძილი მერევა.

31 დეკემბერი 1918 წ. ბოლნის-საჩინზე.

დილის 4 საათი.

ჯერ კიდევ ბნელა. ეს ცივი ღამე მთელმა ჩვენმა რაზმმა გაატარა პოზიციებზე—ცის ქვეშ დათოთქმის გამდნარ თოვლზე. გუშინ მთელი დღე ბრძოლა არ შემწყდარა, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით გამაგრებული ბოლნისის აღება. დღეს აუცილებლათ უნდა ავიღოთ ის! დროებით ზავის თანახმად, დღეს, ღამის 12 საათზე. უნდა შეწყდეს სამხედრო მოქმედება. ამრიგათ—ჩვენ გვრჩება ძალიან მცირე დრო და უამრავი საქმეები! უნდა მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ენერგია, უნდა გავაცხოველოთ მთელი ჩვენი გმირული სული და სიმამაცე. ჩვენმა ჯარმა უკვე აიღო დამიო და სადახლო. ეხლა რიგი ჩვენზეა. და ჩვენ უნდა მივართვათ ჩვენს ხალხს მშვენიერი საახალწლო საჩუქარი!

ვეცდებით!..

ღამით ჩვენთან მოვიდა ცაგურიას ცხენოსან-სამთო ბატარეია და ილიკო ჩაჩიბაიას პატარა გუნდი. ეს კარგია.

31 დეკემბერი 1918 წ. ბოლნის-საჩინზე.

დღის 11 საათი.

მედგარ შეტევას ვიწყებთ ბოლნისზე. ჩვენ გავაჩაღეთ ხშირი ცეცხლი თორმეტი ზარბაზნიდან, ხმაურობენ ათეული ტყვიისმფრქვეველები და ამ ცეცხლით დაცული გადავიდა შეტევაზე ჩვენი სახელოვანი ქვეითა ლაშქარი. ალექსანდრე დგებუაძე მიდის სამტრედიელებთან და კახელებთან, ჩვენი მამაცი იაკობ ხარაში თბილისელებთან. ეხლა წყდება ბედი ბრძოლის, ჩვენი ბედი!

იქნება გამარჯვება!

31 დეკემბერი 1918 წ. ბოლნისთან.

დღის 1 საათი.

ჩვენი შეტევა იყო ბრწყინვალე! მოწინააღმდეგე შეიძრა და უკვე გარბის; ამაოდ ცდილობს რომ გამაგრდეს უკანასკნელ მაღლობზე. ეხლა ცაგურია მოსწრებულათ ესერის ამ მაღლობებს. ჩემი ილიკო თავისი გუნდით ბოლნის-ხაჩინზე უკვე დაეშვა. მე მივწერე მას—გადასულიყო შეტევაზე. იგი მამაცია.

სახალხო გვარდიამ გაამართლა თავისი თავი. მან ბრწყინვალედ დაიჭირა რთული და მძიმე გამოცდა. მე მოხარული ვარ, კვაყოფილი, ვითომდა თითქმის ბედნიერიც, მხიარული დასასრულია ძველი წლის. რა იქნება შემდეგ?

რამოდენიმე საათის შემდეგ ვიქნებით ბოლნისში. ეს აშკარაა. ყველა ნაწილები ჩინებულათ იჭერენ თავს და ყოველგვარ ქების მაღლა დგანან.

ეხლა ჩვენები კვლავ გადავიდენ შეტევაზე «ვაშა»-ს ძახილით. მამაცნი არიან!

1 იანვარი 1919 წ. ეკატერინოფელდი.

დილა.

ახალი წელია. ნათელი, ბრწყინვალე და მხიარული დღესასწაული. როგორი ჩინებული დღეა და როგორი დიდი, გადამწყვეტი გამარჯვება!

გვარდიას გუშინ სახელოვნად ეჭირა თავი. ასეთი მამაცური და თავგამოდებითი შეტევა ჯერ ჩვენ არა გექონია. «ვაშა»-ს ძახილით, მტკიცედ დარწმუნებულნი გამარჯვებაში შეხმატკბილებულად გადავიდენ ჩვენები შეტევაზე ორჯერ უფრო უძლიერესი მტრის წინააღმდეგ, რომელსაც ეკავა ძლიერი პოზიციები—და თავზარდაცემული გააქციეს ის! მართალია, მტერი ხანგრძლივ, შეუპოვრად და კარგად გვიწევდა წინააღმდეგობას, ოამოდენიმეჯერ შეეცადა გადმოსულიყო კონტრ-შეტევაზე. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ის უნდა სასირცხოდ გაქცეულიყო! და ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩვენი არტილერისტები და ტყვიისმფრქვეველების მსროლელნი იდეალურად მუშაობდენ. ყუმბარები სკდებოდა მოწინააღმდეგის

თხრილებში, ტყვიისმფრქვეველები კი თავის ცეცხლიან რკალში იტაცებენ მას. და გამარჯვება სრული აღმოჩნდა! ბოლნის ხაჩინში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტყვეები, ტყვიისმფრქვეველები, სამხედრო საწყობები, «ობოზი» და ყოველგვარი სხვა სიკეთე. იმათი შტაბიც ადრე და ვაქკაცურად გაქცეულა!

ბოლნის-ხაჩინიც იყო დიდი და ძალიან მდიდარი სოფელი. განსაკუთრებით მრავალია აქ კარგი, ძველი ღვინო და ეს საშიშია.

ჩვენ გავიმარჯვეთ! კარგია, როდესაც გამარჯვებული ხარ; გამარჯვებული სულგრძელი უნდა იყო და უნდა შეუმსუბუქო გასაჭირი დამარცხებულთ. მაგრამ ეს ისე ძნელია, თითქმის შეუძლებელი!

ეს აღემატება ადამიანის ძალას! ვინაიდან მეომარში სძინავს ადამიანობას და იღვიძებს მხეცი.

დღეს ბოლო მოეღო ამ უბედურ ომს. და თუმცა სამწუხაროა, რომ დროებითი ზავი უდროუდროს ამოტივტივდა. ვინაიდან გამარჯვებამ საგრძნობლად გადმოიხარა ჩვენკენ, მაგრამ შეიძლება ეს საუკეთესოც იყოს. ვინაიდან არაფერი არ არის ომზე უსასიზღრესი, მასზე უბოროტესი და ძლევამოსილ ომებსაც მოაქვთ უბედურება! ამიტომ ყოველგვარი ომი უნდა აღმოფხვრა, მოკლა.

საზღვრების საკითხი გადაიჭრება არა აქ და არა ამ გზით. მაგრამ ჩვენ იძულებული ვიყავით აგვეღო მახვილი! და გულნატკენნი, მაგრამ გამარჯვებაში მტკიცედ დარწმუნებულნი, ამოვიღეთ ის ქარქაშიდან! და დავამტკიცეთ, რომ ჩვენს მახვილს შეუძლია გამარჯვება. პირადათ ჩემთვის ეს საბუთი განსაკუთრებული ღირებულებისაა. ლორის საკითხი კი დგება მესამე რიგში. და ვაწარმოებთ ჩვენ ამ ომს არა სომხეთის ხალხის წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ სომხეთის იმ მებრძოლ ნაციონალიზმისა, რომელიც თავისი მოშხამული იარაღით მიმართულია სომხეთის ხალხის წინააღმდეგ. და თუ ჩვენი გამარჯვებით ოდნავ მაინც შევარყიეთ ეს ბოროტი ნაციონალიზმი—ჩვენ გავხდებით სომხეთის ხალხის საუკეთესო მეგობარი.

1 იანვარი 1919 წ. წმ. ნიკოლოზის სოფ. ქვემიციხე.

შუადღე.

დღეს დროებითი ზავის პირველი დღეა. ამინდი საუცხოოა და მოსჩანს შორეული ლამაზი ჰორიზონტი. ჩვენ გავასწორეთ ჩვენი ხაზი. ეხლა ცხენოსნები უახლოვდებიან ტაბახმელას. ჩვენ ვხედავთ მის მწყობრ მოძრაობას. ვხედავთ მთების ლამაზ პეიზაჟებს. ციხე ძალიან ძველია, ძლიერი და ორიგინალური. ის თითქმის მიუვალია. აქედან სომხებისგან უკანასკნელად თავს იცავდა გენერალი ციციანოვი ერთ-ერთ გადარჩენილ და სასწაულით გამოტანილ ზარბაზნით.

სროლა შეწყდა. ყოველმხრივ სიჩუმეა. გუშინკი ამ დროზე მე ოდნავ ვღელავდი. და როდესაც ჩვენ შეტევაზე გადავედით, ცეცხლისებურმა იჭვმა გასწვა ჩემი გონება:

«ერთიც ვნახოთ და შეშინდენ ჩვენები?!.» მაგრამ ამ აზრმა მხოლოდ გაიელვა და გაქრა უკვალოდ!..

დღეს შულავერიდან მოვიდა ჩვენთან ათასამდე სახალხო გვარდიელი. ეხლა კი ისინი აღარ გვჭირდებიან. უფრო ადრე რომ მოსულიყვნენ! ჩვენი გამარჯვება იქნებოდა უფრო სრული. გამანადგურებელი მტრისათვის.

ქვეში ქართული სოფელია.

1 იანვარი 1919 წ. სოფ. ტაბასმელა.

საღამოს 5 საათი.

ჩვენი ცხენოსანთა დივიზია ტაბახმელაში სდგას. მოწინააღმდეგე არსაით სჩანს ცხადია. ის სავსებით დაშლილა და მოუხედავად გარბის! დამარცხებულთა პსიქოლოგია მუდამ შესაბრალისია...

ეხლა ჩვენ გავიმარჯვეთ...

ტაბახმელა ქართულ-სომხური სოფელია. ყველა მცხოვრებლები იქვე დარჩენილან. მე სიამოვნებით ვხედავ, რომ აქ ქართველები და სომხები კეთილმეზობლურ განწყობილებაში არიან.

ჟურნ. «სახალხო გვარდიელი» № 2.

1 იანვარი, 1921 წელი.

სახალხო გვარდიის დღესასწაული

12 დეკემბერს 1920 წელს.

საქართველოში სახალხო გვარდიის დღესასწაული ხალხმა დიდი ზეიმით გადაიხადა. არცერთი კუთხე და შორეული სოფლები არ დარჩენილან, რომ მონაწილეობა არ მიეღოთ. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს მოუვიდა აუარებელი მილოცვები, რომელიც მოთავსებული იქნება თანდათანობით.

(ჩვენ აქ ვათავსებთ ზოგიერთ მილოცვას):

ფ რ ო ნ ტ ი დ ა ნ.

გვარდიის დაარსების სამი წლის თავზე დღესასწაული ნათლად ამტკიცებს, როგორ იზრდება რესპუბლიკის საიმედო ძალა—სახალხო გვარდია. მთავარი შტაბის ხელმძღვანელობით ის არა ერთჯერ კიდევ დაამტკიცებს, თუ როგორ ასრულებენ საუკეთესო მოქალაქენი თავიანთ მოვალეობას თავის ხალხის წინაშე. გულწრფელად გისურვებთ მომავალშიაც ისეთსავე წარმატებას, როგორიც იყო წარსულში.

ჯიჯიხია.

გ ა ლ ი.

სამურზაყანოს მაზრის სახალხო გვარდიის ყრილობა, შემდგარი ამა წლის 12 დეკემბერს საქართველოს სახალხო გვარდიის დღის აღსანიშნავათ, მოგესალმებათ თქვენ, მთავარ ხელმძღვანელ ამხანაგებს, გისურვებთ მედგარ და ნაყოფიერ მუშაობას საერთაშორისო დემოკრატიისათვის. ყრილობას სწამს, რომ საქართველოს დემოკრატია გაიმარჯვებს.

სამურზაყანოს მაზრის გვარდია, როგორც ნაწილი საქართველოს სახალხო გვარდიისა, ფიცსა სდებს თქვენს წინაშე, წმინდათ და პირნათლად შეასრულოს წმინდა მოვალეობა და დაიცვას ჩვენი ქვეყანა მტრისაგან.

მიიღეთ ძმური და მხურვალე სალამი.

ს ა მ ხ რ ე თ ი ს ფ რ ო ნ ტ ი დ ა ნ.

სახელოვან სახალხო გვარდიის აღმოცენების სამი წლის თავს თქვენთან ერთად ზეიმობს და დღესასწაულობს მესამე ქვეითი ბრიგადა მთელი შემადგენლობით; გისურვებთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოთ ბედნიერებას და მტერზე გამარჯვებას. ვიმედოვნებთ, რომ როგორც დღემდე, ისე შემდეგ ჩვენი სახელოვანი გვარდია განაგრძობს მტერთან მამაცურათ ბრძოლას და საშუალებას არ მისცემს ჩვენს მოსისხლე მტერს ბინძური ხელი წაუპოტინოს ჩვენს კოპწია სამშობლოს.

იცოცხლოს ჩვენმა საქართველომ.

გაუმარჯოს მის დამცველ ხალხის გულიდან ამონახეთქ სახალხო გვარდიას!

გაუმარჯოს მის ბელადებს!

გაუმარჯოს მის წინამძღოლთ?

მზათა ვართ თქვენთან ერთად მსხვერპლად შევწიროთ ჩვენი სიცოცხლე თავისუფალ საქართველოს!

გენერალი ნელეკიძე.

ბ ა თ უ მ ი.

ცხენოსანთა დივიზიის ოფიცერთა საზოგადოება ულოცავს საქართველოს რესპუბლიკის გმირულ, სახალხო გვარდიას მის დღესასწაულს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახელოვანი გვარდია, როგორც ყოველთვის, მტკიცეთ იდგება ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადარაჯოზე მის დასაცველათ. ჩუენ ყველანი ფიცსა ვდებთ ჩვენი ძმების წინაშე, რომ გაჭირვების ქამს არ დავიშუროთ ჩვენი სიცოცხლე და გვარდიასთან ერთად დავიცვათ საქართველოს უფლებას.

ქართულ-მუსულმანურ დივიზიის

პოლკოვნიკი მაჩაბელი.

ხ ა შ უ რ ი.

ხაშურის მშრომელთა და გვარდიელთა მიტინგი ითვალისწინებს რა საერთო მდგომარეობას რესპუბლიკისას, აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვრებზე კვლავ საჭიროა ფარხმალ ასხმული სახალხო გვარდია და ჯარის მტკიცე და შეურყეველი ყოფნა. სახალხო გვარდიას, რომელმაც თორმეტი დეკემბრის მოქმედებით საძირკველი ჩაუყარა საქართველოს თავისუფლების განმტკიცებას, ღრმა რწმენით და შეგნებით მაღლა ექნება აღმართული თავისუფლების დროშა და არ დასტოვებს იმ გზას, რომელსაც მიყავს საქართველოს რესპუბლიკა დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ. დღევანდელ დღეს, დღეს საერთო ზეიმისას, მივესალმებით რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს და ფიცსა ვდებთ რომ ჩვენ, როგორც ყოველთვის, დღესაც მზათა ვართ ჩვენი თავი შევწიროთ თავისუფლების სამსხვერპლოს.

მიტინგის თავმჯდომარე ბაბლიძე.

ფ რ ო ნ ტ ი დ ა ნ.

გილოცავთ სახალხო გვარდიის დიდებულ დღეს. რთულ და საპასუხისმგებლო წამს ჩვენი სამშობლო იმედით შეყურებს თავის დამცველ გმირებს—სახალხო გვარდიას და ჯარს. სახალხო გვარდიის სადღესასწაულო საზეიმო დღეს ფიცსა ვდებთ უკანასკნელ წვეთამდე დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკა და თავისუფლება; ჩვენ გავიმარჯვებთ.

გაუმარჯოს სახალხო გვარდიას და ჯარს.

გენერალი ოდიშელიძე.
გენერალი იოსებ გედევანიშვილი.
გენერალი სუმბათაშვილი.

---

12 დეკემბერი

«ისევ შენ და ისევ შენ»
ჩემო გვარდიელო...
სადღეგრძელოს შენსას სმენ
კახო და მთიელო.
იმერეთი ვარდს გიძღვნის,
გურია კრიმანჭულს...
კარგი საქმე მიგიძღვის:
იცავ ერს დატანჯულს.
სამეგრელო ხელს გიწვდის,
ფშავ-ხევსური ხმალსა...
ძმობის დროშა წინ გიძღვის,
წმინდათ იხდი ვალსა.
სალამი.შენ, სალამი,
ვაშა და დიდება!
შენის მარჯვნით სამშობლო
სცოცხლობს და მკვიდრდება!

დ. მეჩიტნგურე.

ეურ. «სახალხო გვარდიელი» № 2.

1 იანვარი 1921 წელი.

ᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

საქართველოს რესპუბლიკის უკანასკნელი დღენი... თუ რა სულიერი განწყობილება მქონდა ამ დღეებში ამის აღწერა არ ძალმიძს. საჭირო იქნებოდა დიდი მხატვარის ყალამი და დიდი მწერალის კალამი იმ საერთო სულიერი და ზნეობრივი ვითარების, რომელიც დაიბადა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის უკანასკნელ ჟამში. დაიღუპა საქართველოს თავისუფლება...

ჩვენმა რაზმმა ბრძანება მიიღო:

— დასტოვეთ ოფეთის მთა, ჩადით ლანჩხუთში და იარაღი ჩააბარეთ წითელი არმიის რწმუნებულს გენერალ მაზნიაშვილსო!

ჩვენმა ეშელონმა მიატოვა ოფეთი, ჩამოვიდა ლანჩხუთში და იქ განიარაღდა. 16 მარტს 1921 წელს ლანჩხუთის გიმნაზიის ეზოში ჩვენ კრება გავმართეთ. კრების მიზანი უნდა ყოფილიყო: გაგვერკვია შექმნილი მდგომარეობა და დაგვესახა საჭირო ნაბიჯებიც. კრებაზე მოხსენებას აკეთებდა ალექსანდრე დგებუაძე და ეხებოდა იმ საკითხს, თუ რა უფლებები ექნებოდა წითელ არმიას საქართველოში. მოხსენება დასრულებულიც არ იყო, რომ მოვიდა ჩვენთან პ. ცინცაძის მიერ გამოგზავნილი კაცი და გაგვიცხადა:

— კრებების მოწყობა აკრძალულია, დაუყონებლივ დაიშალეთ-ო!

ჩვენ აღარ შეგვეძლო კრების გაგრძელება და დავიშალეთ.

მეორე დღეს, 17 მარტს 1921 წ. ბათუმიდან მოგვემატენ გვარდიელები, ჯარის ნაწილები. მოიყარა თავი 6 ათასზე მეტმა კაცმა. გადაწყვეტილი იქნა თბილისისაკენ გავმგზავრებულიყავით. ემზადება დიდი ეშელონი, მაგრამ ვინაიდან ჯერ მატარებელთა მიმოსვლა აღდგენილი არაა, რადგან რკინიგზის ხიდები დანგრეული იყო, ვიცდით კიდევ ლანჩხუთში. 24 მარტს ლანჩხუთში გამოიარა შალვა ელიავამ და გადასცა გენ. მაზნიაშვილს, რომ სამტრედიიდან შეიძლება პირდაპირი მატარებელით ჩასვლა თბილისამდეო. ჩვენც გავემზადეთ წასასვლელად. ჩვენი ეშალონი ითვლიდა ექვსი ათას კაცს და მას პატრონობდა ალ. დგებუაძე, ვლადიმერ ჯიბლაძე. ლანჩხუთში დარჩენ ზაქარია გურული, ბენედიქტე დგებუაძე და გიორგი ხიმშიაშვილი, რომელნიც უცდიდენ დათიკო საღირაშვილის ამოსვლას ბათუმიდან.

25 მარტს 1921 წ. ჩვენ წავედით მატარებელით; საჯევახოს ხიდი გაფუჭებული იყო და ჩვენ გადავედით მდინარეზე ბორანით; ფეხით გავეშურეთ სამტრედიისაკენ. სამტრედიის წინ ჩვენ გადაგვიდგა გზაზე წითელი არმიის ნაწილი, რომელმაც მოისურვა ჩვენი გაჩხრეკა:

— ბათუმი გაძარცვეთ, და ნაძარცვი აქ უნდა ჩაგვაბაროთო!

ალ. დგებუაძე და ვლ. ჯიბლაძე წავიდენ ვანო სტურუასთან მოსალაპარაკებლად, რომელთანაც შემდეგი შეთანხმება მოახდინეს: ვისაც ორწყვილ საცვალზე მეტი ქონდა, ან ზედმეტი ფეხსაცმელი, ან 250.000 მანეთზე მეტი, მათ ეს ზედმეტი იქვე უნდა დაეტოვებინათ.

— ამხანაგებო, ამდენი არც ერთს გვარდიელს არ ექნებაო!

ჩხრეკას გადავურჩით და განვაგრძეთ გზა. მივედით სოფ. სვირში. მე წავედი ფეხით სოფელ საზანოსაკენ და ჩემთან ერთად წამოვიდა იაკობ კამთელაძე; ბიქტორ კაპანაძე, დომენტი კუტალაძე, პიმენ რამიშვილი თბილისს წავიდენ.

მივედი სოფელ ბიღაში. ნაცნობებმა რომ მნახეს, სიცილი დამაყარეს:

— კაცო, რა მოგდის? ჩვენ რაც გაგატანეთ, ისიც დაგიკარგავს! აგერ ხალხი გაკეთდა: ბათუმიდან ვინც ჩამოვიდა, ყველამ მოიტანა როგორც ფული, ისე ტანისამოსიო!

— მე ბათუმში არა ვყოფილვარ-მეთქი.

— რომ ყოფილიყავი, მაინც ეგრევე მოხვიდოდიო!..

დავრჩი სოფელში სამუშაოდ. ცოტა ხნის შემდეგ, 4 აპრილს 1921 წ., სოფელ ქვაციხეში პირველად ვიწვევ მალულ კრებას, გვრიტოულის მინდვრის თავზე, კოკოზოურზე. ამ კრებას დაესწრო 18 კაცი.

7 აპრილს ჭიათურიდან მივიღე წერილი: კოოპერატივის საზოგადო კრება არის და ჩამოდი დასასწრებადო. მე დაუყონებლივ წავედი და დანარჩენ ამხანაგებთან ერთად დავესწარი კოოპერატივის საზოგადო კრებას. არცერთს ჩვენგანს არ ულაპარაკნია,—ამის ნებას ვინ მოგვცემდა!

იმ დღესვე საღამოს დამიჭირეს და ამიყვანეს კომისარიატში. კომისრად დანიშნული ყოფილიყო დომენტი ბრეგვაძე და მწერლად ალექსანდრე ჯაფარიძე. აქ მე მომთხოვეს იარაღის ჩაბარება და როდესაც განვუცხადე, რომ არავითარი იარაღი არა მაქვს-მეთქი, ხელწერილი დამადებინეს, რომ რაიმე იარაღი არ აღმომაჩნდებოდა. ის იყო გამოვდიოდი გარეთ,

რომ ამ დროს კანცელარიაში შემოვიდა ერთი მაღალი ტანის კაცი. ვიცანი: ნადიაკვნარი ოსი, ვლადიმერ ჯიაევი. ვუთხარი გამარჯობა. მან თვალებზე ხელი აიფარა და აყვირდა:

— სად უშვებთ ამ პატარა ვალიკოს? ეს ეხლავე დახვრიტეთ! შენ არ იყავი, ღობეზე რო შედექი და ოსეთი უნდა ერთათ გადავსწვავო, შე ეშმაკო, შენი დედა... არ გაუშვათ, ეხლავე ესროლეთ... ესენი არ აწამებდენ ჩვენ ამხანაგ ოსებს?!..

კარები გაიღო და შემოვიდა მიხაკო აბდუშელიშვილი თავის ძმისწულ გოგიტასთან ერთად. გოგიტა აბდუშელიშვილი ჩვენ დროს იყო ჭიათურის რაიონის მილიციის უფროსი. ოსი ჯიაევი მიუბრუნდა ახლა მას და შეჰყვირა:

— აი, ოსეთის მტერი გოგიტა!..

მაგრამ მიხაკო აბდუშელიშვილმა აღარ დააცალა ოსს ყვირილი და უთხრა:

— ბატონო ლადო, როგორ გეკადრებათ, ჩვენ ხომ ნათლიები ვართ!..

— ეხლა ხარ ნათლია?! როცა ჩვენი ლურჯა კვიცები წაგვართვით, მაშინ რატომ არ თქვი ნათლიაო...

მე ვისარგებლე ამ ჩხუბით, გამოვძვერი კარებში და მივაშურე ისევ სოფელ ბიღას, სადაც ყანის მუშაობას შევუდექი. მაგრამ ჩემი სასოფლო მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ახლოვდებოდა პირველი მაისი, ხელისუფლებამ წინასწარი ზომები მიიღო, რომ ამ დღეს მის წინააღმდეგ გამოსვლები არ მოწყობილიყო... 30 აპრილს, შაბათს ყანაში ვიყავი. ვმუშაობდი რომ თავს დამადგა მილიცია და გამიცხადა: დაჭერილი ხარო! მომიყვანეს შინ. მილიციის უფროსმა ოლიფანტე ვარდოსანიძემ ნება მომცა «წასასვლელად» მოვმზადებულიყავი. გამოვიცვალე საცვლები, ჩავაწყვე ხვირჯინში ჯადები, საცვლები, გადავიდევი მხარზე ნაბადი, გამოვემშვიდობე ყველას და ქვეითად გავყევი 12 ცხენოსან მილიციონერს. გადავედით სოფელ ქვაციხეში; აქ შაბათობით ბაზრობა იციან და ცოტახანს გამაჩერეს; მოულოდნელად აქ შემხვდა თბილისიდან დაბრუნებული ბიქტორ კაპანაძე. დაჭერილი რომ მნახა, ძალიან გაკვირდა.

— რაშია საქმე? მე წუხელ მოვედი თბილისიდან, იქ არავითარი ჭერა არ არისო! ხვალ გადმოვალ ჭიათურაში და გავიგებ შენს ამბავსო!

მე აქ ცხენი მომიყვანეს, ასე რომ ყველა ცხენებით ვიყავით. ჩავედით ჭიათურაში. აქ მიმიყვანეს ალექსანდრე ვაშაძესთან (სიკოვიჩი), ჩამწერეს წიგნში და გამიყვანეს მეორე

ოთახში. ოთახში შესვლისას გაკვირვებული და გახარებული დავრჩი. აქ იყვნენ დაჭერილი ჩვენი ამხანაგები: გიორგი ანთელაძე, ზაქარია გურული, გრიგოლ ფხალაძე, ს. სიხარულიძე, მ. ჯაჯნიძე, ი. ხარატიშვილი, ბ. მელიქოვი, აბესალომ გაფრინდაშვილი, შ. გოდაბრელიძე, მ. ჯანიშვილი, ა. ფირცხალაშვილი, ტ. აბაშიძე, ტყემალაძე.

პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელიც უნდა დაეჭირათ თურმე, მაგრამ ის საავადმყოფოში იწვა (მეორე ჭერის დროს კი დაიმალა).

ყველა გაკვირვებული იყო, თუ ბოლშევიკებმა რატომ დაიწყეს ასეთი მასსიური ჭერა.

მეორე დღეს ორნაირად უქმე იყო: აღდგომა და პირველი მაისი.

ჭიათურელ ბოლშევიკებს ზესტაფონიდან გამოეძახათ სასულე ორკესტრისათვის, რომელიც დილით ჩამოვიდა ჭიათურაში. მორეკეს ხალხი კომისარიატის წინ, სადაც ჩვენ ვიყავით ჩამწყვდეული. უკრავს მუსიკა. ჩვენ გავაღეთ ფანჯრები და გადავხედეთ ხალხს. მრავალი ნაცნობი გვესალმება ჩვენ და ჩვენც სამაგიეროდ სალამს ვუძღვნით. მუსიკოსები ჩადგენ წინ და წავიდენ ბაზრისაკენ; დიდი ნაწილი მოსული ხალხისა გაყვა მათ; ხოლო ერთი ნაწილი იქვე დარჩა. ჩვენ გვესმოდა:

— რა გვინდა ისეთ მიტინგზე, სადაც გიორგი ანთელიძე და ზაქარია გურული არ იქნებიანო!

მიტინგი მართლაც მშვენ გამოდგა. აღდგომის გამო ბევრი ხალხი ვერ მოიყვანეს, ხელი შეეშალათ.

მოგვიტანეს სადილი. ამ დროს გრიგოლ ფხალაძის სანახავად მოვიდა მისი ცოლის ძმა გიორგი გაფრინდაშვილი (რომელიც შემდეგ გადასახლებაში გარდაიცვალა). იგი ქუთაისიდან დილით ჩამოსულიყო და გრიგოლს უამბო შემდეგი ამბავი:

გუშინ, ესე იგი, 30 აპრილს ქუთაისში ვითომ ესროლეს ყუმბარა საშა გეგეჭკორსო! ამიტომ არის მასსიური ჭერაო!

მაგრამ ეს მომიზეზება იყო, რადგან ჭერა უკვე 29 აპრილს დაიწყეს დაბებში და ქალაქებში, ხოლო სოფლად 30-ს დილით. მე ხომ 30 აპრილს დილით დამიჭირეს ყანაში!

სამშაბათს, სამ მაისს 1921 წ. კომენდანტმა გაზოგვიძახა და გვითხრა:

— 5 კაცს ქუთაისში ვადაგაგზავნით; ესენი არიან: ზ. გურული, გ. ფხალაძე, მ. ჯაჯანიძე, ი. ხარატიშვილი, ვ. ჩუბინიძე.

მე პროტესტი განვაცხადე:

— ვერ წავალ. ორი დღით ადრე მაინც უნდა გეთქვათ, მომზადება მინდათ-თქვა.

სრულიად მოულოდნელად ჩემმა პროტესტმა მართლაც გასჭრა და ორი დღით კიდევ დამტოვეს. ნაშუადღევს ს. სიხარულიძე ავად გახდა. მოვიყვანეთ ექიმი კ. კამპანიონი (გაქართველებული ფრანგი); მან გასინჯა ავადმყოფი და სთხოვა კომენდანტს გაენთავისუფლებინა იგი. ს. სიხარულიძეს მისცეს თავისუფლება. შემდეგ მას წერილი მიუწერია გ. ვაშაძესათვის, რომლითაც იგი ჩვენს განთავისუფლებას სთხოვდა. ჩვენ ეს წერილი და გ. ვაშაძის პასუხიც ხელში ჩაგვივარდა და სხვა საბუთებთან ერთად ერთ მანდილოსანს ქონდა მიბარებული.

ნაშუადღევს, ზაქარია გურული და მე სასეირნოდ არ გაგვიყვანეს. რატომ დაგვსაჯეს, ამის მიზეზი ვერ გავიგეთ; ხოლო საღამოს ერთმა მილიციონერმა, სისო სისვიძემ გრიგოლ ფხალაძეს უთხრა:

— ზ. გურულს და ვ. ჩუბინიძეს უპირებენ აქ დახვრეტას, მაგრამ მე მათ გადავარჩენ... ღამის 12 საათზე მე ვიქნები ყარაულში და გაიპარონო.

გრიგოლმა ეს ამბავი მთელ კრებულს გააცნო. ჩვენ ეჭვი გამოვთქვით, რომ აქ რაღაც ეშმაკობაა და საჭიროა სიფრთხილე. ამიტომ მოვახერხეთ და მოვაყვანინეთ ერთი ჩვენი ძველი გამოცდილი ამხანაგი თ. ჯ. მან ღამით დაზვერა კომისარიატის უკან ეზო; აქ იგი წააწყდა ჩასაფრებულ მილიციონერებს; იგი დაიჭირეს, მაგრამ მოიგონა სიმთვრალე და გაუშვეს. ამგვარად გავიგეთ, რომ ბოლშევიკები ჩვენ გვიმზადებდენ მახეს: თუ ჩვენ გავიქცეოდით, ჩასაფრებული მილიციონერები სროლას აგვიტეხდენ და იქვე ჩაგვხოცავდენ. გადავრჩით ხიფათს!

4 მაისს, საათის ორზე, მოვიდა ჩემთან მილიციონერი ლატია ვაშაძე და წამიყვანა ალექსანდრე ვაშაძესთან (საჩინოსი). იგი იყო რევკომის თავმჯდომარე. მის კანცელარიაში დამხვდენ ვაგონის მტვირთველი ძველი ბოლშევიკი მუშები: ნიკო ცირიკიძე, ნიკა აჭარაძე, კოტე გაბარაშვილი (ოსი), ამბაკო კუპატაძე (ნახევრად გაბოლშევიკებული). მათ მკითხეს:

— როგორ გეპყრობიან ციხეში?

მე გამეცინა:

— ჩვენ ხომ ეხლა ციხეში ვზივართ, ეს ციხეთ არ ითქმის.

ყველაფერი გვაქვს, არაფერი არ გვაკლია; ხომ კარგია და კარგი! იმ ბინაზე ცხოვრობდა ბოქაული პ. მესხი...

— ხო, ვალიკო,—დაიწყო ა. ვაშაძემ,—აი, ეს დელეგაცია მოვიდა ჩემთან და მთხოვს, რომ შენ აქ დაგტოვონ და არ გადაგაგზავნონ ქუთაისის ციხეში...

— მე არაფერი არ ვიცი, თუ ვინ დაავალა ამ დელეგაციას ჩემს მაგივრად თქვენთან მოსვლა.

წამოდგა ზეზე აჭარაძე და მეუბნება:

— ვალიკო, რა გინდა, კაცო, ამ ძველ გახრწნილ ბურჟუებთან?

წამოისროლა გაჯავრებულად ეს სიტყვა და მაშინათვე დაჯდა.

თავის მხრივ ნ. ცირიკაძემ უთხრა ა. ვაშაძეს:

— ნურაფერს ნუ მოსთხოვთ, ამხანაგებო, ვალიკო ჩუბინიძეს და გთხოვთ აქ დასტოვოთ.

იგივე გაიმეორა ა. კუპატაძემ. კოტე გაბაროვი მოყვა ჩვენი გაცნობის ძველ ამბავს, მაგრამ ა. ვაშაძემ შეაჩერა და უთხრა:

— ამხანაგებო, თქვენ მე მელაპარაკებით რომ დავტოვო ვალიკო ჩუბინიძე აქ, თუ ელაპარაკეთ ვალიკო ჩუბინიძეს, რომ მან დასტოვოს მენშევიკური პარტია და მოვიდეს საბჭოთა ხელისუფლებასთან? ვალიკო! ეს მუშები იყვნენ გუშინწინ, როცა გადაწყდა ხუთი კაცის ქუთაისის ციხეში გაგზავნა. ამ ხუთ კაცში შენცა ხარ, ალბად ეს შენ იცი. შენს მეტი ყველა ინტელიგენტებია. მე კრებაზე შენ დაგიცავი. მაგრამ რევკომის წევრები შენ გდებენ ბრალს იმაში, რომ 1918 წელს შენ არ მიიღე ბოლშევიკური დელეგაცია სოფელ ჩხიროულში და იქ გადაწვით კურტანიძის სახლი. ეხლა მე გთხოვ დაწერო პატარა წერილი, რომ შენ თავს ანებებ სოციალდემოკრატიულ პარტიას, ამას არც გაზეთში გამოვაცხადებთ და არც არსად, და შენ იქნები ისე, როგორც ვასილა გაფრინდაშვილი. შენ გული გწყდება, რომ შტაბის თავმჯდომარეს ს. სიხარულიძეს ვათავისუფლებთ და შენ კი ციხეში გაგზავნით? სიხარულიძემ მე სიცოცხლე მომცა, შენ კი მე სასტიკად მდევნიდი. შენთან არაფერმა არ გასჭრა. კიდევ მეტი. სიხარულიძემ მაშინ აღძრა შუამდგომლობა ქუთაისის გუბერნიის კომისართან, როცა მე და ჩემი ძმა გალაქტიონი ციხეში ვიჯექით, რომ მოეცათ ნება დავსწრებოდით მამის დასაფლავებას; ჩემი ძმა გაათავისუფლეს; მე კი, შენი და ზაქარია გურულის წყალობით, ციხეში დავრჩი. ხო, ასე! როგორც გინდა! ორში ერ-

თი: გინდა ასეთი პატარა წერილი დასწერე, გინდა ჯერ ქუთაისის ციხე და მერე რა ვიცი...

ოთხივე მუშამ მთხოვა დამეწერა ის პატარა წერილი, რომელსაც ა. ვაშაძე მოითხოვდა. მე უარი განვუცხადე. ნ. აჭარაძე ცოტა შეზარხოშებული იყო და როცა ა. ვაშაძემ მილიციონერს უბრძანა ჩემი უკან წაყვანა, მომაძახა:

— შე ჩემის ოხერო, აღდგომა-პირველი მაისი გავაცდინე შენი გულისათვის და შენ არაფერ დათმობაზე არ წადი. წადი შენი დედაც...

დავუბრუნდი დაჭერილ ამხანაგებს, რომელთაც ყველაფერი ვუამბე; როდესაც ამბავი დავასრულე, გიორგი ანთელიძემ დაასკვნა:

— წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო!

ჯერჯერობით მაინც, 5 მაისს საღამოს 6 საათზე ქუთაისის ციხეში გადასაგზავნი ხუთი კაცი გაგვიყვანეს რკინისგზის სადგურზე. ჟანდარმებმა უკვე იცოდნენ ჩვენი გაგზავნის შესახებ და სადგურის ბუფეტს, სადაც ჩვენ შეგვიყვანეს მატარებელის მოსვლამდე, აუარებელი ხალხი მოაწყდა. ყველას სურდა ჩვენთვის ხელი ჩამოერთმია და გამოგვმშვიდობებოდა, მაგრამ მილიციონერებმა ახლოს აღარ მოუშვეს ხალხი. საჩხერიდან მოვიდა მატარებელი და ჩვენ ჩაგვსვეს საზაფხულო (ღია) ვაგონში. ხალხი ეხლა მოაწყდა ვაგონს. გვართმევენ ხელს, გვკოცნიან; ჩემთან მოვიდა ვაგონის მუშა მ. რაზმაძე, გადამკოცნა და 15.000 მანეთი გადმომცა. მე ფულზე უარი უთხარი და გავახსენე:

— ი. ხარატიშვილი არის ხაზინადარი და მას გადაეცი, თუ გინდა.

— კი, ჩვენ მას გადავეცით, რაც საჭირო იყო, მაგრამ ეს ფული კერძოდ შენ გქონდესო.

დარეკეს მეორე ზარი. ხალხი ღელავს. აქა-იქ მოისმის ძახილი:

— გაუმარჯოს... გაუმარჯოს... და იმეორებენ ჩვენ სახელებს. გვესვრიან ვარდებს... საშა დარახველიძემ (კრინიცკიმ) ესროლა ვარდი ზაქარია გურულს და მიაძახა:

ბევრჯერ წასულხარ რუსეთისაკენ, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებული დაბრუნებულხარ! ვაშა ჩვენს ტუსაღებს!

დაკრეს მესამე ზარი. დაიძრა მატარებელი. შეიქნა ტაშისკვრა და ხმამაღალი ყიჟინა:

— ვაშა და ვაშა! გაუმარჯოს ტუსაღებს...

მატარებელი მოშორდა სადგურს და ჩვენ ვხედავთ, რომ

სადგურს შემოარტყეს ალყა. შემდეგ სადგურზე, სალიეთში, სადაც ჩვენ გვნახა რკინისგზის მილიციის უფროსმა სერგო ლეკავამ. გვითხრა:

— რაშია საქმე? გასაკვირია ამ ხალხის საქმე. ჭიათურის სადგურზე დაუჭერიათ ეხლა 26 კაცი და 32 ქალი და მეკითხებიან რა ვუყოთო. მე ვუპასუხე: რაც გინდათ ის ქენით, მე არც არავინ დამიჭერია, და არც არავის ვათავისუფლებ-თქო...

ჩავედით შორაპანში. აქ ჩვენ მოგვათავსეს სადგურის სადალაქოში. სკამებზე ვისხედით და არც დაგვიძინია; თითოული მატარებელის გავლის დროს გრიგოლ ფხალაძე წამოხტებოდა და დაიძახებდა:

— არიქა, მოვიდა მატარებელი, არ დავრჩეთო!

დილის ექვს საათზე ჩამოიარა თბილისის მატარებელმა და წაგვიყვანეს ქუთაისისაკენ. აქ მიგვიყვანეს ყოფილ გუბერნატორის სახლში, სადაც ქუთაისის ჩეკა იყო მოწყობილი და ჩაგვიყვანეს სარდაბში. აქ დაგვხვდა ორი კაცი: ერთი ცნობილი მრეწველი კოწია დათეშიძე და მეორე—ონელი ებრაელი შაშიაშვილი. ჩვენ გავეცანით ერთმანეთს და მაშინ კ. დათეშიძე მიუბრუნდა შაშიაშვილს და უთხრა:

— კაცო! რომ გამიჭირვე საქმე და სულ მეკითხები, მე ციხის რა ვიცი! აი, აგერაა ზაქარია გურული და მას კითხეო.

— ბატონო ზაქარია,—მორცხვად დაიწყო ებრაელმა,— თქვენ კი გაგეპარეთ თბილისში, მაგრამ ამგენს მგონი ვეღარ გავეპარებიო.

ზაქარია ჯერ მიუბრუნდა გრიგოლ ფხალაძეს და უთხრა:

— კაცო! რომ ჩქარობდი შორაპნის სადგურზე: არიქა არ დავრჩეთო,—იჯექი ეხლა აქ და მოისვენეო; მერმე მიმართა ებრაელს და კითხა:

— რაშია საქმე? რატომ დაგიჭირეს?

— საქონელი გადავმალე, ბატონო, გამჩხრიკეს და ჩამომართვეს. მერმე განცხადება მივეცი ჩეკის თავმჯდომარე ტალახაძეს დაებრუნებინათ საქონელი. იქ მითხრეს: მოგვიტანე ექვსი ოქრო და ექვსასი მილიონი მანეთი და დაგიბრუნებთო. ავდექი და მეც მივიტანე; მივეცი აგრეთვე განცხადება საგუბერნიო რაიკომის თავმჯდომარეს დ. ლორთქიფანიძეს; აი ასლი, როგორი თხოვნა მივეცი. იქ მითხრეს: წადი ჩეკაში და ყველაფერს მოგცემენო. მოვედი აქ და აგერ სამი დღე არის, ვზივარ.

ზაქარია გურულმა უთხრა:

— რად მიეცი თხოვნა, დაგხვრეტენო!

ს. ეურელი, გრ. ფსალაძე, გ. გაფრინდაშვილი.

— რას ამბობ, ბატონო, როგორ დამხვრეტენ?! საქონელი წაიღეს, ფული გადავიხადე და კიდო დამხვრეტენ? ასე არ არის ეს.

კოწია დათეშიძე იცინის:

— არ დაიჯერო შაშიაშვილო! ვერ გაგიბედავენ!

— კი მაგრამ, მე სად გამექეცი? როდის იყო ეს?—ეკითხება ზაქარია შაშიაშვილს.

— როდის, ბატონო, და მაშინ, როცა გვარდია იჭერდა ისეთ ხალხს, ვინც არ იყო სამხედრო ბეგარაზე გავლილი ან არ ქონდა ვაჭრობის პატენტი აღებული, ასეთ ტყუილა მყოფ ხალხს იჭერდით და აგზავნიდით ყარაიაში შეშის საჭრელად, მეც დამიჭირეს. გზაზე, როცა მივყავდით გვარდიელებს. ტრამვაიმ გაგვყო შუაზე ტუსაღები და ერთი ჩოხიანი კაცი შეხტა ტრამვაიში და მეც მოვასწარი და შევხტენი ტრამვაიში...

— კი, კი,—წამოიძახა კ. დათეშიძემ,—ეხლა კაი ალაგას შეხტენი!

მართლაც, საბრალო შაშიაშვილი იმ საღამოსვე გაიყვანეს სარდაფიდან და დახვრიტეს. მას მშვენიერი ბუხრის ქუდი ქონდა, და ამ ქუდს ჩვენ ვხედავდით ჩეკის გამომძიებელის ეღენტის თავზე.

ჩვენ ქუთაისში მეორე დღესვე გამოგვიჩნდა პატრონი. ვანო ნოზაძე თავისი ქალიშვილის მაროს ხელით გვაწვდიდა საჭმელს.

საღამოს ხონიდან მოიყვანეს ხუთი ტუსაღი, მათ შორის ერთი ქალი იყო. საღამოსვე გაუშვეს მიშა ჯაჯანიძე და დანარჩენი ცხრა კაცი 11 საათზე გადაგვიყვანეს დიდ ციხეში. ფანჯარაზე გამდმომდგარიყო გოგიტა ფაღავა, რომელმაც გადმოგვძახა:

— გამარჯობა თქვენი! გამარჯობა ზაქარია!

ახლად მისულებს მოგვცეს ერთი საერთო საკანი. აქ მოვიდა გოგიტა ფაღავა, მოგვიტანა ცოცხი და წყალი. დავხვეტეთ, დავრეცხეთ საკანი, მაგრამ ბაღლინჯოებმა მაინც არ დაგვაძინეს.

გათენდა დილა, 7 მაისი. ციხეში გავიცანით, ვისაც ვერ ვიცნობდით; აქ დაგვხვდენ ამხანაგები ქუთაისიდან, სამტრედიიდან, ფოთიდან. ჭიათურლები, ზაქარია გურულსა და ჩემს გარდა, ყველა გაუშვეს. 24 მაისისათვის ბრძანებისამებრ დაემზადა თბილისის ციხეში გადასასვლელად 64 კაცის ეტაპი; მათ შორის იყვნენ: გოგიტა ფაღავა, კოწია კანდელაკი (ნადეპუტატარი), ვ. ჯიბლაძე, ლ. დავითაია, ზ. გურული, გიორგი

ტუსკია, ს. დოლიძე, ვასო სხირტლაძე და სხვ. კოლია ჭუმბურიძე და ბაჭუა კუპრაშვილი ქუთაისის ციხეში დასტოვეს. კოლია მერმე ჩეკაში გადაიყვანეს.

64 კაცი დავემწკრივეთ და წაგვიყვანეს ქუთაისის რკინისგზის სადგურისაკენ. აუარებელმა გამცილებელმა მოიყარა თავი სადგურზე; დიდი ხმაურით და ვარდების სროლით გაგვაცილეს. დილის 27 მაისს 1921 წ. ჩაგვიყვანეს თბილისში და მიგვიყვანეს მეტეხში; იქ სამჯერ გადაგვიყვანეს კორპუსიდან კორპუსში. მოვრეცხავდით იატაკს; ვფიქრობდით, ეხლა დავბინავდით-თქო. და მერმე გადაგვიყვანდენ შემდეგ კორპუსში. ამრიგად დაბოლოს მოვექეცით ეკლესიისაკენ მე 42 კორპუსში. პირველად ქუთაისიდან გადმოყვანილებმა დარეცხეს მეტეხის ციხის იატაკები. თბილისელები ალბად დიდხანს არ აპირებდენ იქ დარჩენას და ამიტომ იატაკისათვის ყუოადღება არ მიუქცევიათ.

11 ივანობისთვეს თბილისის ჩეკიდან მოიყვანეს მეტეხში: ალექსანდრე დგებუაძე, გაბო ხუნდაძე (ჩვენი ელჩი მოსკოვში), ანდრო რამიშვილი, სოლომონ ვადაჭკორია, ტატე შოშიაშვილი, გიზო ანჯაფარიძე, გრიშა ურატაძე, ექიმი სარალიძე. მოიყვანეს აგრეთვე სტამბოლიდან დაბრუნებული შემდეგი პირები: თეოფილე შენგელია, კოლია ორაგველიძე, ანდრო ჭიაბრიშვილი, გაბრიელ შენგელია, სვიმონიკა ჯოცაძე, ბაგრატ ნებიერიძე, სილია კობახიძე, კიდევ კობახიძე,—საერთოდ 26 კაცი. ყველა მოვთავსდით, დავლაგდით, გავნაწილდით კამერებში. დაიწყო მოხსენებების ხანა. პირველად მოხსენებებს აკეთებდენ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები იმის შესახებ, თუ რა პირობებში დაიწყო ჭერა და რა ვითარებაა ადგილობრივ; შემდეგ ანდრო ჭიაბრიშვილმა მოგვითხრო ბათუმიდან გასვლის ამბავი, როგორ დასტოვა საქართველოს მთავრობამ და მთავარსარდალმა ბათუმი და რა მდგომარეობა იყო იმჟამად სტამბოლში.

დიდი ინტერესი გამოიწვია გაბო ხუნდაძის მოხსენებამ, რომელიც ეხებოდა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას. ამ მოხსენების გამო კამათი ორ დღეს გაგრძელდა.

სულ მალე დაიწყო ციხის განტვირთვა. პირველ რიგში გაუშვეს სტამბოლიდან ჩამოსულები, მერმე სამტრედიელები, მერმე თბილისელები. ალექ. დგებუაძე ჩემზე ადრე გაუშვეს, მაგრამ მალე ისევ დაიჭირეს, რადგან სტალინის მოხსენებაზე ნაძალადევში ილაპარაკა და გააკრიტიკა სტალინი.

ამავე ცოდვისათვის დაიჭირეს ისიდორე რამიშვილიც და არცერთი მერმე აღარ გაუშვიათ.

ამავე დროს ქუთაისის ციხიდან გადმოიყვანეს გრიგოლ ლორთქიფანიძე, პარმენ ჭიჭინაძე და შალვა მაღლაკელიძე.

ერთ დღეს ბიქტორ ცინცაძემ მითხრა:

— ნუ დაგვემდურებით მე და კოტეს; ადრე გვინდოდა შენი გაშვება, მაგრამ ჭიათურიდან და ქუთაისიდან არის გლახა ოქმი შენზე და ზაქარია გურულზეო!

როცა ვკითხე: რატომ, რა მიზეზიაო,—მიპასუხა:

— ქუთაისის ჩეკის თავმჯდომარე ვალიკო ტალახაძე გიყენებსთ ერთ დიდ ბრალდებას: 1918 წ. საჩხერის რაიონში აჯანყების დროს შენ და ზაქარიას ტალახაძის დედისათვის არ მიგიციათ ნება, რომ დაჭერილი ვალიკო ტალახაძე გეჩვენებიათ; კიდეც გითქვამთ: წადი ბებერო აქედან, სიკვდილს რომ გადარჩა შენი შვილი, რატომ ღმერთს არ მადლობ!

მე გაკვირვებული ვუთხარი:

— მაგის მსგავსი არაფერი ყოფილა!

— რა ვიცი, ვალიკო, ხომ იცი, ტალახაძე დღეს ქუთაისის ჩეკის თავმჯდომარეა და რომ კოტე (ცინცაძე) არ ჩამოსულიყო იქ და ამ დიდ ეტაპში არ მოყოლოდით, შენ და ზაქარია გურულს დაგხვრეტავდენ ისე, როგოც დახვრიტეს ვახმისტრი გიგინეიშვილი.

— კაცო, ვახმისტრი გიგინეიშვილი დახვრიტეთ და სიმონიკა ფხაკაძე წითელ კამანდირათ გყავთ?

მან გაიცინა:

— ხო, იცოდეთ ასე. დაგკითხავთ შენც და ზაქარია გურულსაც ამ დღეებშიო.

ეს ჩვენი საუბარი მოხდა 22 ივანობისთვეს 1921 წ.

ეს ის დრო იყო, როდესაც დაიწყო სჯაბაასი და კამათი არალეგალური მუშაობის და აჯანყების მზადების მიზანშეწონილობის შესახებ. ბოლშევიკური რუსეთი შემოიჭრა საქართველოში მარტის შუა რიცხვებში, ხალხი მას არ ურიგდებოდა და დატრიალდა აზრი ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის შესახებ. სოციალდემოკრატიული პარტია თავიდანვე არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა და მუშაობა განაგრძო. ორი თვეც არ გასულიყო ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ, რომ აჯანყების იდეა იშვა და მოედო ხალხს. ციხეში ამ საკითხების გამო ცხარე და მწვავე კამათი დაიწყო. დიდი უმრავლესობა იმ აზრს იცავდა, რომ საჭიროა არალეგალური მუშაობის გაგრძელება

და სამხედრო ორგანიზაციების მოწყობა. მაგრამ იყვნენ ისეთი პირებიც, რომელნიც არალეგალური მუშაობის წინააღმდეგ გამოვიდენ და სამხედრო ორგანიზაციების მოწყობის შესახებ კი არაფრის გაგონებაც არ უნდოდათ (ზოგი მათგანი დღეს აქ ბრძანდება!). ალექსანდრე დგებუაძემ ერთ ერთ ასეთ კრებაზე, დიდ კამერაში, გადახედა იმ ამხანაგებს, რომელნიც არალეგალური მუშაობის და სამხედრო ორგანიზაციების წინააღმდეგი იყვნენ და სიცილით უთხრა:

— აბა, რა გინდათ, ამხანაგებო!? აგარაკზე წასვლა გინდათ? წყალტუბო გინდათ? აი ეს არის აქ თქვენი აგარაკი! არ გინდოდათ ფრონტზე ყოფნა! გეზარებოდათ შეიარაღება! ზოგი ძმას ურჩევდით, ზოგი ბიძას: რა გინდა, კაცო, ოსეთის აჯანყებასთან, ჩააქრობენო! საქმე მაინც გაკეთდებაო! ეხლა გამოსულხართ და იძახით: მუშაობა არ გვინდაო. აბა, წადით, ამხანაგებო, ისე როგორც სანდრო ფარნიევი შვრება და ქენით ისე, მაშინ არავინ დაგიჭერს...

კამათი გრძელდებოდა... მაგრამ არსებითად უკვე გადაწყვეტილი იყო თვით ცხოვრების მიერ არალეგალური მუშაობის წარმოება. ეს მუშაობა გარეთ უკვე მიმდინარეობდა და ვინც ციხეს შორდებოდა, მას თან ატანდენ ორგანიზაციების მისამართებს ან ავალებდენ ორგანიზაციების მოწყობას იქ, სადაც იგი აღარ არსებობდა. ამას გარდა ერთმანეთთან კავშირისათვის ეძლეოდათ მუდმივი მისამართი რომელიმე სანდო და ეჭვმიუტანელ პიროვნების ან ოჯახის.

12 კვირიკობისთვეს დილით გამიძახეს ციხის კანცელარიაში. შეეედი თუ არა ოთახში დავინახე ბიქტორ ცინცაძე, რომელმაც შემდეგი მითხრა:

— შენ გაგანთავისუფლეთ. დღეს გახვალ აქედან, მაგრამ იცოდე ჭიათურაში არ დაბრუნდე, თორემ მალე ისევ დაგიჭერენ.

მე გამეცინა და ვუპასუხე:

— აბა სად წავიდე?

— მე ასე მითქვამს. როგორც ძველ მეგობარს გირჩევ ჭიათურაში ნუ წახვალ.

— კაცო, ნეტავ სად არის ბიქტორა კაპანაძე. მე ის დავტოვე ჭიათურაში, სააღდგომოდ იყო ჩამოსული. არ დაბრუნდა თბილისში?

— ის, ვლასა მგელაძე და ანანია სალუქვაძე საგუბერნიო ციხეში არიან.

გავკვირდი:

— რა უნდათ საგუბერნიო ციხეში?

— კაცო, ვლასა მგელაძემ რევმატიზმები მაქვსო; ანანიამ ავადა ვარო; ბიქტორა კაპანაძეს კანის ავადმყოფობა დაემართა. ხო, აქედან იქ გაიარე; დღეს მათაც გამოვუშვებთ და ერთად წადითო!

დაებრუნდი კამერაში და დავიწყე მზადება წასვლისათვის. გოგიტა ფაღავამ მომცა მუდმივი მისამართები შემდეგი რაიონებისათვის: გარე-კახეთი, დუშეთი, სამტრედია, სენაკი, ფოთი, ქუთაისი, ბორჯომი და ყარაიაზი.

დილის 4 საათზე მივიღე განთავისუფლების ქაღალდი, გამოვემშვიდობე ამხანაგებს და გავსწიე პირდაპირ საგუბერნიო ციხისაკენ, საიდანაც უნდა გამოსულიყვენ ჩემი მეგობრები. დიდხანს მომიხდა ცდა. ბოლოს დავინახე ბიქტორ კაპანაძე და ანანია სალუქვაძე. მათთან იყო კიდევ ვიღაც უცხო კაცი. ვლასა მგელაძის განთავისუფლების ქაღალდი ჯერ მზად არ ყოფილიყო. ჩვენ მისთვის აღარ მოგვიცდია.

მეორე დღეს 13 ივნისს, ავედი ჩეკაში, სადაც ზაქარია გურულის ნახვის ნებართვა ავიღე და ვინახულე კოტე ცინცაძეც.

კოტემ მოიგონა 1905 წლის ამბები ჟიათურაში...

— ვალიკო, რამხელა იყავი! გახსოვს, წისქვილში რომ არ წახვედი! გეშინოდა! როდის გარდაიცვალა შენი ბაბუა ეგნატე? სად არის ფილიპე ცერცვაძე? სოგრატ გამეზარდაშვილი?

— კაცო, რა დროს ეგაა! თუ ზაქარია გურულს არ გაანთავისუფლებ, საგუბერნიო ციხეში მაინც გადაიყვანე. ხომ იცი, რევმატიზმი ერთობ აწუხებს.

მან გაიცინა და მიპასუხა:

— წადი, წადი ნახე დღეს და ამ ორ დღეში თვით მეტეხში იქნება გაყვანილი თბილი წყალი! ვალიკო! რას ფიქრობ, შენ ვერ მომატყუებ! მე შენზე კარგად ვიცნობ ზაქარია გურულს. სანამ მე ჩეკის თავმჯდომარე ვარ, მას გარედ არ გავუშვებ...

ამ დროს მოისმა გარედან ვლასა მგელაძის მქუხარე ხმა:

— სად არის ჩემი დამპირავი, ერთი მაჩვენეთ...

— არიქა, მოდის ვლასა მგელაძე...

მე გავედი მეორე კაბინეტში ბიქტორ ცინცაძესთან და ვლასა შევარდა კოტე ცინცაძის კაბინეტში და მიაძახა კოტეს:

— რო ჩამჯდარხარ ყაზახო აქ! შენ როგორ მიპერ! დავანგრევ აქაურობას...

მე მაშინვე წავედი მეტეხში. გზაში ვუყიდე ზაქარიას

ერთი შეკვრა თუთუნი; ვინახულე და გადავეცი კოტეს ნათ-ქვამი.

თბილისში ვინახულე იმ დღესვე 13 ივნისს სილიბისტრო ჯიბლაძე, ანანია სალუქვაძე და იოსებ ცინცაძე, რომლებთა-ნაც მქონდა საუბარი საორგანიზაციო საკითხების შესახებ. გზის ფული მომცა იოსებ ცინცაძემ და 15 ს უკვე ჭიათურაში გავჩნდი. ჭიათურაში მუშაობა ერთობ შემცირებულიყო და გადავედი ჩემს სოფელში, სადაც ორი კვირა დავყავი და შე-ვუდექი სამხედრო ორგანიზაციების შექმნას. ოთხ თვეში შე-ვადგინე სამხედრო სამეული: ქვაციხე, რგანი, კაცხი, ხრეით-ში. ამ დროს ჭიათურიდან მიბარებს გრიგოლ ფხალაძე; შეხ-ვედრისას მან გამაცნო ჩვენი ცეკის დადგენილება, რომლის მიხედვით სამხედრო შტაბები ცალკე არსდებოდენ და ვიყავი დანიშნული ჭიათურის რაიონის შტაბის თავმჯდომარედ და ამას გარდა ჭიათურის სოც.-დემოკ. პარტიულმა კომიტეტმა გამოყო შტაბისათვის ერთი წევრი—ლავრენტი აბულაძე (წყალსადენის ხელოსანი). ჩემი და აბულაძის მუშაობამ გას-ტანა 6 თვე. იგი გარდაიცვალა 1922 წლის გაზაფხულზე. გაბ-მული ვარ მუშაობაში: დავდივარ სოფლიდან სოფლად, ვარ-დგენ და ვაწყობ სამხედრო სამეულებს, რომლის გარშემო შემდეგში რაზმები უნდა შემოიკრიბონ, თავს ვუყრი და ვამა-რაგებ იარაღს. ამ სამეულებს ერთმანეთთან ვაკავშირებ და ამგვარად იქმნება მთელი სამხედრო კავშირი.

ჭიათურის რაიონში მე ფარული მუშაობა მალე დავას-რულე და რადგან ჭიათურაში ადგილის შოვნა შეუძლებელი გახდა, დავრჩი ისევ სოფლად. ამ დროს გავიგე, რომ ნებას იძლევიან რაჭაში ნაძვის ხე მოსჭრან. თუ ეს საჭიროა ოჯახი-სათვის და არა გასაყიდათო და გადავწყვიტე სახლის ასაშე ნებელი მასალა დამემზადებია. გადავედი რაჭაში; ნიკორწმი-დაში ავიღე ხის მოჭრის ნებართვა და გადავიხადე 34.000 მა-ნეთი, რაც ორი ბათმანი სიმინდის ფასს უდრიდა. ხე კი მოვ-ჭერი, მაგრამ მისი გათლა და დახერხვა აღარ შემეძლო და ამიტომ დავიხმარიე ჩემი უნცროსი ბიძა მოსე; გავთალეთ, და გამოვიდა ერთი პატარა სახლის მასალა. აქ გავიცანი ტყის მცველი გოცირიძე, მასთან კარგ განწყობილებაში ვიყავი, თუმცა არ ვენდობოდი და როცა მეკითხებოდა ჩვენი მოძრა-ობის შესახებ «არ ვიცით» ვუპასუხებდი ხოლმე. ორჯერ ჩა-მოვზიდე ხეტყე. ამის შემდეგ დაიწყო წვიმები, მთაზე გაჩერე-ბა აღარ შეიძლებოდა და დავუბრუნდი ჩემს სამხედრო ორ-განიზაციებს.

6 ეკენისთვეს ჭიათურიდან მატყობინებს ლ. აბულაძე, რომ იქ იყო კაცი თბილისიდან შენ სანახავად და უშედეგოდ გაბრუნდა ქუთაისსო. სოფელ რგანში მოვაწყვე ზემოაღნიშნული ოთხივე თემის სამხედრო კომისიის წევრთა გაერთიანებული სხდომა და ვიმსჯელეთ მომავალ საორგანიზაციო მუშაობაზე. სამხედრო პირებს გარდა სხვა ამხანაგებიც დაგვესწრენ; მოხსენება გაგვიკეთა ჭიათურელმა მასწავლებელმა ლაბაძემ.

ამავე კრებაზე დავადგინეთ: ერთდროულად დაგვებეგრა ამხანაგების ოჯახები, რათა სიმინდი, ლობიო და სხვა სურსათი გადაგვეგზავნა ჩვენი წითელი ჯვარის სახელზე. წითელი ჯვარი სურსათ-სანოვაგეს უნაწილებდა და ურიგებდა ციხეებში უპატრონოდ დარჩენილ ხალხს და აგრეთვე გაჭივრებულ მათ ოჯახებს. იმ ღამესვე მოვუყარეთ თავი 23 ბათმან სიმინდს და 5 ბათმან ლობიოს. ეს მოხდა 18 მწიფობისთვეს 1921 წ.

ერთ დღეს ქვაციხეში მოვიდა ჩემი ახლად გაცნობილი ტყისმცველი გოცირიძე. გამარჯობის შემდეგ წერილი გადმომცა, გაიღიმა და მითხრა:

— თქენ არ მენდობოდით, მაგრამ წაიკითხეთ ეგ წერილი და მერე გაიგებთ ვინ ვყოფილვარ მეო.

ამ წერილში სოლომო ვადაჭკორია მწერდა: როგორც კი მიიღო ეს წერილი, გამოყევი ამ კაცსო.

ჩემი რაჭისაკენ წასვლის ამბავი ვაცნობე ჭიათურას ვანო ბედენაშვილის საშუალებით და კვირა დილით მე და გოცირიძე უკვე საწალიკის მთაზე ვიყავით. ერთი ღამე გავათიეთ სოფელ ნიკორწმიდაში და 5 ნოემბერს მივედით სოფელ ჭრე: ბალოში და აქ შევხვდი სოლომონ ვადაჭკორიას. სოლომონმა გამაცნო ცეკას ინფორმაცია, მეტეხის ამბები, სტამბოლის ცნობები და მითხრა, რომ ცეკას დადგენილებით მივდივარ სვანეთში, რათა აჯანყება შევაჩერო, ცალკეული აჯანყება საზიანოა, მთელ საქართველოში უნდა მოხდეს იგიო. მას თან ახლდა ერთი ჩვენი კარგი ამხანაგი. მან დამიტოვა თავისი მუდმივი მისამართი: გრიშა ონიანის. მანვე გადმომცა ანანია სალუქვაძის წერილი. ანანია დარიგებას მაძლევდა სამხედრო ორგანიზაციები თუ როგორ მომეწყო,—და სწორედ ისე, როგორც მე უკვე მქონდა მოწყობილი. ანანია მწერდა, რომ მთელი საქართველო მოეფინა სამხედრო ორგანიზაციებითო. სოლომონ ვადაჭკორიამ მომცა თედორე ასათიანის მისამართი ქუთაისში და მთხოვა აქედან მასთან გამეევლო.

დილიჟნით ჩავედი ქუთაისში; ვნახე იქ თედორე ასათიანი და გადავეცი ის, რაც მქონდა გაკეთებული ჭიათურის რაიონში; ვუთხარი აგრეთვე სვანეთში სოლომონ ვადაჭკორიას გამგზავრების ამბავი. მან გამაცნო ქუთაისის მდგომარეობა და დავუკავშირდით ერთმანეთს: მივეცი ჩემი მუდმივი მისამართი ჭიათურაში გრიგოლ ფხალაძის სახელზე და ჩემი სოფლის. თედორე ასათიანმა მომცა ვარლამ კაპახაძის მისამართი სვირში.

ჩავედი ზესტაფონში, ვინახულე გალაქტიონ კაპანაძე და ერთად წავედით ვარლამ კაპანაძესთან. აქ გავეცანით ადგილობრივ მდგომარეობას და შევადგინეთ პირველი სამაზრო შტაბი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ვარლამ კაპანაძე (ყოფილი ოფიცერი, ცალფეხა, შორაპნის მაზრის ყოფილი მილიციის უფროსი), მის მოადგილე—მე და მდივანი—გალო კაპანაძე. ეს დადგენილება მივიღეთ 14 ნოემბერს 1921 წელს.

მე უნდა წავსულიყავი თბილისში, მაგრამ ჯერ დავბრუნდი ჭიათურაში. აქ მე დავსვი საკითხი საჩხერის რაიონში სამხედრო ორგანიზაციების მოწყობის შესახებ, მაგრამ ლ. აბულაძემ და გრიგოლ ფხალაძემ ის აზრი გამოსთქვეს, რომ საჭიროა თბილისში წასვლა, სისწორით ამბების გაგება და მერმეც მოვასწრებთ საჩხერის ორგანიზაციის მოწყობასო. მე მაინც ორი დღე დავრჩი ჭიათურაში. აქ მსურდა დროებით მაინც მემუშავა და ამიტომ ვთხოვე ვაგონების დამტვირთველი მუშათა გამგეობას მუშაობის ნებართვა მოეცათ. გამგეობაში მაშინ შედიოდენ: ნ. აბესაძე, ნ. ცირიკიძე, ა. კუპატაძე. აღნიშნულმა გამგეობამ უარი მითხრა მუშაობის ნებართვაზე, ხოლო ნ. ცირიკიძემ მირჩია:

— კაცო, შენი საქმე მიკვირს! მე აკრძალული მაქვს შენი სამუშაოზე დაშვება; შენ იცი რომ შენ დიდ პატივს გცემს პარტკომის მდივანი დათიკო ლომაძე; მიდი და ნახე: აუცილებლად ათი დღის მუშაობის ნებას მაინც მოგცემსო.

მართლაც, ვინახულე დ. ლომაძე და მან მომცა რვა დღის მუშაობის უფლება და ჭიათურაში გაჩერების ნებაც. რვა დღის განმავლობაში ვიმუშავე და მივიღე 12.000.000. იმ ხანად ბონები ძალზე დაცემული იყო და არ იშოვებოდა განსაკუთრებით მარილი და ნავთი. ორივე ეს კი ოჯახისათვის ძალიან მჭირდებოდა და ამიტომ მივმართე მუშათა კოოპერატივის «ჩვენი ოჯახი»-ს გამგეობის წევრს ნ. ცირიკიძეს და მოვახსენე:

— ნიკო, გაიხსენე, რომ 1908 წ. კოოპერატივის დასაარსებლად მე შევიტანე 5 მანეთი და 50 კაპიკი. ქენი სიკეთე და მომეცი ერთი ფუთი ნავთი და ერთი ფუთი მარილი.

ნ. ცირიკიძე გაწითლდა, ენა სულ დაებორკა, დაიბნა.

— კაცო, შენ ყველაფერში მართალი ხარ, მაგრამ რა ვქნათ! არც გამგეობაა მტყუანი. ხომ იცი, 10 გირვანქაზე მეტს ვერავის ვაძლევთ ნავთს და მარილი სულ არაა, მგონია! ყოველ შემთხვევაში წამოდი, ჭურჭელი ხომ გაქვს?

ჭურჭელი არა მქონდა, მაგრამ მაინც წავედით კოოპერატივში. სასტიკი სიცივეა, 8 დეკემბერი 1921 წ. კოოპერატივის წინ ხალხი რიგშია ჩამდგარი; ელიან ნავთს და მარილს. ნ. ცირიკიძე შევიდა გამგეობაში და ცოტა ხნის შემდეგ დამიძახეს და მომცეს: ერთი ფუთი მარილი და ერთი ფუთი ნავთი. აყვირდა გარეთ, თოვლში ჩამდგარი ხალხი, განსაკუთრებით ახალი ბოლშევიკები გაიძახოდენ:

— ვის აძლევთ მარილს და ნავთს? კონტრ-რევოლუციონერს?!

მე ხმა არ ამომიღია, მაგრამ ნ. ცირიკიძემ მიმართა ყველაზე უფრო მყვირალას, ვ. სიკანგალაშვილს, რომელმაც მაისში ჭიათურიდან ქუთაისამდე მიგვაცილა როგორც მცველმა დაჭერილები.

— რო ყვირი, კი არაფერი მოუპარავს ვ. ჩუბინიძეს ამხანაგო სიკანძალაშვილო, არც ჩვენ ქრთამი მიგვიღია, არამედ ეს კაცი იყო სულ პირველი თუ არა, მეორე მაინც როცა ეს კოოპერატივი დავაარსეთ; თქვენ ალბად მაშინ არც იყავით ამის მომხრე: ეხლა რა გითხრა? იცი, აგერ წლისთავზე კრება იქნება, მარტში, და იქ მიჩივლეთ ეს...

მარილი და ნავთი ოჯახს მივაწვდინე; გზის ფულიც მაქვს და გავემგზავრე თბილისისაკენ.

12 დეკემბერს უკვე თბილისში ვიყავი და სასწრაფოდ მოვძებნე ბიქტორ კაპანაძე; მერმე ვინახულე იოსებ ცინცაძე, ანანია სალუქვაძე და ბოლოს სილიბისტრო ჯიბლაძე. მე მათ მოვახსენე ჩემი მუშაობის შესახებ ჭიათურის რაიონში; მათ მომიწონეს და დამიდასტურეს იგი, და თავის მხრივ მაცნობეს, რომ სოლომონ ვადაჭკორიამ ვერ შეაჩერა სვანეთის აჯანყებაო.

სილიბისტრო ჯიბლაძე მოსთქვამდა:

— იღუპება ძალები ცალცალკე. ჩვენ გვინდა მთელს საქართველოში მთლიანი აჯანყება მოეწყოს, თორემ ასე ნაწილობრივ ვის გაუგონია აჯანყება?! ეს უნდათ ბოლშევიკებსაც!

სილ. ჯიბლაძე იმ დროს ციხიდან ახლად გამოშვებული იყო და უკვე იმალებოდა. ამ ჩემი შეხვედრის დროს მასთან მოვიდა ერთი ჩვენი ყოფილი დეპუტატი და დაიწყო საყვედურები.

— კაცო, რა გინდათ,—უთხრა მას სილიბისტრომ: დეპუტატი იყავი, სამხისტროში შეგიყვანეთ, ვერ იხეირეთ და კიდევ პარტიასა და ხალხს ემდურით?

სილვასაგანვე გავიგე, რომ სეით დევდარიანი დათანხმებულა მუშაობაზე და მალე ამოვა თბილისშიო. მანვე გამაცნო პარიტეტის შექმნის შესახებ ამბები. იმ ხანად უკვე წამოწყებული იყო ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის მოწყობის მუშაობა პარიტეტულ ნიადაგზე და სილ. ჯიბლაძე ჯავრობდა:

— ვერ გავაგებინე ამ საცოდავ ჩვენ ქართულ პარტიებს, რა სჩადიან, რას? ყველაფერს შვრებიან რომ ჩვენ გაგვანადგურონ! ჯერ იყო და სპირიდონ კედიამ გაზეთის ქაღალდი მისცა კირილე ნინიძეს (1920 წელს, სოც.-დემ. ოპოზიციური გაზეთი «სხივი» გამოიცა), ეხლა ყველანი გარედ არიან, ყველა მოეწყო სამსახურში, ჯერ ერთი კაცი მაგათი დამჭერი არავინაა, ანკი რატომ დაიჭერენ?! არაფერს არ აკეთებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. თუ კი რამე გაახერხეს, ყველაფრით ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ. აბა რას ნიშნავს ეს? პ. ჭიჭინაძის დასაფლავებაზე არამც თუ სიტყვა წარმოთქვეს, არც წამოვიდენ. ეხლაა და პარიტეტში თხოულობენ ორ ადგილს! ხანდახან გეცინება კაცს: ვაძლევდით ბათუმში ერთ ადგილს მთავრობაში და არ ქნეს, დარჩენ აქ და ხელს თუ გვიშლიან, თორემ არაფერში ხელს არ გვიწყობენ...

როცა მას ვკითხე: დანარჩენი პარტიები თუ არიან მომზრე გაერთიანებული ბრძოლისა და პარიტეტისა-თქო, სილიბისტრომ მიპასუხა:

— ყველა მომზრეა გარდა ნაციონალ-დემოკრატებისა. ერთ ნაციონალ-დემოკრატს რომ დავითანხმებ, მეორე მის წინააღმდეგ მიდისო.

მე პირადათ მივიღე შემდეგი დავალება: შემედგინა პარიტეტული კომიტეტი, როგორც პარტიული, ისე სამხედრო.

ჩემს შეკითხვაზე, თუ სტუდენტობაში რა განწყობილება იყო, სილ. ჯიბლაძემ მიპასუხა:

— იქაც ისეა, როგორც პარტიათა შორისო.

ანანია სალუქვაძეს დავუტოვე ჩემი მუდმივი მისამართი

და დავბრუნდი ჭიათურაში. ჩავედი სვირში 22 დეკემბერს და ვინახულე გ. კაპანაძე და ვ. კაპანაძე. მათ გავაცანი თბილისის ამბები და გადავეცი ინსტრუქცია; აქედან ავედი სოფელ ბილაში და მოვიწვიე ოთხი თემის სამხედრო კომისიის წევრების კრება; მათაც გავაცანი თბილისში მიღებული დავალება და შეუდექი საჩხერის რაიონში სამხედრო კომისიების შედგენას და ამავე დროს პარიტეტული კომიტეტის დაარსების საქმეს. სამაზრო სამხედრო პარიტეტის შედგენისათვის ვინახულე ნაციონალ-დემოკრატი მ. გვალია, რომელსაც ვებაასე საერთო კომიტეტის შექმნის საკიროების შესახებ. იგი დამეთანხმა, ხოლო თან დასძინა: თუ ჩვენი ცენტრი წინააღმდეგი არ იქნება, ჩვენც მივიღებთ მონაწილეობასო. ამავე დროს გრიგოლ ფხალაძისაგან მივიღე წერილი, რომლითაც მატყობინებდა, რომ იგი ცეკას მიერ დანიშნული არის შორაპნის მაზრაში ორგანიზატორადო.

საჩხერის რაიონში სამხედრო კომისიების შედგენა მალე დავასრულე. და ცეკადანაც მივიღე ცნობა, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები შევთანხმდით და შევქმენით პარიტეტული კომიტეტიო.

ამ ცნობამ ჩვენ კიდევ უფრო გაგვამხნევა და მუშაობის უნარი გაგვიორკეცა. 1922 წლის თებერვლის დასაწყისში მოხდა სოც. დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობა. რომელსაც დაესწრო ჩვენი მხარიდან გრიგოლ ფხალაძე და მან ორი კარგი ამბავი ჩამოგვიტანა: ყრილობამ დაამტკიცა პარიტეტული კომიტეტი და ყრილობა მშვიდობიანად დასრულდა, არავის ხიფათი არ შემთხვევიაო.

გავიდა მხოლოდ რამოდენიმე დღე და მივიღეთ თავზარდამცემი ამბავი სილიბისტრო ჯიბლაძის გარდაცვალების შესახებ. ამ ამბავმა მეტად დაგვაღონა და შეგვაწუხა.—ასეთი გაჩაღებული ბრძოლის დროს ამ უბადლო მეთაურის გამოკლება ჩვენი ახალი მოძრაობისათვის დიდი დანაკლისი იყო.

მივიღე მალე წერილი ანანია სალუქვაძისაგან... მიბარებდა თბილისში. იქ ანანიამ მითხრა, როცა შევტირე სილვას დაკარგვაზე,—მართალია, დიდი მარცხი განვიცადეთ, აღარა გვყავს ჩვენი აღმზრდელი და ხელმძღვანელი სილვა. მაგრამ კოლექტიურად, ხელიხელ ჩაკიდებული, ჩვენ უნდა შევასრულოთ სილვას ანდერძიო... ანანიამ გამაცნო უკანასკნელი ამბები და განმიმარტა, რომ ამჟამად ცეკას თავმჯდომარეა სეით დევდარიანი, წევრები: იოსებ ცინცაძე, ანანია სალუქვაძე... კოლია ქარცივაძეა პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომა-

რე. მაზრებთან კავშირი ექნება ანანია სალუქვაძეს და სამხედრო კავშირი კი უნდა გქონდეს გოგიტა ფალავასთანო. ამასთან დამპირდა, ხვალ შეგახვედრებ გოგიტასო. მანვე მომცა ადგილობრივ დაბეჭდილი ფურცელი, რომელშიც აღწერილი იყო სილიბისტრო ჯიბლაძის გარდაცვალების ამბავი, თუ ჩეკისტებმა როგორ მოიპარეს სილვიას გვამი და როგორ დაასაფლავეს. მანვე გადმომცა სტამბოლიდან მოსული ქართული გაზეთები.

მეორე დღეს ვუცდი ანანია სალუქვაძეს ბარიათინსკის ქუჩაზე და ამ დროს გამოიარა გიორგი ხიმშიაშვილმა; დიდი ამბით შევხვდით ერთმანეთს და შევუდექით ბაას; ამ დროს მოვიდა ანანიაც და გვითხრა:

განაგრძეთ ლაპარაკი,—პირველ საათზე შენ ამოდი პუშკინის ბაღის ბოლოს და იქიდან წაგიყვან გოგიტასთანო.

გოგი ხიმშიაშვილს შევეკითხე თუ რა იცოდა სვანეთის შესახებ ან თუ მართალია ის ხმა, თითქო ქაქუცა ჩოლოყაშვილი აპირებს მთად გასვლას-თქო.

— რა ვიცი, ჩემო ვალიკო! ჯერ იყო და სვანეთში ტეუილუბრალოდ დაიღუპა ამდენი ხალხი; რა უნდა გამოსულიყო აქედან? შენც კარგად იცი, ასეთი გამოსვლა ყოველთვის მარცხს განიცდის და ბანდიტიზმად იქნება მონათლული. ქაქუცაზე რა გითხრა! ველაპარაკე და მითხრა: უშენოდ არაფერს არ ვიზამო და ახლა შენც გაგიგია, და რა ვიცი!

ამ დროს გამოჩნდა შორიდან თვითონ ქაქუცა და გიორგიმ მითხრა:

— ეგერ არის ქაქუცა და რაც მელაპარაკე, თვითონ შენ უთხარი მასო.

მე მას გამოვემშვიდობე და დავეწიე ქაქუცას ალექსანდროვის ბაღში. ძალიან გაეხარდა ჩემი ნახვა, მაგრამ იმწუთსვე მითხრა:

— ახლა ნუ გამაჩერებ, მგონი მომდევენ ჩეკისტებიო. და მან დამინიშნა პაემანი მეორე დილისათვის.

ანანია სალუქვაძემ მიმიყვანა გოგიტასთან და იქ დამტოვა. გავიხსენეთ ძველი ამბები, ქუთაისის ცხე და ცოტა საერთო საუბარის შემდეგ ვუთხარი:

— შენ ყოფილხარ ჩემი «ნაჩალნიკი» თქო.

გოგიტამ ბევრი იცინა და მერე გადაეცინა საქმეზე.

გ. ფალავამ მითხრა:

— სილიბისტრომ ორი დიდი საქმე მაინც გააკეთა, ისე არ მოკვდა. მისი დაკინებით შესდგა პარიტეტული კომიტე-

ტი და მოასწრო საზღვარგარეთ გაეგზავნა მეორე მემორანდუმიც საქართველოს ოკუპაციის შესახებ და აქაურ მდგომარეობაზე. რაც შეეხება პირდაპირ ჩვენ საქმეს: უნდა დაიჭიროთ მთელს თქვენს მაზრაში იარაღიანი პირების აღრიცხვა; აიყვანეთ აღრიცხვაზე ყველა გამოსადეგი და სანდო პირები, ოფიცრები, ჯარისკაცები, გვარდიელები, ადმინისტრაციის პირები; საჭიროა დიდი სიფრთხილე; ერიდეთ ტყეში გასვლას და დევნილობას, უბრალო რამეზე არ მოგიხდეთ იარაღით გამოსვლაო და სხ.

მან მომცა თავისი მუდმივი მისამართი და მეც დაუტოვე ჩემი.

მეორე დილას დანიშნულებისამებრ შევხვდი ქაქუცა ჩოლოყაშვილს; მას თან ახლდა ალექსანდრე (შუშუ) სულხანიშვილი და მგონი ლელო ჩიქოვანი.

— მომითმინე ცოტახანს, ვალიკო, ეხლავე გავისტუმრებ ამათო,—მითხრა ქაქუცამ, და ცოტახნის შემდეგ ამიყვანა სახლის მეორე სართულზე და შევედით ერთ კარგად მოწყობილ ბიუროში. იქ დამხვდა შალვა ქარუმიძე, რომელმაც სიცილით ჩამომართვა ხელი. დავიწყეთ ლაპარაკი სვანეთის უკანასკნელი ამბების შესახებ და საერთოდ მე გავაცანი მათ დასავლეთ საქართველოს ამბები. ბოლოს ქაქუცამ მითხრა:

— ვალიკოჯან! აი, მე მიდივარ თელავში, ვითომ სამსახურში და თუ შევატყვე, შეიძლება გავიდე მთაში. მომეცი შენი მუდმივი მისამართი, ჩემი ყოფნის ადგილი ყოველთვის ეცოდინება შალვა ქარუმიძეს და მასთან გექნეს კავშირიო.

ჩვენ დავცილდით ერთმანეთს ცოტახხის შემდეგ. ეს იყო 4 მარტს 1922 წ.

მე ისევ ვინახულე ანანია სალუქვაძე, იოსებ ცინცაძე, წამოვიღე არალეგალური ჟურნალ-გაზეთები და დავბრუნდი ჭიათურაში. აქ მე და გრიგოლ ფხალაძე შევუდექით მთელს მაზრაში ორგანიზაციების აწყობას, როგორც პარტიულ, ისე სამხედრო დარგში. აპრილში ჩვენ უკვე მოთავებული გვქონდა საჩხერის, ჭიათურის, ჩხარის რაიონების პარტიული და სამხედრო ორგანიზაციების მოწყობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ახალი წელიწადი 1922 წ. ერთობ ცუდი გამოდგა... მარცხი მარცხს მოყვა... გარდაიცვალა სილიბისტრო ჯიბლაძე; პარიტეტული კომიტეტის შედგენის შემდეგ ბოლშევიკებმა დაიწყეს ჭერა სხვა პარტიების ხელმძღვანელებისაც; დაიჭირეს სპ. კედია, ალ. ასათიანი, სამსონ ფირცხალავა; ამას მოყვა მასსიური ჭერა; 24 იანვრის-

თვერს ჩავარდა თბილისის სოც.-დემ. პარტიის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე იყო ანანია სალუქვაძე; ქაქუცა გაიჭრა მთაში და მას ბევრი ამხანაგები დაუხვრიტეს; დაიწყო მასსიური გადასახლება; მძევლებს თავი მოუყარეს გრუზჩეკაში; მე დამესხენ თავზე და იძულებული გავხდი იარაღით ხელში დამეწყო მალვა.

24-25-26 მაისისათვის დანიშნული იყო ყველა მაზრაში საპროტესტო მიტინგების მოწყობა. მე დამიბარა ვარლამ კაპანაძემ სოფელ სვიროში,—იქ 25 მაისს უნდა მომხდარიყო დიდი მიტინგი. თუ ვინიცობაა ბოლშევიკები იარაღს იხმარდენ, ჩვენ ამისათვის მზად უნდა ვყოფილიყავით, თუმცა საერთოდ იარაღიანი ხალხი ასეთ მიტინგებზე მონაწილეობას არ ღებულობდენ.

24 მაისს ყანაში ვმუშაობ, ვთოხნი. ჩემი სიმამრის დავით გოცაძის მამულში. დავინახე, მორბის ჩემსკენ ჩემი მეუღლე თამარი და მიძახის:

— წადი დაიმალეო!

აღელვებული ქალი მოვარდა ჩემთან და მითხრა, რომ ხუთი მილიციონერი მოვიდა კოწია ჩიხელიძის მეთაურობით და შენ გიკითხესო. მაგრამ მათ არ მისცა გაჩხრეკის ნებაო.

მე წავედი ტყეში. საღამოს გამოვედი და გავიგე, რომ მილიციონერები წავიდენო. დავბრუნდი შინ, რომ წასასვლელად მოვემზადო. ეზოში ვარ და ჩემი პატარა ბავში ხელში მიპირავს, რომ დედას ხელი არ შეუშალოს ჩემთვის ნივთების მომზადებაში. უცბად ჭიშკარიდან მომესმა ხმა:

— აბა, ხელები მაღლა! არ გაირყე!

გამეცინა.

— ვერ ხედავ, კაცო, ბავში მყავს ხელში! არც ფეხზე მაცვია, ქუსლჩაკეცილი წუღები მაქვს, თავშიშველა ვარ.

ჭიშკარს მოადგენ კ. ჩიხელიძე, ჩეკის თავმჯდომარის მოადგილე კიჟო გაგუა და მილიციონერები. ვიფიქრე: ეხლა სახუმროდ არ არის საქმე! ფიქრმა ელვასავით გამირბინა ბავში დავუშვი მინდორზე და გადავევლე ეზოდან ყორეზე. ჯერ ატყდა ყვირილი:

— გაჩერდი! არ გაიქცე!

მერმე ატყდა სროლა. მესმის ბავშის წივილი, მეუღლის კივილი, აყეფდენ ძაღლები. სირბილში ფეხსაცმელები წამძვრა, შევარდი ვენახში, გავრბივარ. კიდევ ერთი პატარა ღელე და მერმე ტყეში შევყოფ თავს... და აგერ მესმის წინიდან ხმა:

— გაჩერდი! გაჩერდი!

გავიხედე: ჩვენი სოფლის მილიციონერი სამსონ სირაძე!

— ეხლა ვეღარ წავალთქო, და დავუძახე:

— მე შენთან მოვდივარ-თქო.

მან თოფი დაუშვა ძირს; მეც ეს მინდოდა. ერთი წამის ამბავი იყო, გავარდი სირბილით... მან ჯერ დასტვინა, შერმე ორჯერ ისროლა,—გადავედი ნამყენ ვენახში; იგი მე ვერ მფარავდა, და ავირბინე ვენახის თავში, სადაც ორი დიდი ხე იდგა და იქ გავჩერდი. ჩავჯექი ხის ძირში და ვიცდი. ჩემი მდევრები დარბიან ტყეში. აბა როგორ წარმოიდგენდენ, რომ მე ნამყენ ვენახში დავრჩებოდი. ერთჯერ კიდეც მომიახლოვდენ და გავიგონე კიდეც, რომ კიჭო გაგუამ უთხრა კ. ჩიხელიძეს:

— წავიდეთ თორემ, ალბად მას ამ ტყეში იარაღი აქვს დამალული და შეიძლება კიდეც დაგვამარცხოსო.

ჩემი სოფლის მილიციონერი ხმამაღლა ყვიროდა:

— დავჭერი და სხვა რა ვქნაო!

უკვე დაღამდა. მდევნელები წავიდენ. მე იქ დავრჩი მამლის ყივილამდე. ფრთხილად გავიარე ტყე, გავყევი სიმინდის ყანებს და გავედი სოფელ ზედათავისაში ჩემი ოჯახობის ბიძებთან. თენდებოდა. აქ უკვე ამდგარიყვენ. ჩემს დანახვაზე განცვიფრდენ:—თავშიშველი, ფეხშიშველი ამ დროს! არაფერი არ მკითხეს. მე თვითონ მოკლედ ვუთხარი ამბავი, გამოვართვი მურთაქა და წავედი ვენახში დასაძინებლად. მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. მაწუხებდა ოჯახის ამბავი, არ ვიცოდი. რა დაემართათ შინ დარჩენილებს.

დილის 11 საათი იქნებოდა, რომ მოვიდა ჩემი სიმამრი დავით გოცაძე. რომ დამინახა, ჯერ გაეხარდა, შერმე ატირდა:

— რაში იყო, კაცო, საქმე? რომ მოეკალით იმ უღმერთოებს, რას ფიქრობდი?! რატომ გაიქეცი, როცა დაინახე, რომ უკვე ეზოში იყვენ მოსული? ბავშს მთელი ღამე არ უძინია, სულ ტიროდა. შენ როცა ვეღარ გნახეს, დამიჭირეს მე და ვასილა (ძმისწული), წაგვიყვანეს ქვაციხის რევკომში. იქ ბევრი ჩხუბისა და გინების შემდეგ გამოგვიშვეს.

მე ვთხოვე სიმამრს შინიდან მოეტანა ჩემთვის ტანთსაცმელი და საღამოს წავედი სოფელ საკურწეში. იქ ვნახე ტარასი მოდებაძე (ლომინას შვილი) და მასთან ერთად წავედი ზედა-ბედინაშვილებში, აქ დავრჩი ორი დღე ვ. ბედინაშვილთან; ასე რომ ვეღარც სვირში წავედი და ვერც ჭიათურაში. გზები შეკრული იყო და ამას გარდა სვირის მისამართი დამეკარგე, ასე რომ არ ვიცოდი, სად უნდა მივსულიყავი. ამიტომ წავედი სოფელ რგანში ს. ხვედელიძესთან (რამაზაშვილი) და

მხოლოდ იქ გავიგე, თუ როგორ ჩატარდა დემონსტრაციები ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ჭიათურა-საჩხერე-შორაპანში. ჭიათურაში მაღალ კლდეზე გადმოეკიდა შავი დროშა ახალგაზდა ფილიპე პეტრიაშვილს.

იმ დღეებში დაიჭირეს ახალგაზრდა მარქსისტი გიორგი (ეორეკ) ნოზაძე, მეტეხიდან ახლად განთავისუფლებული იყო, არალეგალურად ცხოვრობდა და რომელიც თავის მამის, ვანო ნოზაძის (ჩვენი პარტიული მეგობრის) დასაფლავებაზე მოვიდა.

სვირს ვაცნობე ჩემი ამბავი და შევატყობინე ჩემი ახალი, რგანის მისამართი. ორი დღის შემდეგ სხვის გვარზე დავიწყე მუშაობა სვანიშვილ-თევზაძის მაღაროებში. ვცხოვრობდი ვ. კამთელაძესთან. და ვმუშაობდი ღამით. ცოტა ხნის შემდეგ ჭიათურიდან მეწვია გრიგოლ ფხალაძე და მასთან ერთად მოვახდინეთ პატარა კრება დ. სამხარაძესთან და შემდეგ დიდი კრება აკ. სვანიშვილის მაღაროში. იმ კრებას დაესწრო 40 კაცი. 15 ივანობისთვეს 1922 წ. გავედით სოფელ ზედა-რგანში. იქ პ. სამყურაშვილისას მოვიწვიეთ კრება. დაესწრო 12 კაცი. 21 ივანობისთვეს ავედით სოფ. წირქვალში კ. გაფრინდაშვილთან; აქ ვენახის კარავში შევიკრიბეთ 45 კაცი. ქართოფილის სანთლის შუქზე მოხუცი კითხულობს «თავისუფალი საქართველო»-ს. ეს მოხუცია ძველი მუშა, 1900 წელში პირველი სამეულის წევრი ტ. წერეთელთან ერთად—ნ. ბრეგვაძე, რომელსაც ჩვენ ზედმეტ სახელად «ბლაღოჩინს» ვეძახდით, ისეთი მშვენიერი, გრძელი თეთრი წვერები ქონდა! კრება გახსნა «ბლაღოჩინმა» ნიკო ბრეგვაძემ, მდივნობდა იპოლიტე ნადირაძე. აქედან წავედით საჩხერეში,—იქ მოვაწყვეთ 25 კაცის კრება; თავმჯდომარეობდა მ. ჯაჯანიძე; აქედან ავედით სოფ. კორბოულში; აქაც გავმართეთ კრება, რომელსაც 38 კაცი დაესწრო; კრება გახსნა ტარასი ნადირაძემ; ჩამოვედით სოფ. გორისაში და აქ კაკი წერეთელის მამის გიორგის სახლში, სადაც წიგნთსაცავი იყო მოთავსებული, მოვაწყვეთ კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა მ. წერეთელი.

რისთვის დავდიოდით ამდენს და რას ვაკეთებდით ამ კრებებზე? ჩვენი მიზანი იყო გვენახა ყველა ჩვენი სოც.-დემ. ორგანიზაცია, აგვერჩია და შეგვედგინა სამეულები, სამეულილი პარტიული და სამეული სამხედრო; ამასთან ერთად ჩვენ ვემზადებოდით სამაზრო პარტიული ყრილობისათვის.

ჭიათურაში დაბრუნებისას ჩვენ იქ დაგვხვდა სამწუხარო ამბავი: უეცრად გარდაცვლილიყო სამხედრო სამეულის წევ-

რი ლავრენტი აბულაძე. ჩვენ მოველაპარაკეთ სოც.-დემოკ. პარტიული კომიტეტის თავმჯდომარე სვიმონ კაციტაძეს და იგი დათანხმდა გამხდარიყო აგრეთვე სამხედრო სამეულის წევრიც.

შორაპნის მაზრის ჩვენი პარტიული ყრილობა დაინიშნა 28 აგვისტოსათვის 1922 წ. სოფელ სვირში, დიდ კუნელასთან დელეგატებს შეხვდებოდენ მეგზურები და იქიდან წაიყვანდენ სამაზრო კონფერენციაზე. კრება მოწყობილი იყო თ. გვასალიას ბინაზე. კონფერენციას თავმჯდომარეობდა ბ. კვაჭაძე, მდივნობდა კ. წერეთელი და იაკიმე პეტრიაშვილი. ცეკადან წარმომადგენლებად იყვენ გამოგზავნილი კალე ქავთარაძე, შ. ჭუმბურიძე და ის. ხარატიშვილი. კრებას დაესწრო 54 დელეგატი. გარედან მას იცავდა 15 იარაღიანი კაცი ვ. კაპანაძის ხელმძღვანელობით.

ჭიათურა-საჩხერის რაიონის სამხედრო კომისიის სახელით მუშაობის შესახებ მოვახსენე მე; ჩხარიდან მოხსენება გააკეთა—ა. არაბიძემ; ხორაგოულიდან—ზ. ლურსმანაშვილმა; მთელი მაზრის სამხედრო კომისიის სახელით—ვ. კაპანაძემ. ამ სამხედრო მოხსენებების შემდეგ, დაიწყო პარტიული მოხსენებები ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. ჭიათურა-საჩხერის პარტიული რაიონის სახელით მოხსენება გააკეთა გრიგოლ ფხალაძემ; მთელი მაზრის სახელით—ბენ. კვაჭაძემ. ცეკას სახელით მოხსენება გააკეთეს კალე ქავთარაძემ და შ. ჭუმბურიძემ.

კრება დასრულდა გამთენიას. გრიგოლ ფხალაძე, ფილ. ცერცვაძე და მე ერთად წავედით სოფელ საზანოსაკენ. ქვედა საქარაში ვიყიდეთ ორი ნესვი, ერთი დოქი ღვინო, გლეხს ზესტაფონში მიქონდა გასაყიდათ და გზა შევუმოკლეთ. გადავედით გზის პირას და შევუდექით საუზმეს.

ფილიპე ცერცვაძემ სთქვა სიცილით:

— საუზმე ცოლის მზითევს სჯობიაო. ეს მართალი ყოფილა, აქ არც ცოლი მყავს და არც მზითევი! ყველაზე უარესი კი ის იქნება, რომ აქ, ამ გზის პირას დაგვიპირონ; რომ იტყვიან. კაცი ზღვას გადაურჩა და ცვარმა დაახრჩოო, ეს იქნება ჩვენზე ზედგამოჭრილი. ამ დროს გრიგოლ ფხალაძე წამოდგა ზეზე და დაინახა ცხენოსანი მილიცია:

— არიქა ბიჭებო! დავიღუპეთ, მილიცია მოდისო!

გრიგოლმა და ფილიპემ მოუსვეს ვენახისაკენ და გადაეშვენ შიგ. მე შევრჩი საუზმეს.—ავკრიბე საჭმელი, ავიღე გრიგოლის ხვირჯინი, გაქცევა აღარ შეიძლებოდა და ვიფიქრე:

თუ ვერ მიცვნეს ხომ კარგი, თორემ შევეწირე ამ საუბმესთქო.

გამოიარა მილიციამ. არავინ ნაცნობი არ აღმოჩნდა.

ის-ის იყო გაქცეულებისათვის უნდა დამეძახნა, ვხედავ: მოდის მეორე რიგი ცხენოსნებისა და ვინ არიან?—სერიოჟა ქავთარაძე, კოტე ცინცაძე, მიშა ოკუჯავა, შამშე ლეკავა და ვიღაც სხვები. მომიახლოვდენ. კოტე ცინცაძემ ხელი ჩამომართვა და მკითხა:

— რა გინდოდა ვალიკო აქეთ?

— ბავში მყავს ავად და წამალზე მივდივარ ზემო საზანოში; ეხლა ჩამოვედი მატარებლით.

— მეორე წამალზე ხომ არ მიდიხარ, ვალიკო?

— ერთი პატარა წერილი დამიტოვე, კოტე, რომ ალექსანდრე ვაშაძემ ჭიათურაში მომცეს სამუშაო.

ჩვენ გზადაგზა მივლაპარაკობთ.

— წამოდი ჩემთან. აგერ სამარიობოდ დაგვპატიჟა სერიოჟა ქავთარაძემ და შეიძლება იქ იქნეს ვაშაძეცო.

მე მადლობა გადაეუხადე და ვუთხარი:

მართლა წამალზე მივდივარ.

— გაანებე თავი ამ სოფლის ექიმბაშებს და წაიყვანე კარგი, გამოცდილი ექიმი!

— ამოიარე ჩვენსკენ, გაიხსენე ძველი ამბავი.

— გმადლობ, გმადლობ, ვეცდები!

ამ დროს შემოგვიერთდა სერიოჟა ქავთარაძე და იმანაც მთხოვა:

— წამოდი ვალიკო ჩვენსას, მართლა კაცის მჭამელები კი არა ვართ!

მე მადლობა გადაეუხადე მათ და გამოვემშვიდობე.

გავუდექი ტყის გზას და მეორე მხარედან შემიერთდენ გრ. ფხალაძე და ფ. ცერცვაძე.

— ეს ძალიან დავიძვრინეთ თავი! აწი თუ ვინმე შეგხვდა, ვუთხრათ: წადით, იქეიფეთ სერიოჟასთან!

ავედით სოფელ ჯგილათში და აქედან გავედით ჩემი მეუღლის სოფელ ბიღაში. მოგვიმზადეს მშვენიერი სამხარი, ცოტა დავისვენეთ და საღამოს წავედით კრებაზე სოფ. ბუჯაში, სადაც უკვე დაგვხვდა 65 კაცი აბაშიძის წისქვილთან. აქ მოხსენება გავაკეთეთ სამაზრო კონფერენციის შესახებ, დასამალი არაფერი გვქონდა...

რამოდენიმე დღის შემდეგ სვირიდან მივიღე წერილი, მიბარებდენ. ჩავედი სვირში და ამბავი დამხვდა, თბილისში

გიბარებენო. იმ დღესვე გავსწიე თბილისისაკენ, სადაც ვინახულე გოგიტა ფაღავა, რომელმაც დამავალა წავსულიყავი ქაქუცა ჩოლოყაშვილის სანახავად. მეგზურად გამატანა ვასო კობიაშვილი, ყოფილი მილიციის უფროსი. მე შევიძინე ხუთი წყვილი ხალათი, სამი წყვილი წუღა, რევოლვერის ვაზნები და წავუღე ქაქუცას. თან მქონდა ფულად ხუთი მილიონი მანეთი. გამატანეს აგრეთვე დაშიფრული ფოსტა. მე და ჩემი თანამგზავრი ჩავედით დუშეთში. ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი იქ უკვე აღარ იყო. თვით ქაქუცა წასულიყო ოთხი რაზმელით ხევსურეთში. რაზმის ნაწილი იაშვილის მეთაურობით წასულიყო ციეზე. იმ ღამეს გავათიეთ ხონის ჭალაში და მეორე დღეს გავემგზავრეთ ხევსურეთისაკენ. ხახობოსაკენ. მივაკვლიეთ გზას და ჩავედით მაღაროს კარში 18 სექტემბერს 1922 წელს. ქაქუცა განცვიფრებული შემხვდა:

— ეს ჭიათურელი კაცი ასეთ პირობებში ხევსურეთში როგორ ამოხვედიო?

მაშინ ქაქუცასთან იყვნენ, თუ არ ვცდები, საშა სულ ხანიშვილი, სერგო მაისურაძე და ლელო ჩიქოვანი; მგონი სხვებიც იყვენ, მაგრამ მე ისინი არ მინახავს. რაზმის ერთი ნაწილი კიდევ ელიზბარ ვაჩნაძესთან დარჩენილიყო.

მე აქ ავწერ ქაქუცასა და ჩემს საუბარს, როგორც იგი მოხდა, არც ვუმატებ და არც ვაკლებ რამეს. ავწერ ისე, როგორც დღიურში მქონდა მაშინ ჩაწერილი.

როდესაც ქაქუცამ და მე ერთმანეთი მოვიკითხეთ, შევუდექით საქმიან ლაპარაკს. პირველი ჩემი შეკითხვა იყო:

1. რა მიზეზის გამო ვერ გამოვიდა ხევსურეთი და იაშვილმა რატომ წაიყვანა რაზმი ციეგომბორის მთაზე.

ქაქუცამ ჩემ პირველ შეკითხვაზე ასეთი პასუხი მომცა:

ხევსურეთში გაგვიჩნდა მოღალატე; ეს იყო კომისარი ყიფიანი და ამან დიდათ შეგვიშალა ხელი. მაგრამ სჯობია მოკლეთ გითხრა ყველაფერი. კაცო! გახსოვს შენ რომ დაგცილდი თბილისში? ხომ გახსოვს ჩვენი შალვა, ქარუმიძე; ისე წასულა თავისუფალი ვიზით უცხოეთში, რომ მე არაფერი გამიგია. ამნაირად მოვწყდი თბილისს; მხოლოდ მერმე აღვადგინე კავშირი შალიკო ფავლენიშვილის საშუალებით. ის ჩავარდა და იქვე დახვრიტეს. ეს შენც იცი, თქვენი პარტიის წევრი იყო. მერმე თითქმის სულ მოვწყდი თბილისს; ვინ იცის, ვის არ მივანდვე კავშირის გაბმა, მაგრამ არა გამოვიდარა. ბოლოს ისევ გ. წინამძღვრიშვილის საშუალებით აღვადგინე კავშირი.

ქაქუცა ჩიღლოყაშვილი.

დაპირება ყველამ კარგად იცით, მაგრამ ბოლოს მაინც არავინ ჩნდება ადგილზე. შემომელია ყველაფერი. ერთ დღეს ამოვიდა ჩემთან დუშეთის მაზრაში სტუდენტი ვ. სინჯიკა-შვილი, ეროვნულ-დემოკრატი. მან მითხრა, ვერავინ ვერ ბედავს წამოსვლასო, ყველას ჩეკისტები თვალყურს ადევნებებენო. იყო კიდევ ჭიაბრიშვილი და შ. ჯავახიშვილი. ესენი თქვენი პარტიისა. საერთოდ ჩემთან მოქონდათ ხმა, რომ საქართველოში ყველა მაზრები იწყებენ გამოსვლასო, თორემ მე დუშეთზე მარტო არ წავიდოდი ამ ძალებით. არამც თუ მაზრები არ გამოსულან, არამედ აქ მყოფებმა, მიშა ლაშქარა-შვილმა და ნაცვლიშვილმა ვერ მიიღეს მონაწილეობა! თუ რატომ, არ ვიცი! დუშეთის გამოსვლაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ გ. გვერდწითელმა თავისი პატარა რაზმით.

ვალიკოჯან! დუშეთზე შეტევა-თავდასხმა დავიწყე კვირ-კობისთვის 15-დან და გასტანა 19 აგვისტომდე; მერმე უკან დავიხიე და ხევსურეთის ნაწილი იარაღით გამოვიდა 15 აგვისტოს. და თან გავიგე, რომ იაშვილს რაზმი მოუხსნია უჩემოდ და ცივ-გომბორზე წასულა. რატომ არ ვიცი! ხევსურებს მოუხდათ ბრძოლა რუსის ჯართან და დაამარცხეს იგი მაღაროს-კართან. რუსი ტყვეებიც წამოეყვანათ. ტყვეები თრთოდენ შიშისაგან და ყველა გავუშვი. ხევსურეთში მე ვიყავი არა როგორც ქაქუცა. არამედ ვეძახდი ჩემ თავს დათიკოს. მე, კაცო. პრაპაგანდისტობაც შემძლებია! აი, ხევსურეთში, ერთ კრებაზე ვილაპარაკე და ხალხი იძახდა:

— გაუმარჯოს ბელადს დუშეთში რომ იბრძვის ქაქუცაო!

ამ ლაპარაკის დროს ერთმა ხევსურმა ქალმა ამ ჩვენს ქაქუცა-დათიკოს წინდები მოუტანა:

— აჰა, დათიკო! ადექ ზეზე და შეატყობინე ბელადს, ხევსურეთი ყველა, ყველა თავის ალაგზეა-თქვა.

ქაქუცამ მე თვალი მიყო და ქალს დიდი მადლობა გადაუხადა. როცა ქალი გაბრუნდა, ქაქუცამ განაგრძო:

— კაცო, იცი ტ. შოშიაშვილის ვაჟი დაუკავშირდა გოგიტა ფალავას და მან კარგი საქმეები გამიკეთა. ერთჯერ დუშეთშიაც ამოვიდა, ორი იმერელი ყმაწვილი, მომიტანეს 12 რწყვილი საცვალი, ჩუსტები, ერთი ნაბადი, 5 ვინტოვკა 500 ცალი ვაზნათი. ეს გოგიტას გამოეტანებია. ახლა როგორც გავიგე, ტატეს ვაჟო დაუხვრეტიათ, მის ბებიას ესე იგი ტატეს დედას თავი ჩამოუხრჩვია. საცოდავმა ტატემ ჯერ არაფერი იცის, სულ მეტეხში ზის 1921 წლიდან! იმ ორ იმერელ ახალგაზდას რა ბედი ეწვია, არ ვიცი. ერთმა ისიც მით-

ხრა: ბატონო, რომ გოგიტა ფალავასათვის არ გვეთქვა, მალე ჩამოვალთო, ჩვენ აქ დავრჩებოდითო. მე სიცილით ვუპასუხე: გმადლობთ ახალგაზდებო, მაგრამ მე უფრო მეტ დახმარებას გამიწევთ თბილისიდან, ამიტომ ეხლა წადით-თქვა. ეს იყო 8 აგვისტოს 1922 წელს.

როცა ხევსურეთში გადავედი და ეკლესიაზე კრება მოვიწვიეთ, სოფელ ხახამოში, იქ ვილაპარაკე და ხალხს მოვუწოდე: დაეხმარეთ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, რომელიც იბრძვის დუშეთის მთებში-თქო. ლაპარაკი რომ გავათავე, ერთი ხევსური, გვარად ხოსიაური ავიდა სამრეკლოზე და იქიდან დამკითხა: აი, შენ დათიკოჯან, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ერთი ვაჟი რომ იარაღს იძლეოდა, აი ჩვენი მთავრობის დროს, სად არის იგი? ვიფიქრე: ვინ უნდა ყოფილიყო ეს ვაჟი და ვერ მივხვდი. ვიზედ ლაპარაკობ მეთქი, ვკითხე. გვარი ვერ მოიგონა, და მაშინ მე ჩამოვთვალე სახალხო გვარდიის შტაბის წევრების სახელი და გვარები; ბოლოს მიამსგავსა ვალიკო ჯუღელს. ის ხოსიაური ყოფილა თიანეთის მაზრაში გვარდიელად.—ბო, ვუთხარი მე.—ის ვაჟი არის ევროპაში და თუ ჩვენ მაგრად გამოვალთ, ისიც მოგვეშველება-თქო. მან გაიცინა და მითხრა: კარგი, კარგი! ჩვენ მზადა ვართ, ქუდზე კაცი გამოვალთ. მენშევიკური მთავრობა ვნახეთ, ბოლშევიკურიც ვნახეთ და ახლა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მთავრობასაც ვნახავთო!

ერთ დღეს მაცივებდა. დილით შემოვიდა ჩემთან ხევსური ქალი და მითხრა: ადექ, ვაქო, რას ჩაწოლილხარ?! ხომ ხედავ ქაქუცა ჩოლოყაშვილი დუშეთის მთებში იბრძვის! შენ კი არა გგავს იგი!

ასეთები, ვალიკო, ბევრი შემხვდა, და აბა, რამდენი ჩამოვთვალო! ხო ეხლა, ზოგი რამ მითხარი, მაგრამ დაწერილებით მაინც ვერ თქვი. კაცო! თუ ამდენი ძალა გყავდათ დასავლეთ საქართველოში და მერმე კიდევ სვანეთში, რატომ ვერ მოსწყვიტეთ ლიხის მთა? შენ სთქვი სვანეთმა დიდი თოვლით ისარგებლაო, აიღეს ლეჩხუმის სამაზრო ქალაქი ცაგერიო. ეს ერთობ კარგია. მაგრამ რას შვრება გურია-სამეგრელო?

ქაქუცას ამ შეკითხვაზე, მე ასე ვუპასუხე:

— ჯერ ერთი მზად არ ვიყავით; მერმე სოფლად და ქალაქად მოწყობილმა დემონსტრაციებმა დიდათ დაგვაზარალა, აუარებელი ხალხი დაიჭირეს, აი ისე, როგორც დაგვაზარალა სტუდენტების დემონსტრაციამ 25 თებერვალს 1922 წ. 24, 25, 26 მაისს. მერმე, არ იქნა და არა, არ შესდგა პარიტე-

ტული კომიტეტი თავის დროზე. მაგრამ ეხლა ჩვენ ვემზადებით მთელ საქართველოში მთლიანი აჯანყების მოსაწყობად. ეს აჯანყება ალბად მოხდება შემოდგომაზე.

.ამაზე ქაქუცამ მიპასუხა:

— თუ ამ შემოდგომაზე არ მოეწყო საერთო აჯანყება. მე მაშინ დროებით თავს შევაფარებ ჩრდილოეთ-კავკასიაშიო.

მე მივეცი მას მუდმივი მისამართი, როგორც ჭიათურის, ისე ლეჩხუმის. ვფიქრობდი, შეიძლება ყარაჩაიში გადავიდეს და მაშინ გამოადგეს ლეჩხუმის მისამართი-თქო. მან მომცა თავისი მისამართები: გარე-კახეთში—საუფლისწულო მამულის მისამართი, თელავში—მღვდელ ღვინიაშვილის, თიანეთში—მასწავლებელი ქალის. ჩვენ გადავკოცნეთ ერთმანეთი და დავცილდით სოფელ ხახაბოში 24 სექტემბერს 1922 წ.

ამის შემდეგ საქართველოში აღარ მინახავს ქაქუცა.— შევხვდი აქ, ემიგრაციაში და დავმეგობრდით ძალიან. ვიხსენებდი ხშირად ძველ ამბებს და მათ შორის ასეთსაც: როცა ჩვენი.სამხედრო ძალა იდგა მდინარე ბზიბზე და იქ ჩვენ ვებრძოდით დენიკინელებს, ქაქუცაც იქ იყო და ერთ დღეს მითხრა: კაცო, მინდა გვარი გადავიკეთო.—რა მიზანია,—შეეკითხე.—გარე-კახელი გვარდიელები არ მენდობიან. ჩუმად დაიწყეს ლაპარაკი: ეგ ხომ თავადია, ეგ დენიკინს არ დაუწყებს ბრძოლასო! ეგ გადავა იქითო!—მე გამეცინა და ვუთხარი: თუ გინდა, მოგცემ ჩემს გვარს!—შენ არც ხუმრობ. შენი გვარი ჯობია ჯუღელის გვარს. ჩუბინი კარგს მსროლელს ნიშნავსო.

ალექსანდრე დგებუაძე უსმენდა ჩვენს ლაპარაკს და იგი გაეხუმრა ქაქუცას: წადი, ერთი ხუთი წელი იმუშავე ქარხანაში და იქნები პროფესიით მუშაო!

ხევსურეთიდან თბილისში მშვიდობით დავბრუნდი. დაუყონებლივ ვინახულე გოგიტა ფალავა და ვაუწყე მას ქაქუცას და მისი რაზმის მდგომარეობა. გოგიტამ თავის მხრივ ახალი ამბები დამახვედრა: მეტეხიდან ჩეკაში გადაიყვანეს მძევლები და ამის გამო მეტეხმა შიმშილი გამოაცხადა. მძევლებად გამოუცხადებია ჩეკას შემდეგი პირები: გ. ლორთქიფანიძე. ა. დგებუაძე, ვ. ჯიბლაძე, ზ. გურული, ი. რამიშვილი. ლ. რუხაძე, ა. ლომთათიძე. კ. გოგუა, ა. ჭიაბრიშვილი, ა. სალუქვაძე და სხვანი, რომელთა გვარი.აღარ მახსოვს.

ჩეკამ მოითხოვა ამ პირთაგან. მათ ქაქუცა ჩოლოყაშვილი გამოეცხადებიათ ბანდიტად. ამაზე დასახელებულ პირებს

უარი განუცხადებიათ და ჩეკასაც ისინი გადაუყვანიათ მეტეხიდან იმ დამუქრებით, რომ თუ ქაქუცა მოახდენს კიდევ ბოლშევიკურ ხელისუფლებაზე თავდასხმას, ყველას დაგხვრეტთო. სოც.-დემ. ცეკას გამოუცია პატარა ფურცელი მოწოდება, რომლითაც მიმართავდა როგორც ქაქუცას. ისე ტყეში გასულ სხვა შეიარაღებულ რაზმებსაც, შეეჩერებინათ გამოსვლები.

გოგიტამ მთხოვა, მე ეს ფურცლები წამეღო ქაქუცასთან. მაგრამ ამაზე უარი ვუთხარი: ვინაიდან ეს ფურცელი უნდა გამევრცელებინა იმერეთში და სვანეთში. როგორც ვიცი, ეს ფურცელი წაიღო ქაქუცასთან შ. ჯავახიშვილმა. თბილისში ვიყავი კიდევ, როცა ამ ფურცელმა ნაყოფი გამოიღო და მძევლები ჩეკიდან მეტეხში დააბრუნეს.

აგრეთვე დუშეთის სოც.-დემ. პარტიის სამაზრო კომიტეტს გამოუცია ფურცელი, რომ არ იზიარებენ და გმობდენ დღევანდელ პირობებში ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანულ მოქმედებას. დუშეთის სამაზრო სოც.-დემ. პარ. კომიტეტი მოუწოდებდა დროებით შეეჩერებია ჩოლოყაშვილს აჯანყება და მზათ ყოფილიყვნ მთლიან აჯანყებისათვის.

მე გოგიტა ფაღავას გადავეცი ზემო-იმერეთის ანუ შორაპნის მაზრის შეიარაღებული რაზმის სია და საერთოდ აღრიცხულთა. 1922 წლის შემოდგომის დამდეგს, 8 ღვინობისთვეს ზემო-იმერეთს შემდეგი მალული მებრძოლი ძალა ყავდა:

	იარაღით	უიარაღოთ	ოფიცერი
ჩხარი	35	30	2
ჭიათურა	65	45	4
საჩხერე	25	35	2
სვირი	35	30	4
ბელაგორი	25	20	2
შორაპანი	50	60	6
	235	220	20

სულ 475.

თბილისიდან წავედი სოფ. სვირში, სადაც 2 ღვინობისთვეს 1922 წ. მოვიწვიეთ გაერთიანებული სამხედრო საბჭოს სხდომა ძგუნტის მთაზე. კრება ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, რომ მოვიდა გალო კაპანაძე და სთქვა, რომ თბილისიდან ვეწერენ: საჩქაროდ ორი კაცი გამოგვიგზავნეთო; მე უარზე დავდექი, მაგრამ აღარ მომეშვენ; მე და გალო კაპანაძე წავედით თბილისს.

გალო კაპანაძე და მე ჩავედით თუა არა თბილისში, ვინახულეთ გოგიტა ფაღავა, რომელმაც წაგვიყვანა მალულ კრებაზე; კრება იყო დიდი და იქ ჩვენ ვნახეთ ქუთაისიდან—თედორე ასათიანი, სევერიან ხვიჩია; გარე-კახეთიდან —ვანო მურმანიძე; წარმომადგენლები—თელავიდან, სიღნაღიდან, თიანეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, სვანეთიდან —სოლომონ ვადაჭკორია. სულ 26 კაცი. კრებას თავმჯდომარეობს კოლია ქარცივაძე. მომხსენებელი იყო გოგიტა ფაღავა.

კრებაზე გამოირკვა, რომ დამსწრეთა უმრავლესობა აჯანყების მომხრე იყო. აჯანყების თარიღად დასახელებული იყო 8 და 12 მწიფობისთვე 1922 წ. კრებამ მიიღო მეტად დრამატიული ხასიათი, როცა კენჭის ყრით გადის, რომ აჯანყება დაიწყება მთელს საქართველოში და აზერბაიჯანშიც. ამ დროს სიტყვა აიღო სეით დევდარიანმა და ბევრი მოსაზრება მოიტანა, რომ ჩვენ დავმარცხდებით. ქვას ქვაზე არ დასტოვებენ ბოლშევიკები, დახოცავენ ყველას, როგორც ციხეში მჯდომთ, ისე გარედ მყოფთა. ბოლოს მეტად აღელვებულმა და გამწარებულმა მოიკიდა ხელი თავის თეთრ წვერზე და სთქვა:

— აპატიეთ ამ თეთრ წვერს. მომეცით ნება ამ საკითხზე კიდევ შეეკითხოთ მეტეხსო.

გოგიტა ფაღავა ჩაერია ამ დროს და უპასუხა:

— ჩვენ უკვე შეეკითხეთ მეტეხს, და ისინი თანახმა არიანო.

— მადროვეთ, ამხანაგებო, კიდევ ოციოდე დღე,—ხვეწნით სთქვა სეით დევდარიანმა...

კოლია ქარცივაძემ დაუჭირა მხარი სეით დევდარიანს და აჯანყებისათვის გამზადებულ კრებას ცივი წყალი გადაესხა: აჯანყების საკითხი მოიხსნა; გადაწყვეტილ იქნა ყველა ტყეში გასული რაზმების დაშლა; წინადადება მიეცემოდათ მათ, ვისაც სიკვდილით სასჯელი არ მოელოდა, შერიგებოდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას. ამ გადაწყვეტილებით კრება დაიშალა. ეს ისტორიული კრება მოხდა 14 ღვინობისთვეს 1922 წელს.

გალო კაპანაძემ და მე, შეწუხებულებმა, იმედ-დაკარგულებმა დავტოვეთ თბილისი და მივაშურეთ სოფ. სვირს.

1922 წელი ის ხანაა, როდესაც საქართველოს ტყეები და მთები მოფენილი იყო გაქცეული პარტიული თუ არა პარტიული, მებრძოლი პირებით. პატარ-პატარა რაზმები თით-

ქმის ყველა კუთხეში იმყოფებოდენ და მათ თავისი ხელმძღვანელები ყავდათ. ხალხი მათ ინახავდა და ჩვენც მათთან გვქონდა კავშირი, რადგან მომავალ აჯანყებაში ისინი პირველ რიგზე მონაწილეობას მიიღებდენ.

ზემო-იმერეთში არსებობდენ ასეთი რაზმები. სოფელ სვირთან ზეგუნტის მთაში იმყოფებოდა რაზმი 18 კაცისაგან შემდგარი, მათ შორის იყო ვალიკო ჯუღელის ძმაც, ილიკო, რომელიც რაზმს მიემატა 1922 წლის 12 კვირიკობისთვეს.

18 ღვინობისთვეს 1922 წელს, გალო კაპანაძე და მე ავედით პირველად სოფ. სვირში და გავსწიეთ ძგუნტის მთისაკენ, სადაც რაზმს ქონდა ბინა. მისვლისას დიდი ამბით მიგვიღეს, დიდი სიხარულით შეგხვდენ და შეეუდექით კრებას.

— აბა, დაიწყე მოხსენება,—ეუთხაი მე გალო კაპანაძეს.

— არა, შენ დაიწყე,—მიპასუხა მან.

დავიწყე მოხსენება. თბილისში შესდგა ჩვენი პარტიული კრებაბ, გასარჩევი იყო აჯანყების დაწყების საკითხი. დაესწრო ამდენი და ამდენი დელეგატი, ეს და ეს პირი... კრება კარგად იყო მოწყობილი, არავითარ ჩავარდნას ადგილი არ ქონია... ვხედავ, ყველას უხარია, ყველას პირი უცინის, ყველა მოელის რომ ვიტყვი: ამა და ამ დროს იქნება აჯანყება თქო... და როდესაც ვთქვი:—აჯანყება გადაიდო-თქო,—ყველა გაშრა, ყველას ნაცრისფერი დაედო და ხმაგაკმენდილი დარჩა... და როდესაც ამას ზედ დავუმატე, რომ რაზმები უნდა დაიშალონ და ვისაც საფრთხე არ მოელის, ისინი უნდა შეუერიგდენ ხელისუფლებას-თქო, ილიკო ჯუღელმა ველარ მოითმინა და იყვირა:

— მობრძანდეს თვითონ სეით დევდარიანი და გაგვანიარაღოს!

პირველმა აღელვებამ და აღშფოთებამ გაიარა. ხალხი დაშოშმინდა და მსჯელობის შემდეგ—მიიღეს თბილისის კრების დადგენილება.

ილიკო ჯუღელმა და მე დავტოვეთ სოფელი სვირი და წავედით სოფ. ზედა-საზანოში, პირველად მივედით იაგორა გიგაშვილთან, იქ დაგვხვდა გრიგოლ ფხალაძე, ფ. ცერცვაძე და გაიმართა კარგი სადილი. იაგ. გიგაშვილმა სადღეგრძელო შესვა და ფ. ცერცვაძეს დაულია, ფილიფემ ადღეგრძელა წმინდათა წმინდა საქმე! იაგორამ გადიხარხალა, ბოშო რას ქვია წმინდათა წმინდა საქმე! ფილიპემ მოკლეთ აუხსნა: დევნილობასო; ეს თუ წმინდათა წმინდა საქმეა ჯერ მე არ გამიგონიაო. აქედან წავედით სადაც იმყოფებოდა რაზმი გრიგოლ აბაში-

ძის ხელმძღვანელობით. თავდაპირველად ეს რაზმი შეადგინა თვით რევკომმა ყაჩაღებთან საბრძოლველად; მისი წევრები ჯამაგირს არ ღებულობდენ; პარტიულად რაზმი სოც.-დემ. წევრებისაგან შესდგებოდა, ხოლო მისი მეთაური იყო გრიგოლ აბაშიძე—ნაციონალ-დემოკრატი.

როგორ გახდა ეს რაზმი ანტიბოლშევიკურ ძალად?

როგორც ვთქვი, ეს რაზმი დევნიდა ყაჩაღებსა და ქურდებს; ამ რაზმის წევრებს უცემიათ ერთი ქურდისათვის, რომელიც აღმოჩენილა სერიოჟა ქავთარაძის ნათესავი; მას უჩივლია გრიგოლ აბაშიძისათვის და სამი თვის ციხე მიუსჯიათ. გრ. აბაშიძეს შეეშინდა: ციხეში მომკლავენ ჩემ მიერ დაჭერილებიო და თავისი რვა კაცით გაიქცა ტყეში, სადაც იგი იმალებოდა და ჩვენ კი მას პატრონობას ვუწევდით.

აი, ამ რაზმთან მივედით ილიკო ჯუღელი და მე და მოვიწვიეთ ისინი კრებაზე, რომელიც გავმართეთ ჩიხორის ეკლესიის ქვემოდ. რაზმის გარდა ამ კრებას დაესწრო გრიგოლ ფხალაძე, გოგიტა აბდუშელი, ბ. მდივანი, მ. ჩუბინიძე (ძველი ნაკარტორღალი), ვ. ენუქიძე, თვით რაზმის ხელ მძღვანელი გრიგოლ აბაშიძე. დაისვა საკითხი განიარაღების შესახებ. ერთი ნაწილი იცავდა თბილისის დადგენილებას.—მეორე ამტკიცებდა:—ნუ განვიარაღდებით, შევინახოთ ყველამ თავი და მოვიცადოთო.

აქვე გავიგეთ ახალი ამბავიც: ვ. მანწკავა იყო ბოლშევიკების სამხედრო კომისარი შორაპანში, მაგრამ მას ამავე დროს კავშირი ქონდა ანტიბოლშევიკურ ძალებთანა, რომლებიც იმალებოდენ. გავიგეთ, რომ ეს ვ. მანწკავა თავის ამხანაგ ნესტორ ნებიერიძესთან ერთად ყოფილა გურიაში და იქ შეურიგებიათ გ. ღლონტის რაზმი.

ჩვენი კრების დასასრულს მოვიდა ერთი ჩვენი რაზმელი აბესალომ ურიათმყოფელი. გრ. აბაშიძის მოადგილე რაზმში და გადმოგვცა, რომ ხვალ 10 გიორგობისთვეს 1922 წ. მე დავუნიშნე პაემანი ვ. მანწკავას და თქვენც ინახულეთო. ილიკო ჯუღელი, ბიძინა მდივანი, გოგიტა აბდუშელი და მე წავედით ქვედა-სიზანოში და ჟუმბურიძის ბინაზე მოვიდა ვ. მანწკავა და ივანე ბერიძე (მუსულმანი).

ვლასა მანწკავამ გვითხრა:

— ამხანაგებო! გურია შევირიგეთ, ახლა თქვენზეა ჯერი; მოდით ვიმსახუროთ ბოლშევიკებთან და თუ გაქცევა იქნა აუცილებელი, მეც თქვენთან ვიქნებიო.

მე ვკითხე:

— თუ შეირიგეთ სერგო მათითაიშვილი, თეოფილე მუხაშარია, ვანო ცომაია?

— არა, თუ კაცი ხარ, ვალიკო ჯუღელი მკითხე!—მითხრა ვ. მანწკავამ სიცილით:

— მე გეუბნები, გოგია ღლონტის ბიჭები შევირიგეთქო, რიცხვით 35 კაცი.

მე ვუთხარი:

— ჩვენც არა ვართ წინააღმდეგი ხელისუფლებასთან შერიგების, მაგრამ პასუხს მოგცებთ ორ დღეშითქო.

ამაზე დავშორდით ერთმანეთს. ჩვენ ამოვედით საზანოში და გავმართეთ მეორე დიდი კრება მდივნების ახლოს, ზედა-საზანოში; მივიღეთ გადაწყვეტილება: შეეკითხოთ ცეკას და ისე მოვიქცეთ, როგორც მოგვწერენ.

იმდღესვე, 18 გიორგობისთვეს 1922 წ. ვაცნობეთ ცეკას ჩვენი ამბავი და 4 დღის შემდეგ გოგიტა ფალავასაგან მოგვივიდა პასუხი: არ ენდოთ ბოლშევიკებს, გატყუებენო!

მეორე დღეს ბიძინა მდივანმა მოგვიტანა ცნობა, რომ გოგია ღლონტმა, ლადია ლოლაძემ, ელასა მანწკავამ, დათიკო ერქომაიშვილმა გაძარცვეს ზესტაფონის სამილიციო დაწესებულება და ფეხით წავიდენ სვირისაკენო. ეს მოხდა 24 გიორგობისთვეს 1922 წ.

ჩვენ კიდევ გავმართეთ კრება ალექსანდრე მდივნის მარანში, სადაც დაესწრო 45 რაზმელი. ამ კრებაზე გრიგოლ აბაშიძემ გაგვიცხადა:

— აწი მე ვარ სოციალდემოკრატი. რა მაქვს მე საერთო ეროვნულ-დემოკრატებთან? ერთი ოჯახი ვერ ვნახე, რომ რაზმი მიიღოს და შეინახოს ეროვნულ-დემოკრატმა; სულ სოციალდემოკრატებია, როგორც შემნახველები, ისე მომუშავეები...

ვერც ამ კრებაზე გადავწყვიტეთ განიარაღება, ძნელი ყოფილა იარაღის აყრა. ყველას საპატიო მიზეზი ქონდა. ზოგი ამბობდა: კომისარი შემომაკვდაო; სალდათობას გამოვექეცი; ჩეკა მდევნისო და სხ. ერთმა ასეთი რამეც კი განმიცხადა:—კაცი მომაკვლევინეთ და ახლა მყრით იარაღს?

— ვინ მოგაკვლევინა და ვინ მოკალი კაცო?

— ვითომ შენ არ იცი.—მიპასუხა მან: შენ არ დაავალე ილიკო ჯუღელს მოგეკვლევინებინათ სვირის სოფლის კომისარი ცხვედაძე?

— არა, ძამია; აგერ არის ილიკო ჯუღელი! მაგის მსგავსი არაფერი ყოფილა.

ილიკო ჯუღელმა გააჩერა და სთქვა:

— შენ გეშლება, ამხანაგო! მე გითხარი ვირლამა კაპანაძემ დაგვალათქო.

რაზმელმა ბოდიში მოიხადა, მაგრამ მას იარაღი არც შემდეგ აუყრია. ეს იყო ახალგაზრდა კ. ჭ.

ზედა-საზანოდან ჩვენ წავედით სოფელ ჯგილათში და აქედან გადავედით ჩემ სოფელ ბიღაში, სადაც 17 შეიარაღებული რაზმელით ღამე გავათიეთ ჩემს სიმამრთან; აქედან გავედით მეორე ჩემს სოფელ ქვაციხეში, მიხაკო ყღენტის ოჯახში და დავრჩით აქ 5 დეკემბრამდე. დავსტოვეთ ეს სოფელიც და შევეხიზნეთ სოფელ კაცხს დ. და ბ. ბუჯუხიშვილების ოჯახში. იქ მოვიდა ჩემთან ორი ახალგაზრდა ეროვ.-დემოკრატი ალიოშა აბაშიძე და მ. საყვარელიძე და შემეკითხენ:

— რაშია საქმე? მართლა ძალით გაანიარაღეთ და ჩასწერეთ თქვენს პარტიაში გრიგოლ აბაშიძე?

— არაფერი მაგის მსგავსი არ ყოფილა. წადით და ნახეთ თვითონ გრიგოლი და ის მოგცემს პასუხს.

ეს სოფელიც დავტოვეთ და ავედით სოფელ ვაჭევში, ოველ ცერცვაძის ოჯახში და იქ ორი დღე დავრჩით.

ამ ჩვენი იძულებული ხეტიალის დროს ჩხარში მკვლელობა მომხდარა. იშხნელს მოუკლავს ჩხარის აღმასკომის თავმჯდომარე კოლია რობაქიძე და უფროსი მილიციონერი კორკოტაშვილი. როგორც გავიგეთ, იშხნელი არცერთ პარტიას არ ეკუთვნოდა, მაგრამ მას მოეძებნა ბიძინა მდივანი და ეთხოვა ჩემთან შეეხვედრებინა იგი. გოგიტა აბდუშელი და მე წავედით იშხნელის სანახავად სოფ. ტელეფაში. იშხნელთან ერთად იყო კიდევ ორი კაცი: ერთი მისი ცოლის ძმა ჭიჭიკო ჭუმბურიძე, მეორე—უგრეხელიძე. ყველა ესენი ჩვენ გამოგვყვენ.

მე ვიცოდი, რომ ილ. ჯუღელის და ბიძინა მდივნის რაზმი იქნებოდენ პორფილე სამყურაშვილისას; აქ მართლაც დაგვხვდა 24 შეიარაღებული კაცი; ამას მივემატეთ კიდევ ხუთი კაცი და მთელი დარბაზი ხალხით გაიჭედა. ამიტომ გავიყავით ორად. 15 კაცი ილიკო ჯუღელის მეთაურობით დავტოვე იქვე და 14 კაცით მე გადავედი პარმენა ქველაძის ოჯახში.

ვფიქრობ და ვატყობ, რომ თბილისის კრების დადგენილება ცხოვრებაში არ ტარდება: განიარაღების მაგივრად, ჩვენ უფრო იარაღს ვისხამთ და რაზმიც იზრდება. როგორც ვიცი, ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა კუთხეებშიაც.

ერთ დღეს საზანოდან მოვიდა ჩემთან შ. გიორგაძე და მომიტანა წერილი დ. კეთილაძის, რომელსაც თავისი რაზმი ყავდა სოფელ სვიმონეთში. იგი მთხოვდა მას შევხვედროდი.

ავდექით გ. აბდუშელი და მე, არ დავიზარეთ 35 კილომეტრის გარბენა და ჩავედით სოფ. სვიმონეთში.

შევხვდით დათიკო კეთილაძეს და მის რაზმელებს დანიშნულ ოჯახში. რას ნახავს უკეთეს ადამიანის თვალი?—ჟაბუკები! ერთიმეორეზე ულამაზესნი! კარგ იარაღში ჩამსხდარნი!

ჩემს შეკითხვაზე: თუ რა სურდათ, მათ მითხრეს:

— ჩვენ დღემდე დაკავშირებული ვიყავით ქუთაისის კომიტეტთან; ახლა მოგვწერეს: იარაღი აიყარეთ და მოაწყვეთ ბოლშევიკებთან შერიგებაო! ჩვენ ამას ვერ ვიზამთ. როგორ ავიყრით იარაღს; აბა ჩვენ ლეჩაქი გვხურებია თავზე! ჩვენ გთხოვთ თქვენ: მიგვიღეთ, შეგვიერთეთ.

მე ვუპასუხე:

— დიდი სიამოვნებით ვიზამდით ამას, მაგრამ ჩვენ თვითონ უნდა შევამოკლოთ ჩვენი რაზმი და თქვენ როგორღა წაგიყვანოთ? მხოლოდ ერთს გეტყვით: თუ წყნარად იქნებით, მაშინ მე მოგცემთ ოჯახებს, რომლებიც თქვენ შეგინახავენ.

დათიკო კეთილაძე და მისი თანამებრძოლნი ამაზე დაგვეთანხმენ და ამით გავათავეთ მოლაპარაკება. დიასახლისმა გაგვიშალა სუფრა და ვახშამის შემდეგ ერთმა ქალიშვილმა მოიტანა გიტარა და ჩვეულებრივი შაირების შემდეგ დაამღერა; ერთი სიმღერა ეხებოდა ქაქუცას, მეორე იქ მყოფ დათიკო კეთილაძეს:

«ქართლ-კახეთის მეომარო, ჩოლოყაშვილო,
ხმალი კარგად მოუქნიე, არ დააცილო!»

და მეორე:

«დათიკო ვარ კეთილაძე
არ მოვკვდები მტრის ჯინაზე!»

ამ კეთილაძეს დავუტოვე ჩემი მისამართი და წავედი სოფელ რგანს, სადაც დამხვდა სტუდენტი კ. სამყურაშვილი; მისგან გავიგე, რომ მეორე დიდი ეტაპი გადასახლებულებისა მეტეხიდან ციმბირს გაისტუმრესო. მე ძალიან მაწუხებდა რაზმის ბედი და ეს სტუდენტი გავაგზავნე საჩხერეს მ. წერეთელთან. მე მას ვთხოვდი: თუ შეიძლებოდა ორი კვირით შეენახა ჩვენი რაზმი.

— სიამოვნებით მიგელიანო,—მითხრა დაბრუნებისას სამყურაშვილმა.

20 კილომეტრია გასავლელი. სიცივეა და ყინავს. რაზმე-

ლები ცუდათ არიან ჩაცმული. მაგრამ რას ვიზამთ. მივდივართ. მდინარე ჯრუჭზე ხიდი აღარ აღმოჩნდა. გავიხადეთ ფეხზე და გაყინულ წყალში გავედით. მივაღწიეთ სოფელ ბაჯითს. აქ გავაჩერე რაზმი მინდორზე და ვუთხარი (სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს რაზმში სამი ყოფილი ოფიცერი იყო: ილიკო ჯუღელი, ლადო ბურჯანაძე კაკაურიძე):

ჩვენ მივდივართ დიდი თავადის ოჯახში; უნდა მოიქცეთ წესიერად! საჭირო არ არის ხელზე აკოცოთ დიასახლისს, კნეინას.

ილ. ჯუღელმა და ბაჭუჭიამ პროტესტი გამოცხადეს:

— შენ ვიღაცა ხარ, რას ფიქრობ? ზრდილობა დაგავიწყდა?

შეიქმნა ამ საკითხზე დავა და მალე გადაწყდა, რომ დიასახლისისათვის ხელზე არავის ეკოცნა.

ვუახლოვდებით საჩხერეს. მინდორზე შორს იარაღის ლანდს მოვკარი თვალი. მე წინ ვარ როგორც გზის მცოდნე და ამ ლანდმა შემაჩერა. დავუძახე პ. ქველაძეს და შ. გიორგაძეს და ვუთხარი:

აი იმ ტყის თავში მგონია იარაღიანი ხალხი უნდა იყოს; მილიცია არ იყოს, სასწრაფოდ დაზვერეთ.

ჩვენ გავიშალეთ, გავიფანტეთ და ვუცდით.

დაბრუნდა პ. ქველაძე და მეუბნება: მილიცია არსად არ არის. შალვა იქ დარჩა მათთან.

— ვისთან დარჩა, კაცო?!

— იქ არის რაზმი ნადირაძისა და გამყრელიძის მეთაურობით; მიდიან ამაღამ საჩხერეზე დასაცემად.

გავიძღოლიეთ პ. ქველაძე და მივედით იმ პატარა ტყესთან. აქ ვნახეთ რვა კაცისგან შემდგარი, კარგად შეიარაღებული რაზმი ლომინო გამყრელიძის და გურულ ძმების ნადირაძეების მეთაურობით.

ურთიერთ მისალმების შემდეგ ვკითხე მათ:

— სად მიდიხართ? რისთვის მიდიხართ?

— გავიგეთ რომ აჯანყებაა და ჩვენც გვინდა მონაწილეობა მივიღოთო!

ამ რაზმის ხელმძღვანელი ლ. გამყრელიძე იყო ძველი გვარდიელი; სომხეთის ომის დროს, შეტაკებების დროს გმირობისათვის დაჯილდოებული იყო ჯვრით. მაგრამ მე ამას არ მოვერიდე და შევძახე:

აიყარეთ იარაღი, თქვე ბაცაცებო!

— სირცხვილს ნუ გვაჭმევთ, იარაღს ნუ აგვყრით! ჩვენ არაფერს არ ვიზამთ უთქვენოდ.

დიდი მოლაპარაკების შემდეგ ჩვენ ისინი დავტოვეთ იარაღით პატიოსანი სიტყვის ქვეშ და მივედით გოდაბრელიძეებთან, სადაც ცხელი მჭადით, მქავე ფხალით და ღვინოთი გაგვიმასპინძლდენ. მერმე ავედით საჩხერეში, აქ შეგვხვდა მ. წერეთელი, შეგვიყვანა ერთ დიდ ეზოში ეს ოცდაათი კაცი და მერე აგვიძღვა დარბაზში. დიდ სელის სკამზე ზის კნეინა მარუსია ფრიდონ წერეთელის მეუღლე. მან გამომიწოდა ხელი და ვემთხვიე. იქვე იდგა თვით ფრიდონი ჩოხაში გამოწყობილი და შეიარაღებული. ფრიდონი სიცილით შემეგება და მკითხა:

— რად დაიგვიანეთ?

აქედან გავედით მეორე დარბაზში, სადაც ხალიჩები იყო დაგებული, და დავსხედით. რაზმელები ჩუმად იცინიან, თავს ველარ იკავებენ:

— ჩუ, კაცო, სირცხვილია ამდენი სიცილი?

სიცილი შესწყვიტა ფრიდონ წერეთლის ხმამ:

— აბა, მზარეულო, ჩქარა საჭმელ-სასმელი!

სუფრა სწრაფად გაშალეს; ამდენი ხალხი შემოუჯდა და შეექცა ვახშამს.

კნეინა მარუსია მეკითხება:

— ამდენ ხალხში ერთი გურული არ გირევიათ?

ფრიდონმა გადაიხარხარა:

— როგორ, კნეინა, გურიის გარდა ფირალები არსად არის თუ?

— არა, მაგრამ...

— ხო, შენ გურული ხარ... (იგი იყო მაჭუტაძის ასული).

მოგვასვენეს ყველა ერთ დარბაზში. აქ რაზმელები ამიტყდენ:

კაცო, რატომ დაარღვიე დადგენილება და აკოცე დიასახლისს ხელზეო?

— სულ დამავიწყდა, ისეთი კარგი და ლამაზი ქალის ხელი რომ დავინახეთქო.

თურმე ამაზე იცინოდენ წელან.

მერმე ატყდა რაზმელი ვ. ბრეგვაძე:

— გამაგებინეთ რა არის ფირალიო.

ილ. ჯუღელმი უთხრა:

— შენისთანა კაცია ფირალი!

— როგორ? მე როდის გავათავე ფირალობის სკოლაო.

გამთბარი და დანაყრებული რაზმელები კარგ ხასიათზე იყვნენ...

მეორე დღეს ჩამოვარდა ასეთი საუბარი:

— ტანზე არ გვაცვია, ფეხზე არ გვაცვია, ფული არა გვაქვს! აჯანყება ხომ არ არის და არ არის. მოდი ერთი თავს დავესხათ ჭიათურას, ავიღოთ, გამოვიტანოთ ფული; ზოგი ჩვენ მოვიხმაროთ, ზოგი პარიტეტს მოვახმაროთო.

მე ამ ლაპარაკისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. რამდენ რამეზე არ ლაპარაკობდა ხალხი!

ერთ დღეს გავიგეთ, საჩხერეში ამოსულა მაზრის უფროსი კარპიოზ ბარბაქაძე და რევკომის თავმჯდომარე ალექსანდრე ვაშაძე (საჩინოსი). მაშინ ბ. იშხნელმა სთქვა:

— ნამდვილად მოგვაგნეს; მოდი, გავიდეთ ეს 30 კაცი, ავიღოთ საჩხერე და გავიტაცოთ ეგენიო!

მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. რაზმი იარაღს არ იყრიდა და არ იშლებოდა. შეუძლებელი ხდებოდა მისი დიდი ხნით შენახვა და პატრონობა. ამიტომ მე ვაცნობე ჭიათურას მიეღოთ სასწრაფო ზომები რაზმის დასაშლელად. ჭიათურიდან ამოვიდა ს. კაციტაძე, კ. გაფრინდაშვილი (ჩიხრიხი), ექიმი და გვნახა ეს 30 კაცი. დიდი დავისა და კამათის შემდეგ გადაწყვეტილ იქნა: გაიყოს რაზმი სამ ნაწილად, რათა უფრო ადვილი იქნეს მისი შენახვა. ერთი ნაწილი გაჰყვა ილ. ჯუღელს; მეორე—ბ. მდივანს; მესამე—ბ. იშხნელს.

ჩვენ მაინც დანაწილებამდე ერთად გავედით სოფ. კაცხში და ვისადილეთ იქ ერთი თავადის ოჯახში.

ბ. იშხნელს არ ეძინა, თუ მასთან საიმედო ვინმე არ იყო. ერთჯერ მითხრა კიდეც:

— კაცო, თვალწინ მიდგას ის ოჯახქორი აღმასკომის თავმჯდომარეო! და მომიყვა, თუ როგორ და რა ნიადაგზე მოხდა ის მკვლელობა.

კ. ბარბაქაძე, ბ. იშხნელი, ფირანა ზანდუკელი, ლადია ლოლაძე, გოჯა ლომთათიძე, ბიძინა მდივანი, გრიშა წერეთელი (ვასილის გრიშა) და ალექსანდრე ხვედელიძე იმყოფებოდნენ ფედერალისტთა რაზმში; როცა რაზმი დაიშალა, ლადია ლოლაძემ, ფირანა ზანდუკელმა, კარპიოზ ბარბაქაძემ და ორმა კიდევ სხვამ 1919 წელში გაიტაცეს სომეხი ვაჭარი არამიანცი. გოჯა ლომთათიძე მოკლეს ბორჯომში; ფირანა ზანდუკელი—მცხეთაში; ლადია ლოლაძე—დავიჭირეთ ჭიათურაში და გავაგზავნეთ თბილისში.

კ. ბარბაქაძეს და უფლებას, რომელნიც ყაჩაღობდნენ და

იკლებდენ შორაპნის მაზრას, ინახავდა იშხნელი; მაგრამ ორივე დაიპირა ჩვენმა მილიციამ ლევან გამყრელიძისა და ვარლამ კაპანაძის მეცადინობით 1920 წლის სექტემბერში.

როცა საქართველოში ბოლშევიკები დამყარდენ კ. ბარბაქაძე დანიშნეს შორაპნის მაზრის მილიციის უფროსად.

იშხნელი განაგრძობდა სოფლის მეურნეობას და ბარბაქაძესთან ძალიან კარგ განწყობილებაში იყო. ერთ დღეს კ. ბარბაქაძე ეუბნება ბ. იშხნელს:

— გააჭირვა საქმე ჩხარის აღმასკომის თავმჯდომარემ. არაფერს არ ზოგავს, ეწევა ინტრიგებს, რომ მე ამ პოსტიდან გადმომაგდოს! მე არაფერი მიჭირს, სანამ ა. ვაშაძე იქნება. მაგრამ ხომ იცი, შენზე იყრის გულის ჯავრს, წისქვილები ბევრზე რო დაგიტოვე ჩამოურთმეველი; მან ორჯერ დასვა საკითხი, რომ შენთვის წისქვილები ჩამოერთმიათ და მამიდაშენის ქონებაცო. ახლა მეტი გამოსავალი არ არის, უნდა მოკლა იგი, და მე ყოველთვის დაგიფარავო. გამოგიგზავნი მაუზერს ჩემი მილიციონერის ხელითო. ეს მილიციონერი იყო იშხნელის ცოლის ძმა ჭიჭიკო ჭუმბურიძე.

ამის შემდეგ გავიდა ორი კვირა; კ. ბარბაქაძე ამოვიდა ჩხარში და მისაყვედურა:

— კაცო, რას შვრები? რა ქენი? ვერ ასრულებ დავალებას?

მე მას ვთხოვე ერთი კვირის ვადა. ავდექი, წავედი ზესტაფონში და ვნახე მიხა გვალია; ვუამბე მას ყველაფერი და მან მოიწვია ეროვნულ დემოკრატების სამაზრო კომიტეტის სხდომა: მიხა გვალია, დავით ბატონიშვილი (ბაგრატიონი) და გიორგი ერისთავი. აქ დაისვა ეს საკითხი. იმგენმა დამიდასტურეს ოა ბატონიშვილმა მომცა კარაბინი. ავედი ჩხარში, გამოვემშვიდობე ცოლშვილს, და შეიარაღებული გავედი ბაზარში. ყველას უკვირდა იარაღიანს რომ მხედავდენ. ბაზარში ვერ ვერ ვნახე აღმასკომის თავმჯდომარე და ამიტომ წავედი თვით კანცელარიაში. თავმჯდომარე რობაქიძე ზის თავის კაბინეთში და მუშაობს. გადმოვიღე ეს კარაბინა და ვუთხარი:

— ადექ ზეზე, უნდა მოგკლა! მას გაეცინა და მითხრა:

— რას ხუმრობ! გასწი თოფს იქით!

ჩემმა კარაბინამ იჭექა და უსულოდ დაეცა რობაქიძე. შევხედე: სახე უცინის!

გამოვდივარ გარედ და შემეჩეხა უფროსი მილიციონერი. მიძახის:

— დაყარე იარაღი?

— გამცილდი! შენ არ გერჩი!

მომიღერა რევოლვერი. მაგრამ მასაც მოვასწარი და გავაგდებინე სული.

ეს მკვლელობა, რასაკვირველია, გაიგო კ. ბარბაქაძემ და დევნა ჩემთვის არ დაუწყია. მე ტყეად გაველი და თან ჩემი ცოლის ძმა. სულ თვალწინ მიდგას აღმასკომის თავმჯდომარე სიცილით მკვდარი და ამას ვერ ვურიგდებიო. ასეთი იყო იშხნელის საქმე.

როგორც ვთქვით რაზმი უკანასკნელად ერთად იყო სოფელ კაცხში და აქ დანაწილდა და სხვადასხვა გზით წავიდა.

მე პირადათ თავი შევაფარე სოფელ ვაჯევს და აქ მომივიდა ცნობა, რომ იშხნელმა და ჯუღელმა მატარებელი გაძარცვეს ბოსლევის სადგურზეო—23 დეკემბერს 1922 წ.

მე ამ ამბავმა აღმაშფოთა, რადგან ვიცოდი, თუ რაზმელები ძარცვა-გლეჯას მიყოფდენ ხელს, ბოლშევიკები მთელს მაზრას ააწიოკებდენ და ბევრ ხალხს დახვრეტდენ. ამიტომ გადავწყვიტე მომეძებნა ილიკო ჯუღელი და იშხნელი. ამ მიზნით გავეშურე საზანოსაკენ, მაგრამ ისინი მიძინა მდივანთან ერთად სვირისაკენ წასულიყვნენ. მივაგენი ბიძინა მდივანს. რომელსაც 8 კაცი ყავდა, უნაგერას ტყეში, ჯოგოსაკლავზე. ამბის გამოკითხვისა და ჩემი სასტიკი საყვედურების შემდეგ მდივანმა გადმომცა შემდეგი:

ბ. იშხნელმა მიიღო მისა გვალიასაგან წერილი, რომ პარიტეტის დავალებით გიბრძანებთ: ამ საღამოს მოდის ჭიათურის ხაზინის ფული 32 მილიარდი მანეთი (ბონებით) და გაიტაცეთო. მართლაც, ისინი მომზადებულან, თავს დასხმიან მატარებელს. გაუჩერებიათ, მაგრამ ფული ვერსად უპოვნიათ! ფული შორაპანში დაუტოვებიათ და მხოლოდ შემდეგი მატარებლისათვის გამოუტანებიათ. ასე რომ ეს თავდასხმა მარცხით დასრულებულა!

შორაპნის მაზრაში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაიწყო სასტიკი ჭერა და დაჭერილების წამება, მაგრამ მეთაურებს ვერ მიაგნეს. დაიჭირეს თვითონ მილიციის უფროსი კ. ბარბაქაძეც, წაიყვანეს თბილისში და იქ ხელწერილი დაადებინეს, რომ დაიჭერდა ყველა მეთაურს. დაბრუნდა კ. ბარბაქაძე, დაიჭირა ბიძინა მდივნის ძმა, ოფიცერი, მისი დედ-მამა; დაიჭირეს აუარებელი გლეხები; შორაპნის ციხე გაივსო. დაიჭირეს ალექსანდრე წულუკიძე, მისი ვაჟი. ამ უკანასკნელმა ბევრი ცემა ვერ აიტანა და დაასახელა თავდასხმის მეთაურები, რომელთა გვარები იცოდა. ბოლშევიკური ადმინისტრა-

ცია გამწარებული ეძებს ბუჭუჭა იშხნელს, ილიკო ჯუღელს, ბიძინა მდივანს, გრიგოლ აბაშიძეს, რომელსაც თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია. ჩეკისტმა ჯიქიძემ მოკლა უდანაშაულო პირი არქიფო მერკვილაძე; გადააყენეს საგუბერნიო ჩეკის თავმჯდომარე ქუთაისში კობიძე, გადააყენეს და დაიჭირეს კიდეც... მაგრამ დამნაშავენი მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში.

დაიწყო 1923 წელი. მოვიდა მეტად დიდი თოვლი. ტყედ და მთაში მყოფ გაქცეულებს ძალიან გაუჭირდათ თავის შენახვა. რაზმელი უგრეხელიძე ყვავილბატონებით გარდაიცვალა სოფელ გაზოვრეთში გრიშა კაკაურიძისას. ბ. იშხნელი დაშორდა მიხა გვალიას; ამ უკანასკნელსაც ადმინისტრაცია გაფაციცებით დაეძებს.

მატარებელის გაძარცვასთან დაკავშირებით დაიწყეს პოლიტიკური ხალხის დაჭერაც. ჭიათურაში დაიჭირეს: ტერენტი წერეთელი, იონა ბელიაშვილი, ვასილ კაპანაძე, დათიკო მოდებაძე, ჩიქვილაძე და სხვა—სულ 18 კაცი.

15 იანვარს 1923 წ. მე დამეცენ ჩემს ბინაზე სოფელ ქვაციხეში, მაგრამ მე მოვასწარი სახლიდან გასვლა და გაქცევა.

გავედი სოფ. სვირში ვ. კაპანაძის სანახავად, მაგრამ იგი იქ არ დამხვდა. გავათიე ღამე წაქაძისას და წავედი სოფ. დიმს, სადაც ვინახულე ვ. კაპანაძე. ჩემთვის გამოსარკვევი იყო, მართლა პარიტეტის დავალებით მოხდა მატარებელზე თავდასხმა თუ არა? თუ თვითონ თავდასხმელებმა მოაწყვეს იგი? ვ. კაპანაძემ განმიმარტა, რომ არავითარ პარიტეტს არავითარი ასეთი განკარგულება არ გაუცია და რომ თავდასხმა მოწყობილი იქმნა დავით ბაგრატიონის, კარპიოზ ბარბაქაძის და ბ. იშხნელის მიერ, მაგრამ რათა ილიკო ჯუღელი და ბიძინა მდივანიც დახმარებოდენ, ამიტომაც იხმარეს პარიტეტის სახელი, და კიდეც დაღუპეს როგორც რაზმელები, ისე მთელი საზანო-გზოვრეთი. აუარებელი ხალხი ყრია ციხეში. როცა გაიგო იშხნელმა, რომ თავდასხმა მოეწყო არა პარიტეტული კომიტეტის ბრძანებით, არამედ მოწყობილი იყო კერძო პირების მიერ, ახლა მიხა გვალია და დავით ბაგრატიონი თვალით არ დაენახება. ერთი სიტყვით, ეს იყო საძაგელი პროვოკაცია! ამას გარდა ჩვენც დიდი მარცხი მოგვივიდა. თბილისს გავგზავნეთ გალო კაპანაძე; ის იქ დაუჭერიათ და გაქცევა დაუპირებია, მაგრამ მოუკლავთო.

ყველა ამ ამბებმა მე ძალიან შემაწუხა და დამაღონა. დავსტოვე სოფ. დიმი და ვ. კაპანაძემ თან გამომატანა ხელით

საბეჭდი მანქანა, რომელიც მე უნდა გადამეცა სოფ. საქარაში ყოფილ იუნკერ ბ. ფერაძისათვის, სხვა ქაღალდებთან ერთად. საქარაში ჩავედი 4 თებერვალს 1923 წ. და აქედან დავბრუნდი ჩემს სოფელ ბიღაში.

აქ მე ცუდათ შევიქენი. დიდ ომში მიღებული ჭრილობა გამეხსნა და სიცხე მომცა. ღამის პირველი საათია და ჯერ კიდევ არ მძინავს: რაღაც კოშმარში ვარ და ვიტანჯები. მოატანა განთიადმაც. ჩემი სიმავრი ადგა და დაიწყო მზადება ჩხარს წასასვლელად პარასკევობაზე; ვაბარებ: გამიგოს ბიძინა მდივნის ამბავი. უცებ გარედან მოისმა ძახილი:

— დავით გოცაძე, დავით გოცაძე!

ეძახიან ჩემს სიმამრს, იგი გარედ გადის და მსწრაფლ შემოერტყმიან მილიციონერები.

— სად არის შენი სიძე, სად არის ვალიკო ჩუბინიძე?

— არ ვიცი, მე რა ვიცი!—უპასუხებს ჩემი სიმამრი და ალბად ფიქრობს, რომ ვუშველი თავს. სახლში ერთი პატარა საფარი მქონდა, რომელმაც წინად ორჯერ გადამარჩინა დაჭერას, და მეც ვაპირებ საფარისაკენ, რომ ამ დროს ჩემმა ბავშვმა ასტეხა ყვირილი:

— მამა, მამაა!

დამალვა აღარ შეიძლებოდა. ავიყვანე ბავში ხელში და დავუძახე მილიციონერებს:

— აქა ვარ, ამოდით ზევით!

აივანზე ამოვიდენ იაკობ ქურციკიძე, ისიდორე ჯავახიძე და გიორგი ბიწაძე. ისინი ყვირიან:

— გააღეთ კარები, გააღეთ!

ჩემმა მეუღლემ კარები გააღო და შემოცვივდენ ოთახში:

— აწიე ხელები მაღლა!

— რა გაყვირებთ! ხომ ხედავთ ბავში მიჭირავს ხელში!

— ხო, ერთხელაც გეჭირა ბავში და გაიქეცი,—დაიძახა ს. სირაძემ. გაჩხრიკეს მთელი სახლი, ვერაფერი ნახეს (ჩემი იარაღი საფარში მქონდა მოთავსებული). მაშინ ვუთხარი ცუცქირიძეს (ეს ის ცუცქირიძეა, რომელსაც აფრასიონ მერკვილაძის გაცემას აბრალებდენ):

— შეადგინეთ ოქმი, თუ რა ნახეთ სახლში.

ოქმი დავაწერინე და მასზე ქვაციხის თემის თავმჯდომარის პავლე გოცაძის ბეჭედი დავაკვრევინე. წამიყვანეს ჭიათურისაკენ. გზაში შემხვდა ჩემი უნცროსი ძმა გრიგოლი და დაჭერილი რომ დამინახა, ატირდა; მე მას ვანიშნე შეეტყობინებია ჩემი მეგობრებისათვის ჩემი დაჭერა.

მართლაც, გზაზე სოფელ ქვაციხეში დამხვდა მელიტო ჩუბინიძე. აქვე შევხვდი კოწია კუპატაძეს, რომელსაც ვაცნობე, რომ აპირებენ შენი ძმის შალიკოს დაჭერას და შეატყობინე სოფელ ჯვარიეწერში თქო. ვაგონის ერთ მუშას ჩაჩანიძეს ყური მოეკრა, რომ გზაში გააქცევენ ვალიკოს და მოკლავენო,—ამიტომ მელიტონ ჩუბინიძეს მოუხერხებია და თან გამომაყოლეს კომსომოლი ამბროსი ბრეგვაძე. მშვიდობით ჩავედით ჭიათურაში. აქ მე ჩამსვეს «ჩონ»-ის სარდაფში და დარაჯად მომიყენეს ერთი სპარსელი ხალილა ასკაროღლი. მან მითხრა:

— თუ მთელი ღამე აქ დავრჩი, ვალიკო, მე შენ მოგიხერხებ გაქცევასო.

მაგრამ მე ამომიყვანეს და გადამიყვანეს ციხეში, სადაც დამხვდა ფილიპე ცერცვაძე.

მეორე დღეს, 10 თებერვალს 1923 წ., ციხეში მეწვია შეზარხოშებული ალექსანდრე ვაშაძე (სიკოვიჩი), «ჩონ»-ის უფროსი; გამიყვანეს მილიციის სადგომში და აქ დამიწყო დაკითხვა ალ. ვაშაძემ:

— რა იცი შენ ილიკო ჯუღელის, ბაჭუჭი იშხნელის და ბიძინა მდივნის შესახებ?

— არაფერი ვიცი და არც არავითარი კავშირი არა მაქვს მაგ ხალხთან.

ალექსანდრემ იძრო ცხრა-ნომერა ბრაუნინგი და დამიწყო ცემა; ვეღარ გავუძელი სასტიკ ცემას: ცხვირპირიდან სისხლი მომდიოდა, გადამიტყდა მარცხენა ბეჭის თავი და უგრძნობლად დავეცი ძირს. გადავუყვანივართ ისევ ციხეში, მაგრამ ტკივილების გამო მთელი ღამე არ დამიძინია.

მეორე დღეს ორი მილიციონერის თანხლებით გამაგზავნეს ზესტაფონის ციხეში. შორაპანში მატარებელით ჩასვლის შემდეგ, ფეხით წავედით ზესტაფონისაკენ. გზაში დაგვეწიენ მიხაკო აბდუშელიშვილი და მარგალიტა ტუსკიასი; ესენიც ზესტაფონში მოდიოდენ ციხეში მყოფ გოგიტა აბდუშელის და ანტონ ტუსკიას სანახავად. მილიციონერებმა ისინი ახლოს ჩემთან არ მოუშვეს, მაგრამ შორიდან ცოტა ხმა მაინც გამცეს.

მე შემიყვანეს სამაზრო ჩეკაში და აქ ჩამაგდეს სარდაფში. აქ ვნახე გოგიტა აბდუშელიშვილი და გრიშა წერეთელი (ვასილიჩი). გოგიტასაგან გავიგე, რომ ტყეში მყოფ იმ რაზმს, რომელიც ჩვენ ერთხელ შეგვხვდა ლომინა გამყრელიძის მეთაურობით, გაუძარცვავს ტყისმცველი წერეთელი; ბოლშე-

ვიკურ ადმინისტრაციას ყველა დაუჭერია და გადაუგზავნია ქუთაისის ციხეში.

ორი ღამის შემდეგ ამოგვიყვანეს მაღლა და იქ ჩაიყვანეს თბილისში გადასაგზავნი 26 კაცი, რომელსაც ტერენტი წერეთელის ჯგუფს ეძახდენ.

ჩვენ გვდარაჯობს მილიციონერი ლელაძე. გ. წერეთელი დიდი ხუმარა და მხიარული კაცი იყო; როგორც შეუძლია გვართობს და დაიწყო ცეკვა; გოგიტამ ტაში დაუკრა. ამ დროს შემოვიდა მილიციონერი ლელაძე და რომ დაინახა გ. წერეთელის ცეკვა, დასდო თოფი ძირს და გამოეცეკვა გრიშას. უცბად მოგვადგა ჩეკისტი გაგუა, ალბად ტაშისცემის ხმა შემოესმა და რომ დაინახა, რომ დარაჯი მილიციონერიც ტუსაღებთან ერთად თამაშობს, გაეცინა, აიღო თოფი და უთხრა ლელაძეს:

— კაცო! შენ ხარ ტყვე, თუ ესენი?

— მე აწი, ბატონო, აქ გამჩერებელი აღარ ვარ!—უპასუხა ლელაძემ და წავიდა. დაგვიყენეს ახალი მილიციონერი ჭანტურიძე.

ალბად ცეკვისათვის დასასჯელად მეორე დღეს სარდაფში ჩაგვყარეს ყველა. აქ წყალი ხელოვნურად იყო შემოყვანილი; ვჯდებოდით კიბეზე. ეს კიბეც აგვაცალეს და დავრჩით ფეხზე წყალში.

აქ გაგვაგებინეს, რომ მოკლეს გრიგოლ აბაშიძეო. თურმე იგი მესარიგებლად მიდიოდა ალექსანდრე ვაშაძესთან (საჩინოსი), მაგრამ ვაშაძემ წინდაწინ მილიციონერები ჩაუსაფრა და მოკლეს აბაშიძე 16 თებერვალს 1923 წელსო.

მეორე დღეს სვირში თავს დასცემიან ბაჭუჭი იშხნელს; მომხდარა შეტაკება; ბაჭუჭის დაუჭრია უფროსი მილიციონერი ილიკო წაქაძე. მაგრამ თვითონაც დაუჭრიათ; მაინც მას გაქცევა მოუხერხებია სოფელ დიმისაკენ.

დავით ბაგრატიონი ამ დროს უკვე მილიციაშია. მას მიუგნია იშხნელისათვის და ეს დაჭრილი კაცი ხელში ჩაუგდიათ. წამოუყვანია ზესტაფონისაკენ; ეს გაუგია კ. ბარბაქაძეს, შეშინებია იშხნელმა ჩემზე არაფერი სთქვასო. და უცნობებია დავით ბაგრატიონისათვის: ცოცხალი არ ჩამოიყვანოო. ბაჭუჭი იშხნელი და მისი ცოლისძმა ჭიჭიკო ჭუმბურიძე გზაში მოკლეს 17 თებერვალს 1923 წ.

სამივე დახოცილი: აბაშიძე, იშხნელი და ჭუმბურიძე.— ურმით მოიტანეს ზესტაფონის ჩეკის წინ და აქ ააყუდეს კედელზე...

ჩვენ: გოგიტა აბდუშელი, გრიშა წერეთელი და მე გაგვიძახეს ჩეკაში დასაკითხად. ამ დროს ჩეკის თავმჯდომარე იყო სევერიანე ტუღუში, კაცი მაინცდამაინც ზომიერი; ხოლო მისი მოადგილე კიჟო გაგუა, ყოვლად ოხერი და დაუზოგველი. წამოგვიყენეს სამივეს შემდეგი ბრალდება: კავშირი შორაპნის მაზრაში შეიარაღებულ რაზმებთან; კავშირი მატარებელის გაძარცვასთან. სამივემ. რასაკვირველია, უარი განვაცხადეთ ასეთ ბრალდებაზე. მერმე მე დამაშორეს აბდუშელ-წერეთელს და გამიძახეს ცალკე დაკითხვისათვის. ჩემს წინ ისხდნენ: ტუღუში, გაგუა, ლომიძე. ჯიქიძე. კვლავ წარმომიდგინეს ზემოაღნიშნული ბრალდება. კვლავ უარი განვაცხადე. მაშინ ტუღუშმა სთქვა:

— აწი ამათ ეკუთვნიო და გადამცა გაგუას. გაგუა თაკზე დამადგა და დაჟინებით მეკითხება:

სად არის ილიკო ჯუღელი? სად არის ვარლამ კაპანაძე?

— არაფერი ვიცი მათ შესახებ.

— აბა, მოაწერე ხელი ამ ოქმს: რომ არაფერს არ ამბობ, თავს დამნაშავედ არ სცნობ.

— კარგი! მოვაწერ ხელს.

ბოლოს წამიკითხა განაჩენი:

ვალიკო ჩუბინიძე დაისჯება უმაღლესი სასჯელითო ესე იგი სიკვდილით. ისედაც არ ვიცი კარგი წერა და ხელი ამიკანკალდა. მაინც მოვაწერე ხელი.

გამიყვანეს ჩეკიდან. გამაცილეს ქალაქს და გამაჩერეს მინდორში. მოშორებით ზესტაფონზე. აქ გაგუამ კიდევ მკითხა. კიდევ უარი ვუთხარი.

— აბა. გაჩერდი!

ამიხვიეს თვალები ჩაბალახით. გავარდა რევოლვერი ზედიზედ სამჯერ. ვფიქრობ: მოვკვდი, მაგრამ ეს რანაირი ყოფილა სიკვდილი...

მოვიდა ჩეკისტი ლომაძე და მითხრა:

— აბა! მეტის სროლის ნება არა გვაქვს. შენ ბედი გქონია, არც ერთი ტყვია არ მოგხვდაო!

დამაბრუნეს ჩეკაში. აქ სისხლი ექცია. მაჩვენეს ტანისამოსი; ვიცანი: ეს იყო სისხლიანი პალტოები გოგიტა აბდუშელიშვილის და გრიშა წერეთელის. დავრწმუნდი, რომ გოგიტა და გრიშა დაუხვრეტიათ!

ჩეკისტებმა კიდევ დამკითხეს აქ:

— სად არის ილიკო ჯუღელი და ბიძინა მდივანი?

— არა ვიცი რა! ვუპასუხე. ამის შემდეგ ჩეკისტებმა ჯერ

შემიკრეს ხელები, მერმე ფეხები: ჩემი ხელები გადააცვენ ფეხებს და შუაში თოფის ზუმპა გამიყარეს; გავკოტრიალდი ძირს. მომდგენ და დამიწყეს ცემა, ხან ხელით, ხან თოფის ზუმპით, ამ უკანასკნელს დაუზოგავად მირტყამენ ფეხის გულზე. ვყვირი რაც შემიძლია და'მალე ვკარგავ გრძნობას.

დილით, 27 თებერვალს 1923 წ., მეწვია ფერშალი ბიქტორ შავდია და რაღაც ნემსები გამიკეთა. იმ დღეს ცოტა მოვიკეთე...

საღამოს მოვიდენ სევერიანე ტუღუში და გრიშა ლომაძე; მომიკითხეს და მითხრეს:

— ეხლა გადაგიყვანთ ციხეში, მაგრამ იცოდე, თუ ვინმეს რამე უთხარი, რაც შენ გიყვეს, მართლა დაგხვრიტავთო.

ამიყვანეს ციხეში და ვის ვხედავ: აქ არის გოგიტა აბდუშელი და გრიშა წერეთელი, ორივე ცოცხალი! მათ გარდა: დიმიტრი აბა'შიძე, ანტონ ტუსკია, გრიშა დინარაძე, სერაფიონ ბოგვარაძე, დათიკო საყვარელიძე... ციხე სავსე იყო იშხნელ-აბაშიძე მდივნის-ჯუღელის ახლო და შორეული ნათესავებით და მეგობრებ-ნაცნობებით.

როდესაც ციხეში ამიყვანეს (ზესტაფონში) 2 მარტს ჩემთან მოვიდა ორი უმფროსი მილიციონერი ილიკო წაქაძე და სვიმონიკა საყვარელიძე, იმგენმა გადმომცეს გოგიტა ფაღავას და ვარლამ კაპანაძის წერილი; წერილი მოკლეთ იყო შედგენილი: ვალიკო (თედა), ყველაფეიი ქენი და გამოდი ციხიდან, ენდევი ამ წერილის მომტან საყვარელიძეს და წაქაძეს. ჩვენ გავიგეთ თუ როგორ გაწამეს და არა ხარ უხრუნველყოფილი, რომ კიდევ არ გაწამონ და ვინმე «პროვოკატორი» არ წაგიყენონ პირზე, ამიტომ ჯობია გამოყვე ამ მილიციონერებს როგორც კი იშოვი დროს. მე ვერ ვენდევი საყვარელიძეს და წაქაძეს და მადლობა გადაუხადე; გადაჭრით უარი ვთქვი არ მაქვს მე გასაქცევათ საქმეთქვა. შემდეგ, როდესაც გავიდა დიმიტრი აბაშიძე გარეთ, კიდევ მეორეთ მივიღე წერილი გოგიტასაგან ისევ იმ მილიციონერის ხელით, მე კიდევ უარი უთხარი! როდესაც გამანთავისუფლეს მეტეხიდან, იოსებ ცინცაძეს საშვალებით ვნახე გოგიტა ფაღავა, გოგიტამ დაადასტურა რომ ის ორი წერილი იყო მის მიერ გამოგზავნილი და ეს ორი უმფროსი მილიციონერები ყოფილან ჩვენი კაცები.

ყველა ესენი გაცემული და დაჭერილი იყო დავით ბაგრატიონის მიერ. ეს სულ მალე გამოირკვა. 12 მარტს 1923 წელს, ციხეში მოვიდა ჩეკის თავმჯდომარე ტუღუში და მას თან

მოყვა დავით ბაგრატიონი. გამოუძახეს გიორგი ერისთავს, რომელიც იმავე დავით ბაგრატიონის დეიდაშვილი იყო. დაკითხეს საწყალი გიორგი და როდესაც ყველაფერზე უარი სთქვა, პირში წაუდგა დავით ბაგრატიონი:

— რას ფიცავ, ჩვენ ერთად არ დავადგინეთ ჩხარის აღმასკომის თავმჯდომარის სიკვდილი? ჩვენ არ ავიყვანეთ აღრიცხვაზე ოფიცრები? ერთი სიტყვით მოყვა და მოყვა...

მოვიდა თავზარდაცემული გიორგი ერისთავი საკანში. გამიხმო ფანჯარასთან და მითხრა:

— კაცო, რა ბინძური ყოფილა ეს პოლიტიკა... უცებ თავზე ხელი იტაცა და დაიძახა: არიქა ვკვდები...

ძლივს მოვასწარი ტახტზე მიყვანა. დავუძახეთ მის ნათესავ ალიოშა აბაშიძეს, მას რაღაც წარჩურჩულა, დაიწყო ხროტინი. გამოვუძახეთ ექიმს, მაგრამ ვეღარავინ უშველა. გარდაიცვალა იქვე 12 მარტს 1923 წ.

ერთი კვირის შემდეგ ციხიდან გაუშვეს 28 კაცი და ქალი და დანარჩენები გადაგვაგზავნეს ქუთაისის ციხეში.

16 მარტს 1923 წელს ბოლშევიკებს მოუძებნიათ და შეურიგებიათ: ბიძინა მდივანი, გერასიმე ჭუმბურიძე. შალვა გიორგაძე, ჭიჭიკო გიორგაძე და ვანო ბრეგვაძე. 28 მარტს მოუსვეს ყველას ხელი და დაიჭირეს. ჩვენ ისინი ქუთაისის ციხეში დაგვხვდენ.

ერთ დღეს, 6 აპრილს 1923 წ., ქუთაისის ციხეში გვეწვიენ შამშე ლეკავა და დავით ბაგრატიონი. შამშე ეხმარებოდა ბიძინა მდივანს და ასე უთხრა: ბიძინა, არა გრცხვენია? მატარებელს თავს ესხმი? თუ ფული გინდოდა, როცა მე ვიმალებოდი ანანოვის მამულში, შეგეძლო ჩემი გაცემა და ფულის მეტს რას მოგცემდა ნოე რამიშვილი?

მერმე მე მომიბრუნდა და მითხრა:

— რა გინდა, ვალიკო, ამ თავადიშვილთან? და მიაშვირა ხელი იასონ წულუკიძეს.

— მე თავადიშვილთან არა ვარ, შამშე, მაგრე შენ კი ხარ «პროლეტარიატის» მეთაური, მეფის შვილიშვილ დავით ბაგრატიონთან.

მან გაიცინა და აღარაფერი სთქვა. დავით ბაგრატიონი ათვალიერებდა თავის ნაცნობებს და კარებში გრიშა წერეთელს შეეფეთა.

— გამარჯობა გრიშა. უთხრა ბაგრატიონმა.

გრიშამ პასუხად: შეაფურთხა.

ორ ივანობისთვეს 1923 წ. დაგვაწყვეს 37 ტუსაღი და გა-

გვაგზავნეს თბილისისაკენ. აქ მე მოვხვდი ჩეკის მერვე საკანში, სადაც დამხვდა ირაკლი ამირაჯიბი (შალვას ძმა) და მღვდელი დავითა შვილი, რაფიელ ჯიბლაძე (ჯიბილა), პარმენ ფირცხალავა და გიორგი ამაღლობელი. აქ დამტოვეს 18 დღე, ორი კვირა კიდევ სხვა სარდაფში ვიყავი. არც ერთჯერ არ დავუკითხავართ და მერმე გადამიყვანეს საკანში № 8. აქ იჯდა იმ დროს არქიმანდრიტი ნაზარი (ჯაფარიძე). ღამით მოიყვანეს მამა ამბროსი. უთხრეს: გამოემშვიდობეთ ერთმანეთსო!

ნაზარი ცოტა შეწუხდა. ეს შეატყო ამბროსიმ, ჩამოართვა ხელი, ეამბორა, აკურთხა და წაიყვანეს. ერთი საათის შემდეგ ნაზარიც გაიყვანეს. ყველას გვეგონა, რომ ისინი დასახვრეტად წაიყვანეს.

6 კვირიკობისთვეს 1923 წელს მე გადამიყვანეს მეტეხში. ორი კვირის შემდეგ გადამიყვანეს საგუბერნიო ციხის საავადმყოფოში, მეტად დასუსტებული ვიყავი გალახვის შემდეგ; იქ დავყავი 23 დღე. ჩემდა სასიამოვნოდ აქ საკანში ვნახე მამა ამბროსი, მასაც გაეხარდა, გადამკოცნა და მითხრა: ნუ გეშინია, შვილო, ვერ დაგხვრეტენ... იქვე ვნახე ჩემი ძველი ნაცნობი ნესტორ ჩხიკვაძე და გავიცანი სიკო თითბერიძე, რომელმაც მთხოვა: აქ ერთ მომვლელ ქალს აქვს შენახული გიორგი ხიმშიაშვილის წყლის სასმელი დოქი და იქნებ მოახერხო მის დედას გადაუგზავნოთო.

ეს დოქი გადმომცეს და ვნახე, რომ მასზე დანის წვერით ამოჭრილი იყო შემდეგი სიტყვები: «ძვირფას დედას სახსოვრად გ. ხიმშიაშვილი 1923 წელი 14 მაისი».

თხოვნა, რასაკვირველია, შეეასრულე და დოქი გოგის დედას გადავუგზავნე.

მეტეხში დამაბრუნეს 12 აგვისტოს 1923 წ. 26 აგვისტოს ჯამიყვანეს კამერიდან და მივყევართ ეზოზე. ქალების კორპუსისაკენ რომ გამატარეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეუღლე და ღვინიაშვილის ასული მიყვირიან: სად მიყევხართ, ვალიკო?! მე ხელით ვანიშნე—არ ვიცითქო. ჩამიყვანეს კარცერში. იატაკია სოველი, არც სკამი არც წამოსაწოლი. ტანთ მაცვია მხოლოდ პერანგი. აგვისტოს სიცხეები იყო და აქ კი ცივა. ვთხოვე მოეტანათ ჩემი ტანსაცმელი. მითხრეს: რომ გქონდა, გაგხდიდითო. არ ვიცი იქ რამდენი ხანი დავრჩი. მერმე ამიყვანეს მეორე კარცერში, სადაც სინათლეც იყო და სკამიც. მოვიდა ოთხი კაცი: ციხის უფროსი ხატაშვილი, ერთი უფროსი მეთვალყურე, დარაჯი და გამომძიებელი. გამომძიებელმა გადახსნა ჩემი საქმე და წამიკითხა ბრალდება; ჩემი

დანაშაული იყო: 1) რაზმის შედგენა, 2) სვანეთის აჯანყებასთან კავშირი, 3) ქაქუცა ჩოლოყაშვილთან კავშირი და 4) ჭიათურის ხაზზე მატარებელის გაძარცვა. ყველა ბრალდება უარვყავი და დანაშაული უკუვაგდე. დაიწყო დაკითხვა. ყველაფერზე უარს ვამბობ. ბოლოს კამერაში შემოიყვანეს ვიღაც კაცი. მეცნაურება, მაგრამ არ მახსოვს სად ვნახე. მომიბრუნდა და მითხრა:

— გამარჯობა!

მე ხმა არ გავეცი.

— კაცო, ვერ მიცანი?

— ვერა! არ გიცნობ.

— ვალიკო ჩუბინიძე არ ხარ?

— კი, ვარ.

— მერე რამ დაგამუნჯა? ხმას ვერ ამოიღებ?

— მე შენ არ გიცნობ.

— კაცო, შენ ხომ თედას გეძახდით? (მართლაც, ეს იყო ჩემი ზედმეტი სახელი).

— არა, მე მქვია ვალიკო და მეძახდენ ვალიკოს.

— კაცო, რატომ არ გინდა თქვა. შენ რომ ხელით საბეჭდი მანქანა ამომიტანე საქარაში? ხომ გახსოვს.

— საბეჭდი მანქანა არა მქონია, არც საქარაში ვყოფილვარ.

— სამხედროდ აღრიცხულთა სიები ხომ მომიტანე გოგიტა ფაღავასთან წასაღებად მანქანასთან ერთად? არც ეს გინდა თქვა?

— არაფერი ასეთი არ მომხდარა.

თავს ძლივს ვიკავებ. ნერვები მეშლება. ახლა, როცა ამას ვიგონებ სულიერი სიმ მვიდე მეკარგება და ცახცახი მივლის...

დასრულდა დაკითხვა და დამტოვეს ამ საკანში. ღამის 1 საათზე მიმიყვანეს კანცელარიასთან. აქ იდგა საბარგო ავტომობილი, გამოიყვანეს რვა კაცი. დასვეს ავტომობილზე და ვაკანეს. მე დამტოვეს. ჩემმა გამომძიებელმა მითხრა:

— წადი შენს საკანში და არავის არაფერი უთხრა.

დავბრუნდი ჩემს ძველ საკანში და ყველაფერი ვუამბე კოლია ქარციევაძეს და ვანო ლლონტს. ამ უკანასკნელმა გარედ გოგიტა ფაღავას შეატყობინა: სტუდენტმა ფერაძემ გასცა ვალიკო ჩუბინიძე, კ. ქავთარაძე, შ. ჯუმბურიძე და საერთოდ ყველა, ვისაც მის ახლოს გაუვლიაო.

ამ დროს ჩვენს საკანში კირილე ნინიძე კითხულობდა ლექციას მსოფლიო ისტორიაზე. ლექციამ გასტანა 26 დღე.

და როდესაც საკითხი შეეხო საქართველოს შეერთებას რუსეთთან, ასტყდა მეტად საინტერესო კამათი: კარგი ქნა ერეკლე მეფემ რუსეთთან რომ წავიდა თუ არაო? კოლია ქარცივაძე, გაბო ცისკარიშვილი, კოწია ჯაფარიძე იცავდენ ერეკლეს პოლიტიკას და ამართლებდენ მის ნაბიჯს, ხოლო ივანე ლორთქიფანიძე (ესერი), ლუკა დავითაია და თვით კირილე ნინიძე გმობდენ ერეკლეს პოლიტიკას. როცა კირილე ნინიძე ამ თავის მოსაზრებას ასაბუთებდა, ამ დროს სწორედ ბოლშევიკური ადმინისტრაციის ბრძანებით მეტეხის ეკლესიას სახურავის ახდა დაუწყეს,—ჩვენ ამას ვხედავდით და აღშფოთებულმა კირილემ იყვირა:

— კაცო, სულ ერთი არ არის? სპარსელებმაც გადასწვეს ეს ეკლესია და აგერ რუსებიც ანგრევენ მას?

უცბად მოისმა თოფის ხმა... იძახიან და გაყვირიან: მოკლეს დიმიტრი ლეჟავა! მოკლეს ლეჟავა!

დილით 24 სექტემბერს 1923 წ. ჩავიკეტეთ საკნები. გამოვაცხადეთ შიმშილი. მხარი დაგვიჭირეს სისხლის სამართლის დამნაშავეებმაც და მთელმა მეტეხმა ჭამაზე უარი სთქვა, და სხვათა შორის გაიფიცა აგრეთვე ქუთაისის ჩეკის ყოფილი თავმჯდომარე, ახლა ტუსაღი კობიძე. მოვიდა თბილისის ჩეკის ხელმძღვანელი კვანტალიანი და გვთხოვა გაფიცვა მოგვეხსნა. ჩვენი მხრივ პირობა წარვუდგინეთ: არ მოხდეს მკვლელობა ციხეში! დაუბრუნეთ სახურავი მეტეხის ეკლესიას.

კვანტალიანი მიუბრუნდა კობიძეს და უთხრა:

— შენ ასეც გიქნია, ერთ თვესაც არაფერი გიჭამია! ჩვენ კი დაგვპირდა პირობების შესრულებას და გაფიცვა გათავდა 24 სექტემბერს 1924 წ.

ეს ის ხანაა, როდესაც ცეკამ ნება დართო ამხანაგებს გამოსულიყვენ ციხიდან. საქმე ისაა, რომ ჩეკა ითხოვდა ტუსაღებისაგან: მოგვეცით ხელწერილი რომ სოც.-დემოკრატიულ პარტიას თავს ანებებთ და გაგიშვებთო. მაშინ ისეთი ჩვეულება განმტკიცდა, რომ ძალიან დიდი უმრავლესობა მტკიცე უარზე იდგა და ამ ხელწერილის მიუცემლობის გამო ზოგს ასახლებდენ და ზოგი წლობით იჯდა ციხეში. სოც.-დემ. პარ. ცეკამ გადასწყვიტა ციხიდან ხალხის გამოყვანა და გასცა განკარგულება: მოაწერეთ ხელი მასზე, ჩეკაც რასაც გთხოვთ და გამოდით ციხიდანო. გოგიტა ფაღავასაგან მეც მივიღე ასეთი განკარგულება.

დაიწყო ციხის განტვირთვა. მეც შევავსე ანკეტა. ერთ დღეს მოვიდა ციხეში კოტე ცინცაძე; დამიძახეს კანცელარი-

ში. იქ დამხვდა კოტე, რომელიც სიცილით შემხვდა და მითხრა:

— ვალიკო, შენ რომ ხურჯინით გნახე საქარაში, მაშინ თურმე ჩვენი გატაცება გდომებია!

მე გამეცინა.

— ხო, ასეთი ცნობა გვაქვს. ეხლა გაგიშვებთ, მაგრამ ფრთხილად!

1 მწიფობისთვეს 1923 წელს გამოვედი მეტეხიდან. თბილისში ვინახულე ბიქტორ კაპანაძე და გრიგოლ ფხალაძე (ამ დროს გავიცანი ვასო ლაბაძე, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო); მათ მომცეს გზის ფული და გოგიტა აბდუშელიშვილთან ერთად გავემგზავრე ჩემი სოფლისაკენ. მე საერთოდ ჩვეულება მქონდა, როცა შინ დიდი ხნის მიუსვლელი ვიყავი ხოლმე პირველად გავივლიდი ჩემს დედულში, სოფელ ზედა-რკვიაში; პატარაობიდანვე მიყვარდა ეს კუთხე და ჩემი უდარდელი ბავშობაც იქ გამიტარებია. ვოგიტას დავშორდი სადგურ რკვიაზე და გავსწიე სიხარულით დედულისაკენ. ბებია ჩემი (დედის დედა) აღტაცებით შემხვდა, ბევრიც იტირა და სადილის შემდეგ მითხრა:

— გაჩერდი შენთვის, შვილო, რას იბრძვი, დიდ რუსეთს ჰვანთქრის არ ეშინოდა!

დიდედას გამოვემშვიდობე და ავედი სოფელ ბილაში. ცოლშვილი კარგად დამხვდა. უკანასკნელად შეძენილი პატარა ვაჟი ბურთივით გორაობდა... ვითომ დასვენებას შევუდექი. მსურდა მოჯამთელება, მაგრამ საქმე და მოძრაობა საქართველოს განთავისუფლებისათვის თანდათან ფართოვდებოდა და იშლებოდა, მალული ბრძოლის ხანა სრულდებოდა და ჩვენ ვუახლოვდებოდით ღია და აშკარა ბრძოლას, იარაღით შეტაკებას დამპყრობელებთან, ჩვენ ვუახლოვდებით 1924 წლის აჯანყებას.

ჩეკა და პოლიტიკური სამართველო.

1921 წელი.

საქართველოს ვერაგულათ დაპყრობამ მოსკოველთ მიერ ერი და მისი დამპყრობნი თავიდანვე ორ მტრულ, მეურიგებელ ბანაკებში მოაქცია. მათ შორის უფსკრული გაავლო. ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოთ ერთმანეთს დაუპირდაპირა. ასეთ მტრობისა და დაპირდაპირების პირობებში ისახება და იწყებს მუშაობას საქართველოს საგანგებო კომისია, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე მდგომ პოლიტიკურ პარტიების გახადგურება და ქართველი ხალხის მოსკოვისათვის დამორჩილება. ასეთ ბნელ მიზხებისათვის დამპყრობთ იდეური ბრძოლის ფარხმალი არ გამოადგებოდათ. ისინი იდეურათ წინ ვერ აღუდგებოდნენ სოციალდემოკრატიას, რომლისაგან არა ერთი და ორი დამარცხება განუცდიათ წარსულში. და იდეურ ბრძოლის ადგილს იპერს საგანგებო კომისია.

ქუთაისში პროვოკაციულ ბომბის გასროლით, შანტაჟისტ გეგეჭკორზე თავდასხმის სიმულიაციის მოწყობით—ჩეკას ერთბაში იერიშები მიაქვს სოციალდემოკრატიაზე. ხდება მთელს საქართველოში პარტიის წევრთა და ხელ-მძღვანელ თა დაპატიმრება. ამის შემდეგ თბილისში ჩამოდის სტალინი. საქართველოს პროლეტარიატის მიერ თავიდანვე უარყოფილი და გარიყული ეს გაიძვერა ინტრიგანი ბედავს თბილისის მუშათა კლასის წინაშე საჯარო მოხსენების გაკეთებას. წინააღმდეგობას უჩვევი დიქტატორი ნაძალადევ ნიაც მონურ შეხვედრას მოელის, მაგრამ სტყუვდება: მუშებით სავსე თეატრის დარბაზი მას ლაპარაკის საშვალებას არ აძლევს, ტრიბუნაზე გამოსულ სოციალდემოკრატ ორატორებს ოვაციებს უმართავს და კრება იღებს გრანდიოზულ საპროტესტო დემონსტრაციის სახეს. ჩეკას საქმე უჩნდება. თავისუფლათ დარჩენილ ცოტათ თუ ბევრათ თვალსაჩინო მოღვაწეთ პარტიისას აპატიმრებენ. რკინისგზის დეპო-სახელოსნოებიდან და ტრამვაიდან მოწინავე მუშებს ხსნიან და ციხეებში ჰყრიან... ამის შემდეგ, ნოემბერში, თბილისის პროლეტარიატი თავის წრიდან ირჩევს ხელისუფლებასთან წარსაგზავნათ მუშათა დელეგაციას.—დელეგაცია არჩეულია ყველა უბნებიდან და მას რევოლუციურ მუშათა კლასის მიერ დავალებული აქვს საქართველოს მშრომელთა ნების ყოფა აცნობოს საოკუპაციო მთავრობას. მაგრამ მიღებისა და მოსმენის ნაცვლათ:

«ბუდუ ბდღვინაძე» დელეგაციას ჩეკაში უკრავს თავს. ჩეკას ახალ დირექტივებს აძლევენ სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ დაუზოგველ რეპრესიების გაჩაღების შესახებ. ჩვენი პარტიიდან მალე სხვა პარტიიებზე და უპარტიო მოქალაქეებზე გადადიან. მთელი ქართველი ერი ეჯვის ქვეშაა დაყენებული, კანონს გარეშეა გამოცხადებული. ასობით და ათასობით ადგილებიდან ხსნიან და ქუჩებში ერეკებიან ქართველ მუშა-მოსამსახურეებს. ბევრი რჩეული მოღვაწისა და მათ შორის ჩვენი სპეტაკი პარმენის სათუთი ბუნება ვერ იტანს ტუსაღის მძიმე რეჟიმს და ის საპყრობილეში ათავებს მდიდარ შინაარსიან სიცოცხლის დღეებს... ციხეები აივსო ხალხით. მაგრამ ჩეკას ეს არ ყოფნის. იწყება თითო-ოროლა მებრძოლთა ხვრეტა: ხვრეტენ პოლკ. ლექვინაძეს, ფავლენიშვილს და სხვებს საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ბოლშევიკებათ წოდებულ ბანდიტთა ბრბოების წინააღმდეგ მოქმედებისათვის. ჩეკა წუთისოფელს ასალმებს შეუპოვარ მხედარს მარკოზაშვილს, ქუთაისში ხვრეტს მასწავლებელ სოციალდემოკრატ ტრაპაიძეს, სახალხო გვარდიელთ ჭანიშვილს, გიგინეიშვილს და სხვებს.

1922 წელი.

გლოვით იწყება ეს წელიწადი. შავი თებერვალი კიდევ უფრო მწუხრდება საყვარელი ლეო ნათაძის და ძვირფასი სილვას დაკარგვით. სოციალდემოკრატიულ პარტიის სინიდისათ და პატიოსნებათ ცნობილი სილვა, ჩეკასა და საპყრობილეში ჯდომით დაავათმყოფებული, 17 თებერვალს განუტევებს სულს არალეგალურ ბინაზე, დევნილი, ცოლ-სილვაშვილს მოწყვეტილი... ჩვენი იმედი, ჩვენი გამამხნევებელი ჩეკის მსხვერპლი ხდება და ამ საზიზღარ ორგანოს ბინძური ხელები ეხება მხცოვანი წინამძღოლის უწმინდეს ნეშთსაც. ჩეკა კუბოში ჩასვენებულ სილვას ძალით იტაცებს, მალულათ ასაფლავებს და სამარეს დარაჯებს უყენებს... სოციალდემოკრატიას იმის საშვალებასაც კი არ აძლევს ულმობელი მტერი, რომ მოინახულოს და დაიტიროს ძვირფასი საფლავი. სილიბისტროს გარდაცვალების წინა დღეებში, 11 თებერვალს, რუს ურდოთა შემოსევის წლის თავზე მთელ საქართველოში იმართება მოსწავლე ახალგაზდობის სამგლოვიარო და საპროტესტო დემონსტრაციები. ჩეკისტთა ბრბოები ყველგან შეუბრალებლათ და უხეშათ უსწორდებიან ნორჩ თაობას. იხმარიებენ ცეცხლის მქრობელთა რაზმებს, რევოლვერებსა და თოფებსაც კი მიმართავენ. ლანჩხუთში მოკლეს

კიდეც ერთი. თბილისში ველური ჩეკისტები მოსწავლე ქალებსაც კი თმებით ათრევდენ რუსთველის გამზირზე...

სამი თვის შემდეგ,—24, 25—26 მაისს—საქართველოს დამოუკიდებლობის უკვდავ დღეს—ეწყობა მასიური პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები. შეიარაღებულ ჩეკისტებსა და უიარაღო დემონსტრანტებს შორის ალაგალაგ შეტაკებები ხდება. თბილისში, შორაპანში დემონსტრაციებს ტყვიებით უმანსპინძლდებიენ, ხოლო გურიაში მიტინგს ბომბებს ესვრიან. კვდება რამდენიმე კაცი და იჭრება ორმოცამდე ამასთან ერთათ ხდება მასიური დაპატიმრება.. საქართველოს ციხეები კვლავ ივსება ქართველი ხალხით. პატიმართა მრავალრიცხოვანი ჯგუფები იგზავნებიან გერმანიაში, რუსეთის საკატორღო ციხეებში, შუა აზიის უსიცოცხლო მიდამოებში...

ამ წლის სექტემბერში, მტერი დამსჯელ რაზმებს უსევს დუშეთის მაზრის მოსახლეობას, ხოლო ხევსურეთს მიწასთან ასწორებს. მთელი წლის განმაველობაში აუტანელი რეპრესიები მძვინვარებს მთელ კახეთში. სიღნაღის მაზრის სოფელ ჯუგაანში ერთ გლეხს გელაშვილს რუსი წითელი არმიელები სცარცვავენ, ცოლშვილიანათ ყლეტენ, ერთი ოჯახიდან გაქვთ 17 კუბო...

ამავე წელში ოზურგეთის ჩეკის თავმჯდომარე თავისი ხელით ხვრეტს ათ პოლიტიკურ პატიმარს, მათ შორის 1903 წლიდან სოც.-დემ. პარტიის წევრს, მამულაიშვილს.

1923 წელი.

დამპყრობელთა სისხლიანი ბუნება თანდათან აშკარავდება. საქართველოს რევოლუციურ კერას—გურიას აწიოკებენ. გაყაჩაღებულ ბოლშევიკ მაჩწკავას რაზმის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი ცნობილ ობოლაძის მეთაურობით ღვთის რისხვათ ევლინება გურიის მშვიდობიან მოსახლეობას. ტყეებში გაჭრილ ყაჩაღებთან უძლური ობოლაძე შურს იძიებს ბინადარ. მშრომელ გურიაზე. ეს ჯალათი ხვრეტს გლეხებს და მათ გასისხლიანებულ გვამებს ყვავ-ყორნების და ძაღლების საჯიჯგნათ ჩყრის თვალსაჩინო—ოზურგეთის შემავალ გზებზე. რათა ასეთი გულშემზარავი სურათით ღეროორის ქვეშ დააყენოს მოსახლეობა.. ობოლაძე სხვა მრავალთა შორის სწვავს მანწკავას ძმის—ვასილის სახლს და ეს გულ ქვა საღისტი თავის ხელით ცეცილის ალში აგდებს და ცოცხლათ სწვავს სახლის პატრონის 12 წლის ვაჟს. ამ ბარბაროსს, ამ თავშეუ-

კავებელ მხეცს გასაგები მიზეზით ჰკლავს მანწკავას ნათესავი და პირადი მეგობარი. და ეს ხდება საბაბათ კიდევ უარესი რეპრესიებისა. მკვლელობის დღიდან იწყებენ ოზურგეთში უდანაშაულო ხალხის მასიურათ ხვრეტას. თბილისის ციხეებიდან გაყავთ და წუთისოფელს ასალმებენ 92 მოქალაქეს. მათ შორის ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს: კოოპერატორ, ძველ სოც. დემ. ხუხუნაიშვილს, ყოფილ ელ ჩს საქართველოისა უკრაინაში ვაჩეიშვილს ს. დემ. 1903წლიდან. თარგამაძეს—ლანჩხუთის გიმნაზიის დირექტორს და სხვებს.

გურიაში ინიშნება საგანგებო ხუთეული, დამსჯელ ჯარებს ემატება ახალი ჯარები და ახალ ჯალათ ტალახაძის ხელმძღვანელობით გრძელდება სისხლის ღვრა... დახვრეტასა და დაწვას გადარჩენილ გლეხობას ადებენ აუტანელ გადასახადს და ამ რიგათ სრულიათ ანადგურებენ თავისუფლებისა და სამშობლოს მოყვარულ რევოლუციურ გურიას.

მოძალადეები გრძნობენ ატმოსფერის თანდათან შეხუთვას, და მოსალოდნელ ეროვნულ აჯანყების უხელმძღვანელოთ დატოვების მიზნით ჩვენი ქვეყნის ჯალათები ჯალათურათ უსწორდებიან ქართველი ერის სამხედრო მეთაურებს. გარდა ორიოდე გენერლისა,—რომლებმაც თავისი შემდეგი მოღალატური მოღვაწეობით მეტათ საეჭვოთ გახადეს ჩეკის კლანჭებიდან თავის დახსნის ბნელით მოცული ფაქტი.—საუკეთესო სარდლებს და გამოჩენილ მოღვაწეთ ხელიდან გვაცლიან; საერთო პატივისცემა და ნდობა დამსახურებული. დიდი პატრიოტი კოტე აფხაზი, ყველას მიერ პატივცემული ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკაშვილი. მუსხელიშვილი სამაგალითო და საყვარელი ოფიცერი ხიმშიაშვილი, მუხრანსკი და სხვები.

ამავე წელში ჩეკა ატარებს ეგ. წოდ. სოც.-დემ. პარტიის სალიკვიდაციო კამპანიას. ეს მუშაობა გურიაში იწყება. ციხეებში ჩაყრილ და დამსჯელი რაზმების მიერ შემორკალ ულ სოფლებში მცხოვრებ გლეხთა განთავისუფლების და ცოცხლათ დატოვების პირობათ აღიარებულ იქმნა ჩეკის მიერ წინასწარ შეთხზულ სამარცხვინო განცხადებაზე ხელ ისმი წერა—სოც.-დემ. პარტიიდან გამოსვლ ის შესახებ. და მარ თლ აც ფიზიკური მოსპობის წინაშე მდგარი გლეხი ხშირად თანხმდებოდა მოეწერა ხელი ასეთი ტექსტისათვის. მით უმეტეს, რო მ მას არავინ ეკითხებოდა იყო თუ არა ის პარტიის წევრი. ქვეყნდება პრესაში რამდენიმე სია პარტიიდან გასულებისა. ჩეკა ასეთ მუშაობას სხვა მაზრებში და ქალაქებშიც აწარმოებს.

თითო-ოროლა პარტიის სულმდაბალი წევრი და უმთავრესათ კი უპარტიო მასა «სტოვებენ» სოც.-დემ. რიგებს. იქმნება პირობები სალიკვიდაციო ფარსის გათამაშებისათვის. საჭიროა გმირი და გმირებიც ჩნდებიან ფარნიევის, რუხაძის და სხვათა სახით. ატარებენ «სალიკვიდაციო კონფერენციებს», «12 ათასი» დამფრთხალი ობივატელის სახელით დაშლილათ აცხადებენ სოციალდემოკრატიას! მაგრამ სოც.-დემ. პარტიის რიგები მაინც მტკიცეა; ფარნიევის «პლატფორმაზე დამდგარი» პარტიის ნამდვილი წევრები მონანიების განცხადებით აწვებიან პარტიის კედლებს და ჩვენს რიგებში ჩადგომას მოითხოვენ... ბევრს ამ ხელმომწერთაგანს ასახლებენ, ბევრს ხვრეტენ, ბევრს საპყრობილეში ყრიან. მეურნე-გლეხი მურვანიშვილი, რომელმაც გაბედა და სალიკვიდაციო კონფერენციაზე განაცხადა, რომ ის აიძულეს მონაწილეობა მიეღო ამ მუშაობაში და რომ ადგილობრივი კონფერენციები ძალდატანების ქვეშ ხდებოდა, იმსხვერპლა მის გულწრფელობამ და სიმართლის სიყვარულმა. მურვანიშვილს იბარებს თავის კაბინეთში მოსკოვის აგენტი ორახელაშვილი და წინადადებას აძლევს პატიოსან გლეხს გამოვიდეს პრესაში განცხადებით, რომ ის მოსყიდული იყო არალეგალურ მენშევიკურ ცეკას მიერ და მისივე დავალებით გამოდიოდა «სალიკვიდაციო ყრილობაზე»; და რადგან ასეთი საზიზღარი წინადადება არ ეკარება მურვანიშვილის სპეტაკსა და შეუბღალავ ბუნებას, მას საგანგებო კომისია ეპატიმრებს, ტანს ხდის და ტილოს ტომრებში გახვეულს რამდენიმე თვის განმავლობაში აწამებს საყინულეებში, ხოლო შემდეგ—აგვისტოს დღეებში —სხვა მრავალ მამულიშვილთან ერთათ მას ბოლოს უღებს. მურვანიშვილი ერთი იმ მრავალთაგანი იყო, რომელთაც ჩვენი პარტიიდან გასულათ თვლიდა მტერი. პარტია, ჩეკის სიტყვით, აღარ არსებობდა და აი, ამ «არ არსებულ» პარტიის ხელმეორე «ლიკვიდაციის» საჭიროებას უტიფრათ აღიარებს ჩეკა აგვისტოს ამბოხების შემდეგ.

ასეთივე ფარსი გათამაშდა ახალგაზდა მარქსისტთა მიმართაც. ჩეკამ აქაც იშოვა ორიოდე ვერცხლის მოყვარული პირი და 1923 წ. შემოდგომაზე ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაცია «ერთხელ და სამუდამოთ დაშლილათ» გამოცხადდა.

მაგრამ მსგავსი «ლიკვიდატორული მოძრაობა» ფართე მასებში მხოლოდ ზიზღს იწვევდა, ხოლო თითოოროლა მოსყიდულ რენეგატების ნაცვლათ ათეულ და ასეულ ახალ მუშებს პარტიის რიგებში აყენებდა.

1924 წელი.

ყველაზე საშინელი, ყველაზე მტკივნეული წელი... სამნახევარი წლის წამებით მოთმინებიდან გამოსული ერი იარაღით ხელში გამოდის მოსისხლე მტრის დასამხობათ. მაგრამ თავისუფლების მოყვარული ხალხი მარცხდება ფიზიკურათ ძლიერ მოწინააღმდეგესთან შეტაკებაში. და 30 აგვისტოდან. იმ დღიდან, რომლიდანაც ბრძოლის სასწორმა დამპყრობელთა სასარგებლოთ დაიწყო გადახრა,—გულგასული და გაბოროტებული მტარვალი იწყებს უსასტიკეს შურისძიებას.

30-31 აგვისტო... 1, 2, 3, 4 სექტემბერი საშინელი სისხლიანი დღეები... დახვრეტილთა პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ათასეული... დღისით ჩეკის სარდაფებს ავსებენ ციხეებიდან გადაყვანილ პატიმრებით, ქუჩებში და ბინებზე ახლად დატყვევებულ უდანაშაულო მოქალაქეებით. ღამ-ღამობით კი სერგიევის და პეტრე დიდის ქუჩებიდან სამი მიმართულებით ეზიდებიან საბარგო ავტომობილები ხელფეხ გაკრულ მამულიშვილთა ჯგუფებს. საბურთალოს, ორთაჭალის და კოჯორის მხარეზე მათ მოელის უწმინდურ ხელით გათხრილი წმინდა და საძმო საფლავები... ძვირფასი საფლავები, რომელთაც დღემდე დაეძებს ქართველი ერი... შეუსვენებლათ მოქმედებენ «ზაკჩეკისა» და «გრუზჩეკის» ჯალათები. ე. წ. «დეტეჩეკაც» ხომ სისხლში სცურავს ამ დღეებში: რკინის გზის საგანგებო კომისია დამოუკიდებლათ მოქმედობს და მასიურათ ხვრეტს როგორც თბილისში. ისე ხაზზე დაპატიმრებულთა ჯგუფებს... კიდევ უარესი ამბები ხდება პროვინციებში. მეამბოხეთა სახლკარის გადაწვა-გადაბუგვასთან ერთათ უპატრონოთ მიტოვებულ ცოლშვილთა მიმართ წარმოუდგენელ ძალმომრეობას იჩენენ, ხალხს განუკითხავათ და დაუნდობლათ ხვრეტენ. ჭიათურისა და საჩხერის მიდამოებში დაპატიმრებულ მოქალაქეებით სავსე სამს «ტეპლუშკა» ეაგონებს ზესტაფონ-სვირს შუა ტყვიისმფრქვეველებს უშენენ და ყველას ერთიანათ ქლეტენ... რესპუბლიკის ყველა ციხეებიდან გაჰყავთ ადრევე პატიმრობაში მყოფთა თუ ახლად დატყვევებულთა ათეულები... ბათომისა და ფოთის, სენაკისა და ზუგდიდის, ოზურგეთისა და ქუთაისის, შორაპნისა და გორის, სიღნაღისა და თელავის. დუშეთისა და ბორჩალოს ციხეებიდან მამულიშვილთა წყებები მიემართებიან დამოუკიდებლობის სამსხვერპლოსაკენ...

ჯალათთა სისხლიანი ხელი სწვდება შორეულ ჩრდილოეთის სუზდალის ციხეში მჯდომთ: ხომერიკს, ჩხიკვიშვილს.

ფალავას, ნოდიას, წინამძღვარიშვილს და ქართველ ერის საუკეთესო შვილთ სიცოცხლეს უსპობს სადღაც რუსეთის ტიალ ველებში... სისხლის ღვრას ბოლო არ უჩანს. ვიდრე ტყვეთ ჩავარდნილი დამოუკიდებლობის კომიტეტი, აჯანყების პოლიტიკური ხელმძღვანელი არ აკეთებს ცნობილ დეკლარაციას, რომლის მიზანი—მასიურ ხვრეტის შეჩერება—მიღწეულ იქნა.

კიდევაც რომ მომხდარიყო სასწაული და ბოლშევიკების გამანადგურებელ მუშაობას შედეგათ მოჰყოლოდა სოციალიზმის დამყარება და არა პოლიტიკური და ეკონომიური რეაქცია, სოციალიზმის ისტორია ვერ აპატიებდა მათ აგვისტოში ჩადენილ საშინელებებს, ვერ განბანდა მათ სისხლიან ხელებს... განა შესაძლოა, რომ მათ ეპატიოს ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის პოლიტიკურათ შემაკავშირებლის და მისი ბრძოლის ცეცხლით აღმგზნებელის ნოეს დახვრეტა! განა შესაძლოა გამართლებულ იქმნას გურიის სახელოვან მოძრაობის სულის ჩამდგმელისა და ბაირახტარის, ბენიას სასიკვდილოთ განწირვა! განა შესაძლოა დავიწყებას მიეცეს სოციალისტურ და დემოკრატიულ საქართველოს დამოუკიდებლობის ფხიზელ მუშაკის და შეუდარებელ მებრძოლის ვალ იკოს წუთისოფლიდან გამოსალმება! ან უწყინარ გაბო ციხკარიშვილის, დათიკო ქარცივაძის (მეჩონგურე) ციხიდან სასაკლაოზე გაყვანა! ძველი კატორღელის, ყველას მიერ საყვარელი მუშის დათიკო დვალის დახვრეტა! ვასო ცაბაძის მოკვლა! იმ ცაბაძის, რომელიც ბოლშევიკების «რევმატიანე»-ს მოწმობითაც კი თბილისის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლებისათვის ერთ-ერთ პირველ შემაკავშირებლათ ითვლებოდა! სოფლად მცხოვრებ ავადმყოფ კატორღელის ილიკო კოპალეიშვილის ლოგინიდან აგლეჯა და მისი ტყვიით განგმირვა! ქართველი ქალის, აღათი გორდელაძის მოკვლა, მხოლოდ იმისთვის, რომ მან სინიდისსა და პატიოსნებას ვერ უღალატა და თავისი სიძე—მოსისხლე მტერ აგან დეენინ ი იმავ აგვისტოს დღეებში დახვრეტილი ძველი სოც.-დემ. მუშა ვიქტორ ცენტერაძე—ჩეკას არ გადასცა!? . . და რამდენი უნდა ჩამოითვალოს? ოთხი, ხუთი ათასი ძვირფასი სახე!

გამარჯვებულმა და სისხლით დამთვრალმა ხელისუფლებამ მუსრი გაავლო ქართველ მოსახლეობას. ძუძუმწოვარა ბავშვებითურთ ამოჟლიტა რამდენიმე გვარეულობა—ფანიაშვილები, კლიმიაშვილები და მამაცაშვილები სოფელ რუისში (გორის მაზრა). ბავშვები ზოგი აკვანში ჩასრისეს,

დგანან: ვალიკო ჯუღელი, ვიქტორ ცენტერაძე.
სხედან: გრ. ციხლაბაძე, ვახტ ნოდია, ბენ. ჩხიკვიშვილი.

ზოგი სარებზე ჩამოაცვეს და ზოგსაც კი აივნიდან ისროდენ. ქალები ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი ხანჯლებით დაჰკლეს..

1925—1926 წ ლ ე ბ ი.

ისევ სისხლი... ისევ წამება. ხვრეტენ ხალხს და ამის შესახებ მხოლოდ ახლო ნათესავებს თუ შეუძლიან გაიგონ. რამეათეულობით ასამართლებენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ და ყველაფერი ეს გაუხმაურებლათ, მალულათ ხდება. საზოგადო მოღვაწეებს წუთისოფელს ასალმებენ და ამის საჯარო აღიარებას, პრესაში გამოქვეყნებას ვერ ბედავენ... ან როგორ უნდა გაბედონ: განა იმისთვის, რომ ადამიანი დაიხვრიტოს საჭირო არ არის ბრალდების წაყენება და დამტკიცება! ასეთი ბრალდება კი არ არსებობს. ეს ბრალდება თვით ჩეკის მიერ მოწყობილ მატარებლებზე თავდასხმაში ვითომდა მონაწილეობა და სხვა მსგავსი პროვოკაციაა. ასეთ პროვოკაციას ამსხვერპლეს ძველი სოც.-დემ. გერ. ღლონტი, ახალგაზდა მარქსისტი, შეუპოვარი ლადო გეორგობიანი და სხვები... ასევე გაუსწორდენ ჭიათურის მაღაროს მუშას გიორგი ჩანტლაძეს და კიდევ მრავალთ: კერძო ინტერესების ნიადაგზე მათ ბრალს სდებენ მატარებელზე თავდასხმის განზრახვაში და ხვრეტენ. ჩეკა არავითარ სისაძაგლის წინაშე არ იხევს, რათა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ ჯერ ჩირქი მოსცხოს, რომ მერე მათი სისხლი დაღვაროს. სამეურნეო ორგანოებში მომუშავე ცნობილ მოღვაწეებს და პატიოსან მუშაკებს ფულის გაფლანგვის ფიქტიურ სამარცხვინო ბრალდებებს უყენებს და გაუსამართლებლათ ხვრეტს... ჩოლოყაშვილის რაჩმთან რაიმე კავშირში შემჩნეულ მოწინავე გლეხების დახვრეტას დუშეთის მაზრიდან და კახეთიდან უკანასკნელ დრომდე მასიური ხასიათი ქონდა.

აი ასეთი იყო მთავარ ხაზებში ამ საშინელ ორგანიზაციის მოღვაწეობა საქართველოში. ხოლო ამ გამანადგურებელი მუშაობის გასწვრივ ადგილი ქონდა ყოველად უმსგავსო, გულშემზარავ მალულ მოვლენებს. ჩვენ შეგვეძლო ჩეკის ჯურღმულებში წამებისა და ფიზიკურ-გონებრივ დასახიჩრების მრავალ და მრავალ შემთხვევათა ჩამოთვლა, რომ არა ერთი გარემოება: ჩეკა წამება გადახდილ მოქალაქეს წერილობით პირობას ადებინებს მის წინააღმდეგ ჩადენილ საშინელებათა სასტიკათ დაფარვის შესახებ და ჩვენ ხელთ მყოფ ფაქტების გამომქღავნება გამოიწვევდა სასტიკ შურისძიებას უკვე ნაწამებთა წინააღმდეგ. ამიტომ აქ მხოლოდ საქვეყნოთ ცნობილ რამდენიმე ფაქტს აღვნიშნავთ:

1924 წლის მაისში ზაკჩეკაში აწამეს არსენალის მუშა გიორგი კასრაძე. კასრაძე ჭკუაზე შეიშალა. 22-23 წლებში ჩეკაში წამების დროს ჭკუაზე შეიშალენ სტუდენტები კირილე წილოსანი და მიხა ტუღუში. მუშა გიორგი მუჯირიშვილს, რომლის ბინაზე აღმოჩენილ იქნა ჩვენი პარტიის ერთერთი სტამბა, გვერდები ჩაუმტვრიეს და შემდეგ დასაშინებლათ ავტომობილით დასახვრეტათ საბურთალოზე წაიყვანეს. არ აკმარეს ეს წამებაც. განთავისუფლების შემდეგ ხელმეორეთ დააპატიმრეს და, მეორეთ წამებისას ჭკუაზე შეიშალა. 1923 წელს მარტში დააპატიმრეს ძველი კატორღელის ნიკოლოზ ვიბორგინის შვილი ახალგაზდა მარქსისტკა-ანეტა. ჩაგდეს საყინულე სარდაფში, აწამეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. 1923 წლის ივლისში ოზურგეთის ჩეკის თავმჯდომარე მკურნალმა აწამა ძველი სოც.-დემ. შიო ქურიძე. გაიყვანა დასახვრეტათ, გააშიშვლა და თოფიც ესროლა (ქურიძე დღეს საზღვარგარეთაა).

აჯანყების დღეებში ჩეკის სადისტების თავაშვებულებას ხომ საზღვარი არ ქონდა. ახალგაზდა მარქსისტი პ. სვანიძე დახვრეტის წინ დასაკითხავათ გაიყვანეს, მას ჯალათ-გამომძიებლებმა ხელფეხი დაამტვრიეს და ამ რიგათ, განწირულ ადამიანს სადისტებმა უკანასკნელი საათები საშინელ ფიზიკურ ტანჯვაში გაატარებინეს...

1925 წლის თებერვალში აპატიმრებენ ახალგაზდა მუშა დავითაშვილს. თბილისის ჩეკაში მას გადაჭარბებული ცემით თავს უტეხენ. ყურის აპკს უგლეჯენ და ნახევრათ გონება დაკარგულს, ნაცემ ნაწამებს აგზავნიან «სოლოვკებში». იქვე იგზავნება ქუთაისის ჩეკაში ნაწამები თავგატეხილი და გვერდებ ჩამტვრეული ახალგაზდა მარქსისტი ჯორბენაძე. «სოლოვკებში» გზავნიან ქართველ პოლიტიკურ პატიმართა მთელ ჯგუფებს, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს და იქ მათ იძულებითი სამუშაოს ასრულებინებენ...

ხუთნახევარი წლის განმავლობაში გარყვნილი ორგანიზაციის გარყვნილებისა და სიმყრალის სუნი შხამავს საქართველოს ატმოსფერას. ბინძური ორგანოს ბინძური ხელები იჭრება ქართველი ერის ცხოვრების ყოველ კუნჭულში; ყოველგვარ კულტურულ-ეკონომიურ კავშირებსა და წამოწყებებში, კოოპერაციაში, სკოლაში, თეატრში, ეკლესიაში. ღვთის მორწმუნეთა მიმართ, ვით პირველყოფილ ქრისტიანთა წინააღმდეგ, იწყებენ ბარბაროსულ ბრძოლას.

რამდენი უდანაშაულო იმსხვერპლა ჩეკამ განსაკუთრე-

ბით ეს გამოაშკარავდა აგვისტოს დღეებში. თეითეულ ნაძირალას სრული უფლება და საშუალება ქონდა დაეხვრიტა, ვისაც კი მოისურვებდა. იხვრიტებოდენ მოქალაქენი ისე, რომ მათზე არავითარი ცნობები არ რჩებოდა. ამიტომაც ჯალათებმა დღემდე ვერ გამოარკვიეს ვინ და რამდენია დახვრეტილი. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ სისხლმოყირავებულ ჩეკის მიერ მეტეხიდან ტუსაღთა გასანთავისუფლებლათ წარდგენილ სიებში მრავალი დახვრეტილი აღმოჩნდა. დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია. უკვე დახვრეტილი ხალხი ათი დღის შემდეგ ჩეკამაც უდანაშაულოთ იცნო და მისთვის განსათავისუფლებელი ორდერი დაამზადა...

ყოველათ შეუძლებელია თუნდაც დაახლოვებით აღწერა მუშაობის იმ ჯაშუშურ და პროვოკატორული სისტემისა, რომელიც ქონდა საგანგებო კომისიას. ზნე-დაცემულობისა და გარყვნილების ბუდე ჩეკა, ცოლს ქმრის გაცემას ავალებდა, ძმას ძმის მოკვლას აკისრებდა, შვილს მამის ღალატის წინადადებას აძლევდა... თვითონ მკვლელობისა და თავდასხმის აქტებს ახდენდა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ თავს ახვევდა. ჩეკა თავის კაცის ლაბაძის ხელით კლავს ჯემალფაშას და ამ აქტის დასაფარავათ ხვრეტს ლაბაძეს, ხოლო მკვლელობას დაშნაკცაკანებს აბრალებს და რამდენიმე პოლიტიკურ პატიმარს წუთისოფელს ასალმებს.

ეხლა დამპყრობელებმა საჭიროთ მიიჩნიეს მოეხსნათ «ჩეკის» სახელწოდება, მაგრამ ქართველი ხალხი არც ისე გულუბრყვილოა, რომ ჩეკის პოლიტ-სამართველოთ გარდაქმნაში რაიმე არსებითი ცვლილება დაინახოს.

ჩვენც კარგათ ვიცით სისხლის მოყვარულ ტირანებს უსისხლოთ არსებობა არ შეუძლია; სადისტებისა და ჯალათების ხროვა სასიკვდილოთ განწირულ ადამიანის წამებისა და გმინვის გარეშე ვერ იარსებებს. ჩეკა სიმახინჯისა და ველურობის შედეგი იყო. პოლიტიკური სამართველოც ამავე რეჟიმის ნაყოფია და მას თან დაყვება ჩეკის ყველა სპეციფიური თვისებები... ტანჯვა, წამება, სისხლის ღვრა გაგრძელდება. ჩეკას სახელწოდება ეცვლება, მაგრამ რჩება იგივე საწამებელი ადგილები, რჩებიან იგივე ჯალათები...

ჩეკა არ მომკვდარა: მოიხსნა მისი სახელწოდება, მისი შავბნელი საქმე კი მხოლოდ მაშინ აღმოიფხვრება, როცა მის მემკვიდრეს ტირანთა ბატონობის განმამტკიცებელ პოლიტიკურ სამართველოს იმსხვერპლებს ქართველი ხალხის სამართლიანი რისხვა. ქურ. «ბრძოლა» № 26. 1927 წელი.

ინგლისის ტრედიუნიონთა დელეგაციას *)

გაზეთ «კომუნისტი»-ს 2 დეკემ. ნომერში 1924 წ. მოთავსებულია საუბარი დელეგაციის ერთ-ერთ წევრის, პერსელის. დასახელებულ გაზეთის წარმომადგენელთან. საუბარში გამოთქმულია აზრი, თითქოს საქართველოში მომხდარ ამბების შესახებ ევროპის და კეთილთ ინგლისის გაზეთებში ათავსებდენ არა სწორ ცნობებს საქართველოს მდგომარეობის და მომხდარ აჯანყების შესახებ,—ამიტომ საჭიროთ დავინახეთ ჩვენ, მეტეხის ციხე-სიმაგრეში მყოფ პოლიტიკურმა პატიმრებმა, მოგაწოდოთ თქვენ, ინგლისის მუშათა კლასის წარმომადგენლებს, სწორი ცნობები იმისა, რისი გაგებაც ჩვენ შევძელით, აჯანყებულ ადგილებში დაპატიმრებულ და აქ ჩამოყვანილ ამბანაგების საშუალებით. ესენი იყვნენ აქტიური მონაწილენი და მოწამენი დასახელებულ გამოსვლებისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ გადასცემთ ჩვენ ძმურ სალამთან ერთათ ინგლისის პროლეტარიატს ნამდვილ სურათს ამა წლის აგვისტო-სექტემბერში მომხდარ ამბების და იმ საშინელების შესახებ, რომელიც გადაიტანა თავის უფლებებისათვის მებრძოლმა ტანჯულმა ქართველმა ერმა.

რა მოხდა თბილისში:

აჯანყების დღეებში აგვისტოს დამლევს და სექტემბრის დამდეგს თბილისის საპყრობილეებიდან, ამიერ-კავკასიის, საქართველოს და რკინის გზის საგანგებო კომისიებიდან (ჩეკა). აგრეთვე საპატიმროს საავადმყოფოდან გაყვანილ და დახვრეტილ იქნენ დიდი ხნით წინ, აჯანყებამდის, 1922, 1923, 1924 წ.წ. დაპატიმრებულნი, რომელნიც არც დროით და არც ფიზიკურათ დაკავშირებულნი არ იყვნენ დასახელებულ გამოსვლებთან: 30 და 31 აგვისტოს, 1, 2 და 3 სექტემბერს მეტეხის ციხე-სიმაგრიდან წაიყვანეს და დახვრიტეს—წინასწარ სასჯელის გამოუცხადებლათ 146 პოლიტიკური პატიმარი, რომელთა შორის იყვნენ თავდადებული ძველი რევოლუციონერები და სოციალისტები, ათ წლობით ციმბირში და კატორღაში ნამყოფი მოღვაწენი, საქართველოს დამფუძნებელ კრების წევ-

*) მოგვყავს წერილი, რომლითაც თბილისის მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმრებმა მიმართეს «ინგლისის ტრედუნიონთა დელეგაციას». რ ე დ ა ქ ც ი ა.

რები, მწერლები და ჟურნალისტები, პროფკავშირების მოღვაწეები, კოოპერატორები, უმეტესობა გლეხები და მუშები, აგრეთვე ბევრი თავგანწირული ეროვნული მოღვაწენი და საუკეთესო ჩვენი ოფიცრობა. ამათ შორის ნაწილს მოხდილი ქოხდათ სასჯელი, ელოდენ განთავისუფლებას, და ნაწილის საქმეები (არა აჯანყებასთან დაკავშირებული) იყო ძიებაში.

სამივე ზემო დასახელებულ საგანგებო კომისიებიდან (ჩეკა) წაყვანილ და დახვრეტილ იქნენ 120 ამხანაგი, რომელთა შორის იყო რამოდენიმე ქალიც.

ეგრედ წოდებულ საგუბერნიო ციხედან (გამსახლი № 1), გაიყვანეს და დახვრიტეს 7 კაცი.

ციხეების საავადმყოფოდანაც გაიყვანეს მძიმე ავადმყოფები რიცხვით 14 კაცი და დახვრიტეს.

საქართველოს სსკადასსკა ადგილებში:

1. ქ. ბათუმში დახვრეტილ იქნა 100 მდე კაცი.

2. ქ. სამტრედიის რაიონში (ახლო მდებარე სოფლებით), დახვრეტილია დაახლოვებით 90 კაცი.

3. ქ. ფოთში დახვრეტილია 20 კაცი.

4. ქ. ოზურგეთში დახვრეტილია 8 კაცი.

5. სამეგრელოში (ზუგდიდის და სენაკის მაზრებში), დახვრეტილია 800 კაცი, დიდი უმრავლესობა (90 პროც.) ამათი იყო სოფლის მშრომელი გლეხკაცობა.

6. ქ. ქუთაისში დახვრეტილია 300 კაცი მათ შორის ბევრი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები და მოწინავე მუშები, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს არქიეპისკოპოსი მიტროპოლიტი ნაზარი.

7. ქ. ქუთაისის მაზრაში (ხონი, ბაღდადი და მათი რაიონები) დამსჯელმა ექსპედიციებმა მოახდინეს საშინელი განადგურება. გადასწვეს სახლები, წაართვეს გლეხობას სარჩოსაბადებელი და დახვრიტეს 150 კაცი.

8. ქ. ჭიათურაში, სადაც არის მხოლოდ მუშური მოსახლეობა (მაღაროს მუშები), და ქ. ზესტაფონში დახვრეტილ იქნა 200 კაცი, მეტად საშინელ პირობებში, ტუსაღები ყავდათ საბარგო ვაგონებში და შიგვე იქნენ ჩახოცილნი ტყვიისმფრქეველებით. ამ საშინელი ვერაგობის მოწამეა ადგილობრივი მცხოვრებლები.

9. რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში დახვრეტილია 300 კაცი.

10. ზემო-სვანეთში ბრძოლა სწარმოებდა 25 სექტემბრამდე. ჩვენ შევძელით გამოგვერკვია მხოლოდ შემდეგი: მსხვერპლი დიდია; 14 კაცი კი სვანეთიდან წაყვანილ და დახვრეტილ იქნენ სამეგრელოში.

11. ქ. ხაშურში დახვრეტილ იქნა 29 კაცი.

12. ქ. გორში დახვრეტილ იქნენ ყველანი, ვისი დატუსაღებაც კი მოასწრეს, დაახლოვებით 400 კაცამდე.

13. გორის მაზრის რაიონში დახვრეტამ მიიღო ისეთი მასიური ხასიათი, რომ იქიდან ჩამოყვანილი პატიმრები აგვიწერენ საშინელ, წარმოუდგენელ სურათებს განუკითხავი ხოცვა-ჟლეტისას. მათი ანგარიშით გორის მაზრის ყველა რაიონებში (თვით ქ. გორის გარდა) დახვრეტილთა რიცხვი აღწევს 500 კაცს, რომელთა შორის იყო: 26 მღვდელი, 2 ქალი და დანარჩენი მშრომელი გლეხკაცობა და ინტელიგენცია.

14. დუშეთში და მის მაზრაში, სადაც დახვრეტის დროს მოხდა ხელჩართული ბრძოლა კლეხ კაცობასა და დამსჯელებს შორის, დახვრეტილ იქნა დაახლოვებით 150 კაცი.

15. კახეთში (თელავის და სიღნაღის მაზრა) ამოწყვეტილია დიდი ნაწილი ყოფილ თავად-აზნაურობისა, რომელთა უმრავლესობა მეევნახეობით და სოფლის მეურნეობით ირჩენდა თავს. დახვრეტილ იქნა აუარებელი მშრომელი გლეხკაცობა და სოფლის ინტელიგენცია. დახვრეტილთა რიცხვი აღწევს ორთავე მაზრებში 300 კაცს. ამ ცნობას ადასტურებს ნაწილობრივ ოფიციალური ცნობებიც.

16. ბორჩალოს მაზრაში მაჰმადიანთა და ქართველთა შორის დახვრეტილ იქნა 70 კაცი.

17. მანგლისის და სართიჭალის რაიონში (თბილისის მაზრა) დახვრეტილ იქნა 200 მდე კაცი.

18. აფხაზეთიდან და ახალციხე-ახალქალაქის რაიონებიდან დაპატიმრებულები აქ მეტეხში არ ჩამოუყვანიათ, ამიტომ ჩვენ შეძლება არ გვქონდა გამოგვერკვია იქ დახვრეტილთა რიცხვი.

ამრიგად მთელ საქართველოში დახვრეტილთა და დახოცილთა რიცხვი, რამდენად ჩვენ შევძელით აქ მოყვანილ პატიმართა ცნობებით გამოგვერკვია, აღწევს სამი ათას ცხრაას თერამეტ კაცს.

ჩვენ არ გვაქვს მიზნათ დახასიათება და შეფასება იმ ამბების, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში აგვისტოში და სექტემბერში, აგრეთვე დახასიათება იმ დიდი ეროვნული ბრძოლის, რომელსაც ეწეოდა ქართველი ერი ამ ოთხი წლის განმავლობაში. ჩვენ გადმოგეცით მხოლოდ მშრალათ მოკლე ცნობები იმ მსხვერპლისა, რომელიც მოჰყვა დასახელებულ ამბებს.

ა ღ ნ ი შ ნ ა ვ თ მ ხ ო ლ ო დ:

1. ამ აჯანყებას ჰქონდა სახალხო, მასიური ხასიათი; გაუგონარი ენტუზიაზმით გამოვიდა მთელი ხალხი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მუშა და გლეხი, ნასწავლი და უსწავლელი, მღვდელი და ყოფილი აზნაური—ყველა, ჯერ არ ნახული აღფრთოვანებით ეროვნულ თავისუფლების მოსაპოებლათ. ამას მოწმობს ოფიციალური წყაროები საბჭოთა გაზეთების (გაზეთი «კომუნისტი» № 234) და სინამდვილე, რომელსაც ადგილი ჰქონდა გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და ყველგან, სადაც საერთოთ გამოსვლა კი მოხდა.

2. საბჭოთა ხელისუფლებამ გაუგონარი სისასტიკე და ვერაგობა გამოიჩინა იმ ადგილებშიაც, სადაც გამოსვლებს არ ჰქონია ადგილი. ასობით დახვრიტეს უდანაშაულო ხალხი ბაშურში, სიღნაღში, თელავში, გორში, ქუთაისში და სხვაგან.

3. კომუნისტური პარტიის ლიდერები აღიარებენ აშკარათ («კომუნისტი» № 256), რომ მიზეზი ამ გამოსვლებისა არის მათი პოლიტიკა გლეხობის მიმართ, სარწმუნოების უთავბოლო დევნა, შევიწროება საზოგადოებრივი ინიციატივის და სხვა.

აღვნიშნავთ რა ყოველივე ამას, გთხოვთ, მიაწვდინოთ ინგლისის მუშათა კლასს სიმართლე იმ სინამდვილის შესახებ, რომელიც მეფობს სისხლიდან დაცლილ მრავალ ტანჯულ საქართველოში.

ქურ. «ბრძოლა» № 9. 1926 წელი.

დამოუკიდებლობის კომიტეტის საუბარი

«გერმანელ დელეგაციასთან» მეტეხის ციხეში.

(რედაქციას საშუალება აქვს გამოაქვეყნოს სწორი ანგარიში იმ საუბარისა, რომელიც ქონდათ დამოუკიდებელ კომიტეტის წევრებს ეგრედ წოდებულ გერმანელ დელეგაციასთან, 1925 წლის 5 აგვისტოს მეტეხის ციხეში).

«დელეგაციას თან მოჰყვა საქართველოს კომპარტიის ცეკას და საქართველოს ცაკის წევრი ვანო სტურუა. საკანში შემოსვლისთანავე სტურუამ გააცნო დელეგაციას პატიმრები და დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, კოტე ანდრონიკაშვილი, დელეგაციამ მოისურვა ანდრონიკაშვილის ვინაობის და მისი წარსულის გაცნობა. როცა ამ წინადადებით რუსულ ენაზე მიმართა ანდრონიკაშვილს თარჯიმანმა, რომელიც დელეგაციას მოჰყვა. ანდრონიკაშვილმა განაცხადა პასუხის მიცემის თანხმობა, ხოლო მოითხოვა, რომ საუბარი მომხდარიყო ქართულ ენაზე. ვინაიდან დელეგაცია მობრძანდა საქართველოში, სადაც სახელმწიფო ენათ ითვლება ქართული და არა რუსული.

ვ. სტურუა: ამხანაგო ანდრონიკაშვილო, განა სულ ერთი არაა, რა ენაზედაც ესაუბრებით?

კ. ანდრონიკაშვილი: არაა სულ ერთი.

თარჯიმანი: სამწუხაროთ მე ქართული არ ვიცი და დელეგაცია კი ძალიან დაინტერესებულია გაიგოს ნამდვილი ისტორია თქვენი საქმისა.

ანდრონიკაშვილმა გამოსთქვა რა მწუხარება, რომ თარჯიმანმა ქართული არ იცის, დასთანხმდა პასუხი მიეცა რუსულ ენაზე, შექმნილ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ. მან მოკლეთ გადასცა თავისი ბიოგრაფია, სხვათა შორის აღნიშნა, რომ მეფის დროს სასამართლომ, რომელმაც მას პოლიტიკურ საქმეზე სამუდამო ციმბირი მიუსაჯა, აჰყარა თავადობა და მასთან დაკავშირებული ყველა უპირატესობანი, ხოლო საბჭოთა მთავრობამ 1924 წლის აგვისტოში მომხდარ აყაყების გამო აღადგინა ის თავადის უფლებებში სპეციალური განცხადებით, რომლითაც ქვეყანას ეუწყა, რომ «აჯანყებას სათავეში ჩაუდგა თავადი ანდრონიკაშვილიო». მიუხედავათ იმისა, რომ მთელი თავისი რევოლუციური წარსულით და მოღვაწეობით მან ხელი აიღო თავადობაზე და პრივილეგიებზე. ბიოგრაფიის მოსმენის შემდეგ ერთ-ერთი

დელეგატთაგანი შეეკითხა ანდრონიკაშვილს: «აი ბევრს სწერენ, რომ საბჭოთა ციხეებში აწამებენ პოლიტიკურ პატიმრებს—მართალია ეს თუ არა?»

ანდრონიკაშვილი: დიახ, მართალია, წამებას ჰქონდა და აქვს ადგილი. მე გთხოვთ, როდესაც დაათვალიერებთ საგანგებო კომისიის შენობას *), იქ ინახულოთ ბნელი და ნესტიანი სარდაფები №№ 23 და 24, და დარწმუნდებით რა საშინელ პირობებში ამყოფებენ ზოგიერთ პატიმრებს. კერძოთ ჩვენს მიმართ, ამ საქმეზე გასამართლებულთა მიმართ, არ უხმარიათ წამება. საზოგადოთ კი იყო. წამების საილუსტრაციოთ მოვიყვან მაგალითს: აჯანყებამდე დააპატიმრეს ახალგაზდა სტუდენტი, სვანიძე. ყავდათ ბნელ ნესტიან სარდაფში. სცემდენ. ერთი მხარი ამოუგდეს. ამის მნახველნი არიან. ჩეკას უნდოდა ამ ზომებით მისი გამოტეხა, მაგრამ ახალგაზდა რევოლუციონერი იტანდა ამ წამებას გმირულათ. როცა ჩეკა ვერას გახდა, წამებული ახალგაზდა დახვრიტეს. ასეთი წამება იყო სხვების მიმართაც.

ერთ-ერთი დელეგატი: გეძლევათ თუ არა თქვენ გაზეთები, სეირნობა და საზოგადოთ ხართ თუ არა შეეიწროებული ციხეში?

ანდრონიკაშვილი: მე ვგონებ, რომ დელეგაციას უფრო აინტერესებს აჯანყების ისტორია და სასამართლოს განაჩენი, ვიდრე გაზეთების საკითხი, ამიტომ უკეთესი იქნება მოისმინოთ პირველის შესახებ (დელეგატები ერთხმათ თანხმობას აცხადებენ და იღებენ ხელში უბის წიგნებს).

მე დავიწყებ სასამართლოს განაჩენიდან. უნდა მოგახსენოთ, რომ განაჩენი მეთაურების მიმართ ლმობიერია. მხოლოდ მისი მოტივები ყოვლათ დაუშვებელი და ამაღელვებელია. ეს მოტივები განმეორებაა საბრალდებლო დასკვნისა. რომელიც აშენებულია მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულობაზე, თითქოს ის ჩაედინოს დამოუკიდებლობის კომიტეტს და მის შემადგენელ პოლიტიკურ პარტიებს. ეს დანაშაულობანია: მკვლელობა, დაცემა, გაძარცვა, მატარებლების დამტვრევა, შანტაჟი და სხვა. უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც სასამართლოში გამოირკვა, არც ერთი ნაჩვენები მოქმედება არ ყოფილა სისრულეში მოყვანილი, გარდა ორი მკვლელობისა, რომელიც არ შეადგენდა არც ერ-

---

*) «დელეგაციას» არ უნახავს თუ არ ანახვეს ჩეკა.
რედაქციის შენიშვნა.

თი პოლიტიკური პარტიის და არც დამ. კომიტეტის ნამოქმედარს. მიუხედავათ ამისა სასამართლომ მაინც შეიტანა თავის განაჩენში ეს არადამტკიცებული სისხლის სამართლის მოქმედებანი, რა თქმა უნდა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური პარტიების და ჩვენი პიროვნებების დასამცირებლათ. აი თქვენს წინაშე იმყოფებიან ძველი პოლიტიკური მოღვაწენი. ზოგიერთებს 25 წელიწადზე მეტი პოლიტიკური სტაჟი აქვთ, არიან ძველი მუშები, როგორც გრიგოლ ცინცაბაძე. ნაპოლეონ კახიანი, რომლებიც 25 წელზე მეტია მუშაობენ სოც.-დემ. პარტიაში, და ეხლა თქვენ დასაშვებათ მიგაჩნიათ. რომ ეს პირნი იყვნენ ბანდიტები, ტერორისტები? მეორე ბრალდება, რომელიც ჩვენ წამოგვიყენეს და რომელიც აგრეთვე ვერ დაგვიმტკიცეს—ესაა ინტერვენცია. საგულისხმოა. რომ თვით სასამართლომ მოგვხსნა სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლი, რომელსაც გათვალისწინებული აქვს ინტერვენცია. ხოლო იმათ, ვისაც დახვრეტა მიუსაჯეს, განაჩენში სასამართლომ მაინც ჩაუთვალა ეს მე-60 მუხლი—იმ მოსაზრებით, რომ რაკი ამათ აჯანყება მოაწყვეს, ალბათ იქნებოდენ ინტერვენციის მომხრეებიო. მე შევაჩერებ ცოტა ხანს თქვენს ყურადღებას ამ ინტერვენციაზე. ჯერ ერთი: ჩვენ როგორ ვიქნებოდით ინტერვენციის მომხრე, როდესაც მთელი ჩვენი ბრძოლა და აჯანყება იყო მიმართული სწორეთ ინტერვენციის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს მიმართ 1921 წელს. ჩვენ რომ გამოვსულიყავით ინტერვენციის მომხრეთ, ამით ჩვენ მხოლოდ გავამართლებდით საბჭოთა რუსეთის ინტერვენციას ჩვენში.

მეორე: თვით საბჭოთა კანონი—სახელდობრ მე 60 მუხლი—გარკვეულათ ხსნის ინტერვენციას: 1—როდესაც ცდილობენ გამოიწვიონ უცხო ქვეყნების შეიარაღებული ძალებით შინაურ საქმეებში ჩარევა; 2—აწყობენ სამხედრო ექსპედიციების გადმოგზავნას: 3—ცდილობენ უცხო ქვეყნებს გამოაცხადებინონ ომი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ვერც პირველი და ვერც მეორე ვერ დაამტკიცეს და ვერც დაამტკიცებენ. რადგან არ ქონდათ არც ერთი დოკუმენტი და არც შეიძლებოდა ქქონოდათ. მესამე ხომ თავისთავათ აშკარაა, რადგან არავითარი ომი არ ყოფილა. საქართველოს ოკუპაციის დღიდან გასული დემოკრატიული მთავრობა იქ, ევროპაში, და ჩვენ აქ ვცდილობდით საქართველოს სასარგებლო განწყობილება შეგვექმნა ევროპის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში, ვცდილობდით, რომ ევროპის სახელმწიფონი დი-

პლომატიურათ ჩაერეოდენ ჩვენს საქმეში, მაგალითათ, მიეცათ წინადადება გაეყვანათ საქართველოდან რუსის ჯარი: ვაძლევდით წინადადებას სოციალისტურ ინტერნაციონალებს და კომინტერნს შეედგინათ კომისია, რომელიც რეფერენდუმის მოხდენით საქართველოში გამოარკვევდა, თუ რომელ მართველობას არჩევს ქართველი ხალხი: საბჭოთა სისტემას თუ დემოკრატიას? ასეთი დიპლომატიური და სოციალური ჩარევისათვის მუშაობის უფლება ჩვენ გვქონდა, მით ემეტეს, რომ საქართველო იყო ცნობილი იურიდიულათ ჯერ თვით საბჭოთა რუსეთის და შემდეგ ევროპის სახელმწიფოების მიერ. თუ ასეთი ჩარევა ინტერვენცია არის, მაშინ ჩვენ ინტერვენციის მომხრენი ყოფილვართ.

მესამე და ნამდვილი ბრალდება ჩვენს წინააღმდეგ—ეს აჯანყებაა. ეს ბრალდება ჩვენ კიდევაც ვიკისრეთ. ეხლა, რით იყო გამოწვეული ეს აჯანყება?» აქ ამბ. კ. ანდრონიკაშვილი მოუთხრობს «დელეგატებს» საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოზე თავდასხმას და მის ოკუპაციას. «ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივ უფლებების აღსადგენათ და დასაცავათ მოვალე იყო გამოსულიყო როგორც ნაციონალისტები. ისე სოციალისტები. და მართლაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეერთდენ ყველა ქართველი პოლიტიკური პარტიები: სოციალდემოკრატები (მენშევიკები), სოციალფედერალისტები, სოციალრევოლუციონერები, ნაციონალდემოკრატები და დამოუკიდებელი სოციალდემოკრატები (სხიველები). მართალია, პირველ ხანს ეს პარტიები აქტიურ ბრძოლას არ დასდგომიან. პირიქით ცდილობდენ გამოენახათ ახალ ხელისუფლებასთან საერთო შემარიგებელი ენა, რათა ყველა სადაო საკითხები მშვიდობიანი გზით ყოფილიყო გამორკვეული საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში. საოკუპაციო მთავრობა არ წავიდა ამ გზით, მან არჩია რეპრესიები და შეუდგა პოლიტიკური მოღვაწეების დაპატიმრებას ჯერ შიგა და შიგ. მერე კი ხელი მიყო მასიურ დაპატიმრებას, გადასახლებას და სხვ... როდესაც მთავრობამ ამას პოლიტიკურების დახვრეტაც მოაყოლა, მორიგებაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტი იყო. პოლიტიკური პარტიებიც აქტიურ ბრძოლას შეუდგენ და მათგან დაარსებულმა დამოუკიდებლობის კომიტეტმა გადასწყვიტა 1924 წ. აგვისტოში აჯანყების მოხდენა. აჯანყება, მართალია, დამარცხდა (ამას თავის მიზეზი ჰქონდა), მაგრამ ეს აჯანყება იყო ხალხური, მასიური, ძლიერი დასავლეთ საქართველოში, შედარებით სუსტი აღმოსავლეთ საქართვე-

ლოში. თფილისში არ გამოვსულვართ, რადგან ის შიგნით იყო გამაგრებული რუსის ჯარით. ჩვენ ვაპირებდით თბილისის გარედან აღებას, ვაქცევ თქვენ ყურადღებას, რომ აჯანყება ჩააქვრეს რუსის ჯარის საშუალებით. კომუნისტები ცდილობდენ ავანტიურათ გამოიყვანონ ეს აჯანყება. მაგრამ აჯანყების სიძლიერე და უამრავი მსხვერპლი, რომელიც შედეგათ მოყვა მთავრობის ულმობელ ზომებს, ამტკიცებს წინააღმდეგს. მარტო დახვრეტილთა რიცხვი 3.000 აღემატება: მთავრობა ხვრეტდა არა თუ ბრძოლაში ტყვეთ ჩავარდნილ აჯანყებულთ, არამედ ისეთებსაც, ვისაც არავითარი მონაწილეობა აჯანყებაში არ მიუღია. ციხეებიდან გამოყავდათ ასობით პოლიტიკური პატიმარნი და ხვრეტდენ.—ხვრეტდენ არა მარტო იმ პატიმრებს, რომლებიც იმყოფებოდენ საქართველოს ციხეებში, არამედ დახვრიტეს ისეთებიც, რომელნიც რუსეთის საპყრობილეებში იყვენ გაგზავნილი. ასე გამოიყვანეს სუზდალის საიზოლიაციო ციხიდან და დახვრიტეს ცნობილი მოღვაწე რევოლუციონერები: ნოე ხომერიკი. ბენია ჩხიკვიშვილი, გოგიტა ფალავა, ვასო ნოდია და გ. წინამძღვრიშვილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეამბოხენი ლმობიერათ ეპყრობოდენ ტყვეთ წაყვანილ კომუნისტებს. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ტყვეთ წაყვანილი კომუნისტის დახვრეტისა. ცენტრიდან მიცემული იყო სასტიკი დირექტივა, რომ ასეთ დახვრეტას ადგილი არ ქონოდა და ეს კიდევაც სრულდებოდა. მაგალითათ, აქ მყოფი პატივცემული ვანო სტურუა სხვებთან ერთათ ტყვეთ იყო წაყვანილი, მაგრამ დღესაც ცოცხალი ბრძანდება.

აჯანყების დამარცხებასთან ერთათ 4 სექტემბერს ჩვენ. მეთაურები. დაგვაპატიმრეს. იმ ღამესვე გაგვთოკეს და მივყავდით დასახვრეტათ. მაგრამ ამ დროს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ბერიამ წინადადება მოგვცა, გამოგვეშვა მოწოდება აჯანყებულებისადმი, რომლებიც კიდევ შიგა და შიგ განაკრძობდენ ბრძოლას,—რომ მათ დაეყარათ იარაღი, რათა შეჩერებულიყო უაზრო სისხლის ღვრა და მასიური ხვრეტა. რომელსაც განაგრძობდა ხელისუფლება. თანაც დაუმატა, რომ თუ მოწოდებას გამოუშვებდით. ხვრეტას შეაჩერებდენ. მაგრამ ერთი პირობით კი, მომხდარ აჯანყებისათვის უნდა გვეწოდებინა ავანტიურა. ჩვენ კარგათ ვგრძნობდით ჩვენ პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე და გვინდოდა შეგვეჩერებია ასობით უდანაშაულო ხალხის დახვრეტა და უკვე უმნიშვნელო შეტაკებები. აი ამიტომ დავთანხმდით სიტყვა ავანტიუ-

რაზე. მოწოდების დასაწერათ გაგვიხსნეს ხელები. მოწოდება გამოქვეყნდა და უნდა ითქვას სიმართლე, რომ მასიური ხვრეტაც შეჩერდა. აჯანყებულებმა თანახმათ ჩვენი მოწოდებისა ჩააბარეს იარაღი ხელისუფლებას. დასახვრეტათ გამომზადებული ვიყავით: მე და გ. ჯინორია (სოციალდემოკრატები), მიხ. ბოჭორიშვილი (სოციალისტ-რევოლუციონერი). იასონ ჯავახიშვილი და მიხეილ იშხნელი (ნაციონალ-დემოკრატები).

ყველა ეს მოგახსენეთ არა იმიტომ, თითქოს ჩვენ შემოგჩივოდეთ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებაზე. მე მოგახსენეთ ეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ თქვენი საშუალებით გერმანიამ და ევროპამ იცოდეს სინამდვილე საქართველოს და კერძოთ აჯანყების შესახებ, რადგან კომუნისტური პრესა არ იძლევა სწორ ინფორმაციას.

შემდეგ ამხ. ანდრონიკაშვილმა გააცნო დელეგატებს თავისი დეკლარაციის შინაარსი, რომელიც სასამართლოში გააკეთა, და მადლობა გადაუხადა ნახვისა და მოსმენისათვის, რაც სხვა დელეგაციებს არც კი მოუსურვებიათო.

დელეგატებმა თავის მხრივ გაუზიარეს თავის შთაბეჭდილება რუსეთის მდგომარეობაზე და გამოსთქვეს სურვილი მუშათა საერთო ფრონტის აღდგენის.

კ. ანდრონიკაშვილმა განუცხადა, რომ მას სწამს, რომ ასეთი გაერთიანება მოხდება მეორე ინტერნაციონალის მეთაურობით და იმ იდეების ნიადაგზე, რომლის გამომხატველია კარლ კაუცკი და გერმანიის სოციალდემოკრატია.

დელეგაციასთან საუბარი ამაზე შეწყდა.

აღსანიშნავია, რომ საუბრის დროს ხშირათ შემოდიოდენ შიკრიკები და წინადადებას იძლეოდენ მალე დაეთავებიათ საუბარი. ამის გამო მრავალი საგულისხმო კითხვები და განმარტებები მოკლეთ იქნა გარკვეული ან სრულიათ უპასუხოთ დარჩა.

ჟურნალი «ბრძოლა» № 9.

მარტი, 1926 წელი.

სისხლიანი დღეები საქართველოში.

1923 წელი მაისი.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის კომისიისაგან ინტერ-პარტიული კომიტეტის სამხედრო აღმოჩენა.

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი:

ანტანტის კაპიტალისტების აგენტების მუშაობა საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად მოისპო დაპატიმრებით, რომელიც მოახდინა საგანგებო კომისიამ. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებისა და მასში მონაწილეობის მიღება და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსთვის ღალატის გამო, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის მიერ დამთავრებულ გამოძიებით, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საგანგებო კომისია ადგენს მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი:

1) ანდრონიკაშვილი ალექსანდრე სვიმონის ძე.
2) წულუკიძე ვარდენ გრიგოლის ძე.
3) ხიმშიაშვილი გიორგი ნიკოს ძე.
4) მუსხელიშვილი როსტომ ილიას ძე.
5) აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე
6) ზანდუკელი მიხეილი ნიკოლოზის ძე.
7) ბაგრატიონ მუხრანსკი სიმონ ლევანის ძე.
8) ყარალაშვილი ფარნაოზ რევაზის ძე.
9) კერესელიძე იასონ მათეს ძე.
10) ქუთათელაძე ივანე გრიგოლის ძე.
11) ჭიაბრიშვილი სიმონ იგივე ნასყიდეგორის ძე.
12) მაჭავარიანი ალექსანდრე მიხეილის ძე.
13) გულისაშვილი ელიზბარ ზაქარიას ძე.
14) კლიმიაშვილი ირაკლის ძე.
15) ჩრდილელი დიმიტრი ნიკოლოზის ძე.

ბეღრე სია.

30 აგვისტო, 1024 წელი.
აჯანყების დროს.

1) ნოე ხომერიკი 42 წლის.
2) ბენია ჩხიკვიშვილი 43 წლის.
3) ვალიკო ჯუღელი 37 წლის.
4) გოგიტა ფაღავა 28 წლის.
5) გიორგი წინამძღვარიშვილი.
6) მიხეილ გვალია.
7) თედორე ასათიანი.
8) გაბო ცისკარიშვილი 30 წლის.
9) ვასო ნოდია.
10) ტუტუ გვარამია.
11) ბიქტორ ცენტერაძე 38 წლის.
12) ვანო ცომაია.
13) მიხა საბაშვილი.
14) გიორგი სალუქვაძე.
15) ვარლამ კაპანაძე.
16) აკაკი ქოჩიაშვილი.
17) ილია რუხაძე.
18) ბაგრატი ნებიერიძე.
19) ვანო ღლონტი 29 წლის.
20) გერასიმე ფირცხალაიშვილი.
21) გიორგი გუჯეჯიანი.
22) მურმანიშვილი ვანო (გლეხი).

მზადება აჯანყებისათვის.

1922—23 წელთა გასწვრივ ოკუპანტების წინააღმდეგ გამართულ ეროვნულ რევოლუციურ მალულ ბრძოლაში ბევრი ამხანაგი მოსწყდა თავის პოსტს: ზოგი ბალშევიკების მიერ გადასახლებულ იქმნა; ზოგი ციხეში იჯდა; ზოგი მალულ ცხოვრებას ეწეოდა; ზოგიც შეურიგდა არსებულ ხელისუფლებას. ამ უკანასკნელთა რიცხვი მცირე იყო; სჯარბობდა დაჭერილ-გადასახლებულთა რიცხვი.

ამ ადმინისტრატიულმა, ჩეკისტურმა ზომებმა პარტიულ ორგანიზაციებში დიდი დენილობა შექმნა; იცვლებოდა არა მარტო ორგანიზაციების წევრ-ხელმძღვანელთა შემადგენლობა,—იცვლებოდა ხშირად თვით ორგანიზაციის შემადგენლობაც: წასულის ადგილს ახალი იკავებდა და ხალხი თითქო ასთავიანი დევი ყოფილიყოს, ერთი მოჭრილი თავის მაგივრად ორი ან სამი ამოდიოდა. ამგვარად, როდესაც მეტეხის ციხიდან გამომიშვეს და ჭიათურას დავბრუნდი, ჩვენს კომიტეტში დამხვდენ სრულიად ახალი პირები და ახალგაზდები. ეს მოვლენა ყველა მხარესათვის დამახასიათებელი იყო.

ჭიათურაში ცოტახანს ვიმუშავე; გავაკეთე სახარჯოდ 35 მანეთი და გავემგზავრე თბილისს. იქ ვინახულე გრიგოლ ფხალაძე, ბიქტორ კაპანაძე. კოსტა ბრეგვაძე; მათთან მე მქონდა საუბარი საორგანიზაციო საკითხებზე და რადგან ისევ ჭიათურას უნდა დავბრუნებოდი, შევეცადე მუშაობის ნებართვა მიმეღო; მსურდა მოვწყობილიყავ მაღაროებში უფროს მუშად. ამ მიზნით ვინახულე კარპე მოდებაძე, რომელმაც ჩემს თხოვნაზე მიპასუხა:

— მაღაროების დირექტორი არის გალაქტიონ ვაშაძე და მას მიმართეო.

გ. ვაშაძემ მუშაობის ნებართვაზე უარი მტკიცა. დავბრუნდი ჭიათურაში და რადგან სხვა გამოსაეალი აღარა მქონდა, ვისაც ჯერ იყო, განვუცხადე:

— თბილისში ვინახულე კოტე ცინცაძე და მან გადმომგზავნა აქ მაღაროს უფროს მუშადთქო. კოტე ცინცაძეს დიდი გაელენა ქონდა ჭიათურელ კომუნისტებზე და ჩემმა ტყუილმა გასჭრა: დამნიშნეს უფროს მუშად რგანის მაღაროებში. რომელთა დირექტორი იყო ყოფილი ჩემი მილიციონერი ნიკო ცირეკიძე. ნ. ცირეკიძემ წერილი გამატანა მაღაროს გამგე გაიდამაკთან, რომელიც ძველად ქანდარმი იყო.

ცირეკიძემ სიტყვიერად ასე დამაბარა: უთხარი გაიდამაკს, რომ ეს წერილი დაწერა წითელმა დირექტორმაო!

წერილში ეწერა: ვალიკო ჩუბინიძე არის დანიშნული თბილისიდან კოტე ცინცაძის მიერ უფროს მუშად.

გაიდამაკმა ეს ქართული წერილი ვერ წაიკითხა კარგად და წააკითხა «ტაბელჩიკ» იაშა თათებოვს.

რა თქმა უნდა, გაიდამაკმა იმ წუთშივე დამნიშნა უფროს მუშად. იმ დროს მაღაროში მუშაობდა ორი რიგი, სულ 80 კაცი. პირველი რიგი ჩავიბარე მე, მეორე კი ებარა ტარასი სამხარაძეს. ადგილკომად იყო კომსომოლა მაკარი გოცაძე, ქარხნის მექანიკოსად—ილია საყვარელიძე.

მე ძველადაც ვმუშაობდი მაღაროებში. ასე რომ მუშაობის გამოცდილება დიდი მქონდა და საქმე კარგად ვიცოდი. ამიტომ, გასაკვირველი არაა, რომ ორი კვირის შემდეგ მე დავინიშნე გაიდამაკის თანაშემწედ. ერთ დღეს გვეწვიენ კარპე მოდებაძე და ლევან გამყრელიძე; მათ ინახულეს მაღაროები, დაათვალიერეს ქარხანა და ჩემი მუშაობაც მოიწონეს. მე როგორც მაღაროს გამგის თანაშემწეს, უფლება მქონდა მუშები მიმეღო; მე დავიბარე ვაგონის ყოფილი მუშები, გამოცდილნი და ნამუშევარნი თვით მაღაროებში; ყველა ესენი მივიღე სამუშაოზე და ამით აიხსნება, რომ ჩემს მაღაროში არც ერთი მარცხი არ მომხდარა.

ერთ დღეს პარტკომი მიგზავნის 20 კომსომოლს და მწერს: მოაწყვე კარგ სამუშაოზეო. კარგი სამუშაო მაღაროში საერთოდ არ არსებობს და ისინი, როგორც სხვებიც, შევიყვანე მაღაროში სამუშაოდ. ისინი მოხვდენ ისეთ მაღაროში, რომელსაც უკვე ვცლიდით, ვტოვებდით. ესე იგი ბოძებს ვაცლიდით და მაღარო ჩამოცვივნული მიწით ივსებოდა. ასეთი ოპერაციის დროს ბოძები ხშირად მიწის სიმძიმის დაწოლის გამო ტყდება. ახლად მოსული ჩვენი კომსომოლები შეშინდენ, მიატოვეს სამუშაო და დაბრუნდენ ჭიათურაში. მეორე დღეს დამიბარა ჩეკის თავმჯდომარე გრიშა ლომიძემ. ჩავედი ჭიათურაში და გამოვცხადდი. მასთან იყო პარტკომის მდივანი კლემენტი სულავა.

მათ გამომიცხადეს:

— ვალიკო, შენ პასუხისგებაში ხარ მიცემული.

— მიზეზი?

— მიზეზს კიდევ კითხულობ?!

— არ ვიცი სწორედ, რაშია საქმე?!

— ჩვენ შენ გამოგიგზავნეთ 20 კომსომოლი და შენ ეს

ჩვენი ამხანაგები არ დაუშვი კარგ სამუშაოზე და გაგზავნე ისინი სასიკვდილო სამუშაოზე.

მე გამეცინა და გულში გავიფიქრე: ეს რა უვიც ხალხთან მაქვს საქმე!

შემდეგ მშვიდათ ავუხსენი როგორც იყო საქმე და თუ რატომ გამოიქცა 20 კომსომოლი.

ამ დროს მათ დაუძახეს გარედ მყოფ კომსომოლების ერთ ჯგუფს და წამიყენეს პირში. მე შევეკითხე ერთ მათგანს:

— სად ვიყავი. სად ვმუშაობდი მე, როდესაც თქვენ მუშაობაზე ხელი აიღეთ?

— ჩვენთან იყავი, შენც მუშაობდიო, მიპასუხეს; მაშინ მივუბრუნდი ჩეკის თავმჯდომარეს და ვუთხარი:

— მე იმაში ვარ დამნაშავე, რომ მეც ვმუშაობთქო.

ჩეკას სხვა არავითარი ბრალდება არა ჰქონია ჩემს წინააღმდეგ და მაშინათვე გამანთავისუფლეს. დავბრუნდი მაღაროებში.

ამ წმინდა ფიზიკურ მუშაობასთან პარალელურად მე განვაგრძობდი პარტიულ მუშაობასაც და მუდმივი კავშირი მქონდა გიორგი წერეთელთან, გიორგი გურულთან და დიმიტრი აბაშიძესთან; ამას გარდა მე როგორც სამხედრო კაცი და სახალხო გვარდიის შტაბის ყოფილი წევრი დავრჩი სამხედრო კომიტეტში და ამიტომ ხშირად ვხვდებოდი გიორგი წერეთელს და გიორგი გურულს. ჩემის მხრივ მე ვმუშაობდი კავშირის შესაქმნელად და ჩემთან დავიკავშირე შემდეგი ქარხანა მაღაროები: რგანის, დიდი რგანის, ზედარგანის, დარკვეთის და თაბაგრების; ამ რაიონებიდან პირადათ ჩემთან კავშირში იყვნენ: 1) სევეოიან ხვედელიძე, 2) გრიშა გამყრელიძე, 3) კოწია სამყურაშვილი, 4) ვასიკო ხვედელიძე, 5) პარმენა ქველაძე, 6) იპოლიტე ნადირაძე, 7) კალისტრაძე სარალიძე, 8) იასონ სამხარაძე.

ამას გარდა მე შევეცადე გადავბმოდი სოფლებსაც და თემებთან კავშირი დამემყარებია. ამ მხრივ მუშაობის შედეგად მე დავიკავშირე დიდი რგანის თემიდან—კოწია ხვედელიძე; პატარა რგანიდან—პორფილე ჩამყურაშვილი; ხრეითიდან—სეით ცერცვაძე; კაცხიდან—ფილიპე ცერცვაძე; ქვაციხიდან—გრიგოლ ბეოენაშვილი. თვითეულ მათგანს თავის რაიონში ჰყავდა სამეული.

ამასთან ერთად მე ვახდენდი სამხედრო აღრიცხვას, მომავალი რაზმელების რიცხვს ვარკვევდი და იარაღის აღრიცხვასაც ვეწეოდი.

ჩემს მაღაროებში მუშაობა გაძლიერდა და მუშათა რიცხვი ოთხასამდე ავიდა. მაღაროების უფროსი გაიდამაკი მოხსნეს და მის მაგივრად მე დამნიშნეს; მე კიდევ ჩემ თანაშემწედ ავიყვანე კ. ჩილინგაროვი. მე უკვე მერგებოდა შვებულება და რადგან რევმატიზმი მაწუხებდა, წავედი წყალტუბოს; თან ვინახულე გიორგი გურული და გადავეცი ჩემი მისამართი, თუ შემთხვევა იქნებოდა დეპეშით გამოვეძახებინე. წყალტუბოში დავრჩი 15 დღე და 16 ივნისს უკვე ჭიათურაში ვიყავი. სამშაბათს დილით ავედი მაღაროებში და ჩავიბარე სამუშაო. ამ დროს მივიღეთ ცნობა, რომ ყაჩაღები დახვედრიან ჩვენს მუშებს, რომელთაც მუშების დასარიგებელი ფული მოჰქონდათ და გაუძარცვამთო. ყაჩაღები, რასაკვირველია, მიმალულიყვენ. ამოვიდა ჭიათურიდან მთელი ადმინისტრაცია, მაგრამ ვის ნახავდენ, როცა «საქმე» შიგნიდან იყო მოწყობილი. როგორც მერმე გამოირკვა, ფულის გატაცება მოეწყო კოწია ვაშაძეს, რომელსაც კანტორის ფული გაეფლანგა. მანამ კ. ვაშაძის დანაშაულობა გაირკვეოდა, დაიჭირეს სრულიად უდანაშაულო პირები და მათ შორის მეცსულ ოც კაცამდე. გვაბრალებდენ სოციალდემოკრატიული პარტიის დავალებით აღნიშნული გაძარცვის მოწყობას, მაგრამ როცა გამოირკვა კოწია ვაშაძის ოინები, ყველა გაგვათავისუფლეს. ტყუილუბრალო ბრალდების გამო ვიჯექი ციხეში 40 დღე და სამუშაოს უფლებაც დავკარგე; ბევრი ვეცადე აღმედგინა, მაგრამ ამაოდ. ავიღე ჩემი ჯამაგირი, ციხეში გატარებული დროის ჩათვლით, და გავხდი უმუშევარი. მალე მინახულა გიორგი გურულმა და მე გადავწყვიტე ჩემი მუშაობა გამეგრძელებინა: აღვადგინე კავშირები მაღაროებთან და თემებთან და შემდეგ წავედი თბილისს, რათა დამეცვა ჩემი პროფესიული კავშირის უფლება: ამიტომ ვინახულე გალაქტიონ ვაშაძე და პროფკავშირთა თავმჯდომარე ყურულიშვილი. მართლაც, დიდი მისვლა-მოსვლის შემდეგ აღვიდგინე მუშაობის უფლება.

ჭიათურაში წამოსვლის წინ საიდუმლოდ მაჩვენა სოლომონ თელიამ ვალიკო ჯუღელი. მან მოკლედ გამაცნო პაოიზის ემიგრაციის ამბავი და სთქვა: ბევრი ყოჩაღად არის გული არ გასტეხიათო. კერძოდ ჩვენში მოსალოდნელი აჯანყების შესახებ მან შემდეგი იმედი დამიხატა: თუ ჩვენ ორი კვირა გავძელით, იარაღს მოგვაწვდის პოლონეთი: სტამბოლში მზად არიან ამისათვის სპეციალური კაცებიო. პირველად უნდა ავიღოთ ჩეკა და მთავარი შტაბი; უნდა ჩავიგდოთ ხელ-



ვალიკო ჯუღელი.

ში რკინისგზა ჯავშნოსანი მატარებლები; უნდა დავატუსაღოთ მთავრობის წევრები; უნდა ავაფეთქოთ ფოილოს ხიდი და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთო.

მისივე გეგმის მიხედვით მე 12 აგვისტოს 1924 წ. 8 კაცით უნდა ჩავსულიყავი თბილისში.

დავბრუნდი ჭიათურაში და დავიწყე შრომის ბირჟაში სიარული. ბოლოს მოვეწყვე სვანიშვილის ქარხანაში დაზგაზე სამუშაოდ.

აჯანყების მზადების შესახებ ცნობებს მაწვდიდენ გიორგი წერეთელი და გიორგი გურული. ჩემი მხრივ ჩემი მზადების შესახებ მათ ვაძლევდი ცნობებს.

ერთ დღეს გავიგე, რომ ჭიათურის ჩეკა დაპატიმრებას მიპირებდა. ამის შესახებ მოველაპარაკე გიორგი წერეთელს და ვარჩიე, რომ დამეწერა განცხადება, რომლის მიხედვით მე უნდა გავსულიყავი სოც.-დემ. პარტიიდან. მივედი პარტკომში; იქ დამხვდა პარტკომის მდივნის თანაშემწე ჯაფარიძე. ჯერ გაუკვირდა მას, რომ მე ასე ადვილად შევიტანე განცხადება,—ამაზე მე ვუთხარი:

— ჩემი სურვილით შევედი პარტიაში და ჩემივე სურვილით გამოვდივარ-თქო. ეს ჩემი განცხადება მოთავსებულ იქმნა გაზეთ «მუშა»-ში.

ამას შემდეგ მე თამამად განვაგრძე ჩემი მუშაობა და მოვახდინე ვაგონის მუშების, გამოსადეგ მებრძოლების, ჩამოყალიბება. ამასთანავე შევადგინე რაზმი 12 აგვისტოსათვის თბილისში წასაყვანად. ამ რაზმში შედიოდენ შემდეგი პირები: გრიშა წერეთელი (ვასილის), გრიშა გამყრელიძე, იოველ ცერცვაძე, კალისტრატე სარალიძე, ვანო ბედენაშვილი, სევერიან ხვედელიძე, დ. ჩუბინიძე, გოგიტა აბდუშელიშვილი.

ეს პირები, უკვე შეიარაღებული, მზად მყავდა და ველოდი თბილისისაკენ გამგზავრების დღეს. ეს მზადება, სხვათა შორის, არ იცოდა არც გიორგი წერეთელმა და არც გიორგი გურულმა. ეს იყო ვალიკო ჯუღელის პირდაპირი დავალება, რომელიც მოელოდა,. რომ ამ გზით პროვინციებიდან თბილისში შეიკრიბებოდა 600 კაცზე მეტი. მაგრამ უეცრად გავიგეთ ვალიკო ჯუღელის დაჭერის ამბავი. იგი დაატუსაღეს 6 აგვისტოს 1924 წელს და გაზეთში წავიკითხე მიშა კოღუაშვილის დაჭერის ცნობაც. 9 აგვისტოს დილით მატარებელს ჩამოყვა გიორგი წერეთელი, რომელმაც დაწვრილებით გვიამბო ვალიკო ჯუღელის დაჭერის ამბავი. ამასთანავე მან-

ვე შეგვატყობინა, რომ აჯანნების დღეთ დანიშნულია 15 აგვისტოო. მაგრამ მალე მივიღეთ ცნობა, რომ აჯანყება გადადებულიაო. ოღონდ ჭიათურაში 15 აგვისტოს ჭიათურის ჩონმა, სამაზრო ჩეკამ, მოაწყო განგაში; ღამით ასტეხეს სროლა; გააკეთეს მანევრები და დილით ვითომ დაამარცხეს აჯანყებულნი. ამ განგაშმა გააძლიერა ის ნერვიული მდგომარეობა, რომელიც უკვე იყო შექმნილი. გააფთრებული მზადება აჯანყებისათვის, იარაღში სხდომა, მუდმივი მოლოდინი პირისპირ მტერთან ბრძოლისა და ამასთან განუწყვეტელი დაჭერვა, ჩავარდნა, აჯანყების გადადება დიდ და მძაფრ ნერვიულობას იწვევდა ჩვენს შორის.

17 აგვისტოს 1924 წ. ცეკას დავალებით თბილისიდან ჩამოვიდა ლადო გიორგობიანი, რომელმაც თბილისს წაიყვანა ჩვენი გიორგი წერეთელი. გიორგი დაბრუნდა ჭიათურაში 23 აგვისტოს და გვითხრა, რომ აჯანყება დანიშნულია 28 აგვისტოსო.

ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს წ ი ნ.

მე გავემგზავრე ჩემს რაიონებში, მოვნახე იქ ჩემი რწმუნებულები და გავაფრთხილე რათა მზად ყოფილიყვნენ. ოთხშაბათ დილით, 27 აგვისტოს, მიბარებს გიორგი წერეთელი; ნაშუადღევის სამი საათისათვის ნესტორ წერეთელის ბინაზე დანიშნული იყო სამხედრო ხელმძღვანელების ინტერპარტიული კრება. ამ კრებას დაესწრენ შემდეგი პირები: გიორგი წერეთელი, პოლკოვნიკი ეკო წერეთელი (ეროვნულ-დემოკრატი), გრიშა წერეთელი (ფედერალისტი, გიორგი გურული, შ. რამიშვილი, კ. ჯაფარიძე და მე.

კრების გახსნისას გიორგი წერეთელმა გვითხრა:

— აქამდე ჩვენ მოვიტანეთ საქმე, ეხლა დრო არის სამხედრო კომიტეტი შეუდგეს საქმეს; ჩაიბარეთ რაიონები, გაინაწილეთ რაზმელები და ჩამოსთვალა შემდეგი: საჩხერის რაიონიდან გ. წერეთელის მეთაურობით—35 კაცი ორი ოფიცრით; კარუტოს ფირმიდან—25 მუშა იარაღით; პერევისა-ჩხიროულიდან ერ. ჩინჩალაძის მეთაურობით 50 კაცი, უმეტესი იარაღით. ერთი ტყვიამფრქვევი ექნება გ. წერეთელს. მე მყავდა 28 კაცი იარაღით და 40 უიარაღო ორი ოფიცრით, მაგრამ განგებ შევამცირე და ვთქვი: 12 იარაღიანი და 25 უიარაღო; ვიცი ადამიანის ბუნება, საჭიროების დროს ზოგი ავად გახდება და ზოგი ცოლს შეეკითხება...

ზემორე ანგარიშით გამოდიოდა აქტიური ძალა 112 იარაღიანი კაცი, 4 ოფიცრით და ერთი ტყვიისმფრქვეევით. ეს იყო სოციალდემოკრატიული პარტიის რაზმი. ფედერალისტებს ჰყავდათ 12 იარაღიანი კაცი ორი ოფიცრით და ეროვნულდემოკრატებს—15 იარაღიანი ორი ოფიცრით. სულ საერთოდ—139.

შემდეგ დაისვა თვით სამხედრო მოქმედების საკითხი. დავიწყეთ ჭიათურის განაწილება. პოლკოვნიკმა ეკო წერეთელმა მოითხოვა რუქა და სამხედრო თვალსაზრისით საქმის შედგომა. კ. ჯაფარიძემ წარმოადგინა შემდეგი წინადადება: გათენებისას თავს დავესხათ ჭიათურას და ავიღოთო. გ. წერეთელი დაეთანხმა კ. ჯაფარიძის წინადადებას. ჩემის მხრივ მე ჯერ გიორგი წერეთელს ვკითხე:

— ხომ ნამდვილად არის 28 აგვისტო, დღით ხუთშაბათი, დანიშნული თქო. ამაზე გიორგიმ მიპასუხა: მაგაზე ნუღარ კარგავთ დროსო. მერმე ვიკითხე: ჩვენი მთავარსარდალი, პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი სად არის, რატომ არ ესწრება დღევანდელ გადამწყვეტ კრებას-თქო. გიორგიმ მიპასუხა: არ შეიძლება პოლკოვნიკ სვიმონ წერეთლის გამოჩენაო. შემდეგ მე მოვახსენე სამხედრო კომიტეტს:

— მე არა ვარ ოფიცერი, ვარ ძველი ფელდვებელი და ვიცი აგრეთვე ჭიათურის მდგომარეობა; ვიცი ისიც, თუ როგორ ვიცავდით ჭიათურას ბოლშევიკების შემოსევისას; ვიცი აგრეთვე როგორ ვემზადებოდით 1922 წელში ჭიათურაზე თავდასასხმელად. ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა ჭიათურა დანაწილდეს შემდეგ რაიონებად: 1. რკინისგზის სადგური; 2. სამაზრო მილიციის, სამაზრო ჩეკის, სამრეწველო მილიციის, სარაიონო მილიციის ადგილები გაღმით; 3. პარტკომის, ჩონის დაწესებულების მხარე. ამას გარდა 10 კაცისაგან შემდგარი რაზმი შეხვდება თირში შორაპნიდან მომავალ მატარებელს; ორი რაზმელი დაიკავებს ადგილს მემანქანესთან, დანარჩენები დაიჭერენ საეჭვო პირებს და თან ხალხს ეტყვიან: დამშვიდდით, მოხდა ქართველი ერის განთავისუფლება; ხალხი აღარ შეშინდება. მატარებელი შემოვა სადგურზე ჭიათურაში ჩვეულებრივად; მატარებელში მყოფი რაზმის ხელმძღვანელი დაიკავებს რკინისგზის ჩეკას, ფოსტას და ააკიღებს ორთქლმავალს. ეს არის იმის ნიშანი, რომ დაიწყოს ჭიათურის მეორე და მესამე რაიონზე თავდასხმა. მე თვითონ ავირჩიე სადგურის რაიონი. ჩემი გეგმა კრებამ მოიწონა, ხოლო მითხრეს, რომ შენი რაზმით უნდა მიხვიდე მთავარ ძალა-

ზე, ესე იგი, სამაზრო მილიციაზე და ჩეკაზე მეორე რაიონშიო. პირველ რაიონში მოქმედება დაავალეს გრიშა წერეთელს; მესამე—კოწია ჩაჩანიძეს. ეს კოწია კრებაზე არ იყო და როცა ვიკითხე: ვინ არის მის მაგიერ პასუხისმგებელი-თქო, გიორგი წერეთელმა მიპასუხა, მე ვარო.

მე მომიმატეს 15 კაცი ერთი ოფიცრით. ამგვარად მეორე რაიონის აღება მე დამეკისრა. გამოსვლის დროთ დავნიშნეთ ნაშუადამევის ოთხი საათი. მიღებულ იქმნა კიდევ ერთი ჩემი წინადადება: გიორგი წერეთელი, შ. რამიშვილი, გიორგი გურული, პოლკოვნიკი ეკო წერეთელი, კ. ჯაფარიძე, მთავარსარდალი პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი,—ყველა ესენი უნდა მოსულიყვნენ მთავარ შემკრებ პუნქტთან სადგურზე, პირველ რაიონში და ხალხისათვის გამოეცხადებინათ, რომ მოხდა ქართველი ერის მთლიანი გამოსვლა ყველა მაზრებში და ძალაუფლება არის განმათავისუფლებელი კომიტეტის ხელში-თქო. ისინი გააკრავდენ აგრეთვე მოწოდებას, რომელიც იყო მოტანილი თბილისიდან. ეს ჩემი წინადადება ერთხმად მიიღეს. დარჩა პაროლის საკითხი. პაროლად მივიღეთ სიტყვა «ჭაღარა»; ამით ვგულისხმობდით ძვირფას უხუცესს ნოე ჟორდანიას.

კრება დაიშალა საღამოს 7 საათზე.

1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყება ჯიათურაში:

გაკვრით უკვე მოვიხსენიე, რომ აჯანყების წინ მე დავიარე ჩემთან დაკავშირებული თემები. 26 აგვისტოს ვიყავი რგანში და კაცხში; აქ მე ველაპარაკე ვასიკო ხვედელიძის ოჯახში კოწია სამყურაშვილს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და სად მოეყვანა თავისი რაზმელები. იქიდან წავედი სოფელ ვაჯევში, სადაც ვინახულე ფილიპე ცერცვაძე; აქედანვე სოფელ ჯვარიეწერზე შიკრიკად გავგზავნე იოველ ცერცვაძე შ. კუპატაძესთან. ფილიპე ცერცვაძის საშუალებით დავიბარე ხრეითის თემის რაზმელები, რომელთა მეთაური იყო სეით ცერცვაძე. ხრეითის რაზმი სეითის მეთაურობით შემხვდა ხრეით-ვაჟევის საზღვარზე. ამ შეხვედრას დაესწრენ შემდეგი პირები: სეით ცერცვაძე, ვ. წერეთელი, ვიტალი მიხელიძე, ე. ალიხანაშვილი (ოფიცერი), ვ. ლოლაძე, მ. სამაკაშვილი, ფ. ცერცვაძე, იოველ ცერცვაძე; კიდევ იყო რამდენიმე კაცი, რომელთა გვარი, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს. ამ შეხვედრისას მე მათ მოვახსენე აჯანყების მოახლოვების შესახებ და გავაცანი საერთო გეგმა ბრძოლისა. აგრეთვე ვთხოვე მათ მზად ყოფილიყვნენ ყოველი წამისთვის.

სოფელ ქვაციხეში გავგზავნე ვანო ბედენაშვილი და თ. ბიწაძე; ეხლა კიდევ ამათ მივუმატე ორი ახალი შიკრიკი, მეურმეები: გრიგოლ ბედენაშვილი და ს. ბედენაშვილი.

27 აგვისტოს, კრების შემდეგ, შემხვდა ე. ტყემალაძე და გამიცხადა, რომ ეროვნულდემოკრატების რაზმი, რომლის მეთაურები იყვნენ ი. კაპანაძე და ოფიცერი კ. სამხარაძე, შენ უნდა შემოგიერთდენო.

ჩემი პასუხი ამის შესახებ იყო ცივი:

— მე არაფერი არ ვიცი საერთოდ და კერძოდ მით, უმეტეს რაღაც რაზმის შესახებ-თქო.

ეს ჩემი ცივი უარი იმით აიხსნება, რომ მე ე. ტყემალაძის მეშინოდა, არ ვენდობოდი. ამ შემთხვევამ კიდევ უფრო ამაჩქარა და ვცდილობდი სასწრაფოდ დამეტოვებინა ჯიათურა და გავსულიყავი სოფლად.

აჯანყების შესახებ ხმა მოდებული იყო მთელ მხარეში, ყველა ელოდა მას გულისფანცქალით; ბოლშევიკების მიერ 15 აგვისტოს მოწყობილმა განგაშმა ხალხი კიდევ უფრო და-

არწმუნა, რომ მალე იფეთქებდა აჯანყება და დაძაბული ცნობისმოყვარეობით მოუთმენლად უცდიდა მას.

ჭიათურიდან წასვლის წინ ფეხსაცმელები გავაწმენდიე ებრაელის ბიჭს. როცა საქმეს მორჩა, უცებ ეს პატარა ბიჭი დამეკითხა:

— ბატონო, როდის აიღებთ ჭიათურას?

საშინლად გავბრაზდი, გადავუგდე აბაზიანი და წავედი. მომდევს ებრაელის ბიჭი და მიძახის: ბატონო, ნუ მიწყრები, არ მინდა შენი აბაზი!

— დამეკარგე აქედან! შევუყვირე მას და სწრაფი ნაბიჯით გავეშურე ვაგონის მუშების სანახავად. აქ დამხვდენ: ა. სირაძე, ვ. გვენეტაძე, ვ. ლუტიძე, ხ. ლუტიძე, ლუკა ჯიშკარიანი, ი. კუპატაძე, ბესარიონ კუპატაძე, ბ. ბრეგვაძე. ამბაკოს ოთახში ტანისამოსი გამოვიცვალე და ამ დროს მოვიდა კალისტა სარალიძე. იგი დაჭერილი იყო მილიციის მიერ, მაგრამ სასადილოდ გამოეშვათ. კალისტამ დამიყინა შენთან ერთად უნდა წამოვიდეო, და ვერაფრით ველარ გადავთქმევინე, ასე რომ იძულებული ვიყავი ჩემთან წამეყვანა. იმ დროს მე მუდმივ ბინად მქონდა რგანში ვახო კავთელაძის ოჯახი.

საღამოს 8 საათზე, 27 აგვისტოს 1924 წ., გავედით ჭიათურიდან და უკვე ცხრა საათზე დანიშნულ შემკრებ პუნქტზე. დიდ-რგანში ეკლესიის ეზოში ვიყავით. ჯერ არავინ იყო მოსული. ხალხი მყავდა დაბარებული ღამის 12 საათისათვის. დავბრუნდი უკან და მივედი კ. სამხარაძის ოჯახში. გავიშვრე ცეცხლზე ტანისამოსი. წვიმამ ძალიან დამასველა. მთხოვეს ვახშამი მიმერთვა, მაგრამ ფიქრებს ისევ ვყავდი დამონებული, რომ შიმშილს სრულიად არ ვგრძნობდი. მაწუხებდა აზრი: ხომ არ ჩავარდა, ხომ არავინ გაგვცა, ხომ არავინ დაიჭირეს, აჯანყება არ დაიღუპოს წინასწარ და სხვა ასეთი ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა. ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ მოვიდა ერთი ჩემი კარგი ამხანაგი სევერიან ხვედელიძე და ჩვენ ერთად წავედით დანიშნულ ალაგას. აქ უკვე დამხვდა მოსული ორი კაცი: კალისტა სარალიძე და ივანე ბერიძე (მუსულმანი); ცოტა ხნის შემდეგ მოვიდენ: ს. ხვედელიძე, ი. სამხარაძე, ეროვნულდემოკრატები: ი. ციმაკურიძე, ვ. გველესიანი და ი. ყიფშიძე (მღვდელი).

გავიდა რამოდენიმე წამი და მოვიდა კოწია სამყურაშვილი 9 კაცით. ყველა შეიარაღებული იყო. მათ თემის აღმასკომი უკვე განეიარაღებინათ და დაუჭერიათ ბარათაშვილი.

შემდეგ შემოგვემატა სეით ცერცვაძე ექვსი კაცით, მათ შორის მხოლოდ სამს ჰქონდა იარაღი. შევედი ეკლესიაში, რათა ლაპარაკის ხმა არავის მისწვდომოდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოვიდენ ქვაციხიდან და კაცხიდან დ. ჩუბინიძის და იოველ ცერცვაძის მეთაურობით 12 იარაღიანი და 20 უიარაღო.

ჩუმად გამიხმო შ. კუპატაძემ და მითხრა: შენთან საქმე აქვს შ. ჯუმბურიძეს და გ. კუპატაძეს; გარედ გიცდიანო.

გამეხარდა მათი მოსვლა და გავედი გარედ ეკლესიიდან მათ სანახავად. შ. მკითხა თუ რამე ცნობაა მოსული თბილისიდანო. მეც ავუხსენი საქმის ვითარება და ვუთხარი: ეხლა ჯიათურაზე წასვლის დროა არის-თქო. შ. წამოსვლაზე უარი მითხრა. მაშინ ვთხოვე რაზმისათვის ეთქვა ორიოდე გამამხნევებელი სიტყვა, მაგრამ ამის საპასუხოდ შემეხვეწა: თუ ძმა ხარ, ნუ იტყვი, თუ ვიყავი აქ შენთანო, და წავიდა.

ამ დროს ასტყდა სროლა. არავინ არ აღელვებულა, რადგან სცოდნიათ თურმე, რომ გველესიანებში იმ დროს ქეიფობდა ბოლშევიკი კოწია ვაშაძე, ალბათ დათვრა და სროლა ასტეხაო.

მთელი ეს რაზმი დავანაწილე სამ ჯგუფად. იარაღიანი იყო 27 კაცი, უიარაღო 40 კაცი. არც ერთი ოფიცერი არ გამოცხადებულა. ჩემს თანაშემწედ ავიყვანე კოწია სამყურაშვილი. პირველი ჯგუფის უფროსად დავნიშნე პარმენ ქველაძე: მის ჯგუფში შედიოდა 12 კაცი: ი. ბერიძე, კ. სარალიძე, შ. კუპატაძე, უგრეხელიძე; დანარჩენთა გვარები არ მახსოვს. ამ პირველი ჯგუფის ამოცანა იყო სამაზრო ჩეკის აღება ჯიათურაში.

მეორე ჯგუფის ხელმძღვანელად დავნიშნე ა. სამყურაშვილი; მას მივეცი ათი კაცი: ს. ხვედელიძე, შ. ხვედელიძე და სხ., რომელთა გვარი აღარ მახსოვს. ამ ჯგუფის მოვალეობა იყო სამაზრო მილიციის დაკავება.

მესამე ჯგუფი ჩემი ძმის, დ. მეთაურობით, დავტოვე სოფელ რგანში, ზურგის დასაცავად. ამ ჯგუფში იყო მხოლოდ ორი იარაღიანი, დანარჩენი უიარაღო. მათ უნდა განეიარაღებინათ რგანის თემ-აღმასკომი.

რაზმების დაჯგუფების შემდეგ რაზმს მივმართე შემდეგი სიტყვით:



ხვიმდნ ჭარეთელი
1870—1951

ამხანაგებო!

მე მივიღე საქართველოს გამანთავისუფლებელ კომიტეტისაგან (დამკომი) ბრძანება თბილისიდან, რომელიც უსიტყვოთ უნდა ავასრულოთ. დღეს დილის რიეერაკზედ იწყება ქართველი ერის გამოსვლა—საყოველთაო აჯანყება დიდი რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ. ქართველებთან ერთათ გამოვლენ: სომხეთი, აზერბაიჯანი და მთის ერები. ოთხი წელიწადი სრულდება, რაც სარდაფებში ვეწეოდით ჩუმ მუშაობას, რომ საქართველოს გადაეგდო რუსეთის მძიმე უღელი. ამ ოთხი წლის მანძილზე მრავალმა ქართველმა პატრიოტმა შესწირა თავი ამ წმინდა საქმეს: გაიხსენეთ სვანეთის ამბები 1921 წლიდან ბიძინა პირველის, ეგნატე გაბლიანის, გრიშა ონიანის და სოლომონ ვადაჭკორიას მეთაურობით; გაიხსენეთ ფშავ-ხევსურეთის და დუშეთის ამბები 1922—1923 წლამდინ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით; გაიხსენეთ პირველი სამხედრო ცენტრი თბილისში: კოტე აფხაზის მეთაურობით, რომელიც 14 სხვა მხედრებთან ერთათ: გოგი ხიმშიაშვილი, ვარდენ წულუკიძე მტერმა ერთ საფლავში ჩაყარა. რამდენი სხვები უნდა ჩამოვთვალოთ, რამდენი დაიღუპენ ციხეებში. სამხედრო მინისტრი პარმენ ჭიჭინაძე და სეით რაზმაძე, ხომ პირველი მსხვერპლი იყვენ. აქ თქვენ მოხვედით ვინც გადარჩით, თქვენი იარაღით და სურსათით; ბევრი კიდევ უიარაღოთ. როგორც ხედავთ, ჩვენ ვიმყოფებით დიდი რგანის ეკლესიაში, თქვენ კარგათ იცით, როგორ აფარებდა ქართველი ხალხი თავს ეკლესიას, როცა ესხმოდენ ურწმუნოები; აი ეს ეკლესია არის დევნილი კომუნისტების მიერ, როგორც ძველათ მონღოლების, სპარსელების და თურქების მიერ; აი ამ წმინდა ადგილას გადმოგცემთ საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტის ბრძანებას. ჩვენ პირადათ მივდიეართ ქალაქ ჭიათურაზე დილის ოთხი საათიდან; ჭიათურა არის დაყოფილი სამ რაიონათ: პირველი რაიონი არის სადგური და ფოსტა-ტელეგრაფი, მას აიღებს ფედერალისტების რაზმი გ. წერეთელის მეთაურობით.

ვინაიდგან პირველი რაიონი არის ქალ. ჭიათურის ცენტრი, ამიტომ მის აღებას აქვს დიდი მნიშვნელობა, რის შემდეგ ორთქლმავალის საყვირის ნიშნით ვიწყებთ მეორე და მესამე რაიონებზე მოქმედებას. გ. წერეთელთან იქნებიან მთავარი პოლიტიკური ხელმძღვანელები: გიორგი წერეთელი, დ. აბაშიძე, მთავარსარდალი პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი და პოლკოვნიკი ეკო წერეთელი.

მესამე რაიონის ხელმძღვანელი არის კოწია ჩაჩანიძე, მისი რაზმი განაიარაღებს საავადმყოფოდან დაწყებული ჩოხს და შემოგვიერთდება ჩვენ ზედა ხიდთან.

მეორე რაიონის მეთაური ვარ მე. ეს რაიონი არის ყველაზე დიდი და საშიში, აქ არიან შემდეგი დაწესებულებანი: პირველი სამაზრო ჩეკა, რომელსაც იცავს ოცდაოთი კაცი ჩეკის რაზმი, ჩეკაში ზის ორმოცი ტუსაღი; მეორე—სამაზრო მილიცია—მას იცავს ორმოცდა ექვსი კაცი; მესამე—საარაიონო მილიციას იცავს თუთხმეტი კაცი; მეოთხე—სამრეწველო მილიცია—მას იცავს თორმეტი კაცი და კომუნარები ექვსი კაცი და მცხოვრებნი—ლეკავები. ჩემთან ხართ სულ ოცდარვა კაცი თოფით და ორმოცდა რვა კაცი უთოფოთ. მე მიმყავს კოწია სამყურაშვილი ათი კაცით და ვესხმი თავს სამაზრო ჩეკას.

სეევერიან ხვედელიძე ათი კაცით მიდის სამაზრო მილიციაზე. არტემა სამყურაშვილი მიდის რვა კაცით საარაიონო მილიციაზე. ა. ბაზღაძე ორმოცდარვა კაცით უიარაღო. იცდის სიმინდებში, როცა კომუნისტებს იარაღს ავყრით ამბერკი ბაზღაძე შეიარაღებს თავის რაზმს და მოგვეშველება იქ სადაც საჭირო იქნება. აქ რგანში იცდის დომენტი ექვსი კაცით, უიარაღოთ, გაანიარაღებს თემის აღმასკომს და ნიშნავს თემის თავმჯდომარეთ ს. ხვედელიძეს, რის შემდეგაც გვიერთდება ჩვენ ჭიათურაში.

ჩემს მოადგილეთ ვნიშნავ კოწია სამყურაშვილს. ჩემთან იქნებიან კავშირში გრიგოლ და სამსონ ბედენაშვილები და აგრეთვე ალექსანდრე ბრეგვაძე.

აბა, ბიჭებო, არ შეკრთეთ, მწყობრათ, მედგრათ, მამაცათ. მარიობა გვითენდება, რა გვიჭირს, ვინც მოვკვდებით, მოვკვდებით სამშობლოსათვის, ეს ხომ ბედნიერება იქნება. ამხანაგებო, ჩვენი პაროლი არის ჭაღარა, ესე იგი, ნოე ჟორდანია; მტრის პაროლი არის შტიკი, ესე იგი, ბოლშევიკების.

მაშ ასე ამხანაგებო: ჩვენი მთავარი საგუშაგოები არის პანასეევის ქარხნიდან პანასეევის კანტორის უკან სვიმონ ვაშაძის ვენახებზე და გადავალთ პუპია ჯაფარიძის სახლთან, ასე რომ დიდი რგანის ღელე ჩვენ ხელთ უნდა იქნეს პირველად დაკავებული.

ამხანაგებო, მე მოგეცით ის ცნობები, რაც ჩვენთვის იყო საჭირო და აუცილებელი. ეხლა კი დრო აღარ იცდის, ნაწვიმარია და ჩვენ ექვსი კილომეტრი ფეხით უნდა გავიაროთ, ამიტომ მწყობრათ, არ დაიბნეთ და თითეულმა ათეულმა თა-

ვის ათეულის უფროსს უსმინეთ და შეასრულეთ მისი ბრძანება. თუ ყველა რაიონები გამოვიდენ, ჩვენ ჭიათურას ავიღებთ რამოდენიმე წუთში, და ვინიცობაა რომელიმე რაიონის მეთაური ვერ გამოვიდა, ჩვენ მაინც უნდა ვიბრძოლოთ მანამდე, სანამდის ჭიათურას და მის თემებს არ ავიღებთ.

მაშ გაუმარჯოს ჩვენ დემოკრატიულ საქართველოს, გაუმარჯოს ჩვენი ერის ბელადს და მის ხელმძღვანელს ნოე ჟორდანიას, თქვენ იცით ხოლმე როცა სიმღერას გაათავებთ იტყვით: «თქვენი გამარჯვებისა იყოსო»; მეც გავათავე, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად გეუბნებით: თქვენი გამარჯვებისა იყოს.

ამის შემდეგ, სხვათა შორის, შეეკითხე მათ: რომ დავმარცხდეთ, რას იტყვით, თუ დაგიჭირეს?

— რას ვიტყვით და, ჩვენ გამოვედით ბოლშევიკების წინააღმდეგ და უცხო ჯარების წინააღმდეგო.

მათ ვაცნობე, რომ მე თვითონ ჩემი ორი რაზმელით გ. და ს. ბედენაშვილებით, ვიქნებოდი შუა ადგილზე,—უფრო ახლოს ჩეკაზე, იქ უნდა მივიტანოთ პირველი იერიში, რომ ჩეკისტებმა არ მოასწრონ ტუსაღების ამოწყვეტა-თქო.

რგანიდან გამოვედით ღამის სამ საათზე, უიარაღო რაზმელები უკან მოგვდევდენ. ჭიათურას რომ მივუახლოვდით, ორი უიარაღო, ძველი ვაგონის მუშა: თ. ბიწაძე და ვ. ბედენაშვილი, პ. ჩუბინიძესთან ერთად გავამგზავრეთ ჭიათურაში დასაზვერავად. მათ არავინ შეხვედრია და ყველა პოსტზე დავაყენე ჩვენი რაზმელები. ჩეკისაკენ დავაყენე თუ არა ქველაძის რაზმი, მოვიდა კიდეც შორაპნიდან სამგზავრო მატარებელი.

როგორც იყო გადაწყვეტილი 27 აგვისტოს სამხედრო კომიტეტის კრებაზე, ვუცდი, რომ ორთქლმავალი ატეხდა კივილს; მაგრამ არც ორთქლმავალის საყვირის ხმა ისმის და არც სროლის...

განთიადი ახლოვდება. მეურმეები უკვე ემზადებიან მაღაროებისაკენ წასასვლელად და შავი ქვის ჩამოსახიდათ.

ვიცდი კიდევ. არაფერი ისმის.

უიარაღო ხალხი ჩამალულია ვენახებში. იარაღიანი თავის ადგილზე სდგას.

სადგურში გავარდა ერთი თოფი.

ჩეკის თავმჯდომარე გრიშა ლომიძე გამოვიდა გარედ აივანზე და დაუძახა უფროს მილიციონერს:

— შეიტყვე სად იყო თოფის ხმაო.

ელდა მეცა: შეიძლება ყველა ჩავარდა! არ ისმის ხმა არც მესამე რაიონიდან! პირველი, სადგური, ხომ დადუმდა!

იმ წუთს გადავწყვიტე ჩეკაზე იერიშით მისვლა და დაიწყო ბრძოლა. ორჯერ შევუტიეთ ჩეკას, მაგრამ ორჯერვე უკან დაგვახევინეს. ჩეკისტები ჩაიკეტენ ქვიტკირის შენობაში და ძლიერი სროლით ახლოს არ გვაკარებდენ. უცბათ ზურგიდან დაგვესხენ კომუნისტები ჭაბუკ მეშველიძის მეთაურობით. ოთხი რაზმელი დავტოვე ჩეკის პირისპირ და დანარჩენებით ვეკვეთე კომუნისტების რაზმს. ეს რაზმი ჩვენ გავფანტეთ და დავიპირეთ თვით ჭაბუკ მეშველიძე და ორი ბოლშევიკი რაზმელი: აქვსენტი ლექავა და პოლიკარპე ლექავა. ამავე დროს გადავედი მაზრის მილიციის სამმართველოსაკენ. აქ ბრძოლა დაიწყეს იმ წუთში, როდესაც ჩვენ ჩეკას შევუტიეთ. რაზმელებს ტყვია თითქმის ელეოდათ, მაგრამ, საბედნიერდ, ალ. ბრეგვაძემ მომიტანა 250 ცალი ვაზნა და თან შემატყობინა, რომ პერსენაკის ქარხანასთან, ჩვენი პოსტიდან ნახევარი კილომეტრის მოშორებით, ბოლშევიკების ექვს-კაციანი რაზმია, ყველა შეიარაღებულია. ვაზნები იმ წამსვე დავურიგე რაზმელებს და აქ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი რაზმელი უკვე გაპარულა. გაპარულა ჩემი თანაშემწე კოწია სამყურაშვილი! გაპარულან: პარმენ ქველაძე, შ. კუპატაძე და ბერიძე. ამ მოვლენამ ძალიან დამაღონა; მაკლდებოდა ძალა და ეს საშიშ მდგომარეობაში აგდებდა დანარჩენებს. ამიტომ პ. ჩუბინიძე და ვ. ბედენაშვილი გავგზავნე ჩემ ძმასთან, დომენტისთან, რომ იგი თავისი ხალხით მომშველებოდა.

პერსენაკის ქარხნისაკენ ბოლშევიკური რაზმის წინააღმდეგ გავაგზავნე: ალ. ბრეგვაძე, მეთოდე ნიქაცაძე და ს. აბესაძე. ეს ორი უკანასკნელი დაიპირეს ბოლშევიკებმა და ა. ბრეგვაძე კი უკან დაბრუნდა.

კოწია ჩაჩანიძის რაზმმა თითქმის დაიკავა გაღმა ჭიათურა და სადგურს მიუახლოვდა.

წავედი პერსენაკის ქარხნისაკენ, დავესხი თავს იქ მყოფ ექვს ბოლშევიკს, ავყარე ყველას იარაღი და დავატუსაღე.

დილის 8 საათია, 28 აგვისტო 1924 წ.

კოწია ჩაჩანიძემ აიღო სადგური.

მე შევუდექი ჩეკაზე მესამე შეტევის მომზადებას. წავიყვანე ალექსანდრე ბრეგვაძე, სევერიან ხვედელიძე. გავედით კლდის თავზე ხოხვით, ამოვიფარე ჯაფარიძის სახლი, ამგვარად მოვექეცით სამაზრო მილიციას პირდაპირ და გავხსენით მაგარი ცეცხლი.

მილიცია შეირეკა ყაზარმაში; კიდევ ერთჯერ დავსცხეთ მაგრად და მილიციამ იყვირა:

— ნუ დაგვწყვიტავთო!

პირველად გამოვიდენ უფროსი მილიციონერები: სვიმონიკა საყვარელიძე, ალექსანდრე ყიფშიძე, დათიკო ცქიტიშვილი; მათ მოჰყვა მილიციის უფროსი ალექსანდრე ვაშაძე, სარაიონო მილიციის უფროსი ონისიმე მოდებაძე, მაზრის აღმასკომის მოადგილე ტარასი მგალობლიშვილი; შემდეგ გამოვიდა ჩეკის თავმჯდომარე გრიშა ლომიძე და ჩეკისტი გვანცალაძე. ამგვარად, ხელთ ჩაგვივარდა ოთხი დაწესებულების მილიცია: 1. სამაზრო მილიცია—115 კაცი; 2. სარაიონო მილიცია—30 კაცი; 3. სამრეწველო მილიცია—18 კაცი; ჩეკისტები—14.

სწრაფულ გავეშურეთ სამაზრო ჩეკაზე. ჩეკის თავმჯდომარე ლომიძე თან წავიყვანე. გზაში მან მითხრა: იქ ბრძოლა აღარ დაგჭირდებათო. მართლაც, დიდი ბრძოლა არ დაგვჭირვებია, თავისუფლად ავიღეთ ჩეკა. გავაღეთ ჩეკის სატუსაღოს კარები და გავათავისუფლეთ 18 ტუსაღი, მათ შორის იყო ერთი ჩვენი რაზმელი კოლია გაფრინდაშვილი, სვიმონ კაციტაძე, ზაქარია ლურსმანაშვილი, სრდიონ კაკაბაძე და სხ.

ჩეკის დაპატრონებით დასრულდა ბოლშევიკური ხელისუფლება ჭიათურაში.

ჭიათურაში აჯანყებამ შემთხვევით ხასიათი მიიღო. ჯერ ერთი, აჯანყება დაიწყო ერთი დღით ადრე გიორგი წერეთელის არა-სწორი ცნობის გამო; მერმე აჯანყების გეგმა ჭიათურაში არ შესრულდა. მთელი ბრძოლა დაგვაწვა კოწია ჩაჩანიძეს და მე. კოწია ჩაჩანიძემ, მართალია, გვიან დაიწყო სამხედრო მოქმედება, მაგრამ მისმა გამოჩენამ დაარჩარა ჩემ რაზმს გაბედულად განეგრძო ბრძოლა, ვინაიდან პირველი რაიონი, რომლის აღება დაკისრებული ჰქონდა ფედერალისტების რაზმს ოფიცერ გრიშა წერეთელის ხელმძღვანელობით, არც კი განძრეულა. დადგენილების თანახმად, გიორგი წერეთელი, ეკო წერეთელი, დ. აბაშიძე და შ. რამიშვილი უნდა ყოფილიყვნენ პირველ რაიონში და მისი აღების შემდეგ დაპატრონებოდენ მას, განსაკუთრებით აუცილებელი იყო ფოსტის ხელში ჩაგდება, რათა ჭიათურა მოეწყვიტათ ცენტრალ ფოსტიდან. რასაკვირველია, ეს გეგმა საკვლევით ჩაიფუშა. ამას გარდა სოფელ ზოდის რაზმს, რომელსაც ხელმძღვანელობდა გრიშა გამყრელიძე, უნდა შეხვედროდა ჭიათურაში, აბანოებს ზევით, გიორგი გურული, რომელიც ზო-

დის რაზმს ჩემს რაზმთან მოიყვანდა მეორე რაიონში. სამწუხაროდ, გიორგი გურული არ გამოჩნდა.

გამოჩდენ ძმები ლადო და იონა ვაშაძენი; თვითონ მოდიოდენ თავისი სურვილით და სცემეს დაჭირულ კომუნისტებს. მივუბრუნდი აღმასკომის მოადგილე ტარასი მგალობლიშვილს და ვუთხარი: აი ეს არის ბრძოლა, ხომ ხედავთ? წუხელი იმუშავა მაღაროში და ეხლა აგერ არის თქვენს წინააღმდეგ თქო.

ჩეკა'ში აღმოვაჩინე ჯაშუშთა სია, და სხვა ბევრი საინტერესო ქაღალდი პორთფელში, რომელიც გადავეცი კ. ბრეგვაძეს.

ამის შემდეგ, ჩემის რაზმით გავედი სადგურზე, სადაც ვნახე გიორგი წერეთელი, კოწია ჩაჩანიძე, შ. რამიშვილი, კ. ქვარიანი.

როცა ჭიათურის მეორე რაიონი ავიღე, სახელმწიფო ხაზინაში—სამრეწველო მილიციის, სამაზრო და სარაიონო მილიციის, მთავრობის სავაჭრო და კოოპერატიულ დაწესებულებებში—შეგროვდა 68.000 ჩერვონეცი. 9,75 ჩერვონეცი უდრიდა მაშინ ერთ გირვანქა სტერლინგს. ეს ფული და გასაღები კარებისა ჩავაბარე კ. ბრეგვაძეს.

ჭიათურის აღებისთანავე ქალაქის კომენდანტათ დაინიშნა კოწია ჩაჩანიძე, მის მოადგილედ—შ რამიშვილი; სადგურის კომენდანტად—ვ. წერეთელი (მღვდლის შვილი); ქალაქის მილიციის უფროსად—გ. ჩაჩანიძე; დაპატიმრებული კომუნისტების ყარაულის უფროსად—ვანო ბოცვაძე («ჩორნა»).

ჭიათურის რაიონის თემებიდან ვღებულობთ ცნობებს, რომ აღმასკომები დავატუსაღეთ და ყველგან ჩვენი ხალხი დავაყენეთო: ქვაციხის თემის თავმჯდომარედ გახდა—მელიტონ ჩუბინიძე; კაცხის—ფილიპე ცერცვაძე; დიდი რგანის—კოწია ხვედელიძე; ხრეითის—სეით ცერცვაძე; პატარა რგანის—პორფილე სამყურაშვილი; წირქვალის—კოლია გაფრინდაშვილი და სხ. და სხ.

ეს ცნობები მივიღე 28 აგვისტოს საღამო ჟამს და გადავეცი დ. აბაშიძეს, რომელიც პოლკოვნიკ სვიმონ წერეთელისაგან დანიშნული იყო მის თანაშემწედ, ესე იგი, მთავარსარდლის მოადგილეთ.

საჩხერისაკენ იმ დღესვე, 28 აგვისტოს, გავაგზავნეთ რაზმი პავლუშა ვაშაძისა და გრიშა გამყრელიძის ხელმძღვანელობით—სულ 40 კაცი—ერთი ოფიცრით. მივიღეთ ცნობა,

რომ საჩხერე ჩვენ სხელთ არისო. ჭაითურა-საჩხერეში მოისპო ბოლშევიკური ხელისუფლება. ამ ბრძოლების შედეგი იყო ოთხი მოკლული. ორი რაზმელი მოუკლეს კოწია ჩაჩანიძეს: ვანო ფხალაძე და სანდრო ნადირაძე; ორიც მოუკლეს ბოლშევიკებს.

მალე მივიღეთ ცნობა თირიდან, რომ ჭიათურისაკენ მოიწევენ რუსული ჯარების ერთი რაზმიო. ეს ცნობა ძოგვაწოდა ოფიცერმა ტიტიკო ჩაჩანიძემ.

15 კაცის თანხლებით წავედი თირისაკენ.

თირი არის ჭიათურასა და სალიეთს შუა. აქ ჩვენ შევუტიეთ ბოლშევიკურ ჯარს; უკუ ვაგდეთ იგი, დავატოვებინეთ სამი ტყვე და ერთი ყუთი ვაზნები.

ამ დროს მივიღე ბრძანება მთავარსარდალისაგან, რომ ავბრუნებულიყავი ჭიათურაში. აქ ვინახულე პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი და ვუამბე. რაც მოხდა თირში.

მან მითხრა: ჩვენ, შვილო, გავაკეთეთ ის, რაც იყო ჩვენზე დავალებულიო.

თირში იყო დარჩენილი ოფიცერი ტიტიკო ჩაჩანიძე 25 კაცით; წინ სოფლისა და ვილოვანს შუა იყო ოფიცერი ზაქარია ლურსმანაშვილი თავისი რაზმით; მთავარ ხაზზე იდგა პოლკოვნიკი ეკო წერეთელი 50 კაცით.

ღამის 10 საათზე წავედი ნავარძეთისაკენ. იქ ვინახულე პოლკოვნიკი ეკო წერეთელი და პორუჩიკი ბებე მამალაძე. აქ გავიგე, რომ ბოლშევიკური ჯარი ემზადებოდა დილისათვის ჭიათურაზე შემოსატევად.

ეს ამბავი წერილობით საჩქაროდ ვაცნობე პოლკოვნიკ სვიმონ წერეთელს და თან ვთხოვე: პასუხისმგებელი ბოლშევიკები გაეყვანათ საჩხერისაკენ შეუმჩნეველად ღამით, თან სურსათიც წაეღოთ და ფულიც. ამაზე პასუხად უარი მივიღე და მერმე თვითონ წამოვედი პოლკოვნიკ სვიმონ წერეთელისა და გიორგი წერეთელის სანახავად.

ჩამოვიარე ჩეკაში. ვნახე მცველი კალისტო სარალიძე. შევედი ჩეკაში. იქ ისხდენ ჭიათურის ცნობილი ბოლშევიკები: ტარასი მგალობლიშვილი (მაზრის აღმასკომის უფროსი), გრიშა ლომიძე (ჩეკის თავმჯდომარე), ჭაბუკ მიშველიძე (მილიციის უფროსი), მიხაკო კავთელაძე (ყოფილი ჩეკის თავმჯდომარე), ალექსანდრე ვაშაძე (მაზრის მილიციის უფროსი), სეფე ბუაძე, ვარლამ მასხარაშვილი (აღმასკომის კანცელარიის მართველი), ონისიმე მოდებაძე (რაიონის მილიციის უფროსი), წაქაძე ილიკო,—სულ 18 კაცამდე.

მათ შორის უკვე ხმა გავრცელდა: მოვიდა ვალიკო ჩუბინიძე და უნდა წაგვიყვანოს დასახვრეტადო!

როგორც კი შეეედი ოთახში მიხაკო კავთალაძემ მომმართა:

— ვალიკო, თქვენ პასუხისმგებელი პირი ხართ, ამიტომ ვაცხადებ, რომ მე არ მომიკლავს სანდრო ნადირაძე და არც ფხალაძე (იმ დღეს მოკლული ჩვენი რაზმელები).

მე ვუპასუხე: დაწყნარდით! დღეს რაც ქენით, ამაზე არაფერი არ იქნება. რაც შეეხება თქვენს წარსულს, ამის გამო შესდგება სახალხო სასამართლო და იქ აგებთ პასუხს.

მომიბრუნდა ტარასი მგალობლიშვილი და მეუბნება:

— ამაღამ ნუ დამხვრიტავთ და ხვალ მე თვითონ გამოვალ მიტინგზე და ვიტყვი: ხალხს არ სდომებია კომუნისტური მთავრობა!

ხოლო ჭაბუკ მიშველიძე ცოტა აღელვებით მეკითხება:

— ვინ არის ეს სულელი ვანო ბოცვაძე? შემოდის წამდაუწუმ მაუზერით ხელში და გვაშინებს.

— ნუ გეშინიათ, ვეტყვი კომენდანტ ბოცვაძეს («ჩორნაჲ»-ს), რომ არ მოგეპყროსთ ცუდათ.

სეფე ჭეიშვილმა დასძინა:

— არიქა თუ კაცი ხარ, თორემ მაგ «ჩორნაჲ»-ს შიშით გარედ ვერ გავსულვართ!

მართლაც, ვანო ბოცვაძე გავაფრთხილე, რომ ტუსაღებს ცუდათ არ მოპყრობოდა.

უკვე ღამის პირველი საათია. მე მაინც ვინახულე პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი და გიორგი წერეთელი; ჩემთან იყო კიდევ გოგიტა აბდუშელიშვილი.

მათ მე გავაცანი სამივე ფრონტის ამბავი. პოლკოვნიკმა სთქვა: დილით თუ მდგომარეობა შეიცვლება, დავცლი ჭიათურასო.

გავბრუნდი სადგურისაკენ და ტელეფონით შევუერთდი შორაპანს. იქ მოისმოდა ბრძანება: ესა და ეს ეშელონი გავიდეს ჭიათურისაკენო!

თენდება. ვანო ბედენაშვილი, იონა ვაშაძე და მე წავედით სოფელ ჭილოვანისაკენ. ნავარძევისაკენ დავინახეთ მრავალი რუსული ჯარი. იონა ვაშაძე დავაბრუნე ჭიათურისაკენ და გავატანე წერილი პოლკოვნიკ სვიმონ წერეთელთან. გოგიტა და მე წავედით წინ, ვინახულეთ ზაქარია ლურსმანაშვილი. ტეხისასთან შეგვხვდა ბოლშევიკური ჯარი და ავუტეხეთ მას სროლა,—დავბრუნდით ზაქარიასთან და აქ გავამაგრეთ ჩვენი მთავარი პოსტები რკინისგზამდე.

გოგიტა და მე დავბრუნდით ჭიათურაში. აქედან ჩვენ გა ვედით ნავარძეთის ფრონტზე. აქ ბრძოლა ყოფილა ცხარე და დიდი უმრავლესობა ტყვეთ წაუყვანიათ, მათ შორის პოლკოვნიკი ეკო წერეთელი, ვახმისტრი აკაკი გამყრელიძე. ჩემთან იყო ვაგონის მუშა დიმიტრი ჯაგნიძე, პორუჩიკი ბებე მამალაძე. მოვიდა ე. ჩინჩალაძე 30 კაცით. კვლავ გაიმართა ბრძოლა. ორჯერ მოიტანეს იერიში ბოლშევიკების ჯარებმა. ჩვენ მედგრად დავუხვდით. ამ დროს გამოჩნდა აეროპლანი; ზოგი იძახის: ჩვენია, არ ესროლოთო! ზოგი ამბობს: რას შინ-ჯავთ, ესროლეთო!

აეროპლანიდან ყუმბარები გადმოგვაყარეს.

ვეღარ ვმაგრდებით... ვიხევთ უკან.

ამ დროს ბოლშევიკების მთავარი ძალა უკვე მოადგა ჭიათურის სადგურს; ჩვენ რომ სამაზრო მილიციის ბინას მი-ვაღწიეთ, ისინი უკვე სადგურში იყვნენ.

მე დავეწიე ჩემი პატარა რაზმით სოფელ პერევისაში კოწია ჩაჩანიძეს. აქ შევიყარეთ თავი 18 კაცმა. ყველა ცხენე-ბით ვიყავით, ჩვენს შორის: კ. ჩაჩანიძე, გ. აბდუშელიშვილი, გ. ჩაჩანიძე, ტ. ნადირაძე, შ. ხვედელიძე, ბ. მამალაძე, გ. კაკო-იშვილი, შ. გაფრინდაშვილი, ვ. წერეთელი და სხ.

დამავიწყდა ერთი ფაქტის აღნიშვნა. 29 აგვისტოს, ჭია-თურის სადგურზე შემხვდა სოციალისტ-რევოლუციური პარტიის წევრი ალ. გაფრინდაშვილი, ფედერალისტი შაქრო ვაშაძე და ოფიცერი გრ. წერეთელი. მათ მაჩვენეს დაბეჭდილი სია, რომელიც წარმოადგენდა ახალი თავდაცვისა და განმა-თავისუფლებელ კომიტეტის წევრების შემადგენლობას. სია, რამდენადაც მახსოვს, შემდეგი იყო:

პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი, გიორგი წერეთელი, დ. აბაშიძე, ა. ტუსკია, კოწია ჩაჩანიძე, შ. რამიშვილი, ვალი-კო ჩუბინიძე, შ. ვაშაძე, გ. წერეთელი, თარხან ჯაყელი, სო-სანა აბაშიძე, ალექსანორე გაფრინდაშვილი, ილიკო ბერძე-ნიშვილი, ბიქტორ მელიქოვი, კ. ბრეგვაძე (დანარჩენთა სახე-ლები არ მახსოვს). ეს სია ჩაუვარდათ ბოლშევიკებს ხელში, როცა დაიჭირეს ალექსანდრე გაფრინდაშვილი.

ჯიათურის აჯანყების გამო დახვრეტილთა სია.

აქ წარმოდგენილი სია სრული არ უნდა იყოს; ყოველ შემთხვევაში მე ვეცადე მომეგროვებინა ყველა დაღუპულთა სახელი და გვარი; პირთა ვინაობა მე დავყავი პროფესიების მიხედვით:

სოციალ-დემოკრატები:

მუშები,

1. ბერძენიშვილი ილიკო
2. ცერცვაძე იოველ
3. ცერცვაძე ერემია
4. დოლიძე შალვა
5. სარალიძე კალისტრატე
6. ჯაფარიძე ილიკო
7. სამყურაშვილი პორფილე
8. სამყურაშვილი არტემა
9. ქველაძე პარმენ
10. სამხარაძე ილია
11. ნადირაძე სანდრო
12. კეკელიძე ილიკო
13. გამყრელიძე გრიშა
14. გამყრელიძე აკაკი
15. არაბიძე არჩილ
16. ლოლაძე აკაკი
17. ჭიჭინაძე ბიქტორ
18. თოდრიაშვილი სოგრატ
19. ჭავჭანიძე შალვა
20. კაპანაძე არჩილ
21. ციმაკურიძე ლადო
22. ქურციკიძე დათიკო
23. ვაკოიშვილი კოწია
24. ბარათაშვილი გაბო
25. გამყრელიძე ნოე
26. არსენაძე ვლადიმერ
27. კობახიძე სინო

28. სამხარაძე ნიტუშა
29. ცაბაძე დათიკო
30. აბულაძე გრიშა
31. ასათიანი გრიგოლ
32. ნიქატაძე რაქდენ
33. შეყილაძე გიორგი
34. ხვედელიძე გიორგი
35. მაჩიტაძე გიორგი
36. გაბუნია დარისპან
37. მიქაბერიძე დომენტი
38. აბესაძე აიხა
39. სარალიძე ისაკი
40. მოდებაძე თანოს.

სოფლის მუშები,

41. მიქაძე პოლიკარპე
42. ხელაძე გიორგი
43. ჭიჭინაძე გრიგოლ
44. მიხელიძე მიხეილ
45. ვარდოსანიძე მოსე
46. ბრეგვაძე მაქსიმე
47. გაფრინდაშვილი შალიკო

სტუდენტები და მოწაფენი,

48. სამყურაშვილი კოწია
49. სამხარაძე პარმენ
50. ხარშილაძე ნიკო
51. შარაშიძე ნიკო
52. სარალიძე კოლია
53. ფხალაძე ვანო
54. ჯაჯანიძე მიშა
55. ჯაფარიძე თენგიზ
56. კოკიაშვილი ჭუკია
57. ლოსაბერიძე რაქდენ
58. კეკელიძე გრიშა

მასწავლებლები;

59. მაჭარაშვილი სერაფიონ
60. მაჭარაშვილი ვალიკო
61. მაჭარაშვილი ალექსანდრე
62. უგლავა კონსტანტინე
63. კაკაბაძე ბესარიონ
64. გორდაძე სიმონ
65. ბოჭორიშვილი ტერენტი
66. აბაშიძე ვანო

ფანსებულებათა მოსამსახურენი,

67. მელიქოვი ბიქტორ
68. ჩხენკელი ვანო
69. ჯორბენაძე ვალოდია
70. წერეთელი ნიკუშა
71. იოსელიანი გოლა
72. ჯუღელი შალიკო
73. რობაქიძე გიორგი
74. ბურჯანაძე ლადო (სამხ. პირი).

სოც.-ფედერალისტები:

1. იაშვილი ჭუნია
2. მასხარაშვილი ლავრენტი
3. მიქაშავიძე ვალერიან (სამხ. პირი).

სოც.-რევოლუციონერები:

1. ვაშაძე ლადო (მუშა).
2. გაფრინდაშვილი ალექსანდრე (მრეწველი).

ეროვ.-დემოკრატები:

1. წერეთელი ეკო (სამხ. პირი).
2. წერეთელი ნესტორ (მრეწველი)
3. წერეთელი სანდრო

უპარტიონი:

მუშები,

1. ვაშაძე იონა
2. ჭიჭინაძე ვლადიმერ
3. გელაშვილი დათიკო
4. ნაფეტვარიძე ლადო

სოფ. მუშები,

5. ლოლუაშვილი ვლადიმერ
6. დათიაშვილი ვლადიმერ
7. მიქაბერიძე კოწია
8. მიქაძე ლავრენტი
9. კვინიხიძე ლავრენტი
10. ცქიფურიშვილი მიხა

დაწებ. მოსამსახურენი,

11. წერეთელი გიორგი (სახ. მოსამართლე)
12. მოდებაძე კიმოთე
13. ხვედელიძე ლავრენტი.
14. მოდებაძე ნიკო (სამხ. პირი).

ბოლშევიკების მიერ დახვრეილტთა სია, რომელიც შევადგინე, ამრიგად, შეიცავს 96 კაცს. არ შემიძლია აღუნიშვნელად დავსტოვო ორი ასულის, ნინა წერეთლის და იულია გაფრინდაშვილის ბრძოლა; ისინი მონაწილეობას ღებულობდენ ჭიათურის აჯანყებაში და სხვებთან ერთად იქმნენ დაჭერილი.

როგორც ცნობილია, ჭიათურლები დახვრიტეს ვაგონებში გამომწყვდეული: გარედან დააყარეს ტყვიისმფრქვეველები. ისმოდა ვაგონებიდან გულის შემზარავი ყვირილი და ბღავილი...

დახვრეტის წინ ონის ჩეკის თავმჯდომარეს, სოფრომიძეს გაეგო, რომ დასახვრეტთა შორის ორი ქალიშვილი არისო, და მიელო ზომები მათ განსათავისუფლებლად. ნინა წერეთელი და იულია გაფრინდაშვილი ცოცხალ-მკვდარი გამოათრიეს ვაგონებიდან და ორი დღის განმავლობაში გრძნობაზე არ მოსულან, იმის მიუხედავად, რომ ექიმები თავს დასტრიალებდენ.

ასე შემთხვევით გადარჩა ეს ორი მებრძოლი ასული.

დამარცხების შემდეგ.

ჩვენ თავი მოვიყარეთ პერევისის ეკლესიის მინდორზე: კოწია ჩაჩანიძემ გადმოგვცა გიორგი წერეთელის დანაბარები —მოიცადეთ ამ ადგილზეო. ვიცადეთ სამი საათის განმავლობაში, და როცა არავინ მოვიდა, არც პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი, გადავწყვიტეთ ავსულიყავით ბერეთის მთაში. ვ. წერეთელის გამოკლებით, 17 კაცი შევუდექით მთას. ჭადი და ყველი მოგვაწოდა შ. გაფრინდაშვილმა.

დაღამებამდე სამ ჯგუფად დავბანაკდით მთაში. გაიმართა სჯაბაასი შექმნილ მდგომარეობის შესახებ. ვლაპარაკობდით ჭიათურის ამბებზე და ვნატრობდით გვცოდნოდა განსაკუთრებით თბილისის ამბები. მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცოდით და საკითხიც წინ გვედგა, თუ როგორ მოვქცეულიყავით. გადავწყვიტეთ დავრჩენილიყავით მთაში, ხოლო ორი კაცი გაგვეგზავნა სურამში ცნობების შესაკრებად. წავედით სურამის მიმართულებით, მაგრამ გზა დაგვებნა, და გადავეჩეხეთ მეურმეებს, რომელთაც შეშა გაქონდათ მთიდან. ზოგიერთი მეურმე ნაცნობი აღმოჩნდა; მათ მოგვცეს მჭადი, ყველი, გზაც გვასწავლეს. მაგრამ ღამით გზა ისევ დავკარგეთ ამ ულრან მთაში და ერთი ჯგუფი ამხანაგებისა გზაში ჩამოგვრჩა და დაგვეკარგა. გათენებამდე ფეხი აღარ მოგვიცლია; განთიადს კვლავ გავუდექით გზას და ჩვენ დაკარგულ ამხანაგებსაც წავაწყდით. ჩემი წინადადებით გადაწყდა იარაღი გადაგვემალა და ისე მივახლოვებოდით სურამს. მართლაც ასე მოვიქეცით. იარაღი დავმალეთ მთაში, მხოლოდ ბ. მამალაძემ დაიტოვა რევოლვერი. ხანდახან გვხვდებოდენ უცხო პირები და გვეკითხებოდენ: საით მიეჩქარებით?

ჩვენი პასუხი იყო ხოლმე:

— ჭიათურაში აჯანყება მოხდა; ჩვენ ბოლშევიკები ვართ და მივდივართ თბილისს.

როცა მივუახლოვდით სურამისაკენ გადასავალს გავიყავით სამ ჯგუფად. წინ წავიდა ბებე მამალაძე ერთი რაზმელით; მეორე რიგში იყო კ. ჩაჩანიძე და მისი ბიძაშვილი გ. ჩაჩანიძე. რომ მივუახლოვდით სურამის სოფლებს, გზაში ვნახეთ დაბმული ცხენები; გამიკვირდა, თუ რატომ დასტოვეს ცხენები ჩვენებმა,—მათ ხომ უნდა ეცნობებინათ ჩვენთვის, თუ რა ამბავია სურამში. ეს ცხენები ავირეკეთ და განვაგრძეთ გზა. ველარსად ვნახეთ ვერც ჩაჩანიძე და ვერც მამალაძე. ხოლო შე-

მოხვედრილმა მეურმეებმა გვითხრეს, ორი უმხედრო ცხენი მიყავდა სურამის მილიციასო; ცხენების ნიშნებიც გაგვაგებინეს დნ მივხვდით, რომ საქმე ცუდათ იყო, ალბად დაიჭირეს ჩვენი წინა-კაცები!

31 აგვისტოა. 4 საათი. დავბრუნდით უკანვე ტყეში. ცხენებს მოვხადეთ უნაგირები და გავრეკეთ ტყეში; უნაგირები ერთად შევკარით და ჩავკიდეთ ბაწრით მიუვალ შქერში. დავიბანეთ ხელპირი, თუმცა უსაპნობის გამო, ჭიათურის მური ვერ მოვიშორეთ ხეირიანად. ვმსჯელობდით როგორ მოქცეულიყავით. ბოლოს გადავწყვიტეთ გავსულიყავით ხაშურში და იქიდან თბილისს. გამოვედით დიდ გზაზე და ცოტა ხნის შემდეგ წავაწყდით 25 ცხენოსან რუსულ და სომხურ რაზმს. რასაკვირველია, გაგვაჩერეს და დაგვკითხეს: ვინა ხართ?

— ჩვენ აქაურები ვართ, საქონელი გავრეკეთ მთაში.

— ვინ იყვნენ და სად არიან ცხენებით რომ შემოვიდენ მთაში?

— არ გვინახავს არავინ, არ ვიცით,—იყო ჩემი პასუხი. გადავრჩით ხიფათს. შევედით უკვე სურამში; ბაზარში გაუჩერებია ვიღაც ვაჭარს ერთი ჩვენი ნაცნობი მეურმე და ეკითხება მას:

— ვინ იყვნენ ცხენოსნები რომ მოვიდენ მთაში?

— აი ესენი იყვნენო!—ეუბნება მეურმე და უთითებს ჩვენზე.

შემოგვხვდა წინ 30 კომსომოლი, შეიარაღებული. გაგვაჩერეს.

— მთიდან მოდიხართ? იკითხა მათმა უფროსმა.

— რა იცით, რა ამბავია იქ?

— იჩქარეთ! ცხენოსან ჯარს შეტაკება აქვს მთაზე ამოსულებთან-თქო!

კომსომოლურმა რაზმმა ჩქარი ნაბიჯით გასწია მთისაკენ, ხოლო ჩვენ ხაშურისაკენ. აქ გ. აბდუშელიშვილს გამოუჩნდა ნაცნობი, რომლისგანაც მან ფული ისესხა და ყველა ერთად წავედით სავახშმოდ. აქ გავიგეთ პირველად, თუ ქვეყნად რა ხდებოდა. გავიგეთ, რომ მთელ დასავლეთ საქართველოში სამხედრო წესებია გამოცხადებული და მატარებელი აღარ დადის... ჩვენ სამი კაცი: გ. აბდუშელიშვილი, გ. კავლიშვილი და მე, გავყევით ბორჯომიდან მომავალ მატარებელზე და დილით თბილისს ჩავედით.

რა ძნელი იყო ბინის პოვნა და თავის შენახვა იმ დღეებში! გოგიტა აბდუშელიშვილი დაიჭირეს ცოლის ძმისას, გვე-

ლესიანის ბინაზე, ელისაბედის ქუჩაზე (დაიჭირა სერგო ხვედელიძემ და ბაბკინ კოჩიანმა). თბილისში ჩასვლისათანავე მივედი ირადიონ ჩუბინიძესთან, ცხოვრობდა ანდრეევის ქუჩაზე № 78, იქ გამაცნო რამოდენიმე რკინისგზელები და ეგებულობთ ახალ ამბებს. აქ გავიგე აბდუშელიშვილის დაჭერა და გრიშა კავოიშვილის შერიგებაც. ირადიონ ჩუბინიძე ღარიბათ ცხოვრობდა, როგორც უპარტიო სტუდენტი, მაგრამ ფარულ მუშაობას ეწეოდა როგორც სოციალდემოკრატი. ირადიონი წავიდა სოფელში; მე უბინაოდ დავრჩი და ღამეს ვათევდი ვერაზე, ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. იქ მე მოვნახე გადახურული ძეგლი (სახლივით) და ვატარებდი იქ ღამეებს. რა ვიცოდი, თუ სხვა ვინმე იქნებოდა აქ ღამის გამთევი! ერთ ღამეს წვიმამ დასცხო და ვიღაც გაბურძგნილი კაცი მოადგა აკლდამას. შევშინდი. მეგონა ჩეკისტი. აკალდამის კარები გატეხილი იყო, და დაუპატიჟებელი სტუმარი რომ მომადგა, მივაწექი კარებს და არ შემოვუშვი. ყვირის იგი რუსულად: გააღე კარიო, მაგრამ მე მაგრად მიჭირავს იგი. მახსოვს შეგვექნა ჭიდაობა, ვეცით ერთი-მეორეს, და გამოვფხიზლდი, გონს მოვედი, როცა ფეხში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. საწყალი კაცი წამიქცევია გარედ წვიმაში და ფეხი საფლავის ქვის რკინის სვეტისათვის დამირტყამს.

— ნუ მახრჩობ, გამიშვი, ნუ მკლავ! ყვირის რუსი. მივიხედ-მოვიხედე ბნელაში, არავინ სჩანდა და მეც გავუშვი ხელი რუსს. წვიმს. შევედით ორივე აკალდამაში.

რუსი მეკითხება:

— ვინ ხარ, ძმაო?

— ჯერ შენ მითხარი, ვინა ხარ?

— მე ვარ მღვდელი, ბესარაბიიდან; მერმე ვიყავი დენიკინის ჯართან; ეხლა აქ დავდივარ როგორც მათხოვარი და ამ სასაფლაოზე ვათევ ღამესო.

— მე კი მცხეთის მღვდელმთავრისაგან მისჯილი მაქვს სამი თვე უნდა ვუთიო ღამე აქაურ ეკლესიას-თქო.

განთიადისას მღვდელი დავსტოვე და წავედი მიხაკო კალანდაძესთან. მიხაკო დიდ დახმარებას მიწევდა. მიხაკო ცხოვრობდა იქვე ოლგინის ქუჩაზე. მან მიშოვნა ბინა რამოდენიმე ღამით სვიმონ გოგატაშვილთან, მაგრამ როცა ამას გურიიდან ჩამოუვიდა ძმა, ერასტო, გურიის აჯანყების მონაწილე და აწ ბოლშევიკებთან შერიგებული, იძულებული გავხდი ეს საიმედო ბინა დამეტოვებინა და ნავთლუღში მივდგომოდი ერთ ჩემს ძველ ნაცნობს სერგო ბერძენიშვილს (ცხოვრობდა

ავლაბარში) ქუჩა ზეპირათ ვიცოდი. მივედი მასთან ღამის 11 საათზე. სერგოს ქალიშვილი გაუთხოვეია და გამაცვნეს სიძე.

— ეს ჩემი სიძე არის, კომუნისტი. ხოლო ახლად გათხოვილმა, სერგოს ქალიშვილმა მითხრა:

— ვალიკო, ნუ მოიწყენ; როგორც შენს ოჯახში, ისე იყავ აქაც!

დიდი პატივი მცეს და დავრჩი იქ სამი ღამე. მიხაკო კალანდაძე კი, შეშინებული: ხომ არ დაიჭირეს ვალიკოო, მეძებდა თურმე სასაფლაოს ძეგლთა შორის. მესამე საღამოს მივედი ი. ბერძენიშვილთან. ი. ბერძენიშვილი ცხოვრობდა მიხაილოვის ქუჩაზე. ძალიან გაეხარდა ჩემი ნახვა, გამოიკითხა ჩემი ამბავი და მითხრა:

— ბინის შოვნა მეტად ძნელია, მაგრამ ერთს გირჩევ: შენ კარგად იცნობ ბიქტორ ცინცაძეს; მე წავალ მასთან და ვეტყვი, რომ მოხერხდეს შენი შერიგება ხელისუფლებასთანო. მე ამაზე უარი განვუცხადე, მაგრამ მან თავისი დაიჟინა: სხვა არავითარი გამოსავალი არ არისო. მე არ გავიზიარე მისი საბუთი, დავტოვე ის და იმ ღამეს გავათენე ხუდადოვის ტყეში. მეორე დღეს ვინახულე დომენტი კუტალაძე, რომელიც ცხოვრობდა პავლოვის შესახვევში ნაძალადევში, რომლის შემწეობით ვნახე პიმენ რამიშვილი. მას ვუამბე უკანასკნელი ჩემი თავგადასავალი და არ დავუმალე არც იოსების რჩევა ბოლშევიკებთან შერიგების შესახებ.

იგი დამპირდა ამ საღამოს შეგახვედრებ ჩვენი პარტიის საორგანიზაციო კომიტეტის წევრსო. გვარი და სახელი არ აღუნიშნავს. ღამით წავედით და ვინახულეთ ვლასა ბობოხაძე დიდუბეში, ფოთის ქუჩაზე № 34.

ვლასამ გამომკითხა ჭიათურის ამბები, და განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა იმას, თუ როგორ მოხდა, რომ ჭიათურის აჯანყება ერთი დღით ადრე დაიწყო. მე მოვუყევი ყველაფერი, როგორც ეს ზემოდ მაქვს აწერილი. მან თავის მხრივ მიამბო, თუ რა მოჰყვა ჭიათურის აჯანყებას, თუ როგორ დახვრიტეს ვაგონებში ხალხი, ბევრი მათგანის გვარიც მითხრა.

ბოლოს გადაწყდა, რომ მე კვლავ ვიმუშავებდი პარტიაში და ამ საორგანიზაციო კომიტეტთან, რომელსაც მიზნად ქონდა დასახული სოც.-დემოკ. ორგანიზაციების აღდგენა და პარტიული აპარატის კვლავ აწყობა. მან დამავალა გამეგზავნა პარტიული ფოსტა ჭიათურაში და მთხოვა მენახა შალიკო ჭუმბურიძე, რომელიც ცხოვრობდა კიროჩნის ქუჩაზე.

მე ჩემს თავზე ავიღე შორაპნის მაზრაში კავშირების აღდგენა და ჩვენი პარტიული ფოსტის დაგზავნა.

რაც შეეხებოდა პირადათ ჩემი შერიგების საქმეს, ამის შესახებ ვლასა ბობოხაძეც იმ აზრის იყო, რომ მე უნდა შევრიგებოდი ბოლშევიკებს, მაგრამ მაინც მირჩია: ჯერ აფთონ წულაძეს ვკითხავო.

ფოსტა წამოვიღე და წამოვედი. იმ ღამეს დავრჩი ჩემს ბიძაშვილთან, იროდიონთან,—ფოსტა ეზოში დავმალე.

მეორე დღეს ვინახულე შალვა ჭუმბურიძე (რკინისგზელი ბელაგორელი), მოველაპარაკე პარტიული მუშაობის გაგრძელების შესახებ და იგი დამთანხმდა შესულიყო სამაზრო პარტიულ სამეულში.

ამავე დროს ვინახულე გრიგოლ ფხალაძის მეუღლე, პილასი, რომელმაც გადმომცა ჭიათურაში დახვრეტილთა სია.

აფთონ წულაძისაგან მივიღე ცნობა: შეურიგდი ბოლშევიკებს თუ კი მოხერხდებაო. ამხნის განმავლობაში ვცხოვრობდი ჩემ ძველ ამხანაგთან ვანო მეტრეველთან წყნეთის ქუჩაზე, აგრეთვე დიდი დახმარება გამიწიეს საკანდიტროს პატრონებმა ძმებმა კაციტაძეებმა, სადაც მსახურობდა ვანო მეტრეველი. ერთი კვირის შემდეგ მივედი ამ საქმის ინიციატორთან, იოსებ ბერძენიშვილთან, რომელმაც საყვედურიც მითხრა: სად იყავი აქამდეო. მე მოვიმიზეზე ავადმყოფობა, და ორივე წავედით ბიქტორ ცინცაძესთან. ბიქტორ ცინცაძემ შემოგვითვალა: ერთი კვირის შემდეგ მოდითო.

გზაში შემომხვდა პეტრე ხურცილავა, რომელმაც დიდათ გაიხარა: ეგონა უკვე დახვრეტილი ვიყავი. მან გადმომცა, რომ ვლასა ბობოხიძე დაიჭირეს, გერმანე ღლონტიც დაუჭერიათო.—შენ უნდა მოახერხო შერიგება და ამიტომ ნახე სოლომონ ვადაჭკორია, აქამდე იმალებოდა, მაგრამ ეხლა შერიგებულია და ნახავ კატორღელთა საზოგადოების კანცელარიაშიო.

სოლომონმა დიდი სიხარულით მიმიღო. ბინა მომცა თავისთან და ჩემი შერიგების საქმის შესახებ წავიდა სეით დევდარიანთან.

სეით დევდარიანის პასუხი ასეთი იყო: ჯერ გამოცხადდეს ვალიკო ჩეკაში და მერმე დავეხმარებიო. მე ამაზე უარი განვაცხადე.

წავედი ისევ ბიქტორ ცინცაძესთან. მან გამოიძახა გამომძიებლები; მოვიდენ: ტიტე ლორთქიფანიძე, ნიკოლა გიორგაძე და პეტრე ჯალაღანია. შეუდგენ ჩემს დაკითხვას. დღე

თავუსუფალი ვიყავი, მაგრამ ხუთი ღამის განმავლობაში დი ლამდე ჩემი დაკითხვა შეუწყვეტლივ მიმდინარეობდა. ბინად ვიყავი გამომძიებელ ნიკოლა გიორგაძესთან, დიდი პატივი მცა მისმა ოჯახმა; უკანასკნელად ცოლმა ისიც კი სთხოვა ქმარს: ნუ აწვალებთ ამ ადამიანს, ნუ ჩაიდგამთ ფეხს მაგის ცოდვაში, გაუშვითო.

მეხუთე ღამეს დასრულდა ჩემი დაკითხვა და დაბოლოს ტიტე ლორთქიფანიძემ მითხრა:

შენი ნახვა უნდათ სერგო ორჯონიკიძეს და ეპიფანე კვანტალიანსო.

ეს სრულიად მოულოდნელი იყო და საშიში, მაგრამ მე თანხმობა იმწამსვე განვაცხადე.

წამოვედი გამომძიებელის ბინიდან. ერთი და იგივე აზრი მოსვენებას არ მაძლევდა: რა უნდა ამ ხალხს ჩემთან? ვერც გავუბედე მეკითხა რამე ნიკოლა გიორგაძესათვის, და მეორე დღეს გამოვცხადდი ისევ რტიშჩევის ქუჩაზე № 5. აქ ვნახე ბიქტორ ცინცაძე და ვუამბე ამ პაემანის შესახებ. ისიც შეფიქრიანდა და მერმე მითხრა:—არაფერია, არაფერიაო.

მალე მოვიდენ სერგო ორჯონიკიძე, კვანტალიანი და ნაზაროვი.

სერგო ორჯონიკიძემ ჯერ გამომკითხა ჩემი ცოლშვილის ამბავი, მერმე კი დასძინა; ამათ სურთ შენი დაკითხვა, ხოლო ჩემი მხრივ მაქვს ხუთი შეკითხვა, რომელზეც პასუხი უნდა მომცე. შენ კარგად იცი, რომ დიდი მუშური ძალა ჩვენთან არის. ტყუილუბრალოდ ჩვენ არავის ვეხებით. ჩვენ მოგეცით სიცოცხლე, რომ ჩვენ წაგართვათ თუ? სწორი პასუხი ვერავისაგან მივიღე და შენგან ველი. გინდა რუსულად გვიპასუხე, რომ გაიგოს ნაზაროვმაც, გინდა ქართულად.

აი ჩემი შეკითხვები:

1. რატომ გამოვიდა ჭიათურა ადრე?
2. რას მოითხოვდა ჭიათურის ხალხი?
3. რამდენი კაცი იყავით შეიარაღებული?
4. ვისგან მიიღეთ იარაღი?
5. იყვნენ თუ არა წერეთლები და შავიქვის პატრონები ინტერპარტიულ კომიტეტში?

დაბოლოს, შენ როგორც მაღაროს მუშამ, რატომ მიიღე აჯანყებაში მონაწილეობა მღვდლებთან და წერეთლებთან ერთად?

პირველ შეკითხვაზე ჩემი პასუხი იყო მარტივი: რატომ გამოვიდა ჭიათურა ერთი დღით ადრე, არ ვიცი. ცნობა მო-

გვიტანა გიორგი წერეთელმა და მისი ცნობით აჯანყების დღეთ დანიშნული იყო 28 აგვისტო.

მეორე შეკითხვის შესახებ, თუ რას მოითხოვდა ჭიათურის ხალხი, გრძლად ლაპარაკი დამჭირდა. პირველად ყოვლისა, ხალხი მოითხოვს რუსული ჯარების საქართველოდან გაყვანას, მოითხოვს თავისუფლებას და მოვუყევი ის სიტყვა, რომელიც მე თვითონ ვუთხარი რაზმს რგანის ეკლესიაში, სადაც აჯანყების წინ ჩვენ თავი მოვიყარეთ. ამის გარდა აღვნიშნე ისიც, რომ ჭიათურის ძველი მუშები იდევნებოდენ ბოლშევიკებისაგან, ყველა დაითხოვეს სამუშაოდან, მოხსნეს ვაგონებიდან,—დარჩა ყველა უმუშევარი და გაჭირვებული. გაბოლშევიკება მათ არ სურდათ, რომ ამით ადგილები მიეღოთ, და თავისთავად ყველა წინააღმდეგი რუსეთის შემოსვლისა საქართველოში, დიდი ხალისით მუშაობდენ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ.

მესამე შეკითხვაზე, თუ რამდენი კაცი ვიყავით ჭიათურის აღებაზე, დავასახელე ზემოდ მოყვანილი ცნობა, მაგრამ გვარები ჩამოვთვალე ყველა დახვრეტილების ან უცხოეთში წასულების.

მეოთხე შეკითხვამ ღიმილი მომგვარა და ვუთხარი სერგოს: იარაღი არავისგან არ მიგვიღია,—ზოგი შენახული გვქონდა, ზოგი აღმასკომებში ვიშოვეთ.

მეხუთე შეკითხვა: რა მინდოდა საერთო ფრონტში მღვდლებთან, შავიქვის პატრონებთან თუ წერეთლებთან,—ამის შესახებ ვუთხარი: მე არ მინახავს საერთო ფრონტში არც მღვდელი, არც შავიქვის მეპატრონე. საერთო ფრონტს მხარს ვუჭერდი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე იყო-თქო.

ამ ნათქვამმა გააჯავრა სერგო ორჯონიკიძე და მიუბრუნდა კვანტალიანს:

— ვალიკო დასაჭერია, მაგრამ მერმე მორთავენ ყვირილს, შესარიგებლად მიიყვანეს და დაიჭირესო.

კვანტალიანმა სთქვა: ჩუბინიძის დაჭერით ვერაფერს გავხდებით; სჯობია გავუშვათ, იქნებ სხვა კიდევ შევირიგოთო. მენშევიკებს ამჟამად აქვთ ორი სტამბა, დაბეჭდავენ ფურცელს და გაავრცელებენ: არავინ შეურიგდეთ, დაგიჭე-

რენო, არ დაგინდობთ ჩეკაო! ამიტომ სჯობია, წავიდეს ჩუბინიძე. ვიცი, რომ ჩუბინიძე გამოგზავნილია ცეკას მიერ შესარიგებლად, სჯობია წავიდეს იგი.

ეს აზრი გაიზიარეს და მითხრეს:

— თავისუფლების ქაღალდს მოგცემს პეტრე ჯალაღანია და მას მიაკითხეო.

ორი კვირა მაწვალა პეტრე ჯალაღანიამ. ბოლოს, როგორც იქნა, მივიღე ქაღალდი ქალაქის ჩეკიდან ხელმოწერილი, მეძლეოდა უფლება დავრჩენილიყავი თბილისში და ყოველ მეხუთე დღეს უნდა გამოვეცხადო პროკურორ გახოკიძეს.

დავდექი ჩემს ბიძაშვილთან ირადიონ ჩუბინიძესთან, ანდრეევის ქუჩაზე № 78 და განვაგრძე პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა.

პირისპირ ბრძოლაში დამარცხებული კვლავ დაუბრუნდი მალულ ბრძოლას.

ს. ს. ს. რ.

საქ. საგანგებო კომისია

კონტრრევოლუციასთან, შპიონაჟთან, საბოტაჟთან, ცასთან ბრძოლ ოლქმდელებასთან და ბანდიტიზმთან

საპრძოლველად

С. С. Р. Г.

Чрезвычайная Комиссия Грузии

по борьбе

с контр-революцией спекуляц. прест по должности, шпионажем, саботажем и бандитизм.

Отдел

„27" XI 1924 г.

№ 17113

Гор. Тифлис.

ორსახიანი არსებობა.

1924 წლის აჯანყება დამარცხდა. აუარებელი მსხვერპლი შეიწირა თავისუფლებისათვის საპირისპირო ბრძოლამ. იარაღით ბრძოლაში ბევრი არ დახოცილა, მაგრამ გამარჯვებულმა და გამძვინვარებულმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ამოხოცა და ამოქლიტა მებრძოლი ხალხი. ვინც გადარჩა საერთო ქლეტას, იგი იძულებული გახდა უცხოეთში გახიზნულიყო, ან განეგრძო მალული ცხოვრება, ან თუ ეს აღარ შეიძლებოდა, შერიგებოდა ხელისუფლებას და ღია თუ საიდუმლო ბრძოლაზე ხელი აეღო. უცხოეთში გახიზვნა ბევრს არ შეეძლო, ვინც გადარჩა და დარჩა საქართველოში ის იძულებული გახდა იარაღ-აყრილი ბოლშევიკურ ხელისუფლებას შერიგებოდა. მაგრამ ეს შერიგება, მებრძოლთა თვალსაზრისით, იმას არ ნიშნავდა, რომ ბრძოლაზე საბოლოოდ ხელი აგვეღო. ერთი სახით ჩვენ ვიდექით ბოლშევიკური ძალაუფლების წინაშე მომღიმარი და კეთილი, მეორე ჩვენი სახე, რომელიც გამოხატავდა ნამდვილ ჩვენს არსებას. დაუბრუნდა ბრძოლის გაგრძელებას. ეს იყო მებრძოლთა ორ-სახიანი მდგომარეობა და ვფიქრობ, თუ ჩვენი სამშობლო გადაურჩა თავის გრძელ ისტორიაში მრავალ უცხო ბატონს, ეს ამ თვისებითაც აიხსნება. მოჩვენებითი შერიგება მტერთან და გაუქეყავი, მტკიცე ნებისყოფა მტრის წინააღმდეგ ბრძოლისა— უსათუოდ დამახასიათებელია ჩვენი თანამედროვე ხანისაც.

მეც, პირადათ, ვიყავი მათ შორის, ვინც შეურიგდა ბოლშევიკებს დამარცხების შემდეგ, და განაგრძო კვლავ არალეგალური მუშაობაც.

როგორც კი ჩეკის კლანჭებიდან გავითავისუფლე თავი, მაშინვე დავუკავშირდი პ. რამიშვილს, რომელმაც შემახვედრა აფთონა წულაძეს. ეს აფთონა იყო ხელმძღვანელი ჩვენი პარტიის არალეგალური მუშაობისა და მან წინადადება მომცა თბილისის პირველ რაიონში დამეწყო მუშაობა. რასაკვირველია, დავთანხმდი უყოყმანოდ.

რაში გამოიხატებოდა ჩვენი არალეგალური მუშაობა? მე უნდა მომეკრიბა პარტიული ამხანაგები, აღმედგინა პარტიული ორგანიზაცია; გამხნევებისა და ბრძოლის სული გამეღვიძებია ჩვენს ამხანაგებს შორის და უიმედობის კვალი, განსაკუთრებით აჯანყების დამარცხებისა და უზომო მსხვერპლის გაღების შემდეგ, სავსებით წარმეშალა. ჩვენი პარტია

დაკავშირებული იყო საზღვარგარეთ მყოფ თავის ბიუროსთან და იქიდან მიღებულ ლიტერატურასა (გაზეთ-ჟურნალებს) და ცნობებს ჩვენს ორგანიზაციებს ვაწვდიდით, და ადგილობრივი ორგანიზაციული მუშაობის შესახებ ჩვენი მხრივ კიდევ საზღვარგარეთელ ბიუროს მოვახსენებდით. ჩვენ მუშაობაში მთავარი ადგილი ეკავა აგრეთვე ფულის შეკრებას და დახვრეტილთა, უმწეოდ დარჩენილი ოჯახების დახმარებას.

ერთი კვირა იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც პ. რამიშვილი ვინახულე; ერთ დღეს შევედი ჭიათურელ დ. კუტალაძის ბინაზე, პავლოვის შესახვევში; იმ ეზოში ცხოვრობდა პიმენ რამიშვილი. მ. კუტალაძისა აღელვებული შემომხვდა და მითხრა:

— არიქა, დაიღუპები!

— რა მოხდა, რაშია საქმე? შევეკითხე.

— რამიშვილის ოჯახში ჩეკისტები არიან, დაიჭირეს პიმენის ორი და, პიმენის სახლში შემთხვევით ყოფი გრიგოლ ცინცაბაძე.

— თვით პიმენი?

— არა, პიმენი არ არის შინ, ჯერ გადარჩა.

მესამე დღეს თვით პიმენ რამიშვილი მოვიდა ჩემს ბინაზე, ანდრეევის ქუჩაზე, და მიამბო შემდეგი:

— ჩემს უნცროს დას გავატანე მასალა არალეგალურ სტამბაში; თურმე სტამბა უკვე «ჩავარდნილი» ყოფილა და ჩეკისტები უყარაულებდენ; ჩემი უნცროსი და იქვე დაიჭირეს, დასაბეჭდი მასალა ჩამოართვეს, რასაკვირველია, და გაჩხრიკეს ბინაზე, დაიჭირეს ჩემი უფროსი დაც და იქ მყოფი გრიგოლ ცინცაბაძეც. ორი სტამბა გაგვაჩნდა, და ბოლო დროს ორივე დაიღუპა!

პიმენ რამიშვილმა ამ შემთხვევის შემდეგ, რასაკვირველია, არალეგალური ცხოვრება დაიწყო.

ერთი კვირის შემდეგ მე თვითონ დამიჭირეს. ჭიათურიდან ჩამოსულმა კომსომოლებმა მიცვნეს ქუჩაში, მტაცეს ხელი და წამიყვანეს მილიციაში. აქ მე მილიციის უფროს ვუჩვენე პეტრე ჯალაღანიას ბიერ მოცემული ჩემი განთავისუფლების ქაღალდი, რომელსაც ჩეკა აწერდა ხელს; მაგრამ კომსომოლებმა სოფრომაძემ და შეყილაძემ მოითხოვეს ჩემი გაგზავნა ჩეკაში; ისინი ამტკიცებდენ, რომ მე ყალბი მოწმობა მქონდა. კომისარი იძულებული გახდა მე გავეჩერებინე, ხოლო კომსომოლებს ჩამოართვა პირადობის საბუთები. დილით მოვიდა პეტრე ჯალაღანია და წამიყვანა

ჩეკაში; კომსომოლებიც თან წამოიყვანა. მობრძანდა კვანტალიანი.

ჩემს დამჭირავებს კვანტალიანმა ჰკითხა:

— რამდენი ხანია იცნობთ ვალიკო ჩუბინიძეს და რა იცით მის შესახებ?

მათ ყველაფერი მართალი უთხრეს ჩემს შესახებ?

მაშინ კვანტალიანი ეკითხება მათ:

— თუ რამეს ატყობდით ჩუბინიძეს აჯანყებამდე?

— არაფერს!

— აბა, თქვე ციგნებო, კაცი შევირიგეთ და შერიგებულ კაცს თქვენ იჭერთ?! რატომ მაშინ არ დაიჭირეთ, როცა იმალებოდა?!

დამიბრუნეს ჩემი ძველი მოწმობა, ახალიც მომცეს და გამომიშვეს. ეს მოწმობები პარიზში ყოფნისას მივაბარე ჩემს საყვარელ ნოე ჟორდანიას 1927 წ. იანვარში.

პიმენ რამიშვილი ხშირად დადიოდა ჩემთან, უფრო ღამღამობით. მალე დაიჭირეს აფთონ წულაძე, მაგრამ მოხერხდა გრიგოლ ფხალაძის შერიგება პეტრე ჯალადანიასთან.

პიმენ რამიშვილი და მე მუდმივ კავშირში ვიყავით; მას მოჰქონდა ჩემთან გამზადებული ფოსტა, რომელსაც მე ჭიათურაში ვაგზავნიდი. ეს საქმე მოვაწყე პ. მოდებაძის დახმარებით. პ—ვე მომცა გზის ფული და ახლად ციხიდან გამოშვებულმა ნ. წერეთელის ასულმა დაივალა ჭიათურას წასვლა. პ. მოდებაძე, ყურმანაშვილი და მე შევთანხმდით, თუ სანდო კაცი წამოვიდოდა ჭიათურიდან თბილისს, ის ჩემთან უნდა მოსულიყო და მას ფოსტას გავატანდი.

1925 წ. თებერვალში ჩამოვიდა ჭიათურელი ი. პეტრიაშვილი და მაშინ გავიგე, თუ ვინ იყო ჩვენს პარტიულ სამაზრო კომიტეტში წევრებად (შორაპნის მაზრაში). მაშინ კომიტეტში შედიოდენ: 1) ჭიათურელი კირილე ჭოხონელიძე, 2) სამტრედიელი ანტონ ტუსკია, და 3) მასწავლებელი პ. წერეთელი.

შემდეგ ეს კომიტეტი პირდაპირ დამიკავშირდა ახალგაზრდა ს. ქურციკიძის საშუალებით. ს. ქურციკიძე იშვიათი მარჯვე ახალგაზრდა იყო და კარგი მუშაკი.

ერთ დღეს მან გამაცნო ახალგაზდების წარმომადგენელი ჭიათურიდან მესერიძე. მეორე შეხვედრის დროს მან მითხრა:

— აწი ვეღარ გინახულებ, მგონი ჭიათურლებს შორის პროვოკატორი უნდა იყოს.

— ვიზე გაქვს ეჭვი?

— ვფიქრობ კარტოზიაზე.

— ჭიათურაში რომ დაბრუნდები, მოხსენი მას ყველა ვალდებულება.

— იგი გაბრუნდა ჭიათურაში. რამდენიმე ხნის შემდეგ ვინახულე მრეწველთა საბჭოში სესია ლექავა და სხვათა შორის საყვედური ვუთხარი:

— რატომ არ ეხმარები დახვრეტილთა ოჯახებს-თქო.

— რა ვქნა, ბიძია, ბევრი არ შემიძლია 25 მანეთი უკვე მივეცი კარტოზიასო.

ეს ამბავი მეწყინა და გავაფრთხილე სესია ლექავა:—მაინც და მაინც სანდო პირი არ არის კარტოზია თქო.

სესია ლექავა დაბრუნებულა ჭიათურაში და განუცხადებია ჭიათურის ჩეკის თავმჯდომარისათვის, რომელიც იმ დროს იყო მალანია:

—ერთი კაცი აღარ მეშვება, გინდა თუ არა ფული შემოწირე დახვრეტილთა ცოლ-შვილის სასარგებლოთო.

მას კიდეც დაუსახელებია კარტოზია.

არ გასულა ცოტა ხანი და ჭიათურაში დაიჭირეს მიხა გაჩეჩილაძე, იჭინელი, საყვარელიძე და სხ. დაიჭირეს შემდეგ კიდევ სერგო ქურციკიძეც.

ამ უკანასკნელის დაჭერით მე მოვწყდი შორაპნის მაზრას. მაგრამ შემდეგ დავუკავშირდი თვით სამაზრო კომიტეტის წევრს კირილე ჭოხონელიძეს.

ქუთაისში მასწავლებელმა ალფაიძემ მოკლა ქუთაისის ჩეკის თავმჯდომარე კუჭუხიძე, რომელიც მას თავს დაესხა ბინაზე. ალფაიძე უცხოეთში უნდა გახიზნულიყო და ორგანიზაცია უნდა გადაებარებინა ფხაკაძისათვის. როცა ამ მიზნით კრებაზე მიდიოდა იგი, მას ჩაუსაფრდენ ჩეკისტები პეტრე ჯალაღანიას მეთაურობით და მოკლეს გზაში ფხაკაძესთან ერთად. ცხადი იყო, ისინი გაცემული იყვნენ და როგორც გავიგეთ გამცემი იყო ახალგაზდა მარქსისტი მეძმარეიშვილი. ცეკამ გამოყო ორი წევრი ამ საქმის გამოსარკვევად და ჩემთან ერთად დაეევალა იგი გრიშა მდინარაძეს. ჩვენ ძიების შემდეგ გამოვარკვიეთ, რომ მეძმარეიშვილს ჩეკა აგზავნიდა რუსეთში სასწავლებლად.

ჩვენ საერთოდ მესამე ყრილობაზე განვიხილეთ ეგრედ წოდებული «ვახტანგის კანონი», რომელსაც ახლობლები «გოგიტას კანონსაც» ეძახდენ. ცნობილია, რომ ვახტანგ მეფეს თავის კანონებში ნათქვამი აქვს: მოღალატე ყველაფერის

ღირსი იყო. ძველი პრაქტიკის მიხედვით, გოგიტას დროს, მოღალატეებს და გამცემლებს ჰკლავდენ. მესამე ყრილობაზე ჩვენ დავადასტურეთ ვახტანგის კანონი. სხვათა შორის აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩეკაში კვანტალიანმა 1926 წ. 9 სექტემბერს. ერთ საბუთად იმისა, რომ მონაწილე ვიყავი ყრილობისა. მითხრა:

— არა გრცხვენია უარს ამბობ, შენ ის მაინც გახსოვს, რომ იცავდი «ვახტანგის კანონს»-ო.

მაგრამ ეს სხვათა შორის.

გრიშა მდინარაძემ და მე გადავუწყვიტეთ სიკვდილი მოღალატე მეძმარეიშვილს. მისი მოკვლა დავავალეთ ერთ ახალგზდას, რომელიც ამჟამად ემიგრაციაშია, და გვთხვა საბურთალოზე გამომიყვანეთო. ეს, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო, და მაშინ თვითონ გრიშა მდინარაძემ იკისრა ამ აქტის შესრულება, მაგრამ ამ დროს მეძმარეიშვილი გაიპარა რუსეთში და ამგვარად გადაირჩინა თავი.

გაცემა ხშირი იყო და მუშაობა ძნელდებოდა მით, რომ მომუშავეთა შორის უნდობლობა და ეჭვიანობა ძლიერდებოდა.

თელავის ორგანიზაცია გასცა ვინმე დავითაიამ და ეს გამცემი ბოლშევიკებმა შეიყვანეს რაბფაკში, სასწავლებელში მიიღეს. მასთან ანგარიშის გასწორება ავიღე ჩემს თავზე. შევხვდი ერთ საღამოს 12 აგვისტოს 1926 წელს, წავიყვანე არსენალისაკენ. აქ ვთხოვე მას ეთქვა ყველაფერი გულწრფელად. მან მართლაც აღიარა ყველაფერი და სთქვა ისიც, თუ როგორ გასცა თელავის ორგანიზაცია. «ვახტანგის კანონი» მასზე მოქმედებდა და იგი გავაგზავნე იმ ქვეყნად, საიდანაც ჯერ არავინ დაბრუნებულა.

ამ საქმის ლიკვიდაცია გააკეთა გ. აბდუშელიშვილმა.

თბილისში პიმენ რამიშვილმა გამაცნო სილ. ჭეიშვილი. ცოტა ხნის შემდეგ დაიჭირეს პიმენ რამიშვილი და მის შემდეგ კავშირი მქონდა სილია ჭეიშვილთან.

ყოველი ცდის მიუხედავად, ჭიათურასთან კავშირი ვეღარ აღვადგინეთ. ვერც ის გავიგეთ, იყო რაიმე მუშაობა ჭიათურაში თუ არა. ამიტომ გრიგოლ ფხალაძემ, პ. მოდებაძემ და მე მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ დაგვებარებინა ჭიათურიდან გრიგოლ ფხალაძის ცოლის ძმა კ. გაფრინდაშვილი.

ერთი კვირის შემდეგ იგი ჩამოვიდა და მას შევხვდით გრიგოლ ფხალაძის ბინაზე. ჩვენ მას მოველაპარაკეთ და და-

ვითანხმეთ, რომ იგი დაიკისრებდა ჭიათურაში ორგანიზაციის მოწყობას და ამის შემდეგ შევახვედრე ცეკას წევრს სილია ჭეიშვილს.

სამწუხაროდ, გაფრინდაშვილმა ველარ შესძლო ორგანიზაციების აღდგენა და თავისი დის პირით შემოგვითვალა:

— ძველი სამაზრო კომიტეტი თავს არ ანებებს მუშაობას, არ სურს გადადგეს და ამ პირობებში არაფრის გაკეთება არ შეიძლებაო.

ცეკა უნდობლად უყურებდა სამაზრო კომიტეტს, ვინაიდან მის ხელში დაინგრენ პარტიული ორგანიზაციები, და დაჭერილ იქნა ბევრი ამხანაგი. ამიტომ საჭირო იყო ახალი ორგანიზაციების შექმნა ჭიათურაში და ამასთან ერთად შორაპნის ახალი სამაზრო კომიტეტის მოწყობაც.

ჭიათურიდან დავიბარე გიორგი გურული და შევახვედრე სილია ჭეიშვილს. ჩვენ იგი დაგვპირდა ორგანიზაციების მოწყობას, მაგრამ ვერც მან შესძლო.

დაბოლოს ვინახულე თბილისში თვით სამაზრო კომიტეტის წევრი კირილე ჭოხონელიძე და მას გავაცანი ცეკას აზრი შორაპნის მაზრაში მუშაობის შესახებ. მე იგი შევახვედრე სილია ჭეიშვილს და მან აღთქმა მოგვცა, რომ მუშაობას გაანახლებდა, ორგანიზაციებს აღადგენდა და სხ.

მართლაც, ამის შემდეგ ყველაფერი თავის წესზე იყო.

ჭიათურაში ფოსტას ვატანდი მას, ვისაც პირადათ მე ვენდობოდი. ხშირად მიქონდა იგი მ. ბუაძეს და ლ. კახიძეს; ორჯერ გავატანე გ. წერეთელს, რომელსაც სასაცილო ამბავიც დაემართა.

შორაპნის სადგურზე მას ნაცნობი კომუნისტები შეხვედროდენ, ერთად უნდა წასულიყვნენ ჭიათურისაკენ.

ერთ-ერთ მათგანს ეთქვა:

— გრიშას ნამდვილად არალეგალური წიგნები მოაქვსო!

— დედა ნუ წამიწყდება, ეს პატარა ჩემოდანი სულ «ბრძოლა»-ს ნომრებით არის სავსე.

მათ სიცილი ასტეხეს და ყოფილმა ჩეკის თავმჯდომარე მიხაკო კავთელაძემ სწორედ ის ჩემოდანი შეიტანა ვაგონში, რომელშიც მართლა იყო «ბრძოლა»-ს ნომრები.

— აწი მე ვხიდავ ჭიათურაში ფოსტასო, მითხრა გრიშამ.—დედა ნუ წამიწყდება თვითონ ჩეკისტები მიმიტანენ აქედან წაღებულ ფოსტასო.

ღამე განათევი არალეგალური სტამბიდან, ავლაბრიდან მოვდიოდი დილით და სიონის აქეთ შევეყარე ს. დევდარიანს.

— სად დადიხარ, კაცო ვალიკო,—მითხრა სეითმა და მომესალმა. მეც მივესალმე და ვუთხარი: აბანოში ვიყავი, ჩემო სეით!

— კარგი გიქნია! აბა ეხლა, გაბანვის შემდეგ, წამოდი სიონის ტაძარში, კაოგია წირვის მოსმენა და მერმე საუზმე ჩვენებურად!

მე ჯერ მეშინოდა, ვაი თუ სტამბიდან ვინმე გამომყვა და სეითიც არ გაებას ხიფათში-თქო, მაგრამ მერმე დავეთანხმე, როდესაც მითხრა:

— კაცო, რას ფიქრობ? არ გინდა წამოხვიდე? დღეს ხარებაა, დიდი უქმეა. სიონში კოტე ფოცხვერაშვილის გუნდი გალობს; სახალხო თეატრში თუმანი ღირს მისი მოსმენა!

შევედით სიონის ტაძარში. ვნახე იშვიათი წირვა და მოვისმინე საუცხოო გალობა; წირვის დასასრულს პანაშვიდი იყო, მოიხსენიეს დახვრეტილთა გვარები. მამა ამბროსის და არქიმანდრიტ ჯაფარიძეს სიონის გალავანში ეკითხებოდენ: რა ვქნათ, მამაო, რას გვეტყვით?

— ჯერ ვიცადოთ; აი მალე იქნება დამკომის გასამართლება და იქნებ უცხოეთიდანაც გავიგოთ რამეო,—ბრძანა მამა ამბროსიმ.

სეით დევდარიანი და მე ერთად წამოვედით. სეითი მეკითხება:

— ხომ ხარ კმაყოფი, ვალიკო?

— ძალიან, ძალიან კარგი იყო,—ვუპასუხე.

ჩეკას მუშაობა და გამცემლობა.

ცეკამ გადასწყვიტა სოციალდემოკრატიული პარტიის ყრილობის მოწვევა. სილია ჭეიშვილმა გადმომცა, რომ ჭიათურას ეკუთვნის ორი დელეგატი და დაასახელეთო. მე ვინახულე გრიგოლ ფხალაძე, პ. ყურმანაშვილი და შეგვექნა ბჭობა იმაზე, თუ ვინ უნდა წასულიყო ყრილობაზე დასასწრებლად. გრიგოლ ფხალაძემ და პ. ყურმანაშვილმა უარი სთქვეს დელეგატობაზე მეტად საპატიო მიზეზების გამო და მათი მოთხოვნით ერთ დელეგატად წავედი მე მესამე ყრილობაზე (სიეზდი) დასასწრებლად.

რამდენი სიფრთხილე, რამდენი საიდუმლოება და მალული გადასვლ-გადმოსვლა იყო საჭირო, რომ კონფერენცია მშვიდობიანად მომხდარიყო და ჩეკას ხელში არ ჩავარდნი-

ლიყო! ყველა უფრთხოდა ამ საშინელებას და ამიტომ ყველაც დიდი მალვით მიემართებოდა კონფერენციაზე დანიშნულ ადგილისაკენ. ჯერ შევხვდი სოლომონ ყაზბეგს და შემდეგ ვარდის უბნის ქუჩაზე შეგვხვდენ სილია ჭეიშვილი და ლუბა მახვილაძისა. ნაშუადღევის სამი საათია, ივლისის მცხუნვარე მზით (1925 წ.). სოლომონ ყაზბეგი და მე ერთად მივდივართ. სილია ჭეიშვილი და ლუბა მახვილაძისა წინ მიდიან: მათ გზა იციან, და ისიც, თუ სად უნდა მოვიყაროთ თავი.

შ. ბაქუნაიშვილი უნივერსიტეტთან იდგა, რათა მომსველელი დელეგატებისათვის გზა ეჩვენებინა.

ჩვენ შევედით ერთ დიდ ბაღში, რომელიც გ. შანშიაშვილს ეკუთვნოდა. ბაღში ბლომად იშოვებოდა: ბალი, კიტრი, ქლიავი და ჩვენც როგორც ვაჭრები მივედით იქ.

დელეგატებმა უკვე მოიყარეს თავი. ჩვენ გვინდოდა გარედ, ბაღში მოვთავსებულიყავით, მაგრამ ძლიერმა წვიმამ დასცხო და თავი შევაფარეთ ბინას. დელეგატები თითქმის ყველა მაზრიდან იყვნენ; მახსოვს მათი სახელი და გვარიც: დამსწრეთა შორის იყვნენ: 1. სოლომონ თელია, 2. სოლომონ ყაზბეგი, 3. ლუბა მახვილაძე, 4. გ. შანშიაშვილი, 5. მიშა ჩოგოვაძე, 6. სილია ჭეიშვილი, 7. ს. ანდღულაძე, 8. მ. კალანდაძე, 9. დ. ღუდუშაური, 10. ი. ხატიაშვილი, 11. ი. ხონელი, 12. შ. ბაქუნაშვილი, 13. ერთი სამეგრელოდან, რომლის გვარი არ მახსოვს და 14. მე თვითონ. ბევრის სახელები არ მახსოვს.

ბაღის მუშები გვყარაულობდენ, რათა უეცრად თავს არ დაგვსხმოდა ჩეკა.

ყრილობა გახსნა პეტრე თელიამ. თავმჯდომარედ ავირჩიეთ ლუბა მახვილაძე, მის ამხანაგად სოლომონ ყაზბეგი. მოხსენება გააკეთა სოლომონ თელიამ და გამოვიტანეთ სათანადო გადაწყვეტილებანიც (იხილეთ 3 ივლისის 1925 წლის სოციალდემოკრატიული პარტიის რეზოლიუციები. «ბრძოლა» № 5).

ამავე ყრილობაზე ავირჩიეთ ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, კანდიდატები და საკონტროლო კომისიის წევრები.

ცეკას წევრებად არჩეულ იქმნენ: 1. პ. თელია, 2. სილია ჭეიშკილი, 3. ლუბა მახვილაძე, 4. ს. ანდღულაძე, 5. მ. ჩოგოვაძე, 6. ვ. ღუდუშაური, 7. ი. ხატიაშვილი, 8 მე (ვ. ჩუბინიძე) და მეცხრე, რომლის გვარი დამავიწყდა. კანდიდატებათ: შ. ბაქუნაიშვილი და გ. მდინარაძე.

საკონტროლო კომისიაში ავირჩიეთ: სოლომონ ყაზბეგი, მ. კალანდაძე და ი. ხონელი.

ერთი კვირის შემდეგ შემხვდა პლატონ ყურმანაშვილი და მკითხა:

— იყავი კონფერენციაზე?

— არა!—გადავფიცე.

გაიცინა პლატონმა და მითხრა:

— დაიღუპე თავი შე საცოდავო! თქვენს კრებაზე ჩეკის ორი ჯაშუში ყოფილა! და მიამბო ყველაფერი, რაც ყრილობაზე ითქვა. მერმე გამაფრთხილა:

— თუ ეხლავე არ დასტოვე თბილისი, აუცილებლად გაგქაჩავენ!

გავიდა ცოტა ხანი და გავიგე, რომ შორაპანსა და ძირულას შუა მატარებელში დაუჭერიათ სილია ჭეიშვილი, შალვა ბაქუნაიშვილი და ბიქტორა კაციტაძე, რომელთაც უცხოეთში მოქონდათ მესამე ყრილობის ანგარიშები და რეზოლიუციები. ამის შემდეგ მე ჩავედი გურიაში ვინახულე ვლასა მგელაძე და მოველაპარაკე, რომ წასულიყო საფრანგეთში. ვლასამ გადაჭრით უარი გამიცხადა. ორი დღე ვეხვეწე ნესტორ ბერიშვილის თანდასწრებით, რომ დამთანხმებოდა, არ ქნა. ხშირათ მეტყოდა: ალბათ აღარ ვარგივარ და ამიტომ გინდათ გამისტუმროთ უცხოეთშიო. როცა ავუხსენი მდგომარეობა, რომ შენსმეტი კაცი არ გვყავს, რომ ფოსტა გაიტანოს-თქვა, და ფოსტაში კი არის მესამე ყრილობის რეზოლიუციები და ცეკას დადგენილებაც გავაცანი, მაშინ თანხმობა გამიცხადა, მაგრამ წამომიყენა მოთხოვნილება, თუ რა ჭირდება გზაში: 1. შინელი, 2. აზიაცკები, 3. ბლუზა-შარვალი, 4. ორი ბოთლი კონიაკი, 5. ერთი ოყა შოკოლადი და კარგი კანფეტი. მე ავედი თბილისში, აზიაცკები შევაკერიე სიხარულიძეს, ფული არ გადამახდევინა, როცა ზომა ვუთხარი აზიაცკის, მკითხა კაცო, ეს ვლასა მგელაძისათვის ხომ არ გინდაო, ხოთქვა, ამხანაგო, მერე ვლასას ფეხსაცმელში ფულს როგორ მაძლევო! აგრეთვე შევაგროვე ფულიც 85 მანეთი, ვინც მახსოვს: ტ. აბაშიძემ 15 მანეთი, დათიკო მიქელაძემ 10 მანეთი, კ. პეტრიაშვილმა 10 მანეთი, ვ. მეტრეველმა 10 მანეთი, კაციტაძემ (საკანდიტროს პატრონმა) 25 მანეთი.

ამ 85 მანეთით ვიყიდე თითქმის ყველაფერი და მინდა გავატანო შალვა ბაქუნაშვილს გურიაში ეს ნაყიდი ტანისამოსი და ცოტა მორჩენილი ფულიც, რომ მთხოვა შ. ბაქუნაშვილმა: ვალიკო, თუ კაცი ხარ, შენ წადი გურიაში, ვინაიდან

მე უნივერსიტეტში მინდა დავიწყო მაცადინობაო. მე წავედი გურიაში, მილუსია სიხარულიძემ მიმიყვანა გიორგი სადრაძის ოჯახში (ზედა ჭალაში), ვნახე ვლასა, სანამ ვლასასთან დავიწყებდი მუსაიფს, საყვედური უთხრა მილუსიას გიორგი სადრაძემ: შეკაცო გეთქვა თუ ეს კაცი ვლასა მგელაძე არისო, მილუსიამ კიდევ დაუფიცა. კაცო რას ფიცავ თვით ეს კაცი არ ფიცავსო. სირცხვილი ვჭამეთ 20 კაკალი კვერცხი ითხოვა მომიხარშეთო: მე მართალია არ მქონდა, მაგრამ ვიყიდიდი, რომ ვლასა მგონებოდაო! აჰა დეიძახებს დილით ვლასა თურმე ნასაუზმევს: ეი რა ბიჭი კვდება ვლასა მგელაძე! ადი გიორგი ლეღვზე, ჩემი არჩივი მომიკრიფე. აჰა, ერთი კარდალა ღომი გააკეთე, კარგი სუნგული. აი ჩვენი ვლასა, თუ გინდათ ამის მაგივრათ ხუთ კაცს შეგინახამთო.

ვლასა მე უკვე გამზადებული მყავდა, ფოსტა, ფული და კერძო წერილებიც გადავეცი მილუსია სიხარულიძეს და კერძოთ ვნახე მელქისა გუნთაიშვილი, რომელიც იყო მეგზური და დურსუნა ჭინჭაროღლი (აჭარელი) მუსულმანი. ვლასა ჩავაბარე ამგენს სოფელ მაკვანეთში 1925 წლის აგვისტოში. ვლასასთან წამოვიდენ ორი ახალგაზდები: ბაგრატ წულაძე და ალექსანდრე შათირიშვილი.

ჩავარდა ჩვენი სტამბა ქუთაისში. ჩავარდა თბილისში ჩვენი «ერთობა»-ს საწყობი და პარმენა ღამბაშიძე.

აშკარა გახდა, რომ ყრილობას მართლაც დაესწრენ ჩეკის აგენტები. ამიტომ ყრილობაზე დამსწრეთ ახლოს არ ვეკარებოდი. ხოლო ჭიათურაში საორგანიზაციო მუშაობისათვის ვაკავგზავნე კ. პეტრიაშვილი.

დამიბარა სოლომონ თელიამ და მთხოვა:

— შემოდი ცეკაში, ხომ ხედავთ დაიჭირეს სილია ჭეიჭეიშვილი, მ. კალანდაძე.

მე უარი ვუთხარი და ვუამბე პლატონ ყურმანაშვილის ნათქვამი; მაშინ ჩაფიქრდა იგიც და მირჩია თვითონ:

— მაშ წადი ჭიათურაში. და უნდოდა გაეგრძელებინა ლაპარაკი, მაგრამ ვიღაც საეჭვო პირს თვალი მოჰკრა და საჩქაროდ წავიდა, მერმე შევხვდეთ ერთმანეთსო.

ერთი კვირის შემდეგ შემხვდა სოლომონ ყაზბეგი და მაცნობა, რომ გუშინ დაიჭირეს სოლომონ თელიაო.

— როგორ და რანაირად მოხდა ეს?

— შენ იცი, რომ თბილისში იმყოფება გერმანული დელეგაცია. ცეკამ დაადგინა: დელეგაციას გადასცეს მემორანდუმი საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

დაწერილი მემორანდუმი დილით მიუტანია სანდრო ანდღულაძეს სოლომონ თელიას ბინაზე, სოლომონს ხელი უნდა მოეწერა და ცეკას ბეჭედი დაესვა. თელიას ეთქვა: მოდი სამ საათზე სამსახურში და იქ მოგცემ დამზადებულსო. თერთმეტ საათზე თელიასთან სამსახურში მისულა ლავრენტი ბერია და უთქვამს სოლომონისათვის:

— გამარჯვება პეტრე!

— უკაცრავად მე პეტრე არა მქვია, მე ვარ სოლომონ თელია!

— ბერიამ გაიცინა და უთხრა:

— მანდ რომ პორთფელი გაქვს, გაშალე და შიგ რომ მემორანდუმი არის, მასზე გაქვს ხელი მოწერილი: «პეტრე».

გაშალეს პორთფელი, ამოიღეს მემორანდუმი, მაგრამ ხელმოუწერელი. ბერიას, ცოტა არ იყოს, შერცხვა, მაგრამ უთხრა:

— წამოდი ჩეკაში და იქ გაჩვენებ შენს ხელნაწერსო.

ასე დაიჭირეს სოლომონ თელია!

ერთ საღამოს ქუჩაში მაჩერებს ვიღაც ქალი. ვერ ვიცანი პირველად.

— ე. მახვილაძე!

მე მას გავაცანი ყაზბეგის ნაამბობი თელიას დაჭერის შესახებ და მთხოვა მასთან შევსულიყავი. ამაზე უარი მოვახსენე. მაინც მე ადრე უნდა წავსულიყავი ჭიათურაში და აქ «ჩემოს ვაგონში» შემხვდა პ. მოდებაძე, შორაპნამდე ერთად ვიმგზავრეთ და ბოლოს მითხრა:

— კაცო, ელეონორა გთხოვს მასთან მიხვიდეო.

— როგორ, რას მირჩევ მივიდე მასთან თუ არა?

— ჯანდაბას შენი თავი! სულ ერთია, ჩეკამ იცის შენი ავან-ჩავანიო!

პ. მოდებაძეს დავუკავშირე მიხაკო კალანდაძე, რომელსაც იგი ყოველთვიურად აძლევდა 150 მანეთს ჩვენი პარტიისათვის 1924—25 წლების განმავლობაში. (ამ ფულს აგროვებდა ჩემოს მოსამსახურეებში.

ავედი შინ, სადაც ორი დღის მეტი არ გავჩერებულვარ და ისევ თბილისს დაებრუნდი. სწორედ ამ დღეებში გადაესახლებინათ აფთონ წულაძე, პიმენ რამიშვილი, სოლომონ თელია, პარმენ ღამბაშიძე და ბევრნი სხვა. ხოლო კოწია სულაქველიძე და სილია ჭეიშვილი შეურიგდენ ხელისუფლებას და დეკლარაციით გამოვიდენ. სილია ჭეიშვილმა გაათავისუფლებინა შალვა ბაქუნაიშვილი და ბიქტორა კაციტაძე. ჩვენ-

თვის საინტერესო იყო თუ რას ფიქრობდა და რას აპირებდა კოწია სულაქველიძე, რომელიც უცხოეთიდან ახალი გამოგზავნილი იყო. ამიტომ მივაგზავნე ნ. ჩხიკვაძესთან, რათა ამ უკანასკნელს ენახა კოწია სულაქველიძე. მე მინდოდა გამეგო: კოწია აპირებდა საზღვარგარეთ გაბრუნებას თუ არალეგალური მუშაობის დაწყებას. ნ. ჩხიკვაძემ შემდეგი პასუხი მომიტანა; კოწია სულაქველიძეს ეთქვა: მე როგორ ვენდო ისეთ ცეკას, რომელმაც მე დამიჭირა!? თბილისიდან ჩამოვიდა ბათუმში ცეკას მდივანი მიშა ჩოგოვაძე (იგივე გლუხუმი), იყო ჩემთან. მე დამშორდა იგი ღამის 12 საათზე და ერთი საათის მერმე მე თვითონ დამიჭირა ჩეკამ. აი ამიტომ ვერ ვენდობი დღევანდელი ცეკის შემადგენლობას.

მეტისმეტად ცუდი მდგომარეობა შეიქნა. ცეკას უნდობლად უყურებდენ და საჭირო გახდა მისი დაშლა. სოლომონ ყაზბეგმა ინახულა სილია ჭეიშვილი და უთხრა:

— უნდა დაიშალოს მესამე ყრილობის ცეკაო, ვინაიდან ანდღულაძე და ჩოგოვაძე საეჭვონი არიანო.

ვნახე ე. მახვილაძე, რომელმაც შემატყობინა, რომ სილია ჭეიშვილს ვაგზავნით უცხოეთშიო. ჩემ შეკითხვაზე: იცის თუ არა ეს მიშა ჩოგოვაძემ-თქო, მიპასუხა: რასაკვირველია, იცისო!

სილია ჭეიშვილი მეორედ დაიჭირეს. იგი ახალი დაბრუნებული იყოგურიიდან. შემდეგ კი სოლომონ ყაზბეგი მატყობინებს: ჩეკაშია დაჭერილი ჩემი სახლიკაცი ოფიცერი და იმან მაცნობა:. ღამით მოიყვანეს დაჭერილი ცეკას მდივანი მიშა ჩოგოვაძე და სამი საათის შემდეგ ისევ გაუშვესო!

ამას გარდა ე. მახვილაძემ მითხრა: ციხიდან მატყობინებს.ჰ. ყიფიანი, რომ მიშა ჩოგოვაძე საეჭვო პირი არისო. პარმენას სახლში უნახავს მიშას გ. ანჯაფარიძე, რომელიც შემდეგ კიევში დაიჭირეს. პარმენ ყიფიანი დაიჭირეს თბილისში.

ე. მახვილაძემ და მე ვიმსჯელეთ შექმნილ საშინელ მდგომარეობაზე. გავითვალისწინეთ ცეკის თვითეული წევრის ვინაობა, გავსინჯეთ მათი მუშაობა და საბოლოოდ ვერავითარ გადამწყვეტ დასკვნამდე ვერ მივედით. ბრალდებები კი მიშა ჩოგოვაძისა და ანდრო ანდღულაძის შესახებ შემდეგი იყო: 1) სილია ჭეიშვილი მიემგზავრებოდა უცხოეთში და ჩეკამ იგი დაიჭირა: 2) ჩავარდა ქუთაისში სტამბა, რომელიც ებარა სანდრო ანდღულაძეს; 3) სოლომონ თელიას თავგადასავალი მემორანდუმთან დაკავშირებით; 4) ოფიცერ ყაზბეგის ცნობა,

რომ ღამე სამი საათით ჩოგოვაძე ჩეკაში იყო «დაპერილი» და 5) პარმენის გაფრთხილება.

ამ ზემო მოსაზრებით გამოვდიოდი, როცა განვუცხადე ცეკას: მე დავესწრები მხოლოდ უკანასკნელ კრებას და აღარ მოგეკარებით, სანამ არ გავწმინდავთ ცეკის შემადგენლობასთან.

ეს კრება ცეკისა მოხდა მამადავითზე; თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე იყო ელეონორა და რადგან თელია დაპერილი იყო, ამიტომ ცეკას თავმჯდომარედაც ელეონორა დარჩა.

კრებაზე მიშა ჩოგოვაძემ მისაყვედურა:

— რატომ არ მუშაობთ?

— მიზეზი უბრალოა,—ვუპასუხე,—პიათურის აჯანყებაში მთავარი როლი მეკისრა და გადავრჩი დახვრეტას; ეხლა აღარ დამზოგავენ და თავს ვუფრთხილდებითქო.

ერთ-ერთ საკითხად იყო მაზრებთან კავშირი; დადგენილ იქნა, გურიის გარდა, ყველა მაზრასთან მე მქონოდა კავშირი. გურიასთან კავშირი და აგრეთვე საზღვარგარეთთან კავშირი ისევ ანდღულაძის ხელში დარჩა.

მე უარი განვაცხადე ასეთ დავალებაზე, რადგან სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი ცეკის ამ შემადგენლობასთან მუშაობა განმეგრძო.

დიდი ხანი არ გასულა და შევიკრიბეთ ელეონორა მახვილაძის ბინაზე, უდელნის ქუჩაზე. ვიყავით საკონტროლო კომისიის წევრები და ცეკას წევრები ორის გამოკლებით: 1) ელეონორა მახვილაძე, 2) გ. შანშიაშვილი, 3) სოლომონ ყაზბეგი, 4) დათიკო ღუდუშაური, 5) ირაკლი ხატიაშვილი, 6) ი. ბახტაძე 7) მეგრელი და 8) მე. აქ გამოვიტანეთ დადგენილება, რომ გურიის ხაზი ხელში ჩაგვეგდო და ამგვარად ანდღულაძე თავიდან მოგვეშორებინა. ამ მიზნით გურიაში გავაგზავნეთ შ. ბაქუნაშვილი. მართლაც მოკლე ხანში ჩვენ ყველა მაზრიდან მივიღეთ დაკავშირების ცნობები და მივიღეთ აგრეთვე გურიიდანაც შ. ბაქუნაშვილის საშუალებით. საზღვარგარეთიდანაც ამ გზით მივიღეთ ფოსტა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი წავიკითხეთ, რადგან შიფრი იმმავე გლუხუმის (მიშა ჩოგოვაძის) ხელში დარჩა. იგი უკმაყოფილებას გამოსთქვამდა, რომ არც საზღვარგარეთიდან და არც მაზრებიდან აღარავითარი ცნობები აღარ მოდისო. ბევრი ვილაპარაკეთ ამის შესახებ და დავასკვენით: ხალხი და პარტია იზოლიაციას გვიკეთებს, აღარ ენდობიან მათ, ვინც

მესამე ყრილობაზე ვიყავით-თქო; ამიტომ ერთი კვირის განმავლობაში ყველაფერი უნდა ჩავაბაროთ თბილისის კომიტეტს, კერძოდ, მის თავმჯდომარეს ელეონორა მახვილაძეს.

ცეკის იმ სხდომაზე, სადაც ეს საკითხი ირჩეოდა, შეხლა-შემოხლა მოხდა. კრებას ყარაულობდა თბილისის კომიტეტის წევრი გრიშა მდინარაძე. ზემოაღნიშნული წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრეს მიშა ჩოგავაძემ და ანდრო ანდღულაძემ. ისინი მოითხოვდენ არსებული ცეკის მუშაობის გაგრძელებას. კრება გაგრძელდა ღამის პირველ საათამდე და შეთანხმება ვერ მოვახდინეთ, ან რა შეთანხმება-ღა იყო შესაძლებელი, როდესაც დაბოლოს, ჩვენ წარეუდგინეთ ჩვენი ეტვები ჩოგოვაძეს და ანდღულაძეს, ჩვენ მათ დავაბრალეთ გამცემლობა. ისინი, რასაკვირველია, აღშფოთდენ ამ ეტვების გამო და დაიწყეს თავის მართლება, მაგრამ უკვე გვიანღა იყო და კრება დაიშალა მეტად ცუდათ განწყობილი.

ჩვენ შევაჩერეთ ყოველგვარი არა-ლეგალური მუშაობა და შევიტყვეთ, რომ მიშა ჩოგოვაძეს და ანდრო ანდღულაძეს განუზრახავთ სოც.-დემ. პარტიის ყრილობის მოწვევა და ამისათვის დაუწყიათ მუშაობა. მათ გამოუციათ კიდეც ერთი ფურცელი ცეკას სახელით. ჩვენ ჩავერიეთ საქმეში და ხელი შევუშალეთ ყრილობის მოწვევას, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიემხრო თბილისის კომიტეტის მდივანი, ვინმე ტერელაძე. ამ ხიფათს რომ ავცდით, მერმე განვაგრძეთ მუშაობა და დავიმატეთ ლ. ბოლქვაძე თბილისის კომიტეტის თავმჯდომარედ და აგრეთვე ცეკას თავმჯდომარის ამხანაგად. მახვილაძემ უკვე მიაღწია იმას, რომ გამოართვა გლუხუმს შიფრი; ასე რომ 1926 წ. თებერვალში საზღვარგარეთიდან მიღებული წერილების წაკითხვა მოვახერხეთ.

ცეკამ გადაწყვიტა ჩემი უცხოეთში გაგზავნა და ამიტომ ჯერ წავედი ჭიათურაში. მივედი კოლია ჩხეიძის ბინაზე. მე მასთან უკვე ვიყავი შეთანხმებული, რომ მე «თედა» მერქვა. დილის 5 საათზე ჩავედი და მივურაკუნე კარებს კოლია ჩხეიძის ბინაზე. გამიღო კარები, მომესალმა და მომასვენა ზალაში. ცოლმა, რასაკვირველია, იკითხა: ვინ მოვიდაო, კოლიამ არ დაუმალა: ვალიკო ჩუბინიძე არისო. ამის თქმა და ქალის მოთქმა ერთი იყო: — დავიღუპებით! გაიგებს ჩეკა! მე ავდგები და წავალ სხვაგანო!

ერთი სიტყვით, აღარ ღირდა ჩემი გაჩერება და ჩამოვედი ძირს და მივადექი ძველ მუშებს ბინებში. აქ დამხვდენ: 1) პეტრე ნეფსაძე (სვანი), 2) შალიკო შეყელაშვილი.

3) ტარასი ნადირაძე. გადამეხვიენ, გადამკოცნეს. პეტრემ მითხრა: აწი ნუღარ გეშინია! აქ დარჩები.

მართლაც მადლობით უნდა აღვნიშნო, რომ მათ დიდი პატივი მცეს. იქ დავრჩი საღამომდე და საღამოს შევატყობინე ჩემი მისვლა თ. ჭოხონელიძეს. მან მომაკითხა და წამიყვანა თავის ბინაზე. მეორე დღეს მოვიწვიეთ შორაპნის მაზრის კომიტეტის კრება: 1) თ. ჭოხონელიძე, 2) ე. ებანოიძე და 3) თეოფილე კალანდაძე. მე გავაკეთე მოხსენება იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ცეკას მუშაობის შეჩერება და როგორ მიმდინარეობს დღეს მუშაობა მთელს საქართველოში. მივიღე მათგან საჭირო ცნობები, დავუტოვე ჟურნალ-გაზეთები და იმ საღამოსვე გავემგზავრე ქუთაისისაკენ. ქუთაისში ვინახულე ც. დარახველიძის ასული და იქიდან წავედი ფოთს. იქ ვინახულე ვ. კომახიძე და სამსონ მანწკავა, და ისევ ქუთაისს დავბრუნდი. ყველგან შევკრიბე ცნობები ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, კერძოდ კიდევ ფოთში მუშათა მდგომარეობის შესახებ. ქუთაისში შევხვდი თ. ჭოხონელიძეს, რომელიც რაჭაში მიდიოდა და გავატანე ჟურნალ-გაზეთები და წერილები ონს. მას უნდა მოენახა რაჭის ორგანიზაციები და გამოეწყო მუშაობა. ამავე დროს წერილი გავუგზავნე თბილისში ე. მახვილაძეს და შევატყობინე, რომ ვუცდიდი მის ცნობას ქუთაისში ც. დარახველიძის სახელზე. შემდეგ გავემგზავრე ჩემი სიმავრის სოფელ ქვაციხეში; მოვიწვიე იქ კრება თემის ორგანიზაციის კომიტეტის, რომელსაც დაესწრენ: 1. მ. ჩუბინიძე, 2. ვ. ყიფშიძე, 3. მელ. ჩუბინიძე, 4. მ. ნიკაცაძე, 5. დ. ჩუბინიძე. ესენი იყვნენ ქვაციხის თემის კომიტეტის წევრები. მოხსენების შემდეგ დავუტოვე მათ ბროშურები და ჟურნალი «ბრძოლა». შემდეგ დავბრუნდი თბილისში. მე უკვე ყველა მასალა მზად მქონდა იმ შემთხვევისათვის, თუ საზღვარგარეთ მართლა მომიხდებოდა წასვლა.

ვინახულე ლუბა (ე. მახვილაძე) და მან მითხრა, რომ კაცი ჩამოვიდა სტამბოლიდან (ეს კაცი იყო ქ. ქიქავა); ის უნდა დარჩეს ფოსტის გადმოსატანად ხოფიდან გურიამდე; მას უნდა მოეხმაროს დურსუნა ჯინჭარ-ოღლიო. მე ეს ამბავი მესიამოვნა. მაშინ ელეონორამ მთხოვა: ინახულე ქენია ქიქავა და გადაეცი მას ყველა მასალა, რაც შენ შეაგროვე დასავლეთ საქართველოშიო. მე პირადათ შეხვედრაზე უარი განვაცხადე, ხოლო მასალები კი დავუტოვე თვითონ ელეონორას. ქენია ქიქავა წავიდა გურიაში.

ასალი ცეკა 1926 წელს.

ჩვენმა ცეკამ განაგრძო თავისი მუშაობა. ცეკის სახელით ჩვენ გამოვეცით ფურცელი, რომელიც მიმართული იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ; ამის შემდეგ დაიპირეს ელეონორა მახვილაძე, ცაცა დარახველიძის ასული (22 თებერვალს 1926 წ.), გიორგი შანშიაშვილი და ტერელაძე. ცეკის თავმჯდომარედ გახდა ლ. ბოლქვაძე (ხვარამზე) და ცეკაში კოოპტაციით მოვიწვიეთ გრიშა (იგივე ალექსი) მდინარაძე და ვალერა ბილანიშვილი. ერთ-ერთ კრებაზე გავანაწილეთ მოვალეობები: მდივნად დავაყენეთ გრიშა მდინარაძე; ხაზინადრად—ირაკლი ხატიაშვილი; დასავლეთ საქართველოს მაზრებში მუშაობა დამეკისრა მე; აღმოსავლეთ საქართველოში (გორის და დუშეთის მაზრები) და აგრეთვე ახალგაზდა მარქსისტთა ცეკასთან კავშირი—მოსე (იგივე დათიკო) ღუდუშაურს; გარე-კახეთი ჩაბარდა ვალერა ბილანიშვილს; თელავი და სიღნაღი—ირაკლი ხატიაშვილს; თბილისის კომიტეტთან კავშირი—გრიშა მდინარაძეს.

გავიგეთ ჩეკიდან, რომ იქ ელეონორა მახვილაძეს პირში წარსდგომია დაკითხვის დროს ტერელაძე.

ჩეკამ მიაგნო ჩვენს სტამბას, რომელიც მოთავსებული იყო მელიტონ კალანდაძის ბინაზე; დაიპირეს მელიტონის მეუღლე—ფედოსი.

უნდა აღვნიშნო ერთი შემთვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ელეონორას დაპერის წინ. ერთ კრებაზე, რომელიც მოხდა არსენალის გადაღმა, დათიკო ღუდუშაურმა მოიყვანა ვიღაც გვენეტაძე (ცეცხლი) და სოსო სოზაშვილი. ამავე კრებაზევე გვენეტაძემ შეუტია ცეკას და ამტკიცებდა: ცეკა აღარ არსებობს. საჭიროა ახალი ყრილობის მოწვევაო. ეს თავდასხმა იმიტომ მოხდა, რომ გვენეტაძესათვის ეთქვათ, რომ თბილისის კომიტეტის კრება არის დღესო. იგი ჩვენ გვირჩევდა კავშირი დაგვეკავებინა ჩოგოვაძესთან და ანდღულაძესთან და მათთან ერთად მან წინადადება შემოიტანა, გამოგვეცა გაზეთი თათრულ ენაზედაც. ერთი სიტყვით, მეტისმეტად აქტივობდა. ეს პირი ჩამოვიშორეთ, მაგრამ იგი დაძვრებოდა ელეონორასთან. გავიგეთ მერმე, რომ იგიც დაეპირათ. და ელეონორა ჩეკიდან გვატყობინებდა თავისი ქალიშვილის პირით, რომ მას წაუყენეს პირში ტერელაძის გარდა სწორედ ეს გვენეტაძე («ცეცხლი»). იგი გვითვლიდა, რომ ეს პირები საიმედო არ არიანო.

ელეონორა მახვილაძე გადაასახლეს; ცაცა დარახველიძე, გიორგი შანშიაშვილი და ტერელიძე გამოუშვეს. მე შევეცადე მენახა მიშა ჩოგოვაძე. ჯერ დამეთანხმა შეხვედრას, მაგრა მერმე უარი შემომითვალა, არ ვიცი რატომ.

ციხიდან გამოუშვეს სილია ჭეიშვილი, რომელმაც ამ-ქამად ჩვენი პარტიის წინააღმდეგ დაიწყო აგიტაცია, როგორც წერით, ისე სიტყვით: ცეკა გამცემლებით არის სავსეო, ამბობდა სხვათა შორის. ამ უკანასკნელმა თქმამ ბევრი შეგვიშინა, მაგრამ მუშაობას მაინც განვაგრძობდით. კ. პეტრიაშვილმა მომცა გ. ერისთავის მისამართი და წავედი ბორჯომს. აქ ღამე გავათიე ხუციშვილისას და მეორე დღეს ვინახულე გ. ერისთავი, რომლის თავმჯდომარეობით შევადგინე ბორჯომის სოც.-დემ. კომიტეტი.

ჩემი საწყობი იყო ვ. მეტრეველთან ჯერ წყნეთის ქუჩაზე, მერმე პუშკინის, და ბოლოს მიხაილოვის გამზირზე; აქ მქონდა შენახული წიგნაკები, გაზეთები, ჟურნალები, რომელსაც ვაგზავნიდი მთელ დასავლეთ საქართველოში.

ვიშოვნე სტამბის მოხელე, პ. ნათალიშვილი, რომელმაც გამიმზადა სტამბა 28 აგვისტოს 1926 წ. წინადადებაც მომცა მე თვითონ აგიწყობთ გაზეთსო, მაგრამ მე არ დავეთანხმე: შენ რეზერვში დარჩი და თუ ჩვენი ასოთ-ამწყობი ირაკლი ხატიაშვილი არ გამოდგა ან დაგვიჭირეს, მაშინ მოგმართავ-თქო.

გურიიდან მივიღეთ ცნობა, რომ საზღვარგარეთიდან ფოსტა მივიღეთ და გამოგზავნეთ კაციო. მე გავაგზავნე ხომერიკი, სტუდენტი, რომლის სახელი აღარ მახსოვს. ფოსტა ჩავარდა ხაშურსა და გორს შორის. ჩეკისტები ეძებდენ თურმე კონტრაბანდას, და შემთხვევით წააწყდენ ჟურნალებს: «ბრძოლა»-ს და «დამოუკიდებელი საქართველო»-ს! ჩეკისტი თურმე შეშინდა კიდეც. ეძებდა შივიოტს და ნახა ჟურნალები.

— ვინ არის ამ ჩემოდანის პატრონი?—დაიძახა ჩეკისტმა. ხმა არავინ ამოიღო. მგზავრებმა გაიგეს, რომ ნოე ჟორდანიას მიერ გამოგზავნილი არალეგალური წიგნები დაიჭირა ჩეკამ. ჩეკისტი წავიდა უფროს ჩეკისტთან დასაძახებლად. ამასობაში ხალხმა დაიტაცა ჟურნალები, ასე რომ ჩემოდანში ერთიც არ დარჩა. ჩეკისტები რომ მოვიდენ და ჟურნალები ვეღარ ნახეს, შესძახეს ხალხს:

— ვისაც აღმოგაჩნდებათ ჟურნალი, ყველას დაგიჭერთო!

მაგრამ ხალხმა ყური არ გაიბერტყა და ჟურნალი არავინ დააბრუნა.

კიდევ იკითხეს:

— ვინ არის ამ ჩემოდანის პატრონი?

მაშინ ადგა ერთი ყმაწვილი და განუცხადა მათ:

— ეს ჩემოდანი შემოიტანეს სადგურ ნატანებში და მითხრეს: ყური უგდეთო!

ჩეკისტებმა დაიჭირეს იგი და მასთან ერთად ყველა გურული, ვინც იმ ვაგონში იჯდა.

სამწუხარო იყო, რომ ეს ხალხი ჩეკაში მოხვდა, ფოსტაც ვერ ჩავიბარეთ, მაგრამ ისე ფართოდ ვერ გავავრცელებდით ამ ჟურნალებს, როგორც ეს მოხდა თვით მატარებელში. ყველამ გაიგო, ვინც არ იცოდა, რომ ჩვენ ვღებულობდით არალეგალურ ფოსტას, წიგნებს, ჟურნალებს. ერთი სიტყვით, ამ ფოსტის ჩავარდნა დიდი პროპაგანდა იყო ჩვენთვის.

სტუდენტი ხომერიკი მისულა გურიაში და უნახავს გურიის კომიტეტის თავმჯდომარე მ. (ვასო) სიხარულიძე. ხომერიკს გადაუცია მისთვის მანდატი და უთქვამს რაც ჩვენ დავაბარეთ. ესე იგი, ე. ქიქავა არ უნდა წამოსულიყო თბილისში და წერილები, საერთოდ ფოსტა, უნდა გამოეგზავნა ხომერიკის ხელით. საერთოდ ქიქავა თავის ადგილს არ უნდა მოშორებოდა, რადგან გვეშინოდა, მის გადასვლა-გადმოსვლას ეჭვები არ გამოეწვია. ამავე აზრისა იყო სტამბოლის ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვასო წულაძე. ე. ქიქავას კატეგორიული უარი უთქვამს:

— ჩვენ თქვენ ვერ გენდობით, ამიტომ მე გადავწყვიტე თვითონ წავიდე თბილისს, ვინახულებ კოლია ქარცივაძეს, დ. ყიასაშვილს, კ. ჯაფარიძეს, მიშა (გლუხუმ) ჩოგოვაძეს და ანდრო ანდღულაძესო. მე თქვენ გადმოგცემთ 300 ოსმალურ ლირას და ეს წაიღეთო.

ამაზე მ. სიხარულიძეს უთქვამს ე. ქიქავასათვის:

— მე პასუხს არ ვაგებ, რომ გზაში რამე შეგემთხვეთო. მე ინსტრუქციები მაქვს, როგორც სტამბოლიდან, ისე თბილისიდან ცეკისაგან და ისე უნდა მოვიქცეო.

სტუდენტი ხომერიკი დაბრუნდა და ცოტა საყვედურიც გამოგვიცხადა:

— რატომ გამაგზავნეთ ისეთ კაცთან, რომელიც არ ემორჩილება არც ცეკას, არც სტამბოლს და არც თვით გურიასო.

მაშინვე მოვძებნე ლ. ბოლქვაძე და შ. ბაქუნაშვილი. აქ გადავწყვიტეთ: იმ ღამესვე წავსულიყავი გურიაში, რათა ჩამესწრო ქ. ქიქავასთან, რომ იგი თბილისს არ წამრსულიყო.

გავემგზავრე დილითვე და ჩავედი ოზურგეთს. მივედი ძველი რევოლუციონერის ერმილე სიხარულიძის დუქანში. მე მას პირადათ არ ვიცნობდი და როცა შევედი დუქანში ვუთხარი:

— გამარჯობა!

— გმადლობთ!—მიპასუხა, ეს იყო ჩვენი პაროლი.

მას ვთხოვე გზირი მ. სიხარულიძის სანახავად. მან მაშინათვე მიშოვნა გზირად ერთი ჩვენი პარტიული ამხანაგი, რომელმაც გამიყვანა სოფელ ზედა-ჯალაში; აქ საღამომდე დავრჩით ჩვენ ძველ ამხანაგ ვ. გოგიტიძესთან. საღამოს მოვიდა ერთი ჩვენი ახალგაზდა ამხანაგი და მან წამიყვანა მ. სიხარულიძესთან ოჯახში. ვახშამის შემდეგ გადავედით ერთ საიდუმლო ბინაზე და მასთან ლაპარაკში გამოირკვა, რომ ქ. ქიქავა არ დაემორჩილა არც ცეკას და არც გურიის კომიტეტის თავმჯდომარეს. ქიქავამ გამასწრო, იგი წასული იყო თბილისისაკენ. დავბრუნდი თბილისს აღდგომის დღეს 1926 წელს და ვინახულე ლ. ბოლქვაძე და შალვა ბაქუნაშვილი. ათი დღის მერმე ამოვიდა ქ. ქიქავა, რომელიც გზად თავის ოჯახში დარჩენილიყო. ქ. ქიქავა მე არ მინახავს, მაგრამ შეხვედრილან ერთად მიშა ჩოგოვაძე, ლ. ბოლქვაძე და ქ. ქიქავა.

ქ. უთქვამს ლიზასათვის:

— მე ხელთა მაქვს ირაკლი წერეთელისა და ნოე ჟორდანიას წერილები; წაიღეთ გახსენით. ამას გარდა ჩოგოვაძე ან აქ უნდა გაასამართლოთ, ანდა როგორც ნოე ჟორდანია იწერება ისე მოიქეცით; იგი გვწერს: აქ გადმოგზავნეთ მის შესახებ ყველა საბუთიო.

ლიზას უთქვამს:

— მე არა ვარ ცეკის წევრი. არც ვიცი რაშია საქმე.

მაშინ ჟენიას დაეინებით უთქვამს:

— როგორ არა! მე ვიცი, რომ თქვენ ხართ ცეკის თავმჯდომარე და ამიტომ სჯობია თქვენ მიიღოთ ეს ქაღალდებიო.

ამაზე ლ. ბოლქვაძეს უპასუხია:

— მე არა ვარ ცეკის წევრი, მაგრამ მე ვიცნობ ცეკის ერთს წევრს, წავიღებ ამ წერილებს და მას გადავცემო; მიშა

ჩოგოვაძის საქმის შესახებ კი სრულიად არაფერი არ ვიცოდ.

ლ. ბოლქვაძემ მოიტანა ირაკლი წერეთელის და ნოე ჟორდანიას წერილები, რომელიც ეხებოდა საზღვარგარეთ მყოფ ამხანაგებს შორის ატეხილ დავას ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხების შესახებ; წერილები კარგად ვერ გავარჩიეთ და ამიტომ წინდაწინ ყველამ სათითაოდ წაიკითხა და მივედით მეორე კრებაზე, რომლისათვისაც დავამზადეთ საპასუხო რეზოლუციები. ეს რეზოლუციები გასაცნობად შევუგზავნეთ მეტეხში კოტე ანდრონიკაშვილს.

ხშირად მიხდებოდა სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატში სიარული; იქ მსახურობდა ს. თელია და ი. ბახტაძე. ესენი ორივე ცეკის წევრები იყვნენ. მაგრამ ამჟამად თელია უკვე დაპატიმრებული იყო. გურიიდან რომ დავბრუნდი, მივედი ი. ბახტაძესთან; ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა ნ. ჩხიკვაძე. მერმე სეით დევდარიანიც. გაება საუბარი და ამ დროს მოვიდა თვითონ კომისარი კოწია ხომერიკი. იგი მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— ე, ბიჭო, წამაკითხეთ ჟურნალი «ბრძოლა»!

სეითმა უპასუხა:

— ერთი ნომერი მომცა ფილიპე მახარაძემ, წავიკითხე და უკანვე დავუბრუნე.

მერმე სთხოვა ნ. ჩხიკვაძეს; მან უპასუხა:

— რა ვიცი რა არის «ბრძოლა»!

ერთი სიტყვით, ვერაფერს გახდა და წავიდა.

— ეხლანდელი ცეკა კარგი შემადგენლობის არის; ვიცი, თუ როგორი წერილი მისწერეს საზღვარგარეთელ ბიუროს. მხოლოდ მაშინ გავიგე მე, რომ ერთ ცეკას წევრს—გლუხუმს —(მიშა ჩოგოვაძეს) სეით დევდარიანთან შეთანხმებით მიუწერია წერილი, რომელიც შემდეგში 1926 წელს 26 აგვისტოს მე დავგმე.

11 ივნისის 1926 წლის გაზეთმა «კომუნისტმა» გვაცნობა კარლო ჩხეიძის პარიზში თვითმკვლელობის შესახებ. მაშინათვე მოვიწვიეთ ცეკის სხდომა (თ. ქარცივაძის ბინაზე) და დავადგინეთ: საჩქაროდ გაგვეგო ამ უბედურების მიზეზი და თან გაგვემართა სამოქალაქო პანაშვიდი. ამ მიზნით მივაგზავნე კარლოს უნცროსი ქალიშვილი მთავრობაში და ვათხოვნინეთ ნებართვა პანაშვიდის მოწყობის შესახებ. რა თქმა უნდა, უარი მიიღო. მერმე ვარჩიეთ გადაგვეხადა პანაშვიდი ეკლესიაში და ამის გამო წავედი ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელთან, თოთიბაძესთან; იგი ავად იყო, მაგრამ მეორე

მღვდელმა პანაშვიდზე თანხმობა გამოგვიცხადა. შემდეგ გრიშა მდინარაძე და მე მივედით მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელთან და ისიც დაგვეთანხმა. სული-წმიდის მოფენის დღეს, 17 ივნისს 1926 წ. გავმართეთ პანაშვიდი. წინდაწინ მივიღეთ ზომები ხალხისათვის გვეცნობებინა; მართლაც დიდი საზოგადოება დაესწრო პანაშვიდს, ეკლესია ვეღარ იტევდა და ამიტომ პანაშვიდი გაიმართა ეზოში კარლო ჩხეიძის ქვისლის ძეგლთან. თავისთავად ეს პანაშვიდი დიდი დემონსტრაცია იყო. ნ. ჩხიკვაძემ გაიხსენა კარლოს მუშაობა გურიაში და ტირილით მიამბობდა მისი თავგადასავალის შესახებ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენი ცეკის ამბავს.

მალული მუშაობის სიძნელენი.

გახშირდა ამხანაგების დაპერა; ცხადი იყო, რომ ორგანიზაციებში ჩეკის აგენტები იყვნენ მოკალათებული. ჩვენ კიდევ ის გვაწუხებდა, რომ ცეკის წევრებზე გვქონდა ეპეკი, ეპეკი ძლიერი, თუმცა გამცემლობის პირდაპირი საბუთები, როგორც ეს უკვე აღვნიშნე, არ მოგვეპოვებოდა. ჩვენ რამოდენიმე კაცი ერთმანეთს მჭიდროდ დავუკავშირდით, და ვენდობოდით კიდეც ერთმანეთს და ვცდილობდით ჩამოგვეშორებინა ეს საეჭვო პირები, მაგრამ სამაგიეროდ შეეცადეთ ძველი გამოცდილი ამხანაგები ჩაგვება ცეკის მუშაობაში. ამ მოსაზრებით მივმართეთ, ჩვენი დადგენილების თანახმად, რომელიც გამოვიტანეთ კრებაზე ამხანაგების თანადასწრებით: ლ. ბოლქვაძისა და თ. ქარცივაძისა. ჯერ კიდევ 1925 წელში პ. რამიშვილმა და მე ვთხოვეთ ნ. ჩხიკვაძეს დაეწყო მუშაობა ცეკაში, მაგრამ ნ. ჩხიკვაძემ გვიპასუხა:

— ჯერ არა გიჭირთ-რა; როცა გაგიჭირდებათ, მე თვითონ მოვალ და დავიწყებ მუშაობასო.

კ. ჯაფარიძესაგან კი შემდეგი პასუხი მივიღეთ:

— მე ჯერ ვერ ვიმუშავებ და მერე ვნახოთო.

— თუ არ იმუშავებ, მაშინ ნურც მუშათა კომისიაში მიხვალთ,—ვთხოვე მას.

— არა, ამხანაგო,—მითხრა მან. მე უკვე დამიბარეს მუშათა კომისიაში, მაგრამ არ წაველ.

ეხლა როდესაც ნ. ჩხიკვაძეს ისევ დავუბრუნდით და ჩვენი გაჭირვება მოვახსენეთ, მან გვითხრა:

— ვალიკო! გახსოვს შენ და პ. რამიშვილი რომ მთხოვდით დამეწყო მუშაობა ცეკაში, მაშინ რა გიპირდათ! ეხლა თქვენი მუშაობის ნახევარი მიდის ჩეკაში. ამიტომ სჯობია გადააყენოთ ღუდუშაური დათიკო, ხატიაშვილი ირაკლი.

ამაზე ლ. ბოლქვაძემ უპასუხა:

— მეც ამ აზრის ვიყავი, მოგვეწვია ერთ კვირაში ცეკას კრება და გადავმდგარიყავით, ვითომ ყველა ერთად.

კ. ჯაფარიძის ხსენებასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ამბავი, რომელიც მოგვითხრო კ. ჯაფარიძემ და რაც აჯანყების წინა დღეებს შეეხებოდა. ამ მოთხრობის მომსმენნი იყვნენ ჩემს გარდა გრიგოლ ფხალაძე და პ. რამიშვილი.

— თავიდანვე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი აჯანყებისა,—დაიწყო კ. ჯაფარიძემ,—ამ ჩემს აზრს ამხანაგებსაც ვუზიარებდი, ცეკასაც მოვახსენე იგი და დაბოლოს საზღვარგარეთ მყოფ ბიუროსაც გავუგზავნე წერილობით. ამ წერილს, სადაც მე აჯანყების წინააღმდეგი გამოვდიოდი, როგორც აღმოჩნდა ჩეკას ხელში გაუვლია და იქ მისი ასლი გადაუღიათ. ესეც საიდუმლო მუშაობა! თქვენ გახსოვთ, რომ აჯანყების დღეთ დანიშნული იყო 15 აგვისტო 1924 წ. სწორედ 12 აგვისტოს მეტეხში მოვიდენ ჩეკის თავმჯდომარე კვანტალიანი და მოროზოვი. გაგვიწვიეს მეტეხის კანცელარიაში: მე, გაბო ცისკარაშვილი, თედორე ასათიანი და ვანო ღლონტი.

— ჩვენ ყველაფერი ვიცით,—ამბობს კვანტალიანი რუსულად.—აჯანყება ზეგ უნდა მოხდეს. თქვენ შეგიძლიათ ეს მოსალოდნელი უბედურება ააცილოთ ხალხს. ჩვენ თქვენ გთხვთ მონახოთ ცეკა და კოტე ანდრონიკაშვილი და დააჯეროთ, რომ მოხსნან აჯანყება.

— ჩვენ არ ვიცით სად არის ცეკა, არც ის ვიცით, სად იმყოფება კოტე ანდრონიკაშვილი,—ვუპასუხეთ ჩვენ, პირადათ თედორე ასათიანმა.

— კოწია—მომმართა კვანტალიანმა.—ჩვენ ვიცით, თქვენ ხართ აჯანყების წინააღმდეგი: ამიტომ შენ შეგიძლია მიიღო შენს თავზე, გახვიდე ციხიდან, ინახულო კოტე ანდრონიკაშვილი და დააჯერო იგი მოიხსნას აჯანყება. ჩვენ გველაპარაკა ვალიკო ჯუღელი, რომ აჯანყება ბეწვზე ჰკიდია. ქართველი ხალხის სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია და იგი შეიძლება გადარჩეს ამ უბედურებას, თუ მეტეხი და კოტე ანდრონიკაშვილი აღარ მოაწყობს აჯანყებას.

ჩვენ ყველამ უარი განვაცხადეთ და იმით დავასაბუთეთ,

რომ აჯანყების საკითხი ჩვენი საქმე არაა და კოტეს მონახვა კიდევ ჩვენთვის შეუძლებელია.

მაშინ კვანტალიანმა ქართულად მოგვმართა:

— კაცო, მე ქართველი კაცი ვარ და არ მინდა სისხლი დაიღვაროს, ამ საშინელ მსხვერპლში მე მივიღო მონაწილეობა. ამიტომ დაასახელეთ ვინმე გავლენიანი პირი, რომელიც მოძებნის ანდრონიკაშვილს და ეტყვის, დააჯერებს მას, არ მოახდინოს აჯანყება.

მაშინ გაბო ცისკარიშვილმა ქართულად უპასუხა:

— გაუშვით გერასიმე ფირცხალაიშვილი და იქნებ მან მოახერხოს კოტეს ნახვა.

რუსმა მოროზოვმა ყური მოკრა გერასიმეს სახელს, მიხვდა და წამოიძახა:

— ვინ? გერასიმე? მე მას არასოდეს არ გავუშვებ გარედ. ეგ არის პატარა გოგიტა ფალავა; როგორც გოგიტა იყო პატარა ნოე ხომერიკი. მაგას არ გავუშვებთ.

სთხოვეს გაბო ცისკარაშვილს,—მან უარი განაცხადა; უარი სთქვა თედორე ასათიანმაც და ბოლოს ჩვენვე ვარჩიეთ გასულიყო ვანო ღლონტი.

ვანო ღლონტი იმ წამსვე გაუშვეს მეტეხიდან; იგი წავიდა, ბევრი ეძება თუ ცოტა, მონახა კოტე ანდრონიკაშვილი და მოახსენა ყველაფერი, რაც მოხდა მეტეხში.

კოტე ანდრონიკაშვილს ებრძანებინა:

— ვინ კითხავს მეტეხს აჯანყების საქმეს? აჯანყება 15 ს იქნება თუ 20-ს, ეს არის ჩვენი საქმე და ამაზე თავს ნუ შეიწუხებთ.

გაწბილებული ვანო ღლონტი დაბრუნდა ჩეკაში, როგორც დანაპირები იყო, იქიდან აღარ გამოუშვეს, რასაკვირველია, და დახვრეტილ იქმნა აჯანყების დღეებში.

ამის შემდეგ, როცა ვანო ღლონტმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია, კვანტალიანმა გამოგვიძახა მეტეხიდან გაბო ცისკარაშვილი, თედორე ასათიანი და მე; მან ჩვენ წაგვიყვანა ჩეკაში და შეგვახვედრა პირისპირ ვალიკო ჯუღელთან.

ურთიერთ მისალმების შემდეგ, კვანტალიანმა მიმართა ვალიკო ჯუღელს:

— აი, ეს ხალხი არის მეტეხის გავლენიანი პირები. მეტეხიდან გავაგზავნეთ კოტე ანდრონიკაშვილთან ვანო ღლონტი, მაგრამ მან ვერაფერს მიაღწია. აი, ეხლა, ვალიკო, უთხარი ამ ხალხს, თუ რა უბედურება მოელის ჩვენ ქვეყანას, უთხარი, რომ აჯანყება წინდაწინ განწირულია და მარტო

უშედეგო მსხვერპლის მეტს არაფერს მოიტანს; უთხარი, მოხსნან და მოსპონ აჯანყების საკითხი.

ვალიკო ჯუღელი მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— ამხანაგებო! ჩემი აქ ჩამოსვლა იცოდა მხოლოდ ექვსმა კაცმა. ერთი ჩემი მეგზური უკან დაბრუნდა, მას გამცემლობას ვერ დავაბრალებ. ორი ჩემთან შემხვედრი დარჩა დასავლეთ საქართველოში; ვერც მათ დავაბრალებ ღალატს, რადგან იქიდან წამოსვლის შემდეგ ჩემი გზა-კვალი არ იცოდენ. მაშასადამე დარჩა სამი პირი და ამ სამ პირში ერთ ერთია მოღალატე, და ესენი არიან თბილისში...

ამ დროს მას აჩერებს კვანტალიანი და ეუბნება:

— არავინ დაასახელო, ვალიკო!

— კი მაგრამ,—უთხრა ვალიკომ,—ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ამათთვის უნდა მეთქვა მათი გვარები?

— კი, მაგრამ აღარ დაასახელო!

— მაშინ ვალიკო გაჩუმდა ამაზე და გადაეიდა პრაქტიკულ საკითხზე.

— ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ უცხოეთიდან მე აქ არ ჩამოვსულვარ სააგარაკოდ, არამედ ჩამოვედი აჯანყების მოსახდენად. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ აჯანყება გაცემულია; არამც თუ მთავარი გეგმა, არამედ ყველა წვრილმანიც კი იცის ჩეკამ; დაიღუპება ქართველი ხალხი. თუ აჯანყება მოეწყო, გაქლეტენ მას; თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ მე შემაშინეს ან ძალა დამატანეს, მაგრამ ასეთი რამ არაფერი ყოფილა; ვშინჯე კიდეც თავის მოკვლა, კოვზის ტარი გავტეხე, ხელებზე ძარღვები გადავიჭერი, ქანგი ჩავყარე ჭრილობებში, მაგრამ არაფერმა არ იმოქმედა და აგერ ცოცხალი ვარ! უცხოეთში ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩეკაში ყველაფერი ძალდატანებით ხდება, და გვეგონა, რომ ჩვენი ამხანაგების დეკლარაციები საბჭოთა პლატფორმაზე დადგომის შესახებ, ყველაფერი ძალდატანებითი იყო. მაგრამ ალბად ყოველთვის ასე არ ხდებოდა. კოწია, შენი წერილი, რომელიც ჩვენ უცხოეთში მივიღეთ და რომლითაც გვატყობინებდით, რომ შენ აჯანყების წინააღმდეგი იყავი, წავიკითხე იქ და მისი ასლი კი აქ დამახვედრეს. ასე რომ გამცემლობა ჩემს ჩამოსვლამდეც ხშირი ყოფილა.

ამ დროს კვანტალიანს ტელეფონზე დაუძახეს, თედორე ასათიანმა ვალიკოს ფეხი კრა და წასჩურჩულა:

— რას მიედებ-მოედები...

ვალიკომ ამაზე უპასუხა:

— კაცო, გაიგე, აჯანყება გაცემულია. მე წინადადება მივეცი ჩეკას მოეცა ჩემთვის ისეთი საწამლავი, რომელიც გვიან იმოქმედებდა, და გავეშვით, რათა აჯანყების მოხდენისათვის ხელი შემეშალა.

ამ დროს კვანტალიანი მობრუნდა და განახლდა ლაპარაკი აჯანყების ჩაშლაზე:

— მე თქვენ განგებ გამოგარჩიეთ, როგორც გავლენიანი პირები და სხვადასხვა კუთხიდან; გაბო ცისკარაშვილი—კახეთიდან; თედორე ასათიანი—ქუთაისიდან; შენ კიდევ კოწია, როგორც ზომიერი კაცი, და ყველას გთხოვთ მიიღოთ ზომები აჯანყება არ მოხდეს.

ამაზე გაბომ კატეგორიულად უპასუხა:

— მე წელიწადნახევარი ციხეში ვარ და არაფერი ვიცი, არც არავინ დამიჯერებსო.

ასევე უპასუხა თედორე ასათიანმაც.

ჩემი პასუხი კი იყო უბრალო:

— მე აჯანყების წინააღმდეგი ვარ; ამის საბუთი თქვენს ხელში არის—ჩემი წერილი—და ვინ დამიჯერებს მე?!

ამით გათავდა ლაპარაკი და ჩვენ წაგვიყვანეს უკანვე მეტეხში. თუ მე გადავრჩი მეტეხში დახვრეტას, ეს იმის გამო, რომ ჩეკამ იცოდა, რომ მე აჯანყების წინააღმდეგი ვიყავი; სამაგიეროდ გაბო ცისკარაშვილი და თედორე ასათიანი, რომელნიც თავგამოდებით აჯანყების მომხრე იყვნენ, და ეს ალბად იცოდა ჩეკამ, ორივე გამოასალმეს სიცოცხლესო.

ტანჯვათა მოგონებით იყო აღსავსე ეს საშინელი მოთხრობა და ჩვენზე, ვინც ვუსმენდით კოწია ჯაფარიძეს, მან მოახდინა წაუშლელი მძიმე შთაბეჭდილება.

ეხლა კი განვაგრძოთ ჩვენი მოგონებაც.

ცეკის თავმჯდომარის დავალებით დასავლეთ საქართველოში უნდა წავსულიყავი. ჩემი წასვლა იცოდა მხოლოდ ლ. ბოლქვაძემ და გრიშა მდინარაძემ. გზად სამტრედიაში მე უნდა შემხვედროდა გ. ჩიქოვანი; მე იგი გამაცნო დათიკო ღუდუშაურმა. სამტრედიაში მე უნდა მენახა იქაური კომიტეტის თავმჯდომარე პ. ბირკაია, რომლის მისამართი მომცა გრიშა მდინარაძემ. მე ჩავედი ჯერ ჭიათურაში ტარასი ნადირაძესთან. აქ უნდა მომეწვია შორაპნის მაზრის პარტიული სამაზრო ყრილობა; შორაპანის სამაზრო კომიტეტმა ორჯერ მოგვწერა, რომ მას სურს მოაწყოს ყრილობა, თუ ცეკას ამის საწინააღმდეგოდ არაფერი ექნებაო. მე უნდა მომეწყო ეს ყრილობა.

ჭიათურაში მივედი ძველი მუშების ბინაზე, სადაც იმ-ყამად კიდევ იმყოფებოდენ: ჯ. დიმიტრი, სირაძე ამ., გვენ-ტაძე ვ., ბრეგვაძე ვ., შეყილაშვილი ´ბ., ნადირაძე ტ., ლუტი-ძე ვ., გორდეზიანი რ. და ნევსაძე პ. საღამომდე დავრჩი მათ-თან და საღამოს მომაკითხა ჭიათურის კომიტეტის თავმჯ-დომარემ, თ. ჭოხონელიძემ. აქედან ჩვენ წავედით კრება-ზე, რომელიც უნდა შემდგარიყო ჭიქაურაში. გზაში, მო-რიგებისამებრ, დაგვხვდა პ. ბერიშვილი, რომელიც იმხა-ნად ჭიათურაში მუშაობდა. ჩვენი ლაპარაკის საგანი იყო ცეკის მდგომარეობა. მე ბერიშვილს გავაცანი შექმნილი ვი-თარება ცეკაში. პაელე დამშორდა ჭარბელაში; იგი კრებაზე არ წამოსულა.

ღამის ათი საათი იყო, როდესაც ჭიქაურაში მივედი ფორვუდის სამუშევრებთან, წყალსადენთან ჭოხონელიძის ბინა იყო. იქ იყო მოწვეული სამაზრო კომიტეტის კრება. მაგრამ იგი არ შედგა, რადგან ბელაგორიდან წარმომადგენ-ლები ვერ გამოცხადდენ. დანარჩენი ყველა დაესწრო: საჩხე-რიდან—გ. აბდუშელიშვილი; ჩხარიდან—დ. საყვარელიძე; ზე-სტაფონიდან—ვინმე ხიჯაკაძე; ჭიათურიდან—თ. ჭოხონელი-ძე, ს. კაკაბაძე, კ. პეტრიაშვილი. ვინაიდან ყრილობა არ შეს-დგა, ამიტომ მე მაინც ვისარგებლე შემთხვევით და გავაკეთე მოხსენება მესამე პარტიული ყრილობის შემდეგ ცეკის მუ-შაობის შესახებ და ხაზი გავუსვი ახლანდელი ცეკის მდგომა-რეობას და აღვნიშნე მისი გადახალისების საჭიროება. კრება დაიშალა ღამის სამ საათზე, ორი დღე დავრჩი სოფელში და შემდეგ წავედი სამტრედიაში, სადაც ვინახულე პ. ბირკაია. მას მე შევუთანხმდი სენაკიდან ჩემი დაბრუნების შემდეგ მო-ეწვია კომიტეტის კრება. გ. ჩიქოვანთან ერთად წავედი სენა-კში, მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარე, ვინმე კალანდარაშვი-ლი იქ არ აღმოჩნდა, სხვაც ვერავინ შევიხვედრეთ და დავ-ბრუნდით სამტრედიაში; ხოლო კალანდარაშვილი დავიბარე თბილისს ჩამოსულიყო. სამტრედიაში მოწვეულ იქნა კომი-ტეტის კრება, რომელზედაც მოხსენება გავაკეთე ისეთივე, როგორც ჭიქაურიში. შემდეგ ავედი ქუთაისში, ვინახულე ქუთაისის კომიტეტის თავმჯდომარე, ვინმე თენგიზა, და და-ვუბრუნდი თბილისს.

ჩემს აქ არ ყოფნაში ბევრი ამბავი მომხდარა. თ. ქარცი-ვაძემ მიამბო:

ჩვენ რომ ფოსტა გავაგზავნეთ გურიაში, ეს გახსოვს; ფო-სტის წამღებ ქენია ქიქავას მოუთხოვნია ბათუმით უნდა წა-

ვიდეო; ეს მისთვის აუკრძალავთ და რაკი არ მოიშალა ეს დაკინება, მიუცია შ. ბაკუნაიშვილს თავისი ძმის მისამართი; მიუხედავად ამისა, იგი ცეკის მისამართით არ მისულა, არამედ წასულა ძველ პუნქტზე, რომელიც საეჭვო იყო და მ. ჩოგოვაძემაც იცოდა და ანდრო ანდღულაძემ. ამ ძველ ბინაზე ყენია ქიქავა დაუჭერიათ; ეს ცნობა სასწრაფოდ უცნობებიათ ლ. ბოლქვაძისათვის ბათუმელ ამხანაგებს, კომიტეტის დავალებით საგანგებო კაცი ჩამოსულა თბილისს. ლიზა ბოლქვაძეს მოუწვევია ცეკის ორი წევრი, გრიშა მდინარაძე და თ. ქარცივაძე, რომელთათვისაც უთხოვნია: ჩაიბარეთ ცეკას ყოველი არხივი; რაკი ქიქავა ჩავარდა, მე უსათუოდ დამიჭერენ და გადაარჩინეთ საბუთებიო. ორივეს უარი უთქვამს არქივის ჩაბარებაზე და თან დაუმშვიდებიათ ქალი, რომ არაფერი საფრთხე არ მოგელისო.

მაგრამ მეორე დღეს ჩეკამ დააპატიმრა ლიზა ბოლქვაძე; მეორე დღეს დაუჭერიათ შ. ბაკუნაშვილი; სამი დღის შემდეგ დაუჭერიათ მიშა ჩოგოვაძე (გლუხუმი) და ანდრო ანდღულაძეც.

ეს ის ხანაა, როდესაც, ირაკლი წერეთელის წერილები ჩვენ რომ მივიღეთ, გაზეთმა «კომუნისტმა» გამოაქვეყნა 19 ივლის 1926 წელს. ბუნებრივია, დაინტერესებული ვიყავი, საიდან ჩაუვარდათ ხელში ბოლშევიკებს ეს წერილები და ამიტომ ვკითხე ამის შესახებ თ. ქარცივაძეს. მან მიპასუხა:

— მე ვიცი, რომ ეგ წერილები იყო ჩოგოვაძისა და ანდღულაძის ხელში, მაგრამ საიდან ჩაიგდო ხელში ჩეკამ იგი, არ ვიცი.

მოვიწვიე ცეკას სხდომა, რომელსაც გავაცანი მდგომარეობა მაზრებში; მერმე ვინახულე ლიზა ბოლქვაძის დედინაცვალი მარინე ნაკაშიძე. ვეძებეთ არქივი, მაგრამ ველარ მივაგენით, ხოლო შემდეგ მიაგნო მან მარტო ერთ ნაწილს. გრიშა მდინარაძემ და მე გავაბით კავშირი მეტეხთან მ. ციციშვილის საშუალებით.

ვ. ბილანიშვილთან, რომელსაც სტამბის საქმე ჰქონდა მიბარებული, დაკავშირებული ვიყავი გრიშა მდინარაძის საშუალებით. ეხლა როდესაც ცეკას თავმჯდომარე, ლ. ბოლქვაძე დაატუსაღეს, ცეკას თავმჯდომარედ დავრჩი მე და თუ მე არ ვიყავი თბილისში, მე მცვლიდა ვ. ბილანიშვილი. გრიშა მდინარაძემ და მე დავიწყეთ მოლაპარაკება ნ. ჩხიკვაძესთან, რათა შეგვედგინა ახალი ცეკა კოოპტაციის ნიადაგზე. მაგრამ ამ დროს ფხალაძისაგან მივიღე

დეპეშა ჩემი ბავშის მძიმე ავადმყოფობის შესახებ, და მე იძულებული ვიყავი 2 აგვისტოს 1926 წელს ჭიათურას წავსულიყავი. წინდაწინ ვ. ბილანიშვილს გადავეცი ყველა მასალა, რათა მას მალე დაემზადებინა ჩვენი გაზეთი «ერთობა», რადგან 24—25 აგვისტოს ჩამოვიდოდენ პროვინციებიდან გაზეთების წამღებნი; 28 აგვისტოსათვის, აჯანყების ორი წლის თავზე, გაზეთი «ერთობა» მთელ საქართველოში უნდა გავრცელებულიყო.

ფეხით ჩავედი ავჭალაში, იქიდან გავყევი მატარებელს და მივედი შინ. ბავში მართლაც მძიმე ავად იყო, მაგრამ კარგი ექიმის დახმარებით სიკვდილს გამოვგლიჯეთ ხელიდან. 18 აგვისტოს 1926 წ. გამოვბრუნდი უკან, თან წამოვიღე მაუზერი, რომელიც მიბარებული მქონდა ტარასი ნადირაძესთან; მას თითქმის მუდამ ვატარებდი.

1926 წ. 29 აგვისტოს მოვდივარ ნაძალადევიდან. საღამოა. უცბად წავეხეჩე კოტე ცინცაძეს:

— არიქა, ვალიკო, დაბრუნდი, თორემ დაგიჭერენო,—მომაძახა.

— რაშია საქმე, კოტე?—გაოცებული ვკითხე მას.

— კრება მქონდა და მე მომდევენ ვიცი, შენ იმალები, და არ წაგაწყდენ შენცო.

ჩვენ ორივე ერთად წავედით და გავედით ბორანით. ხმას არცერთი არ ვიღებდით. ნიკოლოზის ეკლესიასთან რომ მივედით, კოტემ მითხრა:

— ვალიკო, ხედავ? ჩემ ცოლს ლამპა მოუხსნეს. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზეა დასაფლავებული, ღამით ელექტრონის ლამპა უნათებდა საფლავს, და ეხლა მოუხსნეს. ეს იმიტომ, რომ მე ვარ ოპოზიციონერი.

ყველას გაუგონია, თუ როგორ ცაიწყო და რა იყო «უკლონისტური» მოძრაობა საქართველოში. ბოლშევიკები გადაუდგენ პარტიის არსებულ გენერალურ ხაზს და ოპოზიცია გაუმართეს მოსკოვს. ჩვენში კიდევ ამას დაერთო ნაციონალური საკითხი, რუსეთთან ურთიერთობის ვითარება და შეიქნა მთელი მოძრაობა, რომელსაც ბოლშევიკური ხელისუფლება სდევნიდა. ამ «უკლონისტური» მოძრაობის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო იმქამად, ერთდროს ყოვლად შემძლე კოტე ცინცაძე, რომელიც ეხლა ჩემსავით იმალებოდა.

ავყევით ვარდისუბნის ქუჩას. აქ კოტემ მითხრა:

— ვალიკო, კაცო, მოილაპარაკეთ ცეკაში და მოდი შენ ჩემთან ან იასონა ჯორბენაძესთან, გაგვაგებინე თუ რა აზრის

იქნება ცეკა ჩვენს თანამშრომლობაზე და ერთად მუშაობაზეო.

— არაფერი არ ვიცი ცეკის,—ვუპასუხე მე.

კოტეს გაეცინა და მითხრა:

— კაცო, დღეს მე მართლა მომდევდენ დასაჭერად. გამომეკიდენ, მაგრამ მოვასწარი დამალვა. ვიცი, შენც გეძებენ. ვიცი ისიც, რომ შენ ცეკის წევრი ხარ. ამიტომ, თუ შეიძლება, ვილაპარაკოთ საერთო ენის გამონახვის შესახებ.

ერთად გადავედით მთაწმიდაზე და ჩავედით ამაღლების ქუჩაზე, სადაც შევედით ყოფილი ჩეკისტის ბინაზე და იმ ღამეს ორივე იქ დავრჩით. თითქმის მთელი ღამე ვილაპარაკეთ. კოტე უცხოეთში იყო ნამყოფი; მიყვებოდა ჩვენი ემიგრანტების მდგომარეობის შესახებ და ბოლოს მითხრა:

— ვალიკო, არამცდაარამც უცხოეთში არ გაიქცე. სჯობია აქ ციხეში იჯდე, რუსეთში გაიპარო (კოტე ცინცაძე ბოლშევიკებმა ციმბირში გადაასახლეს, სადაც იგი გარდაიცვალა).

მთელი ჩვენი საუბარი და კოტეს წინადადება გავაცანი ნესტორ ჩხიკვაძეს და კოლია ქარცივაძეს. მათ მირჩიეს: ჯერ მოვიცადოთ, პასუხს ჯერ ნუ მისცემო. ეს იყო 2 სექტემბერს 1926 წელს.

ჩემი ჩამოსვლისას უკვე იყო მოსული ცნობა, რომ უცხოეთიდან ფოსტა მოდის და თან ერთი კაციც გამოვიდაო. გურიის კომიტენტის თავმჯდომარე მ. სიხარულიძე იწერებოდა, რომ ფოსტის მისაღებად თვითონ თედა (ესე იგი მე) ჩამოვიდესო. წავედი გურიაში. მილუსიას ბინაზე ბევრი ხალხი დამხვდა, მაგრამ მერმე დავრჩით მარტოდ თვითონ მილუსია, მელქისა გუნთაიშვილი (იგივე ფრიდონი) დურსუნა ჯინჯარ-ოღლი, ხასანა და მე. მოვილაპარაკეთ ფოსტის გამოტანის შესახებ. არ გასულა დიდი ხანი და საზღვარგარეთიდან მოსულმა კაცმა, პარმენ ფირცხალაიშვილმა, მოგვიტანა ფოსტა: წერილები, ჟურნალები.

ნაწილი ფოსტის მე წამოვიღე, დანარჩენი სხვებს უნდა ამოეტანათ თბილისში. მოგზაურობა ჩემი უხიფათოდ დასრულდა. გრიშა მდინარაძემ მაცნობა, რომ გაზეთი «ერთობა» ჯერ კიდევ არ არის მზადო. გავაგზავნე იგი ვ. ბილანიშვილთან და მოვატანინე ასაწყობი მასალები. ეს იყო 27 აგვისტოს 1926 წელს. საჩქაროდ ვინახულე ასოთამწყობი პ. ნათალიშვილი, ვთხოვე მას აეწყო ჩვენი გაზეთი, რაც მან სიამოვნებით შეასრულა და ორ დღეში გაზეთი გამიმზადა.

გავანაწილეთ უცხოეთიდან მოტანილი ლიტერატურაც და 2 სექტემბერს დავაგზავნეთ ფოსტა ყოველ მხრივ: მოეფინა მთელ საქართველოში არალეგალური ლიტერატურა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენს წრეებში ფეხი მოიკიდა იმ აზრმა, რომ საზღვარგარეთ ვინმე უნდა გაგვეგზავნა; ამის მიზეზი იყო ის არევდარევა, რომელიც დაიწყო საზღვარგარეთის ჩვენს ორგანიზაციებში ორგანიზაციული და ტაქტიკური საკითხების გამო, განსაკუთრებით აჯანყების დაფასების საკითხთან დაკავშირებით. ეს საკითხები თვით უცხოეთში არსებულმა ორგანიზაციებმა ვერ ამოსწურეს და ორგანიზაციულ-ტაქტიკურ საკითხების გადაწყვეტას ჩვენს ცეკას ავალებდენ. საჭირო იყო ამ საკითხების მოგვარება,—და ერთ დროს ცეკას დაუკითხავადაც კი გასცეს პასუხი თბილისიდან პარიზს: მე ამის შესახებ უკვე ვაცნობე საზღვარგარეთელ სოც.-დემ. ბიუროს და გამოვაცხადე გაგზავნილი წერილი გაუქმებულად, რადგან იგი ცეკას არ განუხილავსთქო. ამიტომ საზღვარგარეთიდან ჩამოსულ პარმენ ფირცხალაიშვილსაც ვკითხეთ: მომხრე იქნება საზღვარგარეთელი ბიურო, რომ ჩვენმა ცეკამ კაც გაუგზავნოს აქედანო. პარმენამ დაგვიდასტურა:

— ერთობ კარგი იქნება, თუ ცეკა მოახერხებს ვინმეს გაგზავნასო.

მაშასადამე, საჭირო იყო ცეკას ხელახალი შედგენა, საეჭვო პირების გამოკლებით და ამ მიზნით მოვიწვიე ცეკას სხდომა, რომელიც გადაყენებულად გამოვაცხადეთ. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ყველაზე უფრო დათიკო ღუდუშაურმა და ირაკლი ხატიაშვილმა; ვ. ბილანიშვილმა და გრიშა მდინარაძემ მხარი დამიჭირეს. მოკლედ რომ მოვსჭრათ, შედგენილ იქნა ოქმი, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი გადადგა იმ მიზეზით, რომ მას აღარ ენდობიანო. ეს კრება მოხდა 5 სექტემბერს 1926 წელს. ამ კრებისავე დადგენილებით ყველაფერი, არქივი, მასალები, კავშირები და სხ. უნდა გადაეცეს ამხანაგ თედას ესე იგი მე.

ამ კრების წინ გრიშა მდინარაძე და მე შევხვდით ნ. ჩხიკვაძეს; მისი აზრიც იყო, რომ ჩვენ უნდა გადაგვეყენებინა 1925 წ. 3 ივნისს არჩეული ცეკა და ჩვენ ორს, გრიშას და მე, შეგვედგინა კოოპტაციით ახალი ცეკა, ვინაიდან ყრილობის მოწვევა შეუძლებელი იყო. 6, 7, 8, სექტემბერს ვიკრიბებოდით ჩვენ და შევადგინეთ ახალი მუშაობის გეგმა. აქვე გადაწყდა, რომ მე დროებით უნდა წავსულიყავი უცხოეთში საზ-

ღვარგარეთელ ბიუროსთან მოსალაპარაკებლად. დადგენილ იქნა: შევატყობინოთ ყველა ორგანიზაციებს, რომ მათ კავშირი აღარ დაიკარონ ღუდუშაურთან და ხატიაშვილთან. გავამზადეთ ფოსტა ერთი რუსეთისათვის. საითკენაც უნდა წასულიყო გრიშა მდინარაძე, რომელსაც უნდა ენახა ზაქარია გურული და ალექსანდრე დგებუაძე; მე უნდა წავსულიყავი უცხოეთში, სტამბოლიდან ან მარსელიდან უკან უნდა დავბრუნებულიყავი. ამის შესახებ იცოდა მხოლოდ სამმა კაცმა: გრიშა მდინარაძემ, ნ. ჩხიკვაძემ და გრიგოლ ფხალაძემ. სხვებს, ესე იგი, ვ. ბილანიშვილს, ირაკლი ხატიაშვილს და დათიკო ღუდუშაურს ვუთხარით, რომ მე მოვდიოდი გურიაში. გავედი სადგურზე, ვიყიდე ბილეთი (გრიშა მდინარაძემ გადმომცა 38 მანეთი), მოვთავსდი ვაგონში ზემოდ, წამოსაწოლ ადგილზე.

პარასკევი დღე ჩემთვის არის გლახა: დამიჭირეს პარასკევს 1921 წელს 30 აპრილს, თავს დამესხენ პარასკევ დილას 1922 წელს, გავიქეცი და გავედი რკალ შემორტყმულ მილიციას; დამიჭირეს პარასკევს 9 თებერვალს 1923 წელს; დამიჭირეს თბილისის ვაგზალში (ვაგონში) 1926 წ. 9 სექტემბერს პარასკევს საღამოს 9 საათია. ვარ წამოწოლილი, თითქოს მძინავს. უცებ ფეხაკრებით მომიახლოვდა ორი კაცი; ერთი მათგანი მანძრევს ნელა, თითქო «მაღვიძებს» და ჩუმად მეუბნება:

— თედა, ადექი წყნარად, არავინ გაიგოს...

შევხედე. ვიცანი: მიქაძე და ბესა მელქაძე. ვხედავ: შიშველი მაუზერები ხელთ უკავიათ. ვუპასუხე:

— მე თედა არა ვარ; მე ვარ ვალიკო ჩუბინიძე.

— ვიცით ვინც ხარ! მაუზერი არ იხმარო, ხელი არ გაანძრიო.

— მე რად მჭირდება მაუზერი?!

— ხო ხელი არ გაანძრიო, ხომ იცი მაინც ჩვენს ხელში ხარ!

ჩამოვედი საწოლიდან, წყნარად გამომიყვანეს ვაგონიდან, მხოლოდ მგზავრი ქალების წუწუნი მესმოდა:

უბილეთო ყოფილა, დაიჭირეს საწყალიო!..

წამომიყვანეს რკინისგზის საავადმყოფოსაკენ. საქონლის სადგურთან ჩეკის ავტომობილი იდგა. ჩამსვეს შიგ და გამაქანეს ვერის ხიდისაკენ. მიქაძე და მელქაძე ხუმრობდენ, იცინოდენ, უხარიოდათ.

მე ფიქრებმა შემიპყრო: დავკარგე თხუთმეტი წლის ნა.

მუშეევარი პარტიაში; მერმე ამეკვიატა აზრი: რა დაემართა იმ ფოსტას, რომელიც დაკტოვე ნ. ჩხიკვაძესთან; მერე რა მასალები: საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის, ეროვნულდემოკრატების, სოც.-ფედერალისტების და საერთოდ მასალები იმის შესახებ თუ როგორი მუშაობა იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ მთელ საქართველოში. ზოგიერთი მასალა აზერბაიჯანსაც ეხებოდა! თუ ეს მასალები ჩეკას ჩაუვარდა ხელში, დაიღუპენ ყველა პარტიები, დაიღუპა ნ. ჩხვიკვაძეც! უცბად გამახსენდა, რომ ჯიბეში ჩამრჩა გურიიდან მიღებული წერილი, რომლითაც მატყობინებდენ, რომ ფრიდონი (ანუ მელქისა გუნთაიშვილი) ჩამოვდა, და ხელი წავიღე ჯიბისაკენ, იქნებ მომესწრო ამ ქაღალდის გადაყლაპვა. მაგრამ მიქაძეს არ ეძინა და მითხრა:

— ხელი გაიჩერე, ვალიკო, ხომ იცი, აწი ჩვენს ხელში ხარ!

— მატარებლის ბილეთს ვეძებ, არ დამეკარგოსთქო,— ვუპასუხე.

ავტომობილი გაჩერდა «სუდებნი»-ს შესახვევში. ავედით მეორე სართულზე. მიქაძე მეკითხება:

რეკისორ წუწუნავას ხომ არ იცნობ?

— ბეჯითად არ ვიცი, მგონი ვიცნობ.

— აქ ცხოვრობს,—მითხრა მიქაძემ.

შევედით ოთახში. მიქაძე და მელქაძე განაგრძობდენ ხუმრობასა და სიცილს. მე კი ვფიქრობ ხვალინდელ ამბავზე; მგონია, რომ ხვალ გაზეთი «კომუნისტი» გამოაქვეყნებს ჩვენი ფოსტის მასალებს, მთელ ჩვენ საიდუმლო მიწერმოწერას... იღება კარი და მოველი: შემოიყვანებენ ნ. ჩხიკვაძეს... შევხედე: შემოდის ჩეკის თავმჯდომარე ეპიფანე კვანტალიაანი... გამეხარდა...

— როგორა ხარ, ვალიკო!—მკითხა მან:—როგორ არის შენი ცოლშვილი?

— აბა რა ვიცი! ტელეგრამა მივიღე, რომ ჩემი უფროსი ქალიშვილი ძალიან ავად არის და ჰიათურაში მივდიოდი ამიტომ. ეხლა კი აგერ ვარ და რაშია საქმე მე თვითონ არ ვიცი.

— თუ გაჩხრიკეთ?—კითხა კვანტალიანმა მიქაძეს.

— არა, «ობისკი» არ გვიქნია, მაგრამ ეტყობა ტანზე არაფერი აქვს.

გამჩხრიკეს და აღმოჩნდა მოხსენებული წერილი, ტელეგრამა და ბილეთი მატარებლის ჰიათურამდე, აგრეთვე 38 მანეთი ფული.

კვანტალიანმა დაიწყო:

— მოდი, ვილაპარაკოთ მეგობრულად. ჩვენმა პოლიტიკურმა სამმართველომ კარგად იცის, თუ შენ რას აკეთებ; ჩვენ ისიც ვიცით, თუ ვისგანაა ეს წერილი. ჩვენ ბევრჯერ გვქონდა შემთხვევა შენ დაგეტუსაღებიეთ, მაგრამ არ გვინდოდა; ეხლა საჭირო იყო შენი დაჭირვა და დაგიჭირეთ კიდეც...

მე სულ იმის ფიქრში ვიყავი, თუ როდის შემოიყვანდენ ნ. ჩხიკვაძეს...

მე კატეგორიულად მოვახსენე მას:

— მე არასოდეს არ მიმუშავნია აჯანყების შემდეგ; ჩემთვის ვარ. ვშრომობ და ვირჩენ ჩემს გაუბედურებულ თავს.

მაშინ გული მოუვიდა კვანტალიანს და მომაძახა:

— თუ შენ ფიქრობ, ვალიკო, რომ ჩვენ მართლა უდანაშაულოდ დაგიჭირეთ?! გაშალა პორთფელი და გადმომილაგა მესამე ყრილობის ოქმები. დაიწყო წაკითხვა: თუ ვინ დაესწრო ყრილობაზე, რამდენი დელეგატი იყო, ვინ თავმჯდომარეობდა, რა გადაწყდა,—ერთი სიტყვით—მთელი ყრილობის ანგარიში. მაშინ მომიბრუნდა და მითხრა:

— ეხლა არ გჯერავს, რომ შენ ყოფილხარ მესამე ყრილობაზე, სადაც აგირჩიეს ცეკის წევრად?

— არა, არ ვყოფილვარ,—ჯინიანად ვთქვი. მაშინ ამოიღო მან ჩემი წერილი, რომელიც მე გავუგზავნე ელეონორა მახვილაძეს ქუთაისიდან; ის წერილი მახვილაძის დაჭერის დროს აღმოუჩენიათ 1926 წლის თებერვალში.

მე გავჩერდი. რაღა მეთქმოდა.

— თქვენ ხელში ვარ და რაც გინდათ ის მიქენით!

— შენ ბევრი სასჯელი მიგიღია ჩვენგან,—განაგრძო კვანტალიანმა,—არა ერთჯერ გალახული ყოფილხარ, ჩეკის სარდაფში იჯექი 27 დღე, წყალში იყავი 26 დღე. ჩვენ შენ ველარ შეგაშინებთ ვერც რეპრესიით, ვერც გადასახლებით. ორი გზა დარჩა: ერთი არის საქმიანი და ეს ისაა, რომ შენ ჩვენთან დარჩე, როგორც არალეგალური კომუნისტი; ამ მუშაობისათვის დაჯილდოებული იქნები წითელი დროშით. თუ ეს გზა არ აირჩიე, მაშინ მიიღებ იმ სასჯელს, რაც ბევრმა შენმა ამხანაგებმა მიიღო: უმაღლესი სასჯელი: დახვრეტა!

მერმე კვანტალიანი მიუბრუნდა მიქაძეს, და შეეკითხა:

— შენ რას ფიქრობ?

— მაგისგან არაფერი ხეირი არ გამოვა,—სთქვა მან:—მე არაფერს არ ვიტყვი მაგაზე.

მაშინ კვანტალიანმა უთხრა:

— აბა რა ვქნათ? ვცადოთ ერთი კიდევ, თუ ჩვენთან დარჩა გულწრფელად, ხომ კარგი, თუ არა და სულ ერთია, მერეც მოვესწრებით მაგის დახვრეტას.

— როგორც გინდა, მე პირადათ არა ვარ თანახმა,—სთქვა მიქაძემ.

შემდეგ ამისა კვანტალიანმა დამიწყო ტკბილად საუბარი:

— კაცო, მოდი შენ, დარჩი ჩვენთან; რაც გინდა იმას გაკეთებ, მხოლოდ მე უნდა მქონდეს შენთან მუდმივი კავშირი. თქვენს ცეკაში ჩვენ სულ მუდამ გვყავდა ერთი კაცი, აჯანყების შემდეგ ორი კაციც; ჩვენ მშვენივრად ვიცოდით მესამე ყრილობის მოწვევის შესახებ, მაგრამ ჩვენ არავინ დაგვიჭერია. ჩვენ ერთი კაცი უცხოეთშიც გვყავდა, მაგრამ აწი ის იქ ვეღარ გამოდგება. ამიტომ შენ თუ ირჩევ პირველ გზას, ჩვენთან კავშირში დარჩები, მაშინ ჩვენ ყველაფერი გვეცოდინება. ეხლა აგერ სამი თვე არის, რაც საზღვარგარეთელი გზა შენს ხელში არის, ფოსტას შენ ღებულობ; მართალია, შენთან არის ერთი თუ ორი ჩვენი კაცი, მაგრამ შენ მათ არ ენდობი. შენ იყავი გურიაში, ფოსტა მოიტანე; ჩვენ გავიგეთ როდის წადი, მაგრამ ჩვენმა კაცმა შენ ვერ ჩაგიგდო ხელში. პარიზიდან წამოვიდა აგრეთვე ერთი ემისარი, შენ ჯერ არ მიგიღია ამის შესახებ ცნობა, ჯერ ის აჭარაშია,—ეს არის პარმენ ფირცხალაიშვილი; მას დაჭერით დავიჭერთ, მაგრამ არ დავხვრიტავთ, ერთს კი ძალიან გავლახავთ. ვინ არის ამ შენს წერილში დასახელებული ფრიდონი?

— მე გარიგებული ვარ ხის მასალაზე ქალაქ ლანჩხუთში, მან ხის ბოძები უნდა მომყიდოს,—და იგია ფრიდონი, ვუპასუხე.

— რას ლაყბობ ტყუილად!—მითხრა კვანტალიანმა.

კვანტალიანის მონათხრობმა დამარწმუნა, რომ მან ჯერ არ იცოდა კიდევ არაფერი პარმენა ფირცხალაიშვილის ჩამოსვლის შესახებ და არც რაიმე იცოდა ნ. ჩხიკვაძის შესახებ, რომელსაც მე ფოსტა დავუტოვე და საერთოდ არც ახალი ცეკის. როცა ამაში დავრწმუნდი, მაშინ ვუთხარი მას: მე თანახმა ვარ თქვენთან ვიმუშაო, მაგრამ შემდეგი პირობით: 1. არავინ არ უნდა დაიჭიროთ ისე, თუ მე არ მეცოდინება; 2. უნდა მომცეთ სტამბა; 3. უნდა მომცეთ ნება, რომ პარტიის მეოთხე ყრილობა მოვიწვიო.

კვანტალიანს ეს ჩემი ნათქვამი ძალიან გაუხარდა და მითხრა:

— კაცო, არამც თუ ეგ სამი პირობა, არამედ მეტიც იყოს. მთელ საქართველოში ერთ კაცსაც არ დავიჭერთ; ჩვენ გვეცოდინება მხოლოდ თუ სად იმუშავებთ. შენ ბევრს წვალობ იმისათვის, რომ უცხოეთიდან მოსული ფოსტა აჭარის მთებზე გადმოიტანო; ჩვენ მოგცემთ პუნქტს ბათუმში, სადაც ადვილად მიიღებ უცხოეთიდან მოსულ ლიტერატურას; როცა აქ გაითქვამ სახელს, მაშინ უცხოეთში გაგაგზავნით. გემით წაგიყვანთ პირდაპირ მარსელამდე. შეხვდები ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს, ირაკლი წერეთელს, ევგენი გეგეჭკორს, აკაკი ჩხენკელს და კ. კანდელაკს. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, თუ რას ფიქრობენ ისინი. ამას ისინი შენ ვერ დაგიფიცავენ. იქიდან რომ დაბრუნდები, მერმე გაგაგზავნით რუსეთში, გრიშა ლორთქიფანიძის ჯგუფთან, კალ. გოგუასთან, ზაქ. გურულთან, ალექსანდრე დგებუაძესთან, ვლადიმერ ჯიბლაძესთან; ინახულებ ისიდორე რამიშვილსაც. ჩვენ ეს გვეცოდინება. შემდეგ დაგიჭერთ და გადაგასახლებთ. თორემ მერე შენ ჯაშუშად გამოგაცხადებენ. ფული, რამდენიც დაგჭირდება, იმდენს მოგცემთ. გახსოვს შენ რომ ერთჯერ გაზეთ «ერთობა»-ს გამოცემა გინდოდა, შენ წერილის (სტატიის) დამწერი ვერავინ იშოვნე. ეს მაშინ, როცა პილსუდსკიმ გადატრიალება მოახდინა პოლონეთში, ეხლა კი წერილებს გაზეთისათვის რამდენსაც გინდა დაგიწერთ! მხოლოდ ერთი უნდა იცოდე: მაგალითად, 28 აგვისტოს, 25 თებერვალს, 26 მაისს არ მოგცემთ ნებას, რომ გაავრცელოთ გაზეთები; ელფერი რომ დაიკარგება, მერე გაავრცელეთ, ვინ მოითხოვს პასუხს?

მე თანხმობა განვუცხადე.

მაშინ კვანტალიანმა გადმოიღო რამოდენიმე ფურცელი. ერთზე დასწერა ჩემი სახელი და გვარი, მერმე მე მომაწერინა ჩემი ზედმეტი სახელი «თედა», ქვეშ მოაწერა რიცხვი 1924 წელი ოქტომბერი. მეორე ფურცელიც შეავსო, ზედმეტი სახელითურთ—ზაქარია დათიაშვილი. და მომაწერინა ჩემი სახელი და გვარი. რიცხვი დასვა 1925 წ. მაისი თუ აპრილი. მესამეც ასევე შეავსო, ხოლო მომაწერინა ხელი, როგორც ვალიკოს, მერმე როგორც ჟიორგის. რიცხვი დაუსვა: 1926 წელი.

გამიკვირდა ამნაირი ფურცლების შედგენა და ვკითხე:

— რად გინდათ ასეთი რამ?

— აბა შენ უამისოდ გაგიშვებთ?! თუ გაგიწყრა ღმერთი და გაიქეცი მაშინ ჩვენ ვიცით. ამ შენს ხელმოწერილ ქაღალდებს ჩავაკერებთ წიგნებში, და შევინახავთ. თუ გვიღალატე, მაშინ გაზეთში გამოგაქვეყნებთ, რომ შენ იყავი ჩვენი აგენტი

აჯანყებამდეც, დავბეჭდავთ შენს სურათს და სამივე ამ შენს ქალალდს. ჩვენს აგენტებს მაინც ვერ გადაურჩები.

შემდეგ ხელი მომაწერინეს ქვითარზე. რომ მივიღე 50 მანეთი; ფული მართლა მომცა—ეს ქვითარიც გამოგვადგება.—მითხრა კვანტალიანმა,—ეხლა კი თავისუფალი ხარ; ეხლა 8 საათია, ღამის 9 საათზე გადის ბათუმის მატარებელი. ამ წუთშივე უნდა წახვიდე იქ, სადაც მიდიოდი; არ ივარგებს. რომ ხვალ ქალაქში განახო. განაგრძე შენი გზა. ჩვენ ეხლავე შევატყობინებთ ყველა ადგილობრივ ჩეკის თავმჯდომარეებს დაშიფრული დეპეშით, რომ ვალიკო ჩუბინიძე არ დაიჭირონ, ვინაიდან მას მისდევს ჩვენი აგენტი, ყველაფერს გავიგებთ ჩვენი კაცისაგან და გვინდა დიდ საქმეზე დავიჭიროთ-თქო.

— კი, წავალ, მაგრამ მატარებელის ბილეთი აღარ ვარგა, გაჩერება არ აღუნიშნავთ ზედ.

კვანტალიანს გაეცინა:

— ბილეთს კი არა, თუ გინდა მთელ ვაგონს მოგცემთ ცალკე. ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს ან 17 ან 18 ან 19 სექტემბერს, აქ, ამ ბინაზე.

მაშინ მიქაძე მომიბრუნდა და მითხრა:

— აბა ჩქარა, დრო არის წავიდეთ სადგურზე.

კვანტალიანი გამომემშვიდობა, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— გულწრფელობა, ვალიკო, თორემ ყველა ხიდი დამწვარია, ვერსად ვერ გახვალ.

ამაზე ვუპასუხე:

— ჩემი სურვილით ჩავეწერე სოციალდემოკრატიულ პარტიაში ... ეხლაც ჩემი სურვილით მინდა მოვიდე თქვენთან.

ჩამსვეს ავტომობილში, გამიყვანეს სადგურზე; აქ მომიტანეს ბილეთი ჭიათურამდე; შემიყვანეს ვაგონში და დამტოვეს. ნაცნობი არავინ მინახავს. ერთი ვიფიქრე, გადმომხტარიყავი მატარებლიდან, გავსულიყავი ქალაქში და მენახა ნ. ჩხიკვაძე, გამეგო იყო იგი დაჭერილი და ფოსტა ჩავარდნილი თუ არა,—მაგრამ ვგრძნობდი, რომ მიქაძე მე აქ მარტო არ დამტოვებდა, ალბად თვალყურს მადევნებდენ. გადავწყვიტე წავსულიყავი ძველი გეგმის მიხედვით, როგორც შეეუთანხმდი ნ. ჩხიკვაძეს.

ავედი ჩემს ცოლშვილში, სოფელ ბიღაში. აქ დავიბარე ჩემი ცოლის დეიდას ქმარი, გ. ცერცვაძე. დავისწარი ჩემი სიმამრი დ. გოცაძე და ვუთხარი მათ, რომ მე დროებით უნდა დავტოვო საქართველო, სად წავალ არ ვიცი, როდის დავბრუ-

ნდები არც ეს ვიცი, და გაბარებთ ჩემს ცოლშვილს-თქო. ტირილით დავშორდით ერთმანეთს და 12 სექტემბერს უკვე შორაპანში ვარ. გულისფანცქალით მოველი ბათუმის მატარებელს თბილისიდან. მატარებელი ჩამოდგა სადგურში. გავქანდი ოზურგეთის ვაგონისაკენ და თან გულში ვიძახი: მოვიდა თუ არ მოვიდა? მოვიდა თუ არა? მივირბინე ოზურგეთის ვაგონთან და ფანჯარიდან თავი გამოყო ნ. ჩხიკვაძემ... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გავქანდი. შევვარდი ვაგონში, გადავეხვიე, გადავკოცნე ნ. და ჩავჩურჩულე:

— ფოსტა მოგაქვს თუ არა?

— კი, ბოშო, კი.—მითხრა მან და მე შვებით ამოვისუნთქე.

გზაში ვიყიდეთ ერთი კალათი ლეღვი და ერთი დოქი მაჭარი. გეახელით და ცოტა წავიძინეთ. რომელიღაც სადგურზე ვიყიდეთ კიდევ მოხარშული სიმინდის ტაროები და როდესაც მოვრჩით მას, ნ. ჩხიკვაძეს მივმართე ძალიან ნელი ხმით:

— არ შეგეშინდეს, ჩემს თავგადასავალს გიამბობ.

და მოვუყევი ყველაფერი, რაც თავს გადამხდა. ნ. პირველად მართლა შეშინდა, აათვალ-ჩაათვალიერა ვაგონი, და რომ დარწმუნდა, რომ არავინ საეჭვო არ იყო ვაგონში, ისევ გამაგრდა.

მივედით ოზურგეთში დინიშნულ პუნქტზე ე. სიხარულიძესთან. იქ დაგვხვდა ვ. გოგიტიძე, მეგზური. გადავედით გოგიტიძის ბინაზე, სადაც მოვიდა გ. სადრაძე, რომელმაც მე გადამიყვანა ე. კაჭაყმაძესთან. აქ დაგვხვდა პ. ფირცხალაიშვილი და მ. სიხარულიძე. ვახშამის შემდეგ გადამიყვანეს სხვა საიმედო ბინაზე. იმ ღამეს არაფერზე გვილაპარაკია. მეორე დღეს თავი შევიყარეთ და მე გავაკეთე მოხსენება ჩვენი ცეკის მუშაობის შესახებ, მერმე ვუამბე მათ ჩემი უბედური შემთხვევა. ყველა ძალიან შეწუხდა ჩემი ამბავით, თანაგრძნობა გამომიცხადეს და მისურვეს ყოჩაღად ვყოფილიყავი. ამ კრებაზე გადაწყდა, რომ გურიაში იქნებოდა ცეკის სამი წევრი,— სახელდობრ, გურიის კომიტეტის თავმჯდომარე—მ. სიხარულიძე. მეორე—პ. ებრალიძე, მესამე—პ. ფირცხალავა. ამ სამ პირს ექნება მუდმივი კავშირი საზღვარგარეთის ჩვენ ბიუროსთან და ნ. ჩხიკვაძე კი მათ დააკავშირებს ცეკასთან თბილისში. ნ. ჩხიკვაძე მხოლოდ ერთი დღე დარჩა იქ; მე დაუყონებლივ უნდა გადავსულიყავი საზღვარზე, მაგრამ საშინელი ამინდი დადგა და იძულებული გავხდი 18 ოქტომბრამდე მომეცადა.

წასვლისას ნ. ჩხიკვაძეს დავაბარე გაეკეთებინა მოხსენება

ცეკაში და განსაკუთრებით ვთხოვე ჩემი ამბავი ეთქვა გ. მდინარაძესათვის; ჩვენი ძველი გადაწყვეტილებისამებრ, იგი ხომ რუსეთში უნდა წასულიყო. და საჭირო იყო მისი არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა.

კვანტალიანთან დადებული ვადა კარგა ხანია გავიდა. 17-ს, 18-ს და 19 სექტემბერს იგი მე ალბად მიცდიდა...

ჩემი ეს უბედური შემთხვევა, როგორც ჩამოვედი პარიზში 1926 წელს, უამბე ჩვენი ეროვნული მთავრობის წევრებს. ნოე რამიშვილის რჩევით, რომ არ დამვიწყებოდა, ეს თავგადასავალი ავწერე და სხვა საბუთებთან ერთად გადავეცი ნოე ყორდანიას.

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, მალულ თუ ღია ბრძოლის ასპარეზზე, არ მახსოვს ისეთი რამ, რაც მაწუხებდეს გარდა ამ უკანასკნელი შემთხვევისა, რომელიც ჩეკაში მოხდა. ვწუხვარ იმას, რომ ჩემი წმიდა საქმე ბოლომდე ისე ვერ მივიყვანე, რომ მას ჩირქი არ მოსცხებოდა. და დღეს გულს იმით ვიკეთებ, რომ ერთჯერ კიდევ მექნება საშუალება ჩვენი ერის მტრებს ანგარიში გავუსწორო.

სოფელ მაკვანეთში შემთხვევით ვნახე გ. ანთელიძე, რომელსაც ჩემი თავგადასავალი ვუამბე და ვთხოვე ეცნობებინა ეს გრიგოლ ფხალაძისათვის. გ. ანთელიძემ მიამბო, რომ ჭიათურაში დიდი «დაჭერები» მოხდა. გურიაშიც დაიჭირეს ბევრი ხალხი, მაგრამ არც ერთი პასუხისმგებელი პირი და არც ერთი კავშირი არ ჩავარდნილა.

გ. ანთელიძემ მირჩია: საჩქაროდ უნდა დასტოვო საქართველო და წახვიდე უცხოეთშიო. ეს ხომ უკვე გადაწყვეტილი საქმე იყო, მივდიოდი უცხოეთში ცეკას დავალებით და თან მიმქონდა ფოსტა. არ წამოვიღე ერთი ჩემი მანდატი, რომლის მიხედვით ცეკამ მე დამნიშნა საზღვარგარეთელი ბიუროს წევრად. არ წამოვიღე იმიტომ, რომ მახსოვდა კვანტალიანის მუქარა, თუ გვიღალატე შენ ხელმოწერილ ქაღალდებს გამოვაქვეყნებთოო, და რომ ეს მართლა მომხდარიყო, არ მინდოდა ბიურო უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა.

მე მქონდა მხოლოდ უბრალო მანდატი ცეკის და გურიის კომიტეტის, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მე მივდივარ უცხოეთში ცეკის და გურიის კომიტეტის დავალებით და მიმაქვს ფოსტა.

ჩვენ გავედით სოფელ ქაქუთში; იქ ჩამოვიდა ჯინჭაროღლი და ავედით სოფელ ჭოგნარში; გაგვაცილეს მ. სიხარულიძემ და გ. სხალაძემ; იქ მოვიდენ ძმები ჯინჭარ-ოღლები.

ჩემთან წამოვიდენ ვალიკო ინწკირველი, გრამიტონ ჭელიძე. ავედით ზედა-ბოსლევში და იქ დავრჩით რვა დღე. ეს შეჩერება გამოიწვია იმან, რომ ქობულეთში მატარებელი გაძარცვეს და ადმინისტრაციამ და ჩეკამ გზები შეჰკრა ისე რომ გახძრევა აღარ შეიძლებოდა. იქ შემოგვიერთდა სამი ქართველი: მიშა ნასყიდაშვილი, ლიდა კორძაიას ასული და ვანიჩკა ანდრონიკაშვილი. გამოვედით ზედა-ბოსლევიდან 25 ოქტომბერს 1926 წ. დიდი წვიმები მოგვესწრო. ჩვენთან იყო კიდევ რვა კაცი კონტრაბანდისტი და ერთ ადგილას კინაღამ ხათაბალაში არ ჩავვარდით, ცოტა დააკლდა შეტაკება არ მოუხდათ მზვერავებთან. აჭარის წყალზე ფეხით გავედით. მდინარე მაჭახელაზე ვიღაც ორმა კაცმა გადაგვიყვანა. სამი დღე და ღამე ვიარეთ ტყეზე. თაფლში გამომცხვარი ჭადი მქონდა, გზაში კიდევ ვაშლს ვკრებდით და გეახლებოდით.

მივუახლოვდით საზღვარს დილით. დიდი სიფრთხილისა და დაზვერვის შემდეგ შევუდექით გადასვლას. გამოჩნდა დიდი ბოძი ჩაქუჩითა და ნამგალით; მეორე მხარეზე—მთვარე და ვარსკვლავით. გავუსწორდით საბჭოთა ბოძს. მე მივაფურთხე მას, დავაგინე და ტყვიებიც მივაყარე.

მშვიდობიანად ჩავედით ზედა-მაჭახელაში. აქ ორი დღე დავრჩით და შემდეგ ხოფაში უნდა წავსულიყავით პოლიციაში გამოსაცხადებლად. მაგრამ აქვე მოგვისწრეს ოსმალოს ქანდრებმა და წაგვიყვანეს კომისარიატში; აქ დავრჩით სამი დღე და წავედით მერმე ბორჩხაში და აქედან გაგვაგზავნეს ართვინში. იქ დავრჩით 11 დღე, მივიღეთ ვიზა, ჩამოვბრუნდით ბორჩხაში, და წავედით ხოფაში. აქ ვინახულე ჩვენი პუნქტის გამგე იესე კაჭაყმაძე; აქ დავრჩით სამი დღე და მერმე გავემგზავრეთ სტამბოლისაკენ.

სტამბოლში გემიდან არ გადმოგვიშვეს, მაგრამ გემზე ამოვიდენ ჩვენ სანახავად: სვიმონ მდივანი, კოლია მასხარაშვილი და სვიმონ ჟღენტი. გადავედით იტალიურ გემზე და გავსწიეთ მარსელისაკენ.

ჩემი დამატება

1924 წლის 26 სექტემბერს, სეით დევდარიანი მოხსენებას აკეთებდა აჯანყების შესახებ. კრების ინიციატორი იყო «ახალი გზა» ს სამეული და თავმჯდომარეობდა მ. ძამანაშვილი. თუმცა ვიმალებოდი, მაგრამ პეტრე ხურცილავას წავყევი კრებაზე. სახაზინო ოპერის თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. ბოლშევიკების კომისრები და ბობოლა ბოლშევიკები ამშვენებდენ თეატრის ლოჟებს. მე უკან ვიყავი ფარდებში, სადაც მოთავსებული იყვნენ პ. ხურცილავა და ს. ვადაჭკორია.

სეითი მოჰყვა აჯანყების წინა ისტორიას, შემდეგ გადავიდა თვით აჯანყების მიზეზებზე; შუა მოხსენებაში არ იყო კიდევ, რომ სცენაზე აცვივდენ დახვრეტილების ცოლები და მორთეს კივილი:

— სად არიან ჩვენი ქმრები? სად არიან? და სეითის წინ დაჰყარეს ქმრების სამუშაო ტანისამოსი. უყვიროდენ სერგო ორჯონიკიძეს. მამია ორახელაშვილს და სანდრო ფარნიევს: რა უქენით ჩვენ ქმრებს? ამ ტანისამოსის ჩამცმელები არიან ბურჟუები?

საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სცენამ დამსწრე ხალხზე. მაგრამ ბოლშევიკები ციხიკები არიან და სანდრო ფარნიევმა დაცინვით დაიყვირა: წადით, ნახეთ არალუგალური ცეკა და ის გეტყვით, თუ სად არიან თქვენი ქმრებიო.

ამ დროს მაღლიდან გადმოყარეს ფურცლები პ. რამიშვილის დებმა. ფურცლები მოეფინა პარტერს და შეიქმნა ჩოჩქოლი. ფურცელში აღნიშნული იყო, თუ რამ გამოიწვია აჯანყება, სად, რომელ კუთხეში ვინ დახვრიტეს და იყო მოწოდება ხალხს კვლავ აღედგინა ორგანიზაციები ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ფურცლების გადმოყრის შემდეგ სეით დევდარიანი მიუბრუნდა სერგო ორჯონიკიძეს და დაუძახა: ხომ ხედავ, სერგო! გაეცი პასუხი ამხანაგების ცოლებს.

რასაკვირველია. ამბობდა სეითი. აჯანყება, რომელიც მარცხდება არის ავანტიურა; რომელიც იმარჯვებს არის დიდი რევოლიუციური საქმე! ეს ასე არის! სერგო! თქვენ იძახით, რომ სეითი აზნაურიაო. მე მგონია, ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. შენ მართლა აზნაური ხარ! მამაშენი გლეხებმა მოკლეს საღორეში. ეს კარგად იცი შენო... მოხდა დიდი აურზაური.

სეითის შემდეგ ილაპარაკა «ახალ-გზელმა» ლავრენტი კუპრაშვილმა; მან დაიწყო დემაგოგიით.

— მენშევიზმი მოკვდა. საფლავამდე მივაცილე და საფ-ლავში ვეღარ ჩავყებიო. მერმე მიაშვირა ხელი საშა გეგეჭ-კორს და დაიძახა:

— კაცო! ამაზე მეტი დანაშაულობა შეიძლება? კაცს ფეხი მოსტეხეს მენშევიკებმა დენიკინის დავალებითო და სხ.

ამ სიტყვაზე თეატრის ზემო სართულიდან გაისმა სტვენა და ყიჟინა. შემდეგ ილაპარაკა მამია ორახელაშვილ მა.

დახვრეტილების ცოლები, რომელთაც ზემოაღნიშნული სცენა გამართეს, იყვნენ: დათიკო დვალის ცოლი, სარდიონ თევზაძის ცოლი, ვასო ცაბაძის ცოლი, კოლია გერგესელის საცოლე მარიამ აბდუშელის ასული; სხვების გვარი აღარ მახსოვს.

აჯანყების შემდეგ ხელისუფლებამ შეადგინა ე. წ. მუშა-თა კომისია. მისი წევრები იყვნენ: მიშა ძამანაშვილი, სოლო-მონ ვადაჭკორია და კოლია მაჭარაშვილი. ამ კომისიას უნდა ენახა გადასახლებული პოლიტიკური ტუსაღები რუსეთში და დაერწმუნებია ისინი შერიგებოდენ არსებულ ხელისუფ-ლებას. მე დავწერე წერილი ცეკის სახელით, რომლითაც ვა ფრთხილებდი გადასახლებულ ამხანაგებს ანკესზე არ წამოგე-ბოდენ, და მინდოდა გამეტანებინა იგი სოლომონ ვადაჭკო-რიასათვის. 28 მარტს 1925 წელს ვინახულე სოლომონ ვადა-ჭკორია და მითხრა: მე აღარ მივდივარ რუსეთში; ვიზა არ მომცეს, რომ ჩემი დავალების შესრულების შემდეგ გერმანი-აში წავიდეო, და ამიტომ გადავწყვიტე გაპარვაო. თუ გინდა შენ და ბიძინა პირველიც წამოდით, თორემ მალე დაგიჭე-რენო. წასვლაზე უარი ვთქვი. სოლომონ ვადაჭკორიას მაგი-ვრად დანიშნეს დათიკო მიქელაძე და წავედი მასთან რომ წე-რილი გამეტანებინა.

— კაცო! სულ ხომ არ გაფუჭებულხარ-თქო, ეკითხე. და-თიკოს გაეცინა და მკითხა:

— რა გინდა, ვალიკო?!

— ეს წერილი გადაეცი ზაქარია გურულს.

წერილი წაიღო და პასუხიც მომიტანა. ზაქარია მწერდა მუშაობის გაგრძელების საჭიროების შესახებ და თან მაგუ-ლიანებდა:

— აბა, ვალიკო, არ შეგვარცხვინო, ცეკას წევრი ყოფილ-ხარო!

წერილები საძართველოდან.

ამხანაგო თედა,

ვინაიდან შენ დიდათ დაინტერესებული ხარ ჩვენი ორგანიზაციების არალეგალური სტამბების ბედით და გსურს შევსებული სია შეადგინო ყველა ჩავარდნილ ასოთ ამწყობ ამხანაგების და სტამბების, გიგზავნი ასეთ სიას წერილთან ერთად.

1. 1922 წელში ჩავარდა ილარიონ რუსიას სტამბა, თბილისში.

2. 1923 წელში ჩავარდა სოლომონ ვადაჭკორია სტამბით.

3. 1923 წელშივე სხვადასხვა დროს ჩავარდენ არალეგალურათ მომუშავე ასოთ-ამწყობები და სტამბები: მანასე გოგუაძე, პლატონ ნათალიშვილი, ვალერი ბილანიშვილი, ისიდორე თოხაძე.

4. 1924 წელში ნოემბერში, ჩავარდა ასოთ-ამწყობები: ათაბეკოვი და თარგამაძე (თბილისში).

5. 1925 წელში ივნისში, ჩავაოდა ასოთ-ამწყობნი, სტამბებით: კვანტალიანი, ქებულაძე და ტყეშელაშვილი.

6. 1925 წელში აგვისტოში, ჩავარდა ასოთ ამწყობი: ჩოჩია სტამბით (თბილისში).

7. 1926 წელში, თებერვალში ჩავარდა ასოთ-ამწყობი გიორგი ასლამაზაშვილი, სტამბით (თბილისში).

8. 1926 წელში ჩავარდა მუსავატელების სტამბა და ასოთ-ამწყობი ფირუდინ გაჯიევი (თბილისში).

9. 1927 წელში ჩავარდა ასოთ-ამწყობი ვასო კაკუტაშვილი (თბილისში).

10. 1927 წელში ჩავარდა აპრილში ზუგდიდის არალეგალური სტამბა.

დამატებით მინდა გაცნობო, რომ ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას ჰქონდა ადგილი ჭიათურის ამხანაგების მუშაობაში: 1923 წლის ზაფხულში, ჭიათურის ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრებმა: ს. ბლიაძემ, გრ. წერეთელმა, ვ. ლაბაძემ, ვან. ფხალაძემ და შ. ბარბაქაძემ არალეგალურათ ჩაიტანეს და მოაწყვეს სტამბა ჭიათურაში, სადას გამოსცეს ფურცელი, მაგრამ იძულებული გახდენ ეს სტამბა გადაეტანათ სოფლათ შ. ბარბაქაძესთან. სამწუხაროთ, ეს სტამბაც შ. ბარბაქაძესთან ერთად ჩავარდა.

ეს სურათი წარმოგიდგენს სიძნელეს, რომელშიდაც გვიხდება მუშაობა. მეტს არ გიგრძელებ.

ამხანაგურათ შენი . . . . . .

წამება ჩეკაში.

როგორც სჩანს, ზოგიერთი ცნობები საქართველოს ჩეკის შესახებ აღწევს ევროპის საზოგადოების ყურამდე. და ეს იწვევს იქ სამართლიან აღშფოთებას. ბოლშევიკები კი ყოველთვის უტიფრათ ცდილობენ თვალები აუხვიონ ქვეყანას და თავიანთ პრესაში ისინი უარყოფენ ამ ცნობებს. ჩვენ ეს არ გვიკვირს, რადგანაც შეჩვეული ვართ ბოლშევიკების უტიფრობას. დადგება დრო, საქართველოში ჩეკის მიერ ჩადენილი საშინელებანი სრულიად გამომჟღავნდება და მხოლოდ მაშინ გადაეშლება კაცობრიობას ნამდვილი სურათი იმ ჯოჯოხეთური რეჟიმისა, რომელიც სულს უხუთავს დღეს ქართველ ერს, რომ მაშინ მთელი განათლებული კაცობრიობა სამუდამოდ და ზიზღით ზურგს შეაქცევს ბოლშევიზმს.

ყველა მასალების შეკრებაც კი დღეს შეუძლებელია, რადგანაც ჩეკა-გეპეუ ეწევა თავის «მოღვაწეობას» ქურდულათ, ხალხის ზურგს უკან, ბნელ ჯურღმულებში. არც იმ მასალების გამოქვეყნება შეიძლება მთლიანათ, რომელიც ხელთა გვაქვს. უნდა იცოდეს ქვეყანამ, რომ ჩეკა გეპეუში ტანჯვა-წამების შესახებ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მცირე მასალების გამოქვეყნება...

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ გეპეუ არ დასჯერდა ჩეკის მიერ შემოღებულ წამების საშვალებებს და მან შემოიღო კიდევ ახალი საწამებლები. მაგალითად: 1) აქვთ მოწყობილი სპეციალური საკანი-საყინულე, სადაც მოწყობილია (ტერში) დიდი ვენტილიატორი. აქ ჩააგდებენ გაშიშვლებულ პატიმარს და ჰყინავენ მანამდე, სანამ გრძნობას არ დაკარგავს. 2, მოწყობილია კედელში განსაკუთრებული საწამებელი. გამოჭრილია კედელი ისე, რომ შიგ ერთი კაცი ძლივს შეეტევა ვა, აქ ჩასჭედავენ პატიმარს, მიხურავენ კარს და ახჩობენ შიგ საათობით. 3) შვიდი-რვა დღის განმავლობაში პატიმარს არ აძლევენ არც საჭმელს, არც სასმელს და ასე აწარმოებენ დაკითხვას. ეს წამება სისტემათ არის გადაქცეული.

ახლა დავასახელებ მხოლოდ ზოგიერთ პირებს, რომელნიც თითონ გახდენ ჩეკა-გეპეუს ინკვიზიციის მსხვერპლნი.

1. ვლასა ბობოხაძე, სოც.-დემ. 1904 წლიდან. დააპატიმრეს 1924 წელს ნოემბერში, ჩასვეს ბნელ გაბინძურებულ სარდაფში, სადაც ულოგინოთ და უპალტოოთ გაატარა 38 დღე და ღამე; პირველ ხუთ დღეს არ აძლევდნენ წყალს, რის გამოც პირში გაუჩნდა ობი და ეხის მოძრაობა შეუჩერდა, ამიტომ

ის იძულებული იყო პირი შარდით ესველებია: არ გაჰყავ-
დათ გარეთ და ბნელ სარდაფს ფეხისადგილათაც ხმაროობდა.
32 დღის შემდეგ შიმშილისგან და სიცივისგან არაქათ გამო-
ლეული იძულებული შეიქნა გამოეცხადებინა შიმშილობა და
მოეთხოვა: ა) კონკრეტიული ბრალდების წაყენება და ბ) სა-
ცვლების მიღების ნებართვა. ოთხი დღის შიმშილის შემდეგ
მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა. ამნაირათ ხუთი კვი-
რის შემდეგ დართეს გადმოცემების მიღების ნება. ბნელი სა-
რდაფიდან გადაიყვანეს სინათლიან ერთეულში. შვიდი თვის
განმავლობაში იჯდა სხვადასხვა ერთეულებში მარტო, აქე-
დან 72 დღე იჯდა «ბოჯკაში». 11 თვის შემდეგ გადაიყვანეს
მეტეხში, სადაც ის ძალზე დაავათმყოფებული იხდის სას-
ჯელს. მისჯილი აქვს 5 წელი.

2. დავითაშვილი ვასილი, ახალგაზდა მარქსისტი, მუშა.
დაპატიმრების დროს ქუჩაში სცემეს გამომძიებლებმა ალი-
ნინმა და კუშჩევმა, ორ ალაგას გაუტეხეს თავი და დასისხლი-
ანებული, გრძნობა დაკარგული ეტლით მიიტანეს ჩეკაში.
როცა გრძნობაზე მოვიდა, კიდევ სცემეს და შემდეგ ჩასვეს
სარდაფში. ყოველ გამოძახილზე დასაკითხავად ორი თვის
განმავლობაში ყოველთვის სცემდენ გამომძიებლები ალინი-
ნი, კუშჩევი, ნაზაროვი, თოდუა და სხვები. ალინინი სახეში
აფურთხებდა და ასე აბრუნებდა საკანში. ცემისაგან მას გახე-
თქილი აქვს ყურის აპკი. გადაასახლეს სოლოვკაში 1925 წლის
ენკენისთვეში.

3. ლორთქიფანიძე . . . . . ახალგაზდა მარქსისტი, სტუ-
დენტი, აწამეს ქუთაისის ჩეკაში, ცემით ჩაუმტვრიეს გვერდის
ნეკნები. გადაასახლეს 1925 წლ. ენკენისთვეში სოლოვკაში.

4. ჟვანია იოსები, უპარტიო, მასწავლებელი, აწამეს
ქუთაისის ჩეკაში. კიდებდენ ფეხებით მაღლა და სცემდენ თო-
ფის ზუმპას. გადაასახლეს სოლოვკაში 1926 წლის სექტემბერს.

5. არონიშიძე სევერიანე, ს. დ. რკ. გზელი. 11 თვის ბნელ
სარდაფში წამების შემდეგ გადაასახლეს 1925 წლის სექტემ-
ბერში სოლოვკაში.

6. ჩუტლაშვილი დავით, ს. დ. 1898 წლიდან. მუშა. დააპა-
ტიმრეს ეპვით 1925 წელს, 5 დღე ჩასვეს ფეხისადგილში. მე-
ტეხში ჩეხო სლოვაკიის ახალგაზდების დელეგაციის შეკით-
ხვაზე განუცხადა: «დამიჭირეს და ფეხისადგილში მახჩობდენ
იმიტომ, რომ ვარ ქართველი მუშა, 27 წელი ვმუშაობდი ს. დ.
პარტიაშიო». ეხლა პატიმრობიდან თავისუფალია.

7. ცქიფურიშვილი გიორგი, ძველი მუშა, ს. დ. ქუთაისის

ჩეკაში აწამეს ოთხი თვე. ბნელ სამკუთხედში (სადაც ერთი კაცი ძლივს ეტევა) ყავდათ ჩამწყვდეული ორი თვე. 8 დღის განმავლობაში არ აძლევდენ არც პურს და არც წყალს. გადაასახლეს რუსეთში 1927 წლის აპრილში.

8. სამხარაძე ტრიფონი, მეჩექმე, ს. დ. ერთი თვე იჯდა ქუთაისის ჩეკის ბნელ სამკუთხედში; სასმელ-საჭმელს არ აძლევდნენ 8 დღის განმავლობაში. თბილისის ჩეკაში იგი ჩააგდეს საყინულე საკანში და გარედან გამომძიებელი ეკითხებოდა—იტყვი თუ არა სიმართლესო. ის გაიტანეს საყინულიდან გრძნობა-დაკარგული. გადაასახლეს რუსეთში 1927 წლის აპრილში.

9. მოსიძე ვლადიმერ, ს. დ. სტუდენტი; 6 კვირა ყავდათ ქუთაისის ჩეკის ბნელ სამკუთხედში. თბილისის ჩეკაში ჩაჭედეს კედელში. სამი თვის წამების შემდეგ გადაასახლეს რუსეთში 1927 წლის აპრილში.

10. გუგუშვილი გრიგოლ, ს. დ. მეზღვაური. აწამეს ბათუმის ჩეკაში. შიშველი ჩააგდეს განსაკუთრებულ საწამებელ ბნელ საკანში № 10, რომელსაც განგებ აქვს ჭერი ისე მოწყობილი, რომ საკანში ჩამოდის წვიმა და თოვლი. ოთხმოცი დღის ამ საკანში წამების შემდეგ გადაიყვანეს სხვა საკანში. ხშირათ ტიტველს აბამდნენ ბაწრით ფიცარზე და ყინვით შეწუხებულს რომ არ ეყვირა. პირს უტენავდნენ ჭუჭყიან ჩვრებით. ბევრ ცემისა და წამებისაგან დაავათმყოფებული 1927 წ. აპრილში გადაასახლეს რუსეთში.

11. კიკვაძე მიხეილი, მოწაფე, ახალ. მარქ. ქუთაისისა და თბილისის ჩეკაში ცემა-ტყეპისა და წამების შემდეგ 1926 წ. ოქტომბერში შეირყა ჭკუიდან. თბილისის ჩეკის სარდაფში თვითმკვლელობის მიზნით გადაიჭრა მაჯა. მოთავსებულია საგიჟეთში.

12. გოგვაძე კირილე, ს. დ. დააპატიმრეს 1927 წელს და ბათუმის ჩეკაში ცემით დაამტვრიეს. გარდაიცვალა ჩეკის სარდაფში.

13. ახალკაცი სტეფანე, რკ. გზელი ს. დ., დააპატიმრეს 1927 წლის აპრილში, აწამეს თბილისის ჩეკაში. ჩაჭედეს კედელში, სადაც მას მეტის მღელვარებისაგან ამოექცა ხაღველი, რის გამოც იგი გაყვითლდა და გასივდა. მძიმეთ დაავათმყოფებული გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, მაგრამ იქიდან რამდენიმე დღის შემდეგ კელავ დააბრუნეს ჩეკაში და ჩააგდეს საყინულე საკანში, საიდანაც ცოცხალ-მკვდარი გაიტანეს და მოათავსეს საავადმყოფოში.

14. მარგალიტაძე დიომიდე, გლეხი, ს. დემ., აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა თავის ძმა თედორესთან ერთად. იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი გურიაში. დააპატიმრეს 1925 წლის ბოლოში. ბრალდების შეკეთებით (ბანდიტიზმი) გადაასახლეს 1926 წ. სოლოვკაში, სადაც იგი გარდაიცვალა. ასევე შეკეთებული ბრალდებით დიომიდესთან ერთად დააპატიმრეს მისი ძმა თედორეც და 1926 წ. გაუსამართლებლათ დახვრიტეს.

15. იქავა მარო, მკერავი, ს. დ. ახლგაზდა ქალი. ეჭვით დააპატიმრეს ბათომში 1926 წელს. ზამთარში სრულიად ტიტველი ყავდათ დამწყვდეული ბათუმის ჩეკის განსაკუთრებულ საწამებელ საკანში № 9, სადაც მას აწვიმდა და ათოვდა ზედ. აშიმშილეს რამდენიმე დღე. ექცეოდნენ უდიერათ—ლანძღავდნენ და აგინებდნენ. შიშველი ქალი, როცა მასთან გამომძიებელი ჩადიოდა და ეკითხებოდა—გამოტყდებოდა და იტყოდა სიმართლეს თუ არა—ის ყინვით და შიმშილით შეწუხებული ტირილით ემუდარებოდა მას, რომ მისთვის დაებრუნებინათ პერანგი მაინც. ასე აწამეს რამოდენიმე თვე და შემდეგ გრძნობა-დაკარგული გამოიტანეს საკანიდან და სრულიად დაავათმყოფებული გადაგზავნეს თბილისის ჩეკაში.

16. გაბუნია დიმიტრი, ს. ფ., დააპატიმრეს 1925 წლის დასაწყისში. ისედაც ავათმყოფმა ვერ აიტანა ჩეკის წამება და სიკვდილის პირზე მიმდგარი საკაცით გაიტანეს საავათმყოფოდან იმავე წლის შემოდგომიზე. მაგრამ რადგანაც ის არ მოკვდა და დაეტყო გამოკეთება, კვლავ დააპატიმრეს 1926 წლის მარტში. ჩეკის და ციხის პირობებში ის იმდენათ დაავათმყოფდა, რომ ექიმთა კომისიამ მისცა 454 მუხლი, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთი პატიმრის ციხეში გაჩერება არ შეიძლება. მიუხედავათ ამისა გაბუნიას მაინც მიუსაჯეს 3 წლით რუსეთში გადასახლება. ამის გამო გაბუნიამ გადასწყვიტა სამშობლოში სიკვდილი და გამოაცხადა შიმშილობა. მისი, როგორც მომაკვდავის, წაყვანა ეტაფში ვერ მოახერხეს და ჩეკამ სამი წლით გადასახლება შეუცვალა ხუთი წლის ციხით. ის მუდმივათ იმყოფება ციხის საავადმყოფოში და უცდის სიკვდილს.

17. თალიაშვილი ქარუმა, ს. დ., დააპატიმრეს 1926 წ. მაისში. ჩეკაში ის დაუზოგავად აწამეს, რის გამოც შეირყა ჭკუიდან და მძიმეთაც დაავათმყოფდა. იგი გაანთავისუფლეს, როდესაც უკვე სულს ლევდა, საკაცით გიტანეს ციხის საავათმყოფოდან მომაკვდავი და მალე გარდაიცვალა.

წაშება სოსუმის ჩეკაში.

1. პერტაია ისიდორე დააპატიმრეს 16 მარტს. 17 მარტს ღამის 12 საათზე გამომძიებელ ტოლსტოვმა ორი ჩეკისტის დახმარებით სცემა «დაკითხვის» დროს. სამ ადგილას თავზე და შუბლზე ეხლაც ატყვია დანარტყამი (შრამი).

2. მათითაიშვილი სიმონ, მუშა, დააპატიმრეს 26 თებერვალს, გალახეს სამჯერ, რის შემდეგ ჩააგდეს ბნელ კარცერში, სადაც ყავდათ ერთი კვირა.

3. სიხარულიძე დათიკო, 25 წლის, ს. დ., დააპატიმრეს 24 თებარვალს. ჰყავდათ 45 დღე კარცერში (15 დღე ბნელში).

4. ლომინაძე იორდანე, 43 წლის, ს. დ., მუშა, დააპატიმრეს 24 თებერვალს. 15 დღე ჰყავდათ ბნელ კარცერში. შემდეგ 9 მარტს გადმოიყვანეს და ღამის 2 საათზე «გამომძიებელ» ტოლსტოვის ოთახში სცემეს, რის გამო მოკლებულია სმენას ორივე ყურში. 29 მარტამდის ჰყავდათ ერთეულში. წყლისათვის და ფეხისადგილზე გამოჰყავთ მხოლოდ ღამ ღამობით.

5. ფოცხიშვილი მაქსიმე, 32 წლის, მუშა, ს. დ., დააპატიმრეს 29 მარტს. დაამწყვდიეს (სპეციალურ) ციკნით ამოტენილ პატარა საკანში. მიუშვეს შიგ წყალი, სადაც ჰყავდათ რამდენიმე დღე, შემდეგ გამოიყვანეს და სცემეს.

6. ოკუჯავა გრიგოლი, სტუდენტი, 29 წლის, ს. დ.. გადასახლებიდან (რუსეთიდან) ახლად დაბრუნებული. დააპატიმრეს 24 თებერვალს. 45 დღე ჰყავდათ დაუკითხავი მარტოდ «საკანში» № 9, «საკანი» მოთავსებულია ფეხისალაგის გვერდით, საიდანაც გამოყვანილია ხვრელი და გამოდის სუნი და სიბინძურე, ზომით არის 18 : 18 ვერშოკი.

წაშება ბათუმის ჩეკაში.

1. ჭანტურია ათანასე 13 დღე ჰყავდათ ბნელ ერთეულში. საკანი № 1. (გამომძიებელი სინკინი).

2. ნოდია მიხეილი. აშიმშილეს რამდენიმე დღე, 28 დღე ჰყავდათ ბნელ ერთეულში, ამას გარდა 7 დღე შიშველი მე-9 ერთეულში და დილა საღამოობით ასხამდენ ტანზე ცივ წყალს (გამომძიებელი მინინი).

3. ჯაყელი ნოე. 22 დღე ჰყავდათ ბნელ და ცივ № 1 ერთეულში (გამომძიებელი გვანცილაძე).

4. ჟღენტი გრიგოლი. ჰყავდათ 21 დღე ბნელ ერთეულში (სინკინი).

5. თურმანიძე მიხეილი ჰყავდმთ 45 დღე ბნელ ერთეულში(მინინი).

6. ჩიკვაიძე თომა, ძველი ს. დემ., გადასახლებული იყო თვითმპყრობელობის დროს ციმბირში. 33 დღე ბნელ ერთეულში (გამომძიებელი მინინი).

7. კაპარავა მოსე. 12 დღე ბნელ ერთეულში და 9 დღე ფეხისადგილის გვერდით მე-9 საკანში (მინინი).

8. ჯიჯიეიშვილი სიმონ. 9 დღე იმავე საკანში (მინინი).

9. გეგეჭკორი ვალოდია. 16 დღე ბნელ ერთეულში და 10 დღე № 9 საკანში (მინინი).

10. ჩხეიძე ტოტია. 16 დღე ბნელ ერთეულში (გვანცილაძე).

11. ლომაძე დავით. 56 დღე ბნელ ერთეულში (მინინი).

12. ცინცაძე ალექსანდრე. 33 დღე ბნელ ერთეულში (მინ.).

13. იმნაიშვილი ეპიფანე. 7 დღე საკანში № 9 (მინინი).

14. მგალობლიშვილი მიხეილ. 20 დღე საკანი ერთეული № 10. ცივი და ფეხისადგილის გვერდში (მინინი).

15. გოგუა ერასტი. 42 დღე ბნელ ერთეულში (მინინი).

16. გოგუაძე კირილე, აწამა გამომძიებელმა სინკინმა. დაპატიმრებული იყო აპრილის პირველ რიცხვებში.—გარდაიცვალა ფეხისადგილის გვერდზე, საკან № 10 ში 27 აპრილს (მასწავლებელი, ს. დ., 30 წლისა).

17. ჩახაიძე შალვა (შაკო) ეპიფანეს ძე. აწამეს საშინლათ, რის გამო დაავათმყოფდა. ჩეკა იძულებული იყო ის გადაეყვანა საავათმყოფოში, სადაც მან საშინელ წამებაში დალია სული.

ამას წინათ რომ გწერდით ნიკო ჯაბაშვილის შესახებ, ის აწამა «გამომძიებელმა» ისაკაძემ.

ამდაგვარი წამება გავლილი აქვს, პატარა ნაწილის გამოკლებით, ყველა პოლიტიკურ პატიმრებს, რომლებიც ამჟამათ იმყოფებიან მეტეხში. მეტეხში კი არის ეხლა 250 პოლიტიკური პატიმარი საქართველოს ყველა კუთხეებიდან. ამას გარდა სავსეა თბილისის ჩეკა და პროვინციის ციხე-ჩეკები პოლიტიკურ პატიმრებით.

ოსურეთის ჩეკაში.

1. თურმანიძე მიხეილ, შიშველი ყავდათ ჩაგდებული ცივ ერთეულში 48 დღე. დღეში აძლევდნენ ნახევარ გირ. პურს (გამომძიებელი ისაკაძე და სიმონიშვილი).

2. ძაძამია აკაკი, აშიმშილეს 10 დღე. გამომძიებლისათვის ცემის დროს ხელის შებრუნებისათვის დაესიენენ ჩეკისტები, თავი გაუტეხეს და ჩააგდეს ერთეულში, არც საექიმო დახმარება მისცეს (ისაკაძე).

3. ბორჩხაძე მოსე. ახალგაზდა მარქს. აშიმშილეს 9 დღე და სცემეს (სიმონიშვილი და გოგია).

4. სიხარულიძე ნადია, აშიმშილეს ათი დღე და უწმაწური სიტყვებით აგინებდენ (იგივე გამომძიებლები).

5. სიხარულიძე მარო აშიმშილეს 10 დღე, უხეში ქცევის გამო ჭკუაზე შეიშალა და ეხლა საავათმყოფოშია (იგივე გამომძიებლები).

6. სიხარულიძე უშანგი აშიმშილეს 8 დღე და სცემეს (სიმონიშვილი).

7. ჟორდანია ვალიკო, ახალგაზდა მარქ., აშიმშილეს 10 დღე და სცემეს (გოგიამ).

8. ჯანუყვაძე ისაკი, სცემეს და აშიმშილეს 9 დღეს (სიმონიშვილი).

9. ფირცხალაშვილი სევერიანე, აშიმშილეს 12 დღე და სცემეს (ყენტი. ისაკაძე, სიმონიშვილი).

10. დოლიძე ვლადიმერი, გაშიშვლებული ჩაგდებული ყავდათ დეკემბრის თვეში, აშიმშილეს 9 დღე, თოვლში სრულიად შიშველი გაჩერეს 2 საათი (პოლინი).

11. ჭელიძე მაქსიმე. აშიმშილეს 7 დღე და სცემეს (კვიტაიშვილმა და პოლშინმა).

12. ბორჩხაძე ნიკოლოზი. სცემეს. წაიყვანეს ბახვის წყალზე ზამთარში, ჩააბეს წელში ბაწარი და ჩააგდეს წყალში. ამოათრევდენ და ეკითხებოდენ, თუ გასცემდა ამხანახებს. ძალზე დაავათმყოფებული გადაასახლეს (პოლშინმა და კვიტაშვ.).

13. ბაქრაძე ბაგრატ 24 დღე ყავდათ ჩაგდებული სარდაფში, აშიმშილეს 6 დღე (თბილისის ქართ. ჩეკაში—არაველიძე და პოლშინმა).

14. ტრაპაიძე მიტროფანე. რომელიც ცემისაგან სისხლს არწყევდა, გადარჩენაც საეჭვოა, აშიმშილეს 8 დღე (ოზურგ. სიმონიშვილმა).

15. დობორჯგინიძე ილიკო, ერთეულში შეყარეს ბლომათ თოვლი და ამ თოვლიან საკანში, როდესაც თოვლი დადნა, წყალში დაჰყო 12 დღე, აშიმშილეს 8 დღე (პოლშინმა).

16. ჭეიშვილი ბაგრატ, ახალგაზდა მარქ. სცემეს და აშიმშილეს 5 დღე, სარდაფში ყავდათ 15 დღე (თბილისის ჩეკაში პოლშინმა და შაშურკინმა).

17. ღლონტი ჩითანა 16 წლისა, ახალგ. მარქ., სცემეს და აშიმშილეს სამჯერ—7-8-7 დღე ოზურგეთში (სვიმონიშვილმა)

18. სადრაძე ივანე, მუშა, ს. დემ., აშიმშილეს 9 10-7 დღე (სვიმონიშვილმა).

19. სადრაძე ამბროსი, მიწის მუშა, ს. დ., სცემეს და აშიმშილეს 9-8-7 დღე (გოგიშვილმა).

20. ელენტი ვლადიმერი ახალგაზ. მარქ. სცემეს და აშიმშილეს 12 დღე (ისაკაძე).

21. ვასაძე გიორგი, ს. დ., სცემეს და აშიმშილეს 9-8 დღე (ისაკაძე).

22. ბიბინეიშვილი ვენედიქტე, ს. დ., სცემეს და აშიმშილეს 8-7 დღე (გოგია).

23. ხუნდაძე ივანე (ვანიჩკა), ს. დ., სცემეს და აშიმშილეს 7-8 დღე (ისაკაძე).

24. რამიშვილი ამბროსი, ს. დემ., სცემეს და აშიმშილეს 10-7 დღე (სიმონიშვილმა).

25. რამიშვილი სერგო, ს. დ., სცემეს და აშიმშილეს 11 დღე (გოგიშვილი).

26. ლომინეშვილი ალფეზ, ს. დემ., აშიმშილეს 10 დღეს (გოგია).

27. შალვაძე გრიშა, ახალგაზდა მარქ. ცემით და სიცივით დაინვალიდდა, ხელები და ფეხები დაეფანჩხა, ასე რომ ექიმების დასკვნით კაცათ აღარ გამოდგება. ეხლა განთავისუფლებულია (ბათომის ჩეკაში ისაკაძემ).

28. სიხარულიძე მინა, 70 წლის მოხუცი ქალი, აშიმშილეს 5 დღე (ოზურგ. სიმონიშვილმა).

29. ჭანიშვილი თეოფილე, ს. დ., სცემეს და აშიმშილეს 10-8 დღე (სიმონიშვილმა).

30. რამიშვილი ვარლამი, ს. დემ., სცემეს და აშიმშილეს 9-8 დღე (გოგიშვილი).

31. კიკვაძე გრიშა, ს. დემ., სცემეს და აშიმშილეს ოზურგეთის ჩეკაში 10-9 დღე (გოგიშვილმა).

32. სიხარულიძე ვერა აშიმშილეს 7 დღე (50 წლისაა).

ყველა დასახელებული პირები, მცირე გამონაკლისს გარდა, ძალზე დაავათმყოფებულია უხეში წამებით და შიმშილით.

(ისაკაძე ისაა, რომელიც ბათომის ჩეკაში მოღვაწეობდა).

ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ, როდესაც პატიმარს აშიმშილებენ 10 დღეს და მიდგება სიკვდილის პირზე, გამოიტანენ საკომენდანტოში, და მობრუნების შემდეგ ისევ აშიმშილებენ. ხშირათ ერთ პატიმარს სამჯერ აშიმშილებენ, მოაბრუნებენ და ისევ აშიმშილებენ, ორჯერ სამჯერ 7-8 დღეობით).

გაუსამართლებლათ დასჯრეტა.

ამა წლის ივნისში ჩეკამ გაუსამართლებლათ დახვრიტა სამხედრო სკოლის კურსანტები მუედლიშვილი და ინწკირველი. მათთან ერთათ დახვრიტეს ოთხი პირი, რომელთა ვინაობა ვერ გამოვარკვიეთ.

ამა წლის 14 ივლისს ღამით ჩეკამ აგრეთვე გაუსამართლებლათ დახვრიტა სხვებთან ერთად ორი ახალგაზდა გლეხი, ყოფილი გვარდიელები, გელაშვილი ვარლამა—რაჭველი მეპურე და ხატიაშვილი თედო, მიწის მუშა საგარეჯოდან. ესენი დააპატიმრეს საგარეჯოში ათი თვის წინათ და აბრალებდნენ ვიღაც ვაჭრის გაძარცვას. ეს პირები საგარეჯოს ჩეკის თავმჯდომარე ლომიძემ აწამა დაუზოგავათ. რამდენიმე თვე ყავდათ ჩაგდებული ბნელ სარდაფში; გამუდმებით სცემდენ ჯოხებით, რევოლვერით და თოფის ზუმპით; უწყობდენ დახვრეტის სიმულიაციას: გაიყვანდენ თითო-თითოდ და შესაშინებლათ ესროდენ რევოლვერებიდან. ამ სროლას აგონებდენ მეორეს, აჩვენებდენ მას დასისხლიანებულ ხალათს და ეუბნებოდენ, რომ მისი ამხანაგი დახვრიტეს და თუ არ გამოტყდება მასაც დახვრეტენ.

მიუხედავათ ამდენი წამებისა ისინი თავს დამნაშავეთ არ სცნობენ და დაზარალებული ვაჭარიც მათ ხელს არ ადებდა.

როცა ეს უბედური გლეხები ციხეში მიიყვანეს, მათ დასწერეს განცხადება საქართველოს პოლიტ-სამართველოს თავმჯდომარის სახელ-ზე, სადაც აღიარებდენ, რომ ისინი სრულიად უდანაშაულო არიან და ტყვილა-უბრალოთ აწამა საგარეჯოს ჩეკამ. ამ ჩივილს შედეგათ მოყვა მათი დახვრეტა.

ასე ემართება ყველას, ვინც გაბედავს და ჩეკაში წამების შესახებ საჩივარს აღძრავს ხელისუფლების წინაშე. ამისთვის არა ერთი და ორი გამოუსალმებიათ სიცოცხლისათვის; მაგ. ფოთის შავი ქვის მუშა გრ. ანჯაფარიძე, ზუგდიდის მაზრის გლეხი იასონ ცხადაია და სხვები.

შედარებისათვის საინტერესოა გავიხსენოთ, თუ როგორ ექცევიან ხელისუფლების ორგანოები თავისიანებს, რომლებიც მართლაც ჩასაქოლავი არიან ხალხის მიერ. აი თუნდ ამ დღეებში გასამართლებული მეცხრე უბნის კომისარი გორდაძე. რამდენი სისაძაგლე არ ჩაუდენია ამ გათახსირებულ პირუტყვს. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ეს ვაჟბატონი ნიკოლოზის დროიდანვე ყოფილა ცნობილი ბანდიტი. მაშასადამე, როგორ შეიძლებოდა არ სცოდნოდა მისი ვინაობა მი-

ლიციის უფროსს ბ. ხმალაძეს. რა თქმა უნდა იცოდა და მაინც ყავდა სამსახურში. ეს ასეც უნდა იყოს. საოკუპაციო ხელისუფლება თავიდანვე გორდაძისთანა ბანდიტ-ნაძირალებს ეყრდნობოდა და ხანდახან ეს ნაძირალები, რაიმე შემთხვევის გამო, ამოტივტივდებიან ხოლმე ჭაობიდან.

გორდაძემ ხელისუფლების ყურადღება დაიმსახურა იმით, რომ 1924 წლის აჯანყების დროს მრავალი გლეხი დახვრიტა სვანეთში.

თუ კი საშა გეგეჭკორს არ რცხვენია მის საყვარელ რესტორან «პტიშკა»-ში მუდამ იხრობოდეს როსკიპ ქალებთან ქეიფში და ფლანგავდეს სახელმწიფო ფულებს; თუ კი შალვა ელიავას აქვს უფლება ზაჰესიდან ქრთამები იღოს, სახელმწიფო ფული ფლანგოს და გარყვნილების წუმპეში ჩაიხრჩოს, რატომ არ უნდა ქონდეს ამის უფლება წვრილფეხა ბანდიტ გორდაძეებს. გორდაძეს მკვლელობისათვის და სხვა მრავალ ბოროტმოქმედებისათვის მიუსაჯეს მხოლოდ 8 წლის ციხე.

კომენტარიები მეტია.

ცნობები პოლიტიკურ პატიმრებზე.

1926 წლის 12 დეკემბერს გადაასახლეს ციმბირში (ნარიმის მხარე) პირველ ქართულ ლეგიონის ჯარისკაცები: აბულაძე ნიკოლოზ, გველესიანი დავით, ზაქარეიშვილი თედორე, მსხილაძე აბესალომი, მამაგეიშვილი გრიგოლი, ნიკოლაშვილი დავით, ღვაბერიძე გრიგოლი, ყაჭეიშვილი ვარდენ, ჩხეიძე გრიგოლი, და ორი ჩელიაბინსკის პოლიტ იზოლიატორში— სილიბისტრო პერტახია და სერგო ფიოლია; ყველა ესენი გადასახლებული არიან სამ-სამი წლით, ეკუთვნიან ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციას. ბრალდებათ არალეგალური მუშაობა, დაპატიმრებული არიან თბილისში იმავე წლის 10 მაისს. მეტეხში იმყოფებიან იმავე ლეგიონის და მათთანვე დაპატიმრებული ჯარისკაცები იერემია მუჯირი და ალექსანდრე ქუთათელაძე. მისჯილი აქვთ იმავე ორგანიზაციის წევრობისათვის თითოს ერთნახევარი წელიწადი.

გასული წლის 23 ივლისს დააპატიმრეს ქართულ მეხუთე ლეგიონის ჯარისკაცები (ქუთაისში) და არალეგალურ მუშაობისათვის მიუსაჯეს სხვადასხვა ვადით ციხე გძელიძე ალექსანდრე (მეთაური), მისჯილი აქვს 10 წელი, ბორჩხაძე შალვა—5 წელი, გეგეშიძე პოლიკარპე—5 წელიწადი, იშხანაშვილი, გიორგი ციბაშვილი ათ-ათი წელი, პატატუნაშვილი გარსევან 5 წ. ცაავა დავით და ჭუმბურიძე ამბროსი სამ-სამი წ.

ყველა ესენი არიან სოც.-დემოკ. პარტიის ორგანიზაციის წევრები. სასჯელს იხდიან მეტეხის ციხეში.

როგორც პირველ ლეგიონის, ისე მეხუთე ლეგიონის ჯარისკაცები ყველანი არიან გლეხები.

ამჟამათ მეტეხის ციხეში იმყოფებიან სხვადასხვა ქართული ნაწილების ჯარისკაცები. სახელდობ: მეორე ლეგ.—ხავთასი ვლადიმერ დაპატიმრებულია 2 ივნისს, ცხენ. ლეგიონიდან: ცხონდია სიმონ, გობრონიძე დავით, გიორგაძე დავით, ჭყონია სევერიანე; დაპატიმრებული არიან ამა წლის 21 ივნისს ქართულ საარტილერიო ლეგიონიდან: იაკობაშვილი გიორგი და ზუმბაძე ნიკოლოზ დაპატიმრებულია 21 ივნისს. ცხენ. ლეგიონ.—ცაბაძე ნიკოლოზ, ჯაველიძე სერგო (ქართ. ქვეითი ლეგიონ.) 21 ივნისს; მეეევიძე გ. ქართული დივიზიის შტაბის უფროსი მოხელე დაპატიმრებულია 29 ივნისს ყველა ამათ ბრალდებათ სოც.-დემ. ორგანიზაციის წევრობა და არალეგალური მუშაობა. იმყოფება ძიების ქვეშ სერაფიონ ჩხაიძე. დაპატიმრებულია 20 ივნისს და ამჟამათ იმყოფება მეტეხში. მოელის რუსეთში გადასახლება.

მეტეხში იმყოფებიან აგრეთვე სხვადასხვა ქართულ ლეგიონის ჯარისკაცები, დაპატიმრებულნი გორში 23 ივნისს: ჯაფარიძე ივანე, გაბუნია ტროფიმე, გელდიაშვილი ლევან, ახობაძე ეფრემ, ჩხეიძე დავით, გუბელიძე ამბროსი, გოგელია გერონტი. ფანცულია ვარლამ, ნიკოლაშვილი გიორგი, მჟავია სერგო, წულაია გიორგი, აღანია ამირანი, გაგუა ტიტიკო, ჩხეიძე მიხეილ და დიდებულიძე გენო (ქართ. ლეგიონის საჭმის მმართველი). ყველა ამათ ბრალს სდებენ არალეგალურ მუშაობაში და სოც.-დემ. პარტიის წევრობაში. ამას გარდა მრავალი ჯარისკაცები არიან დაპერილნი თბილისის ჩეკაში და პროვინციების ციხე-ჩეკეებში.

გადასასლებულთა სია.

30 მარტს გაგზავნეს სოლოვკაში ჭიათურის მუშა-მეხანიკი, ს. დ. ტარიელ აბდუშელიშვილი, 27 აპრილს გადაასახლეს სოლოვკაში უპარტიო სანაძე პრასკოვია. 27 აპრილს გადააგზავნეს იაროსლავის იზოლიატორში დაავათმყოფებული ალექსანდრე კალანდარიშვილი, ს. დ. 30 მარტს ვადის გათავების შემდეგ, რუსეთში გადაასახლეს დაშნაკები: კანკანიანცი გრატ და სარქისიანცი არმენაკა. 5 ივნის გაგზავნეს მოსკოვის განკარგულებაში: ბორჩხაძე ნიკოლოზ, მეგრელიძე ალექსანდრე, მუხაშავრია დომენტი, მეგრელიძე არტემ, მარ-

რი იოანე ს.-ფ., მანჯგალაძე ივანე, კოტრიკაძე ტარასი, ბერკალაია პორფილე, ცოტაძე დომენტი, არივაზოვი გრიგოლი, თედია ვლადიმერი, კუტალაძე იონა, გადეიშვილი სერაფიონ, ვაშაკიძე იასონ (ძმა მისი დიმიტრი მოკლეს 1923 წელს მეტეხის ციხეში), ბურჯანაძე ვერა (24 წელში დაუხვრიტეს ძმა ვლადიმერი, ხოლო მეორე ძმა შალვა გადასახლებულია რუსეთში), პაპავა ვასილ, კაჭახიძე დიმიტრი, გიორგაძე ბენია, გაგუა პარმენი, შილაკაძე სილოვანი, მელქაძე ივანე, სულაბერიძე ნეოფიტე, ლეკვეიშვილი აკაკი, ჯვარიშვილი სევერიან, ქიშმარეიშვილი ნიკოლოზ, გოგვისანიძე ივანე, ბარკალაია ივანე (მოხუცი. ძველი მუშა, 1922 წელში გადასახლებული იყო სამი წლით რუსეთში), ოდილაძე მიხეილ.

ყველა ესენი მარრის გამოკლებით არიან ს. დემოკრატები.

ამათთან ერთათ გადაასახლეს სომხეთის უზენ. სასამართლოს მიერ გასამართლებული დაშნაკები: სტეფანიანი არტაშეს, სიმონიან პეტროს, სტეფანოსიანც ისაკ.

ჩამოყვანილია სომხეთიდან 17 სომეხი-ახალგაზდა მარქსისტები, მათ შორის სამი ქალი.

ჩამოიყვანეს სოხუმიდან 15 პოლიტიკური პატიმარი.

მეტეხში ამჟამათ არის სამასამდე პოლიტიკური პატიმარი. ციხის საკნები ძალიან დატვირთულია: თითოში 30-40 კაცია. ჩეკაშიც ბევრია პოლიტიკურები, და როგორც ვიცით მაზრებშიდაც ბევრია დაპატიმრებულები.

მუსავატელი გიულ ახმედოვი, რომელიც დაპატიმრებულია 21 აპრილს 1925 წ. დღემდის ძიების ქვეშ იმყოფება, რომელმაც 4 ივნისს გამოაცხადა შიმშილი. მოითხოვს ბრალდების წაყენებას. 8 დღე გადის და არავინ არაფერს კითხავს.

პოლიტიკური პატიმარი—უპარტიო ალიმ დარახველიძე აჯანყებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს 24 წლის სექტემბერს. იმყოფებოდა ძიების ქვეშ 32 თვე, შემდეგ მიუსაჯეს 10 წელი და სასჯელის მაქსიმუმი.

უკანასკნელ სანებში გადასასლეულთა სია:

დაშნაკები: ტერაბრამიან მხიტარ და სრაფიანც არამა, გაბუნია ბაგრატ ს. ფედ., ბოპორიშვილი ალექსანდრე, ბურჯანაძე შალვა, გუბელაძე დიმიტრი, გრძელიძე ერმილე, თალაკვაძე აკაკი, კვინიკაძე გრიგოლ, ლორთქიფანიძე ვლადიმერ, მატარაძე სანდრო, მაკარიძე ისიდორე, მოსიძე ვლადიმერ, მეფარიშვილი გედევან, სამხარაძე ტრიფონ, სანებლიძე ერმოლოზ, ცქიფურიშვილი გიორგი, გუგუშვილი გრიგოლ,

ფირცხალავა ნოე, კაკუტაშვილი ივანე, კენჭაძე ნიკოლოზ, შალიბაშვილი ალექსანდრე, კიკილაშვილი აბრამ, მათიაშვილი აპალონ, ძმები გიორგი და დიმიტრი ერისთავები—ახალ. მარქსისტები, ბელთაძე გრიგოლ, ნოზაძე პავლე—ახ. მარქ., დათუნაშვილი ყარამან—ახ. მარქ., როსტომაშვილი არშაკ—ძველი მუშა, ყენია შალვა, გელაშვილი ისაკა, მახარაძე ალექსანდრე, ხუხუნაშვილი ერასტი, რაზმაძე ვანო, სამთელაძე ევგენი, ლექავა დავით, რევაზიშვილი ნიკოლოზ, მინაშვილი გიორგი—ახ. მარქ., მაისურაძე გიორგი, ლონდარიძე გიორგი, ხურციძე იპოლიტე, სულუხია მელიტონ.

25 მაისს გაგზავნეს მოსკოვის განკარგულებაში სამი სოციალდემოკრატი ქალი—დათუნაიშვილი მარიამი, ჯიშკარიანი ვერა და ჭანტურია ეკატერინე.

19 ივლისს საგუბერნიო ციხეში გადასასახლებელათ გადაიყვანეს 45 მამაკაცი და 2 ქალი: ახალკაცი ალექსანდრე—22 წლისა—ტეხნიკი, მანუელიძე გიორგი—21 წლისა—ტეხნიკი—ყოფილი კომსომოლისტი, გაჩეჩილაძე სერგო—20 წლის მოწაფე—1924 წელში დაუხვრიტეს ორი ძმა, დეკანოიძე შალვა—19 წლ. მოწაფე, მურუსიძე ვსევოლოდ—20 წ. მოწაფე, ჩინჩალაძე სიმონ, ფანოზიშვილი აკოფ—ყოფილი ოფიცერი—უპარტიო, ტეროანესიანც მირან—მასწავლებელი—დაშნაკი, კანდელაკი სერგო—ექიმი, სოც.-ფედ., კაკაბაძე სერგო—მასწავლებელი, კაკაბაძე მიხეილ—რკინისგზელი მუშა, ვერულეიშვილი ვალიკო—გლეხი, ქაჯაია ნიკოლოზი—მოწაფე, რუხაძე თამარა—მასწავლებელი, აბაშიძე სამუილ—მუშა, ნიკურაძე გრიგოლი—რკ.-გზ. მუშა, გოგორიშვილი ვარლამ—მოწაფე, ყვავაძე ლეონიდე—მოწაფე, ახალკაცი სტეფანე—რკ. გზ. მუშა, მამისაშვილი პავლე—მუშა, მამისაშვილი ირაკლი—მუშა, ბარიშვილი ნიკოლოზ—მუშა, ყოფილი კომუნისტი, ბურჭულაძე ვალერიან—ტეხნიკი, ბურჭულაძე ალექსანდრე—მოწაფე (ეს ორი არიან ძმები), კაშია შალვა—მუშა, ცხადაია იასონ—მოწაფე, წურწუმია ლუკიანე—მოწაფე, კაკულია შალვა—მოწაფე, გედევანიშვილი რევაზი—აგრონომი-ტექნიკუმის გამგე—ერ.-დემოკრატი, ღლონტი შალვა—მოწაფე, ანჯაფარიძე გიორგი—მოწაფე, ჯამბურიძე შალვა მოწაფე, სიხარულიძე მარიამი—დიასახლისი, თავამაიშვილი რაფიელ—გლეხი, ფირცხალაიშვილი სევ.—გლეხი, მაისურაძე იოსებ—გლეხი, გვარაკიძე ბიქტ.—ნოქარი, მიქელაძე გ. (ბუდუ) მეურ. მოხელე, ბაკრაძე ბაგ.—ტეხნიკი, ძაძამია აკ. გლეხი, მჭედლიშვილი გ. მეჩექმე...

მოხუცი სილვას უკანასკნელი დღეები.

. . . დამპყრობელები სამართლიანათ ხედავდენ სილვაში თავის უდიდეს და ყველაზე შეურიგებელ მტერს. მაისში და ივნისში მომხდარ დარბევის დროს მოხუცი სილვაც მეტეხში მოათავსეს. მან მთელი ზაფხული ციხეში გაატარა, ხოლო როცა მისმა გატეხილმა ჯანმა და მოხუცმა სხეულმა ვერ აიტანა ახალი საკატორღო რეჟიმი და სექტემბრის პირველ რიცხვებში მეტეხში მძიმე ავათ გახდა. დიდის ვაივაგლახით მოხერხდა სილვას თავის საკუთარ ბინაზე ცოლშვილთან გადმოყვანა. ჩეკას ზედ მხედველობა ამ შემთხვევაშიაც ძალაში დარჩა.

ვერც მოასწრო სილვამ გამომჯობინება, რომ მას ახალი უბედურება დაატყდა თავს. მეტეხში გარდაიცვალა ამხ. პარმენ ჭიჭინაძე. ამან ავათმყოფზე დიდი გავლენა მოახდინა და თუმც ექიმებმა აუკრძალეს, მაგრამ მაინც გადასწყვიტა თვით მიეღო მონაწილეობა პარმენის დასაფლავებაში. 10 ოქტომბერს სილვას ველარ იცნობდით.

9 ოქტომბერს პარმენის დასაფლავებაზე ნახულ პროცესიას სილვაზე მოეხდინა საოცარი შთაბეჭდილება. ათრთოლებული ხმით, ცრემლმორეული, იმედების ცეცხლით გვიამბობდა ის 10 ოქტომბერს, რომ ქართველ ხალხს ვერ მოდრეკს დამპყრობი ძალა და საქართველოს დემოკრატიის გამარჯვების ჟამი დაჰკრავსო. მასში გაცოცხლებულიყო ახალგაზდური გატაცება. აღმდგარიყო რევოლიუციონური ენერგია და ეს ენტუზიაზმი იმდენათ მომხიბლავი, იმდენათ გადამდები იყო, რომ ყველას გვათბობდა, ყველას მის გარშემო თავს გვიყრიდა, ენერგიას გვმატებდა და ჩვენი გზის სისწორეს გვიმტკიცებდა.

ორი-სამი დღის შემდეგ სილვას ბინას ჩეკა ესტუმრა, პარმენის დასაფლავების მეორე დღესვე მან გადასწყვიტა ხალხში არ მოეცადა და არალეგალურ მუშაობაში ხელმძღვანელის როლი ეკისრა. ის არ ფიქრობდა თავის ავათმყოფობაზე, ის არ ფიქრობდა, თუ მისი გატეხილი ჯანი რამდენათ აიტანდა დღევანდელ არალეგალურ ცხოვრების საშინელ პირობებს.

. . ციხეში დასუსტებული და ავათმყოფობისაგან მოტეხილ სილვას სხეულს ესაჭიროებოდა ნორმალური მოვლა

და ექიმობა. არალეგალურ პირობებში ის ამას საკვებით მოკლებული იყო. ის თავის ერთადერთ ვაჟს ვალიას და მეუღლესაც ვერ ნახულობდა. ჩეკა გაფაციცებით ადევნებდა მათ თვალყურს და საშუალებას უსპობდა შვილს და ცოლს ავათმყოფი ენახათ, თან გააფთრებული რეაქცია ხშირათ ბინების გამოცვლას მოითხოვდა. მოხუცი სილვა იძულებული იყო სარდაფიდან სარდაფში გარდაბარგულიყო. იანვარში კი მას შესამჩნევათ დაეტყო გულის სისუსტე და ბინებზე ფეხით გადასვლა უჭირდა.

5 თებერვალს მომხდარ საქართველოს სოც.-დემ. მ. პარ. კონფერენციაზე ის თავის ფეხით მოვიდა. გზაზე გული შეუწუხდა. ამ საღამოს მისი სიტყვა იყო ბრძოლის ყიჟინა. მიუხედავათ სისუსტისა, მასში ისმოდა ძველი ლომი, გაუტეხელი რევოლიუციონერი და ყველა ჭირის ამტანი მებრძოლი, რომელიც თავდავიწყებით მიისწრაფის წინ, რადგანაც სწამს გამარჯვება! საქართველოს სოციალდემოკრატიამ ამ დღეს სილვას მისასალმებელ სიტყვაში სამწუხაროთ გაიგონა გამოთხოვებაც ძველი მასწავლებლისა. ამ დღიდან მას გულის ფრიალმა უმატა. დასჩემდა სურვილი ყოველ დღე ენახა ამხანაგები, მოეწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მათთან ერთად ყოფილიყო და არ განშორებოდა. ყოველ შემთხვევაში თითოოროლა ამხანაგებს მაინც არ იშორებდა. ჩვენთვის აშკარა შეიქნა, რომ სილვას დღეები დათვლილი იყო. ხშირად მას მთელი ღამეები არ ეძინა და თავისი ხანგრძლივი ბრძოლის წარსულიდან მოგონებებს გვიზიარებდა. თან მარქსისტულ ლიტერატურასაც არ შორდებოდა. ის უკანასკნელ წუთებამდე შერჩა რევოლიუციონური მარქსიზმის გზას და დემოკრატიის იდეას. მას არ ესმოდა სხვა გზით ქართველი ერის განთავისუფლება და მუშათა დემოკრატიას, როგორც ყოველთვის, ერთად-ერთ ძალათ სთვლიდა, რომელიც მომავალ ბრძოლაშიაც გაუწევს ქართველ ხალხს მებაირაღტრობას. მთელი მისი ენერგია, მთელი მისი ორგანიზატორული ნიჭი და რევოლიუციონური სინდისი მიმართული იყო იმისკენ, რომ ერის უდიდესი ტრაგედიის დროს მთელი ხალხის სასიცოცხლო ძალები, გახურჩევლათ მიმართულებისა, დაერაზმა ერთ ბანაკში და შეკავშირებული ძალებით შეეტია მტრისათვის.



სილიბისტრო ჯიბლაძე.

. . . უკანასკნელ დღეებში სილვა ხშირათ იგონებდა იმ სამხედრო ორგანიზაციის ისტორიას, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა 1905—6 წლებში. ერთ საღამოს ჩვენთან მოვიდა ამხ. ტრია, რამაც სილვა ძალზე გაახარა. მას მოაგონდა ძველი ტეროორისტული აქტები. მოაგონდა როგორ დაარიგა არსენ ჯორჯიაშვილი, რომ ყუმბარის სროლის შემდეგ რევოლვერი არ ეხმარა და თვით გრიაზნოვის მოკვლის დღეს შორიახლოდან როგორ ადევნებდა თვალყურს აქტის შესრულებას.

10 თებერვალს მთელი ღამე არ გვიძინია, ის ოცნებობდა თავისუფალ საქართველოზე და გადახალისებულ, ახალ რიგებით გამაგრებულ სოციალდემოკრატიაზე.

მეორე-მესამე დღეს მას გულის ფრიალმა უმატა. სახეზე გახდა, ცოტა ნერვიულობა დაიწყო. მოინდომა ცოლ-შვილის ნახვა. 15 თებერვალს სილვას მდგომარეობა გაუარესდა, მას გული უწუხდებოდა და სუნთქვა უძნელდებოდა. ამავე დროს ბინის გამოცვლაც აუცილებელი შეიქნა. სილვა ადგა და უკანასკნელი ძალები მოიკრიფა. ამან დაჩქარა მისი აგონია. მეორე დღეს ის იწვა, 16—17 თებერვალს გულის ფრიალმა იმატა და სილვა ძალზე დასუსტდა.

17 თებერვალს 9 საათზე გულის ფრიალი სიძლიერით გაუმეორდა. მან გრძნობა დაჰკარგა და ერთი საათის შემდეგ სული დალია.

მაგრამ არც მკვდარის დატირება აღირსა მის ამხანაგებს და ცოლ-შვილს წითელ კანიანმა ველურებმა, მკვდარი სილვაც კი საშინელება იყო მათთვის. ჩეკას აგენტების მტარვალური ხელები შეეხო წმინდა სხეულს და საქართველოს მუშათა კლასს ამით ერთი უდიდესი შეურაცხყოფა კიდევ მიაყენეს. დეე ყოველივე ეს ბოღმათ იყვეს ჩვენს გულში, ხოლო სილვას ანდერძი იმედის ყიჟინათ გვესმოდეს და მისებრ თავგანწირულათ მიგვაქანებდეს გამარჯვებისკენ.

სილვას საფლავი ჩვენი გულია.

«ბრძოლა» № 3.

სილიბისტროს ხსოვნის გამო.

ოცდა თხუთმეტი წელია, რაც სილიბისტროს პირველად შევხვდი ზესტაფონში.

ჩემი ბავშობის დროს ზესტაფონი შესანიშნავი იყო «ვეისნაჩალნიკით», რომელიც მასთან დაახლოებულ თავად-აზნაურებს შესჩიოდა ხოლმე: მე ვიკითხო, ჯამაგირის ამარა რომ ვარ, თორემ თქვენ რა გიჟირთ, ყველაფერი მზად გაქვთ სახლშიო, «პრისტავით», რომელიც ხშირათ ბოხი ხმით იმეორებდა: «ნადო ეღო დოკანატ», «მიროვი პოსოდნიკით» ჩოხაში და კაკარდიან ქუდში და სხვა «ჩინოვნიკებით», მაშინდელი იქაური ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ორიოდ სამიკიტნოში, სამპედურში, სადალაქოში და მეკუპრის სახელოსნოში ტრიალობდა. არამც თუ უცხოელს, ქართველ კაცსაც კი აქ იშვიათათ შეხვდებოდით. სოფელი ასეთ ცენტრს არაფრათ ეძალებოდა. დროებით ვალდებული გლეხი და ყოფილი მებატონე სოფლის ნაწარმოებით კმაყოფილდებოდა მცირე გამონაკლისით.

როცა მე სილიბისტროს შევხვდი, ზესტაფონი სხვა სურათს წარმოადგენდა. აქ მაშინ, რომ იტყვიან, ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა. თქვენ აქ შეხვდებოდით ნაპატიებ შოტენზაკებს, სოლოლიაკებს, რიხნერებს, პანასიებს და სხვა საკმაოთ მრავალ ევროპიელ «შავი ქვის» მრეწველებს, რომლებსაც ზესტაფონის «ობივატელი» მეტის დაკვირვებით და ინტერესით შეყურებდა, ვინემ «ვეისნაჩალიკს» და «პრისტავს». ივანე აბაშიძე, წინეთაც მიჩნეული, ეხლა მით უფრო პოპულიარული იყო, რომ ფრანგული იცოდა და ევროპიელებთან თარჯიმნობდა. ევროპიელების გარშემო ტრიალებდენ ქართველი «სხვილი» მწარმოებლები, რომლებიც წინეთ ნალბანდობდენ, მიკიტნობდენ, მეწვრილმანობდენ, თავადაზნაურობდენ, «ჩინოვნიკობდენ»; ამათ თავი უკვე საზოგადო მოღვაწეებათ მოქონდათ მით უმეტეს, რომ მათ შორის იყო ნიკო ღოღობერიძე, კაცი უმაღლეს სწავლით, თვალსაჩინო წარსულით, რომელზედაც ამბობენ: ღენერალს მრეწველი ურჩევნიაო. ამათ თან ახლდა მრავალი ახალგაზდობა ფულავას მისწრაფებით გატაცებული. ფული აქ მაშინ იმდენი იყო,

რომ ყურს მოჰკრავდით ასეთ ჩივილს: ფული მუარბობს, მადა მაკლიაო, რაზედაც იუვიანი სპირია გაჩეჩილაძე უპასუხებდა ხოლმე: ჭკუით, ბიძია, ჭკუით, ხელი მოუუპირე მაგ ასიანებს, თორემ გნახავ, მადა მოგივიდეს, ფული გაგიფრინდესო. მარგანეცის გადამზიდავი გამურული სოფლელი ათასობით ტრიალებდა ზესტაფონში, ანგარიშში იყო, შრომის და დროის დაფასებას ეჩვეოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხი აქ ერთმანეთს ხვდებოდა, ეცნობოდა.

აქვე იყო მაშინ ეგნატე ნინოშვილი. შავი ქვის მტვერი, კანტორის ჰაერი, ინტენსიური მუშაობა დღითი-დღე თვალსაჩინოთ ასუსტებდა მის უმისოდაც დაავათმყოფებულ სხეულს. მიუხედავათ ამისა მისი შემოქმედება სწორეთ ეხლა შლიდა ფრთებს. «ძველი დავა ახალ ქერქში» იწყებოდა და ეგნატე პასუხზე ბჭობდა.

თუ ეგნატესთან კარგ განწყობილებაში იყავი, ის შორიდან დაგაახლოებდა თავის მეგობრებს. ეს მისი ორგანიული მოთხოვნილება იყო და ამით იყო, რომ მე, თუმცა სილიბისტროს პირადათ არ ვიცნობდი, მისდამი დიდი სიმპატია მქონდა. და მანვე, ეგნატემ, შემახვედრა მე სილიბისტროს. როცა პირველათ სილიბისტროს მაღლა აწეულ თავს და ზემოდან გამოხედვას თვალი მოვკარი და გამახსენდა, რომ ის გამასწორებელ რაზმში იყო, გულში გამეცინა და ვსთქვი: ოღონდაც რომ გაუსწორებიათ მეთქი! სილიბისტრო ბევრჯერ მომყოლია იმ დროინდელ თავგადასავალს. ის ოხუნჯობით და სიცილით იგონებდა თავის «გამასწორებლებს», განსაკუთრებით რაზმის უფროს მოხუც კაპიტანს თავისი «კომანდით». მას უფრო სიბრალული ჩარჩენოდა გულში, ვინემ ზიზღი ამ «საწყალი» ხალხისადმი, რომელიც თვითმპყრობელობის ბრმა იარაღათ გამხდარიყო.

სილიბისტრო როცა სკოლიდან ბრუნდებოდა (პირველათ ოზურგეთში სწავლობდა), მერე გამოაცხობდა ხოლმე მჭადს. ასეთი კომფორტით აღზრდილი სილიბისტრო, ცხადია, გამასწორებელ რაზმში ვერ შეიპატივებდა. სულით უძლევი, ის ფიზიკურათ ძალზე დაქანცული და დასუსტებული იყო; მისთვის ეხლა საჭირო იყო შესაფერი სამუშაოს მოძებნა. ასეთი სამუშეევარი მან «ფილოქსერის პარტია» ში მოძე-

ბნა. ეს «პარტია» ფილოქსერას ეძებდა, მაგრამ, თუ გნებავთ, აქაც იმ ხანათ სხვა რაიმეს ძიებაც იყო. თქვენ მაშინ აქ შეხვდებოდით არა ერთ და ორს არეულობისათვის უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოძეევებულ სტუდენტს და ამ მიყრუებულ სოფლების ვენახებში ხშირათ გაიგონებდით მათ შორის ატეხილ დავას. დავის საგანი იყო: «სუბიექტიური მეთოდი სოციოლოგიაში», «რა არის პროგრესი», «დარვინის თეორია და საზოგადოებრივი მეცნიერება», «პიროვნების როლი ისტორიაში», «გმირი და ბრბო», «რევოლიუცია თუ ევოლიუცია», კაპიტალიზმი, რუსული ობშჩინა, პროლეტარი და გლეხი, რა გზით მიდის რუსეთი და სხვა.

ხანდისხან «პარტიაში» იყო ხოლმე, ასე ვსთქვათ, თავისუფალი, იმპროვიზული სკოლა: სოფლური გრძელი სუფრა, მის გარშემო თხუთმეტი-ოცი მუშა (განურჩეველათ წოდებისა), დაფებით და «დედა-ენა» თი; საგნები: წერა-კითხვა, არითმეტიკა... გადასახადები, ღალა და სხვა. პარტია იყო მოარული და შეგეძლოთ მასთან მოგეგლოთ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეები. მუშაობა იყო სეზონის და ზამთარს, თუ გნებავთ, ქალაქათ გაატარებდით. ასე გადაიტრა იმ ხანათ სილიბისტროს სამუშევრის საკითხი, მაგრამ მის წინაშე მაშინ იყო მეორე უფრო რთული ამოცანა.

სილიბისტრომ დიდი ხნიდან იცოდა, რომ ლუარსაბი და დარეჯანი უშვილძიროთ გადავიდენ, მაგრამ ლუარსაბ-დარეჯანიზმი ცხოვრებაში დარჩა; კაკო ყაჩაღათ გაიკრა, გაბრომ გლახაობაში დალია სული, მაგრამ დათიკოები თავისას განაგრძობდენ; ოტია მესხი და ადამ ბებურიშვილი წავიდენ და მათი ადგილი მკლავაძეებმა დაიკავეს. პაწაწა გლეხის შვილმა ერთჯერ ტკბილათ დაიძინა და მას პოეტმა უმღერა, რომ ბატონი აღარ ეყოლება, მაგრამ ის დროებით ვალდებულ გლეხათ დარჩა; სხვანაირათ რომ ვსთქვათ, დარჩა თვითმპყრობელობა. როცა სილიბისტრომ სემინარიაში (სადაც ქართულ ენას ძაღლის ენას უწოდებდენ მეფის აგენტები) ერთი «ექსტი» გააკეთა, მან მაშინ უკვე იცოდა, რომ მეფის რეჟიმის მოუსპობლათ ცხოვრება წინ ვერ წავიდოდა, მაგრამ რა რიგ, რომელი გზა სჯობია ამისთვის, აი საკითხი, რომლის პასუხის ძიებაში იყო სილიბისტრო, როცა მე მას შევხვდი.

ვიცით, შემდეგ სილიბისტრო ამ საკითხის შესახებ ასეთ პასუხს დაადგა: თუ გინდა რომ მიზანს მიაღწიო, როგორც ახლობელს ისე შორეულს, საქმე მუშიდან დაიწყე.

რატომ დაადგა ამ გზას სილიბისტრო, რატომ ამჯობინა მან ეს პასუხი სხვას, სად და რა პირობებში მოხდა ეს, რამდენად გაამართლა ცხოვრებამ ეს არჩევანი? ამის პასუხი ჩვენი პარტიის ისტორია იქნება. ამ ისტორიას მომავალში თვისი მერინგი აღმოუჩნდება. დრო მიდის, სილიბისტროს ბევრი ახლობელი ამხანაგი ბრძოლას შეეწირა; ბევრი ბოლშევიკების ციხეებში წამებას განიცდიან, ვისაც ოდნავი საშუალება აქვს, მან სილიბისტროზე მოგონების შეგროვებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. ეს სახვალიოთ გადასადები არ არი.

ე. ნინიძე.

«ბრძოლა» № 9.

ხუთი წელი.

ხუთი წელი ტანჯვის და მონობის, ტყვეობის და ბორკილების!

რანი ვიყავით გუშინ? ყველაფერი!

რა ვართ დღეს? არაფერი!

ერი პატივაყრილი, ხალხი დაქცეული, მოქალაქე შეკრულ-შებოჭვილი,

საქართველოს მესაფლავენი დღეს დღესასწაულობენ თავის გაბატონებას, საქართველო კი ძაძებით გლოვობს თავის დამარცხებას და მათდამი დამორჩილებას. ისინი იცინიან და სტკბებიან, ჩვენები ოხრავენ და იტანჯებიან.

დღეს ორგვარი მოგონებაა: ერთია ჯოჯოხეთის და მისი მოციქულების, მეორეა თავისუფლების და მისი მოტრფიალეების.

ხუთი წლის წინ ქართველმა ერმა დაკარგა უდიდესი განძი—თავისუფლება და მიიღო უმძიმესი უღელი მოსკოველების. ერის უღირსი შვილები თავს დაეცენ მშობელ დედას უცხო ძალებით, ამოართვეს სული და გაბაწრული ცოცხალ-მკვდარი მიუტანეს მსხვერპლათ თავის მომავლინებელთ. ეს საშინელი სულთამხუთავი, რომლის თავია მოსკოვში, ხოლო



ნიკე ყიფშიძანია.

ბრეკეალები კი ჩვენში, სწუწნის დაუსჯელათ ჩვენს სიმდიდრეს, ჩვენს ავლა-დიდებას, ჩვენს სულიერს და ნივთიერ საუნჯეს. წაიღეს რის წაღებაც კი შეეძლოთ, გააპარტახეს რაც დახვდათ, მოსპეს მთელი ახალი კულტურა, შრომით და ბრძოლით შეძენილი, და გადაგვისროლეს უკან, დაცემის და გადაგვარებისაკენ. ისინი ღღეს ცეკვობენ ერის სასაფლაოზე.

რა სურდათ, რას ფიქრობდენ? სურდათ ჩვენი ჩაბრუნება რუსეთის სამფლობელოში, ფიქრობდენ ჩვენს გადაქცევას ძველი იმპერიალიზმის გზა და ხიდათ. საქართველო დასჭირდა მოსკოვს მეფეთა აღმოსავლეთის პოლიტიკის გასაგრძელებლათ, ოსმალეთში, სპარსეთში, შორეულ სამხრეთში სამოქმედო ბაზის შესაქმნელათ. მათ კარგათ იცოდენ, რასაც შვრებოდენ, რისთვის აგზავნიდენ თავის ჯარებს ჩვენს წინააღმდეგ. ეს იყო დიდი სახელმწიფოს შეთქმულობა პატარას ჩასაყლაპავათ. ქართველები, ამ ბოროტების მებაირაღტენი? ამათ ქვეყანა გაყიდეს და მიიღეს სამსახური! თანამდებობაზე გადასცვალეს ერის სვე-ბედი. განმეორდა სიტყვა სიტყვით ძველი ამბავი, რუსის ჯარი შემოდის საქართველოში ძეორეჯერ ქართველების წინამძღოლობით. ფაქტი ერთნაირია. მისი აზრი კი სხვადასხვაა. პირველი მოპატიჟება მოხდა უცხო მტრის მოსაგერებლათ. ეკეკავაძენი ემსახურებოდენ ქართველი ხალხის ფიზიკურათ გადარჩენას. რას ემსახურებიან მახარაძენი? რომელი მტრის წინააღმდეგ ამხედრდენ ისინი? ეს მტერია ქართველი ხალხი, მის დასამორჩილებლათ და მასზე გასაბატონებლათ მათ მოიხმეს ნამდვილი მტრები. ჩვენს წინაპართ აქვთ გასამართლებელი საბუთები. ამათ, ჩვენს თანამედროვეთ, არავითარი გამართლება, არავითარი საბუთი არ ადგებათ. ესენი რუსეთის იმპერიალიზმის ყურმოჭრილი მონებია.

ერი თავისუფალი, აღორძინებული, ახალი იმედებით და იდეალებით აღფრთოვანებული დაატყვევეს და რუსეთის დესპოტიას დაუმორჩილეს. რას წარმოადგენს ეს ბატონი, ქვეყანამ იცის. ის გამოფიტულია, არ შერჩა არავითარი ნივთიერი და გონებრივი ღირებულება, გარიყული, განცალკევებული, კაცობრიობიდან გამდგარი—აი ამ არარაობაზე ვაჟთ მიკრული და მის საჯეკნათ გადაქცეული. საქართველო ყოფილა

დამცირებული, მარა არასოდეს არ ყოფილა ასე დაბლა დაშვებული. ის დღეს უფსკრულშია, ამაზე ქვემოთ წასვლა აღარ შეიძლება. მხოლოდ სულის სიმტკიცე და იმედი ატანიებს მას ამ საშინელ ტრაგედიას. «ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსა»—ეს ძველი სიბრძნე დღევანდელი ჩვენი მნათობია. თავს დაგვატეხეს ჭირი, ჩვენ უპასუხებთ სიმაგრით. «გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა». ქართველი ხალხის გრდემლს შეასკდა უთვალავი მტერი. ასეთი ბოლო მოელის ახლანდელ მის მტერსაც; ოღონდ კი გრდემლი მუდამ სცემდეს და ერს აღვიძებდეს. აწმყო არა გვწყალობს, მარა მომავალი ჩვენია.

ჩვენი გზა მიდის აღმართ-აღმართ, აღორძინების და თავისუფლებისაკენ. აქეთ მოდის მთელი კაცობრიობა. მათი გზა კი ეშვება დაღმართ-დაღმართ, ჯაობის და ჯურღმულისაკენ. მათ არავინ მისდევს, იმ გზით არავინ მიდის, მას ყველა, მთელი კაცობრიობა, ზიზღით შეყურებს. ახლა ბრმაც კი ხედავს, რომ მოსკოვის მიმართულება გადაშენების ხიდია, აქეთ გასავალი არ არის: ამას ქვანიც კი ღაღადებენ. ამ ღაღადმა გაარღვია თვით კრემლის კედელიც და შეიტანა ხმა სინანულის. მათი დღენი დათვლილია, ხალხის ამაღლება მათი დაცემაა; ქვეყნის აღდგომა მტარვალთა დამარხვაა. ასე ყოფილა მუდამ და ასე იქნება. გლახათ დამწყები გლახათ ათავებს. ეს უცვლელი განაჩენია.

ეს ხუთი წელი, წელი ცრემლთა გუბების და სისხლთა მორევის, არის წელი ქართველი ხალხის სულიერი განკურნების. ის ამ ციხეში ინათლება მტკიცე ნებისყოფით. იბანება თავისუფლების წყაროთი და იპყრობა სასიცოცხლო ძალებით.

განვლეთ ეს ხუთი წელი, დრო მეტათ ძნელი. ჩვენი დროშა დაბლა არ დაშვებულა. დგება დრო ნაკლებათ ძნელი, შევდივართ გარდატეხის წლეებში, ჩვენი დროშა მაღლა აიწევა.

მაშ იმედი, კიდევ იმედი, მეტი იმედი!

ნ. ჟ.

«ბრძოლა» № 8.

ჩვენი კარლო.

საქართველომ ერთი უდიდესი მსხვერპლი შეიწირა საზღვარგარეთ.

აღარა გვყავს ჩვენი კარლო, ჩვენი ბრძენი, ჩვენი გამამხნევებელი და იმედის მომცემი კარლო.

მოხდა წარმოუდგენელი ამბავი: კარლომ თავის ხელით გადაიჭრა სიცოცხლის ძარღვი, თავის ნებით დააბოლავა თავისი დღენი.

რისთვის? რატომ გამოგვეთიშა საერთო უღლიდან, რატომ დაგვტოვა ობლათ ამ უცხოეთში?

ბრძენმა უარყო ბრძნული აზრი—«სიკვდილამდე არ მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა». მან კი თავი მოიკლა შუა გზაზე, ბრძოლის და ტანჯვის მიწურულში. რისთვის გაიღო ასეთი მსხვერპლი?

ჩვენ მივეჩვიეთ მსხვერპლის მიტანას, მტერმა მოგვტაცა მრავალი. ჩვენი ქვეყანა სავსეა წამებულთა საფლავით.

არ ვართ ჩვეული თავის თავის თავისავე ხელით სამსხვერპლოზე მიტანის. და აი, კარლომ გახსნა ეს გზაც და მოგვცა საშინელი მაგალითი. რატომ, რისთვის!

კარლოს ტრაღედია—ქართველი ერის ტრაღედიაა. ამ ერის ტანჯვა-წამებამ კარლოში პოვა ტრაღიკული გამოძახილი. მან ვერ გაუძლო ამ წვალების ყურებას, გოლგოთაზე გაკრული ხალხის დაავადებას და მან არჩია სამუდამოთ თვალების დახუჭვა.

კარლო პოლიტიკურათ არ მოტეხილა, ის ისეთივე კლდე დარჩა ბოლომდე, როგორიც იყო თავიდანვე. მას მუდამ სწამდა ჩვენი საქმის გამარჯვება და ეს რწმენა მას არ დაკარგვია სიკვდილამდე.

ეს მაგარი სული აღმოჩნდა სუსტ ფიზიკურ აგებულებაში. ის მოტყდა ფიზიკურათ, მისმა ნერვებმა ვეღარ აიტანა ბოროტი სულის ეს ხანგრძლივი პარპაშობა. თავის სამშობლოს ამ ზომამდე დაბეჩავება, თავის ამხანაგების მტრის მახვილით დაცემა და გადასწყვიტა თავის სისხლის დანთხეული სისხლისათვის ზემატება. სიკვდილი სიკვდილით დაითრგუნება.



ანდრეა ბსგეიმ.

კარლო უაღრესი მორალური არსებაა. მასში არ ყოფილა არასოდეს პატივმოყვარეობა, შური და ამაყობა. ის მეთაურობდა უდიდეს საქმეს, მაგრამ ცდილობდა წინ სხვა წამოეყენებია და თვითონ უკან დამდგარიყო. ის ეკუთვნოდა ეგნატე ნინოშვილის და სილიბისტრო ჯიბლაძის თაობას, რომლის დამახასიათებელი თვისება იყო—თავის დადება და მორცხვობა. წმინდა მიზანი, წმინდა საშუალება ამ თაობის სახარებაა. ამ სახარების გაბიაბრუებას, უწმინდური მიზნის და კიდევ უფრო უწმინდური საშუალების გაბატონებას ვერ უძლებს ეს ფაქიზი თაობა. სილვას გული უსკდება. კარლო ყელს იჭრის.

კარლო ღრმათ აზროვნობდა და მსუბუქი ენით იტყოდა. ის იყო მეტათ მწიგნობარი, განათლებული მოღვაწე, ჩუმი და ოხუნჯი, საზოგადოების მოყვარული და მარტოობას ჩვეული. კაბინეტის კაცი და ტრიბუნი, თბილი გულის და ცივი გარეგნობის, ნაზი ნერვების და მშრალი გონების—კარლო ერთობ რთული მორალური პიროვნებაა, ბევრისათვის ბოლომდე უცნობათ დარჩენილი.

კარლო კერძო დამოკიდებულებაში იშვიათი ადამიანი იყო. არასოდეს არ მომხდარა, რომ ის ვინმეს წაკიდებოდეს, ვინმე ცუდათ ეხსენებიოს, რაიმე ინტრიგაში მონაწილეობა მიეღოს. მას ყველაზე და ყველაფერზე თავისი აზრი ქონდა, მარა ამას იშვიათათ იტყოდა; აბა კარლო, შენი აზრი გვითხარი—ხშირათ მივმართავდით, რომ აგველაპარაკებია. მუდამ მის სიტყვას ყველა გულდასმით ისმენდა. მასში მუდამ მოსჩანდა ღრმა დაკვირვება და გულწრფელობა. როცა კარლო დუმის ტრიბუნაზე ავიდოდა, დეპუტატები თავის სკამებიდან დაიძროდენ ქვემოთ, ტრიბუნისაკენ, რომ ორატორის თვითეული სიტყვა არ გამოპაროდათ.

კარლოს არ ქონდა პირადი «მე», არასოდეს თავის ცხოვრების ამ მხარეს არ დაგვანახებდა; არავის ეტყოდა თავის გაჭირებაზე, თავის მოთხოვნილებასა და მოვალეობაზე. ასეთი იყო თვისება მისი თაობის. სილვას უკანასკნელ წერილში, სიკვდილის წინა დღეს დაწერილში, ერთი სიტყვაც არ არის მის ავათმყოფობაზე, მის პირად საქმეზე და ტკივილებზე. როგორ ცხოვრობდა კარლო, უჭირდა, აწუხებდა რამე—ამას მისგან ვერავინ გაიგებდა, ამას მის გულში იკლავდა. ამ

თაობის გაგება ახალი ხალხისათვის ძნელია, მათი პსიხოლოგია ერთმანეთს არ ეკარება. ამიტომ ძველი ამხანაგები თავისთავს გრძნობენ განმარტოვებულათ, ეულათ: ისინი მხოლოდ საზოგადო საქმით ეკავშირებიან ნაცნობ-მეგობართ, მტერთ და მოყვარეთ; პირადი გაჟივრების გამოჩენება სათაკილოთ მიაჩნიათ. ყველამ ვიცოდით, რომ კარლოს აწუხებდა თავის ქალიშვილების სვე-ბედი, მარა ამას ის მალავდა, კერძო საქმეთ მიაჩნდა და მაზე ლაპარაკსაც კი სხვების დაუმსახურებელ შეწუხებათ თვლიდა. მარა ეს არ იყო კერძო საქმე, ვინაიდან ეს მის სულს ღრღნიდა და მის თავს ჩვენს ქვეყანას ართმევდა. ამ თაობას არასოდეს არ გადაუბამს თავისი პირადი მდგომარეობა საზოგადო მოღვაწეობასთან, მათ შორის მუდამ მაღალ ზღვარს ავლებდა, ვინაიდან თავისი ფასი არ იცოდა. ჩვენი ეგნატე ისე ჩავიდა საფლავში, რომ ეგონა მისი ნაწერები მოცლილი კაცის ნაცოდვილევია და ყოველივე ღირსებას მოკლებულიო.

ეგნატე, სილვა, კარლო—ეს პირველი სერიაა ჩვენი მოძრაობის, ჩვენი ბრძოლის და განვითარების. ესენი ერთიმეორეს ავსებენ, ერთი-მეორეს აგრძელებდენ. ბელეტრისტი, ორგანიზატორი, მოაზრე; ერთი ასწერდა ხალხის გაჟირვებას, მეორე აერთებდა ამ გაჟივრებულთ, მესამე მათ აძლევდა თეორეტიულ დადასტურებას დიდ ტანიანი წიგნებით; აი როგორ დაიწყო პირველი ნაბიჯი, პირველი პოლიტიკური ამოსაღები ჩვენში. კარლოს ბოლო ხანა საყოველთაოთ ცნობილია, ბაკ'მმაც კი იცის ვინ არის კარლო და ეს არა მარტო საქართველოში. მარა მისი პირველი ხანა წყვდიადით მოცულია, მისი ცოდნა პატარა წრის ხვედრია. აი ამ დროს კარლოს სიტყვას და აზრს დიდი ძალა და მნიშვნელობა ქონდა. ის მუდამ ავტორიტეტულათ სჭრიდა და ჩვენ ახალ-ახალი ცოდნის წყურვილს გვიღვიძებდა. პირველათ კარლო აღმოაჩინა ეგნატემ. მის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ერთი ნასწავლი კაცი მოგვემატაო. კარლოს იმ დროს ერთ ხელში ეჭირა მიხაილოვსკი, მეორეში მარქსი, რაზედაც ეგნატე ოხუნჯობდა—ალბათ ერთი გულისათვის, მეორე თვალისათვისო. მარა როცა ამ წრეს მე წაუკითხე პირველი ჩემი წერილი («ეკონომიური განვითარება და ეროვნება») და კარლოს კრიტიკა მოვისმინეთ, აშკარა იყო, რომ ის მიხაილოვსკის სავსებით გამოთხოვებოდა. წერილი გადავაკეთე მისი აზრის თანახმათ. ამ დღიდან კარლო ითვლებოდა ავტორიტეტათ და მას მიმართავდენ რთული საკითხების გამოსარკვევათ.

ამ თაობის ნიშნობლივი თვისებაა თავის თავის დამცირება თავის თავის წინაშე. რა ვართ ჩვენ! არაფერი, სრულიად არაფერი—აი მათი სიტყვა-პასუხი თავის პიროვნებაზე. ეს აიხსნება იმითაც, რომ საზოგადო მოღვაწისაგან ბევრს თხოულობენ. გრძელი ადლით ზომავენ, დიდ ამოცანებს ისახავენ, რის წინაშე თავისი ძალა მცირეთ ეჩვენებათ. კარლო ამ მხრივ ჩვენი პირველი თაობის ტიპიური გამომხატველია.—კარლო, ხმოსნათ უნდა გაგიყვანოთ, უთხარი ერთჯერ; რას ლაპარაკობ, სადაური სახმოსნე მნახე, ამის ძალა სად მაქვს, მომიგო მან. როცა დეპუტატობა შევთავაზეთ, გაშტერდა, კაცი ვერ მონახეთო! ამიტომ კარლოს ლახვარივით ესობოდა გულზე, როცა ხედავდა დღეს ამდენ მაწანწალას ქვეყნის სათავეში. მისთვის საზოგადო საქმე ის წმიდათა წმიდაა, სადაც მხოლოდ პოლიტიკურათ და მორალურათ წმინდა ადამიანნი შედიან. მას ღრმათ აღშფოთებდა ამ იდეალის ჩაწიხვლა და დაცლილ მოედანზე ნაძირალთა გაბატონება. კარლო ამას ვერ ურიგდებოდა და უკვირდა—სად იყო ამდენი წუმპე დაგუბებულიო. მისთვის ბოლშევიზმის საკითხი იყო უმთავრესათ მორალის საკითხი. ჩვენი საქმე წმინდაა, საშუალებაც წმინდა უნდა იყოს—აი კარლოს ჩვეულებრივი სიტყვები, რითაც ის ხელმძღვანელობდა მთელ თავის სიცოცხლეში. ეს იდეალიზმი შეადგენდა მის ბუნებას, მის სულიერ აგებულებას, რომლის გარეშე მას ცხოვრება არ შეეძლო. კარლომ განვლო მრავალი საფეხურები. ის სულ აღმართ-აღმართ მიდიოდა, შევარდენივით ცისკენ იწევდა. მარა ყოველგან და ყოველთვის თავისთავათ რჩებოდა, თავის ბუნებას არ ღალატობდა. მისი ზნეობრივი პიროვნება არასოდეს არ გადატეხილა, არ გადაქანებულა; მისი ჩონგური, რომელზედაც ის ასე მკვეთოოთ საქვეყნოთ უკრავდა. არასოდეს ყალბ ხმას არ იძლეოდა; მას აყღერებდა თავისი გულის სიმებით, თავისი სულის ჰანგებით. მისი საქმე მას გავდა, მათ შორის საზღვარი არ იდვა. ასეთ მთლიან პიროვნებას შეეძლო თავისთავისათვის ტრაღიკული ბოლო მიეცა. და როცა ახლა ამას უკვირდები, ვრწმუნდები, რომ კარლომ გაათავა ისე, როგორც იცხოვრა. აქაც ის თავისთავათ რჩება. მასში გაღვიძა მიძინებულ თვისებამ, თავის თავი დაარწმუნა, რომ ის აღარაფერია, ის მეტი ბარგია. რის მოცემაც შეეძლო უკვე მოგვცა და ამიტომ მის არსებობას აზრი დაეკარგა. ასე სჩადიოდენ ხშირათ ძველი რომაელები, სტოიკის სკოლაში აღზრდილნი. რომელნიც ცხოვრების მიზნათ ისახავდენ არა სიამოვნებას, არამედ მოვალეობის ასრუ-

ლებას. ბრუტი დარწმუნდა, რომ ოქტავზე ვერ გაიმარჯვებს და თავის თავს ბოლო მოუღო. ამ რწმენას, მართალია, ნიადაგი არ ქონდა, ბრუტს შეეძლო კიდევ ბრძოლა და შეიძლება გაემარჯვა, მარა რაკი თავის თავი დაარწმუნა წინააღმდეგობაში, სიცოცხლეს გამოესალმა. ესენი პიროვნების როლს ისტორიაში მეტათ ამცირებენ, ამიტომ თავის თავს შესაფერ პატივს არ სცემენ.

კარლომ ხელი აიღო ცხოვრებაზე, მარა სრულიად არ აუღია ხელი საქმეზე. მისი უკანასკნელი სიტყვა, გეგეკორისადმი მიმართული, იყო: «საქმეს მოუარეთო». ცხადია ჩვენი ქვეყნის ბედი ბოლომდე აწუხებდა და მისი ერთგულება საფლავში ჩაიტანა. ყველამ კარლოს რომ მიბაძოს, საქმეს ვინღა მოუელის? ეს საკითხი უეჭველია მასაც დაებადა და გადაჭრა უბრალოთ: საქმეს თქვენ უპატრონეთ, მე გავათავე ჩემი სამსახურიო. მას ბრუტივით ბევრის გაკეთება შეეძლო, კიდევ მისცემდა მტერს არა ერთ და ორ ბრძოლას, მაგრამ ეს ჩვენი რწმენაა, მას კი ეს არ სჯეროდა და თავისი ანდერძი ჩვენ დაგვიტოვა ასასრულებლათ. და ჩვენ მას 'შევასრულებთ, შევასრულებთ ბოლომდე, შეუდრკელათ, შეუშინებლათ.

ღღეს ქართველი ხალხი გლოვობს თავის უდიდესი შვილის დაკარგვას. ღღეს მტერი თხზავს ყოველნაირ ჭორებს კარლოზე და მას თავის სადიდებლათ იყენებს. მათი ზეიმი ნაადრევია; პიროვნება მიდის, ერი რჩება და მის გულს ვერ გატეხს ვერავინ: კარლო აღარ არის, კარლოს მიერ დაწყებული საქმე აქ არის და ის მიდის წინ, წინ გამარჯვებისაკენ. შორს აღარ არის ის დრო, როცა კვდრეთით ამდგარი საქართველო კარლოს ნეშტს თავის სავანეში მიიბარებს და იქ, წამებულთა და დაღუპულთა გვერდით, უკვდავების გვირგვინით შეამკობს. მანამდე კი მის მიერ დატოვებული მეგობრები და თანამებრძოლნი ივლიან ნაცადი გზით, იდგომებიან თავიანთ სადარაჯოზე და გაორკეცებული ენერგიით დაიცავენ მის ანდერძს...

ნ. ჟ.

«ბრძოლა» № 12-13.

ნესტორ კალანდაძე—ნოე ჟორდანიას.

(ილიადა)

სამოც განვლილ გაზაფხულში სამი შეგხვდა სხივთა მფენი:
სიხარული, სიამაყე, დიდება და შვება ჩვენი.
სამი წელი მოცისკროვნე, სამი ზეცად აღმაფრენი,
წარმტაცი და საოცნებო, ისტორიის დამამშვენი.

და ჰა, დღესაც, ამ შორეულ მესამოცე წლის მწვერვალზე
მარტოს გხედავ მკერდმიშვერით უხეშ, ურიცხვ მტრისა ძალ ზე.
ხელმარჯვეთ და მედგრათ იბრძვის ცეცხლთა ალ ზე;
მით სამშობლოს მგლოვიარეს ცხარე ცრემლებს აშრობ თვალზე.

და შენ უნდა იდგე, ვითა მუხა ბუმბერაზი,
ვიდრე მოვა გაზაფხული უფრო ტურფა, უფრო ნაზი..
ვიდრე ვარდი გულს გაგიშლის, მოგეხვევა გრძნობით ვაზი,
ვიდრე მოგფენს შარავანდედს სხივი, მზეთა ნათავაზი.

მაშ იცოცხლე, დღეგრძელ იყავ, დიდებით და შვებით სრულით,
რომ კვლავ ჩვენდა სანუგეშოთ განახოთ ვარდით არ დაზრულით
ვითა ცისკრის შარავანდი, სხივთა ფრქვევით გაბადრულით,
ჯანით მრთელით, სულით მტკიცით, გულით მედგარ-მხიარულით

«ბრძოლა» № 31-32.



ნესტორ ჯალიაშვილი.

ძმაო ვალიკო!

ვასრულებ შენ თხოვნას და გწერ მოკლეთ სილიბისტრო ჯიბლაძის გარდაცვალების შესახებ.

ხუთ თებერვალს 1922 წელს სილვა დაესწრო არალეგალურ პარტიულ კონფერენციას. ათი თებერვლიდან დაიწყო მისი გულის სისუსტის. ავათმყოფობა. სულ რამოდენიმე თვის წინ იქნა ციხიდან (მეტეხიდან) განთავისუფლებული საერთო სისუსტის გამო. არალეგალური ცხოვრება ძნელი იყო ყველასთვის, ცხადია უფრო ძნელი-ხანში შესული ადამიანისთვის.

ყოველთვის ოპტიმიზმით მაგარი სილვა ყველა ამხანაგებისთვის იყო დიდი ცოცხალი მაგალითი. მეც ხშირათ ვნახულობდი—როგორც ამხანაგი და ექიმი.

17 თებერვალს 1922 წ. ის იდგა დიდუბეში რამოდენიმე დღე ერთ და იმავე ბინაზე. შეუძლებელი იყო სხვა ბინის ნახვა. რადგანაც ის მწოლიარე იყო. საღამოს მან დამიბარა და მაგრძნობინა. რომ ის ძლიერ სუსტათ იყო, იმავე საღამოს მივიყვანე ორი ჩვენი გამოჩენილი და სიმპატიური ექიმები: ბ.ბ. ვირსალაძე და ჯაფარიძე. კიდევ გრძნობებში მყოფი—სილვა მირჩევს გადავცე ამხანაგებს, რომ ყოველგვარი ნაბიჯი უნდა გადაიდგას დიდის აწონ-დაწონით და რაც მთავარია მივაწვდინოთ სრული და მართალი ინფორმაცია ჩვენ საზღვარგარეთ მყოფ ამხანაგებს.

9 საათზე სილიბისტრო გარდაიცვალა და იძულებული ვიყავი იმავე საღამოს გადამეყვანა კოლოლანოვის ქუჩაზე თავის ბინაზე. უცნობი მეეტლის საშვალებით გარდაცვალებული, როგორც ავათმყოფი, მივიყვანე თავის ბინაზე და შუაღამისას ოჯახობამ შეატყობინა მთავრობას. დასაფლავებაე ვერ დავესწარი, ვინაიდგან ვიმალებოდი.

——

ოთხი წლის შემდეგ პარიზში მოვხვდი. 7 ივნისს 1926 წ. დილის რვა საათზე სოფელ ლევილიდგან (25 კილომეტრია პარიზიდან) ჩამოიყვანეს პარიზის ვოკირარის საავათმყოფოში კარლო ჩხეიძე, რომელმაც სცადა უბრალო მაგიდის დანით მალულათ, საბნის ქვეშ ყელის გამოჭრა. რამოდენიმე

ილია ფიფია.

დღე ყველა მისი ამხანაგები და მოძმენი თავზე ევლებოდენ, რომ როგორმე გადაერჩინათ. ამაოთ. 11 ივნისს, კარლო გარდაიცვალა დიდი წვალების შემდეგ. აღვნიშნავ კარლოს შეუდრეკელ გადაწყვეტილებას სამუდამოთ მოშორებოდა აქაურობას. ვერ გადაიტანა ჩვენი დამარცხება და ვერ შეურიგდა სამშობლოს დაკარგვას.

მოკლეთ გაცნობებ ჩვენი ორი დიდი ამხანაგების გარდაცვალების უკანასკნელ დღეს.

გწერ საფრანგეთის დასავლეთი აფრიკიდან.

შენი ილია.

1953 წელი, მარტი.

ანანია სალუქვაძე.

მივიღეთ სამწუხარო ცნობა. გადასახლებაში დალია სული ჩვენი პარტიის ერთ უდიდეს ორგანიზატორთაგანმა ანანია სალუქვაძემ.

ვის არ გაუგონია, ვის არ უნახავს ჩვენს პარტიაში ანანია: ნოე რამიშვილის და ნოე ხომერიკის გვერდით ის იყო მესამე პირი. დიდი მასშტაბით მომუშავე, თავდადებული, უშიშარი და დაუღალავი აგიტატორი, ორგანიზატორი. შეუდრეკელი მებრძოლი. მისი ცხოვრება—ეს არის ასლი იმ ცხოვრების, რითაც ხასიათდება მეოთხმოცდაათე წლებში დაბადებული და პოლიტიკურ სარბიელზე გამოსულნი ხალხის შვილები.

ანანია დაიბადა 1888 წელს. 11 წლის ათავებს სახალხო სკოლას და მაშინვე ეწაფვის «აკრძალული» წიგნების კითხვას და მუშაობს თვითგანვითარებისათვის. ამ გატაცებით შეწუხებული მისი მამინაცვალი ჯამულეთ ქარცივაძე ცდილობს ის მოსტაცოს წიგნებს და ჩააბას სავაჭრო საქმეში. ამ მიზნით მას უხსნის დუქანს სოფ. ვაშლოვანში. ანანია დუქანს აქცევს ორი რაიონის პროპაგანდისტების ცენტრათ, ხოლო საქონელს ურიგებს «ნისიათ» გლეხებს და ამხანაგებს. ერთ დღეს დუქანს ალყას არტყამს პოლიცია, სჩხრეკს, ნახულობს მრავალფეროვან რევოლიუციურ ლიტერატურას, ბროშიურებს, პროკლამაციებს და სხ. ანანიას ატუსაღებენ. მამინაცვალ ის მეოხებით მას ათავისუფლებენ და ართმევენ პირობას—ამიერიდან ასეთ ნაწერებს არ მიეკარებოდა. იწყება 1906 წ. რეაქცია, გურია იცლება რევოლიუციონერებით: 17 წლის ანანია

ანანია სალუქვაძე.

იპერს მათ ადგილს, დადის სოფელ-სოფელ და აკავშირებს დანგრეულ ორგანიზაციებს, ავრცელებს ფურცლებს და ბროშიურებს, ეწევა პროპაგანდას. პოლიცია მას დაეძებს ყველა კუთხეში დასაჭერათ და როცა ვერას გახდა, იბარებენ მამინაცვალს და აძლევენ წინადადებას—ან მოიყვანე შენი შვილი ან ციხეში ჩაჯდებიო. გულგახეთქილი ჯამულეთი მოსძებნის ანანიას და ეხვეწება. ნუ მღუპავ, გამოცხადდი პოლიციაშიო. ანანია თანხმდება; ერთ დღეს მართლაც ცხადდება, მაზრის უფროსი გახარებული გამორბის კაბინეტიდან მის სანახავათ და როგორც დაინახავს პატარა ბიჭს—საშინლათ აყვირდება, როგორ თუ მატყუებთ, ანანიათ გინდათ გაასაღოთ ვიღაც ლაწირაკიო. მას პოლიციიდან გააგდებენ და იბარებენ მამინაცვალს დასაჭერათ. ანანია სიხარულით გარბის და იმალება. სიმართლე ჩქარა ირკვევა, მაგრამ ანანია არსად არის. არალეგალურ მუშაობაში ატარებს რამდენიმე წელს, სანამ 1911 წ. არ გაიწვევენ ჯარში.

ანანია დაავათმყოფდა სამხედრო სამსახურში ფილტვებით და ჩქარა სამშობლოში დაბრუნდა, მოღონიერებისთანავე ის განაგრძობს რევოლიუციურ მუშაობას გურიაში. ესწრება 1915 წელს პარტიულ კონფერენციას. ამავე წელს ის გადადის თბილისში, საოლქო კომიტეტის განკარგულებაში, როგორც პროფესიონალური რევოლიუციონერი. მუშაობს ორგანიზაციებში, თანამშრომლობს პარტიის პრესაში; დასწერა მოთხრობა «ტყის ძმები», გურიის მოძრაობიდან და საინტერესო გამოკვლევა აბასთუმანზე ძველი წყაროების მიხედვით. ესწრება საოლქო კომიტეტის დავალებით გურიის კომიტეტის და სხვა ხელმძღვანელ ორგანოების თათბირებს. რევოლიუციიდან ანანია ჩაება ახალ აშკარა მუშაობაში; ის დადის სოფელ სოფელ და მოუწოდებს ხალხს თავდაცვისაკენ ოსმალთა წინააღმდეგ. ადგენს რაზმს და იარაღით ხელში ებრძვის ბოლშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს. მუშაობს სასოფლო კომისიაში, ატარებდა სოფლათ აგრარიულ რეფორმას; იღწვის გვარდიის შტაბში. არჩეულია დამფუძნებელ კრების წევრათ.

საქართველოს დაპყრობისთანავე ის იწყებს არალეგალურ მუშაობას ოკუპანტების წინააღმდეგ, იღებს მხურვალე მონაწილეობას პირველი საჯარო პარტიული კრების მოწყობაში სახაზინო თეატრში, სადაც გამოიტანეს ცნობილი რეზოლიუცია ოკუპაციის წინააღმდეგ (10 აპრილს); ანანია შეუდგა თბილისის ორგანიზაციების აღდგენას; იბარებს კომიტეტის ძველ

წევრებს და აძლევს წინადადებას განაგრძონ მუშაობა; აღდგენილი ორგანიზაციები მას ირჩევენ განახლებული კომიტეტის თავმჯდომარეთ. მისივე თაოსნობით ეწყობა პირველი არალეგალური სტამბა; მისი თავმჯდომარეობით დგება თათბირი ცენტრ. კომ. და თბილისის კომიტეტის, სადაც აწყობენ პლანებს როგორ შეხვდენ სტალინს ნაძალადევის მიტინგზე. მიტინგი გათავდა ჩვენი პარტიის ტრიუმფით და სტალინის გაშავებით. მაშინვე დაიწყო მასიური დატუსაღება; ანანია დაატუსაღეს სხვებთან ერთათ და მოათავსეს ჩეკაში, საიდანაც ავადმყოფობის გამო გადაიყვანეს საგუბერნიო ციხეში. ერთი ძველი მეგობარი ბოლშევიკის წყალობით ჩქარა გაანთავისუფლეს. ის მაშინვე გადაიმალა. ის იმ დროს არის ცენ. კომ. პრეზიდიუმის წევრი, აბამს კავშირს საზღვარგარეთ და გვაწვდის სისტემატიურათ ინფორმაციას. სილვას ავათმყოფობის გამო ანანია ხდება მთავარი ძარღვი მოძრაობის, მისი ორგანიზატორი, ფურცლების დამწერი, ხაზის მიმცემი, ხელმძღვანელი. თავის ირგვლივ იკრებს ახალგაზდობას, აარსებს მის ორგანიზაციას, ქმნის ახალ კადრებს. როცა გადაწყდა სამხედრო ორგანიზაციების შექმნა, ანანია აარსებს თბილისის სამხედრო ბიუროს, აწყობს ყოფილ გვარდიელთა ორგანიზაციებს, აწყობს ცნობილ მუშათა დელეგაციას რევკომთან, ერთი სიტყვით მისი პირადი ხელმძღვანელობით ჩატარდა მრავალფეროვანი ორგანიზაციული მუშაობა. მანვე დასწერა სხვებთან ერთათ მუშათა დელეგაციის ცნობილი მემორანდუმი, რაიცა შემდეგ ჩვენ დავბეჭდეთ ევროპიულ ენებზე. მანვე დაარსა პროფესიონალურ კავშირებში პარტიული ბიურო, მათ სახელმძღვანელოთ. როგორც კი სტამბა ჩავარდა, ერთ კვირაში მანვე მოაწყო მეორე სტამბა ავათმყოფობის დროს აბასთუმანში. ანანიამ მიიღო აქტიური მონაწილეობა გენუის მემორანდუმის შედგენაში და მასზე ხელის მომწერთა შეგროვებაში. მანვე გამოგზავნა მემორანდუმი საზღვარგარეთ. ჩეკამ გადადვა პრემია მის დასაჭერათ. სილვას სიკვდილის შემდეგ (თებერვალი 1922 წ.) ანანია ხდება ყველა პოლიტიკური გამოსვლების ხელმძღვანელი მთელ საქართველოში; მისი მონაწილეობით იქმნა დადებული პირველი ხელშეკრულობა პარტიათა შორის და ჩაუყარა საფუძველი ინტერპარტიულ კომიტეტს. ანანია იჭერს კავშირს აჯახყებულ სვანებთან, უგზავნის ხალხს, დირექტივებს, ლიტერატურას. მას ფეხდაფეხ ედევნება ჩეკის მრავალრიცხოვანი აგენტები. ჩავარდა მათ ხელში აგვისტოში (1922 წ.) თბილისის კომიტეტთან

ერთად. ციხეში ის გამოაცხადეს ბოლშევიკებმა მძევლათ ოც რჩეულ ამხანაგებთან. ციხიდან ის განაგრძობს გარეთ დარჩენილ ამხანაგების ხელმძღვანელობას: 1922 წლის ნოემბერში ის იგზავნება სუზდალის ციხეში, სადაც დაჭლექებული მძიმე ავათ ხდება. ამის გამო მას, როგორც ფილტვებით ავათმყოფს, აგზავნიან ლივადიაში. აქედან ის აბამს მიწერ-მოწერას ჩვენთან, სახღვარგარეთ და გვამხნევებს. ჩეკამ ამ მიწერ-მოწერისათვის ლივადიდან გადაასახლა კაზაკისტანში, სადაც ამა წლის 25 ოქტომბერს ქ. ალმაცაში გარდაიცვალა.

დავკარგეთ დიდი კაცი, დიდი მებრძოლი; მისი ნაშრომი დარჩება სამუდამოთ ქართველი ხალხის გულში.

«ბრძოლის ხმა» № 57.

საყვარელო ვალიკო,

გკოცნი თბილი გრძნობით, ძვირფასი მოგონებებით, მრავალ ფიქრებით. შენი წერილი მივიღე და აგრეთვე ჩეკიც გადმომცეს. ე. ი. მივიღე ისე, როგორც გადმოგზავნე. ჩემს შესახებ თითქმის მოსაწერი არაფერი მაქვს. სასიამოვნო და კარგი რამ იყოს, მაშინ სულ სხვა საქმეა. მე ისევ აქ და მარტოდ ვარ. ჩემი მეუღლე კი სამშობლოშია გასულ წელს ავადმყოფობის გამო გაილახა და დაავატმყოფდა. პატარა ბიჭი შოთიკოც, როგორც ეხლა მწერენ, ვერ არის კარგად, ფილტვების დაუძლურება დასტყობია. ყველა ამ'ში პირობებია დამნ'ამავე. მაგრამ რა გაეწყობა. შენი გამოგზავნილიც (თუ გზაში არ დაიკარგ:) მას უნდა მივაწოდო. სხვა გზა არ არის. ეს იმიტომ რომ მე მიმავალი ვარ, ის მომავალი. არ მსურს კი ის დაიღუპოს.

საერთოდ ბევრ ადგილას ჩვენები ვერ არიან კარგად. ძალიან მაღონებს ნაპალეონისა და მასთან მყოფთა ხვედრი. ისიდორეს ეს ერთი ხანია არაფერი მოუწერია. შენი მეზობელი გ. ნადირაძე შუა აზიაში დასნეულებულიყო ძვლების ჭლექით. იქიდან აქ იალტაში გამოგზავნეს გასულ წელს თებერვალში. მიუხედავად იმისა, რომ მას უნდოდა ჩემი ნახვა, ველარ მნახა. მაშინ წერილი კი მივიღე მისი, მთხოვდა შენს მისამართს. აგრეთვე მომეწერა შენთვის თუ რამე ვიცოდი ჩემი ბიძაშვილის მელქისას შესახებ და მისთვის. მელქისას შესახებ რა უნდა მიმეწერა, რადგანც ის უკვე დიდი ხნის წინეთ ტრაღიკულად დაიღუპა.

იალტიდან ის თავის სურვილის თანახმად სიმფეროპოლ-

ში გადაიყვანეს. იქ კი დიდხანს ფეხზე აღარ უვლია. საავათ-
მყოფოში მოათავსეს. რამოდენიმე თვეების წვალების შემდეგ
კიდეც გარდაიცვალა, მგონი ნოემბრის ბოლო რიცხვებში.
უბრალო იყო ის. მაგრამ სიდინჯით და რაინდობით სავსე
მისი ბუნება. ამას ვინ იფიქრებდა თუ ასე უდროოდ მას და-
აჭკნობდა ძვლის ჭლექი, მომსპობი სიკვდილი!

განსაკუთრებით მძიმე დარჩა ჩემთვის კოლიას და ნიკოს *)
სიკვდილის შესახებ შენი ცნობა. ამ ცნობამ კიდევ უფრო
დაამძიმა ჩემი გული შავი დარდებით, მრავალი უცნობი ფი-
ქრებით, ღრმა მწუხარებით. რაღაც ცივი იყო შენი წერილის
სტრიქონები მათი დაკარგვის შესახებ. ეხლა წინ მეშლება
ახლო წარსული... წინ მეშლება მოუსვენარი სიცელქით, გა-
ტაცებით ავსილი კოლიას ცოცხალი ბუნება... მრავალი რამ
ძვირფასი დავკარგეთ ჩვენ. მრავალი საუკეთესო მეგობარი
და თავგანწირული მებრძოლი დაეცა ისტორიული მოძრაო-
ბის ბედკრულ გზაზე... სიკვდილი ჩუმად და მუხანათურად
ასრულებს თავის საქმეს... მან ჩვენ ხელიდან გამოგვტაცა ჩვე-
ნი თაობის დიდი ნაწილი. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, მთავა-
რი ცოცხალია. ვისაც უნდა მოვლა, ვის გარშემო იყრის თავს
ჩვენი ფიქრები და სიყვარული, და წინ არის მრავალი...

საერთოდ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მათ საფლავზე ტი-
რილი არ შეიძლება, ვინც დაიღუპა ტანჯულ ხალხისა და
მუშათა კლასის საქმეზე... ცხადია, ჩვენს ფსიქოლოგიურ გან-
ცდებს, ჩვენს მწუხარებას, ჩვენს გლოვას კიდევ უფრო აფარ-
თოვებს ჩვენი თვითეული საუკეთესო ამხანაგის დაკარგვა.
მაგრამ მე ღრმად მწამს, ჩვენ თუ არა, ჩვენი თანმომდევნო
თაობა მათ საქმეს დაამთავრებს. მათ ისტორიულ იდეალს
გამარჯვებას მიანიჭებს. დღეს მძაფრათ მძინვარებს მსოფ-
ლიო ჰიტლერიზმის რეაქცია, კაცობრიობის საუკეთესო ნა-
წილი მუშათა კლასის სახით განსაცდელშია. მაგრამ ეს ბორ-
კილებიც ადრე დაიმსხვრევა. რადგანაც ისტორიულ მოძრა-
ობას აქვს თავისი კანონები, თავისი ეპილოგი.

ასე მოკლეთ კი გავათავე წერა. იყავი კარგად თავს მოუ-
არე. წერილი მოიწერე. თუ ცოცხალი დავრჩი გიპასუხებ.

კიდევ მრავალს გაკოცებ. გზა გამარჯვებით.

შენი ანანია.

28 იანვარი, 1934 წელი.

---

*) კოლია ჭუმბურიძე და ნიკო ნასიძე.

ძვირფას მეგობარს.

დაეკარგე ძვირფასი მეგობარი: ულმობელმა სენმა მოგვტაცა დათიკო შარაშიძე. კაცი სპეტაკი სულის, ლმობიერი გულის, მჭრელი ჭკუის. ის გამოირჩეოდა ყველასაგან, მისი მსგავსი ჩვენს შორის არავინაა; დაჯილდოებული მრავალნაირი ღირსებით, ნიჭით, სიმტკიცით და ერთგულებით, ჩვენი დათიკო იყო ყველასათვის საყვარელი როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი. სწორეთ მასზე იყო გამოჭრილი ქართული თქმულება—თვალში ჩავარდნოდი, ხელს არ ამოისობდა. საუკეთესო ამხანაგი, ერთხელ აღებულ ხაზზე მაგრათ მდგომი, ჭირის და ლხინის ერთნაირათ გამზიარებელი, საამური მეგობარი, სასიამოვნო მოსაუბრე და გულწრფელათ თავდაბალი, დათიკო წარმოადგენდა მრავალფეროვან, მრავალ მხრიან ინდივიდუალობას, სხვადასხვა მორალური სამკაულით შეზავებულს. ყველა სასახელო წრეში ის მონატრული იყო, ყველა კარები მისთვის ყოველთვის იღებოდა. პოლიტიკოსებს შორის პოლიტიკოსი, ლიტერატორებს შორის ლიტერატორი, მომქმედთა შორის მომქმედი, მხიარულთა შორის მხიარული—სადაც კი შევიდოდა, ყოველგან მას სიყვარულით მიაძახებდენ—მოვიდა ჩვენი დათიკო! მას აფასებდენ, ის აფასებდა.

ის იყო მეტათ ფხიზელი გონების, დინჯი აზროვნების, საუკეთესოთ გამოფიქრების, ნათელი აზრის ამწყობი და დამწყობი, კალმის მკვეთრი პატრონი. მისი ნაწერები მას გვანან: ჩაქსოვილი აქვს ბრძოლაში სითბო, თავსდასხმაში სათნოება. მოწინააღმდეგეში ადამიანობა. ის იდგა ჩვენს გვერდით მუდამ, თავიდანვე, მისი გული ძგერდა ჩვენთან ერთათ, მისი ხმა უერთდებოდა ჩვენსას, მაგრამ ყოველთვის მისებურათ. შარაშიძულათ. ჩვენი პარტიული თუ საერთო პოლიტიკურ სიმფონიაში მისი ხმა გაისმოდა განკერძოებულათ, მისი მოძახილი გამორჩეულათ. ის იყო თავისებური სხვადასხვაობაში, სხვადასხვა თავისებურობაში.

მას ქონდა ერთი იშვიათი თვისება და სწორეთ ამან ჩაიტანა ასე უდროოთ საფლავში. მისი პიროვნება, პირადი ცხოვრება და მდგომარეობა მას სრულიად არ აინტერესებდა, თავისი თავი მისთვის არ არსებობდა. ცხოვრობდა ისე, ალალბედზე, სიმდიდრეს და სიღარიბეს ერთნაირათ აფასებდა, პირველს არ ეძებდა, მეორეს არ ერიდებოდა, გაჭირვებას იტანდა მხიარულათ, დალხინებას ბრძნულათ. მისი სენი—ჭაჭის ავათმყოფობა—თავის დროზე ადვილათ მოსარჩენი იყო, მაგ-

რამ აქაც მან გამოიჩინა თავისი თვისება—მორცხვობა სხვებთან, უდარდელობა თავის თავთან, გულგრილობა სიცოცხლესთან. ამავე დროს სხვის სიცოცხლეს დიდათ აფასებდა, სხვისი ავით იწვოდა, სხვისი კარგით ხარობდა.

დათიკო ვალმოხდილი პირნათლათ წარსდგა ჩვენ მრავალ დახოცილ მეგობართა წინაშე. მათი ანდერძისათვის. მათი სახელისათვის მას არ გადაუხვევია, მათი ფერხულიდან არ გამოსულა და აი ახლა მათ შეუერთდა წმინდა სიხიდისით, თავაწეულათ და სევდიანათ. ის განისვენებს იქ, სადაც განისვენებენ ჩვენი თავდადებული მებრძოლნი, ჩვენი ერის დიდი მედროშენი და მათთან ერთათ გადმოგვხედავს ჩვენ აქ შთენილთ და მოგვაგონებს—განვაგრძოთ გზა ეკლით მოცული.

მშვიდობით, ძმაო დათიკო, ხომ ხედავ არც ბუნებას ქონია სამართალი, შენ მე უნდა მმარხავდე და მე გმარხავ. შენს საფლავს დავხედავ მუდამ თვალ-ცრემლიანი...

ნ. ჟ.

«ბრძოლის ხმა» № 56.

ძვირფასო ვალიკო!

გიგზავნი დაწერილს მასალას, რომელიც, აქედან ვიცი, არ მოგეწონებათ.—გრძელია იტყვით. პირველი მოკლე იყო, ეს გრძელია და ასე იქნება სულ. ამიტომ მე დავინახე უფრო მიზანშეწონილად, რომ გიგზავნოთ ნაწილ-ნაწილ ჩემი მოგონებანი ისე, როგორც ჩემს გონებაში შენახულა, და თქვენ მანდ ისარგებლეთ. უკეთეს შემსწორებლებს და შემკეთებლებს მე ვერ ვიპოვნი ჩემი ნაწერისათვის, ვიდრე მანდ არიან. მაგალ. ნესტორ კალანდაძეს რომ მისცეთ, ის საუცხოოდ გააშალაშინებს, გააკეთებს და რამეს დაეგვანება. წერას მწერალი უნდა და მე ხომ ასეთი არა ვარ? მე ვეცდები ამ ორ სამ დღეში, ერთ კვირაში მაინც მეორე კონვერტი მოგაწოდოთ. სადაც ნათქვამი იქნება სილიბისტრო ჯიბლაძის გამასწორებელ რაზმში გასაჭირი, მისი დაბრუნება, გასოციალდემოკრატება. იქნება აგრეთვე ჩემი მუშაობა 1885 წლის შემოდგომიდან ნაროდნიკულ ნაროდოვოლცების ჯგუფში თბილისში: გოლა ჩიტაძე, პორფილე მოსეშვილი, მიხა ჩოდრიშვილი, იოსებ დავითაშვილი. რატომ წავედი მასწავლებლად. ჩემი წინამძღვარიან-კარში ყოფნა მასწავლებლად, რექტორ ჩუდეცკის მოკვლის ორგანიზაცია. ჩემი სურებში გადასელა და იქ მო-

ღვაწეობა. ვიდრე სენაკის სათავად-აზნაურო სკოლაში არ გადავედი მასწავლებლად. დავა იქ სკოლაში, რომელიც ფართოვდება და ხდება არენად ძველსა და ახალს თაობას შორის. «კვალი» და ნოე ჟორდანია ამ დავაში. ჩემი ბათუმში გადასვლა და გასოციალდემოკრატება 1897 წლიდან. კარლო ჩხეიძე, ბათუმის მოძრაობა, გაფიცვა. ჯუღაშვილი და მუშების დახოცვა 9 მარტს 1902 წელს. ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და ბენია ჩხიკვიშვილი ბათუმში და სხ.

ერეთეოზს მივწერე, რომ მოგაწოდოს შენ ის ერთი წერილი ჩემი, რომელიც მასან არის.

სალამი ყველას თქვენი ისიდორე რამიშვილი.

8 ივლისი 1934 წელი.

. მასიამოვნა შენმა წერილმა, რომ ბიძა კარგად ყოფილა და მუშაობას განაგრძობს. მისი დიდი თავი ჯერ კიდევ ბევრ სასახელო რამეს შექმნის. მისი «ვეფხის ტყაოსანი» დიდი ნაწარმოებია. ვაი, რომ მის ნახვას ვერ ვეღირსები! უცებ ძლიერ მოვტყდი, თავს ვეღარ ვცნობილობ. მე დაღალ ვა არ ვიცოდი არაოდეს, ახლა კი მეძნელება ფეხზე დგომა და სიარული. წინედ ხვლიკსავით დავრბოდი, ახლა ლოკოკინაც კი მომეწევა. შენგან 7 მანეთი და 10 შაური ამ დღეებში მივიღე და სულზე მოსწრებაც იყო.

კაცო, ვალიკო, მოხდა სასწაული და 14 აპრილს გამომიცხადეს სრული თავისუფლება, ასე რომ შინ წასვლაც შემიძლია. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს ასე არის. მეც შეეცადე წასვლას და საგზაო ხარჯათაც შენი ფულები გამოვიყენე. თუ არა ისინი, აქედან ფეხს ვერ დავძრავდი. წასასვლელი ვართ სამი—მე, ცოლი და სიდედრი. ეს ორი უკანასკნელი ძლიერ არიან დაავადებული. ცოლი ტუბერკულიოზით არის შეპყრობილი, პირიდან სისხლი მოსდის; სიდედრი სრულიად დავარდნილია და ხელით არის სატარებელი. ორივეს ისევ მე უნდა ვუპატრონო, მეტი გზა არ არის. ამ თვის ბოლოს ახ მაისის დასაწყისში გავალთ აქედან. ჯერ ბაქოში დავრჩებით ერთი კვირა, მერე თბილისს ვეწვევით. როგორ შემხვდება თბილისი, ეს მომავლის საკითხია და ამასაც მალე ვნახავ. წინათგრძნობა კი არა მაქვს კარგი. 13 წელი გავატარე მის გარეშე—მე მას გადავეჩვიე და ის მე გადამეჩვია. ერთმანეთის შეჩვევა ადვილი არ იქნება, ვფიქრობ. მაგრამ კაცი ყველაფერს შეეჩვევაო, გამიგონია და იქნება ამ შემთხვევაშიც გამირთლდეს ეს თქმულება.



ისიდორე რაქიშვილი.

კაცო, ვალიკო! მანდ არიან სხვადასხვა ადგილებში გაფანტული ჩვენი ქვეყნიდან გადასახლებული 54 კაცი. ისინი ემიგრანტებად ჩარიცხული არ არიან და შეუძლიათ დაბრუნება, თუ ისურვებენ. იფიქრონ ამაზე. პოლიტიკური გადასახლებიდან ბევრი გაუშვეს. თითქმის ყველა, ვინც ვადა გაათავა და ზოგი ისეთებიც, ვისაც ვადა არ გაუთავებიათ. არის ერთნაირი შეღავათი ამ მხრით. თუ გრძელ მგზავრობას გადავრჩით, შემდეგ წერილს თბილისიდან მოგწერ, თუ ხელსაყრელი პირობა დამხვდა იქ ამისათვის.

გაკოცებ ბევრს შენი ბაბუა ისიდორე.

17 აპრილი, 1934 წელი.

——

. . . იქნება იცი უკვე, რომ ქუთაისში ვერც ბინა და ვერც სახსარი ცხოვრებისა ვერ გავიჩინე და იძულებული შევიქენი მიმეტოვებინა ქალაქი და გადმოვსულიყავი საცხოვრებლად სოფელში, სურების ხეობაში. აქ იყო ძველთაგან ჩვენი სახლი. მაგრამ დროთა ბრუნვას ის დაუნგრევია, ახალგაზდობა დაუხოცია და დარჩენილა ცოცხალი 74 წლის მოხუცი ჩემი ძმა, რომელიც დიდი-ხნით სხვაგან იძულებით ყოფნის შემდეგ მხოლოდ ახლახანს მოსულა შინ დასნეულებული, დაძაბუნებული და შედგომია ოჯახის ფეხზე წამოყენებას. ჩვენ სამი—მე, ჩემი ცოლი და სიდედრი—ვესტუმრეთ მოუწყობელ სახლს ზამთრის პირას, უდროოდ და ჩვენი ცხოვრებაც გასაჭირში ჩავარდა. ყველაფერზე მეტი გასაჭირი გვადგას სიცივის გამო. ყოველი მხრიდან შემოდის იგი დაღრიოლებულ სახლში. დედაბრები უმეტესად დროს საწოლში ატარებენ. ბუხარი სულ გუზგუზებს. მაგრამ ოთახის სიცივეს ოდნავადაც ვერ სძლევს. ვმუშაობთ ჩვენ ორი ბერიკაცი შეშაზე, წყალზე, წისქვილში, ჩალაზე; ვაცხობთ კეცზე მჭადს, ვხარშავთ ლობიოს და სხვა მრავალ წვრილმანობაზე. ჩვენი ცხოვრების შინაარსი გამოიხატება მოკლე თქმულებაში: გათენდება, დაღამდება—სადილი და ვახშამი. ზამთარი ჭინჭყლიანი გამოდგა. დაჭყრის თოვლს. მერე დაასხამს წვიმას, დაადნობს და ისევ თავიდან იწყება. კარგია კიდევ, რომ ქარი არ იცის აქ. როცა ცა მოწმენდილია, ჩვენი ბუნებაც მაშინ მხიარულია. მთის მწვერვალებიდან საუცხოოდ იცინის მზე, თითქოს გვეუბნება—ცოტა მოითმინეთ და მალე სითბოს და სინათლეს მოგიმატებთო. და ჩვენც ამის იმედით ვცოცხლობთ. გაბაფხული, ზაფხული და შემოდგომა აქ საუცხოოა, მშვენიერი.

ვცხოვრობთ ნატურალური მეურნეობით, ფულებს გა-

ვურბიეართ ან ისინი გაგვირბიან ჩვენ. ჯერ კიდევ. როცა მოუწყობელი დავრჩით. კიდევ არის საპირო «წყეული ლითონი», ხოლო მომავალი წლიდან სრული ნატურალური მეურნეობის შექმნა გვინდა, უფულო მეურნეობის. გავიჩენთ ბოსტანს, ყანებს, ქათმებს, ძროხას და საყიდელი ცოტა რამ დაგვრჩება. ტანისამოსი და ფეხსაცმელი გვაფიქრებს, მაგრამ ჯერ გვაქვს კიდევ ტანზე ძველ-ძველები და მათ შემოხევამდის ალბათ ოთხივე ჩავბარდებით პატრონს. მე დამრჩენია კიდევ ამ დედამიწაზე 4 ნახევარი წელიწადი, როდესაც 80 წელიწადი შემისრულდება და მერე კიდევ სიცოცხლე, დამეთანხმები, ზედმეტიც და შეუძლებელიც იქნება. სხვებიც არ არიან ჩვენს მონასტერში ნაკლები წლოვანების. მოწყენილობას გაუძლებთ. ჩვენსას არც ვინმე დადის და არც ჩვენ სხვაგან დავდივართ. ნავთის საყიდლად თუ გავა როდის ერთ-ერთი «მუქიკი», როგორც მე და ჩემ ძმას იულოს გვეძახიან დედაბრები.

შენ თუ ოდესმე ჩემთვის რასმე გაიმეტებ, მისამართი ასე იქნება: ქუთაისი, მახარაძის ქუჩა № 44 რაფიელ ალექსანდრეს ძე რამიშვილს. მეტი არაფერი. ბიძა და მისი სახლობა მოგიკითხე. ხომ კარგად არიან.

შენი ...

22 იანვარი. 1935 წ.

. . . გესალმები სიყვარულით. მოგიკითხე ბიძა და ბიძაშვილები ყველანი კეთილი სურვილებით. მე ისეთი სიზმრები მაქვს. რომ არ უნდა იყვეთ მახლ თქვენ კარგად. ამიტომ დიდად დამავალებ, თუ ერთი პატარა წერილით გამაგებინებ თქვენს ამბებს. მე ახლა ახალ ადგილზე ვარ. ექვსი თვე ვიყავი ჩემს სოფელში და თავს კარგად ვგრძნობდი, განსაკუთრებით გაზაფხულზე. მაგრამ ექიმებმა დაიკინეს იქაური ჰავა მავნებელია შენთვისო და საზოგადოდ საქართველოს ჰავა გწყენსო და აქეთკენ გადმომისროლეს. არ ვატყობ, რომ ეს ჰავა სჯობდეს იქაურს. მაგრამ ექიმების წინააღმდეგ ვინ წავა! ნახევარი თვეა. რაც ვიმყოფები ქალაქ ვლადიკავკაზში, რომელსაც ახლა ჰქვია ქალაქი ორჯონიკიძე. შემიფარეს ცოლ ქმარმა ბრმებმა. ბინა მომცეს. საპეელ საც ერთად ვაკეთებთ. ბრმა დიასახლისი ჩემი ძმისწულია და ვეხმარები საოჯახო საქმეში: წყალი. ბაზარი, შეშა, ნახშირი და სხვა. ქმარი-ბრმა სამსახურში დადის. ასი მანეთი აქვს ჯამაგირი. ამას გარდა პენსია აქვთ—ცოლს 68 მანეთი, ქმარს 38 მანეთი. ცხოვრობენ ღარიბად. რასაკვირველია და მეც მათთან ერთად ვიზიარებ სიღა-

რიბეს. მეც შემაქვს საზოგადო სალაროში ჩემი მხრით გროშები, ხანდახან მეტიც. ოთახია ძალზე ნოტიო და საზოგადოდ ეს ქალაქი ძლიერ ნოტიო ყოფილა. ასე მალე დამეტყო და დამასუსტა. ჩემი ცოლი და მისი დავარდნილი დედა სოფელში დარჩენ და მათი აქ გადმოყვანა თითქმის შეუძლებელია. ჩემი ცოლი შესძლებდა მოსვლას და საჭიროც იყო მისი აქ მოსვლა—მომივლიდა, მაგრამ დედა ვერ დაუტოვებია, წამოყვანა კი არ შეიძლება დავრდომილის. ასეა ახლა ჩემი საქმე, არასასიამოვნოდ. ექიმებმა ადგილი კი მიმიჩინეს საცხოვრებელი, მაგრამ არავითარი რეჟიმი არ დამინიშნეს—არც ბინა, არც პენსია და არც სხვა რამე—იშრომე და ირჩინე თავიო, მითხრეს ცივად. რა გაეწყობა, იყოს ასე. არ ვატყობ, რომ იმათ ჩემი ჯანმრთელობა აინტერესებდეთ, პირიქით ჩემს სიკვდილზე უფრო ზრუნავენ. იქნება ასე სჯობდეს, ვინ იცის? მათ უკეთ იციან.

შენ თუ წერილი მოიწერო, მოიწერე ასე: საბჭოთა კავშირი, ქ. ორჯონიკიძე, ნოვო-ბაზარნაია ულ. № 16 ივანუ კრალაშვილი. ნეტა ნესტორი როგორ არის. იმასაც ხომ არ უწევს მაქედან აბარგვა. მომწერე მის შესახებ ორიოდე სიტყვა.

ბიძა სად იქნება ან სხვები?

იყავი კარგად. შენი ბიძა ისიდორე.

31 მაისი, 1935 წელი.

——

. . . მოგესალმები შენ და ყველას. მესიამოვნა, რომ ყველანი კარგად ხართ, განსაკუთრებით ბიძა და ბიძაშვილები. გუშინ მივიღე შენგან მოსაკითხი, რაც ფრიად გასაჭირის დროს მოვიდა. აქ საქმეს აჭრვებს ოთახის შოვნა. გუშინვე ვევაჭრებოდი ოთახის პატრონს, რომელიც თვეში 40 მანეთს მთხოვს და წინდაწინ კი 500 მანეთს. მე და 500 მანეთი გაგონილა! ახლა შენგან დახმარების მიღების შემდეგ დავუწყებ ისევ ვაჭრობას, რომ შევიდე ოთახში და გამოვიწერო სოფლიდან დედაბრებიც. ახლა თუ შევძელი ამ ფულის შეგროვება, მერე მთელი წელიწადი თავისუფალი ვიქნები გადასახადისაგან. ამ კომბინაციის სისრულეში მოსაყვანად შენი დახმარება გადამჭრელ როლს თამაშობს. ჩემი სიცოცხლე ისე გახანგრძლივდა, რომ არც მტერმა და არც მოყვარემ არ იცის, რა მიყონ და როგორ მომიაროონ. ორივეს საქმე გაუჭირვე, უფრო კი მოყვარეს, რომელსაც უხდება ჩემზე ზრუნვა. მეც მომაბეზრა თავი ამდენმა წანწალმა, აბარგვა-დაბარგვამ. რვაჯერ მომიშლია და რვაჯერ მომიწყვია ბუდე და არაოდეს არ

ვყოფილვარ დაიმედებული, რომ საცა დამიღამდებოდა, იქ გამითენდებოდა. აქაც ვუდგები ბუდის მოწყობას, მაგრამ დამცალდება კი? ჩემი მთავარი ავადმყოფობა ისეთი გამოდგა, რომლითაც დიდი ხანია ვარ შეპყრობილი და რომელიც არაოდეს არ განიკურნება—ეს არის ხალხის სიყვარული და გავლენა. ასე დაასკვნეს ექიმებმა და შორს ავადმყოფისა მისი ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზებისგან—ხალხისგანო. ასეც მოიქცეენ. აქ სრულებით გარიყული ვარ, ერთი კაციც არ მყავს ნაცნობი და ალბად განეიკურნები სენისგან. ჯერ ისევ ჩემ ბრმებთან ვარ უსინათლო ოთახში. იმათ რა უშავთ, დღედაღამე სულ ბნელში არიან. ავანთებ ლამპას, თუ ჩავაქრობ, ვერ ტყობილობენ. რომ მარცხი არ ქნან, არ დაამტვრიონ რამე ან თვითონ არ დაიმტვრევ, მე კვალდაკვალ ვსდევ, ბარბაცებენ საწყლები.

იყავი კარგად შენი ისიდორე.

30 ივნისი, 1935 წელი.

. . . მოგესალმები სიყვარულით. მომიკითხე სხვებიც ყველანი. კარგია, რომ არ მივიწყებ და ხანდახან წერილს მიგზავნი. მიწერ-მოწერა შეწყვეტილი მაქვს—არც მე მწერენ და არც მე ვინმეს ვწერ, რომ არ მივაყენო ვისმე უსიამოვნება. ალ. დგებუაძის მისამართი შენ უკვე გცოდნია. მე კი მთელი სამი წელია მისთვის არ მიმიწერია და არც მისი მისამართი ვიცი. ასეა სხვებთანაც. სრულებით მოწყვეტილი ვართ ერთმანეთისაგან. მიწერ-მოწერამ ბევრი სიმწარე გვაამა და მივანებეთ თავი.

შენმა წერილმა ძლიერ დამაღონა. მეწყინა მეტად ევას სიკვდილი. რა მოუვიდა საწყალს, რომ არ იყო ჯერ მაგდენად მოხუცებული? გადაეცი ჩემი სამძიმარი მის შვილს ვალიას, თუ ნახო. დიდად დამავალებს ვალია, თუ ერთ წერილს გამომიგზავნის და შემატყობინებს ყოველივეს ევას შესახებ და თავის გარემოებასაც გამაცნობს.

ჩემი პარტრეთი, რომლის შესახებაც შენ იწერები, ვალიკო ჩემო, რის მაქნისია, რომ გამოვგზავნო? არ ღირს. რამდენი ბერიკაცია ქვეყანაზე, რომელთაც უსრულდება 77 წელი და მეტიც, მაგრამ არავისთვის ისინი საპირონი არ არიან. რომ იყოს სამართალი, ასეთებს სახელმწიფო დახმარება შეეფერება. მაგრამ მე ვინ მომაქცევს ყურადღებას? პირიქით, ყოველი მხრით გასაჭირი მაწვება და სულს მიხუთავს. ღარაჯის ადგილიც ვერ მიშოვნია ამ ქალაქში, ვეძებ ყოველ დღე

გამწარებული. საქმე ის არის, რომ სიკვდილიც არ მოდის ჩემთან იმ სიჩქარით, როგორც მე მინდა. რაღას ვაკეთებ და რაღას ველოდები, რომ ვარ კიდევ ცის ქვეშ, არ ვიცი. იმაზე უარესი არაფერი ყოფილა კაცისათვის, როცა ის სხვისი სარჩენი ხდება და თვითონ ვერ შოულობს ლუკმა პურს თავისი შრომით. ამ ყოფაში მას თავისთავი სძულდება, სძაგს.

მაქაური ამბები ვერ ყოფილა სასიამოვნოდ დაყენებული. ერთმანეთს შორის უსიამოვნება და უთანხმოება ყოფილა ჩამოვარდნილი და აქედან კეთილი არ იქნება. 14 გაზეთის მკითხველი მანდ მე წარმომიდგენია. ნუ თუ ამდენი სხვადასხვა მიმდინარეობაა? ერთი მიმართულების ხალხს ერთი ორგანოც ეყოფოდა და უკეთესადაც დააყენებდენ. წაგებულ საქმეს, ალბად, ერთმანეთს აბრალებენ და ჭიქა წყალში ქარიშხალს აყენებენ. ფართო ასპარეზზე ბრძოლას დაჩვეულები ვიწრო ფარგალში ვერ ეტევიან და ერთმანეთს ეხლებიან. თავისთავად ყველანი კარგები არიან, მაგრამ გარემოება ხელ ს არ უწყობთ და იტანჯებიან ფეხქვეშ ნიადაგ გამოცლილები. მძიმეა ასეთ მებრძოლთა მდგომარეობა. გმირობაა საჭირო, რომ ასეთ პირობებში კაცმა თავისთავი სძლიოს და სწორი გზიდან არ გადაუხვიოს. შენ მირჩევ მოვსწერო ირაკლის, რაჟდენს და ბიძასაც, რომ დაამყარონ ურთიერთშორის თანხმობა და კარგი განწყობილება. გულით მინდა, რომ ეს ასე იქნებოდეს, მაგრამ აქედან არაფერი გამოვა. მე ვინ ვარ მათთან შედარებით, რომ მათ რჩევა დარიგებით მივმართო? მე ყოველთვის, როცა ერთად ვიყავით, მათ გზა-კვალს მივდევდი. ჩემი არაფერი გამაჩნდა და რას ეგვანება, რომ ახლა დაუწყო ჭკუის სწავლება? ვიტყოდი მაინც, რომ საქვეყნოდ ისეთი დიდი ამბები ხდება, რომ საჭიროა აუცილებლად წვრილმანობას თავი დავანებოთ და ორად გაყოფილ კაცობრიობაში ჩვენი პოზიცია მაგრად დავიცვათ საერთო სახალხო ფრონტზე საერთო მტრის—შავი რეაქციის წინააღმდეგ. ამ პოზიციის გარეშე დგომა ჩვენ არ შეგვიძლია. ამ ხაზზე თუ განხეთქილებაა, რასაკვირველია, ბრძოლაც აუცილებელი იქნება. მაგრამ აქ ხომ ორი ბანაკია და არა 14! რა გულით მინდა, რომ ერთი თვალი გადამევლო მაქაური გამოცემებისათვის, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია ჩემს პირობებში. იყავი კარგად.

შენი ბიძა [illegible].

8 აგვისტო, 1935 წელი.

5 აპრილი 1936 წ.
ვორონეჟი.

ძვირფასო ძმაო ვალიკო!

სალამი და გამარჯვება. მრავალს გაკოცებ. იცოცხლე დიდხანს.

დიდი მოკითხვა, დიდი პატივისცემით ნოეს. როგორ არის? ხომ ჯანმრთელათ და კარგათ. უსურვებ მას ჯანმრთელობას, მრავალ წელს სიცოცხლეს.

კაკი, აკაკი, ევგენი რას შვრებიან, როგორ არიან? მათაც ვუსურვებ ყოველივე კარგს, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

მე ვარ კიდევ ამ დასაქცევ ვორონეჟში. არ იქნა და არ გათავდა ვადა. მოველოდი შარშან იანვარში განთავისუფლებას, რადგანაც მეშვიდე ვადა გათავდა იმ ხანათ. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ორი წლით კიდევ გააგრძელეს ვადა. ეხლა ვათავებ მომავალ 1937 წლის იანვარში. ვნახოთ რას იტყვიან.

აქედან თითქმის ყველა წავიდა. ვორონეჟში ეხლა ვართ სამი ქართველი-გადმოსახლებული: გრიშა ლორთქიფანიძე, მე და თედორე ქარცივაძე. ეს უკანასკნელი ამ წლის იანვარში ჩამოვიდა სუზდალის იზოლიატორიდან, სადაც ხუთი წელი დაეყო.

დაწვრილებით ჩვენ ცხოვრებაზე ეხლა არაფერს გწერ. ეს წერილი მოაღწევს თუ არა თქვენამდე არ ვიცი. ეს მისამართი სწორი არის თუ არა არც ეს ვიცი.

თუ მიიღო ეს წერილი დაუყოვნებლივ მიპასუხე. მოიწერე პირველად ყოვლისა მისამართი. შემდეგ ყოველივე თქვენი ცხოვრების ავან-ჩავანი. რამდენი ხართ ქართველი მაქეთკენ. გაქვთ თუ არა სამუშაოვარი? ხალხი საერთოთ და კერძოთ ახალგაზდობა ხომ სწავლობს, იდეიურათ იარაღდება? როგორია გახწყობილება ჩვენდამი სოციალ ისტების მხრივ—აქ მხედველობაში საფრანგეთის სოციალისტები მყავს. როგორია საერთოთ მაქეთ მდგომარეობა. და სხვა ასეთები.

კიდევ თუ კითხულობთ ახლად მოვლენილ პარტიულ ისტორიკოსების ნაწარმოებთ საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის შესახებ. ამ თემაზე თუ ვინმე მანდ წერს რამეს. საჭირო კი არის.

აქეთ დემოკრატიას გვპირდებიან, ეს თქვენ ალბათ ჩვენზე უკეთ იცით. ვნახოთ რა იქნება.

სხვა ხომ იცი სალაპარაკო ბევრი მაქვს, მაგრამ ეგეც ცნობილია რომ ბევრის მდომს ცოტაც ეკარგება და ამიტომ ეხლა ამით ვკმაყოფილდები.

დიდი მოკითხვა ყველა მანდ მყოფ ჩვენ მეგობრებს და ამხანაგებს: ვალოდია გოგუაძეს, რუბენ აუშტროვს, მიკიჩას, მუხაშარიას, მათითაიშვილს, კოლია ორაგველიძეს, მეფარიშვილს და სხვებს.

იცოცხლე. მრავალს გაკოცებ.

წერილს დაუყონებლივ ველი.

შენი ალექსანდრე.

. . დიდი სიყვარულით მრავალს გაკოცებ. გისურვებ ჯანმრთელობას. მრავალ წელს სიცოცხლეს. მოკითხვა დიდ ბიძანებს და ყველა ჩვენებს.

შენი წერილი 16 ამ თვეს გამოგზავნილი მივიღე დღეს. ძალიან გამახარა, თუმცა ბევრი საწყენი ამბები მოიტანა.

მოგწერ ზოგიერთ აქაურ პირადულ ამბებს.

1) მე თებერვლის ათიდან უმუშევრათ ვარ. მიზეზი შემდეგია: 1929 წ. გავხსენი პატარა სახელოსნო 1,12 მეტრი სიგრძე და 2,12 მეტრი სიგანე. ეკავა დაახლოვებით მეტრ ნახევარი ადგილი. ამ პატარა ბუტკაში ვაწარმოებდი პრიმუსების შეკეთებას. ერთიმეორეზე თვეში ასი მანეთი შემოსავალი მექნებოდა. აქაურ ფასებთან შედარებით ეს ვერაფერი შვილი შემოსავალია. მაგრამ თავი მაინც გამქონდა, რადგანაც ცოტას სახლიდან მეხმარებოდენ. გადასახადიც იმოდენათ დიდი არ იყო, ას მანეთზე ცოტა მეტი. შარშან კი ახალმა ქარმა დაჰბერა. მომთხოვეს 710 მანეთის შეტანა გადასახადის სახით. წლიური შემოსავლის ნახევარზე მეტი. იმ წლიური შემოსავლის, რომელიც აუცილებელ მოთხოვნილებას ვერც კი აკმაყოფილებდა. გავასაჩივრე. დიდი დავიდარაბის შემდეგ დააკლეს 415 მანეთი, დამრჩა გადასახადი 295 მანეთი. ნათესავები რომ არ დამხმარებოდენ ამასაც ვერ გადავიხდიდი. შარშან იმდენი უსიამოვნება მომაყენეს ამ გადასახადის გადახდის ნიადაგზე —ჩაინიკის აწერა, მაგიდის, პრიმუსის—რომ გადავწყვიტე 1936 წლისთვის მუშაობისათვის თავის განებება. მაგრამ ამ წლის იანვრის პირველ რიცხვებში საკავშირო ცენტ. აღმას. კომ. ყრილობაზე ფინანსთა სახ. კომისარმა გრინკომ განაცხადა, რომ გადასახადები ამ წელში გადიდებული არ იქნებაო.



ალექსანდრე ფუცეტაძე.

დარჩება შარშანდელის ოდნობითო. ასეთივე ხასიათის, დაახლოვებით, განცხადება იყო მოთავსებული ვორონეჟის ფინანსიური მმართველობისაგან ადგილობრივ გაზეთში. ამიტომ მე გადავწყვიტე «კუსტარობის» გაგრძელება და 17 იანვარს ავიღე პატენტი და დავიწყე მუშაობა. 8 თებერვალს რაიონული ფინანსიური განყოფილებიდან მივიღე გადასახადის ფურცელი, რომლიდანაც გავიგე რომ ამ წელში მაქვს გადასახადი 1345 მანეთი, ორჯერ მეტი შარშანდელზე. წლიურ შემოსავალზე მეტი. ჩემი წლიური შემოსავალია მაქსიმუმში 1200 მანეთი. გადასახადს კი მთხოვენ 1345 მანეთს. ეს შეუძლებელი იყო და ამიტომ 10 თებერვალს გავანებე მუშაობას თავი. პატენტი უკან დაუბრუნე. სულ ვიმუშავე 24 დღე. ამ 24 დღეში ავიღე 20 მანეთის სამუშაოვარი. ეხლა ამ 24 დღის მუშაობისთვის მთხოვენ 385 მანეთის გადასახადს. შარშან მთელი წელიწადი ვიმუშავე და გადასახადი წაიღეს 295 მან. წრეულს კი 24 დღის მუშაობაში, რომლის განმავლობაში ავიღე მხოლოთ ოცი მანეთი, მთხოვენ 385 მანეთს. დავწერე ბევრი საჩივრები, 5 ინსტანციაში მივეცი. პროკურორმა ხელი დაიბანა. მე არ მეხებაო. რასაკვირველია ეხება. მაგრამ თავიდან მომიცილია. შემდეგ «ნალოგოვაია კომისიაში» გაირჩა. გარჩევის დროს დამიბარეს. უმეტესობა ამ კომისიისა იგივე ის პირები იყვნენ, ვინც ეს გადასახადი დამადვა. შეეცადე ჩემი პოზიციის დასაბუთებას, მაგრამ კომისიის თავმჯდომარემ უხეშათ, ფელთვეველურათ. შემაწყვეტინა ლაპარაკი «ფილოსოფოსობა არაა აქ საჭიროვო» თურმე ფილოსოფოსობა ყოფილა რომ 1345 მანეთს ვერ გადაიხდის ის კაცი, რომლის წლიური შემოსავალი მხოლოდ და მხოლოდ 1200 მანეთია. ორი განცხადება მოსკოვშია წასული ამის შესახებ. ერთიც ადგილობრივ გეპეუს მივეცი. ჯერ არსაიდან პასუხი არ არის. და არც ის ვიცი იქნება თუ არა. ისთე ყოველ კვირას დაიარებიან და 400 მანეთს მთხოვენ, რადგანაც პენი დაემატა. მე ვერ ვაძლევ, რადგანაც არ მაქვს და არც ერგებათ. მე ვაძლევ წინადადებას, რომ მიმცენ სასამართლოში. ალბათ ბოლოსდაბოლოს ასე მოიქცევიან. რას იტყვის სასამართლო არ ვიცი. მხოლოთ ერთია, თუ იმანაც ეს უსაშინლესი უსამართლობა დაადასტურა, მოხუცებულ ინვალიდ მუშაზე უმუშევრობის დროს დახმარების მაგიერ 400 მან გადახდა და შეუძლებლობის გამო იძულებითი მუშაობა, დეე იყოს ასე. ეს ჩემზე გავაგძელე ნამეტანი ლაპარაკი. თუმცა ასეთი კურიოზები ბევრი გადამხდა. ოდესღაც ეგებ მოგწერო.

2) მეკითხები ჩემი ძმების ამბავებს ვანიკოს და ვენედიქტეს. ვანიკო აღარ არის. ის გარდაიცვალა 17 ნოემბერს 1930 წელში ციმბირში, სოფელ ბრატსკში ირკუტსკის ახლოს. მას ხუთი წელიწადი ჰქონდა გადაწყვეტილი. ერთხანს მეტუხში იყო, შემდეგ ვერხნე-ურალსკში გააგზავნეს. ვადა იქაურ იზოლიატორში გაათავა. ვადის გათავების შემდეგ მისცეს გადასახლება ციმბირში ირკუტსკის გუბერნიაში. გზაში დიდხანს იყო. გვარიან ხანს დარჩა ჩელიაბინსკის პერესილკაში. იქ გაცივდა. ატკივდა ყური. ყურის ტკივილი ხათაბალა ყოფილა. ავათმყოფობა, უექიმობა, ეტაპი, ძალიან ცუდი კვება. ირკუტსკში მძიმე ავათ ჩავიდა. შემდეგ ორასი ვერსტის კიდევ გამგზავრება და ამან მოუღო ბოლო. ჩაიყვანეს სოფელ პადუნმი. იქ ძალიან ავათ შეიქნა. რადგანაც მედიცინის არცერთი წარმომადგენელი იქ არ იყო, ამიტომ ამხანაგებმა წამოიყვანეს ზრატსკში. გზაში მარხილზე პადუნსა ზრატსკას შუა გარდაცვლილიყო. «სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესა»-ო... კიდეგ კარგი იქნება თუ ის ერთი ნაფრეჭა მიწა მიაკუთვნეს და იქ მოასვენეს. შეიძლება უფრო დაწვრილებით შემდეგ მოგწერო.

ვენედიქტე კაზაკისტანში იყო. შარშან გაანთავისუფლეს. წავიდა საქართველოში და იქ მსახურობს.

ამ წლის იანვრიდან არც გრიშა არის ადგილზე. ის დათხოვნილია. მიზეზი შემდეგია: განათლების კომისარიატთან შესდგა კომისია, რომელსაც გაუმჯობესება უნდა შეეტანა განათლების საქმეში. გრიშამ მისწერა წერილი ამ კომისიის თავმჯდომარეს. წერილში მითითებული ყოფილა იმ ნაკლულოკანებებზე, რომელსაც ალაგი ჰქონია ზემო მოხსენებულ დარგში. განათლების კომისარმა ზუზნოვმა იწყინა და «უკმეხი წერილისათვის» დათხოვნილი იქნა. გრიშამ გაასაჩივრა ეს დადგენილება და უცდის პასუხს. ვნახოთ რა იქნება.

თედორე პროვიზორი არის. მაგრამ ჯერჯერობით ვერც მან იშოვა ალაგი. ასე რომ ამ ქამათ სამივე უმუშევარი ვართ. ვერც პრავიზორობა შველის თურმე ადამიანს.

შენ გაგიკვირდება და იტყვი, რატომ ზავოდში არ შედიხარო. ჩვენისთანებისათვის ქარხნის კარები დახურულია. გადმოსახლებულს შეუძლია იმსახურო მოანგარიშეთ, ბუხგალტერათ, ეკონომისტათ და ასეთებათ. ამიტომ გადმოსახლებული მუშის მდგომარეობა უფრო ცუდია, ვიდრე ინტელიგენტის. სანამ კუსტარებზე დიდი გადასახადი არ იყო, ყველა რაცხა სახელოსნოს ხსნიდა. ზოგი საპოენიკობდა, ზოგი და-

ლაქობდა, ზოგი ვპრიმუსნიკობდით, ზოგსაც ცხენები ყავდათ და დროგზე მუშაობდენ. ასე იყო აქნობამდის. კიდევ კარგი რომ ხალხი სახლში დარჩა წასული.

კალისტრატე და ლადიმერა მოსკოვში არიან. მაგრამ მათ შესახებ აგერ სამ წელიწადზე მეტი იქნება არაფერი ვიცით. არც მათი მისამართი გვაქვს.

კისლოვოდსკში არის ბენია კვაჭაძე ცოლით. ბენია ლოგინათ არის დავარდნილი. სიარული არ შეუძლია და ცოლი უვლიდა, მაგრამ ეხლა ცოლიც გამხდარა ავათ. ძმა ყავდა გურიაში, ის კლდეზე გადავარდნილა და დამტვრეულა. მორჩება თუ არა ვინ იცის. მისი მისამართს გიგზავნი. სხვების მისართები არ ვიცი.

დანარჩენი შემდეგ.

ბიძა შენი თუ არის ჯანზე კარგათ, ყოჩაღათ, ნოეს მკვლელმა გაათავა ვადა?.. ნოე რამიშვილის შვილი რა კაცი დარჩა. ხუნხუზას და სილიბისტროს შვილები რა ხალხია.

კაცო ჩვენი წარსულის შესახებ თუ სწერს ვინმე რამეს.

14 გაზეთი, ამდენი დაჯგუფება დიდი სამწუხარო არის, მაგრამ რას იზამ ემიგრაცია ასეა, ეს მისი თანდაყოლილი თვისებაა.

თქვენ ეხლა ნახევრათ გაფრანგებული ხართ არა? გერმანიის საშიშროება ძლიერია?

ნოე ბევრს წერს? უცხოელ გაზეთებში თუ თანამშრომლობს. ან თუ უცხო ენებზე რაიმე წიგნებს უშვებს. ფიზიკურათ ხომ არ არის მოტეხილი.

კარგი, მუშები მუშაობთ ქარხნებში, ლიტერატორები რომ არიან ისინი რითი ირჩენენ თავს, მაგალითათ: ევცენი, აკაკი, კაკი და სხვები.

სოციალისტურ აღმასრულებელ კომიტეტში საქართველოს ს -დემ. პ. წარმომადგენელი თუ არის. თუ არი ვინ არის პერსონალურათ.

ქართველოები და ცაგურია სად არიან.

სხვა გაფაციცებით მოველი ახალ კონსტიტუციას. პირდაპირს, საყოველთაოს, ფარულს და სხვა ასეთებს. ვნახოთ. გვპირდებიან.

იყავი კარგად. კიდევ დაგკოცნი. მოკითხვა ყველა ჩვენებს. პასუხი არ დააგვიანო.

შენი ალექსანდრე.

ვორონეჟი. 24 აპრილი 1936 წ.

——

... შენი წერილი 8 ამ თვეს გამოგზავნილი მივიღე. საინტერესო არის, მაგრამ, რასაც მე გწერდი და რაც მე მეინტერესებოდა, იმაზედ პასუხი მაინც არ არის. იწერები, «ეხლა იდეური განსხვავებაც არისო». რა თქმა უნდა, რაკი ცალკე წავიდენ, ალბათ, არი განსხვავება აზრებში. კითხვა ამაში კი არ არის, არამედ იმაში, თუ კითხვები იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, ამა თუ იმ კითხვას როგორ სწყვეტს ერთი და როგორ მეორე. შეიძლება, შენ უხერხულათ ჩათვალე ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, მაშინ ეს სხვა საქმეა.

ზაქარია მწერს დაქორწილდიო. უთხოვია კურსებელი ბრეგვაძის ქალი, გადანასახლები, ყოფილი სოფლის მასწავლებელი.

თედორე წავიდა საქართველოში. განაჩენში ეწერა: არ აქვს უფლება იცხოვროს «რეჟიმიან პუნქტებში». დღემდე არ იყო გამორკვეული, საქართველო სავსებით ითვლება ასეთ პუნქტათ თუ ნაწილობრივათ. ეხლა გამოირკვა, რომ ნაწილობრივათ. «რეჟიმიანი პუნქტები» არის საქართველოში: თბილისი, ბათუმი, სოხუმი ოლქით, მხოლოთ ამ ადგილებში ვერ იცხოვრებს, დანარჩენში კი.

ამას წინეთ ვასოს გამოუგზავნე წერილი. ალბათ, მიღებული ექნება, ეხლა შენც და იმანაც მიპასუხეთ შემდეგ კითხვებზე:

1) საფრანგეთის გაერთიანებული პროფესიონალური კავშირები რომელ ინტერნაციონალში შედის, პროფინტერნში, ამსტერდამში თუ ამათ გარეშეა.

2) საფრ. კომპარტია აძლევს წინადადებას საფ. სოციალ. პარტიას გაერთიანების შესახებ, რა საფუძველზე, თუ იცით. როგორ სჭრიან კითხვას ინტერნაც. დამოკიდებულების შესახებ მესამე და მუშათა სოც. ინტერნაც.

3) რითი აიხსნება საფრანგეთის ასეთი გაუბედავობა გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ? ეხლა, რასაკვირველია, ბრძოლა ძნელია, მაგრამ, როდესაც ჰიტლერმა ჩაიგდო ხელისუფლება, ხომ იყო მომენტი, რომ საფ. გაბედული ნაბიჯი გადაედგა, როდესაც ვალებზე უარი თქვა ან როდესაც საყოველთაო სამხედრო ბეგარა შემოიღო, ან კიდევ როდესაც რეინის ზონის რემილიტარიზაცია მოახდინა.

4) როგორ უყურებთ სოციალისტებს, გამოიჩენენ ფხას, გაატარებენ იმას, რასაც ლაპარაკობენ? აქ საქმე კეთილ სურვილებში კი არ არის, ან უნდა გაატარონ სოც. პოლიტიკა, როგორც საშინაო, ისე საგარეო კითხვებში: ბანკების, მაღა-

როების და ასეთების ნაციონალიზაცია. შეიძლება, იტალიასთან საქმის ძალიან გამწვავება, და ასეთ შემთხვევაში, როგორც სახლში, ისე გარეთ, ძალიან განმარტოებული ხომ არ დარჩება? ანდა თუ ასეთი პოლიტიკა ვერ აწარმოვა, მაშინ ღირდა განა ძალაუფლების აღება?

საერთოთ ასეთი ამბები მოიწერეთ.

იყავით კარგათ. მოკითხვა ყველა ჩვენებს.

შენი ალექსანდრე.

20 მაისი 1936 წ.

——

. . . სალამი და გამარჯვება. შენი ღია წერილი კარგი ხანია მივიღე. პასუხი გამოგიგზავნე 26 ივლისს ზაკაზნოით. ვასოსაც გამოუგზავნე მეორე ზაკაზნოი 18 ივლისს. მიიღეთ თუ არა ეს ორი წერილი, აუცილებლათ შემატყობინეთ.

სხვა ახალი აქეთ არასფერი არის. მთელი ყურადღება ეხლა ისპანიისკენ არის მიპყრობილი. მე მგონია, დემოკრატიის და რეაქციის კითხვა წყდება ისპანიაში. ფაშიზმის გამარჯვება ისპანიაში, ეს გამარჯვებაა მისი თითქმის მთელ ევროპაში. საერთოთ დემოკრატიამ და უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასმა ისპანიის რესპუბლიკანელების გამარჯვებას ხელი უნდა შეუწყოს, რაც შეიძლება ძალიან ენერგიულათ, რომ მუშათა კლასი ეხმაურება, ეს სჩანს გაზეთებიდან. მხოლოთ როგორც საჭირო არის იმ მასშტაბით, ჩემი აზრით, არ არის. აბესინიის ამბები არ დატრიალდეს და განმეორდეს. იტალია და გერმანია ძალიან ეხმარება ისპანიის ფაშისტებს, როგორც სჩანს.

ინგლისი რაცხა ძალიან თაღლითობს.

პოლონეთის საქმე როგორ არის. მგონი უმჯობესდება მდგომარეობა პოლონეთსა და საფრანგეთს შორის. კარგია, რომ ასე მოხდებოდეს.

მოიწერე მანდაური ამბები ყოველისფერი დაწერილებით. ეხლა მეტს არაფერს გწერ. ველი შენ პასუხს.

მოკითხვა ჩვენებს ყველას.

იყავით კარგათ.

თქვენი ალექსანდრე.

16 აგვისტო 1936 წ.

სალამი ვალიკოს!

რვა თვე არა, და სამი კი იქნება, არ მომიწერია. ჩვენ არა გვიშავსრა, ჩვეულებრივათ მკერდით უდგევართ ჩრდილოეთის მკაცრ ბუნებას. უფრო მადაური ამბები გვაწუხებს, საწყალი კოლია! . . . . კაცო რატომ ბიძაზე არას მწერ, როგორ არის? მაინტერესებს როგორაა ყვირილელი ან როგორ განწყობილებაშია ბიძასთან.

საზოგადოთ თავს გაუფრთხილდით და სხვა არაფერია, დრო იქნება და ნახვაცა.

მოკითხვა ყველას.

შენი ზაქარია.

6 იანვარი 1934 წ.

——

შენმა ბარათმა ბარგ აკრულებს მოუსწრო გრიგოლსა და თეოფილეს: ორივენი გაუშვეს. გავაცილეთ მრავალქამიერით, გადავკარით სადღეგრძელო პარიზისაც. სხვა შენმა ცნობებმა ვერ დაგვაყენა კაი გუნებაზე. . . . . უბადრუკები! სასოწარკვათილობამ თუ დემოკრატიის უარისყოფამდე მიიყვანათ, ქე მაინც კომუნიზმი აღეარებიათ: უკეთესი რა ნახეს ფაშისტურ დიქტატურაში? მერე, თავის გამზდელსა და გუშინდელ სამლოცველოს რომ შესევიან, ამას, ალბათ, ახალი აღა ავალებთ, მაგრამ უკეთესი იყო მაგალითი აპარელ და ჭანეთელ მდაბიო გლეხებიდან აეღოთ: ისინი ნებას არავის აძლევდენ ძველი საყდრის ნანგრევები გაებინძურებიათ, თუმცა, ეს საყდრები მათი მხოლოდ შორეული წინაპრების წმინდა სალოცავი იყო. საერთოდ, კარგს იზამდენ, რომ ქართულ თქმულებას გაიხსენებდენ, იმ თქმულებას, რომელიც გვასწავლის, რომ ომში ისეთი სიტყვები არ უნდა იხმარო, რომლებიც ზავის დროს შეგარცხვენენო....

იყავით კარგად. მოკითხვა ბიძას და ყველა ნაცნობთ. თუ ხვდები სადმე, მოკითხვა გადაეცი ყვირილელს ნახვის ნატვრით (ეხლა მადლობელი ვარ გეპეუსი, რომ არ გამომიშვეს მადეთ).

ამხანაგური კოცნით ზ. გურული.

7 თებერვალი 1934 წ.

——

. . . კარგია რომ კარგათ ყოფილხართ. ეს მთავარია, დანარჩენს დრო გააკეთებს. მე ამ ხანათ ძალიან გლახა ხასიათზე ვარ: გრიგოლის ამბავი არაფერი მომდის და ეჭვი შემდის

ცოცხალი აღარ უნდა იყოს. დეპეშა და წერილი მივიღე ოპერაცია გადიტანა მაგრამ ერთობ სუსტათ არისო, მას აქეთ კი აღარა ისმის რა. დეპეშაც გავგზავნე მაგრამ პასუხი არაა. ოპერაცია გაუკეთეს ღვიძლის, სისივნე და ჩირქი აღმოაჩდა. იქნებ მად იცოდეთ რამე და მომწერე. კ. კანდელაკის არაფერი არ ვიცი. ექვსი თვე მეტია ვორონეჟიდან წერილი არ მომდის. მეგონა, აღარც ისინი იყვენ ცოცხლები, მაგრამ ამ დღეებში იქიდან წასული ძველი ნაცნობი ამხ. მ. ბაქუნაშვილი მწერს გზიდან, ყველანი ცოცხლებიაო. მას ვადა გაუთავდა გასულ თვეში 79-ს, და იმავე დღეს მიეცათ მოწმობა. აქ ჩვენ სამი დავრჩით: ერთი ვ. ხომერიკია, ვ. წულაძის ნათესავი, ხოლო მეორე ბარამიძე ციმბირიდან გადმოვიდა შემოდგომაზე. მე კარგათა ვარ საერთოდ; მართალია ფეხი ისევე მტკივა, მაგრამ ეს ახალი არაა და მივეჩვიე.

იყავით კარგათ, მოკითხვა ყველას.

შენი ამხ. ს. გურული,

4 ივლისი 1934 წ.

——

. . . ათი დღე იქნება, რაც ღია ბარათი გამოგიგზავნე. არ ვიცი მიიღე თუ არა. გრიგოლის გადაცვალების შესახებ გწერდი და იმასაც, რომ პიღასის ამ უბედურებასთან ერთად სავალალოდ ისიც გაჩენია, რომ ასი თუმანი ვალი დადებია. იქვე გწერდი, რომ აქ ყველა კარგათა ვართ და არც მშივრებიმეთქი. ჩემი ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა, იმის გამო, რომ წელს აქეთ ცხოვრება შარშანდელთან შედარებით, საგრძნობლათ გაიაფდა, ამიტომ ჩემთვის ნუ შესწუხდები.

მას შემდეგ გამოგიგზავნე ჩვენი ფაშისტების საპასუხოთ ზ. დათიაშვილის (უკეთ ვთქვათ ამხ. გოგის) დაზღვეული წერილი. თუ მიიღე შემატყობინე თარიღიც. თარიღზე გამახსენდა: იქ 1917 წ. 12 დეკემბერზე იყო სიტყვა, ეჭვია ის ამბავი დეკემბერში კი არა, ნოემბერში, მოხდაო. შენ უკეთ გენახსოვრება არსენალში მონაწილეს. მაშ ასე: ზ. დათიაშვილის ნაცვლათ ამხ. გოგი.

იყავი კარგათ.

ამხანაგური სალამით ს. გურული.

8 აგვისტო 1934 წელი.

——

ხაქარია ბერეული.

. . . როგორ ხართ, რავა ცხოვრობთ? კარგი ხანია შენგან წერილი აღარ მაქვს. ალბათ დაგავიწყდი, თორემ შენი წერილები საზოგადოთ არ იკარგება. უკანასკნელ წერილში მწერდი, ძია სამკურნალოთაო, და ის კი აღარ მომწერე, თუ როგორ არის ეხლა. მომწერე უსათუოთ ყოველივე. პიღასი მწერს: აქაც ბოლოს აღარაფერი ისმის, არც ეორეისა, და არც ვალიკოსაგანო.

აქეთ ვცხოვრობთ ჩვეულებრივ. მე ამასწინათ შევიარე უფროსთან და გავიგე სწორი თარიღი ჩემი ვადისა, 12 იანვარიაო (მე მეგონა 16 დეკემბერი, გამოგზავნის დღე). მაინც არც ესაა შორს. ასე არის ალექსანდრესი და გრიშასიც. მათგან ისევ დამიგვიანდა წერილი და არ ვიცი როგორ არიან. გრიშა ზაფხულზე ძალიან სუსტათ იყო და მეშინია. ხო, მე მალე ეს ბინა უნდა დავტოვო (სახლი გაიყიდა) და დროებით ხომერიკთან გადავდივარ... სალამი ყველას.

შენი ს. გურული.

18 ნოემბერი 1934 წ.

. . . შენი წერილები ორივე მივიღე. აქეთ ჩვეულებრივათა ვართ. კარგი გიქნია ცაცასა და ლიზასთვის, რომ მიგიწერია. ერთობ გლახათ ყოფილან. ცაცა მწერს თებერვალში ვათავებო, მაგრამ ვერ მივატოვებ ასე მყოფ ლიზასო. კოტეს გაშვება მეც გავიგე, მაგრამ სადაა არ ვიცი.

კაცო, 13 რიცხვი ევროპიელებს სახიფათოთ ეჩვენებათ, ეშმაკის დუქინიაო, რუსებიც ამბობენ და მაგ 13 ქართული გაზეთი არ მომწონს. ურჩიე ვისმე მეთოთხმეტეც გამოსცეს. სულერთია ერთი შეშლილით მეტი იქნება თუ ნაკლები ემიგრაციის ჯარი, ამით საქართველო არც აშენდება და არც დაიქცევა. მაინც ჰიტლერის ამყოლნი ჰიტლერთან ერთად განისვენებს. წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიანო.

ხო, მე ვადას ვათავებ 12 იანვარს, მაშასადამე, ორი კვირაღა დამრჩა. ისე რავა შეირცხვენენ თავს, რომ მერვე ვადა მოგვცენ (მეშვიდეს ვათავებთ). გრიშა მწერს გამოგვიარე ერთად ვიმგზავროთო. ავად ყოფილა. სხვა სენთან ერთად ახლა ციება აკიდებია და ქინა კი არა მაქვსო. მივწერე ჩაგიყვან საშშობლოში და კახურით მოგარჩენ-მეთქი.

იყავით კარგათ. მოკითხვა ყველას, ბიძას განსაკუთრებით.

ამხ. სალამით შენი ს. გურული.

29 დეკემბერი 1934 წ.

. . . გწერ აქედან უკანასკნელ წერილს. ამ დღეებში მომცეს თავისუფლების ქაღალდი და ხვალ-ზევით ვაპირებ სამშობლოსაკენ გამგზავრებას. მივდივარ და არ მიმიხარია. დარდი მით გამიდიდდა კიდევ, რომ გრიშა მწერს ორი წელი კიდევ მომიმატესო. ალექსანდრეზე არაფერს მწერს, მაგრამ ეტყობა იმის საქმეც ასეა. ლეო კი მიდისო.

ასეა საქმე. არ ვიცი რა მელის. აქედან თბილისში მივალ, მაგრამ იქ შეიძლება არ გამწერონ. ყოველ შემთხვევაში ცოტა წააქიმება იქნებ მოვასწრო. მერე კი სახლში ავალ და იქ მოვისაზრებ სად ვიცხოვრო და სად მოვეწყო. ჩემი მიზანია ისეთ ადგილას და ისეთ საქმეზე მოვეწყო, საიდანაც საშუალება მექნება ჯანმრთელობის გამოსაკეთებლათ ვიზრუნო. რამდენათ მოვახერხებ ამას, მომავლის საქმეა. მთავარი ისაა. რომ ლუკმა-პურის ძებნაშიაც დამოუკიდებელი არ ვიქნები ალბათ. ყველაზე ადვილი იქნებოდა ჭიათურაში, მაგრამ... მაგარი ისაა, რომ შეიძლება არ გაუხარდესთ ვინმეს ჩემი იქ დაბრუნება და თვალში აჩხირებაც არ მინდა. ერთი სიტყვით, გამოურკვევლობის მორევში გადავარდი და ისედაც მოშლილი ნერვები სულ ამეშალა.

იყავით კარგად. მოკითხვა ყველას.

ამხ. სალამით შენი ს. ჯორჯელი.

26 იანვარი 1935 წ.

——

როგორა ხართ და როგორა ცხოვრობთ? უმუშევრობამ ათმ არ შეგაწუხათ? მანდ ახლა საერთო ფრონტია და ალბათ კომუნისტებიც მოგეხმარებათ სამუშაოს შოვნაში. აქეთ არაა ასე. მართალია, საერთო ფრონტზე აქაც ბევრი ლაპარაკია მაგრამ თქვენთვის. ჩვენ კი სამუშაოსაც არ გვანდობენ, თუმცა უმუშევრობა არაა. მე ქუთაისში ვმუშაობ სარეწაო კოპერაციის ხაზში. უნდოდათ მოხსნა, მაგრამ ხელისუფლება გამომესარჩლა, შენი ნაცნობი კალის ფენია კი მოხსნეს. ამბობდა დიმიტროვთან გასაჩივრებას და არ ვიცი რა ქნა. ბევრი ბრუნდება. მოწყობა კი უჭირთ.

მოიწერე თამარას წერილში, როგორია თქვენი ჯანმრთელობა და საერთოთ ცხოვრება.

ხომ არ ძლიერდება რენეგატობა ფაშიზმისკენ.

ამ-რი სალამით ყველას ს. ჯორჯელი.

30 აგვისტო 1935 წ.

გამარჯობა ვალიკოს!

გუშინ მომივიდა ცნობა, რომ საჭირო ყოფილა დაგიდასტუროთ იმ ფრანკების მიღება, რომელიც თქვენი სახელით მოვიდა აქ. ამხ. ნინოს მონდობილობით მე მივიღე სახელმწიფო ბანკის კრასნოიარსკის განყოფილებიდან 300 ფრანკი. როგორც ნინო მწერდა 100 ფრან. შეადგენს მის საკუთრებას და 200 ფრ. გვეკუთვნის: მე, ნაპოლეონს და უშანგის. 200 ფრ. ოქროზე გადატანილი შეადგენს 15 მანეთს. აქედან მესამედი, ე. ი. 5 მანეთი გავიხმარე მე, და ხუთ-ხუთ მანეთზე შევეკითხე ნაპოლეონ-უშანგის, თუ რა უნდა მეყიდნა მათთვის. ეს ის დრო იყო, როცა მდინარეების გაყინვის მოლოდინში გემთა მიმოსვლა წყდება და არავითარი საშვალება არ არის ტურუხანთან იქონიო კავშირი, სამარხილო გზების გახსნამდე. ნაპოლეონი იმყოფება ტურუხანში და დღესაც არ მაქვს მისგან მიღებული პასუხი, თუ რა საგნები შევიძინო მისთვის ტორგსინში და გაუგზავნო იქ. უშანგიმ უკვე გამომიგზავნა ენისეიდან სია მისთვის საჭირო საგნებისა და გაეგზავნება. ამხ. ნინო თავისას ალბად დაგიდასტურებდა. ასე მოიქცევიან ნაპოლეონ-უშანგიც. ჩემი ნივთები, რომელიც თქვენთან ყოფილა, დიდ ბარაქას არაფერს წარმოადგენს, თუ ვისმეს რამეში გამოადგება და ერთ ათიოდე ფრანკსაც მოიძულებს, მადლობელი ვიქნები. რაც შეეხება იმას, რომელიც სტამბოლში იყო ამხ. ვ. წულაძესთან დატოვებული, იმის შესახებ მივწერე ამას წინად ამხ. ჭიჭიკოს, თუ შეიძლება მისი ფრანკებად ან ლირებად ქცევა და გადმოგზავნა, დიდათ დამავალებთ.

მხურვალე სალამი ძვირფას ნოეს, აკაკის, ევგენის, მიშას. კოწიებს და აგრეთვე სხვა ამხანაგებს. ვანოდან ზურაბს სალამი. ამ წერილის მიღების შემდეგ, იმედი მაქვს, თქვენც მიპასუხებთ. იყავით კარგად.

თქვენი გრიგოლი.

14 იანვარი 1934 წ.

. . . შენი ღია ბარათი მივიღე. მესიამოვნა წერილის მიღება. მხოლოდ ძლიერ დამაღონა გარდაცვლილ ამხანაგების ცნობამ. სამწუხაროა, მაგრამ ვაი რომ მწუხარების გამოთქმაც საქმეს არ შველის. ჩემი ნივთების შესახებ აბა შენ იცი, ჩემო ვალიკო. ვასოსაც შემახვეწე, და რაც შეიძლება დროზე მომაწოდეთ, თუ რამე აიღოთ ნივთებში. მე ჯერ კიდევ გასულ წელსვე მქონდა დანიშნული საცხოვრებლად ქ. ენისეისკი, დავრ-

ჩი კრასნოიარსკში სრულიად შემთხვევით. წელს მდინარეების გახსნისა და გემთა მიმოსვლის დაწყებისთანავე მომიწევს ენისეისკში გამგზავრება. ეს იქნება დაახლოვებით ივნისის პირველ რიცხვებში. ენისეისკში «ტორგსინი» არ არის და მერე მისი გამოყენება თუ რამე მომიწია ჩემი ნივთებიდან იქიდან ძნელი იქნება. აქ ამჟამად, მე რომ ვიცნობ შვიდი თუ რვანი ვიქნებით. უფრო მეტი იყო, მაგრამ გასული შემოდგომიდან ბევრნი წავიდენ სამშობლოში. ბიძინა და აპალონ ბახტაძეც საქართველოში არიან. საერთოდ გასული წლის ზაფხულიდან დაიწყო ვადაგათავებულების დიდი უმრავლესობის სამშობლოში დაბრუნების ნება. კოტე და მისი ჯგუფი ათავებენ ამაწლის სექტემბერში და მერე თვითონ მოგწერენ თავიანთ მისამართებს. მოსაწერი მეტი მაქვს, მაგრამ ეს ღია ბარათი ვერ დაიტევს. შემდეგისათვის გადავდოთ. ჟიჟიკომ თუ მიიღო ჩემი და შალვას წერილი? მოიწერე მაქაური ამბები.

გულითადი სალამი ყველას.

შენი გრიგოლი.

3 მარტი 1934 წ.

. . . გილოცავ პირველ მაისს და გისურვებ კარგად ყოფნას. შენი ღია ბარათი კარგა ხანია მივიღე. მივიღე აგრეთვე 600 ფრანკი (ანუ 45 მანეთი ოქროთი ტორგსინის ხაზით). ნაპოლეონს და ღლონტს მაშინვე შევატყობინე მათი კუთვნილი 400 ფრანკის შესახებ, და ველი მათგან პასუხს. ის 200 ფრანკი, რომელიც ჩემ ძველ ამხანაგებში შეგიგროვებია, მოვახმარე აქ ჩემთან მყოფ ხელმოკლე ამხანაგებს. გადაეცით ჩემს მაგიერ მათ დიდი მადლობა ასეთი თანაგრძნობისათვის. ამ ფულების მიღება მაქაურ ბანკსაც დავუდასტურე.

მე მივიღე სტამბოლიდან 40 ლირის ანგარიშით (36 მან. და 56 კ.), ამ ფასად გაყიდულა ჩემი ნივთები, როგორც ვასო მწერდა თავის წვრილში. ამჟამად ამით გვარიანად მოვითბეხელი (როგორც იტყვიან). ნაწილი იმ საგნების ნაწილის ყიდვაში დავხარჯე, რაც იქ მქონდა. მთლად იმის შეძენას სამი იმდენი და მეტიც მოუნდება. კიდევ კარგად გაყიდულა. 10 წ. განმავლობაში მეგონა სულ გაფუჭდებოდა...

მხურვალე სალამი ბიძიას.

სალამი ბრადიაგას, სარდიონს და სხვებს.

შენი გრიგოლი.

1 მაისი 1934 წ.

ძვირფასო ამხ. და ძმაო ვალიკო!

მიიღე ჩემი გულითადი მხურვალე გამარჯვება და მრავალი მხურვალე კოცნა, იყავი კარგათ. ამხანაგო, მივიღე თქვენი ღია ბარათი ნინოს საშვალებით და ჩვენთვის გადმოგზავნილი 300 ფრანკი. რაც შეეხება აქაურ მდგომარეობას, ძნელია იმის აღწერა, არა თუ პოლიტიკური თავისუფლება, არამედ პური, მარტო პურზეა მთელი ყურადღება, ხვალე რითი გამოიკვებოს კაცმა თავი—ეს არის ძირითადი და მთავარი, რაც შეეხება პოლიტიკურ გადმოსახლებულებს, თვეში უხდებათ ათი დღე შიმშილობა, რადგანაც სურსათის ნორმა არაა საკმარისი, დასამატებელი კი არსაიდან არ იშოვება, რადგან ბაზარი არაა და ყოველივე სურსათი აღებულია ანგარიშზე. 17 ქართველი ვართ ამ პატარა სოფელში და არა ქალაქში. ამათგან ორი მუშაობს, დანარჩენი უსაქმოთ არიან. ვითომ ვცადეთ ტყეში წასვლა შეშაზე. 60 გრადუს ყინულში მოჭრილი შეშა 5 კილომეტრის სიშორეზედ მარხილით უნდა ათრიო და მიყიდო ვიღაცას ნახევარ ფასათ. ეს კიდევ არაფერია, რომ იმ ფულით პურს იყიდიდე კაცი, სხვას არავინ დაიძებს. როსკოში მარტო ახალი აზნაურებისათვის არის. მე, მართალია, ვიყავი ენისეიში, მაგრამ იქიდან გადამასახლეს ტურუხანის მხარეს ერთ პატარა სოფელში, იქაც მოვიდენ აგვისტოში და დამაპატიმრეს და რამოდენიმე ხნის შემდეგ გამათავისუფლეს ხელწერილის ქვეშ, რომ არსად წავალ აქედგან, სანამ მოსკოვი რამე განაჩენს გამოიტანდეს. რაც შეეხება პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ, არაფერს გწერ, იქნება იფიქრო, რომ მეშინოდეს? არა, მომბეზრდა ლაპარაკი მუდამ ერთ და იმავეზე. თავისთავათ მისახვედრია, როცა ადამიანი ერთ გირვანქა პურს ვერ იყიდი, რაც შეეხება: ხორცს ერბოს, შაქარს, რძეს, კვერცხს და სხვას, ეს ხომ ახალი ხილია. არ იფიქრო, როგორც მანდ იშოვნი ისეა აქ, არა ძმაო, ჩვენი ულუფა 15 კილო პურია და ეს არის სუყველაფერი, იცხოვრე როგორც გინდა. რაც შეეხება გონების საზდოს, ნაკლებია გაზეთი, ჟურნალი ვინ იცის როდის მოგიწევს და ისიც კარგია თუ მიიღე თუ გინდ დაგვიანებით. მიხვდები რა ქაღალდზედ ვწერ, ესეც ძველი ნაშთია თორემ სადაა ქაღალდი.

ჩემთან ცხოვრობს ორი ამხანაგი ერთი გ. ღლონტი, მეორე ლ. წერეთელი უმაღლესი ცოდნით. ვალიკო, მანდ არის ვ. ღლონტი, ძმა არის ჩემთან და გთხოვათ თუ მანდ არის ან იმან, ან თქვენ გვაცნობეთ მისამართი.

ახლა სალამი სუყველას, ვისთვისაც მისაღებია ჩემი გამარჯვება. ვალიკო, იქნება შეხვდე ვალოდია გოგუაძეს, ვასო წულაძეს, დავით შარაშიძეს და სხვებს, ვისაც არ დავიწყებია ჩემი სახელი, გადაეცი სალამი. აქედან მოკითხვა ამხანაგებმა. მართალია, მეტი ნაწილი ახალგაზდობა არიან და იქნება ვერ გიცნობთ, მაგრამ ხო იცი, სული სულს იცნობსო. პირადათ მე ვარ კარგათ, მართალია ხანში ვარ, მაგრამ სულიერათ ქვასავით. გრიგოლი ციხიდან გაანთავისუფლეს და არის კრასნოიარში საქმის გამორკვევამდის. იყავი კარგათ.

შენი ამხანაგი და ძმა ნაპოლეონი.

28 იანვარი 1934 წ.

. . . მიიღე ჩემი მხურვალე გულითადი გამარჯვება და მრავალი კარგი სურვილი, იყავი კარგათ.

ვალიკო, თქვენი გამოგზავნილი 300 ფრანკი ნინომ გადმოგვცა, რაზედაც გმადლობთ ამხანაგური გახსენებისათვის. ვალიკო, წერილი დაზღვეული წინათ მოგწერე ალბათ მიიღებდი თუ გზა არ აერია სადმე, ეს ნინოს საშვალებით მოდის. ვალიკო, მომიკითხე ვალოდია გოგვაძე ოჯახობით. აგრეთვე მომიკითხე: ვ. წულაძე, დ. შარაშიძე, მ. არსენიძე, სვ. მდივანი და ყველანი. მე ისე ვარ, როგორც გინახივარ 19—20 წ. ცხენზე მჯდარი. ვერ გამტეხს გარდა სამარისა, სამარესთან რა მინდა, იმასაც მოესწრება კაცი. ასე ჩემო ამხ. ვალიკო. იყავი კარგათ.

10 თებერვალი 1934 წ. შენი ნაპოლეონი.

შენი გადმოგზავნილი 400 ფრანკი მოვიდა და 5 ივლის ღლონტმა მაცნობა, რომ 100 ფრანკის გადაუგზავნა ბარათი, რაც ესაჭიროებოდა. ამხ. ვალიკო, ცაგურიას სამი ბარათი მივიღე შენს ბარათთან ერთად და მისამართი არ აქვს, მაგრამ შენ მისამართზე მოვა, იმედია, გადასცემთ. ეხლა უღრმესი მოკითხვა ჩვენი ერის და პარტიის წინამძღოლს და საყვარელ სულიერ მამას ნ. და აგრეთვე სუყველას, ვისთვისაც მისაღებია ჩემი გამარჯვება. მანდ იყო ჩემი პროფესიის ამხანაგი, ქარსელაძე, სახელი არ მახსოვს, ასოთ-ამწყობია, მოკითხვა ჩემგან.

ვალიკო, შენ მწერ, რომ თუ ვისმეს მისამართები გაქვს მომეცეო, მისამართი 70 ამხანაგის მაქვს. მაგრამ საჭიროა თუ არა სუყველასი არ ვიცი. მე რამოდენიმესას გაცნობებთ: ვ. ქარცივაძე იაროსლავის ციხეშია, იქ არის გრიშა გიორგაძეც სამი წლით, ქალაქ ტარაშია გიზო ანჯაფარიძე. მ. კალანდაძე, კ. კობალავა, გ. ბელთაძე და სხვანი. ვალერა ბილანიშვილი,

იუსტ. ჩიქვანი, მილ. სიხარულიძე სუზდალის ციხეში არიან. ანდრონიკაშვილის ჯგუფი ერთად გამოვლენ 6 სექტემბერს 10 წლის შემდეგ. კ. ანდრონიკაშვილი, ჯინორია, ჯავახიშვილი, ბოჭორიშვილი, იშხნელი ერთად ნახავენ ბოლშევიკების სოციალიზმს. უშანგი ელიავა მარტში გაუშვეს სამშობლოში და თბილისიდან მომწერა წერილი. ლიზა ბოლქვაძე არის ქ. მინუსინში მრავალ ქართველებთან. ქ. ოიხოტურში: მარო კალანდაძე და სხვები. გრიშა ლორთქიფანიძე, ალ. დგებუაძე, ბაეუნაშვილი, კ. კანდელაკი და სხვები ვორონეჟში. ენისეიში პავლე ბერიშვილი, ტატე შოშიაშვილი და სხვები. ისიდორე რამიშვილი ტაშკენტშია. ძმაო, არ არის ისეთი მხარე რუსეთში, რომ ქართველი პოლიტიკური არ იყოს. ოიხოტურაში დავკარგეთ საუკეთესო მუშაკი თომა კეპაყმაძე, ფოთის მუშა, ჩემთან გაატარა სამი წელი ზემო ურალის ციხეში. ასტრახანის ციხეში ქართველებმა შიმშილობა გამოაცხადეს რომ მათი საქმე დაეჩქარებიათ. შიმშილობის გაგრძელებას მოყვა ორი ძველი მუშაკის დაკარგვა: ტრიფონ სამხარაძე და ანდღულაძე.

ძნელია, ამხანაგებებო, იმის თქმა, თუ რამდენმა ქართველმა ჩაყარა თავისი ძვლები ცივ რუსეთში, ყველა ესენი რომ აღნუსხვო, ამას დასჭირდება რამდენიმე ტომი. კაპიტონ ანჯაფარიძე არ ვიცი სადაა, კაზანის ციხეში იყო და ახლა არა მაქვს ცნობა, მიწერ-მოწერა ციხეში მარტო ნათესავს აქვს უფლება, დანარჩენს არავის. ლადიმერა ჯიბლაძე და კალისტრატე გოგუა, მგონია, მოსკოვში მსახურებენ. ზაქარია-ლეო აღარ ვიცი სად არიან, დავკარგეთ ერთმანეთი მრავალი დატყვევების და გადაყრა-გადმოყრის გამო სხვადასხვა კუთხეებში. ვალიკო, სურათს გიგზავნი, ერთში 2 ვართ, გრძელიძე და მე. მეორე სურათს, სადაც 46 ქართველით ენისეი'ში 1932 წ. ძეგლის გახსნისას გადავიღეთ დაუვიწყარ ამხ. მოლარიშვილის საფლავზე. იქ მაშინ ქართველები 100 ზე მეტი იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ დაესწრენ. ვალიკო, კარგი იქნება, თუ მაქაური ამხანაგები მოგვაწვდით სურათებს. მანდ არაა დიდი გასაჭირი, ხუთ წუთში მზათა და არც იმდენი ხარჯები. ჩვენთან სადაა ფოტოგრაფი, არც იციან. მე ეხლა გადამიყვანეს პატარა სოფელში, სადაც 12—15 კომლია, ესაა შენი საზოგადოება. იყავი კარგათ.

შენი ძმა და ამხანაგი ნაპალეოლი.

12 ივლისი 1934 წ.

ძვირფასო ძამია!

მიიღე ჩემი გულითადი სალამი და ყველა კარგი სურვილები. შენი წერილის შემდეგ ორი წერილი გამოგიგზავნე. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ, დღეს დავრწმუნდი, რომ ვერ მიიღებდი, რადგან ისე არ დამიწერია მისამართი, როგორც წესია. ლიზა ისევ ავად არის, პირველ ამ თვიდან ისევ მოუმატა სიცხემ და იმ გვერდში, სადაც წყალი ჰქონდა დაეწყო ანთების პროცესი. ისევ გართულდა ავადმყოფობა. ექიმები, როგორც გწერდი, ძლიერ ყურადღებით ექცევიან, უწერენ სხვადასხვა წამალს, განსაკუთრებით კი გაძლიერებულ კვებას და სითბოს. ჩვენდა საუბედუროდ, წელს აქ მკაცრი ზამთარია, ყინვა და ქარი, ოთახი ცივი გვაქვს, გვიხდება გამუდმებით ცეცხლის ნთება. შენ არცკი გეცოდინება, ლიზას ავადმყოფობის ამბავი თუ ჩემმა წერილმა ვერ მოაწია შენამდე, ამიტომ გავიმეორებ, რასაც გწერდი ავადმყოფზე. 21 ამ თვეს შესრულდება ექვსი თვე, რომ წევს ლიზა, მეტად მძიმე ავადმყოფი იყო. თვე და ათი დღე იწვა ტუბდისპანსერში, ძალიან კარგად უვლიდენ, ექიმები მეტად ყურადღებით ექცეოდენ და დაიხსნეს სიკვდილიდან. თავიდანვე ჰქონდა ანთება ფილტვების, წყალი გვერდში და გულის ძლიერი დაავადება. ტუბერკულიოზიან ფილტვებს ასეთი ავადმყოფობის დამატება რაღად ეჭვიანებოდა, ამიტომ გართულდა ექიმობის პროცესი. გაგვიცივდა და ამის მიზეზი იყო, რომ ისევ დაეწყო ანთების პროცესი. ორი დღეა უკეთესობა ეტყობა, სიცხე იკლებს ნელის ტემპით. საერთოდ, მეტად მაღონებს ამის მდგომარეობა. განსაკუთრებული მოვლით შეიძლება უკეთ შეიქნეს, მაგრამ გაზაფხული ცუდათ იმოქმედებს ამის დასუსტებულ ორგანიზმზე. დიდი ზრუნვა-მოვლა იქნება საჭირო, რომ გადაურჩეს ამის ფილტვები და გული გაზაფხულს, არ ვიცი, ამას როგორ შევძლებთ. არ გვეყოფა მატერიალური შესაძლებლობა, რომ ისე ზუსტად შეუსრულო ყველა ექიმის რჩევა-დარიგება.

მე ამ თვეში მინდოდა შინ წასვლა, ხუთიდან უკვე მივიღე რკინისგზის ბილეთი, მაგრამ გადავწყვიტე ისევ ცოტა ხნით დარჩენა, როგორ შემიძლია ასე მძიმე ავადმყოფი დავტოვო ეს, სანამ კარგად არ გახდება, ვერ წავალ.

შენი დახურული წერილი ორჯერ მიიღო ლიზამ. უდიდესი მადლობა ორივემ ყურადღებისათვის. კოტეს მივწერე შენი სალამი. ლიზას წერა არ შეუძლია და ვერ გწერს მიტომ. როგორ არის ძია და სხვა ჩვენი ნათესავები?

16 იანვარი 1934 წ. შენი ცაცა.

. . . როგორ ხარ? რამოდენიმე წერილი გამოგიგზავნე შენი ორი წერილის შემდეგ და აღარც ერთზე პასუხი არ არის შენგან. ავად ხომ არ ხარ? ლიზა ისევ წევს. ხან უკეთ შეიქნება მცირე ხნით, ხან კი ძლიერ ცუდათ არის, ადგომა არ შეუძლია, საერთოდ დამაფიქრებელია ამის მდგომარეობა და ავადმყოფობის მსვლელობა. ვექიმობთ შეუწყვეტლად, დისპანსერში იწვა თვე და ათი დღე, სამი თვეა რაც გამოვიყვანე, საჭიროა ისევ დავაწვინოთ.

კოტესა და გრიგოლს გადავუგზავნე შენი წერილი.

შეიძლება ჩემი წერილები არც კი მიგიღია. როგორ არის ჭიჭიკო? ჩემი წერილი თუ მიიღო.

მიიღეთ ჩემგან და ლიზასაგან მრავალი კოცნა ყველამ.

შენი და ცაცა.

17 თებერვალი 1934 წ.

— —

. . . მიიღე ჩემი გულითადი სალამი და ყველა კარგი სურვილები. როგორ ხარ?

ჩემი წერილი თუ მიიღე, გეცოდინება, რომ მე უკვე საქართველოში ვარ. დავტოვე ლიზა ისევ ავადმყოფი, რომ არ წამოვსულიყავი აღარ შეიძლებოდა. თითონ წუხდა, რომ დავრჩი, ამიტომ წამოვედი. მაწუხებს მისი მდგომარეობა, მაგრამ რას ვიზამ! სანამ იქ ვიყავი მე გწერდი მის მაგიერადაც. გაცნობე შენი წერილების მიღება. ჩემიანები ცოცხლები დამხვდენ, უბედური დედას გარდა. ნათესავები ჯერ ყველანი არ მინახავს ვინც აქ არიან. ამ ჟამად მე და ზაქარია ქუთაისში ვართ, იმას შეპირდენ ადგილს, ალბად, მალე მოეწყობა. მე ჯერ არ მითხოვია. ისიდორე ისევ მიდის ვლადიკავკაზში. მაცნობე შენი ამბავი ქუთაისში მოკითხვამდე ზაქარიას წერილში, ის გადმომიგზავნის სადაც ვიქნები.

იყავი სულ კარგად.

შენი და ცაცა.

1935 წელი.

ძვირფასო ძამია ვალიკო!

ეს მესამე წერილი არის, რაც ჩემს ცოტათი მოჯობინების შემდეგ გიგზავნი, შენგან კი აოც ერთი სიტყვა. არ შემიძლია დავიჯერო, რომ არა მწერ. როგორ ხართ, ჩემო ვალიკო? როგორ არის ბიძა ჩვენი? ნეტავი ის იქნებოდეს კარგათ და იმის ნახვას ვეღირსებოდე, და სხვას არას დავეძებ, ე. ი. ჩემს თავს არ დავეძებ. ჩემი ჯანმრთელობის შესახებ გწერდი დაწერილებით დახურულ ბარათში, ეხლა კი ბევრათ უკეთა ვარ, 15 დღე არის რაც წამოვდექი და ოთახში შემიძლია გავლა. ვეჩვევი სიარულს, როგორც ახალ ფეხადგმული ბავშვი. გვერდში სითხე თითქმის სულ აღარ არის, ფილტვებიც დიდათ უკეთ არის, სისხლს აღარ მახველებს, მხოლოდ სიცხეს ძალიან ცოტას მაძლევს საღამოობით, მაგრამ ეს ოხერი გული აღარ მასვენებს, დიდათ დაავადებული არის. გასუქება დავიწყე, რაც ექიმების აზრით, რამდენათ კარგია ფილტვებისათვის, იმდენათ ცუდია გულისათვის. მომბეზრდა ყველაფერი, წარმოგიდგენია 9 თვის წოლა და მე? მიუხედავათ ამდენი ავადმყოფობისა, ვგრძნობ, რომ სული მაინც ჯანსაღი არის და წარმოიდგინე ახალგაზდაც. მხოლოდ შრომის უნარს შევინარჩუნებდე და არ დავრჩებოდე ასე ყოველთვის სხვების შემაწუხებელი...

ცაცას წასვლის შესახებ გწერდი, რომ ძლივს გავდევნე, არ უნდოდა დავეტოვებინე ავადმყოფი, მაგრამ მის მოცდას აქ ვერ დავეთანხმებოდი. მრავალი რამის მოწერა მინდა, მაგრამ შესაძლებლობა ხელს მიშლის, თითქმის ამასაც ძლივს გწერ. შენ იცი თუ მოიწერები.

სალამი და სურვილი ადრე ნახვისა ყველას.

შენი და ლიზა.

11 ივნისი 1935 წ.

ხალამი ვალიკოს!

გადმომცეს ტორგსინის ხაზით ასი ფრანკის ღირებულება. შემმატა სულიერი სიმხნევე, შემიმსუბუქა მატერიალური მდგომარეობა. ჩემი მატეოიალური მდგომარეობა ისე საეალალოა, რომ კითხვადაც არ ღირს, მილებულმა კი უზრუნველ მყო ორი თვით. ვცხოვრებ ნარიმის მხარეში, სოფელი კულპაშევი, რომელიც ეხლა ნარიმის მხარის ცენტრად ითვლება. სამუშეევარზე ვერ მოვეწყვე. ვარ სრულიად განმარტო-

ებით. ქართველთაგანი აქ არავინ არის. იმედი მაქვს, რომ ჯანმრთელობა და სულიერი სიმტკიცე შემაძლებინებს გადავითრიო თავიდან ყოველგვარი დაბრკოლებანი.

ჩემი მისამართი ასეთია: «დასავლეთ ციმბირის მხარე, ნარიმის ოლქი, ს. კოლპაშევო, მოთხოვნამდი».

დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

სალამი და მოკითხვა მოკეთეებს. გისურვებთ ყოველივე კარგს.

პატივისცემით მიხ. ბოტორიშვილი.

7 ივლისი 35 წ.

სალამი ვალიკოს!

გისურვებ ჯანმრთელობას, რომელიც საწინდარია ყოველივე ბედნიერებისა. სხვა როგორ გიკითხო, როგორ ცხოვრობ, როგორა ხარ?

შენი მისამართი, ძმაო, შემთხვევით ჩამივარდა ხელში. პ. რამიშვილის ამხანაგი მოიყვანეს აქ და იმან გადმომცა. მე რომ მქონდა, ის კი დამეკარგა იმ დროს, როდესაც ტაშკენტიდან აქეთ გამეგზავნა. პიმენს შენი გამოგზავნილი ფული მიღებული აქვს. ბევრი რამ მინდა მოგწერო, მაგრამ ჯერ ამ მოკლე წერილს გიგზავნი, და ამის პასუხს თუ მივიღებ, შემდეგ მოგწერ ყოველივეს. ჩემი ძმა აღმოსავლეთ ციმბირში გაგზავნეს, მე კი აქ დასავლეთ ციმბირში. ვცხოვრობ ისე, რა, გვარიანათ.

გკოცნი შენი ძმა ვანიჩკა.

13 იანვარი 1934 წ.

. . . გისურვებ ყოველივე სიკეთეს. სხვა, ძმაო, შენი წერილის პასუხი დამიგვიანდა სრულიად უბრალო შემთხვევით.

ვალიკო ჯან როგორა ხარ? როგორ გიკითხო? წერილი, თუ ძმა ხარ, ხშირათ გამოგზავნე ხოლმე.

ჩემს ამბავს თუ იკითხავ ვალიკო, მე ვარ გვარიანათ, ვეწევი მეჯღანობას (ვკერავ ჩუშტს), მაგრამ ფინადელი მაჯლაჯუნასავით დამაწვა თავზე, მაგრამ, რომ დარწმუნდენ იმაში, რომ მე არც ვაჭარი ვარ და არც კვალიფიციური ხარაზი, ამ ბოლო დროს აღარაფერს არ მეუბნებიან ალბათ იმიტომ, რომ იტყვიან: «ზლოი პლატელშჩიკ»—ეს არ ვარ. პურის ფულზე რაც მრჩება, ნალოგში ვაძლევ და კიდევაც ვცხოვრობ გვარი ანათ. ერთი სიტყვით, აქ შიმშილით არა კაცი არ მოკვდება და

არც უმუშევრათ არ დარჩება. ვინც ზარმაცი არ არი, ვინც არ უნდა იყვეს, გინდ აქაურიდა გინდ სხვა მხრიდან მოსული.

შე კაი კაცო, რამ შეგაწუხა, ისეთი სახადი და ავათმყოფობა რა უნდა დარჩეს ჩვენ ქვეყანაში, რომ ის ვერ განკურნონ? ერთი სატყვით, ამაზე არ იჯავრო.

შენს სახლშიდაც კარგათ ყოფილან. შემთხვევით წავაწყდი ერთ ჩვენ ნაცნობ კაცს შემდეგ ნაირაირათ: ხანდიხან ჯამის ეკონომიას ვაკეთებ ხოლმე და აქიდან იბადება ცოტაოდენი თანხა და ამით ვიახლები ხოლმე ლუდს. ერთ მშვენიერ დღეს სასტუმროს ბაღში შევედი ლუდის დასალევათ და აქ ვნახე ლევანის ძმა პავლე, და ორივეს ძალიან გაგვეხარდა. მივლინებაში იყო აქ და კიდევაც წავიდა. მოკითხვას გითვლის შენც და ლევანსაც...

მაშ ასე, ვალიკო, გადაეცი ძმური სალამი: სიმონს, ვასოს, ილიკოს და ყველა კარგ ჩემს მეგობრებს.

წერილი ხშირათ მოიწერე.

მოგიკითხა ჩემმა ძმამ.

გკოცნი ძმური სიყვარულით შენი ყანიჩკა.

17 ივლისი 1936 წელი.

სალამი ვალიკოს!

გიძღვნი მეგობრულს, თბილს და ტკბილ სალამს ცივი და უმადური შორეული მხრიდან და გისურვებ ყოფილიყო კარგად, ჯანმრთელად და მიზნების განხორციელებას. მინდა, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, დავარღვიო რამოდენიმე წუთით მენი მყუდროება, და ამ პატარა წერილით მოგაგონო ჩემი არსებობა—შორს სადღაც ცივ მხარეში. როგორ ხარ ჩემო კალიკო! ხომ მხნეთ და ყოჩაღად? რას საქმიანობ, რას აკეთებ ან სად მუშაობ? ისარგებლე დროთი და გამოიყენე მდგომარეობა—გაევროპიელდი და რის ამოწურვაც შეიძლება (რა საკვირველია სასარგებლო) მადაურ პირობებში, ხარბად დაეწაფე. იქნებ შესძლო და ამ ბოლო დროს სწავლას მიჰყო ხელი, კარგს იზამ.

ვალიკო, ხომ იცი რომ ჩემი უნცროსი სახლის კაცი ფი-

ლიპე, ნანსშია. რამდენს ვწერ და დაწვრილებით არ იწერება რას აკეთებს, როგორ ატარებს მაგ ოქროს ხანას. მღებრობდა ვიცი და მეტი არაფერი. თუ ამით კმაყოფილდება ის მად ყოფნის დროს, ეს მე არ მაკმაყოფილებს—ევროპაში უცოდინარი ხალხი ცოდნას იძენს და იმან მეტი უნდა შესძლოს, რომ შემდეგში გამოადგეს სამშობლოს და თავის თავს. მე მჯერა, რომ ფიზიკური შრომით ვერ შესძლებს იმდენის შოვნას, რომ სწავლა განაგრძოს. მაგრამ ზოგი ახერხებს—ეს ალბად მარიფათის საქმეა. ის კი უსიტყვო ბიჭია, სხვას ვერ შეაწუხებს და ვაი თუ დარჩეს ისეთივე, როგორიც ჩამოვიდა მად. ამიტომ მინდა დაგავალო ერთი რამ: სახელდობ ის, რომ როგორც უნცროს ძმას მიაქციო ყურადღება რჩევა-დარიგებით და სხვა. ანდა მოუწყვე როგორმე, რომ სწავლა განაგრძოს. უნიჭო ბიჭი როდია და აუცილებლად ღირს ამ საქმედ, რათა გამოადგეს მომავალში სამშობლოს, რითაც დიდ ამაგს დამდებ. ერთი სიტყვით, იმედია ცდას არ დააკლებ.

ალბად არ გეცოდინება, რომ ჩვენი თეოფილე და გიორგი (გეთაყვა) გაანთავისუფლეს. ასე რომ, ჭიათურლებიდან მე და შენი სახლის კაცი ნიკა დავრჩით ჯერ-ჯერობით.

მიკითხავ და ვარ გვარიანად. ახალი ჩემ ცხოვრებაში ისაა. რომ შევირთე ქალი ტომით პოლონელი. მოხდა შემდეგ ნაირად: კრასნოიარსკში, ენისეისკში გამომგზავრების წინ გავხდი ტიფით ავად. ისეთი ძლიერი ავადმყოფი ვიყავი, რომ ჩემი ბედი გადაწყვეტილი იყო უკვე განწირული, საკაცით გატანილი ვიყავ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან. ამხანაგები კი, ვინც ავად არ იყო, ყველანი გამოგზავნეს, იმ დროს მომვლელი კაცი არ იყო არავინ. აიღო მზრუნველობა თავის თავზე ამ ღვთისნიერმა ადამიანმა. მაშინ კიდევ ჯერ უცნობები ვიყავით თითქმის.

შენი კ. რაჭველი.

19 აპრილი 1934 წ.

——

. . . მივიღე შენი წერილი, რამაც უსაზღვროდ გამახარა. როგორც იქნა, რამოდენიმე წლის სიჩუმის შემდეგ. კვლავ მომესმა შენი ხმა. მგონია პირადად გესაუბრები. როგორ ხარ. როგორ გიკითხო? იმედია, კარგად იქნები. ან რა გესმის სახლიდან, ცოლშვილი როგორ არიან? რა იცი თუ ძმა ხარ მი-

შასი? 30 წლის შემდეგ დამეკარგა, საიდანაც არ ვეცადე, ვერა გავიგერა—თუ რამე იცი მისი, მოიწერე. ფილიპეს შესახებ იმიტომ გთხოვდი, რომ, როგორც ვატყობ, ზარმაცობს. თორემ, აიღე თუგინდა შენი თავი, შენ კლასიკური ცოდნა არ გაქვს, მაგრამ მოგიხერხებია და მაცადინობ, და ასე რამდენია. ის კი ვერ შვრება ამ საქმეს. მადაურ ფულზე, ძმაო აქ ჩიტის რძეს იშოვი, ხოლო ჩვენი ნამუშევრით ძლივს ქართოფილს და კომბოსტოს თუ იყიდი, თორემ ქონეულობაზედა სხვაზე ლაპარაკი ზედმეტია, ეს ოცნებაა. ისე გვარიანად ვარ. ვადას (მესამეს) ვათავებ ამა წლის 9 დეკემბერს. არ ვიცი მოვახერხებ აქედან ზამთრის გზით გასვლას თუ არა. ყოველ შემთხვევაში მე ვეცდები.

მოიწერე მალე წერილი.

შენი კ. რაჭველი.

30 ივნისი 1934 წელი.

ალეძ. მოლარიშვილის საფლავზე.

(ქ. ენისეისკში გადასასლებული ქართველები 1932 წ.)

1 სიცხაია შალიკო — სოც-დემოკრატი.
2 ჭეონია ვალოდია
3 ძიძაშვილი ვასილი
4 ლალიაშვილი დიმიტრი
5 თავაძე გერასიმე
6 სარიშვილი ბესარიონ
7 თათრიშვილი კოლია
8 თავართქილაძე ილია
9 პავლიაშვილი ზაქრო
10 ქიქავა ვალენტინ
11 სოხაძე ისიდორე
12 მჟავაძე გაბრიელ
13 მჟავანაძის მეუღლე
14 შენგელია აკაკი
15 საყვარელიძე სიმონი
16 მოსიაშვილი იოსები

17	ბაბუნაიშვილი პავლე	
18	ფირცხალავა ევგენი	"
19	იმნაიშვილი ევგენი	უპარტიო
20	ახვლედიანი ისმაილ	უპარტიო
21	დოლიძე გაბო	სოც.-ფედერალისტი
22	კახიანი ლადო	სოც.-დემოკრატი
23	დევიძე კოსტანტინე	
24	სულუხია გიორგი	
25	ქიქავა მარო	
26	აფხაზავა ნოე	
27	კახიანი ნაპოლეონი	
28	სამხარაძე ტრიფონი	
29	სარიშვილი ალექსანდრე	
30	კუტალაძე მარტიანე	
31	გოლეთიანი ონისიმე	"
32	ავალიშვილი ვანო	უპარტიო
33	ნაცვალაძე მიშა	სოც. დემოკრატი
34	მაჭარაძე ისიდორე	
35	კილასონია კოლია	
36	გძელიძე ალექსანდრე	
37	კალანდაძე მიშა	
38	ონიანი სამსონ	
39	ნოზაძე სევერიანე	
40	ხმალაძე ადამი	
41	კვაჭაძე გრიშა	
42	ბარამიძე მირიანი	
43	ალექსიშვილი კოლია	
44	ბლიაძე ვასო	
45	ხინთიბიძე ვალიკო	

ენისეისი. 1934 წ. 12 ივლისი.

ძვირფასო ძმაო ვალიკო!

ვიზიარებ შენს უბედურებას, ჩემო ძმაო. მარტო მამას შეუძლიან შენი ღრმა მწუხარების გაზიარება. მე ღმერთსა ვთხოვ, შენი შვილის დაკარგვა, რომელიც შენი იქ არ ყოფნის დროს მოხდა, შეგვეცვალოს ჩვენი სამშობლოს ბედნიერებით, როგორც შენი გული მოითხოვდა ბედნიერებას ძისთვის. იყავი მაგრად და გულგაუტეხლად მტრის გულის მოსაკლავად.

შენი კეთილის მოსურნე სულმუდამ

ძმა და მეგობარი ქ. ჩოლოყაშვილი.

3 მარტი 1929 წ.

. . . ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებ, მაგრამ ხომ იცი, ისევ შინაური თორე გარეული რას გააკეთებს. ვალიკო, ლეგაციაში ინახავთ ყველა ნომრებს «დამოუკ. საქართვ.», თუ ძმა ხარ არ დაიზარებ, მომიძებნე 17 და 18 ნომრები გაზეთად რომ გამოდიოდა «დამოუკიდებელი საქართველო» და გადმომიგზავნე, რაზედაც წინასწარ დიდ მადლობას გიძღვნი.

მომიკითხე თქვენი ლეგაციის შემადგენლობა.

იყავი კარგა. მარად შენი პატივისმცემელი

ქ. ჩოლოყაშვილი.

4 ოქტომბერი 1929 წ.

. . . მივიღე შენი წერილი და გაზეთი, რაზედაც დიდ მადლობას გიძღვნი, ჩემო ვალერიან-ბეი. ჩემო ძმაო ვალიკო, ისეთ ძნელ შეკითხვას მაძლევ, რომ მაგაზე ყველას გაუძნელდება გადაჭრილი პასუხი მოგცეს. მე შემიძლიან მარტო ჩემი აზრი გაგიზიარო. რა საკვირველია, შენ მართალი ხარ იმაში, რომ შერჩეთ ეგ ოინი, თარეშობას უფრო დაიწყებენ. მე მგონი მარტო რუსებზე, ჩვენზე ესე ადვილად ვერ გაკბედენ, რადგანაც იციან არ შერჩებათ, როგორც რუსები შეარჩენენ ყველასფერს ადვილად. ჩვენ მაინც გვმართებს მაგის იმედზე დავდგეთ, რომ არაფერს გვიზამენო. კუტეპოვისთვის რომ გეკითხნა, ბოლშევიკებს მარტო მე დავანგრევო, და აკი დაანგრია კიდეც. სულ მუდამ ანგარიშ გასაწევია და საფრთხილობელია მტერი, რაც გინდა სუსტი იყოს ის, ეგენი კიდე ძველის ძველი გამოცდილი ორგანიზაცია არის, და დაამტკიცეს კიდეც კუტეპოვის გატაცებით. მე მგონი არ შერჩეთ ეგ სიმამაძაღლე, დიდი სირცხვილია საფრანგეთისათვის, თუ შეარ-

ჩინეს. მაგას თავი დავანებოდ, ჩვენ ჩვენს თავს უნდა მოუარ-
ოდ. ჩვენ დიდი სიფრთხილე და ფხიზლობა გვინდა, რომ მა-
რცხი არა მოგვივიდეს რა და სირცხვილი არა ვუპამოთ კიდე.
ყველა ქართველმა ემიგრანტმა კარგათ იცის ბოლშევიკებს
რა უნდათ. უპირველეს ყოვლისა. ბოლშევიკები ყველა ზო-
მებს ხმარობენ, არაფრის წინ არა დგებიან, რომ როგორმე
მოგვისპონ ლეგაცია პარიზში, რასაც დიდი მნიშვნელობა
აქვს ჩვენ დამოუკიდებლობის საკითხში. დღეს ერთად ერთი
მედროშე გვყავს ბ-ნი აკაკი ჩხენკელი, რომელსაც ამაყად უპი-
რავს ჩვენი დამოუკიდებელი დროშა. ყველა ნამდვილი ქართ-
ველი მოვალეა, განურჩევლად პარტიისა, დაიცოს აკაკი ყვე-
ლა უბედურებისგან, როგორც თავისი პირადი არსებობა.

აი ჩემო მეგობარო, ჩემი აზრი. დღეს ერთად ერთი კაცი
გვყავს, რომელსაც სიფრთხილე და გუშაგობა უნდა ჩვენის
მხრიდგან, სხვას მე ვერავისა ვხედავ. იყავი კარგა. მე უფრო
და უფრო უკეთობასა ვგრძნობ და ბრძოლისთვის კიდე მგო-
ნი ვივარგო.

მომიკითხე და გადაეცი სალამი: ქ-ნ მაკრინეს, ბ-ნ აკაკის,
ბ-ნ ჭიჭიკოს და დანარჩენებს ვისაც შენ გინდა.

მარად შენი კეთილის მდომი

ქ. ჩიქლიყაშვილი.

23 თებერვალი 1930 წელი.

მივიღე შენი გადმოგზავნილი ორი გაზეთი და ერთი
წერილი, საცა უკმაყოფილებას მწერ. მე ღრმად ვიყავი დარ-
წმუნებული დღევანდლამდი, რომ რაწამს შენგან მომივიდა
დათიკოს წიგნი და გაზეთი, მაშინვე მოგწერე მადლობა ყუ-
რადღებისათვის. თუ არ მომიწერია და რაღაცა გაუგებრობაა,
იმას კი არა ნიშნავს, რომ სოციალისტური გაზეთები და წი-
გნები არ მესიამოვნება. შენ კარგო ქართველო, შენ თუ სო-
ციალისტი ხარ, ქართველად არ ვარგიხარ თუ რა არის? შენ
თუ, როგორც სოციალისტი ქართველობაზე უარს იტყვი,
მეც ყველა ქართველ სოციალისტებზე უარს ვიტყვი. ჩემთვის
საღი და დაკვირვებული წერილი ძვირფასია, რომელიც იცავს
ჩვენი სამშობლოს ინტერესებს და ვისგან არის დაწერილი, რა
მიმდინარეობის მომხრეც გინდაც იყოს, მაინც ბოლოს ქართ-
ველია, კომუნისტების გარდაია.

აბა ჩემო ვალიკო-ბეი, მაგაზე შენ არადროს არ იფიქრო,
რომ ყველა სოციალისტი მძულს და იმისათვის პასუხი არ
მოგაწოდე აქამდის. მე ვინცა მძულს აშკარად აღარც ველა-

პარაკები და აღარც არაფერი კავშირი მაქვს, ის მემარცხენეა თუ მემარჯვენე, «ლამემშოს».

მომიკითხე მთელი ჩვენი ლეგაციის შემადგენლობა აკაკის ქ-ნი მაკრინეს მეთაურობით. მიიღე ჩემი სალამი და გამარჯვება.

მარად შენი კეთილის მდომი

ქ. ჩოლოყაშვილი.

2 აპრილი 1930 წელი.

... მივიღე შენგან გადმოგზავნილი ჩვენი დამოუკიდებლობის 26 მაისის ბარათი და გაზეთი «ბრძოლის ხმა», დიდი მადლობელი ვარ ჩემო ვალიკო, რომ არ მივიწყებ. ვალიკო, შენ რომ გადმომიგზავნე დათიკო შარაშიძეს წიგნი ფრანგულ ენაზე, წავიკითხე, მაგრამ საინტერესოა ბარბიუსის წიგნიც წაიკითხოს კაცმა, რაზედაც დათიკო უპასუხებს. თუ იშოვნება მანდ ლეგაციაში, გადმომიგზავნე და მალევე დაგიბრუნებ. ეგ მამაძაღლი ვიღაც ბარბიუსია დაჩუმდეს ურჩევნია, თორე ჩვენში არავის არაფერი მოუგია და ვერც ეგ მოიგებს. თუ მოიგოს რამე ბოლშევიკებს გაუყოს. იაფათ არ დაუჯდება კარლ კაუცკის წინასიტყვაობა, თუ ბარბიუსიც სოციალისტია.

გადაეცი ჩემო ვალიკო, ჩემი გულითადი სალამი ქ-ნ მაკრინეს, ბ-ნ აკაკის და ჭიჭიკოს. იყავი კარგა.

შენი მარად ქ. ჩოლოყაშვილი.

21 მაისი 1930 წელი.

ძვირფასო ვალიკო!

მივიღე შენგან გადმოგზავნილი ღია ბარათი, რომელმაც მეტათ ბევრი და სასიამოვნო ამბავი გადმომცა, მასიამოვნა, გულწრფელ მადლობას გიძღვნი ასეთი ამბების მოწოდებისათვის და რომ ძველებურათ ჩემებრ გუნებაზე ვიყო, ასეთი ნაჯღაბნით არ გადაგიხდიდი სამადლობელს, მაგრამ სანთელსაკმეველი თავის გზას არ დაკარგავს, იცოდე... ისიდორე და იულონი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე დგებუაძე. ზაქარია გურული, ლეო რუხაძე და სხვა მრავალი სასახელო პირები—ეს ხომ მთელი ისტორიაა განახლებული საქართველოის? და მით არის დიადი საქართველო, რომ მისი ხალხის გულიდან, მისი ცხოვრების წიაღიდან ასეთი პირები ერთი-

მეორეს ცვლიან, წყვდიად ღამეში, ამ ჯოჯოხეთად ქცეულ დროში სამშობლოსა და კაცობრიობას გზის მანათობელ ვარსკვლავათ ევლინებიან, ზნეობრივ ძალათ შვენიან...

მოკითხვა მეგობრებს.

სიყვარულობით შენი ვლასა მგელაძე.

... ეს არის ეხლა გავიგე შენს თავზე დამტყდარი უბედურება!

ჩვენს დროში მყოფ ქართველ კაცს რა უნდა აკვირებდეს, ან რა მწუხარება აწუხებდეს, მაგრამ შენს მდგომარეობაში ერთათ-ერთი საყვარელი ბიჭუნიას დაკარგვა, ჩვენთვის მიუწდომელ და გამოუცნობ მხარეში მისი გაფრენა გულ დასაწყვეტი და სამუდამოთ მოუშუშებელი ჭრილობის დაჩენაა. რაც უნდა რკინის ვაჟკაცი იყოს ადამიანი შვილის დაკარგვა სიცოცხლის მოწამლვაა... ვაი დედასა ბოლშევიკებო, რომ ხელ-გამოწვდილ ბავშს მამა იმედათ თავზე ვერ დაადგა და მწუხარებით დაოსებულ დედას ვაჟკაცი ვერ მოეელინა!..

ვალიკო! შენ ახალგაზდა ხარ, მწუხარების ატანა ქართველი კაცის საქმეა, ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო. გული არ გაიტეხო, მწუხარებამ არ დაგაძაბუნოს, შვილსაც მოესწრები და თავისუფალ ცხოვრებასაც... დამწუხრებული დედა გაამხნევე, თვითონ გაფოლადდი. ჭირში იცნობის ვაჟკაცი, მისი სიმაღლე სულისა...

უსამართლო სიკვდილმა ოჯახის დასამშვენებელი ალვის ხე გადაამტვრია. მისმა საცოდაობამ მშობლები დაამწუხრა, მოყვრებს გული ატკინა, მაგრამ ახალგაზდა სიცოცხლე კვლავ თავის ძალით იფეთქებს, დრო გაივლის, შვენიერ ეზოში ახალი სიცოცხლე ახალი ძალით გაიფურჩქნება, ჩვენგან უდროოთ გაფრენილ ბიჭუნიას მოსაგონარათ მის უმანკო საფლავზე ობოლი ჯვარი გამობრწყინდება!.. ჭირი-ჭირსა მიმატეო—ამბობს ავთანდილი. ვერავითარმა მწუხარებამ, ვერავითარმა ჭირმა ჩვენ ვერ უნდა გაგვტეხოს—ამას გვავალებს ჩვენი ეპოქა, ის დიადი საშვილიშვილო საისტორიო საქმე, რომლისათვისაც მოწოდებული ხარ და რომლის მოწინავე რახმში იმყოფები...

შენი მწუხარებით გულდაკოდილი ვლასა მგელაძე.

ნ ი ც ა.

ნოე რამიშვილი.

ნოე რამიშვილი, საქართველოს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და უდიდესი პატრიოტი. დაიბადა 1881 წელს. სწავლობდა იურიევის უნივერსიტეტში, საიდანაც ის დაითხოვეს სტუდენტთა პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის 1902 წ. და გადაასახლეს საქართველოში. აქ ის ჩაება ქართულ მუშათა მოძრაობაში ცარიზმის წინააღმდეგ და ჩქარა იჭერს ხელმძღვანელ ალაგს. მისი მეთაურობით ხდება მუშათა და გლეხთა მოძრაობის შეერთება და საერთო სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მათი თავის მოყრა. ამ დღიდან ის მრავალჯერ იქნა დაპატიმრებული გადასახლებული, მაგრამ ის ყოველთვის საიდუმლოთ უკან ბრუნდება და არალეგალურათ განაგრძობდა პოლიტიკურ მუშაობას; 1905 წელს ის უკვე კავკასიაში რევოლიუციის ერთი ხელმძღვანელთაგანია; აწყობს დუმის არჩევნებს, რედაქტორობს გაზეთებს, ხელმძღვანელობს ფარულ პოლიტიკურ წრეებს, ეწევა ფართო ლეგალურ და არალეგალურ აგიტაციას პრესის თუ სიტყვის საშუალებით. მას ირჩევენ სოციალდემოკრატიულ პარტიის ყველა ხელმძღვანელ პოსტებზე.

1917 წლის რევოლიუციაში ნოე რამიშვილი თამამობს უდიდეს როლს. მას ირჩევენ რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრათ, შემდეგ ამიერ-კავკასიის სეიმის და საქართველოს ნაციონალურ საბჭოში და სხ.

1918 წელს 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და მას ენდობა პირველი ნაციონალური მთავრობის შედგენა, შემდეგ ის რჩება ყოველს მთავრობაში მუდმივად შინაგან საქმეთა მინისტრათ, ხანდახან ენდობა აგრეთვე სამხედრო და განათლების სამინისტრო, მისი ხელმძღვანელობით ხდება ჯარის რეორგანიზაცია, სკოლის რეფორმა, უნივერსიტეტის დაარსება, ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონის ქსელით ქვეყნის მოფენა; რაც განსაკუთრებულ შესანიშნავია, ეს იმის მიერ თავისუფლების და წეს-რიგის რევოლიუციონურ საქართველოში სასტიკათ დაცვა, მაშინ როდესაც მთელ რუსეთში, მთელ კავკასიაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ერთათ-ერთ საქართველოში მყუდროება სუფევდა და აქ ყოველ-მხრიდან მორბოდენ თავშესაფარის მოსაპოებლათ. ნოე რამიშვილი აღმოჩნდა უნიჭიერესი ადმინისტრატორი.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მოსკოვის ჯარების მიერ (1921 წ.) ნ. რამიშვილი მთავრობასთან ერთად ევროპაში

გაიხიზნა დამფუძნებელი კრების დადგენილებით. იმ დროიდან ის ემსახურება თავისუფალი საქართველოს. აღდგენას; უკავშირებს საქართველოს არალეგალურ ორგანიზაციებს, კავკასიის ყველა რევოლიუციურ ანტისაბჭოთა პარტიებს—აწარმოებს ფართოთ მუშაობას როგორც ევროპაში, ისე კავკასიაში—საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

ამ თავდადებულ და მხნე მებრძოლს ბოლო მოუღო მტრის ტყვიამ შუაგულ პარიზში, 7 დეკემბერს 1930 წელს.

თავისუფლების ლაშქარს სარდალი გამოეცალა.

(1930 წ. საგანგებოდ გამოცემული ფურცელი).

ჩვენი მწუხარება.

დავკარგეთ დიდი ქართველი, დიდი ამხანაგი, დავკარგეთ ნოე რამიშვილი.

კაცი რკინის აგებულების, ფოლადის ხასიათის, დაუშრეტელი წყარო ენერგიის, მხნეობის და თავის დადების.

მასში ბუნებამ გამოკვეთა ადამიანი საკვირველი, სანახაობა იშვიათი, ერთი მთლიანი ქმნილება, ყველა მისი თვისებები ერთი-მეორესთან შეგუებული, მისი შინაგანი და გარეგანი სახეობის ჰარმონიული.

ის იყო დასრულებული ტიპი მებრძოლის, გატაცების. მტერთან მტრობის და მეგობართან მეგობრობის.

ის საუკეთესოთ გამოხატავდა ქართველი ხალხის ნებისყოფას, სიმტკიცეს და აღებული გეზის ერთგულებას.

მან არ იცოდა ბრძოლაში წაბორძიკება, გამარჯვებაში დაეჭვება, გაჭირვებაში დახევა, უბედურებაში სასოწარკვეთილება, ყოველგვარ რთულ მდგომარეობიდან ის მუდამ პოულობდა გამოსავალს.

მისი საღი, ხალხური ოპტიმიზმი ხიბლავდა და იტაცებდა ყველა მის თანამებრძოლთ; ახალგაზდობას აძლევდა რწმენას, დაეჭვებულს უმაგრებდა იმედებს.

შურდულივით პირდაპირი, შეუჩერებელი მომქმედი, აქტივობის გამომხატველი, ის მუდამ მტრის ბანაკში იყო შეჭრილი და მას შორიდან თუ ახლოდან შეგნებულათ უტევდა.

მან არ იცოდა საქმეში დაბნევა, აღელვებისათვის აყოლა,

ბრძოლაში წონასწორობის დაკარგვა. აკეთებდა რაც სწამდა, სწამდა რასაც აკეთებდა.

მას ჰქონდა რკინის ნერვები, აუტანელს აიტანდა, მძიმე ტვირთს მსუბუქათ ასწევდა.

ის ფიქრობდა მუდამ საქმეზედ; მან არ იცოდა სხვა სიამოვნება, მას არ იტაცებდა ცხოვრების არავითარი სიტკბოება, არ ეძებდა არავითარ ფუფუნებას; მას ანუგეშებს ერთათ-ერთი ფიქრი—ქვეყნის სვე-ბედი, მას ქონდა ერთათ-ერთი სიამოვნება—ქვეყნის სამსახური.

ასეთი იყო ნოე რამიშვილი.

ვინ არ იცნობდა მას? ვის არ გაუგონია მისი სახელი? მან შთაბერა სამარადისოთ თავისი უკვდავი სული ჯერ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, შემდეგ მთელს ერს, მისი 30 წლის აბობოქრებული ბრძოლა, ყოველთვის და ყოველგან თავის პოსტზე მამაცურათ დგომა, წაქცეული საქმის აყენება და წამოყენებულის გამაგრება—ჩვენში საყოველთაოთ ცნობილია.

ქართველმა ერმა პირველათ მასში განასახიერა თავისი თავისუფლება, პირველათ მას მიანდო ნაციონალური მთავრობის შედგენა.

ქართველმა ერმა მასში გამოხატა თავისი პოლიტიკური ღირსება, თავის სიმწიფე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, როცა დედა-მიწის ერთ-მეექვსედზე ანარქია ბობოქრობდა, როცა მთელი კავკასია ცეცხლის ალში გაეხვია, აი ამ საერთო დანგრევის და სიკვდილის ცელის ბატონობაში ერთათ ერთი საქართველო წარმოადგენდა მყუდროების ოაზისს, თავისუფლების და წესიერების უკანასკნელ საბუდარს, და ეს სასწაულობა მოხდა ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრის, ჩვენი ნოე რამიშვილის მეთაურობით. როცა მტერი ყოველმხრით შემოგვესია, როცა მისი აგენტები დაძრწოდენ საქართველოში შეთქმულობის და აჯანყების მოსაწყობად და მით ჩვენი თავისუფლების შიგნიდან ასაფეთქებლათ, როცა ამ ვერაგობაში იმდენათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წინდაწინ აცხადებდნენ ევროპაში საქართველოს წითელი ჯარი კი არა, თავისივე ხალხი შეესიაო, ვინ ჩაუფუშა მათ მთელი ეს ჯოჯოხეთური გეგმები. ვინ გასწმინდა ჩვენი ჯარების ზურგი შინაგანი მტრებისაგან, ისე რომ ერთი თოფიც ჩვენ მებრძოლთ უკნიდან არ მოხვედრია? იმავე ნოე რამიშვილმა.

მან დაიცვა ქართველი ერის ღირსება; მისი მეოხებით ჩვენ საშვალება მოგვეცა ქვეყნისათვის გვეთქვა: ჩვენი სამშობლო დაიპყრო უცხო ჯარებმა.

რომელი ერთი ჩამოვთვალო, მისი საქმენი ისტორიის საგანია. ვიტყვით მხოლოდ. რომ ყოველ კრიტიკულ მომენტში, იქ და აქ, ამ ემიგრაციაში, ნოე რამიშვილს მივმართავდით და ყოველთვის. გამოუკლებლივ. ჩვენ ღავალებას და მის მოვალეობას ბოლომდე შეასრულებდა. არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, მას აღებული საქმე არ გაეკეთებიოს.

მისი ადგილი ცარიელია, მას მემკვიდრე არ დაარჩენია. ჩვენი მწუხარება უსაზღვროა, მოგვკვეთეს მარჯვენა ხელი. მოგვიკლეს ვერაგულათ, ლაჩრულათ. მტერმა აიღო ჩვენი ერთი უძლიერესი სიმაგრე, აიღო შიგნიდან, ვაი სირცხვილო, ვაი ველურობავ!

აღარა გვყავს ნოე რამიშვილი! მოკვდა თავის პოსტზე თავ აწეული და წმინდა დროშით საქმეზე მიმავალი. მან დასდო თავი ერის სამსხვერპლოზე. მას შესწირა მთელი თავისი ძალღონე, მას შეაპკურა თავისი სისხლი.

და ჩვენ, დარჩენილნი, შეგვიძლია ვანუგეშოთ მისი სულით, მივცეთ ფიცი მტკიცე და დაურღვეველი: გზა მის მიერ თელილი და შეწყვეტილი ჩვენ მიერ იქნება გაგრძელებული. ბოლომდე, გამარჯვებამდე.

მშვიდობით ჩემო ნოე, მეგობარო სულით და გულით მოსანდობარო. განელეთ ერთათ ეს მწარე ათი წელი შეხმატკბილებული. მე ვფიქრობდი შენს დატოვებას, შენ მომასწარი. მე დამტოვე, მოხუცებული მიწას გაბარებ ახალგაზდას. მუხთალი ბედი თავს დაგვტრიალებს. განისვენე ამ უცხოეთის ცივ სამარეში. ოდესმე ჩვენი მზეც გამოანათებს, ან ერთათ დავრჩებით ამ უცხოეთში, ან ერთათ წავალთ ჩვენს სამშობლოში...

ნ. ყიფშიძე.

1930 წ. საგანგ. გამოცემული ფურცელი.

მოგონების გამოცემა.

იმ უმართებულო და უსამართლო თავდასხმების გამო, რომელსაც აწარმოებდენ უცხოეთში ზოგიერთი ჩვენი ემიგრანტები საქართველოს ყოფილ სახალხო გვარდიის წინააღმდეგ, ჩვენ, უცხოეთში და კერძოთ საფრანგეთში მყოფმა ყოფილმა გვარდიელებმა, განვიზრახეთ გამოგვეცა ერთი მთლიანი საერთო კრებულათ მოგონებანი 1917 წლიდან 1921 წლამდის ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ამბების შესახებ, რომლის მონაწილენიც ჩვენ ვიყავით. ამით ჩვენ გვინდოდა გვეთქვა ქართველი საზოგადოებისათვის სიმართლე საქართველოს სახალხო გვარდიის შესახებ და გვეჩვენებინა ის უაღრესათ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი როლი, გვარდიამ რომ ითამაშა ჩვენი ეროვნული თავისუფლების აღორძინების და მის გამტკიცებისათვის ნაწარმოვებ ბრძოლებში.

აზრი ამ მოგონების გამოცემის პირველათ დაებადათ რუსეთში მყოფ გადასახლებულ ჩვენს ამხანაგებს: ალექსანდრე დგებუაძეს, ზაქარია გურულს და ანანია სალუქვაძეს. რომელნიც მე მწერდენ და მთხოვდენ ამ საქმის განხორციელებას.

ამ მიზნით მე შევადგინე საინიციატივო ჯგუფი, რომელშიაც შედიოდენ: სანდრო მენაღარიშვილი, ყოფილი სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის წევრი, ვალოდია გოგვაძე და სიმონ გოგიბერიძე. ჩვენ მოვიწვიეთ პირველი კრება პარიზში 15 დეკემბერს 1934 წელში. ამ კრებაზე მე გავაკეთე მოხსენება და თან წავიკითხე ის წერილები, რომლებიც მე მივიღე რუსეთში მყოფ ამხანაგებისაგან და უცხოეთში მყოფ ქართველებისაგან. იმ მეტად საინტერესო წერილებიდან ამ ჟამად მხოლოდ ერთი შემრჩა ხელში—ქართველი ქალისაგან მონაწერი, რასაც აქვე ვაქვეყნებ; დანარჩენები კი დამეკარგა 1940 წელს გერმანელების პარიზში შემოსვლის დროს.

«საქართველოს ყოფილ გვარდიელთა პირველ ყრილობას პარიზში ჩემი სალამი!

მოგესალმებით თქვენ, როგორც ნაწილს ჯერ პატარა ჯგუფისა და შემდეგ კი დიდი ლაშქრისა, რომელიც აღმოცენდა საქართველოში 1917 წელს, დღიდან მისი ახალი აღორძინებისა!

მოგესალმებით თქვენ, როგორც პირველ დარაჯთ, ახლად გამოღვიძებული ქვეყნისა; როგორც პირველთ პირმ-

შოებს, დამცველებს და მფარველებს ჩვენი საერთო დედისა, ჩვენი კოპწია სამშობლოსი.

მოგესალმებით თქვენ, როგორც ღირსეულ შვილებს და ძმებს, რომლებმაც უხმო ძახილზე—უხმოთ გამოეხმაურეთ, აისხით იარაღი და დადექით სადარაჯოებზედ!

მოწამე მრავალი თქვენი თავგანწირული მოქმედებისა, კვლავ გისურვებთ მოსწრებოდეთ იმ ბედნიერ დღეს, როცა ქართველნი, შეკავშირებულნი ერთის გრძნობით და გონებით, ერთის მისწრაფებით, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი შეჰკვეთოდეთ საერთო მტერს და მოგეხადოთ თქვენი წმიდა მოვალეობა აწ ტანჯულ და გაპარტახებულ ჩვენი ქვეყნის წინაშე.

გაუმარჯოს განთავისუფლებულ საქართველოს!

დიდება მისთვის განგმირულთ!

ერთი მრავალთაგანი ქ. ქ.

15 ქრისტეშობისთვე 1934 წ.»

ამ კრებაზე ჩვენ ავირჩიეთ პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ვალოდია გოგავძე, სიმონ გოგიბერიძე და სპირიდონ ელენტი. პრეზიდიუმში ჩემი შესვლა შეუძლებელი იყო, რადგან განზრახვა მქონდა იმ ხანათ დროებით საფრანგეთის დატოვება. სამაგიეროთ პრეზიდიუმს მე გარედან ვეხმარებოდი. აგრეთვე მეტად დიდ დახმარებას გვიწევდა კოლია ჭუმბურიძე—ქუთაისის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე. ის ამზადებდა ვრცელ სპეციალურ მოხსენებას სახალხო გვარდიის მოღვაწეობაზე ჩვენი ერის თავისუფლების ხანაში. საუბედუროთ, სიკვდილმა იგი უდროოთ გამოგვაცალა და მან ველარ მოასწრო თავის განზრახვის შესრულება.

პრეზიდიუმი დიდის ენერგიით შეუდგა მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას და მისი მუყაითი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ 1937 წელს 12 დეკემბერს გაიმართა სადღესასწაულო საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრო ჩვენი ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, ქართველი მხედრობის კავშირის თავმჯდომარე ბ-ნი ვიქტორ ცხაკაია, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელნი და დიდძალი ქართველი საზოგადოება.

კრების თავმჯდომარეთ ვფიქრობდით აგვერჩია სოსიკო მდივანი, მაგრამ მისი მძიმე ავადმყოფობის გამო იგი კრებაზე ვერ მოვიდა.

კრება გახსნა ვალოდია გოგვაძემ და თავის მოკლე მისასალმებელ სიტყვის შემდეგ კრებას სთხოვა აერჩია კრების ბელმძღვანელი თავმჯდომარე. კრებამ მასვე დაავალა თავმჯდომარეობა, რის შემდეგ ვ. გოგვაძემ წარმოსთქვა მეტად

შინაარსიანი სიტყვა. მან აღნიშნა, რომ როდესაც ქართველი ხალხის თავისუფლებას და საქართველოს სახელმწიფოებრივ მართველობას ეყრებოდა საფუძველი, აუცილებელი საჭირო შეიქნა ორგანიზაციული შეიარაღებული სამხედრო ძალა, რომელიც იქნებოდა ერთგული და თავგანწირული დამცველი ხალხის რევოლიუციონური მონაპოვების და ეროვნული თავისუფლების. რევოლიუციონურ ხანის დროს ქართული ხალხური შეიარაღებული ძალა უნდა დაპირდაპირებოდა შიგნით და გარეთ ერის და ხალხის თავისუფლების მტრებს. ეს ძალები ამოიკრიბა იმავე პოლიტიკურათ გათვითცნობიერებულ წრეებში, განსაკუთრებით, მშრომელ ხალხში. მაშინდელ რთულ პირობებში დიდი თავგანწირულობით ისახელა თავი საქართველოს სახალხო გვარდიამ.

სიტყვის დასრულების შემდეგ თავმჯდომარემ მოუწოდა კრების მონაწილეთ გადასცენ პრეზიდიუმს ყველა მასალები და მოგონებანი საქართველოს სახალხო გვარდიის შესახებ, ვისაც რა მოეპოვება.

ბ-ნი ვიქტორ ცხაკაია გამოვიდა მისასალმებელი სიტყვით და უსურვა ყოფილ სახალხო გვარდიელებს კიდევ გამოეღოთ უანგარო წვლილი სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

აგრეთვე ილაპარაკა მიშა ჩუბინიძემ და მოიგონა მისი მონაწილეობა საჩხერე-ქუთაისის აჯანყების ჩაქრობაში.

კრებას ამშვენებდა ჩვენი ულასა მგელაძე, ძველთა ძველი მებრძოლი რევოლიუციონერი, საქართველოს მშრომელი ხალხის დამცველი. მან მარტო საქართველოს ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას არ მოანდომა თავის ცხოვრება და სიცოცხლე; იგი დიდ მონაწილეობას იღებდა ქართული რევოლიუციონური რაზმით სპარსეთის რევოლიუციაში, რითაც სპარსეთის ხალხში მან მოუხვეჭა ქართველ ერს დიდი ღრმა პატივისცემა და ძმური მეგობრობა.

ახალგაზდა რევოლიუციონერმა ბაგრატ წულაძემ მოიგონა სახალხო გვარდიის ცხოვრებიდან ბევრი თავგანწირული ბრძოლები.

ბევრი მოგონებანი სახალხო გვარდიის სამშობლოსათვის თავდადებული მოღვაწეობიდან გაიხსენეს სიმ. გოგიბერიძემ და დათა რევაზიშვილმა.

მე ვილაპარაკე კრებაზე და გავიხსენე სახალხო გვარდიის მიერ არსენალის აღება, გვარდიის დაუფასებელი ღვაწლი შინაურ წესრიგის დამყარებაში და მისი თავდადებული

ბრძოლები საზღვრებზე მომდგარ მტრების წინააღმდეგ.

კრებამ მოითხოვა ჩემ მიერ წაკითხული მოგონებანი დაბეჭდილი ყოფილიყო რომელიმე ორგანოში, რაც ასეც მოხდა და ტაიბეჭდა ჟურნალ «ბრძოლის ხმა»-ს 1938 წლის გამოცემაში.

ამავე კრების სურვილის თანახმათ, შეუდექი სახალხო გვარდიის შესახებ მასალების დამზადებას. თუ როგორ და რა სახით სურდათ მასალების გამოქვეყნება ერთ მთლიან კრებულში, ამის შესახებ ერთი საერთო აზრი არ აღმოჩნდა: ვალ. გოგვაძე ამზადებდა თავის მოგონებებს ცალკე რვეულებათ. სიმ. გოგიბერიძე უკვე შეუდგა ცალკე წიგნათ გამოცემას, კოლია ორაგველიძემ (ყოფილი მთ. შტაბის წევრი) სამი წერილი მოათავსა «სოციალისტური აზრი»-ს ნომრებში.

ამის შემდეგ იძულებული ვიყავი მოკლეთ გამომეცა ჩემი მოგონებანი პატარა წიგნაკათ ზოგიერთი სურათებით. ეს იყო 1938 წელში. არ შემიძლიან არ გავიხსენო ის დაუვიწყარი ზრუნვა და დახმარება, რასაც ნოე ყორდანია მიწევდა ამ ჩემი მოგონების გამოცემაში: მისი რჩევა-დარიგება და გამხნევება მიადვილებდა საქმეს და მმატებდა ხალისს და ენერგიას.

აგრეთვე დიდი სამსახური გამიწია აწ განსვენებულმა ზაქარია ჩიჩუამ, ჯერ იმით, რომ ჩემი წიგნის კორექტურა მან გაასწორა, და რაც უმთავრესია, რომ რაც კი მასალა შემრჩა და ომიანობის არეულ დროს არ დამეკარგა, ეს მისი წყალობით, მან მოუარა და შემინახა.

დიდი მადლობა აგრეთვე კ. გვარჯალაძეს, მან ჩემი წიგნის შესახებ წერილი მოათავსა «ბრძოლის ხმა»-ში და მოუწოდა სხვებსაც ასეთი მოგონებანი დაეწერათ. ეს იყო ჩემთვის დიდი მორალური დახმარება. გარდა ამისა კ. გვარჯალაძე დამეხმარა ზაქარია გურულის და გრიგოლ ფხალაძის მოგონების გამოცემაში. იგი იყო ამ წიგნის კორექტორი და წერილიც მოათავსა წიგნის შესახებ ჟურნალ «ჩვენი დროშა»-ში.

ეხლა ორიოდე სიტყვა ამ ჩემი უკანასკნელი მოგონებების შესახებ. ამ მოგონებებში არის ჩემი უმთავრესი განცდები მთელი ახალგაზდული ენერგიით, უანგაროთ გაწეული შრომა და ღვაწლი ჩემი ტანჯული სამშობლოსათვის. ეს იყო ჩემი ოცნება, რომ თავი მომეყარა ყველა წარსული ნახულ და ნამოქმედარისათვის და ერთ კრებულში მომეთავსებინა. ამ მიზნის შესასრულებლათ, შეძლების დაგვარათ, არაფერი დამიზოგია. 1952 წელს 22 დეკემბერს მოხსენებაც კი წავიკითხე და სურათებიც უჩვენე ეკრანზე. მას შემდეგ ვაგვიანე გა-

მოცემა, რომ კიდევ მეშოვა მასალები და არაფერი დამკლებოდა.

ამ შრომის წინასიტყვაობა უნდა დაეწერა ჩვენი ეროვნული მთავრობის თავმჯდომარეს, აწ განსვენებულს, ნოე ჟორდანიას. ყველაფერს ის მითვალიერებდა, მამხნევებდა და მეტყოდა ხოლმე: აბა, ვალიკო! შენ ეს შეასრულე, წიგნი გამოეცი და ეს იქნება შენი დიდი დამსახურება შენი ერის და შენი პარტიის წინაშეო.

დიდ მადლობას უძღვნი ჩემს მეგობარს ვიქტორ ნოზაძეს, რომელმაც გადამიწერა, გადამითვალა ჩემი რვეულები და გამიმზადა დასაბეჭდათ.

დიდი მადლობა მის ძმას გიორგი ნოზაძეს და მის მეუღლეს ქ-ნ ლიდას ზოგიერთი მასალების და სურათების მოწოდებისათვის.

აგრეთვე მადლობა ახალგაზდა გრიგოლ მოდებაძეს «კლიშეები»-ს დამზადებისათვის;—შალვა და ლუბა აბდუშელიშვილებს სურათების მოწოდებისათვის.

ამ წიგნშივე ვაქვეყნებ იმ წერილების ნაწილს, რომლებიც მქონდა მიღებული რუსეთიდან და საქართველოდან. ზოგიერთი წერილები ჩემ მიერ ჟგამოქვეყნებული იყო ურნალებში ფსევდონიმით. ვფიქრობ, ესენიც გამოადგებათ მკითხველებს.

მე ვარ ჭიათურის შავიქვის მაღაროების მუშა. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დროს სპეციალური მისიის შემსრულებელი სახალხო გვარდიის მონდობილობით მეომარი. მოხალისე. აჯანყების დროსაც გავიხსენე მხედრობა. აჯანყების შემდეგ ვიყავი მესამე არალეგალურ ყრილობის მონაწილე და ცეკას წევრი.

აქ გამოქვეყნებულ მასალის გარდა მაქვს კიდევ ბევრი სხვა, რომელიც მე ჩემის მეცადინეობით შევაგროვე აქ უცხოეთში. მე გავატარე ჩემი ახალგაზდობა ჩემი ქვეყნის სამსახურში. მტერმა ჩემს ცოლშვილზე იძია შური და ციმბირში გადაასახლა. არ დაინდო არც ჩემი უფროსი ძმა დომენტი და ჩემი მოგვარეები: ქალი და კაცი, მუშები და ახალგაზდა სტუდენტები, რასაც მოწმობენ რუსეთიდან მოსული წერილები.

საინტერესო მოხსენება.

ამხანაგმა ვალიკო ჩუბინიძემ 1952 წლის 21 დეკემბერს პარიზში, «სოსიეტე სავანტ» ის დარბაზში წაიკითხა საინტერესო მოხსენება.

ბატონებო. მიზნათ დავისახე გამომეცა წიგნი, განზრახული მქონდა აღმენიშნა ყველა ის ამბები ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან, რაც უტყუარი ფაქტებია ჩვენი ხალხის თავდადებული ბრძოლების საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის.

თემა ძალიან ფართეა, სავსებით ამოწურა ყველა მასთან დაკავშირებული საკითხების შეუძლებელია ერთი მოხსენებით. შეეცდები აღვნიშნო მთავარი დამახასიათებელი მომენტები, რომლის მონაწილეც ჩემს ამხანაგებთან ერთად მეც ვიყავი. მართალია, ბევრი ჩვენთაგანი მოწამეა სხვადა სხვა ცალკე ამბების, მაგრამ ყველაფერი, რაც საზოგადოთ ხდებოდა და კეთდებოდა, ბევრმა არ იციან.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მაშინდელ ჩვენ თაობას მოყვა ახალი თაობა, ემიგრაციაში ჩვენ დაგვემატა კიდევ ახალი თაობა, ომიანობის დროს საბჭოთა საქართველოდან გამოსული ახალგაზდობა. ამათ უფრო ნაკლებათ იციან ჩვენი ნაწარმოები ბრძოლები, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთ ესენი ვერ იცნობენ, მათ ამის საშუალება არ ქონიათ. ეს თაობა კრავჩენკოს გამოცემულ წიგნს უფრო იცნობს, ვიდრე ჩვენ გმირ მებრძოლებს, რომლებიც საქართველოს თავისუფლებისათვის ეწამნენ და დაიხოცნენ.

კრება ფეხზე ადგომით და რამდენიმე წუთის სიჩუმით პატივს სცემს დახოცილ გმირთა ხსოვნას, რის შემდეგაც მომხსენებელი განაგრძობს:

ჩემს მოხსენებაში მე მომიხდება ჩემ თავზე ლაპარაკი, მაგრამ გთხოვთ ამაზე არ დამძრახოთ; თუ ყველაფერი ისე ვერ გამოვთქვი, როგორც ამას მოითხოვს მწიგნობარი კაცის ენა, ესეც მაპატიეთ. მე, როგორც მუშაკაცს, არ მეხერხება დალაგებით ლაპარაკი, მაგრამ, იმედი მაქვს, გამიგებთ, რაც მინდა გითხრათ.

სანამ გადავიდოდე ჩემს მოხსენებაზე, უნდა მადლობა გამოუცხადო ბ-ნ შალვა აბდუშელიშვილს, რომელმაც კეთილი ინება და ამ კრების თავმჯდომარეობა იკისრა. შალვა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან ცნობილი ძველი მოღ-

ვაწეა, ჩვენ დროს იყო შრომის სამინისტროს რწმუნებული და ამავე დროს პროფესიონალური კავშირების მდივანი.

ბატონებო, მე დავიბადე ზემო იმერეთში, ჭიათურის შავი ქვის მადნების სამშობლოში. იქაური მცხოვრებნი არიან მეტად მშრომელი და მუყაითი ხალხი. მათი ცხოვრების წყარო იყო ხვნა-თესვა, მევენახეობა, მეხილეობა, ხელოსნობა (მეჭურჭლეობა, მჭედლობა, დურგლობა, კალატოზობა, თერძობა და სხვა).

ჭიათურაში დაწყებულმა შავიქვის წარმოებამ თანდათანობით სრულიად შესცვალა იქაური ცხოვრების ელფერი. მან დიდი გავლენა მოახდინა გარშემო მდებარე სოფლების ეკონომიურ ვითარებაზე, ისე, როგორც ამ მოვლენამ იმოქმედა საქართველოს სხვა კუთხეებზე.

ხალხს გაუჩნდა ახალი სახსარი თავისარჩენის და ცხოვრების. ვისაც სოფელი არ აკმაყოფილებდა ყველამ ჭიათურას მიაშურა.

მე ათი წლისა ვიყავი, როდესაც დავიწყე ჭიათურაში შავიქვის მადნებში მუშაობა გადამზიდველათ. მაშინ მრეწველები იყვნენ: ჩუბინიძე და ჯაყელი, და კიდევ გოგია ბრეგვაძე ფოდრაჩიკი.

მუშაობის დრო არ იყო განსაზღვრული, ვმუშაობდით ნარდათ ალიონიდან დაბნელებამდის.

შავიქვის წარმოება ჩქარის ნაბიჯით იზრდებოდა და ფართოვდებოდა.

გაჩნდენ უცხოეთის კაპიტალისტები. გაიხსნა ახალი ქარხნები; გაიყვანეს ჭიათურის რკინისგზა, გამრავლდა მუშახალხი.

შრომის მეტის მეტმა უხეირო პირობებმა, ფოდრაჩიკების თავაშვებულობამ, მწარმოებელთა ქონების უზომო სწრაფმა ზრდამ, ერთ უღელში გაბმული, ერთად თავმოყრილ მუშა ხალხს დააწყებინა ფიქრი თავის მდგომარეობაზე და ცხოვრების გაუმჯობესობაზე. ამ საქმეში ჩვენს დამხმარეთ გამოგვიჩნდენ ხალხის გულშემატკივარნი, ნასწავლი პირები.

აი, ტერენტი წერეთელი და კარპე მოდებაძე, რომლებიც პირველათ მოვიდენ ჩვენთან და რომელთა ხელმძღვანელობით და მეთაურობით მოვაწყვეთ მუშათა წრეები და სოციალდემოკრატიული ორგანიზაციები. ამათ სხვებიც მიემატა. თვით მუშათა წრეებშიაც გამოიწაფენ პროპაგანდისტები და ორგანიზატორები. სოციალდემოკრატიული რევოლიუციონური მუშაობა მოედო მთელ ჭიათურის მუშებს და მთელ გარეშე რაიონებს.

ჩვენი ორგანიზაციები ზრუნავდენ არა მარტო მუშათა ცხოვრების გაუმჯობესობისათვის, არამედ მათ განვითარებაზედაც. მათ ხნეობრივ ამაღლებაზე, მათი ოჯახის დაცვაზე. ყველა დაჩაგრული და უსამართლობით შეურაცყოფილი ჩვენ ორგანიზაციაში პოულობდა დამცველს და ქომაგს. მე ვიყავი ერთი აქტიური წევრთაგანი, ყველა ახალი წამოწყების დამცველი და გამტარებელი. ჩვენმა მოძრაობამ დიდი გავლენა და თანაგრძნობა მოიპოვა საზოგადოების ყველა ფენებში...

პირველი მსოფლიო ომის დროს მეც ჯარში ვიყავი და მოვხვდი ფრონტზე. მქონდა საშუალება უმფროს ამხანაგებთან ვყოფილიყავ კავშირში. ჩვენი აზრი იყო, როგორც მეომარს გვეომა, მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ იარაღი ხელიდან არ უნდა გაგვეშვა და მოგვეხდინა რევოლიუცია.

ომის ბოლო ახლოვდებოდა, დაჭრილს სამი თვის თავისუფლება მქონდა, როდესაც რევოლიუცია მოხდა. ვიქტორ მელიქოვის და კუკური ხუნდაძის მეთაურობით ჭიათურაში შევადგინეთ რევოლიუციონური წესრიგის დამცველი რაზმი. დიდი მუშაობა გვიხდებოდა. ამ დროს ზაქარია გურულმა მაცნობა, აუცილებლათ თბილისში უნდა ჩამოხვიდე, აქ საჭირო ხარო.

• ჩავედი. ნათლულში დავიწყე საქმიანობა. აქაც მოვხვდი წესიერების დამცველ რაზმში. ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო მთლათ ჩამოყალიბებული სახალხო გვარდია. იარაღი საკმარისი არა გვქონდა.

ჩვენს პოლიტიკურ ხელმძღვანელებს გადაეწყვიტათ არსენალის აღება და მისი დაპატრონება. ჩვენი სამხედრო გამწვრთნელი იყო ვალოდია გოგვაძე. არსენალის ასაღებათ რომ მივედით, ჩვენთან იყვენ ჩვენი ლიდერები: ევ. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი და სხვები. ნ. ჟორდანია ამ დროს იყო სასახლეში, იქ ლებულობდა ტელეფონით ცნობებს ჩვენი მოქმედების და საქმის მდგომარეობის შესახებ. პირველ მომენტში მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო. გაბედული და თავდადებული ბრძოლით ხელში ჩავიგდეთ არსენალი, მტრებისგან გავწმინდეთ და ბრძოლის დამთავრების შემდეგ საყარაულოთ ჩავაყენეთ ამხანაგების ერთი ნაწილი და ჩვენ დავბრუნდით ქალაქში.

ფრონტიდან დაბრუნებულმა გაბოლშევიკებულმა ქართველმა ჯარისკაცებმა ბევრ ადგილას იარაღით ხელში დაიწყეს ხულიგანური გამოსვლები, ამათ დაწყნარებაში და იარაღის აყრაში ჩვენი რაზმი იღებდა მონაწილეობას.

რუსეთიდან ჩამოსული ქართველობა და რუსი ლტოლ-ვილები განცვიფრებული იყვნენ საქართველოში არსებული წეს-რიგით. ამბობდენ: ბედნიერება და სოციალიზმი აქ დაგიმყარებიათო.

ჩვენი რაზმი სხვებთან ერთად გაგზავნილ იქნა შავიზღვის პირზე, სადაც თეთრ რუსებს გადმოელახათ საქართველოს საზღვარი და შემოსულიყვენ ჩვენს ტერიტორიაზე. მტერი გავრეკეთ, მათ მიერ დაკავებული მხარე გავანთავისუფლეთ.

ვალიკო ჯუღელის შესახებ დადიოდა ლეგენდები: მას ტყვია არ ეკარებაო.

ჩვენს ომებში ძმებ გოგუაძეების ჯავშნოსნები დიდ დახმარებას უწევდენ ჩვენ შეიარაღებულ ძალებს და დიდი გმირული და სასიქადულო საქმეებიც გააკეთეს. სადაც ბრძოლის დროს მათი ჯავშნოსნები გამოჩნდებოდენ, შიშის ზარს სცემდენ მტერს.

რუსის ბოლშევიკების დახმარებით ოსები აგვიჯანყდენ. გვარდია იქ გაჩნდა რესპუბლიკის დასაცველათ. ამ დროს, როცა გვარდია აჯანყებულ ოსეთს იარაღს ყრიდა, ბათუმის მხარეს მოხდა სამწუხარო ამბავი: ოსმალოს ჯარებმა ძალით დაიკავეს ჩვენი ზღვის პირას ქალაქი ბათუმი. ოსმალო დიდხანს არ გაჩერებულა, იგი იძულებული იყო დაეცალა ბათუმი, ინგლისელები რომ შემოვიდენ ამიერ კავკასიაში.

შიგნით მოსკოვის მოყიდული მოღალატე ქართველები, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, თავიანთ მცირე-რიცხოვან მიმდევართა შემწეობით ახდენდენ არეულობას და აჯანყებას.

სცადეს მათ ჩვენი დასუსტება და ჩვენი თავისუფლების მოსპობა; სამეგრელოში, საჩხერეში, ლეჩხუმში. ჩვენი რაზმი მონაწილეობას იღებდა იქ აჯანყებების ჩაქრობაში და წეს-რიგის დამყარებაში. აქ რომ მოვრჩით და ყველგან მოღალატე მტრები შევმუსრეთ, მშვიდობიანობა აღვადგინეთ, ჩვენ მაინც არ მოგვეცა დასვენება, ცნობა მივიღეთ, რომ სომხის შეიარაღებულ ძალებს გადმოულახავს ჩვენი საზღვრები და თბილისის მიმართულებით მტერი წინ იწევსო. რასაკვირველია, მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალებიც იქით გაეშურა.

(ამხანაგი ვალიკო კითხულობს სამხედრო მინისტრის გრ. კიორგაძის წერილს და ვალოდია გოგვაძის წერილს).

პირველი თავდასხმა სომხების მოხდა შულავერში. გვეკონა სომხების ბანდები, ამიტომ არც მობილიზაცია იყო იმ ჟამათ გამოცხადებული. ნამდვილათ კი გამოირკვა, რომ ინგლისელების ხელის შეწყობით სომხეთის რესპუბლიკის ჯა-

რები მოსდგომიან ჩვენს საზღვრებს ხრამის ხიდზე და შულავრის ქედზე. მათ წინ დაუხვდენ ქართული შეიარაღებული ძალები გენერალ მაზნიაშვილს და გენერალ კვინიტაძის უმფროსობით. ფრონტის ხელმძღვანელმა ლიკვინავაძემ დააწყო საბრძოლველათ ქართული რაზები. პირველ შეტევისთანავე მტერი იქნა დამარცხებული და უკუქცეული. ჩვენი ჯარები დაედევნენ გაქცეულ მტერს და წინ მიიწევდენ.

(აქ მომხსენებელი კითხულობს, წერილს სადაც ფრონტია აღწერილი).

სომხეთის ფრონტის ლიკვიდაციაში თავი გამოიჩინა გენერალ ვანო ჯაფარიძემ, რომელსაც ჩვენი მთავრობისაგან დავალებული ქონდა ინგლისელების დელეგაციასთან მოლაპარაკების გაჭიანურება. სანამ ჩვენი ჯარები არ დაიჭერდენ საჭირო სტრატეგიულ ადგილებს, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა ომის შეჩერება, სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყებათ. ვ. ჯაფარიძემ თავისი მისია სავსებით შეასრულა.

გათავდა ეს ამბავი და ცნობა მოვიდა, რომ ახალ-ციხეში აჯანყება დაიწყოო. იქ რომ აჯანყება ჩავაქერით, გამოგვიცხადეს დენიკინი ენგურს მოადგა და საჭიროა იმ ფრონტზე წასვლაო. ჩვენც წაველით. ბრძოლით დენიკინის ჯარებს უკან დავახევინეთ ჩვენი საზღვრების იქით. ეს გამარჯვება მდინარე მახადირზე დღესასწაულით გადავიხადეთ.

ჩვენი რაზმები დარჩა იქ სამი თვე. შემდეგ რეგულიარული ჯარის ერთმა ნაწილმა შეგვცვალა. ჩვენ უნდა წამოვსულიყავი ჩვენი გემით «ჟოროხი»-თ, მაგრამ დენიკინელებმა ეს გემი მოგვტაცეს და ჩვენ იძულებული ვიყავით გაგრიდან ფოთამდის ფეხით ჩამოვსულიყავით.

დენიკინის ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ, ოსეთში გავემგზავრე. იქიდან კი მალე უკან დავბრუნდი.

ამ ბრძოლებში გავიდა ორი წელიწადი. ჩვენს ბრძოლებში მონაწილეობას იღებდენ ჩვენი ახალგაზდა სტუდენტებიც.

განვლილ ბრძოლების პროცესში სახალხო გვარდია ნამდვილ გაწვრთვნილ სამხედრო შეიარაღებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მან თავის თავგანწირული და დაუღალავი ბრძოლებით საქართველოს საზღვრების დაცვაში და ხელისუფლების გამტკიცების საქმეში დიდი როლი ითამაშა და მით დაუფასებელი სამსახური გაუწია ჩვენს სამშობლოს.

როდესაც ჩვენს საზოგადოებაში შეიქნა ლაპარაკი სახალხო გვარდიის მუდმივი რეგულიარული ჯარით შეცვლის შესახებ, არავის ამის გაგონება არ უნდოდა.

ჩვენ მოგვიხდა აგრეთვე აზერბაიჯანის და მოსკოვის წითელ ჯარებთან ბრძოლა. აქ ჩვენი ახალგაზდა იუნკრებიც იყვნენ. ომი დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე ზავი ჩამოვარდა.

მოსკოვის მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ ინგლისელებმა ჩვენი ტერიტორია დატოვეს. შემდეგ თვითონაც გვიცვნეს.

ამ აქტის შემდეგ ბათუმში გვეახლა ევ. გეგეჭკორი, გენ. კვინიტაძეს თანხლებით და ვლასა მგელაძის აღმაფრენული სიტყვით «ქართული ეროვნული დროშა» ავაფრიალეთ—როგორც ემბლემა. დაიწყო სიწყნარე და მშვიდობიანობა. ევროპის და სხვა სახელმწიფოებმა დაგვიწყო ცნობა ჩვენი დამოუკიდებლობის. ზეიმობა და დემონსტრაციები ხატავდა ქართველი ხალხის სიხარულს.

მხოლოდ 1921 წელს თებერვალში ომის გამოუცხადებლათ თავს დაგვესხა წითელი რუსეთი—მტერს დაუპირდაპირდა თავისუფალი საქართველო. იმ დროის მთავარსარდალი ქართული შეიარაღებული ძალების გენ. ოდიშელიძე იყო. ჩვენი სამხედრო ძალების მაღალ რიგებში სისუსტემ იჩინა თავი. მთავრობამ გენ. კვინიტაძეს გადასცა მთავარ-სარდლობა. ომში დიდათ თავი ისახელა ახალგაზდა იუნკრებმა...

დავმარცხდით. მთავრობა საზღვარგარეთ წამოვიდა.

ვინც სამშობლოში დავრჩით, ჩვენი დამოკიდებულობა ახალ რეჟიმთან გამოვაქვეყნეთ 10 აპრილის ისტორიულ ყრილობაზე. რომელსაც თავმჯდომარეობდა სილიბისტრო ჯიბლაძე, მდივნათ იყო შალვა აბდუშელიშვილი. ამ ყრილობის პირით ჩვენ განვაცხადეთ, რომ თუ საშუალება მოგვეცა, სოციალდემოკრატები ლოიალურათ ვიმუშავებთ ყველა ეკონომიურ კულტურულ სარბიელზე, მხოლოდ არ შევალთ არავითარ ადმინისტრატიულ პოლიციურ ორგანოებში.

კომუნისტური რეჟიმი იბადებოდა. ფილიპე მახარაძემ დაიწყო სხვადასხვა ქალაქებში მიტინგების გამართვა: ჭიათურაში, ქუთაისში, გურიაში. მას ყველგან ცივათ შეხვდენ. ამას მოყვა დაჭერები. ჭიათურაში დაგვიჭირეს 30 კაცი და ქუთაისში გაგვაგზავნეს. მხიარული წავედით. ხალხი გზაში თანაგრძნობით გვეგებებოდა. არავინ იცოდა წინდაწინ სად გვაგზავნიდენ. ჭიათურის მრეწველებს შიკრიკი გამოეყოლებიათ, რომ გაეგოთ სად წაგვიყვანეს და დახმარება გადმოგვიგზავნეს. ვინც გვახლდა მცველებათ, მათაც გული აუჩუყდათ და გამოგვემშიდობენ. ქუთაისში ჩამოვიდა კოტე ცინცაძე და მან თბილისში გადაგვაგზავნა. მეტეხში შეგვიყვანეს. იქ და-

გვხვდა ჩვენი მოწინავე ამხანაგები. მეტეხში ვისაც დიდხანს აწერებდენ, მათ აწერიებდენ მათ ბიოგრაფიას, მოგონებას.

მეც გამომიშვეს ციხიდან და მაშინვე შეუდექი კავშირის აღდგენას. ჭიათურაში მინდოდა წასვლა, მაგრამ კოტე ცინცაძე მიშლიდა. ამ დროს მოხდა ლასა მგელაძის და კოტე ცინცაძის დატაკება. ლასას მაინც მისცეს თავისუფლების ქაღალდი. მე ჭიათურაში წავედი, საიდანაც გურიაში ვიმოგზავრე. შემდეგ ისევ ჭიათურაში დავბრუნდი. ამ დროს მოხდა სვანეთის გამოსვლები. იმ მომენტში მე ვიყავი რაჭის მთაში სამუშაოზე. მომივიდა ცნობა გადავსულიყავი სვანეთში, რაც ავასრულე. იქ უნდოდათ ქუთაისის აღება, მაგრამ ვერ გადავწყვიტეთ. სვანეთის აჯანყებას მეთაურობდა: ბიძინა პირველი (ეროვ. დემოკრატი), ეგნატე გაბლიანი (ფედერალისტი), გრ. ონიანი (სოც.-დემოკრატი), ცენტრიდან ჩამოსული სოლომონ ვადაჭკორია. სვანეთიდან ქუთაისში დაუკავშირდით თედორე ასათიანს. დაბოლოს გადავწყვიტეთ გადაგვედო გამოსვლები, საქართველოს მთლიან აჯანყებამდის.

ამის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა სტალინი. მეც თბილისში ჩავედი. დავესწარი მის საჯარო გამოსვლებს. იქ ნახულმა ამბავმა დამარწმუნა, რომ სულით ვერ გაგვტეხამენ. სტალინს არ მისცეს ლაპარაკის საშვალება, დაგმეს მისი გამოსვლა. სტალინი წავიდა დამარცხებული. ამ აქტს მოყვა დიდი რეპრესიები. 1922 წელს თებერვალში მოხდა სტუდენტების დემონსტრაცია უნივერსიტეტში. იმ დღეს იქ მივიდა მამია ორახელაშვილი. ის უნივერსიტეტიდან გამოაძევეს.

თუ იუნკრებმა თავი შესწირეს კოჯორზე, ბრძოლა გააგძელა სტუდენტებმა, რაც ჯერ არ დასრულებულა (მომხსენებელმა მიიღო მხურვალე ტაში აუდიტორიისაგან).

ამის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილი გამოვიდა თავის რაზმით, რამაც დიდი ამბავი გამოიწვია. ასეთი რაზმები იყო გურიაში და შორაპანში. რაზმის მონაწილენი ყველგან კარგათ ვიყავით მიღებული ხალხისგან.

1922 წელის მაისში დამესხა თავზე პოლიცია. თავი დავაღწიე ბრძოლით და შევადგინე რაზმი. რაზმს აქტივობა უნდოდა, არ ვაძლევდი ნებას. მაინც არ მოიშალეს და ფოსტას დაეცენ. ამან გამოიწვია რეპრესიები და შორაპანის მაზრა გაანადგურეს. ასევე მოხდა გურიაში, სადაც ობოლაძემ მოსრისა გურია. ასე გათავდა 1923 წელი.

ჭიათურაში ჩვენი ხალხი ვნახე და მათთან კავშირის აღდგენის შემდეგ, თბილისში გავემგზავრე ვალიკო ჯუღელის

სანახავათ. მან დამარწმუნა, რომ თბილისი უნდა ავიღოთო, რის შემდეგ ისევ ჭიათურაში დავბრუნდი. აქ ცნობა მივიღე: ვალიკო ჯუღელი დაატუსაღესო. დაატუსაღეს აგრეთვე გიორგობიანი.

მომხდარი ამბების შემდეგ, სწორი ცნობების მისაღებათ თბილისში წავიდა გიორგი წერეთელი. დაბრუნების შედეგ, მან მოგვიტანა ცნობა, რომ თბილისის აღებას პირველ რიგში თავს ვანებებთო, ადგილობრივათ უნდა ავიღოთ ქალაქებიო. ჩვენ სამზადისს შეუდექით ჭიათურაში. (მომხსენებელმა აღწერა დაწვრილებით ჭიათურის გამოსვლები).

გამოსვლების შემდეგ, ორი კაცის თანხლებით თბილისში ჩავედი. ყველა ამხანაგებმა საყვედური გვითხრეს: ჭიათურის 24 საათით ადრე გამოსვლამ ხელი შეგვიშალაო. თბილისში ხელისუფლებამ მომნახა, დაიწყო ჩემი დაკითხვები, რომლის დროს ბევრ დიდ კომუნისტებს შევხვდი. სხვათა შორის, სერგო ორჯონიკიძემ მითხრა: ჭიათურამ გადაარჩინა საქართველო მოსპობას მისი ნაადრევი გამოსვლებითო.

თბილისში ვცხოვრობდით, როგორც უცხოელები, ემიგრანტები. ამ ხნის განმავლობაში ყველა კავშირები აღვადგინეთ ხელახლა. მოვაწყვეთ მესამე ყრილობა—ჩვენ ვფიქრობდით, ერთა ლიგა მოთხოვდა პასუხს რუსეთს. საქართველო გაენთავისუფლებია დაპყრობისგან. ჩვენი ანგარიში არ გამართლდა.

შემდეგ ამხ. ვ. ჩუბინიძე კითხულობს მიმართვას ინგლისის მუშათა კლასისადმი. სადაც მოთავსებულია აჯანყების შემდეგ დახვრეტილთა სია. მოხსენებადაათავა შემდეგი დასკვნით: აჯანყებას ქონდა ხალხური, მასიური ხასიათი. დადგება დრო, ჩვენ მივიღებთ თავისუფლებას. იმ ქვეყანას, რომელიც დროებით მფარველობას გვიწევს და საშვალებას გვაძლევს ჩვენი ქვეყნისათვის ვიბრძოლოთ, ამას ნუ დაუვიწყებთ.

მხურვალე ტაშით დაჯილდოებული მომხსენებელი ათავებს საუბარს, რის შემდეგ ეკრანზე ნაჩვენები იქნა 92 სურათი, ფილმით გადაღებული, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა მოხსენების მნიშვნელობა. სურათები იყო: ჭიათურის მუშათა ცხოვრებიდან მაღაროებში და მათი რევოლიუციონური მუშაობის მომენტები, სოც.-დემ. პარტიის ხელმძღვანელნი, გვარდიის და მოხალისეთა სხვადასხვა ნაწილები, მთავრობის წევრები, დამფუძნებელი კრების წევრები, სასახლე და პრეზიდენტი ნოე ჟორდანია.

კრების მდივანი გრ. ძოწენიძე.

ძვირფასო ამხანაგო ეგნატე *)

შენ, ალბათ, გაგიკვირდება ამ ბარათის მიღება, თუ შენამდის მოაღწია!

მე დავტოვე საქართველო 1947 წელში, შემოდგომაზე. ომის დროს ვიყავი სამშობლოში. შენ გაინტერესებს პირველათ, როგორც შენი ცოლ-შვილის ამბავი, ისე შენი ძველი ამხანაგების!

შენმა ცოლ-შვილმა დაჰყო სამი წელიწადი აღმოსავლეთ ციმბირში. დაბრუნდენ საქართველოში 1941 წელში. დანარჩენი შენი ძველი ამხანაგები, ვინც გადაურჩა ბოლშევიკურ მორიგ პროვოკაციას 1937 წელში, როგორც ტროცკისტებათ მონათლული, იმყოფებიან აღმოსავლეთ ციმბირის შორეულ ლაგერებში. შენი მისამართი გადმომცა ერთმა მანდ ნამყოფმა ტყვემ, რომელიც იყო საფრანგეთში ომის დროს.

შენც და ჩვენებსაც :გაინტერესებთ ჩვენი ბედი! მე მეორეთ ვარ გადასახლებული ციმბირში. საცოდავი ზაქარია გურულის არაფერი ვიცით. გრიშა ლორთქიფანიძე მგონი ცოცხალია. ალექსანდრე დგებუაძე იყო უკანასკნელათ ვორონეჟში. მერმეთ აღარაფერი ვიცით. ბევრი დაიღუპა, მაქედან ვინც გადმოყარეს გერმანელებმა.

ჩვენ ყველაფერი ვიცით თუ რა განწყობილებაა ემიგრაციაში, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. აქ დიდ მზადებაში არიან, ელიან მესამე ომს და აწარმოებენ დიდ პროპაგანდას, რომ მოდის ამერიკის დამპალი კაპიტალისტური წყობილებაო. ნეტავი რას ფიქრობს ჩვენი უხუცესი ბელადი ნოე ჟორდანია, ან კაკი წერეთელი? რა ხდება ინტერნაციონალში? გაერკვა თუ არა იგი ეხლა მაინც რუსეთის საკითხში? გამოეცით თუ არა რამე წიგნი კავკასიის სოციალდემოკრატიული პარტიის ისტორიაზე. აქ ყველაფერი დამახინჯებული არის საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის ისტორიაზე. ეცადეთ თქვენ იქნებ მანდ შეავსოთ ეს ნაკლი.

---

*) ეგნატე ჩუბინიძე იყო ბაბუა ჩემი. როცა მე ვიმალებოდი, ვატარებდი ეგნატეს სახელს. ეს წერილი მივიღე გერმანიიდან, ინგლისის საოკუპაციო ზონიდან. ბალტიელი პოლონელი არც მინახავს და არც ვიცი მისი მისამართი. წერილის ავტორი კირილე არის ჩემი ძველი ამხანაგი და მეზობელი.

ვ. ჩუბინიძე.

საქართველო არის დღეს მეორე სამხედრო ბანაკი. საერთოთ ციმბირი მიჩნეულია პირველ თავშესაფარ პუნქტათ. მოსკოვში დღეს იყრის თავს მთელი უმაღლესი სამხედრო შტაბი. კარგათ იციან, თუ ომი მოხდა, პირველათ განადგურდება მოსკოვი, შემდეგ კავკასია. ეცადეთ კავშირი დაიჭიროთ ამერიკელებთან, რომ ჩვენ არ დაგვტოვონ შემდეგში მთლიან რუსეთთან. ამას ყველა გრძნობს, ვინც არის ანტი-ბოლშევიკურ დაჯგუფებებში.

აქ, ჩვენთან ლაგერში იმყოფებიან ბევრი ყოფილი წითელი არმიელები, რომელნიც იყვნენ ტყვეთ ჩავარდნილნი გერმანელებთან. ამათ რიცხვში შედიან ბევრი სომხები, აზერბაიჯანელნი და ქართველებიც, აგრეთვე ბალტიელები და პოლონელები. იყვნენ აგრეთვე ისპანელნი, ყოფილი კომუნისტები, რომელნიც ღებულობდენ მონაწილეობას გენერალ ფრანკოს წინააღმდეგ 1936 წელში. ბევრი იხოცებიან, ვერ იტანენ აქაურ ჰავას. ბევრს აქვს მისჯილი 5 წლიდან 15 წლამდის. ამათში არიან ყველანაირი დამნაშავენი. ბევრჯერ აღვძარით შუამდგომლობა საერთაშორისო წითელ ჯვართან, რომ პოლიტიკური იყოს გამოყოფილი, მაგრამ გადის დრო, იხოცება ხალხი პირუტყვებივით და არავითარ ყურადღებას არ გვაქცევენ და არც იმედი არის საიდანმე. თქვენ კარგათ იცით, ალბათ, რომ საქართველოში 1937 წელში დაიღუპა დახვრეტის მისჯით საცოდავი კოლია ქარცივაძე ბუდუ მდივნის და მის მიმდივრებთან ერთად. აგრეთვე დამკომის სასამართლოს თავმჯდომარე—გალაქტიონ ვაშაძე დახვრიტეს. კარპე მოდებაძე გააქვრეს, არაფერი იციან, ალბათ ისიც მკვდარია. გოგიტა აბდუშელიშვილი დაბრუნდა და გარდაიცვალა თბილისში. აგრეთვე გარდაიცვალა ტარიელ აბდუშელიშვილი, სალოვკიდან დაბრუნებული. გარდაიცვალა აგრეთვე თეოფილე კალანდაძე ნახევრათ გაკომუნისტებული. ყველაზე მეტი დანაკლისია შენთვის და საწყენიც—კოლია ჩაჩანიძე. კარგ მოგონებებით გიხსენიებდა.

ეხლა ძმაო ეგნატე, ამ წერილს ვატან ერთ ბალტიელ პოლონელს, რომელიც ჩვენთან ერთათ დაჰყო 18 თვე ლაგერში. ეს ლაგერი არის ჩელიაბინის ობლასტის ახლოს. ამ პოლონელმა ბევრი ქართული სიტყვებიც შეისწავლა ჩვენთან.

იყავი კარგათ. მომიკითხე ყველა ჩვენი ძველი გვარდია, განსაკუთრებით ჩვენი ბელადი ნოე ყორდანია.

18 დეკემ. 1949 წ. შენი ამხანაგი კირილე.

ფიფის ელევატორი. 1905 წელში ტუნელის თავზე მარჯვენა მხარეზე იყო ნაქარია ჯურულის წითელი რახჩი რუსის ჯარის წინააღმდეგ.

ჭიქაურის აღმოსავლეთის მხარე.



ნაწილი ჭიათურის ჩრდილოეთის მხარე.

1921—1954 წ. გარდაცვალებულ სოც.-დემ. სია *)

აბაშიძე ვანო. ზესტაფონი.
აბაშიძე სამოველ. ციმბირი.
აბდუშელიშვილი გოგიტა. თბილისი.
აბდუშელიშვილი ტარიელ. საქართველო.
აბდუშელიშვილი ჯაჯია. ჭიათურა.
აბესაძე მიხა. ზესტაფონი.
აბესაძე გერასიმე. ციმბირი.
აბულაძე ლავრენტი. ჭიათურა.
აბულაძე გრიშა. ზესტაფონი.
ადეიშვილი ამბერკი. რუსეთი.
ათაბეგიშვილი ვასო. ვარშავა.
აიოლო გრიშა. ჩეხია.
ალიმბარაშვილი სიკა. საფრანგეთი
ალფაბიძე ალიოშა. ქუთაისი.
ანჯაფარიძე გიორგი. თბილისი.
ანჯაფარიძე გიზო. საქართველო.
არაბიძე არჩილ. ზესტაფონი.
არავიაშვილი არჩილ. საფრანგეთი.
არსენიძე ვანო. ჭიათურა.
არსენიძე დიმიტრი. ზესტაფონი.
ასათიანი გრიგოლ. ზესტაფონი.
ასათიანი თედორე. თბილისი.
ახალკაცი სანდრო. გერმანია.
აფხაზავა ნოე. რუსეთი.
ახმეტელაშვილი სტეფანე. რუსეთი.
ახმეტელაშვილი ლადო. გერმანია.
აუშტროვი რუბენ. საფრანგეთი.
ბაკურაძე ლადო. საფრანგეთი.

---

*) ბევრი ჩეკასაგან წამებული ამხანაგები ვერ შევიდ-ამ სიაში. მოსსენებულია, რომელთა უბედურობის ცნობა მე მქონდა. აქ არიან ბოლშევიკების მიერ დახვრეტილნი, ჩეკაში და ციხეში გარდაცვლილნი. ციმბირში და რუსეთში დაღუპულნი, ციხიდან და გადასახლებიდან განთავისუფლებულნი, დაავადმყოფებულნი, უდროოთ სამარეგათხრილნი და საზღვარგარეთ დამარხულნი.

ჩუბინიძე.

ბარათაშვილი გაბო. ზესტაფონი.
ბარამიძე მირიან. საფრანგეთი.
ბაქრაძე ლადო. საფრანგეთი.
ბაზღაძე ამბერკი. ციმბირი.
ბაკუნაშვილი მარო. თბილისი.
ბახათურია ვარლამ. ჭიათურა.
ბედინაშვილი ვანო. რუსეთი.
ბედინაშვილი გრიგოლ. რუსეთი.
ბელიაშვილი იონა. ჭიათურა.
ბერბიჭაშვილი გაბილა. საფრანგეთი.
ბერიშვილი გერონტი.
ბერიძე ვანო. თბილისი.
ბერძენიშვილი ილიკო. ზესტაფონი.
ბერძენიშვილი გიორგი. საფრანგეთი.
ბობოხაძე ვლასა. თბილისი.
ბოლქვაძე ლიზა. რუსეთი.
ბოცვაძე ვანო. საფრანგეთი.
ბოჭორიშვილი ტერენტი. საქართველო.
ბრეგვაძე ნიკო. ჭიათურა.
ბრეგვაძე ალექსანდრე. ციმბირი.
ბრეგვაძე ვლასა. ჭიათურა.
ბრეგვაძე მაქსიმე. საქართველო.
ბრეგვაძე ელისე. ჭიათურა.
ბუკია სვიმონ. საქართველო.
ბურჯანაძე ლადო.
გაბუნია დარისპან. ჭიათურა.
გაბეხაძე იოსებ. საფრანგეთი.
გალობლიშვილი ვალიკო. ნორვეგია.
გამეზარდაშვილი ალექსანდრე. ჭიათურა.
გამეზარდაშვილი სპირიდონ. ჭიათურა.
გამეზარდაშვილი ირაკლი. ჭიათურა.
გამყრელიძე გრიშა. ჭიათურა.
გამყრელიძე აკაკი. ჭიათურა.
გამყრელიძე ნოე. ჭიათურა.
გაჩეჩილაძე მიხა. ზესტაფონი.
გაჩეჩილაძე დოსიეე. თბილისი.
გაჩეჩილაძე ამბერკი. თბილისი.
გაფრინდაშვილი გიორგი. რუსეთი.
გაფრინდაშვილი შალიკო. ჭიათურა.
გაფრინდაშვილი პავლე ჭიათურა.

გელაშვილი ვარლამ. თბილისი.
გვარამია ტუტკუ. თბილისი.
გიგინეიშვილი ლადიკო. ქუთაისი.
გიორგაძე შალიკო. თბილისი.
გიორგობიანი ლადო. თბილისი.
გოგიბერიძე სიმონიკა. საქართველო.
გოგვაძე ალფეზ. გურია.
გოგვაძე ალექსანდრე. გურია.
გოგვაძე ნოე. რუსეთი.
გოგვაძე კირილე. თბილისი.
გოგნიაშვილი ვანო. ბერლინი.
გორდაძე სვიმონ. ჭიათურა.
გორდელაძე ვასო. ნორვეგია.
გორდელაძე აღათი. ბათუმი.
გორდელაძე სვიმონ. ხონი.
გოგნიაშვილი ვანო. ბერლინი.
გოგხაძე პლატონ. ჭიათურა.
გრძელაძე გიორგი. გურია.
გურული ზაქარია. ქუთაისი.
გურული თეიმურაზ. ჭიათურა.
გურული გიორგი. ჭიათურა.
გურული კოწია.
გუჯაბიძე. ჩოჩხეთი (გურია).
დათიაშვილი ვლადიმერ. ჭიათურა.
დგებუაძე ვალიკო. ციმბირი.
დევდარიანი სეით. თბილისი.
დგებუაძე ვალიკო. ციმბირი.
დევდარიანი სეით. თბილისი.
დვალი დათიკო. თბილისი.
დოლიძე შალვა. ჭიათურა.
დოლიძე პეტრე. თბილისი.
დოლიძე ალექსანდრე. გურია.
დოლიძე გეგე (გიორგი). ოდენკური.
დონდუა ვასო. საფრანგეთი.
ებრაილიძე ერმალოზ. საფრანგეთი.
ებრაილიძე პართენა. ციმბირი.
ემუხვარი არზაყან. საფრანგეთი.
ელიგულაშვილი იოსებ. საფრანგეთი.
ვადაჭკორია სოლომონ. გერმანია.
ვადაჭკორია ამბერკი. საფრანგეთი.

ვადაპკორია აკაკი. საფრანგეთი.
ვაჩეიშვილი. გურია.
ვარდოსანიძე მოსე. ჭიათურა.
ვიბორგინი ანეტა. თბილისი.
ვოსიძე აკაკი. სუზდალი.
ზაბახიძე. ჭიათურა.
ზარნიძე ვალოდია. ჭიათურა.
ზაქარიაშვილი მელიტონ. გურია.
თევზაძე სარდიონ. თბილისი.
თევზაია ვიქტორ. თბილისი.
თათიაშვილი ქარუმ. თბილისი.
თოთიბაძე ვასო. საფრანგეთი.
თოიძე სევერიან. გურია.
თელია სოლომონ. საქართველო.
თითბერიძე სიკო. თბილისი.
თალგამიძე ილია. გურია.
თაყაიშვილი კოლია. საფრანგეთი.
ინწკირველი. თბილისი.
იმნაიშვილი დომითე. გურია.
იმნაიშვილი ნიკიტა. საფრანგეთი.
იმნაძე ვლასა. საფრანგეთი.
კაკაბაძე ბესარიონ. საქართველო.
კაკაბაძე კორნელი. საქართველო.
კაკაბაძე ვასო. საფრანგეთი.
კაკოიშვილი კოწია. ჭიათურა.
კაკოიშვილი ჯუკია. ჭიათურა.
კაკოიშვილი სტუდენტი. თბილისი.
კალანდაძე ნესტორ. საფრანგეთი.
კანჯარიძე სამსონ. გურია.
კაპანაძე ბიქტორ. თბილისი.
კაპანაძე ვასო. თბილისი.
კაპანაძე ვარლამ. თბილისი.
კაპანაძე გალო. თბილისი.
კაციტაძე სვიმონ. ჭიათურა.
კახელაძე სონა. საფრანგეთი.
კახელაძე დათიკო. საფრანგეთი.
კახიანი გიორგი. პარიზი.
კეკელიძე ილიკო. ჭიათურა.
კეკელიძე ფოკა. თბილისი.
კვაშალი ექვთიმე. საფრანგეთი.

კვერნაძე კოლია. თბილისი.
კიკვაძე .არტიმონა. აჭარა.
კიკვიძე ბიქტორ. ჭიათურა.
კინწურაშვილი ათანასე. ხონი.
კინწურაშვილი. თბილისი.
კობახიძე სინო. ჭიათურა.
კობიაშვილი სანდრო. საფრანგეთი.
კობოლავა. ლანჩხუთი.
კოკაია იელიანე. საფრანგეთი.
კოპალეიშვილი ილიკო. სამტრედია.
კუპარაძე ბაბო. საფრანგეთი.
კუპატაძე შალიკო. კაცხი.
კუპატაძე მალაქია. კაცხი.
კუპატაძე ტრიფონ. კაცხი.
კუპატაძე დორეთია. კაცხი.
ლაბაძე ტრიფონ. ზესტაფონი.
ლაშქარაშვილი მიშა. საფრანგეთი.
ლეკავა დიმიტრი. მეტეხი,
ლილუაშვილი ვლადიმერ. ჭიათურა.
ლომთათიძე ალექსანდრე. ტაშკენტი.
ლომთათიძე დათიკო. საფრანგეთი.
ლოლაძე აკაკი. ჭიათურა.
ლომთაძე დათიკო. თბილისი.
ლოსაბერიძე რაჟდენ. ჭიათურა.
ლომსაძე მიტო. თბილისი.
მამულაიშვილი ვ. გურია.
მანფორია არკადი. საფრანგეთი.
მარგალიტაძე თედორე. თბილისი.
მარიტიძე გიორგი. ჭიათურა.
მაჭარაშვილი სერაფიონ. ჭიათურა.
მაჭარაშვილი ვალიკო. ჭიათურა.
მაჭარაშვილი ალექსანდრე. ჭიათურა.
მახარაძე გერასიმე. თბილისი.
მგელაძე ელასა. საფრანგეთი.
მგელაძე ივანე. რუსეთი.
მგელაძე კოწია საქართველო.
მდივანი პეტრე. საზანო.
მდინარაძე აკაო. თბილისი.
მდინარაძე გრიშა. თბილისი.
მეგრელიძე ისკანდერა. საქართველო.

მელიქოვი ბიქტორ. ჭიათურა.
მენაღარიშვილი ზოსიმე. გურია.
მერკვილაძე აგაბო. ზესტაფონი.
მიქაბერიძე დომენტი. ჭიათურა.
მიქაბერიძე მიხეილ. ჭიათურა.
მიქაბერიძე პოლიკარპე. ჭიათურა.
მიქაძე ლავრენტი ჭიათურა.
მიხულიძე მიხეილ. ჭიათურა.
მოდებაძე ტარასი. ჭიათურა.
მოდებაძე კიმოთე. ჭიათურა.
მოდებაძე დიანოზ. ჭიათურა.
მონიავა ვიქტორ. საფრანგეთი.
მურმანიშვილი ვანო. თბილისი.
მურმანიძე სერგო. საფრანგეთი.
მჭედლიშვილი. თბილისი.
ნადირაძე სანდრო. ჭიათურა.
ნადირაძე ტარასი. რუსეთი.
ნადირაძე იპოლიტე. ჭიათურა.
ნათაძე ლეო. თბილისი.
ნაკაიძე გიორგი. გურია.
ნარიკიძე იასონ. საქართველო.
ნარიძე ბეგო. საქართველო.
ნასიძე ნიკო. საფრანგეთი.
ნაფეტვარიძე ლადო. ჭიათურა.
ნაღრაძე სანდრო. ჭიათურა.
ნებიერიძე ბაგრატ. თბილისი.
ნიქაბერიძე ლავრენტი. კოჯორი.
ნიქატაძე რაჟდენ. ჭიათურა.
ნოდია ვასო. ციმბირი.
ნოზაძე მარო. ციმბირი.
ნოზაძე ივანე. ჭიათურა.
ონიანი პეტრე. საქართველო.
პატარიძე ლეო. საქართველო.
ჟორდანია ნოე. საფრანგეთი.
ჟორჟოლიანი დათიკო. საფრანგეთი.
ყღენტი შალიკო. თბილისი.
ყღენტი ჭიჭიკო. საფრანგეთი.
ყღენტი ბესარიონ. ოსმალეთი.
რაზმაძე ანდრო. თბილისი.
რამიშვილი ნოე. პარიზი.

რამიშვილი ისიდორე. რუსეთი.
რამიშვილი იულო. რუსეთი.
რამიშვილი შალვა. ბათუმი.
რამიშვილი ანდრო. თბილისი.
რობაქიძე გიორგი. ჭიათურა.
რუსია ილარიონ. თბილისი.
რუსია ნინო. საფრანგეთი.
რუსია მელიტონ. საფრანგეთი.
რუხაძე ილია. ოსმალეთი.
რუხაძე პოლიკო. საქართველო.
საბახტარაშვილი კოწია. საფრანგეთი.
საბაშვილი მიხა. თბილისი.
სალუქვაძე ანანია. რუსეთი.
სალუქვაძე ანანია. რუსეთი.
სალუქვაძე გიორგი. თბილისი.
სალაყაია იოსებ. საფრანგეთი.
სამსონიძე შალვა. გურია.
სამხარაძე პარმენ. ჭიათურა.
სამხარაძე ილია. ჭიათურა.
სამხარაძე მიტუშა. ჭიათურა.
სამყურაშვილი პორფილე. ჭიათურა.
სამყურაშვილი არტემა. ჭიათურა.
სამყურაშვილი კოწია. ჭიათურა.
სარალიძე კალისტრატე. ჭიათურა.
სარალიძე კოლია. ჭიათურა.
სარალიძე ისაკი. ჭიათურა.
სარჯველაძე შოთა. პარიზი.
საყვარელიძე სვიმონ. ჭიათურა.
საყვარელიძე პავლე. საქართველო.
საყვარელიძე პეტრე. ზესტაფონი.
სებისკვერაძე ნადია. საფრანგეთი.
სვანიძე პავლე. საქართველო.
სიამაშვილი ილიკო. თბილისი.
სკამკოჩაიშვილი შალვა. პარიზი.
სოზიაშვილი სოსო. საფრანგეთი.
სოხაძე მიხა. თბილისი.
ტაპიძე (მასწავლებელი). ჭიათურა.
ტულუში ბენია. გურია.
ტულუში შალვა. გურია.
ურუშაძე ბათლომე. გურია.

ურუშაძე ლუკა. საფრანგეთი.
ფავლენიშვილი შალვა. თბილისი.
ფანცხავა (მუშა). თბილისი.
ფაღავა გოგიტა. რუსეთი.
ფაღავა სამსონ. ჭიათურა.
ფაჩულია ალექსანდრე. გერმანია.
ფირცხალაიშვილი ზოსიმე. გურია.
ფირცხალაიშვილი გერასიმე. თბილისი.
ფოფხაძე გიორგი. საფრანგეთი.
ფხალაძე გრიგოლ. ჭიათურა.
ფხალაძე ვანო. ჭიათურა.
ფხალაძე გედევან. ჭიათურა.
ღამბაშიძე ალექსანდრე. საფრანგეთი.
ღლონტი ჯამულეთა. გურია.
ღლონტი გერმანე. თბილისი.
ღლონტი ვანო. თბილისი.
ღუდუმიძე დათიკო. გერმანია.
ყაჭეიშვილი ბედია. გურია.
შათირიშვილი მათე. თბილისი.
შარაბიძე კოლია. საფრანგეთი.
შარაბიძე დათიკო. გურია.
შარაშიძე დათიკო. საფრანგეთი.
შარაშიძე შალვა. თბილისი.
შარაშიძე გიგო. გურია.
შარაშიძე ნიკო. ჭიათურა.
შატილოვი (ექიმი). თბილისი.
შენგელია შალიკო. საფრანგეთი.
შეყილაძე გიორგი. ჭიათურა.
ჩანტლაძე გიორგი. თბილისი.
ჩარკვიანი ლევან. საფრანგეთი.
ჩაჩუა გიორგი. საფრანგეთი.
ჩახანიძე კოწია. რუსეთი.
ჩახვაძე. გურია.
ჩახვაძე მარკოზ. საფრანგეთი.
ჩიკაშუა გიორგი. თბილისი.
ჩიკაშუა ვარდენა. საქართველო.
ჩიქავა ალექსანდრე. ზუგდიდი.
ჩიჩუა ზაქარია. საფრანგეთი.
ჩხაიძე ბიქტორ. გურია.
ჩხაიძე შალვა. თბილისი.

ჩხაიძე ვ. გურია.
ჩხეიძე კარლო. საფრანგეთი.
ჩხეიძე ნოე. საქართველო.
ჩხენკელი ვანო. რუსეთი.
ჩხიკვიშვილი ბენია. თბილისი.
ცაბაძე ვასო. თბილისი.
ცაბაძე დათიკო. ჭიათურა.
ცენტერაძე ბიქტორ. ბათუმი.
ცერცვაძე იოველ. ჭიათურა.
ცერცვაძე ერემია. ჭიათურა.
ცერცვაძე დათიკო. ჭიათურა.
ცერცვაძე სეით. ხრეითი.
ცერცვაძე ელისე. ჭიათურა.
ცეცხლაძე გერონტი. საფრანგეთი.
ციმაკურიძე ლადო. ჭიათურა.
ცინცაძე რაჟდენ. გურია.
ცინცაძე შალიკო. რუსეთი.
ცისკარაშვილი გაბო. თბილისი.
ცომაია ვანო. თბილისი.
ცოდნიაშვილი ვასო. გორი.
წითლიძე არსენ. თბილისი.
წულაძე ზაქარია. გერმანია.
წულუკიძე მიხეილ. გერმანია.
ჭავჭანიძე ვანო. საფრანგეთი.
ჭანიშვილი ნ. ქუთაისი.
ჭეიშვილი აკაკი. გურია.
ჭეიშვილი სოლომონ. გურია.
ჭელიძე ამბროსი. თბილისი.
ჭიჭინაძე პარმენ. თბილისი.
ჭიჭინაძე შალვა. ჭიათურა.
ჭიჭინაძე ვლადიმერ. ჭიათურა.
ჭიჭინაძე გრიგოლ. ჭიათურა.
ჭუმბურიძე კოლია. საფრანგეთი.
ჭუმბურიძე შალვა. თბილისი.
ჭურღულაშვილი ლადო. პარიზი.
ჯაგანიძე მიშა. ჭიათურა.
ჯანელიძე გიორგი. თბილისი.
ჯაფარიძე თენგიზ. ჭიათურა.
ჯაფარიძე სვიმონ. თბილისი,
ჯაფარიძე ილიკო. ჭიათურა.

ჯახიაშვილი თედორე. გურია.
ჯიბლაძე სილიბისტრო. თბილისი.
ჯიბლაძე ევა. საფრანგეთი.
ჯიბლაძე ვლადიმერ. რუსეთი.
ჯიშკარიანი ლუკა. ჭიათურა.
ჯორბენაძე ზოსიმე. საფრანგეთი.
ჯორბენაძე ვლადიმერ. ჭიათურა.
ჯულელი ვალიკო. თბილისი.
ჯულელი შალიკო. ჭიათურა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვერდი
წინასიტყვაობის მაგიერ	3
სოც.-დემოკრატიული პარტიის მუშაობა ჭიათურაში	5
რევოლიუციური მოძრაობა სოფლებში	9
აფრასიონ მერკვილაძე . .	18
1913 წლის გაფიცვა ჭიათურაში	32
რევოლიუციის წინ ჭიათურაში .	45
ირაკლი (კაკი) წერეთელის დაბრუნება . .	49
ძასალები საბალშე გვარდიის შესახებ.	
შესავალი . . .	60
ევგენი გეგეჭკორის სიტყვა .	62
წითელი გვარდია სენაკის მაზრაში . . .	63
თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოში	66
კარლო ჩხეიძის სიტყვა .	68
შორაპნის წითელი გვარდია	72
ბრძოლის ველზე	75
სოხუმის ამბები	77
ნოე ჟორდანიას სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს ეროვნულ საბჭოში 21 ივნისს 1918 წელს	79
დენიკინის ჯაშუშები ჩვენში .	82
საქართველოს რესპუბლიკის გვარდიის წარმომადგენელთა პირველი ყრილობა	85
ვალიკო ჯუღელის სიტყვა .	85
გრ. ლორთქიფანიძის სიტყვა	86
რაჟდენ არსენიძის სიტყვა	88
ნოე რამიშვილის სიტყვა	89
გ. მახარაძის სიტყვა	91
ბენია ჩხიკვიშვილის სიტყვა	92
ნიკო ელიავას სიტყვა	93
გრ. ურატაძის სიტყვა . .	93
სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მოხსენება	94
ევგენი გეგეჭკორის მოხსენება . .	102
სახალხო გვარდიის პირველი ყრილ. რეზოლიუციები	108
ნოე ჟორდანიას აზრი სახალხო გვარდიაზე	111
ჩემი დამატება .	116
ბრძანება რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლისა	122
ბრძანება სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისა	124

საქართველოს სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა	127
რეზოლიუცია მთავარი შტაბის შესახებ .	143
მისალმებანი . . .	144
კარლ კაუცკის სიტყვა გვარდიის მეორე ყრილობაზე	145
ნოე ჟორდანიას მოხსენება	151
ჩემი დამატება	166
ორი წლის წინათ .	167
სახალხო გვარდიის დღესასწაული	172
ᲛᲐᲚᲔᲚᲘ ᲘᲠᲛᲝᲚᲐ . .	175
ჩეკა და პოლიტიკური სამართველო	230
ინგლისის ტრედუნიონთა დელეგაცია . .	241
დამოუკიდებლობის კომიტეტის საუბარი გერმანელ დელეგაციასთან მეტეხის ციხეში .	245
სისხლიანი დღეები საქართველოში	251
მზადება აჯანყებისათვის	253
აჯანყების წინ . . .	259
1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყება:	
ჭიათურაში . . .	262
ჭიათურის აჯანყების გამო დახვრეტილთა სია	275
დამარცხების შემდეგ .	279
ორსახიანი არსებობა :	288
ცეკას მუშაობა და გამცემლობა	295
ახალი ცეკა 1926 წელს .	303
მალული მუშაობის სიძნელე	308
ჩემი დამატება .	327
წერილები საქართველოდან	329
წამება ჩეკაში	330
წამება სოხუმის ჩეკაში	334
წამება ბათუმის ჩეკაში	334
ოზურგეთის ჩეკაში	335
ცნობები პოლიტიკურ პატიმრებზე	339
გადასახლებულთა სია	340
უკანასკნელ ხანებში გადასახლებულთა სია	341
მოხუც სილვას უკანასკნელი დღეები	343
სილიბისტროს ხსოვნის გამო	347
ხუთი წელი	350
ჩვენი კარლო .	354
ნესტორ კალანდაძე—ნოე ჟორდანიას (მილოცვა)	360
იოსებ ცინცაძის წერილი	362
ანანია სალუქვაძე	364

ანანიას წერილი 368
ძვირფას მეგობარს . . 470
ისიდორე რამიშვილის წერილები 371
ალექსანდრეს წერილები 379
ზაქარია გურულის წერილები 382
გრიგოლის წერილები . 392
ნაპოლეონის წერილები 391
ცაცას წერილები 397
ლიზას წერილი . 399
ბოტორიშვილის წერილი 400
ვანიჭკას წერილები 400
რაჭველის წერილები 402
ალექ. მოლარიშვილის საფლავზე 403
ქ. ჩოლოყაშვილის წერილები 406
ვლასა მგელაძის წერილები 408
ნოე რამიშვილი 410
ჩვენი მწუხარება 412
მოგონების გამოცემა 415
საინტერესო მოხსენება 520
ამხანაგ კირილეს წერილი 428
სარჩევი 434